ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

შრომები

XIV

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

Institute of Georgian History

Proceedings

XIV

თბილისი
Tbilisi
2018

უაკ(UDC)94(479.22)
ს–323

რედაქტორები:
თედო დუნდუა
ალექსანდრე ბოშიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
გიული ალასანია
თეიმურაზ პაპასქირი
აპოლონ თაბუაშვილი
ქეთევან გოჩიტაშვილი
ლერი თავაძე
შალვა გლოველი
აკაკი ჩიქობავა
ემილ ავდალიანი
ეკა კვირკველია
ჰიროტაკე მაედა (იაპონია)
ფარჰად ჯაბაროვი (აზერბაიჯანი)
მიხაილ ჩორეფი (რუსეთი)
ალირეზა სოლეიმანზადე (ირანი)
გუნტის ზემიტისი (ლატვია)
რიმვიდას პეტრაუსკასი (ლიეტუვა)
ანჯეი პუქშტო (ლიეტუვა)
ალექსანდერ ბურშე (პოლონეთი)
იულიან მოგა (რუმინეთი)
მირჩა პადურარუ (რუმინეთი)
იაროსლავ პილიპჩუკი (უკრაინა)

Editors:
Tedo Dundua
Alexander Boshishvili

Editorial Board:
Giuli Alasania
Teimuraz Papaskiri
Apolon Tabuashvili
Ketevan Gochitashvili
Leri Tavadze
Shalva Gloveli
Akaki Chikobava
Emil Avdaliani
Eka Kvirkvelia
Hirotake Maeda (Japan)
Farhad Jabbarov (Azerbaijan)
Mikhail Choref (Russia)
Alireza Soleymanzadeh (Iran)
Guntis Zemītis (Latvia)
Rimvydas Petrauskas (Lithuania)
Andžej Pukšto (Lithuania)
Aleksander Bursche (Poland)
Iulian Moga (Romania)
Mircea Păduraru (Romania)
Yaroslav Pylypchuk (Ukraine)

http://geohistory.humanities.tsu.ge; e-mail: geohistory@tsu.ge

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები შესულია ERIH PLUS-ში (The European Reference Index for the Humanities and the Social Sciences).

This journal was approved on 02.07.2018 according to ERIH PLUS criteria for inclusion.

შემდგენლები: თ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი
ავტორთა სტილი დაცულია

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018

ISSN 1987–9970



საქართველოს პირველი რესპუბლიკა

100

First Georgian Republic

შინაარსი

CONTENTS

თედო დუნდუა

მოვსეს ხორენაცის ერთი ცნობის გარშემო (იბერია-პონტოს პოლიტიკური კონტაქტების საკითხისათვის) 9

Tedo Dundua

About the Note of Moses Khorenats'i (Chronology of Ibero-Pontic Political Relations) (Summary) 27

Михаил Чореф

К атрибуции монет с изображением Гелиоса на аверсе чекана Боспора и Херсонеса 29

Mikhail Choref

Question of Attribution of the Coins with the Effigy of Helios on Obverse Issued in Bosphorus and Chersonesus (Summary) 40

Nicolas J. Preud'homme

261 CE – Revolution in Caucasian Iberia 42

ნინო სილაგაძე

სასანური მოტივები ქართლის (იბერიის) სამეფოს არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ზოგიერთ ნიმუშში 67

Nino Silagadze

Sassanian Motifs in Architecture and Fine Art of the Kingdom of Kartli (Iberia) (Summary) 90

ნინო გოდერძიშვილი

წმ. ევსტათი პლაკიდას ნადირობის კომპოზიციის ვარიაციები შუა საუკუნეების ქართულ და ფრანგულ რელიეფებში 91

Nino Goderdzishvili

Iconographic Variations of St. Eustace Hunting Composition in the Medieval Georgian and French Sculpture (Summary) 113

აკაკი ჩიქობავა

კლასობრივი ენის საკითხი და ფეოდალური ურთიერთობები 115

Akaki Chikobava
Issue of Class Language and Feudalism (Summary) 129

ლერი თავაძე
სამეფო კარის ინტრიგები: აფხაზთა მეფე თეოდოსი III მწუხარის
ცხოვრება და მმართველობა 131

Leri Tavadze
The Intrigues of Royal Court: Life and Reign of Theodosi III the Blind King
of Abkhazians (Summary) 157

მამუკა წურწუმია
ჯიჰადი საქართველოს წინააღმდეგ?
1121 წლის კამპანია საღვთო ომის მოძღვრების შუქზე 161

Mamuka Tsurtsumia
Jihad Against Georgia?
1121 Campaign in the Light of the Holy War (Summary) 185

ალექსანდრე ბოშიშვილი
ირანის შაჰების დემოგრაფიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ
(თურქმანული ტომების ჩამოსახლება ქვემო ქართლში) 191

Alexander Boshishvili
Demographic Policy of Iranian Shahs in Georgia (The Migration Of The
Turkic Nomadic Tribes In Kvemo Kartli) (Summary) 204

თეა ქარჩავა
აღმოსავლეთში ინგლისელთა სავაჭრო და დიპლომატიური მიზნებისა და
საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისთვის (ენტონი
ჯენკინსონის რელაციონის მიხედვით) 206

Tea Karchava
England's Commercial and Diplomatic Goals in the East and Some Issues of
Georgian History (According to Anthony Jenkinson's Notes) (Summary) 230

ევგენი ჭანიშვილი, დავით ალექსანიანი
შაჰ აბას I-ის ზაგემის ზარაფხანის ახალი სამონეტო ემისიები 233

Evgeni Chanishvili, David Alexanian
The new Coins of Abbas I From the Mint of Zagemi (Summary) 243

აპოლონ თაბუაშვილი
XVI-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური ისტორიის საკითხები (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები და მისი გავლენა ყოფით ცხოვრებაზე) 245

Apolon Tabuashvili
Issues of Economic History of West Georgia in 16th-18th Centuries (Prices on Commodity and its Influence on Social Life) (Summary) 277

Ярослав Пилипчук
Надир-шах и Грузия. Отношения Грузии с Османами, Сефевидами и Афшарами, 1722-1747 279

Yaroslav Pylypchuk
Nader-Shah and Georgia. Relations of Georgia with the Safavids and Afshars (1722-1747) (Summary) 311

გიორგი სოსიაშვილი
ფავლენიშვილების დაპირისპირება ნიქოზელ ეპისკოპოსებთან (XVIII საუკუნის 80-იან წლებში) 313

Giorgi Sosiashvili
Confrontation of the Pavlenishvilis Against the Nikozi Bishops (80S of the 18th Century) (Summary) 326

ქეთევან ნადირაძე
ხელოსნობიდან ამქრულ ორგანიზაციებამდე 328

Ketevan Nadiradze
From Craftsmanship to Guilds in Georgia (Summary) 348

ირინე ჩაჩანიძე, ნატო წულეისკირი, თამარ გუჩუა
ენობრივი პოლიტიკა იმერეთში XX საუკუნის 10-იან წლებში (გაზეთ „იმერეთის“ მიხედვით) 352

Irine Chachanidze, Nato Tsuleiskiri, Tamar Guchua
Language Policy In Imereti In The First Decade Of 20th Century (According To The Newspaper “Imereti”) (Summary) 360

Tengiz Simashvili
Stalin, Nizharadze and Cult of Moon 364

ემილ ავდალიანი
მიქაელ არამიანცი და საქართველო 394

Emil Avdaliani
Mikael Aramyants and Georgia (Summary) 408

როლანდ თოფჩიშვილი
თედო სახოკია – პირველი ქართველი პროფესიონალი ეთნოლოგი/ანთროპოლოგი 410

Roland Topchishvili
Tedo Sakhokia – the First Georgian Professional Ethnologist/Anthropologist (Summary) 440

საერთაშორისო პრეზენტაცია
International Conferences

Nino Silagadze
Composition of Theophany on 10th-11th Centuries Georgian Church Facades.. 442

Николай Джавахишвили
Малоизвестные страницы из истории грузино-балтийских торгово-экономических связей (XVI-XVII вв.)..... 467

Elene Gogiashvili
Women against Death: Georgian Folktales in Context of Oriental and Occidental Paradigms 485

იუბილე

დიმიტრი შველიძე – 70 493

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIV
თბილისი. 2018

თედო დუნდუა
პროფესორი, თსუ

მოვსეს ხორენაცის ერთი ცნობის გარშემო (იბერია-პონტოს პოლიტიკური კონტაქტების საკითხისათვის)

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი პონტოს და კოლხეთ-იბერიის ურთიერთმიმართებებისა არის იმ ქრონოლოგიური ზღვრის დადგენის აუცილებლობა, საიდანაც იწყება აღნიშნულ ერთეულებს შორის პოლიტიკური ტიპის კავშირები. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ძვ. წ. III საუკუნის I ნახევარი სწორედ ის პერიოდია, როდესაც პონტოს სამეფო აქტიურად ერევა ქართლში მიმდინარე პოლიტიკურ კატაკლიზმებში, დახმარებას უწევს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებს.[1] ჩვენი აზრით, ზემოთ აღნიშნული ჰიპოთეზები კომენტარს საჭიროებს, რისთვისაც მიზანშეწონილია მათი შედარებით ვრცლად წარმოდგენა.

გ. მელიქიშვილმა ყურადღება გაამახვილა ქართული საისტორიო ტრადიციისა და მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიის“ მსგავსებაზე ერთ კონკრეტულ ასპექტში, კერძოდ, მ~ქ და ქ~ც მიხედვით, ალექსანდრე ქართლის გამგებლად ნიშნავს აზოს.[2] ხორენაცთან საუბარია ალექსანდრეს მიერ

[1] Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб., გვ. 38, 47-48, 51, 277-278, 281; გ. მელიქიშვილი. ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე. თბ. 1962 №2, გვ. 221, 225-227; გ. მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბ. 1965, გვ. 12, 14, 16; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბ. 1970, გვ. 440, 442-444; Очерки истории Грузии. ч. I. Тб. 1989, გვ. 253, 255-258, 262-263, 271; მ. ინაძე. ეშერის წარწერის გაგებისთვის. „მნათობი“. თბ. 1988 №1, გვ. 148-152; მ. ინაძე. ეგრისის და ქართლის ურთიერთობისათვის („ფარნავაზის ცხოვრების“ მიხედვით). „მნათობი“. თბ. 1989 №8, გვ. 158-159.

[2] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 18; მოქცევაჲ ქართლისაჲ. შატბერდის კრებული. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბ. 1979, გვ. 320.

ქვეყნის მმართველად დარეჰის (დარიოსის) ნახარარ მიჰრდატის (მითრიდატეს) განწესებაზე (ხორენაცი. II. 8).[3] ხაზი გაუსვა რა მოტანილი ორი ცნობის ტიპოლოგიურ იდენტურობას, მკვლევარმა მიიჩნია, რომ აქ საქმე გვაქვს ერთი გადმოცემის ორ ვარიანტთან, II ვარიანტის მატარებლად კი გუგარქის საპიტიახშო სახლი ჩათვალა. გადმოცემა, მისი აზრით, საგვარეულო დეკლარაციის ფორმას იღებს. ამ განცხადების საფუძველია ხორენაცისეული ინფორმაცია გუგარქელი პიტიახშების სწორედ ხსენებული სატრაპიდან მომდინარეობის შესახებ. ვინაიდან 1. აზო და მითრიდატე გარკვეულ „კავშირში" არიან ერთმანეთთან; 2. ალექსანდრეს და დიადოხების ეპოქის დარიოსის სატრაპ მითრიდატეს მხოლოდ მითრიდატე, კიუსის და არრინას მმართველი[4] უდგება. ის, რომ კვლევისას სწორედ პონტოური დინასტიით უნდა შემოვიფარგლოთ, დასტურდება თუნდაც ხორენაცისეული კონცეფციით, რომელსაც ამ პირველი მიჰრდატიდან ტიგრანეს მოკავშირე და პომპეუსის წინააღმდეგ მებრძოლი მიჰრდატი გამოყავს; 3. კლარჯეთში მყოფი აზო დახმარებას საბერძნეთიდან იღებს.[5] „საბერძნეთში" კი შუა საუკუნეებში იგულისხმებოდა ბალკანეთის ნახევარკუნძული და მთელი მცირე აზია; 4. ქ~ც მიხედვით, აზოს დამარცხების შემდგომ ფარნავაზმა დალაშქრა ანძიანძორა, საბერძნეთის სასაზღვრო პროვინცია, და ეკლეცის გავლით დაბრუნდა უკან.[6] ჯუანშერთან კი ანძიანძორი და ეკლეცი პონტოს ქალაქებია[7] – მკვლევარი ასკვნის, რომ აზო-ფარნავაზის ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას სწორედ პონტოს სამეფო იღებდა. სიმპტომატურადაა მიჩნეული ქ~ც წარმოდგენილი დაპირისპირება „საბერძნეთსა" და ასურასტანს შორის. ყველაფერი ეს კარგად შეესაბამება რეალურ კონფრონტაციას პონტოსა და სელევკიდებს შორის ძვ. წ. III საუკუნის პირველ ნახევარში, რაც გარკვეული მიზეზებით იყო განპირობებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განხილული თეორია უფრო ადრე არსებული მოსაზრების დახვეწის ცდაა.[8]

აღნიშნულ ჰიპოთეზას რიგი ხარვეზებისა ახასიათებს. 1. კონკრეტული წყაროთმცოდნეობითი ნიუანსის გაუთვალისწინებლობა – მოვსეს ხორენაცის ან უფრო სწორად, ფსევდო მოვსეს ხორენაცის თხზულების მიმართ, მისი

[3] მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ. თბ. 1984, გვ. 107.

[4] Н. Ю. Ломоури. К истории Понтийского царства. Ч. I. Тб. 1979, გვ. 15-18.

[5] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 23.

[6] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 23.

[7] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 160.

[8] O. G. von Wesendonk. Über georgisches Heidentum. Caucasica. Fasc. I. Lipsiae. 1924, გვ. 6-7.

სპეციფიური ხასიათის გამო[9], წყაროთა ურთიერთშეჯერების კლასიკური მეთოდის გამოყენება არ უნდა იყოს მიზანშეწონილი. სხვა სიტყვებით, მტკიცება იმისა, რომ ხორენაცისეული დარეჰის სატრაპი მიჰრდატი მართლაც ზეპირგადაცემებიდან იღებს სათავეს, ცოტა ძნელია. ამაზე შემდგომ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი. 2. ყურადღება არ ექცევა პოლიტიკურ კონიუნქტურას. ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში პონტოს სამეფო ჰინტერლანდში მდებარე ფორმირების პერიოდში მყოფი შედარებით სუსტი ერთეულია, რომელსაც არ შეიძლება ჰქონოდა რაიმე შორეული ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები.[10] 3. ჯუანშერთან შეცდომაა – ეკლეცი და ანძიანძორი (ამ უკანასკნელის ლოკალიზაციისათვის ვეყრდნობით ვახტანგ გორგასლის მიმართვას სომხებისა (!) და სპარსელებისადმი ანძიანძორში დიდი მოძღვრის გრიგოლის საფლავის არსებობის შესახებ[11]; მის საფუძველზე და ქ-ც დასახული ზოგადი გეოგრაფიული კონიუნქტურის გათვალისწინებით, ეკლეცი და ანძიანძორი მეზობელი მხარეებია. ამასთან, ეს უკანასკნელი დარანალიას უნდა შეესაბამებოდეს.[12] სწორედ აქ ლაშქრობს ფარნავაზი, აქვე იყო, ალბათ, ვახტანგიც. რაც შეეხება თვით ნომინალს – ანძიანძორი, ქართულ საისტორიო ტრადიციაში მისი გაჩენა გარკვეული კატეგორიის აღრევების შესაძლებლობის დაშვებას გვავარაუდებინებს), ე.ი. ნაწილი ანტიკური ხანის აკილისენესი, რომელსაც ჯერ კატაონელები ფლობდნენ და სწორედ მათ წაართვეს სომხებმა ეს მხარე ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისში (Strabo. XI. 14. 5), მაშინ როცა კომანას მიმდებარე ქვეყანა მანამდე არიარათ III დამორჩილდა[13] – არასდროს, არც პოლიტიკურ და არც ადმინისტრაციულ ასპექტში პონტოს სახელის დიფუზიას არ ექვემდებარებოდა.[14] ამიტომ ქ-ც აღნიშნული ცნობის

[9] Г. Халатянц. Армянские Аршакиды в «Истории Армении» Моисея Хоренского. ч. I. Москва. ალბათ, ავტორი მეორე უკიდურესობაში ვარდება ხორენაცის თხზულების, როგორც ისტორიული წყაროს, მნიშვნელობის შეფასებისას; C. Toumanoff. Studies in the Christian Caucasian History. Washington, D.C. 1963, გვ. 104-105, 330-334; Moses Khorenats'i. History of the Armenians. Translation and Commentary of the Literary Sources by R. W. Thompson. Harvard University Press, Cambridge, Massachusetts. London, England. 1978, შესავალი ნაწილი.

[10] პონტოს სამეფოზე იხ. Н. Ю. Ломоури. К истории Понтийского царства, გვ. 24-34.

[11] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 160.

[12] Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана. Изд. II. Ереван. 1971, გვ. 46-55.

[13] B. Simonetta. Coinage of the Cappadocian Kings. NC. 1961. Seventh Series. Vol. I. London, გვ. 12.

[14] ანტიკურ ხანაში აკილისენე დიდი არმენიის ნაწილია. შემდგომი ისტორიისთვის იხ. Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана, გვ. 46-55, 172-173, 202-203; История армянского народа. Ч. I. Ереван. 1951, გვ. 87, 95; G. Ostrogorsky. History of the Byzantine State. New Brunswick. 1957, გვ. 86-88; The Cambridge Medieval History. IV. Part I. Cambridge. 1966, გვ. 598, 601-602.

არგუმენტაციის სუბსტრატად ქცევა არ არის სწორი. ამ თეორიის საწინააღმდეგოდ შესაძლებელია ყურადღების გამახვილება სხვა მომენტებზეც, მაგრამ ძირითადი უკვე ზემოთ ითქვა.

განხილული მოსაზრება აზო-მითრიდატე I ალიანსის შესახებ შემდგომ საფუძვლად გაიხადა მ. ინაძემ. ეშერას წარწერაში მოხსენიებული ანონიმური სამეფო, ქალაქის მხსნელი და აგრეთვე ჰერაკლეას (თუმცა მტკიცება იმისა, რომ ეპიგრაფიკულ ძეგლში მაინცდამაინც ჰერაკლეა ფიგურირებდა, ალბათ, ძნელია[15]) მოკავშირე, მისი აზრით, მხოლოდ და მხოლოდ პონტო უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ წარწერა პალეოგრაფიულადაც ძვ. წ. III საუკუნით თარიღდება.[16] ამით, ფაქტობრივად, შემოთავაზებულ იქნა პონტოელ მეფეთა ტრადიციული საგარეო-პოლიტიკური კურსის, რაც მიზნად ისახავდა შავიზღვისპირეთის ერთიანი იმპერიის შექმნას, გენეზისის ახალი თარიღი. პონტოს სამხედრო კავშირის ფაქტი ჰერაკლეასთან, რაც ჩვენთვის საინტერესო პერიოდზე მოდის, მ. ინაძის დამატებით არგუმენტად იქცა. აქ უნდა აღინიშნოს, რომ პონტომდე ჰერაკლეას სხვა უფრო სერიოზულ ძალასთან ჰქონდა პოლიტიკური მიმართებანი, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ხორენაცის აღნიშნული ცნობის სხვა ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა გ. მამულიამ.[17] თუმცა მისი მსჯელობის ქვაკუთხედი წყაროსადმი კვლავ წინასთან ანალოგიური მიდგომაა. 1. მკვლევარი მ~ქ და ქ~ც ინფორმაციას ალექსანდრეს მიერ ქართლზე განხორციელებული ლაშქრობისა და ქვეყნისთვის მმართველის დანიშვნის შესახებ მიიჩნევს შემდეგი მომენტების შერწყმად – რეალურის, ალექსანდრეს ერთ-ერთი სარდალი ლაშქრობს აქ და მეფის სახელით ნიშნავს ვასალს, და ფსევდო კალისთენეს ზოგი ვერსიისა. სწორედ ამ ორი შტრიხის ლიგატურაა ქართული საისტორიო ტრადიციის ეს კონკრეტული ნაწილი. ე.ი. ალექსანდრეს მიერ რეგიონისთვის მმართველის დანიშვნის ფაქტის ზედა ქრონოლოგიური ზღვარია ძვ. წ. 323 წელი. როგორც ვხედავთ, პონტოს სამეფო ირიცხება. მაშინ, როგორი ახსნა უნდა მოეძებნოს „საბერძნეთ"-„ასურასტანის" დაპირისპირების ქ~ც მოდელს?

2. შემდგომ ყურადღების ცენტრში ექცევა სარდეს გარნიზონის მეთაურის, მითრენის პიროვნება. ორონტიდთა სახლის ეს წარმომადგენელი ალექ-

[15] Т. С. Каухчишвили. Греческая надпись Эшерского городища. Источниковедческие разыскания. 1982. Тб. 1985, გვ. 221.

[16] Т. С. Каухчишвили. Греческая надпись Эшерского городища. Источниковедческие разыскания, გვ. 223.

[17] გ. მამულია. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში. თბ. 1979, გვ. 7-8, 102-106, 114-122, 129-132, 134-146, 149-155).

სანდრესგან არმენიის სატრაპიას მოიპოვებს გარკვეული დამსახურების გამო (ამ აქტით ალექსანდრე ორონტიდთა საგვარეულოს ფორმალურად უდასტურებდა მის უკვე მემკვიდრეობითად ქცეულ ადმინისტრაციულ რეგალიას).[18] მითრენი იღებს სატრაპიას და სანქციას მაკედონელთა ჰეგემონიის გავრცელებაზე უფრო ჩრდილოეთით მდებარე მხარეებზე. აქ ის ჩაერია ერთი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის – ქართლის – მასშტაბით მიმდინარე ბრძოლაში პირველობისთვის მცხეთის მამასახლისსა და არიან-ქართლის უფალს შორის; უპირატესობას ანიჭებს აზოს, და მას მცხეთაში გაამეფებს. გ. მამულია თვლის, რომ სწორედ აზო უნდა გამხდარიყო მაკედონელთა კლიენტი ამ მხარეში. მთელი ამ მსჯელობის საფუძველია ონომასტიკური მსგავსებანი: მითრანი (მიჰრანი, მირიანი) – მითრადატე (მიჰრდატი, მირდატი). დარეჰის სატრაპი მიჰრდატი სწორედ ეს მითრენი უნდა ყოფილიყო, რომელმაც ალექსანდრესგან ჩრდილოეთ მხარეებზე კონტროლის განხორციელების უფლება მიიღო. მაინცდამაინც უნდა აღინიშნოს, რომ მითრანი და მითრადატე, მიუხედავად ეტიმოლოგიური მსგავსებისა, განსხვავებული ნომინალებია და მიჰრანის (მირიანის) ზეპირგადაცემაში მიჰრდატად (მირდატად) ქცევის დაშვება არ უნდა იყოს ლოგიკური. ამ წინააღმდეგობის დაძლევას ცდილობს თვით ხსენებული მკვლევარი.

3. ნაშრომში გატარებულია მოსაზრება აზოს ჩამომავლების სეფეწულობის და ფარნავაზიანობის, აზოს სახლის ბაზაზე ბაგრატიონთა სახლის გენეზისის და მის მიერ გუგარქის პიტიახშის სახელოს ფლობის შესახებ. სწორედ ამ სახლის ფარგლებში არსებობდა გადმოცემა ალექსანდრეს მიერ ივერიელთა გამგებლად დარეჰის ნახარარ მიჰრდატის დანიშვნის შესახებ. ამით გარკვეული „ომაჟია“ შესრულებული მითრენის წინაშე მის მიერ ვასალად განწესებული, „შვილად“ ქმნილი აზოს, რომელიც შემდგომ ამ ფაქტისა მირდატად, ე.ი. მითრას მოცემულად, იწოდა (ამ შემთხვევაში აზო Mith-

[18] მითრენზე და ორონტიდებზე იხ. Diod. XVII. 21. 7; Diodorus of Sicily. With an English Translation by C. Bradford Welles in 12 Volumes. V. VIII. Cambridge, Massachusetts, Harvard University Press. London, William Heinemann LTD. MCMLXIII, გვ. 178-178; XVII. 64. 6; Diodorus of Sicily, გვ. 300-303; Arr. Anab. I. 17. 3; Arrian. History of Alexander and Indica. With an English Translation by P. A. Brunt in Two Volumes. I. Anabasis Alexandri. Cambridge, Massachusetts, Harvard University Press. London. MCMLXXVI, გვ. 70-71; III. 16. 5; Arrian. History of Alexander and Indica, გვ. 274-276; Curt. III. 12. 6; V. 1. 44; V. 8. 12; Q. Curti Rufi. Historiarum Alexandri Magni Macedonis. Lipsiae. MDCCCXCIII; F. Justi. Iranisches Namenbuch. Hildesheim. 1963, გვ. 214; C. Toumanoff. Studies in the Christian Caucasian History, გვ. 72-73, 278-293; M. Boyce. History of Zoroastrianism. V. II. Leiden/Köln. 1982, გვ. 91-92; М. А. Дандамаев. Политическая история Ахеменидской державы. Москва. 1985, გვ. 79.

rānadata-დ უნდა ქცეულიყო, მაგრამ დავუშვათ ნავარაუდევი ფონეტიკური ცვლილებების შესაძლებლობა), ჩამომავლების, ასევე მირდატების მიერ, და სწორედ ეს უკანასკნელი ფორმა დროთა განმავლობაში ცვლის Mithrāna-ს.[19] ვასალიტეტის ნომინალური გაფორმების აქ დაშვებული შესაძლებლობა ხელოვნურ იერს ატარებს. მას არავითარი ისტორიული ანალოგია არ ეძებნება. აღნიშნული მოსაზრების წინააღმდეგ შესაძლოა სხვა პრეტენზიის გამოთქმაც. მაგ., სრულიად გაუგებარია თეზა აზოს ორმაგი ვასალიტეტის შესახებ (ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მითრენის მიერ მეფის ტიტულის მიღება, ყოველ შემთხვევაში, ალექსანდრეს სიკვდილამდე მაინც, საეჭვოდ მიგვაჩნია, გამომდინარე პოლიტიკური კონიუნქტურიდან[20]) ან აზოს სახლის ერთდროულად ფარნავაზიანობა და ბაგრატიონობა, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი, მისი წევრების მირდატებად წოდება და სხვ.

რაც შეეხება კ. თუმანოვის კომენტარს ჩვენთვის საინტერესო ცნობასთან დაკავშირებით, ის საკმაოდ აბსტრაჰირებულია კონკრეტული არგუმენტაციისგან, ბუნდოვანი და არარეალურია.[21] მისი აზრით, ხშირი აღრევები, რასაც ფსევდო მოვსესთან აქვს ადგილი, ერთი მხრივ, გუგარქის პიტიახშსა და იბერთა მეფეს, ხოლო, მეორე მხრივ, გუგარქის პიტიახშსა და პონტოელ მითრიდატიდებს შორის (პომპეუსის წინააღმდეგ მებრძოლი მითრიდატე გუგარქის ბდეშხად არის წარმოდგენილი, ის კი დარიოსის სატრაპ მითრიდატეს ჩამომავალია!) განპირობებულია პირველი ორის მიჰრანიანობით[22] (ადრეფეოდალურ ხანაში), და მიჰრანიანთა გვარის ლეგენდარული მამამთავრის, მილადის[23], სახის გენეზისით ერთ-ერთი არშაკიდი მითრიდატეს ბაზაზე.[24] საკმარისია აღინიშნოს, რომ თეზა მირიან III და ფეროზის კუთვნილების შესახებ მიჰრანიანთა საგვარეულოსადმი არ არის სწორი.[25]

ამგვარად, ხორენაცის ცნობის კომენტირების არც ერთი წარმოდგენილი ნიმუშთაგანი არ უნდა იქნას მიჩნეული დამაკმაყოფილებლად. შევეცდებით საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბებას ამასთან დაკავშირებით.

---

[19] Mithra-სგან ნაწარმოებ სახელებზე იხ. F. Justi. Iranisches Namenbuch, გვ. 204, 207-214, 503, 522; Th. Reinach. Mithridate Eupator roi de Pont. Paris. 1890, გვ. 49, სქ. 2.

[20] შდრ.: C. Toumanoff. Studies in the Christian Caucasian History, გვ. 288-289.

[21] C. Toumanoff. Studies in the Christian Caucasian History, გვ. 186, 187 შენ. 175.

[22] Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана, გვ. 439-440 შენ. 1.

[23] F. Justi. Iranisches Namenbuch, გვ. 209, 213, 355.

[24] ამასთან დაკავშირებით A. Christensen. L'Iran sous les Sassanides. Copenhague. 1944, გვ. 104 შენ. 1.

[25] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ. 1973, გვ. 59-62.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მივიჩნევთ ყურადღების გამახვილებას თვით წყაროს ჩვენთვის საინტერესო ადგილებზე: 1. ალექსანდრე დარეჰის ნახარარ მიჰრდატს ივერიელთა გამგებლად ნიშნავს, 2. მეფე ვალარშაკმა ამ მიჰრდატის ჩამომავალთა მამასახლისს გუგარქის ბდეშხის სახელო უწყალობა, 3. ერთ-ერთი პიტიახშთაგანია არტაშესის და ტიგრანეს თანამედროვე მიჰრდატი, პომპეუსს რომ ებრძვის, 4. მეფე არტაშესი, სარგებლობს რა არეულობით რომში, დალაშქრავს ორ ზღვას შუა მდებარე ხმელეთს (მცირე აზია) და საბერძნეთსაც შეუტევს, ზღვას ხომალდებით გაავსებს; ბოლოს იღუპება საკუთარ ჯარისკაცთა ამბოხის დროს; 5. მითრიდატეს ძე – მითრიდატე ტყვედ უვარდება რომაელებს (ხორენაცი. II. 8. 11-12. 14-18).[26] ამავე კატეგორიისაა სომხურ გეოგრაფიაში დაცული ერთი მეტად საინტერესო ადგილი არტაშესის მიერ ეგეიდის კუნძულების დაკავების, ამ მხარეში „სახელგანთქმული ციხე-დარბაზის“ გარემოცვის შესახებ.[27] რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით? თ. მომზენი და თ. რეინაკი არტაშესის ლაშქრობის ხორენაცისეულ თხრობაში აშკარად ხედავენ მითრიდატული ომების ცალკეულ ელემენტებს. მართლაც, არტაშესის მიერ მცირე აზიის დალაშქვრა და საბერძნეთზე ჰეგემონიის დამყარება მითრიდატეს ძვ. წ. 88-87 წლების კამპანიის „რემინისცენციაა“, ზღვის გემებით გავსება შესაძლებელია მითრიდატეს საზღვაო არხეს, ევპატორის და კილიკიელების სამხედრო კავშირს შევუთანასწოროთ. რაც შეეხება ჯარისკაცთა ამბოხს, მას ადგილი ჰქონდა კაბეირასთან ბრძოლის დროს. მითრიდატე ხორენაცთან ფიგურირებს, მაგრამ როგორც არტაშესის (!) და ტიგრანეს თანამედროვე გუგარქის ბდეშხი! ზემოთ მოხსენიებულმა მკვლევარებმა სომხური ტრადიცია ამ კონკრეტული ასპექტით მხოლოდ ზოგადად შეაფასეს, როგორც საკმაოდ გაუგებარი და არასანდო, საკითხი სპეციალურად არ შეუსწავლიათ.[28] აღნიშნულ ცნობებს არტაშესის შესახებ ი. მანანდიანიც მითრიდატული ომების ასახვად მიიჩნევს, ოღონდ მათ წყაროდ სომხურ ზეპირ ტრადიციას განიხილავს, ძალაუნებურად გარკვეულწილად დამახინჯებულს ავტორის მიერ, რაც აბსურდია, ვინაიდან ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფის ისტორიული მეხსიერების ატრიბუტებია რეალიზმი და ეთნოკულტურული შემოსაზღვრულობა.[29] მაშ, აქ არაავტოხტო-

[26] მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია, გვ. 107, 111-112, 114-116.

[27] Geographie de Moïse de Corène d'après Ptolemée. Texte Arménien traduit en Français par le P. Arsène Soukry, Mékhitariste. Venise. 1881, გვ. 21-22.

[28] Т. Моммзен. История Рима. т. II. Москва. 1937, გვ. 282-283 შენ. 1; Th. Reinach. Mithridate Eupator roi de Pont, გვ. 453-455.

[29] Я. И. Манандян. Тигран II и Рим. Ереван. 1943, გვ. 44-45, 68.

ნურ ლიტერატურულ წყაროებთან და ისტორიის ფალსიფიკაციასთან უნდა გვქონდეს საქმე, რაც ასე დამახასიათებელია განსახილველი ნაშრომისთვის. გ. ხალატიანცი არტაშესის შესახებ ფსევდო მოვსეს ხორენაცის თხრობის ერთ-ერთ წყაროდ და საფუძვლად სომხურ გეოგრაფიას მიიჩნევს.[30] მაგრამ შეუძლებელია ერთი და იმავე კატეგორიის ცდომილების ნიმუშთაგან აშკარად რაღაც თეორიული დასაბუთების შესატყვისი მშრალი თეზისის (ამ შემთხვევაში გეოგრაფიის შესატყვისი ნაწილი) მოწყვეტა სუბსტრატისგან. ე.ი. მივიჩნევთ, რომ გეოგრაფია და ისტორია ერთ ავტორს განეკუთვნება.[31] ამასთან, ვითვალისწინებთ რა პირველი მათგანის უცილობელ დათარიღებას – VI საუკუნის II ნახევარი-VII საუკუნის I ნახევარი[32], ვთვლით, რომ სწორედ ეს მომენტი უნდა იქცეს ამოსავალ დებულებად ფსევდო მოვსეს ხორენაცის თხზულების ქრონოლოგიისათვის – აღნიშნული ჩარჩოები ფსევდო მოვსესთან გაპარული ზოგი ანაქრონიზმის საფუძველზე შესაძლოა დაკონკრეტდეს ჰერაკლეს ხანით; ხოლო სპეციალისტთა მიერ „სომხეთის ისტორიის“ რიგი შტრიხების უცილობლად უფრო მოგვიანო დროში ჩასმა კატეგორიულობით არ გამოირჩევა.[33] ის, რომ ავტორი კარგად არის ინფორმირებული პონტოს სამეფოს ისტორიის შესახებ, აშკარაა, თუმცა ამ ასპექტით კონკრეტული წერილობითი წყაროს დადგენა რთულია. II წიგნის წყაროდ დასახელებული იოსებ ფლავიუსის, სექსტუს იულიუს აფრიკანუსის, იპოლიტე რომაელის და ევსევი კესარიელის თხზულებებიდან გარკვეული ინფორმაცია პონტოს სამეფოზე მხოლოდ იოსებს და ევსევის გააჩნია[34], მაგრამ ის ვერაფრით ვერ ფა-

---

30 Г. Халатянц. Армянские Аршакиды в «Истории Армении» Моисея Хоренского, გვ. 46.

31 იხ. მაგ., Geographie de Moïse de Corène d'après Ptolemée, შესავ. VI-VIII; Я. И. Манандян. Тигран II и Рим, გვ. 44-45; Moses Khorenats'i. ტომპსონის თარგმანი, გვ. 51-52.

32 Moses Khorenats'i. ტომპსონის თარგმანი, გვ. 51-52.

33 პირველი განცხადების საილუსტრაციოდ გამოდგება მაგ., ხორენაცი. III. 18. რაც შეეხება მეორეს, აღვნიშნავთ, რომ ბაგრატუნ-მამიკონიანების დაპირისპირებას უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს. იხ. მაგ., История армянского народа, გვ. 91, შდრ.: C. Toumanoff. Studies in the Christian Caucasian History, გვ. 330-334. ხოლო ავტორის „საეკლესიო ინტერესები“ მაინცდამაინც გადაჭრით არ მიუთითებს VIII საუკუნეზე (VII (?) – თ. დ.). შდრ.: Moses Khorenats'i. ტომპსონის თარგმანი, გვ. 60.

34 მართალია, აფრიკანუსის ნაშრომის მხოლოდ ფრაგმენტებმა მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ განსახილველი ტიპი გამორიცხავს პონტოს სამეფოს შესახებ რაიმე დეტალური ინფორმაციის აქ არსებობას. იხ. О. Неверов. Митридат Дионис. СГЭ (Сообщения Гос. Эрмитажа); Flav. Ios. Ant. Jud. XIII. 421; XIV. 53. 112-14; XVI. 18; Bell. Jud. I. 116, 138; Josephus. With an English Translation by H. St. J. Thackerary. In nine volumes. II. The Jewish War. London. W. Heinemann Ltd. Cambridge, Massachusetts, Harvard University Press. MCMLVI, გვ. 54-57; Josephus. Works. V. VII. Jewish Antiquities – books XII-XIV. Cambridge, Massachusetts, Harvard University Press. London. MCMLXI, გვ. 438-441, 474-475, 504-507; Josephus. Works. V. VIII, გვ. 214-215; Die Chronik des Eusebius aus dem Armenischen Übersetzt. Leipzig. 1911. Eusebius Werke. B. V, გვ. 118. აქ საუბარია სელევკ კალინიკეს და მითრიდატე II დაპირისპირებაზე.

რავს „სომხეთის ისტორიის“ მონაცემებს და არც I მითრიდატული ომის პერიპეტიებს ეხება. მაშ, სხვა ნაშრომია, ამასთან, ალბათ, არა რომელიმე ბიზანტიური ქრონიკათაგანი (მათგან პონტოს სამეფოს შესახებ ცნობა, ისიც სქემატური, მხოლოდ სინგელოზთანაა[35]). არც ქრონიკების ზოგადი ტიპოლოგია იძლევა საშუალებას ამ კატეგორიის ნაშრომებში დავუშვათ პონტოს ირგვლივ დეტალური ინფორმაციის არსებობის შესაძლებლობა. ხორენაცის წყაროდ მიჩნეული მალალა[36] მითრიდატული ომების მხოლოდ დასკვნით ეტაპს ეხება და არც ევპატორი ფიგურირებს სადმე.[37] რაც შეეხება კლასიკურ მწერლობას, ხორენაცი ერთ-ერთ წყაროდ ფლეგონს (?) (II. 13) ასახელებს. თუკი მისი თხზულება მართლაც ჰქონდა ხელთ, აქ საუბარია მხოლოდ ლუკულუსის კამპანიაზე.[38] სქოლირების სპეციფიური წესის გამო (ხშირად რეალური წყაროს მოუხსენიებლობა[39]) შესაძლებელი იყო ასეთად დიოდორეს (ხორენაცი. III. 1) მიჩნევა, მაგრამ მისი ინფორმაცია მაინც განსხვავებულია.[40] განსახილველ საკითხთან დაკავშირებით შესაძლებელია სხვა მოსაზრებების წამოყენებაც, მაგრამ თავს ვიკავებთ მათი თითქმის წმინდა ლოგიკური ტიპის, კონკრეტული არგუმენტაციის არარსებობის გამო. ე.ი. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ხორენაცს ხელთ ჰქონდა მითრიდატული ომების ისტორია, რომლის ცნობებსაც ის ამახინჯებს თავისი კარდინალური მიზნის საფუძველზე – განადიდოს საკუთარი ეთნოკულტურული წარსული. მაგრამ,

---

35 Syncell. Corpus Scriptorum Historiae Byzantine. Bonn. 1829. T. I, 523, 5; 593, 7.

36 Г. Халатянц. Армянские Аршакиды в «Истории Армении» Моисея Хоренского, გვ. 372-373.

37 Malala. VIII. 211; IX. 223; Patrologia Graeca. Accurante J. P. Migne. Tomus 97. Brepols-Turnhout. Original edition published by J. P. Migne. Paris 1860. Reprinted by Brepols. Turnhout (Belgium). 1976.

38 Phleg. Fr. 12; Fragmenta Historicorum Graecorum. III (C. Müller). Parigi. 1849, გვ. 606. საინტერესოა, რომ აქვეა ხაზგასმული მეკობრეთა სიძლიერე ეგეოსის ზღვაზე.

39 Г. Халатянц. Армянские Аршакиды в «Истории Армении» Моисея Хоренского, გვ. 369.

40 Diod. XIV. 31. 2; XV. 90. 2; XX. 111. 4; XXXVI. 15. 1; XXXVII. 2. 11; XXXVII. 2. 12; XXXVII. 26. 1; XXXVII. 27. 1; XXXVII. 28. 1; XXXVII. 29. 2; XXXVIII. 5. 1; XXXVIII-XXXIX. 6. 1; XXXVII. 22b. 1; XL. 4. 1; Diodorus of Sicily. Works. V. VI, გვ. 100-101; Diodorus of Sicily. With an English Translation by C. Bradford Welles. In 12 Volumes. V. VIII. Cambridge, Massachusetts, Harvard University Press. London, William Heinemann Ltd. MCMLXIII, გვ. 86-89; Diodorus of Sicily. V. X, გვ. 440-441; Diodorus of Sicily. V. XII, გვ. 178-179; Diodorus of Sicily. V. XII, გვ. 192-195; Diodorus of Sicily. V. XII, გვ. 194-195; Diodorus of Sicily. V. XII, გვ. 230-231; Diodorus of Sicily. V. XII, გვ. 232-233; Diodorus of Sicily. V. XII, გვ. 234-235; Diodorus of Sicily. V. XII, გვ. 240-241; Diodorus of Sicily. V. XII, გვ. 246-249; Diodorus of Sicily. V. XII, გვ. 268-271; Diodorus of Sicily. V. XII, გვ. 286-287. დიოდორესთან 1) განსხვავებულად არის გადაწყვეტილი მითრიდატე კტისტის პრობლემა; 2) კაბეირასთან ბრძოლის მომენტი არ ასახულა, და სხვ.

როგორც შენიშნულია[41], ფსევდო მოვსეს ხორენაცი ყოველთვის ეძებს საფუძვლებს ფალსიფიკაციის სფეროს ლოკალიზაციის, ამ შემთხვევაში პონტოს ისტორიის, და თვით კონკრეტული ფაქტობრივი მასალის დამახინჯებისთვის, თუმცა ამ მომენტებს ხაზს არ უსვამს. რა შეიძლება ითქვას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით?

III საუკუნიდან დაწყებული, რიგ ობიექტურ მიზეზებს შედეგად მოჰყვა სომხური კულტურული ელემენტის დასავლური (და ზღვისკენ) მიგრაცია, რომლის პლაცდარმიც თავდაპირველად ძირითადად მცირე არმენია, შემდგომ, IV საუკუნიდან, ზოგადად დასავლეთ არმენია იყო. სომხური მოსახლეობა მასობრივად საბლდება ისტორიული პონტოს და კაპადოკიის ტერიტორიებზე. ყველაფერმა ამან ასახვა პოვა სხვადასხვა დროის ადმინისტრაციული რეორგანიზაციების ნომინალური სისტემაში. თეოდოსის დროს მცირე არმენიის ნაწილის, სებასტიის და სებასტოპოლისის ოლქების ნაერთს შესაბამისის დემოგრაფიული სიტუაციის გამო არმენია I ეწოდა; არმენია II კი ავტოხტონურ ტერიტორიებთან ერთად მელიტენა-კომანას მხარესაც მოიცავდა. ამ პროცესის შემდგომი ევოლუციური საფეხური აისახა იუსტინიანეს შესაბამის ნოველაში და თუკი I არმენიის – შიდა არმენია, ყოფილი I არმენიის მცირე ნაწილი, ტრაპეზუნტისა და კერასუნტის სანაპირო – გენეზისის ფაქტი არავითარ ეთნოსტრუქტურულ ცვლილებებთან არ არის დაკავშირებული ტრაპეზუნტ-კერასუნტის ოლქში, სულ სხვა ვითარებაა სებასტია-სებასტოპოლისის მხარეში, რისი ილუსტრაციაცაა პროვინცია არმენია II შემდეგი შემადგენლობით: სებასტია, სებასტოპოლისი, ზელა და კომანა. III არმენია ყოფილი II არმენიაა ცვლილებების გარეშე. ჰერაკლეს დროინდელმა თემა არმენიაკონმა კი მოიცვა ამისო-სინოპეს, ნეოკესარია-ამასიის მხარეები, ე.ი. პონტოს ბირთვი, აგრეთვე კესარია (მაზაკა)-ტიანას სექტორი – ძირითადი კაპადოკია.[42] ჯერ კიდევ ნ. ადონცმა გაამახვილა ყურადღება იუსტინიანეს ხანის სომხურ-პონტოურ-კაპადოკიური სინთეზის საფუძველზე გარკვეული მცდარი ისტორიული ტენდენციების წარმოშობის შესაძლებლობაზე, მიიჩნია რა ასეთად ხორენაცთან დაცული გადაცემა (I. 14) პონტო-კაპადოკიის უძველესი დროიდან სომხურ სამფლობელოებად არსებობის შესახებ.[43] ასეთ შემთხვევაში დამახინჯებანი უფრო სუბიექტურია, შესაძლოა განმეორებადიც და არა

[41] Г. Халатянц. Армянские Аршакиды в «Истории Армении» Моисея Хоренского.

[42] Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана, გვ. 68-74, 89, 172, 200-207; G. Ostrogorsky. History of the Byzantine State, გვ. 86-88, 119, 184. იხ. დამატ. რუკა №1.

[43] Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана, გვ. 202-203.

მთელი ეთნიკური ჯგუფის შემოქმედების ნაყოფი. იუსტინიანეს ნომინალურ-ადმინისტრაციული სისტემა სწორედ ფსევდო მოვსეს უქმნიდა ცდუნებას ისტორიული პონტო და კაპადოკია არმენიისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიებად წარმოესახა. საკუთრივ მცირე არმენიის ობიექტური ფენომენი ამ ადგილას მიჩქმალულია (შდრ.: I. 29). I, II, III არმენიები კი აღმოსავლეთიდან წარმართული ექსპანსია-მიგრაციის და თანდათანობითი არმენიზაციის შედეგად არის მიჩნეული (ხორენაცი. I. 14). მაგრამ პონტოს სამეფო საკმაოდ აქტიური იყო იმისათვის, რომ კარგად ასახულიყო კლასიკურ მწერლობაში. საჭირო იყო ამ კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის „გაუცხოება“ საკუთარი საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან, და ყოველივე ამის დასაბუთება სხვადასხვა მონაცემზე დაყრდნობით. შედეგი ხორენაცის ფალსიფიკაციისა ასეთია: დარიოსის სატრაპ მითრიდატესგან მომდინარე დინასტია გუგარქში არის გადაყვანილი; მითრიდატე, არტაშესის და ტიგრანეს თანამედროვე, იბრძვის კაპადოკიასა და პონტოში ტიგრანეს უმაღლეს ხელისუფლებას დაქვემდებარებული, ვინაიდან ეს მხარეები სწორედ სომხეთის მეფეებისაგან აქვს სამმართველოდ მიღებული; ევპატორის საქმეები კი არტაშესს მიეწერება. ვთვლით, რომ ზემოთ განხილული ერთი კონკრეტული ასპექტი, მისი შემდგომი დაზუსტება დამატებით ლოგიკურ არგუმენტს იძლევა აღნიშნული თხზულების დათარიღებისათვის. ისტორიული პონტო, უპირველეს ყოვლისა, სინოპე-ამისო-ამასიის სამკუთხედია, რომლის მიმართ ტერმინ „არმენიის“ დიფუზიის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ხორენაცისეული ექსპერიმენტი. ამგვარად, „სომხეთის ისტორია“ იწერებოდა თემა არმენიაკონის არსებობის სინქრონულად, ისიც მის დანაწევრებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვთქვათ მაჟაჭზე, ხორენაცის პრეტენზია უსაფუძვლო იქნებოდა, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი ავტორი მანიპულირებს არმენიებით და არა არმენიაკონით, რაც უნდა მიუთითებდეს თხზულების „პუბლიკაციაზე“ გატარებული რეფორმაციიდან არცთუ ისე დიდი ხნის დაცილებით – აღნიშნული სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის გენეზისთან დაკავშირებული ინფორმაცია გაიაზრება როგორც შესაბამისი ობიექტური რეალობისა, აქ მისტიფიკაცია შეუძლებელია, ე.ი. არმენიაკონის არსებობის ფაქტი აუცილებელია, მასზე ფორმალური დაყრდნობა – შეუძლებელი. სიზუსტისათვის მოვიშველიოთ გეოგრაფიის მონაცემები. 1. აქ ჰერაკლეს რეორგანიზაცია არ არის გათვალისწინებული (ნაშრომი იწერება ათიან წლებში, თემების ფორმირების პერიოდში), 2. ისიც ნათელია, რომ ხორენაცის მიერ ჯერ ისტორია შეითხზა. ხომ

არ არსებობს რაიმე კონტრარგუმენტი ასეთი დათარიღების საწინააღმდეგოდ? თითქოსდა თუმანოვთან ჩამოყალიბებული III პუნქტი.[44] მაგრამ თვით ხსენებული ავტორი სხვაგან Comes Armeniae-ს ინსტიტუტის დაწესებას სწორედ IV საუკუნის მიწურულით ვარაუდობს.[45] „ნახარართა წინამძღვრობის" (ხორენაცი. III. 46) ჩამოყალიბებისთვის კი სატრაპიების მასშტაბით ყველა პირობა სწორედ IV-V საუკუნეებში არსებობდა (?). ამრიგად, ვვარაუდობთ, რომ ხორენაცის თხზულება გასრულდა VII საუკუნის ათიან წლებში; ათიანი წლებივე მოხმარდა გეოგრაფიის შექმნას.

ხორენაცის „პონტოური" ქიმერის სხვა საფუძველია ევპატორს და ტიგრანეს შორის რეალური, წერილობითი წყაროებით დადასტურებული პოლიტიკური ალიანსი, სადაც ერთ-ერთ მათგანს ავტორი საკანონმდებლო რეგალიას ართმევს.

საყურადღებოა კიდევ ერთი მომენტი – ხორენაცის ყველაზე საინტერესო კონცეფციათაგანია, უფრო სწორედ, ეს იდეა მასთან სრული სახით არის ჩამოყალიბებული, თეზა არმენია-ირანის პოლიტიკური „უნიის", „ორი ტახტის" შესახებ ირანული პრიმატის პირობებში.[46] აღნიშნული პოლიტიკური კონიუნქტურა დროის ხანგრძლივ პერიოდს შეესაბამება. თეორიის საფუძვლები ასეთი სახით გვესახება: 1. არშაკიდები სომხეთშიც და ირანშიც, 2. დროის გარკვეულ ეტაპებზე პართიის პოლიტიკური გავლენა არმენიაზე, 3. I-II საუკუნეებში სომხეთის ტრადიციული პროპართული სიმპათიები და ორიენტაცია, 4. ზეპირგადაცემაში დაშვებული ანაქრონიზმები – არმენიის ტერიტორიაზე არშაკიდთა ზეობის დაძველების ტენდენციები. იდეის თავდაპირველი ფორმა ანონიმთან არის დაცული. ხორენაცი უფრო შორს მიდის. არშაკიდული დინასტიის შედარებით მოკრძალებული მისწრაფებანი აქემენიანთა საგარეო-პოლიტიკური ტენდენციებით შეცვალა (ამის ჩანასახები ანონიმთანაც არის. ხორენაცთან ხდება მისი აბსოლუტიზაცია), განიხილა რა ირანის პოლიტიკური ევოლუციის ეს ორი თვისებრივად განსხვავებული საფეხური ტიპოლოგიურად იდენტურად; ეს კი მთავარია. მასზე დაყრდნობით აქემენიანთა დასავლურ ექსპანსიონისტურ მისწრაფებათა რეალიზაცია სომხების კომპეტენციად არის გამოცხადებული. მაგ., არტაშესის სახის გენეზისში ნაწილობ-

[44] C. Toumanoff. Studies in the Christian Caucasian History, გვ. 330-334.

[45] The Cambridge Medieval History. IV. Part I, გვ. 598.

[46] История епископа Себеоса. Перевод с IV исправленного армянского издания Ст. Малхасянц. Ереван. 1939, გვ. 16-17; შეად. ხორენაცი. I. 8; I. 31; II. 11; II. 19. მათ დამოკიდებულებაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

რივ ხორენაცთან მონაწილეობს სამი პოლიტიკური მოღვაწე – კიროსი[47], ქსერქსე (საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ გეოგრაფიის „რემინისცენციაც" თავის საფუძველს ქსერქსეს ბერძნული ლაშქრობიდან იღებს, მაგრამ ფრაზა „ჯერ აზიაში არ შეეღწია, რომ დაიქუხა ატიკის სიმაგრეში" (II. 13) – ეს აშკარად ევპატორის ატრიბუტია, ხოლო გეოგრაფიის „მშვენიერი ციხესიმაგრის" კავშირი ამ უკანასკნელთან აშკარაა) და ევპატორი, რომლის კარდინალური საგარეო-პოლიტიკური კურსიც ასევე დასავლეთისკენ არის მიმართული.

აღნიშნულმა სამმა საფუძველმა მოხაზა ხორენაცის ფალსიფიკაციის სფერო და ძირითადი მიმართულება, ხოლო მისი რეალიზაციისათვის საჭირო კონკრეტული არგუმენტაცია ასეთი სახით წარმოგვიდგება: 1. ი. მარკვარტმა ყურადღება გაამახვილა ფს. კალისთენეს ალექსანდრეს რომანის სომხური ვერსიის ერთ ადგილზე[48] – დარიოს III სატრაპი წერილით ამცნობს მბრძანებელს კონკრეტულ ფაქტს: საუბარია დიდ მარცხზე, ვინმე **კოსარეს** დაჭრაზე და მის წასვლაზე **თავის კარავში**. ამ ამბებთან დაკავშირებით იხსენიება მიჰრდატიც.[49] ფრაზის, **„თავის კარავში"**, ფონეტიკური მსგავსება ქართლის სომხურ ნომინალთან, ხოლო კოსარეს გუგარქის ეპონიმ გუშართან[50] ავტორს საშუალებას აძლევს მიჰრდატი პოლიტიკურ ასპექტში ქართლის ეთნოკულტურულ სამყაროს დაუკავშიროს. ხორენაცთან გუშარს და მის შთამომავალს მეფე ვალარშაკმა გუგარქის საპიტიახშოს ნაწილები უბოძა საგამგებლოდ, სხვა მხარეებს კი დარეჰის სატრაპ მიჰრდატის მემკვიდრეები მიიღებენ (ხორენაცი. II. 8). მათი წინაპარი ფს. კალისთენეს მიჰრდატის და კიუსის მმართველის შერწყმის შედეგად არის მიღებული. ავტორისთვის ცნობილია და გათვალისწინებულია საკუთარი მიზნებისათვის ქართული საისტორიო ტრადიცია ალექსანდრეს მიერ ქვეყნისთვის მმართველის დანიშვნის შესახებ, მის თხზულებაში ეს პიროვნება დარეჰის ნახარარი მიჰრდატია. რატომ განაკუთვნებს მის ჩამომავლებს ხორენაცი მაინცდამაინც გუგარქს?! სწორედ იმიტომ, რომ პოლიტიკურად და სოციალურად ქართლთან დაკავშირებული და, ამასთან, სომხურ პონტო-კაპადოკიაში მოქმედი მითრიდატიდები შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ არმენიის მეფისადმი დაქვემდებარებული ქართული ტერიტორიების ნახარარები, ე.ი. გუგარქის ბდეშხები ყოფილიყვნენ.

[47] იხ. Г. Халатянц. Армянские Аршакиды в «Истории Армении» Моисея Хоренского, გვ. 46.
[48] J. Markwart. Die Genealogie der Bagratiden. Caucasica. Fasc. 6, 2 Teil. Leipzig. 1930, გვ. 74-75.
[49] The Romance of Alexander the Great by Pseudo-Callisthenes. Translated from the Armenian Version with an Introduction by A. M. Wolohojian. N. York. 1969, გვ. 91 (თავი 168).
[50] მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია, გვ. 263, შენ. 43; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ნაწ. I. თბ. 1977, გვ. 147.

2. ამ კუთხით საინტერესოა კიდევ ერთი მომენტი. იოსებ ფლავიუსთან ფიგურირებს ტიგრანეს თანამედროვე მითრიდატე, რომელსაც ლუკულუსი მისდევს და ისიც **იბერებთან**[51] უკუიქცევა.[52]

ზემოთ ყურადღება გამახვილდა ხორენაცის ერთი კონკრეტული ფალსიფიკაციის[53] მხოლოდ ძირითად ასპექტებზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულია ასევე თუნდაც მცირე არმენიის პონტოს სამეფოს შემადგენლობაში ყოფნის ფაქტი ძვ. წ. II-I საუკუნეებში, კაპადოკიის ხშირი ოკუპაცია ევპატორის მიერ, არიარატიდების შესახებ კლასიკური მწერლობის სქემატური ინფორმაცია, ევსევისთან მითრიდატეს (მითრიდატე II) მოხსენიების შემთხვევა კაპადოკიასთან მიმართებაში და სხვ. აგრეთვე საინტერესოა, რომ სებეოსის თხზულებასთან ერთად მოღწეულ „ადრეულ ისტორიასაც“[54] მსგავსი ტენდენციები ახასიათებს.[55] ხაზი უნდა გაესვას ზოგადი სტიმულების კატეგორიასაც – ფსევდო მოვსესის დროისთვის სომხეთის უძველესი ისტორიის შესახებ ცოდნა ან ზეპირგადაცემების, ან კიდევ მათ საფუძველზე შექმნილი ასოკრიფული „ადრეული ისტორიის“ დონეზე არსებობდა, რაც ავტორს იმპროვიზა-

[51] შდრ.: მაგ. Plut. Lucull. 19; App. Mithr. 82. უკვე a priori შესაძლოა დავუშვათ, რომ მითრიდატე გაიქცა ტიგრანესადმი დაქვემდებარებულ იბერებთან. ტალაერას ლოკალიზაცია კი პარიადრეს განშტოებაზე საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ ევპატორის გადასვლა სომხურ სპერში. ტალავერასთან დაკავშირებით იხ. Th. Reinach. L'histoire par les monnaies. Paris. 1902, გვ. 140-142.

[52] Flav. Ios. Ant. Jud. XIII. 421; Josephus. Works. V. VII. Jewish Antiquities – books XII-XIV, გვ. 438-441. ზოგ სპეციალისტს არ შეყავს „არქეოლოგია“ ხორენაცის წყაროთა წრეში. იხ. Moses Khorenats'i. ტომპსონის თარგმანი, გვ. 25-28. მაგრამ Ant. Jud. XI. 184-ის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა არტაშესის და კიროსის ხორენაცისეული სინთეზი. იხ. Г. Халатянц. Армянские Аршакиды в «Истории Армении» Моисея Хоренского, გვ. 46; Josephus. With an English Translation by R. Marcus. V. VI. Jewish Antiquities. Books IX-XI. London. Cambridge, Massachusetts, Harvard University Press. MCMLXVI, გვ. 402 შენ. 2, გვ. 403 შენ. C. მეტად საინტერესოა აგრეთვე Ant. Jud. XI. 11 (გვ. 318-319) კიროსის განძთამცველის, **მითრიდატეს** შესახებ.

[53] რაც შეეხება საკუთრივ პონტოს, სომხები მას თურმე არამის დროს იმორჩილებენ (I. 14). ვალარშაკი ხელმეორედ ლაშქრობს აქ (II. 4). სამხედრო ძალის გამოყენება უხდება არშაკს (II. 9) და არტაშესს. მიჰრდატი კაპადოკია-პონტოს სომეხთა სახელით იცავს. მაუაქს (მაზაკა) არმენია რომაელებს დაუთმობს (II. 18).

[54] იხ. Г. Халатянц. Армянские Аршакиды в «Истории Армении» Моисея Хоренского, შესავ. VII; История епископа Себеоса. Перевод с IV исправленного армянского издания Ст. Малхасянц, გვ. 132-135, შენ. 3, გვ. 141-142, შენ. 2; Moses Khorenats'i. ტომპსონის თარგმანი, გვ. 52-55. ვიზიარებთ ნ. ადონცის და გ. ხალატიანცის მოსაზრებას, მაგრამ ანონიმის მიერ შესრულებული რედაქციის არაუადრეს VII საუკუნით დათარიღების ვერავითარ აუცილებლობას ვერ ვხედავთ.

[55] История епископа Себеоса. Перевод с IV исправленного армянского издания Ст. Малхасянц, გვ. 16-17. კაპადოკიასთან მიმართებაში, თუნდაც ეს მომენტი კიდევ ერთი არგუმენტთაგანია, რომლის საფუძველზეც ვერავითარ შემთხვევაში I და II თავებს ხორენაცს ვერ მივაკუთვნებთ.

ციის საშუალებას აძლევდა. ვინაიდან მცირე და დიდი არმენიების სოციალურ-პოლიტიკური ევოლუცია დამოუკიდებელი პროცესი იყო, აღმოსავლეთ სომხების ისტორიული მეხსიერება პირველი გაერთიანების პოლიტიკური ისტორიის პერიპეტიებს მხოლოდ და მხოლოდ მინიმალური მოცულობით შეიცავდა. აქაც მსჯელობის ბევრი თავისუფლების პერსპექტივები არსებობდა.

ამგვარად, ინფორმაცია ალექსანდრეს მიერ ივერიელთა გამგებლად დარეჰის ნახარარ მიჰრდატის დანიშვნის შესახებ თვით ფს. მოვსეს ხორენაცის მიერ არის შეთხზული გარკვეული მოსაზრებების გამო და არ მომდინარეობს ზეპირგადაცემებიდან. პონტოს სამეფოს აქტიურობა რეგიონში ასე ადრეული პერიოდისთვის ლოგიკურად გამორიცხულია და არც რაიმე კონკრეტული არგუმენტი არსებობს ამასთან დაკავშირებით. მაშ, რა უნდა ვიგულისხმოთ „საბერძნეთის“ ქვეშ, რომელიც ასურასტანს უპირისპირდება ქართლის საკითხში; რომელი სამეფო გზავნის თავის სამხედრო ძალებს ეშერას დასახმარებლად? ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ზოგადი მოსაზრების გამოთქმა.

აზო-ფარნავაზის კონფრონტაციის მიახლოებითი თარიღი ალექსანდრეს ზეობასთან მისი ქრონოლოგიური სიახლოვით, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, „ასურასტანის მეფე ანტიოქოსის“ „საბერძნეთთან“ სინქრონული კონფლიქტის ფაქტით დგინდება. აღნიშნული მონაცემები აშკარად დიადოხების ხანაზე მიუთითებს. ხოლო თვით „ანტიოქოსის“ დაკავშირება ასურასტანთან და მისდამი მორჩილი სომეხი ერისთავების არსებობა იფსოსთან ბრძოლის შემდგომი პერიოდით აკონკრეტებს ჩვენთვის საინტერესო საკითხს.[56] გამომდინარე საერთო პოლიტიკური კონიუნქტურიდან, ერთადერთი, ვისაც ამ დროისათვის შესაძლებელია ჰქონოდა პრეტენზია ჰეგემონიაზე მთელი შავიზღვისპირეთის მასშტაბით, თრაკიის მეფე ლისიმაქე იყო (და ის აღნიშნული იდეის მატარებელი პირველი მონარქია, მის პოლიტიკურ მემკვიდრეებად ამ ასპექტში ფარნაკე I და მითრიდატე VI წარმოგვიდგებიან). თრაკიის პოლიტიკური ევოლუცია სპეციფიური სოციალურ-ეკონომიკური და ეთნოკულტურული სიტუაციის გამო ინტეგრაციის და სოციალური კონტრაქტების პროცესის აბსოლუტიზაციას გამორიცხავდა. აღნიშნულ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონში ლისიმაქეს მიერ მიღწეული წარმატებებიც კი გარეგნული, დროებითი და არამყარი იყო. ასეთი არასტაბილური ბაზისის პირობებში უფ-

[56] И. Г. Дройзен. История эллинизма. т. II. История диодохов. Москва. 1893, გვ. 311-312; C. Toumanoff. Studies in the Christian Caucasian History, გვ. 73; История армянского народа. Ч. I, გვ. 32.

რო დიდი პერსპექტივების დასაბუთება აბსურდი იქნებოდა. ლისიმაქეს პოლიტიკური აქტივობაც ძირითადად საკუთარი სამეფოთი იყო შემოსაზღვრული. ძალების დაზოგვით შექმნილმა აკუმულაციამ შესაძლებლობა მისცა მას, ესარგებლა ხელსაყრელი პოლიტიკური სიტუაციით (ძვ. წ. 302/301 წწ.) და აზიაში განემტკიცებინა საკუთარი პოზიციები. მისი გავლენის სფეროში ამ დროს ჰერაკლეაც ექცევა, რაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისთვის მეტად ნიშანდობლივი მომენტი უნდა ყოფილიყო. რენტაბელური სოციალური პოლიტიკის წარმოებისთვის აზიაში, კონკრეტულად, პროპონტიდა ბერძნული ქალაქებით, ჰელესპონტის ფრიგია, ეგეოსის ზღვის სანაპიროს პოლისები, ბითვინია, ლიდია, დიდი ფრიგიის ნაწილი, პისიდია, კიდევ უფრო არახელსაყრელი პირობები არსებობდა. ფაქტობრივად, ლისიმაქეს სამეფო, მიუხედავად ექსტერიერული ბრწყინვალებისა, არსებობის ყოველგვარ ეკონომიკურ იდეას მოკლებული კონგლომერატი იყო, თუმცა ძლიერი ფინანსურად, რიგი ობიექტური და სუბიექტური მომენტებით განპირობებული, რომლის საფუძველზეც მძლავრი პროფესიული არმიები იქმნებოდა, მეფის რეალური საყრდენი და, ამავე დროს, სოციალური კონტრაქტის სუსტად განვითარების პირობებში, ხშირად არასანდოც. ერთი სიტყვით, თრაკიის მეფე, ერთდროულად ძლიერიც და სუსტიც, 301 წლის შემდგომ პირველი კატეგორიის დიადოხად იქცა – რაციონალური დიპლომატიური კურსის პირობებში, რაც გამორიცხავდა პოლიტიკურ იზოლაციას, მისი სტრატეგიული პოტენციალი დიდი იყო. ეს განსაკუთრებით შეეხება ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისს. 291 წლისათვის კი ლისიმაქე განადგურებული, ძლიერი ოპოზიციების წინაშე მდგარი მონარქია. ჰერაკლეაც ამ დროს წყვეტს მასთან ურთიერთობას. მაგრამ ყოველივე ეს დროებითია. ძვ. წ. 288 წლისათვის ბრწყინვალედ სარგებლობს დემეტრიოს პოლიორკეტის რიგი სერიოზული შეცდომებით, ეწევა რა წარმატებულ ინტრიგებს პიროსის წინააღმდეგ, ის პირველად თავის ზეობაში მოიპოვებს რეალურ სუბსტრატს, მაკედონიის ტახტს. მასზე დაყრდნობით ლისიმაქე იწყებს სხვადასხვა ექსპანსიის განხორციელებას. ექსპანსიის ერთ-ერთი ობიექტთაგანი ჰერაკლეა გახდა. მისი სტატუსი ამ ეტაპზე განსაკუთრებულია. რიგი კარდინალური შინაგანი მიზეზებიდან გამომდინარე, მაკედონიის გარეთ მდებარე არც ერთი დომენის შენარჩუნების არავითარი რეალური შანსი არ არსებობდა. საკმარისი გახდა გარედან ჩარევა, რომ სელევკის მარში მცირე აზიაში ტრიუმფალურ სვლას დამსგავსებოდა. ლისიმაქე შეცდომას უშვებს – ის მაკედონიაში არ ჩაიკეტა.[57]

[57] И. Г. Дройзен. История эллинизма. Т. II. История диодохов.

ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ აუცილებლად ერთი და იგივე ძალა ერევა კოლხეთისა და იბერიის საქმეებში. სპეციალურ ლიტერატურაშიაც ასეთი პრინციპია დაცული, ოღონდ შეცდომით პონტოს სამეფოზეა არჩევანი შეჩერებული.[58]

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე პოლისური სისტემის კრიზისი კულმინაციას აღწევს ძვ. წ. IV-III საუკუნეებში და ბერძნული ქალაქებიც საგარეო დახმარების წყალობით ცდილობენ საკუთარი კვაზი-ავტონომიის შენარჩუნებას. როდის შეიძლება მომხდარიყო ყოველივე ეს? უსათუოდ ძვ. წ. 301 წლის შემდგომ. სწორედ აქედან მოყოლებული, ლისიმაქე განსაკუთრებით ძლიერია. კონკრეტული რეგიონის საქმეებში მისი უშუალო ჩარევის ზედა ქრონოლოგიური ზღვარიც თითქოს აშკარაა. ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, აზოს დამარცხების შემდგომ ფარნავაზმა ეგრისზეც განავრცო ჰეგემონია[59], ხოლო ქვეყანა „ეგრის წყალს ქვემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკ დრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა“. ე.ი მათი მხარდამჭერი მეტროპოლისი ჯერ კიდევ არ დაცემულა, ლისიმაქე ცოცხალია. სელევკ I აქტიური დაინტერესება ქართლის საქმეებით კი 80-იანი წლების მიწურულით უნდა დათარიღდეს, როდესაც მოხდა განზეთქილება ორ მეფეს შორის. ვთვლით, რომ ერთ-ერთი მიზეზი სწორედ აღნიშნული რეგიონის საკითხი იყო.

ალექსანდრეს ლაშქრობამ ინდოეთთან მეტად ხელსაყრელი ვაჭრობის პერსპექტივები მოხაზა. ინდოეთისკენ მიმავალი საქარავნო გზები ირანზე გადიოდა და სელევკის კონტროლს ექვემდებარებოდა, საზღვაო გზის ათვისება კი ეგვიპტეს მიანიჭებდა დიდ უპირატესობას. ამავე დროს სელევკი ცდილობდა უფრო იაფი სამდინარო მაგისტრალის ექსპლოატაციაში ჩაყენებას, მისი კომერციული შესაძლებლობების შესწავლას. გზა დაიწყებოდა ქალაქ ფაზისთან და შემდეგი ძირითადი ეტაპებისგან იქნებოდა შედგენილი: მდინარე ფაზისი (რიონ-ყვირილას მაგისტრალი), მტკვარი, კასპიის ზღვა, მდ. ოქსი (ამუ-დარია), მდ. ბაქტრა. ამასთან, „ტრანსკავკასიური“ მაგისტრალი ინდოეთისკენ ლისიმაქესთვის ერთადერთი საშუალება იყო პირდაპირი კავშირი დაემყარებინა ამ ქვეყანასთან და მიეღო ის დამატებითი შემოსავალი, რაც ასე აუცილებელი იყო მისი პერმანენტულად მერყეევი პოზიციების პირობებში. იყენებს რა

[58] განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული მხოლოდ ი. გაგოშიძეს, რომელსაც ჩვენ ძირითადად ვიზიარებთ. იხ. Ю. М. Гагошидзе. Самадлю. Тб. 1979, გე. 97-99. თუმცა მსჯელობას რიგი კომპონენტებისა აკლია.

[59] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 24.

ჰერაკლეას (პონტოელი მეფეები შემდგომ სინოპეს და ამისოს ეყრდნობიან) ეკონომიკურ მიმართებებს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებთან[60], რომლებსაც სკეპტუხები ავიწროებენ, ის საკუთარი პოლიტიკის არეალში მოაქცევს მათ. თრაკიის მეფე მხარს უჭერს პოლისების ბრძოლას კოლხების წინააღმდეგ და ამით ხელთ იგდებს გზის საწყის მონაკვეთს. სურს რა ჰეგემონიის განვრცობა უფრო ღრმად ჰინტერლანდში, ის თავის კლიენტად არიან-ქართლის გამგებელს აზოს შეარჩევს და მას შიდა ქართლის უფლად გახდის. თავდაპირველად სწორედ „საბერძნეთი“ – **ბალკანეთის და მცირე აზიის** მომცველი პოლიტიკური ერთეული აქტიურობს აქ.[61] ქართლის სამეფოს თანადროული დიფუზია ჰერეთის და ეგრისის მიმართულებით[62] სწორედ ლისიმაქეს მიერ იყო ინსპირირებული. ამასთან დაკავშირებით მეტად სიმპტომატურია ფარნავაზის ალიანსი კოლხეთის პოლიტიკურ ძალებთან. შემდგომი წინსვლა უკვე დიპლომატიური ხერხებით უნდა განხორციელებულიყო.

„ტრანსკავკასიური“ გზის ექსპლოატაციის რეგალია რიგი შავიზღვისპირა მონარქიების (მათ შორის პონტოს) საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხად იქცა.

[60] იხ. მაგ., ო. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ. 1966, გვ. 124-129; О. Д. Лордкипанидзе. Наследие древней Грузии. Тб. 1989, გვ. 280; მ. ინაძე. ეშერის ბერძნული წარწერის გაგებისათვის. „მნათობი“. 1988 №1, გვ. 149-150.

[61] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 20.

[62] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 19.

Tedo Dundua
Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ABOUT THE NOTE OF MOSES KHORENATS'I (CHRONOLOGY OF IBERO-PONTIC POLITICAL RELATIONS)

Summary

Very strange dynasty appears in "History of the Armenians" written by Pseudo-Moses Khorenats'i. 1) Alexander appoints Dareh's (Darius) nakharar (satrap) Mihrdat (Mithridates) to rule over the Iberians (Georgians); 2) king Valarshak alloted vitaxate of Gugark (Gogarene) to head of Mihrdat's descendants; 3) Mihrdat, one of the pitiaxes, a contemporary of Artashes and Tigranes (Armenian kings), fights Pompejus to defend Pontus in the name of the Armenians; 4) taking advantage of chaos in Rome, Artashes attacks land between two seas (Asia Minor) and also Greece, with a large number of the ships; at last, he is killed by his own soldiers; 5) son of Mihrdat, named after his father, is captured by the Romans.

In such a Mazdean soil the forms of Caucasian Christianity gradually grew. Although the arrival of the first Christians in Caucasus remains plunged into obscure origins, it is nevertheless possible to place in the third century the development of a visible Christian influence in the adoption of new modes of burial and in the appearance of new symbols in funeral material[96]. Before the last third of the fourth century, the Christianization of Iberia did not seem to have greatly interested its contemporaries[97]. In fact, archaeological evidences attest in the Iberian kingdom to a first hybrid monotheism, tinted with esotericism[98], of which it is not known whether it was more of Judaism than of Manichaean influences or even Hypsistarianism, due to Iberian connection with

[94] Adapted from P. Gignoux (ed.), *Les Quatre inscriptions du mage Kirdīr, textes et concordances*, Paris, 1991, p. 71, modified. Translation from the compilation of three inscriptions of Kirdīr: a first one on the Ka'ba of Zoroaster (KKZ, § 15) appearing below ŠKZ; the second one in Sar Mašhad (KSM, §23-24); and finally the copy of KSM to Naqš-i Rustam appearing to the right of the great relief of Šāpūr I's victory (KNRm, §46-48).

[95] M.-L. Chaumont, *op. cit.*, 1973, p. 684.

[96] W. Tabbernee (ed.), *Early Christianity in Contexts. An Exploration across Cultures and Continents*, Ada, 2014, p. 116-133 ; G. Kučuxiże / გ. კუჭუხიძე, "At the Sources of Conversion of Kartli to Christianity", / „ქართლის გაქრისტანების სათავეებთან", რელიგია, n. 3, 2010, p. 17-24.

[97] The first literary testimony about Christianization of Iberia appears only with Bacurius' story transcripted by Rufinus in his *Ecclesiastical History*, I, 10, edited at the beginning of the fifth century: N. Preud'homme, "Bacurius, the Man with Two Faces", იბერია-კოლხეთი / *Iberia-Colchis*, 13, 2017, p. 166-192. The expansion of the new religion in Caucasia during fourth century scarcely appeared among contemporary Christian literature, not very sensitive to the particular variations of the process in concerned territories: Eusebius of Caesarea, *Life of Constantine*, I, 8, 2-4.

[98] T. Mgaloblishvili Tamila and I. Gagoshidze, "The Jewish Diaspora and Early Christianity in Georgia", in T. Mgaloblishvili (ed.), *Ancient Christianity in the Caucasus*, Surrey, 1998, p. 39-58, here p. 53-58, about esoteric documents found in Georgia.

Cimmerian Bosphorus. The new Christians of the second and third centuries were recruited in all pagan groups and blurred the borders between communities, more than did mixed marriages between pagans of various ethnic groups. There was no single process of Christianization of Iberia, but a series of spin-offs that operated from several missionary clusters and adopted the peculiar characteristics of their receiving milieus.

During the 3rd and 4th centuries CE, these various religious tendencies bathed in an emulating atmosphere: with Mirian, the king of Iberia converted by the Christians, as with Haßzā, the "king of Waručān" approached by the Manichaeans. On the other hand, diverse forms of Zoroastrianism remained very influential in South Caucasia. These different beliefs shared common concerns for the protection of individuals, through the emphasis on health, the assurance of resurrection and a life in the hereafter; these objectives involved a struggle against the forces of evil, the emergence of new ascetic practices, and the quest for a community of worshippers enlarged by proselytism. This spirituality was particularly interested in the cosmopolitan milieus of urban centers in Kura Valley and, if it would have found followers among the aristocrats, it is unlikely that it could in that time, however, constitute a decisive factor influencing Caucasian policies. This religious revolution of Iberia was indeed without questioning the existing social and political structures, which remained shaped by the Iranian model. Aristocratic values appear through the royal legitimacy of *farr* or *xwarrah*, duels, hunting, nurturing by foster parents, marriages and vengeance have not disappeared with Christianization[99]. Religious change could not have happened without finding an appropriate way of adapting to the reception context.

Caucasus in Late Antiquity has been therefore the product of encounters between transcultural phenomena and a diversity of reception environments in emulation, due to a context worked by political and religious dynamics. The particularities and deep originality shaping Caucasian history have been paradoxically the fact of the very large openness of its societies to foreign influences, dynamic combined with profound capacities to adapt to these changes on the local level. During the third century, political changes in Iberia where a new pro-Iranian dynasty came to the throne recovered long-time mutations in religious sensibilities. During the following centuries, these needs of refounded legitimation expressed by royal powers found their expression in officialized forms of Christianism, bound to cement union between Caucasian sovereigns, princes and peoples, with their own national clergies, liturgies and writings.

[99] S. Rapp, *op. cit.*, 2014, p. 227-231, 238-240.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIV
თბილისი. 2018

ნინო სილაგაძე
ასოცირებული პროფესორი, თსუ

სასანური მოტივები ქართლის (იბერიის) სამეფოს არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ზოგიერთ ნიმუშში

ანტიკურ ხანასა და ადრეული შუა საუკუნეებში ქართულ სამყაროს მჭიდრო კონტაქტები აკავშირებდა ისლამამდელ ირანთან. ბუნებრივია, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების პარალელურად ვითარდებოდა აგრეთვე ქართულ-ირანული კულტურული ურთიერთობებიც, რაც ასახულია ჩვენი ქვეყნის როგორც წინარექრისტიანული, ასევე ქრისტიანობის გავრცელების პირველი საუკუნეების ეპოქების ხელოვნებაში. განსაკუთრებით ეს ეხება ახ. წ. III-VI სს-ის პერიოდს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია სასანიანთა იმპერიის პოლიტიკური გავლენის სფეროში შედიოდა. ეს გავლენები გარკვეულწილად დასავლეთ საქართველოშიც ვრცელდებოდა. ირანული კულტურის და ზოროასტრული რელიგიის ელემენტები სახეზეა ხელოვნების სხვადასხვა სფეროში – არქიტექტურაში, რელიეფის, ჭედურობის, გლიპტიკის, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებში. ამ ფენომენის სხვადასხვა სახის გამოვლინებების შესწავლა, კლასიფიკაცია და კვალიფიცირება უძველესი ქართული კულტურისა და ირანულ სამყაროსთან მისი მიმართების კვლევის მნიშვნელოვანი ასპექტია.

იბერიის სამეფოში (უმეტესად ქვემო და შიდა ქართლში, კახეთში, განსაკუთრებით – მცხეთაში, თბილისსა და ზოგიერთ სხვა ქალაქში), ზოროასტრული მოსახლეობა, ეთნიკური სპარსელების უმცირესობა არსებობდა. ამის გამო ჩვენი ქვეყნის რუკა ირანული წარმოშობის მრავალი ტოპონიმით გამდიდრდა (მაგ., ათეშგა[1], მოგვთაკარი, სოღდებილი, ხაშმი, არადეთი, ხორნაბუჯი და სხვ.). უძველესი დროიდან საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული იყო აგრეთვე სხვადასხვა ტიპის ცეცხლის ტაძრები: მაგ., სამადლოს

[1] გ. ყიფიანი. ძველი თბილისის ზოროასტრული ტაძარი. რედ. რ. რამიშვილი. თბ. 2009, გვ. 3.

ტერიტორიაზე აღმოჩენილი კოშკურა ტიპის ტაძარი (ძვ. წ. IV-III სს.)[2] (სურ. 1); ფანჩატურის ტიპის ე. წ. ჩოტრაკი; კვადრატული ფორმის, ადრეული ბაზილიკის მსგავსი ოთხსვეტიანი სამლოცველოები აიადანა და სხვ. ამ უკანასკნელი ტიპისაა ციხიაგორას (ძვ. წ. IV-III სს.)[3], დედოფლის მინდვრის (ძვ. წ. II-I სს.)[4] (სურ. 2) ტაძრების კომპლექსებში შემავალი ნაგებობები.

ირანული მოსახლეობის, ზოროასტრული თემების (რომელთა ეთნიკური შემადგენლობა ხშირად ჭრელი იყო – მათში, ირანელების გარდა, ქართველებიც იყვნენ ხოლმე გაერთიანებული), ცეცხლის ტაძრების, სალოცავების, საკურთხევლების არსებობა დაფიქსირებულია აგრეთვე ქართულ წერილობით წყაროებში („შუშანიკის წამება“, „ევსტათი მცხეთელის წამება“, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „ქართლის ცხოვრება“, „რაჟდენის ცხოვრება“ და სხვ.)[5].

ადრექრისტიანული ხანის მონუმენტურ ხუროთმოძღვრებაში შესაძლებელია გამოიყოს ძეგლთა განსაკუთრებული ჯგუფი, რომლების კომპოზიციაში იგრძნობა ირანული ზოროასტრული ტაძრების არქიტექტურის გავლენა[6]. ასეთი ძეგლები რამდენიმე კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

• ეკლესიები, რომლებიც ცეცხლის ტაძრის რეკონსტრუქციის შედეგად წარმოიქმნა. ასეთი რეკონსტრუქციის კლასიკურ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს უფლისციხის ე. წ. კლდოვანი ბაზილიკა. გ. ყიფიანის ვარაუდით, ეს

---

[2] Ю. Гагошидзе. Самадло. Каталог. Тб. 1981, გვ. 52.

[3] ზ. მახარაძე, გ. ნარიმანიშვილი. ციხიაგორა აქემენიდურ ხანაში. „ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში“. №7. თბ. 2001, გვ. 47-63.

[4] Nino Silagadze. Iberia and Rome. the Excavations of the Palace at Dedoplis Gora and the Roman Influence in the Caucasian Kingdom of Iberia. Schriften des Zentrums für Archäologie und Kulturgeschichte des Schwarzmeerraumes. #13. Herausgegeben von Fr. Bertemes und A. Furtwängler. Berlin. 2008, გვ. 31, 41.

[5] „...და დაიპყრეს ქართლი სპარსთა... და ყოველსა შინა ეკლესიათა ქართლისაითა ცეცხლისმსახურთა სპარსთა აღადგინეს ცეცხლი“ (ქართლის ცხოვრება. ტ. I. რედ. ს. ყაუხჩიშვილი. თბ. 1955, გვ. 139). „ამან ჰერაკლემ ტფილისს და მცხეთას და უჯარმას წარავლინა ქადაგნი, რაჲთა ყოველგან ქრისტეანენი ქალაქთა შინა ეკლესიათა შინა შემოკრბენ და ყოველნი მოგუნი და ცეცხლისა მსახურნი ანუ მოინათლნენ, ანუ მოისრნენ“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ. შატბერდის კრებული. რედ. ე. გიუნაშვილი, ბ. გიგინეიშვილი. თბ. 1973, გვ. 326). ვახტანგ გორგასალმა და მისმა მეუღლემ რაჟდენის ნეშტი წრომიდან ნიქოზში გადაასვენეს და იქ ეკლესია ააგებინეს „საჭებელსა თანა ცეცხლისასა“ (ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 199).

[6] სამეკლესიანი ბაზილიკის გვერდითი ეკლესიების ფუნქციონალური დატვირთვის საკითხისათვის. „თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის სამეცნიერო შრომათა კრებული“. №2. თბ. 2001, გვ. 144-156; Nochmals zu den ältesten georgischen Basiliken. “Georgica”. 26. 2003, გვ. 170-176; წარმართული ტაძრებისა და უძველესი ქრისტიანული ბაზილიკების ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი. „ხელოვნებათმცოდნეობა“. №4. თბ. 2002, გვ. 89-96; ქართული „საფლავს ზედა“ ეკლესიები და მათი პარალელები ახლო აღმოსავლეთში. „ხელოვნებათმცოდნეობა/Study of Art“. თბ. 2003, გვ. 135-143 (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

ნაგებობა თავდაპირველად ოთხსვეტიანი კვადრატის ფორმის ცეცხლის ტაძარი იყო[7] (ი. გაგოშიძე მას მითრეუმად მიიჩნევს), რომელიც ქრისტიანულ ეკლესიად გადაკეთდა საკმაოდ მარტივი რეკონსტრუქციის შედეგად – მას აღმოსავლეთიდან აფსიდი მიუშენდა.

• მცირე ზომის აღმოსავლურქართული არქაული ეკლესიების ერთი ჯგუფი, რომლების ირანული ჩოტრაკის (კიოსკის ტიპის, ფანჩატურისებრი ოთხმხრივ გახსნილი ნაგებობა (სურ. 3)) მსგავსია. როგორც წესი, ესაა კრიპტაზე დაშენებული მარტირიუმი, რომელიც თავის თავში გარკვეულ მემორიალურ, საკრალური ადგილის აღმნიშველ ფუნქციასაც აერთიანებს და მცირე ზომის, კვადრატთან მიახლოებულ ფორმას წარმოადგენს. შენობა, უმეტეს შემთხვევაში, ერთი ან რამდენიმე მხრიდან ღიაა. ასეთია, მაგ., ჭერემის ეკლესია (IV-V სს.) (სურ. 4), ზედაზენი (VI ს.), უჯარმის ჯვარპატიოსანი. მათთან ახლოს დგას აგრეთვე მატანის ცხრაკარა – ე. წ. ცხრაკარა (V-VI სს.) (სურ. 5) და ნეკრესის მონასტრის ძველი ბაზილიკა (V ს.) (სურ. 6). ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ გ. ჩუბინაშვილმა „სათუო ბაზილიკა“ უწოდა მცირე ზომის, დიდი თაღოვანი შესასვლელების გამო გვერდითა ფიქტიურ ნაგებში, რომლებიც შენობას ცხაურა, ფანჩატურისმაგვარ იერს ანიჭებს[8].

ხსენებული ჯგუფის ძეგლები ყველა „საფლავს ზედა“ ეკლესიას, მარტირიუმს წარმოადგენს.[9]. ჩოთრაკის ტიპის ცეცხლის ტაძრებში სტრუქტურის გახსნილობა განპირობებულია მაზდეანური რელიგიური რიტუალებით და არ შეესატყვისება ქრისტიანული ეკლესიის ფუნქციას, მის ძირითად იდეას. სავარაუდოდ, ზოროასტრიზმიდან და ზოგადად წარმართობიდან მომდინარე მოტივები ადრეული შუა საუკუნეების არქიტექტურამ (უფრო ფართო კონტექსტში, ქრისტიანულმა კულტურამ) უმეტესად მემორიალურ ნაგებობებს, მარტირიუმებს, გარდაცვლილთა კულტს დაუკავშირა და შეინარჩუნა. ჩვენი

[7] გ. ყიფიანი. კოლხეთის და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები. თბ. 2000, გვ. 1-12.

[8] Г.Чубинашвили. Архитектура Кахетии. Тб. 1959, გვ. 44.

[9] ნეკრესის მონასტერი ჯერ კიდევ წარმართობისდროინდელ წმინდა ადგილზე აიგო. გ. ჩუბინაშვილი დამაჯერებლად საუბრობს კახეთში ასეთი ადგილების ტრადიციის სიცოცხლისუნარიანობაზე. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ლ. ჭილაშვილი ამ ადგილზე მითრა-მზის სალოცავის არსებობას ამტკიცებს (L. Chilaschvili. Eine Inschrift auf dem Rand eines Kwewri aus Nekresi. “Georgica”. #26. 2003, გვ. 5-12). ნეკრესის მონასტრის ტერიტორიაზე ნაპოვნი ქვევრის ნატეხზე წარწერა მითრასათვის მიძღვნა აღმოჩნდა. საერთოდ, ყოფილ წარმართულ სალოცავზე ეკლესიის აგების პრაქტიკა ფართოდ გამოიყენებოდა საქართველოში. ასეთია, მაგ., ზემო ნიქოზის ძველი ბაზილიკა, რომელიც ამჟამად მოგვიანო ხანის გუმბათიანი ტაძრის სტრუქტურაშია ჩართული.

ვარაუდით, სწორედ ამიტომაცაა, რომ ირანული არქიტექტურიდან მომდინარე ელემენტები უფრო მეტად ადრეულ მარტირიუმებში, „საფლავს ზედა“ ეკლესიებშია სახეზე და ნაკლებად თვალშისაცემია იმ ნაგებობებში, რომლებსაც თავიდანვე მორწმუნეთა შესაკრებლის, ეკლესიის (eclessia) ფუნქცია ჰქონდა.

მსგავს მოვლენას ვხედავთ ასევე ქრისტიანულ დასავლეთში: მაგალითად, გვიანრომაული მავზოლეუმების ცენტრული ფორმა მათთან ფუნქციურად და იდეურად ახლოს მდგომ პალეოქრისტიანულ მარტირიუმებში განმეორდა, მაშინ როდესაც საკუთრივ eclessia უმეტესად ბაზილიკას წარმოადგენს[10].

ქრისტიანული და ზოროასტრული სიმბოლიკის შერწყმის მაგალითებს ხშირად ვხედავთ ასევე ქართული ადრექრისტიანული სახვითი ხელოვნების ნიმუშებში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ქართული და ირანული კულტურის ელემენტების შერწყმას ბევრად უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს: ქართულმა წარმართობამ უძველესი დროიდან შეითვისა ირანული (არიული) გავლენები[11]. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში შემოსულმა არიულმა სუპერსტრატამ კვალი დაამჩნია ქართულ წარმართულ პანთეონსაც[12]. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გაიმი მითრას კულტის ერთ-ერთი სახეობის გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს, აინინა – ანაჰიტისა და ა. შ. მოგვიანებით აღმოსავლეთ საქართველოში ირანული მოსახლეობა გაჩნდა, რომელმაც აჰურა-მაზდას თაყვანისცემა გაავრცელა იბერიაში (არმაზის კერპი, რომლის სახელსაც უკავშირდება იბერიის სამეფოს დედაქალაქის ციტადელის სახელწოდებაც, თუმცა ზოგი მეცნიერი არ იზიარებს ამ მოსაზრებას[13]). ამრიგად, ირანული წარმოშობის ღვთაებებმა შეადგინეს ქართული წარმართული პანთეონის მთავარი ტრიადა.

განსხვავებულ სურათს ვხედავთ ანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოში. ბერძნული წარმოშობის კულტების გარდა (აპოლონი, არტემიდე, არეტუზა, ჰელიოსი, ნიკე და სხვ.), რომელთა თაყვანისცემის ტრადიცია კოლ-

[10] საგულისხმოა, რომ ამ ტრადიციის გავლენით რომანულენოვან ქვეყნებში ტერმინი *basilica* ხშირად ზოგადად ქრისტიანული ეკლესიის გაგებით იხმარება, მიუხედავად ამ ეკლესიის არქიტექტურული ტიპისა.

[11] ს. მაკალათია. ღვთაება მითრას კულტი საქართველოში. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“. ტ. 3. თბ. 1927, გვ. 183; მ. ჯუთათელაძე. მითრას კულტი საქართველოში. თბ. 2006, გვ. 13-39.

[12] თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1994, გვ. 238-241.

[13] მ. თარხნიშვილი. ქართული ეკლესიის ისტორია. ტ. I. თბ. 1994, გვ. 260; მ. გველესიანი. ღმერთ არმაზის იკონოგრაფიისათვის. „წინაქრისტიანული ხანის ქართული ხელოვნება“. II სამეცნიერო სესიის მასალები. თბ. 2011, გვ. 54.

ზეთში ბერძენ კოლონისტებთან ერთად შემოვიდა და რომლებიც ადგილობრივმა მოსახლეობამ საკუთარ ღვთაებებთან გააიგივა, გავრცელებული იყო აგრეთვე ე. წ. ტრაპეზუნტელი მითრას კულტი. ეს უკანასკნელი ქალაქ ტრაპეზუნტის ოფიციალურ ღვთაებას წარმოადგენდა I-III სს-ში[14] – ქალაქისა, რომელშიც ორი ეთნოსი, კოლხური და ბერძნული, სახლობდა.

ირანული წარმოშობის მზის, სინათლისა და სამართლიანობის ღვთაება მითრა ძალზე პოპულარული იყო რომის იმპერიაში II-III სს-ში, განსაკუთრებით – სამხედრო წოდებაში, გვიანრომაულ ხანაში კი იმპერიის უმნიშვნელოვანეს ოფიციალურ კულტადაც ითვლებოდა. განსაკუთრებით გავრცელებული იყო ეს კულტი პროვინციებში.

მითრა-მხედრის გამოსახულება შემორჩენილია ტრაპეზუნტის საქალაქო მონეტებზე (II-III სს.)[15] – ცხენოსანი ჭაბუკი მეომარი, რომლის ცხენის ფლოქვებთან გველის გამოსახულებაა მოცემული. თვალშისაცემია მისი მსგავსება წმ. გიორგის იკონოგრაფიასთან.

მსგავსი სიტუაციაა I-IV სს-ში რომის ომპერიის სხვა პროვინციებში: მაგალითად, გერმანიაში და სირიაში მითრა აგრეთვე ცხენოსანი ჭაბუკის სახით წარმოგვიდგება (რელიეფი ნოიენჰაიმიდან (III-IV სს.), დურა ეუროპუსის მოხატულობა მითრას ნადირობის სცენით (II-III სს.) (სურ. 7)), ხოლო თრაკიაში გავრცელებული იყო მითრას მსგავსი კულტი ე. წ. თრაკიელი მხედრის სახით, რომელიც მოგვიანებით, მრავალი ევროპელი მეცნიერის აზრით, წმ. გიორგის და სხვა წმინდა მხედრების იკონოგრაფიის პროტოტიპი გახდა[16].

საინტერესოა, რომ იმპერიის მეტროპოლისში მითრას გამოსახულებები მხედრის სახით თითქმის არ გვხვდება. ეს ღვთაება უმეტესად ქვეითად გამოისახება. განსაკუთრებით პოპულარულია მითრას ბრძოლის სცენა ხართან (სურ. 8), სადაც ეს უკანასკნელი ბუნების ბნელ ძალებს, ქაოსს განასახიერებს, ასევე, ე. წ. ბანკეტის სცენები[17] (სურ. 9) და მითრას დაბადება კლდი-

[14] T. Dundua. Christianity and Mithraism. The Georgian Story. Tb. 1999, გვ. 3.

[15] ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი, http://geonumismatics.tsu.ge/ge/catalogue/types/?type=26.

[16] G. Kazarow. The Thracian Rider and St. George. "Antiquity". #12. 1938, გვ. 290-296.
К. Мачабели. Позднеантичная торевтика Грузии. Тбилиси, 1976, с. 106-120.

[17] M. J. Vermasern. Mithras: the Secret God. London. 1983, გვ. 29; D. Ulansey. Origins of Mithraic Misteries. Cosmology and Salvation in the Ancient World. Oxford. 1991, გვ. 8, 94; M. J. Vermaseren. Corpus Inscriptionum et Monumentorum Religionis Mithriacae. v. I. Haague. 1956, გვ. 29; L. M Hopfe. Archaelogical Indications of the Origins of Roman Mithraism. Uncovering Ancient Stones: Essey in Memory of H. Neil Richardson. ed. L. M. Hopfe. Philadelphia.1994. გვ. 147-158.

დან (Petra Genetrix[18]) (სურ. 10). აღმოსავლეთში (ირანში, ბაქტრიაში) გვხვდება ასევე მითრა-მეეტლის გამოსახულებები[19].

ამრიგად, ცხადია ირანული კულტურის გავლენა ქართულ წარმართულ პანთეონზე. თუმცა ეს გავლენები რემინისცენციების სახით გვხვდება აგრეთვე ქრისტიანულ ეპოქაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ადრექრისტიანული ქართული რელიეფის, ტორევტიკისა და გლიპტიკის ცალკეული ნიმუშები[20].

ჩვენს მიერ განხილული რელიეფური ნიმუშები უმეტესად V-VI სს-ს განეკუთვნება და ეკლესიების კედლებსა თუ მცირე არქიტექტურულ ფორმებს – სტელებსა და კანკელებს – ამკობს. მათზე ხშირადაა მოცემული სასანური ირანის კულტურიდან შემოჭრილი მოტივები და სიმბოლური გამოსახულებები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამ მხრივ რელიეფური სტელების, ქვაჯვარების შემკულობა. სტელას ფორმა თავისთავად გულისხმობს გარკვეულ რელიგიურ, მემორიალურ და აგრეთვე სოციალურ შინაარსსაც – საკრალური გამოსახულებების (ქრისტე, ღვთისმშობელი, ანგელოზები, სახარებისეული სცენები და სხვ.) გარდა, ქართულ ადრექრისტიანულ სტელებზე ხშირად ვხედავთ ასევე საერო პირებს. სავარაუდოა, რომ სტელები იმ ეპოქაში გარკვეულ სამართლებრივ დოკუმენტსაც წარმოადგენდა, რომლის ძალითაც დეკლარირებული იყო მაღალი მოხელის ძალაუფლება თუ ფეოდალის საკუთრების უფლება. რადგან შუა საუკუნეებში ასეთ საკუთრებას ძირითადად მიწა წარმოადგენდა, სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ რელიეფური სტელები ხშირად მამულის მიჯნის ნიშნის ფუნქციასაც ასრულებდა. ჩვენი აზრით, სწორედ ამ მიზეზით ვხვდებით ირანულ სიმბოლურ მოტივებს V-VII სს-ით, უმეტესად კი მაინც VI ს-ით დათარიღებულ ქვაჯვარებზე. ცნობილია, რომ ამ პერიოდიდან ძლიერდება ირანის ექსპანსია ამიერკავკასიაში. ეს ექსპანსია ძალიან საგრძნობია ქვემო ქართლში, შიდა ქართლში და კახეთის დაბლობ რეგიონებში, მაზდეანობის ინტენსიური პროპაგანდის შედეგია ამ ტერიტორიებზე ცეცხლთაყვანისცემელთა თემების არსებობა. მაზდეანობის გარდა,

[18] „...ისინი, ვინც მითრაიზმს მისდევენ, ამბობენ, რომ მითრა კლდიდან წარმოიშვა", – წერს იუსტინე მარტვილი თავის „დიალოგში ტრიფონთან" (იხ. St. Justin Martyr. Dialogue with Tripho, http://www.earlychristianwritings.com/text/justinmartyr-dialoguetrypho.html); M. J. Vermaseren. The Miraculous Birth of Mithras. "Studia Archaeologica". #1. ed. L. Gerevich, Brill. 2011, გვ. 83-109.

[19] M. Shenkar. Images of Daēnā and Mithra on Two Seals from the Indo-Iranian Borderlands. "Studia Iranica". #44. 2015, გვ. 97-117.

[20] Н. Чубинашвили. Хандиси. Тб. 1972, გვ. 70-75, 94-95.

ირანის შაჰები ქრისტიანობის სხვა, არადიოფიზიტურ მიმდინარეობებსაც უწევდნენ მფარველობას (მაგ., ნესტორიანელობას, მონოფიზიტობას და სხვ.). ირანის ხელისუფლების მფარველობით სარგებლობდნენ აგრეთვე მანიქეველებიც.

უკეთ რომ გავერკვეთ საკითხის არსში, მივმართოთ ქართლის პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთ მომენტს და ქართულ მატიანეებს: „ხოლო ბინქარან, ეპისკოპოსი ცეცხლის-მსახურთა, ასწავებდა ქართველთა სჯულსა თჳსსა, არამედ არავინ ერჩოდა წარჩინებულთაგანი, გარნა წურილი ერი მიიქცა მრავალი ცეცხლის-მსახურებასა. ამისთჳს მწუხარე იყო საგდუხტ დედოფალი... მაშინ მოიყვანა მღვდელი ჭეშმარიტი საბერძნეთით სახელად მიქაელ.. და ესე მიქაელ ეპისკოპოსი წინააღუდგა ბინქარან მაცდურსა ... იპყრა სარწმუნეობასა ზედა ყოველნი წარჩინებულნი ქართლისანი და ერიცა უმრავლესი, არამედ მცირენი ვინმე წურილი ერისაგანნი მიეცეს ცეცხლის-მსახურებასა“[21]. ჩვენთვის საინტერესოა ცნობა, რომ „წარჩინებულთაგანი“ არ ექცევია ირანის გავლენის ქვეშ: საფიქრებელია, რომ ჯუანშერის ეს მონაცემები სიმართლეს შეეფერება: ვარსქენ პიტიახშის რენეგატობა მართლაც იშვიათ მოვლენადაა შეფასებული, რომლიც მალევე აღიკვეთა სამეფო ხელისუფლების მიერ. თუმცა, სავარაუდოდ, VI ს-ში სიტუაცია შეიცვალა. 523 წელს ქართლში მეფობა გაუქმდა და ისევ ჯუანაშერთან ვკითხულობთ: „მაშინ მეფემან სპარსთა ურმიზდ მისცა ძესა თჳსსა რანი და მოვაკანი, რომელსაც ერქუა ქასრე ამბარავეზი. მოვიდა და დაჯდა ბარდავს, და უწყო ზრახვა ერისთავთა ქართლისათა: აღუთქუა კეთილი დიდი, და დაუწერა საერისთოთა მათთა მამულობა შვილითი-შვილამდე.. განდგენეს ერისთავნი და თჳს-თჳსად ხარკსა მისცემდეს ქასრე ამბარავეზსა.“[22] ამრიგად, VI ს-ის პერიოდი ემთხვევა ქართლში ირანის ჰეგემონიის ხანას – ამ წლებში ქართველი დიდებულები შაჰინშაჰისაგან და მისი მარზპანისგან იღებენ თანამდებობს, საერისთავოებს და სპარსელებივე უმტკიცებენ მათ უფლებას მამულებზე. ყოველივე ეს ემთხვევა სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებსაც: მიწების ინტენსიურ გადაქცევას მემკვიდრეობით საკუთრებად. მოგვიანებით (VI ს-ის მიწურულს), როდესაც სასანიანთა იმპერია აჯანყებებმა მოიცვა და „უცალო იქმნეს სპარსნი“, ქართველმა დიდებულებმა კეისართან გაგზავნეს მოციქულები, რათა „უჩინოს მეფე ნათესავთაგან ქართლისათა“. პირობა იგივე იყო: „იყვნენ ერისთავნი იგი თჳსსა საერისთოთა შეუცვალებლად“.[23]

[21] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 145.
[22] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 217.
[23] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 217.

VI საუკუნის რელიეფურ სტელებზე ხშირად ვხედავთ დიდებულებს სპარსულ სამოსში, რომლებსაც ხელში დამახასიათებელი ფორმის ყვავილი (ლოტოსი, ტიტა, შროშანი?) უჭირავთ: მაგ., ფილა-სტელა სამწევრისიდან (V-VI სს-ის მიჯნა), განთიადის, ბაშკიჩეთის (სურ. 11) და ათანასეს სტელები, დმანისის სიონის საკურთხევლიდან ამოღებული ქვაჯვარი (VI ს.)[24] და სხვ. ყველა შემთხვევაში რელიეფზე გამოსახულ მამაკაცს იდაყვში მოხრილ ხელში ზეაღმართული ყვავილი უჭირავს[25].

ქართულ სინამდვილეში ასეთი ყვავილის გამოსახულების ჩვენთვის ცნობილი ნიმუშებიდან უადრესია ფაფაკ პიტიახშის თასი არმაზისხევიდან (III ს-ის ბოლო)[26] (სურ. 12) და სარგვეშის თასი ბაჰრამ II-ის, მისი მეუღლისა და ტახტის მემკვიდრის გამოსახულებებით (283-293)[27]. ერთ შემთხვევაში ყვავილი პიტიახშს უჭირავს, მეორეში – დედოფალს.

რაც შეეხება ირანის ხელოვნებას, მსგავსი ყვავილის გამოსახულება საყოველთაოდაა გავრცელებული (მაგ., ბაჰრამ II-ის ინვესტიტურის ამსახველი რელიეფი ბაჰრამ-ე დილაკიდან, სადაც მაგუპატი კარტირი ყვავილს დედოფალ შაბურ დუხტაკს გადასცემს[28] (სურ. 13)).

როგორც ნ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, ყვავილის სიმბოლურ გამოსახულებას, საკრალური მნიშვნელობის გარდა, სოციალური დატვირთვაც შეიძლება ჰქონდეს: ის შეიძლება ინვესტიტურის, გარკვეული უფლების დამადასტურებელი ნიშანი იყოს[29]. საფიქრებელია, რომ ქართულ რელიეფურ სტელებზე გამოსახულ ყვავილს დაახლოებით იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც სასანურ კულტურაში: ეს ერთგვარი ინსიგნიაა, რომელსაც ქართველი დიდებულები ირანის ხელისუფლებისაგან იღებდნენ.

ბაშკიჩეთის, ათანასეს, განთიადის და სხვ. სტელებზე გამოსახულ დიდებულებს ირანული საზეიმო გრძელი, ცრუსახელოიანი სამოსი აცვიათ. მსგავს კოსტიუმს ვხედავთ იმ ეპოქის თითქმის ყველა ნიმუშზე: მცხეთის

---

[24] კ. მაჩაბელი. ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები. თბ. 2008, გვ. 20, ტაბ. 1, 36.

[25] ასეთი ყვავილები ეკლესიათა დეკორშიც გვხვდება: მაგ., ქვემო ბოლნისის ეკლესიის გათხრებისას აღმოჩენილი სვეტის ბაზა (VI ს.), წილკნის ეკლესიის სარკმლის თავსართი (V ს-ის II ნახ.).

[26] გ. წერეთელი. არმაზის ბილინგვა. „ენიმკის მოამბე". XIII. თბ. 1941, გვ. 9, 55-56; К. Мачабели. Позднеантичная торевтика Грузии. გვ. 106-116.

[27] К. Мачабели. Позднеантичная торевтика Грузии, გვ. 116-121; Н. Чубинашвили. Хандиси, გვ. 95.

[28] A. Mahmoudabadi. A Review of Sassanid Images and Insriptions. http://www.iranchamber.com/history/sassanids/sassanid_images_inscriptions3.php.2010.

[29] Н. Чубинашвили. Хандиси, გვ. 95.

ჯვრის რელიეფებზე (სურ. 14), ბრდაძორის სტელაზე და სხვ. როგორც ჩანს, სწორედ ესაა ჯუანშერის მიერ ნახსენები „სამოსელი ხუასროვანი“, რომელიც ირანული სამოსის მნიშვნელობით იხმარება.

საინტერესოა და განსხვავებულია სამწევრისი ფილა-სტელა (სურ. 15), სადაც მამაკაცი ყვავილით ხელში მედალიონში ჩასმული, ბუნზე აღმართული ტოლმკლავა ჯვრის გვერდითაა წარმოდგენილი. ნ. ჩუბინაშვილი ამ რელიეფს „საინვესტიტუროს“ უწოდებს[30]. უჩვეულოა პერსონაჟის ჩაცმულობა, რაც, ბუნებრივია, მის ვინაობასთანაა დაკავშირებული. ეს ჩაცმულობა არ ჰგავს ამ ეპოქაში გავრცელებულ ქართულ-ირანულ კოსტიუმს. მამაკაცს თავზე ძვირფასი ქვებით შემკული დიადემა ადგას, რომლის მსგავსსაც ბიზანტიაში უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები ატარებდნენ. მისი სამოსი ასევე უფრო ბიზანტიურს მოგვაგონებს: მოსასხამი, რომელიც ცალ მხარზეა შეკრული ფიბულით და კიდეზე მორთულია ვიწრო ორნამენტული ზოლით. მამაკაცი უწვეროა და ორი გრძელი ნაწნავი აქვს[31]. როგორც ნ. კონდაკოვი აღნიშნავს, მოდა გრძელ თმაზე და ნაწნავებზე ბიზანტიაში V ს-ში ვრცელდება.[32]

ამრიგად, სამწევრისი სტელაზე გამოსახული მამაკაცის ჩაცმულობას და ვარცხნილობას თითქმის არ აქვს ანალოგი V-VII სს-ის ქართულ სახვით ხელოვნებაში. ის არც ირანულ ჩაცმულობას ჰგავს და არც ხანდისის სტელაზე (VI ს.) მოცემული მამაკაცის (ერთი მოსაზრების თანახმად – ქტიტორის[33], მეორის მიხედვით – წმ. კვირიკეს[34]) სამოსს. ეს სამოსი მოკლე ჩოხისა და ფართო შარვლისაგან შედგება, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახელობის ეთნოგრაფიულ კოსტიუმს მოგვაგონებს. გარდა ამისა, ხანდისის სტელაზე გამოსახულ მამაკაცს მოკლე და ხშირი, ხუჭუჭი, ქუდისებრი ვარცხნილობა აქვს.

თუ ჩვენი მოსაზრება მართებულია და სამწევრისის სტელაზე გამოსახულ დიდებულს მართლაც ბიზანტიური სამოსი აცვია და სამეფო დიადემა

---

[30] Н. Чубинашвили. Хандиси, გვ. 59.

[31] ზოგიერთი მოსაზრებით, სტელაზე ქალია გამოსახული, თუმცა ეს ნაკლებადაა სავარაუდო: ჩაცმულობა მამაკაცისაა, ფიგურას არ აქვს თავსაბურავი, რაც აუცილებელია ქალისათვის და სხვ. სტელის ვიწრო წახნაგზე, მართალია, მოცემულია წარწერა „სახრაჰანდოხტ“ (Н. Чубинашвили. Хандиси, გვ. 61), მაგრამ არაა აუცილებელი, ეს სახელი რელიეფზე მოცემულ პიროვნებას ეკუთვნოდეს – ქვასვეტების წარწერებში ხშირად მოიხსენიებიან ქტიტორის ოჯახის წევრებიც.

[32] Н. Кондаков. Очерки и заметки по истории средневекового искусства и культуры. Издательство Чешской академии наук и искусств. 1929, გვ. 93.

[33] Н. Чубинашвили, Хандиси, გვ. 59.

[34] კ. მაჩაბელი. ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები, გვ. 116.

უკეთია, შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი შემთხვევაა V-VII სს-ის ქართულ სახვით ხელოვნებაში, სადაც უმეტესად ქართულ-ირანულ კოსტიუმს ვხედავთ. დიადემის (ან, შესაძლოა, დიადემის ფორმის გვირგვინის) არსებობა შესაძლებელს ხდის ასევე ვარაუდის გამოთქმას პერსონაჟის ვინაობის შესახებ, თუმცა ეს საკითხი ჩვენი სტატიის პრობლემატიკას სცილდება.

ასევე აღსანიშნავია ძალზე საინტერესო ძეგლი, რომელიც ბოლნისში, „ლამაზი გორას" ტერიტორიაზეა აღმოჩენილი და პირველად ჯ. ამირანაშვილის მიერაა გამოქვეყნებული[35]. ესაა რელიეფური სტელის ფრაგმენტი, რომლის ერთ მხარეს გამოსახულია მამაკაცის ბიუსტი საინტერესო ჩაცმულობითა და აქსესუარებით (VI ს-ის I ნახ.) (სურ. 16). მკვლევარი მას პიტიახშად მიიჩნევს. ჩვენც სწორედ პერსონაჟის სამოსზე, ვარცხნილობაზე, ატრიბუტებზე გავამახვილეთ ყურადღება, რადგან, როგორც ირკვევა, ყოველივე ეს დეტალი იკონოგრაფიულ შტრიხს წარმოადგენს, რომლებიც სხვადასხვა კანონიკური ტიპის გამოსახულებებიდანაა აღებული.

პირველ რიგში, ყურადღებას იწვევს სავარაუდო პირიახშის ვარცხნილობა – ზევით აწეული და სფეროსავით მრგვალად დაყენებული თმა სამი ნაწნავითა თუ ლენტის ბოლოებით. შეკრული თმა შემკულია წრეებით, ალბათ – პატარა დეკორატიული დისკოებით. ასეთი ვარცხნილობა სასანური ეპოქის ირანისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ, როგორც ირკვევა, არა საყოველთაოდ, არამედ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში: ის სამეფო ხელისუფლების ნიშანს წარმოადგენს. როგორც რობერტ გიობლი აღნიშნავს, თითოეულ სასანიან მეფეს აქვს საკუთარი, მხოლოდ მისთვის შექმნილი რთული ფორმის გვირგვინი[36] (სურ. 17), რომელიც სუვერენის პიროვნებას გამოარჩევს ოფიციალურ გამოსახულებებზე – მონეტებზე, გლიპტიკის ნიმუშებზე, რელიეფებზე და სხვ.[37]. ასეთივე პრაქტიკას მიმართავენ ქუშანური დინასტიის და ბაქტრიის მეფეები (მაგ., გამოსახულებები ე. წ. ქუშანურ-სასანურ მონეტებზე) (სურ. 18). გვირგვინები სხვადასხვა დეკორატიულ ელემენტებს შეიცავს, მათ შორის – ზოროასტრული ღვთაებებისათვის დამახასიათებელ ატრიბუტებს; ძირითადად ესაა სამი ღმერთის – აჰურა-მაზდას, მითრა-

[35] ჯ. ამირანაშვილი. ბოლნისის რელიეფური სტელა და მისი კვეთის ტექნოლოგია. „საბჭოთა ხელოვნება". №6. თბ. 1969, გვ. 33-35.

[36] M. Shenkar. Royal Regalia and the "Divine Kingship" in the Pre-Islamic Central Asia. PARTHICA, Incontri di culture nel mondo antico. ed. Carlo Lippolis. #19. Pisa-Roma. 2017, გვ. 55-74.

[37] R. Göbl. Sassanidische Numizmatik. Braunschweig. 1968, გვ. 7-8; The Cambridge History of Iran. v. 3 (1). ed. H. Bailey. New-York. 2006, გვ. 135.

სა და ანაჰიტის – სიმბოლოები. შესაბამისად, არსებობს ანაჰიტური ტიპის, მითრას ტიპის, აჰურა-მაზდას ტიპის გვირგვინები. მაგალითად, ბაჰრამ I (273-276) თავის მონეტაზე (სურ. 19) რადიალური სხივებით შემკული გვირგვინითაა წარმოდგენილი, რაც მითრას სიმბოლოა[38] (ასეთივე გვირგვინით წარმოგვიდგება მითრა თაღ-ო-ბოსთანის რელიეფზე (379-383) (სურ. 20), ბაქტრიულ მონეტებზე (სურ. 21), საბეჭდავზე ბერლინის მუზეუმიდან,[39] საბეჭდავზე ბრიტანეთის მუზეუმიდან[40] და სხვ.). ფრთიანი გვირგვინები აჰურა-მაზდაზე მიუთითებს, როგორც ეს წარმოდგენილია, მაგალითად, თასზე ხოსრო ანუშირვანის (531-579) ნადირობის გამოსახულებით (სურ. 22), ან პეროზ I-ის (459-484), ხოსრო II-ის (591-628) მონეტებზე და სხვ.

უნდა ითქვას, რომ ასეთი ღვთაებრივი სიმბოლოები არ გვხვდება სატრაპების, პიტიახშების თუ სხვა დიდებულების გამოსახულებებზე, მათ მხოლოდ მეფე და დედოფალი ატარებენ.

ამ იკონოგრაფულ ატრიბუტებს შორის არის ერთი, რომელსაც რობერტ გიობლი „გლობუსს“ უწოდებს სხვა ტერმინის არარსებობის გამო – ესაა ზევით აწეული მრგვალად შეკრული თმა, რომელიც რეალურად ალბათ პარიკს ან რამე სხვა დეკორატიულ ელემენტს წარმოადგენს და რომელიც სასანიანი მეფების უმეტესობის გვირგვინებზე გვხვდება. სხვათა შორის, თუ დავაკვირდებით ზოგიერთ გამოსახულებას, მათ ისეთივე დეკორატიული ღილაკები ამკობს, როგორც პიტიახშის ვარცხნილობას ბოლნისის სტელაზე (მაგალითად, რელიეფი თაღ-ო-ბოსთანიდან (სურ. 23). ამ ატრიბუტით, მეფეების გარდა, წარმოდგენილი არიან ხოლმე აჰურა-მაზდა და ქალღმერთი ანაჰიტი. ხსენებულ რელიეფზე ხოსრო II, აჰურა-მაზდა და ანაჰიტი თითქმის ერთნაირ თავსაბურავებს ატარებენ. ამავე დეტალს ვხედავთ შაბურ I-ის კამეაზე (240/242-272/273) (სურ. 24), ბაჰრამ IV-ის (388-399) ონიქსის გემაზე[41] და სხვ. როგორც ჩანს, ეს ატრიბუტი მთელი სასანური ეპოქის განმავლობაშია აქტუალური, მას ვხედავთ აგრეთვე ამ დინასტიის უკანასკნელი მეფის, იეზდიგერდ III-ის (632/633-651/652) გვირგვინზეც. ზოგჯერ „გლობუ-

[38] J. de Morgan. Manuel de numismatique orientale de l'antiquité et du moyen age. I. Paris. 1923-36, გვ. 668, ფიგ. 37.

[39] F. Grenet. Mithra. Iconography in Iran and Central Asia, 2006. http://www.cais-soas.com/CAIS/Religions/iranian/Mithraism/mithra_iconography_iran.htm.

[40] P. Calieri. On the Diffusion of Mithra Images in Sassanian Iran. New Evidence from a Seal in the British Museum. Rome. 1990, ფიგ. 1.

[41] Jamsheed K. Choksky. Sacral Kingship in Sassanian Ira. The Circle of Ancient Iranian Studies. 1998 (http://www.cais-soas.com/CAIS/History/sassanian/sacral_kingship.html).

სი“ თხელი ქსოვილითაა დრაპირებული, როგორც ეს კარგად ჩანს არდაშირ I-ის (224-242) საინვესტიტურო რელიეფზე ნაყშ-ე რუსთამიდან, და ხშირად ლენტის ბოლოები და ნაწნავები ახლავს თან.

ასე რომ, როგორც ირკვევა, ჩვენს სავარაუდო პიტიახშს სასანური სამეფო სიმბოლო ამკობს. მაგრამ აშკარად არაირანულია მისი ჩაცმულობა და სხვა აქსესუარები. „გლობუსისა“ და სასანური ნაწნავების გარდა, რომლებიც აშკარად დეკორატიულია, მისი საკუთარი ვარცხნილობა ჩვეულებრივ მოკლეა. განსაკუთრებით სახასიათოა შუბლზე მოკლედ შეჭრილი თმა. „პატრიციანული“ სტილის ვარცხნილობას ჩვენ ყველაგან ვხედავთ გვიანანტიკურ და ადრებიზანტიურ ნიმუშებზე (მაგ., თეოდოსი II-ის გამოსახულება მონეტაზე, კონსულ ფლავიუს ანასტასიუს პრობუსის გამოსახულება სპილოსძვლის საკონსულო დიპტიხზე (V ს.) (სურ. 25) და სხვ.). ბიზანტიური სტილის ვარცხნილობა თუ ჩაცმულობა ადრექრისტიანული ხანის ქართულ ძეგლებზე შედარებით იშვიათად გვხვდება. იბერიელი დიდებულები ამ დროს უფრო მეტად ირანულ სამოსს ატარებენ, თუმცა ასეთი შემთხვევები მაინც გვაქვს (მაგალითად, ზემოთგანხილული სამწევრისის ფილა-სტელა).

ქრისტიანული და ზოროასტრული სიმბოლოების საინტერესო სინთეზის მაგალითებს ჩვენ სხვადასხვა კომბინაციების სახით ვხვდებით V-VII სს-ის სხვა რელიეფებზეც.

ერთ-ერთი ასეთია დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. უკანაგორში აღმოჩენილი სტელის ფრაგმენტი – ბაზა (წითელი ტუფი, 75X75X67 სმ), რომელსაც ვ. ჯაფარიძე V-VI სს-ით ათარიღებს, ნ. შოშიაშვილი კი – VII ს-ით[42]. მის ერთ-ერთ წახნაგზე გამოსახულია წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი პალმეტებით, რომლის აქეთ-იქით ზოროასტრული წმინდა წასაკრავის ბოლოები მოჩანს.

მეორე ასეთი ძეგლი აღმოჩენილია სოფ. ზემო თმოგვში (ასპინძის მუნიციპალიტეტი, 90X67X67 სმ, VII ს.), რომელზეც მოცემულია მედალიონში ჩასმული ორი ჯვარი ზოროასტრული წასაკრავებით და მათ შორის – ფიგურული კომპოზიცია (დანიელი ლომთა ხაროში, სადაც დანიელს ფრიგიული ქუდი ახურავს).

ეკლესიათა დეკორიდან აღსანიშნავია აკვანებას (VI ს-ის შუა ან ბოლო) ინტერიერში არსებული რელიეფი, წილკნის ტაძრის ტრიუმფალური თაღის ჩამკეტი ქვის მორთულობა, რომელიც უძველეს სამშენებლო ფენას

[42] ვ. ჯაფარიძე. ადრეული შუა საუკუნეების ძეგლები ქვემო ქართლიდან. თბ. 1981, გვ. 75.

(V ს-ის მიწურულს – VI ს-ის დასაწყისს) განეკუთვნება[43], და რელიეფური ფრაგმენტი სოფ. გიულბაგიდან (V ს-ის I ნახ – VI ს-ის I ნახ.)[44].

წილკნის ეკლესიის ინტერიერში შემორჩენილია სხვა სასანური მოტივებიც. V-VI სს-ის სამშენებლო ფენას განეკუთვნება პილონების კაპიტელების მორთულობის დეტალები – ჯვრის გამოსახულებები ზოროასტრულ წასაკრავთან და ფრთებთან კომბინაციაში. ჯვარი წყვილ მორკალულ ფრთას შორისაა მოქცეული. თითოეული ფრთა ოთხ-ოთხი მსხვილი ბუმბულისგან შედგება და დამახასიათებელი, სპირალისებრად შიდა მხარეს გაღუნული ფორმა აქვს[45]. ასეთი ფრთები სასანური ირანის ხელოვნებაში ხშირად დედამიწის ან მზის გამოსახულებასთან ერთად კომბინაციაში გვხვდება, ან მეფეების გვირგვინებს ამკობს[46], საქართველოში კი ისინი ჯვრის სიმბოლიკას შეერწყა. ფრთოსანი ჯვრების გამოსახულებები სახეზეა ასევე ახიზას ტაძრის ანტეფიქსებზე (V ს.)[47].

ირანული, ზოროასტრული მოტივების მხრივ ქართული გლიპტიკის ნიმუშებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ე. წ. ქართულ-სასანური ვერცხლის დრაქმები – მონეტების ჯგუფი, რომელიც იჭრებოდა ქართლში ერისმთავრების მიერ VI-VII სს-ში სასანური დრაქმების ანალოგიით. ასეთი მონეტების შუბლის მხარეს მოცემულია ირანის შაჰის გამოსახულება, ხოლო ზურგის მხარეს – ცეცხლის საკურთხეველი[48] და ორი მცველი. ერისმთავრების გურგენისა და ჯუანშერის მონეტებზე საკურთხეველზე ცეცხლია დანთებული, ხოლო სტეფანოზ I-ის დრაქმაზე (დაახლ. 585-592) საკურთხეველზე აღმართულია ქრისტიანობის სიმბოლო – ჯვარი[49]. ამ უკანასკნელ ნიმუშზე

---

[43] როგორც ცნობილია, წილკნის ტაძარი თავდაპირველად ბაზილიკას წარმოადგენდა, რომელიც მოგვიანებით გუმბათიან ნაგებობად გადაკეთდა.

[44] ფრაგმენტი 1957 წელს იქნა ამოღებული სოფ. გიულბაგის (ქვემო ქართლი) ადმინისტრაციული შენობის კედლიდან, რომელშიც ის დაუტანებიათ, როგორც დეკორატიული ელემენტი. სამწუხაროდ, მისი წარმოშობა უცნობია.

[45] Н. Чубинашвили. Хандиси, გვ. 70-72; S. H. Rapp Jr. The Sasanian World through Georgian Eyes. Caucasia and the Iranian Commonwealth in Late Antique Georgian Literature. Farnham-Burlington. 2014, გვ. 256.

[46] M. Compareti. The Spread Wings Motif on Armenian Steles: its Meaning and Parallels in Sasanian Art. Iran and the Caucasus #14. 2010, გვ. 1-18.

[47] ქ. დიღმელაშვილი. საქართველოს შუა საუკუნეების ანტეფიქსების გამოსახულებათა ტიპოლოგიზაციისათვის (http://saunje.ge/index.php?id=1449&lang=en).

[48] საკურთხეველი თავისი ფორმით ანტიკური ხანის ჭედურობის ნიმუშებზე მოცემული გამოსახულებების ანალოგიურია (ბორის, ზღუდერის და არმაზისხევის ვერცხლის თასები (II-III სს.), სადაც საკურთხევლის წინ წმინდა ცხოველი – ცხენია წარმოდგენილი).

[49] T. Dundua. Georgia within the European Integration as Seen in Coinage. Catalogue of Georgian Coins. Tb. 1999, გვ. 11; S. H. Rapp Jr. The Sasanian World through Georgian Eyes, გვ. 324-328.

გამოსახული საკურთხეველი ნ. ჩუბინაშვილს არასწორად აქვს მოხსენებული როგორც სტელა მასზე აღმართული ჯვრით: რომ ეს ნამდვილად ცეცხლის საკურთხეველია, ამაზე მეტყველებს ორი მცველის გამოსახულება. ანალოგიურ გამოსახულებებს ვხედავთ ასევე სასანურ მონეტებზე.

საინტერესოა, რომ 580-590-იან წლებში, სტეფანოზ I-ის დროიდან, ქართულ მონეტებზე საკურთხეველზე დანთებულ ცეცხლს ჯვარი ცვლის. ყოველივე ეს კარგად ეთანხმება იმ ეპოქის პოლიტიკური ისტორიის რეალიებს: ბაჰრამ ჩუბინის ავკანყებას, უფლისწულ ხოსრო ფარვიზის გაქცევას ბიზანტიაში და ირანის მიერ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დათმობას.

დამატებით გვინდა გავამახვილოთ ყურადღება საქართველოში აღმოჩენილი ტორევტიკის ნიმუშების კიდევ ერთ ჯგუფზე, რომლებზეც მოცემულია ცხენის გამოსახულება საკუთხეველის წინ (ბორის (სურ. 26), არმაზისხევის და ზღუდერის თასები). ეს ნიმუშები II-III სს-ს განეკუთვნება. მათ შორის უადრესი (II ს-ის ბოლო – III ს-ის I ნახ.) და შესრულების მაღალი დონით გამორჩეულია ბორის თასი. მასზე გამოსახული ცხენი, ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, ჯერ კიდევ რიგვედას ტრადიციის თანახმად, ცეცხლის ღვთაების განსახიერებაა, ან მასთან ახლოს მდგომი მითრას წმინდა ცხოველია[50]. ა. ერუსალიმსკაია ყურადღებას ამახვილებს ცხენის ფაფრის სპეციფიკურ ფორმაზე – ის, რაც ბორის და ზღუდერის თასებზე კ. მაჩაბელის მიერ სხივოსან გვირგვინადაა მიჩნეული[51] (მზის ღვთაების ატრიბუტი), ა. იერუსალიმსკაიას აზრით, უბრალოდ ფაფრის მორთულობის სახეა[52], რომელიც ხშირად გვხვდება პართული და სასანური ხანის გლიპტიკასა და ტორევტიკაზე (მაგ., ვერცხლის თასზე ბაჰრამ გურის (420/421-438/439) ნადირობის სცენით ბრიტანეთის მუზეუმიდან (სურ. 27), ასევე სასანურ თასზე ერმიტაჟის კოლექციიდან (სურ. 28)); მსგავსი ტრადიცია არსებობდა ჩინეთშიც (მაგ., დაახლ. 650 წლით დათარიღებული ცხენების რელიეფები იმპერატორ ტაიძონგის მავზოლეუმიდან (სურ. 29)). პართული ხანის მონეტებზე ასევე ხშირად ვხედავთ ბორის, ზღუდერისა და არმაზისხევის პინაკების ანალოგიურ ცხენის გამოსახულებას[53] (სურ. 30). ყოველივე ამის საფუძველზე

[50] А. Иерусалимская. О серебряном блюде "с конем" из Бори: (Грузия). Памяти Е. В. Зеймаля. сборник статей. СПб. 2004, გვ. 50-63, 54-56; R. Girshman. Parthes et Sassanides. Paris. 1962, გვ. 48, 68.

[51] К. Мачабели. Позднесантичная торевтика Грузии, გვ. 85.


[52] А. Иерусалимская. О серебряном блюде "с конем" из Бори, გვ. 58-59.

[53] W. Wroth. Catalogue of the Coins of Parthia. London. 1908, pl. V, VI, IX, X, XII; D. R. Sear. Greek Coins and their Values. v. II. Asia and North Africa. London. 1979, #7374, გვ. 695.


მკვლევარი ბორის თასს, ზედ არსებული არამაზული დამწერლობით შესრულებული წარწერის მიუხედავად[54], ირანულ ნაწარმად მიიჩნევს. მისი აზრით, ბორის თასი ზღუდერისა და არმაზისხევის პინაკების (ამ უკანასკნელებს ავტორი ადგილობრივ, იბერიულ ნაწარმად თვლის) პროტოტიპი გახდა[55]. შესაძლებელია, ბორის თასი მართლაც ირანული წარმომავლობისაა და წარწერა მას უკანასკნელმა მფლობელმა, იბერიელმა პიტიახშმა გაუკეთა. ყოველ შემთხვევაში, მითრას კულტთან დაკავშირებული წმინდა ცხოველის (ცხენის) და საკურთხევლის გამოსახულებები ძველი იბერიის სახვით ხელოვნებაში გავრცელებული მოვლენაა.

ამრიგად, ანტიკურ და ადრექრისტიანულ ეპოქაში არსებული ქართულ-ირანული ინტენსიური კულტურული ურთიერთობები დიდ გავლენას ახდენდა ჩვენს ქვეყანაში არქიტექტურის, რელიეფისა და გამოყენებითი ხელოვნების განვითარებაზე. ამ ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი სახვითი ხელოვნების ფორმები, სიუჟეტები, სტილური თავისებურებები ძალზე მრავალფეროვანი იყო. რასაკვირველია, წინამდებარე სტატია არ ისახავს მიზნად სრული სურათის წარმოდგენას ანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების დიდ ქრონოლოგიურ მონაკვეთში. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ არქიტექტურულ ფორმასა და კომპოზიციაზე, ცალკეულ დეკორატიულ მოტივზე თუ რელიეფების სიუჟეტზე გავამახვილეთ ყურადღება, რომელშიც, ჩვენი აზრით, საინტერესოდ იკვეთება ძველი საქართველოს ხელოვნებაში შემოჭრილი ისლამამდელი ირანის კულტურის ელემენტები.


[54] გ. წერეთელი. არმაზის ბილინგვა, გვ. 108.
[55] А. Иерусалимская. О серебряном блюде "с конем" из Бори, გვ. 56.




1. სამადლოს კოშკურა ტაძარი (რეკონსტრუქცია ი. გაგოშიძის მიხედვით)




2. დედოფლის მინდორი (გეგმა ი. ციციშვილის მიხედვით)




3. ფირუზაბადის ტაძარი




4. ჭერემის ეკლესია



5. მატანის ცხრაკარა



6. ნეკრესი (გეგმა, ჭრილები, რეკონსტრუქცია ნ. სევეროვის მიხედვით)



7. მითრას ნადირობის სცენა დურა ეუროპუსიდან; მითრა-მხედრის გამოსახულება რელიეფზე ნოიენჰაიმიდან.




8. მითრას და ხარის ბრძოლა.
ლუვრის მუზეუმი, III ს.



9. „ბანკეტის“ სცენა. ლუვრის
მუზეუმი, III ს.



10. მითრას დაბადება.
სან კლემენტეს მითრეუმი,
რომი, III ს.



11. ბაშკირეთის სტელა



12. ფაფაკ პიტიახშის თასი



13. ბაჰრამ-ე დილაკის რელიეფი




14. მცხეთის ჯვრის რელიეფი



15. სამწევრისის ფილა-სტელა



16. სტელა „ლამაზი გორადან“



17. სასანიდი მეფეების გვირგვინები რ. გიობლის მიხედვით



18. ქუშანურ-სასანური მონეტა, III ს.



19. ბაჰრამ I-ის მონეტა



20. რელიეფი თაღ-ო-ბოსთანიდან



21. თასი ხოსრო II-ის ნადირობის სცენით



22. რელიეფი თაღ-ო-ბოსთანიდან



23. გემა შაბურ I-ის და იმპერატორ ვალერიანეს გამოსახულებებით



24. კონსულ ფლავიუს ანასტასიუს პრობუსის გამოსახულება საკონსულო დიპტიხზე



25. ცხენის გამოსახულება ბორის თასზე



26. თასი ბაჰრამ გურის გამოსახულებით



27. სასანური ვერცხლის თასი ნადირობის სცენით



28. იმპერატორ ტაიძონგის მაგზოლეუმის რელიეფი



29. მითრიდატე II-ს მონეტა (პართია), ძვ. წ. 123-88.

Nino Silagadze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

SASSANIAN MOTIFS IN ARCHITECTURE AND FINE ART OF THE KINGDOM OF KARTLI (IBERIA)

Summary

For centuries, Georgian states retained close links with the pre-Islamic Iran. In addition to the economy and politics, Georgia and Iran developed strong ties in the cultural sphere as well. Territory of the East Georgia has been under the sphere of influence of the Sassanian Empire in the periods of Late Antiquity and the Early Middle Ages. Iranian culture and Zoroastrianism had strong impact on the Georgian art from these historical periods that is evident in architecture, reliefs, glyptic and other objects of fine and applied arts. Sometimes we can notice also Zoroastrian reminiscences in the first stage of the development of the Christian art in Georgia.

Eastern Georgia (especially regions of Lower an Inner Kartlii, and cities like Mtskheta, Tbilisi, Ujarma and others) had Iranian, Zoroastrian population in these periods. Therefore, the map of Georgia is enriched with Iranian toponymics. From the ancient times, there have been fire temples of the different type as well (Samadlo, Tsikhiagora, Dedoflis Mindori etc.). Iranian population, Zoroastrian communities, fire temples and altars are mentioned in many Georgian written sources. Such communities were often multi-ethnic – along with Iranians, they had Georgian members as well.

In a similar vein, we can delineate the group of churches of the early Middle Ages, that has strong influence of Zoroastrian temple architecture – e.g. Tcheremi, Tskhrakara of Matani, Nekresi, Uplistsikhe etc.

In addition, article covers the objects of fine and applied arts, such as reliefs, silverworks, gemstones etc. Such samples possess extremely interesting synthesis of local Georgian art and Sassanian iconographic and decorative motifs: the ways of depiction of characters, their clothes and accessories, Zoroastrian and Christian religious symbols, stylistic peculiarities, ornaments etc.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIV
თბილისი. 2018

ნინო გოდერძიშვილი
საქართველოს შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

წმ. ევსტათი პლაკიდას ნადირობის კომპოზიციის ვარიაციები შუა საუკუნეების ქართულ და ფრანგულ რელიეფებში*

შუა საუკუნეების ქრისტიანულ ხელოვნებაში რელიეფური ქანდაკების მრავალფეროვან იკონოგრაფიულ რეპერტუარში ნადირობის თემას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. კავკასიის ქრისტიანულ ხელოვნებაშიც ასეა, თუმცა წმინდა ევსტათის ნადირობის კომპოზიციები რელიეფურ ქანდაკებაში მხოლოდ ქართულმა ხელოვნებამ შემოინახა. წმ. ევსტათი პოპულარობით სარგებლობდა დასავლეთ ევროპულ, განსაკუთრებით ფრანგულ, ქრისტიანულ ხელოვნებაშიც. წინამდებარე სტატიის მთავარი თემა ქართული და დასავლეთ ევროპული რელიეფური ნიმუშებია, რადგან ორივეგან შუა საუკუნეების ქრისტიანულ ხელოვნებაში დიდი ყურადღება მიექცა წმ. ევსტათი პლაკიდასთან დაკავშირებულ სიუჟეტს.

საქართველოში რელიეფურ სცენებს მონადირე-მხედრების გამოსახულებებით სხვადასხვა ფორმით და ინტერპრეტაციით VI-VII-დან XVI-მდე თითქმის ყველა საუკუნეში ვხვდებით. ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში გვაქვს „ტიპიური ნადირობა“ – მხედარი-მონადირე მისდევს ცხოველს, რომელიც მოცემულია ძირითადად წმ. ევსტათი პლაკიდას კომპოზიციებით. ვხვდებით მისგან გარკვეულად განსხვავებულ კომპოზიციებსაც, სადაც მონადირე კი არის წარმოდგენილი, მაგრამ არ გვაქვს დევნის სცენა (მაგ., ოშკი, ბაგრატი, ტყობა-ერდი, სადგერი).

საფრანგეთში პლაკიდას ნადირობის სცენები XII-XVI საუკუნეებში გვხვდება და მის პარალელურად წმინდა ჰუბერტის ნადირობაა აქტუალური.

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [#PhD_F_17_82, რელიეფური სცენები მონადირე-მხედრებითა და ზოომორფული გამოსახულებებით შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში]

ლიტერატურულ წყაროებში მოთხრობილი ჰუბერტის ხილვის სცენა წმ. ევსტათის ხილვის სიუჟეტის მსგავსია. ტაძრებზე გამოსახული კომპოზიციების იკონოგრაფიული სქემებიც ანალოგიურია, მცირე განსხვავებებით. საგულისხმოა, რომ განსხვავებული ისტორიული პირობების, ადგილობრივი ტრადიციების გამო, წმ. ევსტათის კომპოზიციების მხატვრულ-სტილისტურ გადაწყვეტაში სხვადასხვაგვარი მიდგომები ჩამოყალიბდა.

მართალია, მკვლევარებს წმ. ევსტათის და წმ. ჰუბერტის ერთიან ჭრილში შესწავლა კვლევის სპეციალურ ამოცანად არ დაუსახავთ, მაგრამ ამ საკითხის გარშემო დაკვირვებით, მასალების დაგროვებას და ცალკეული საკითხების დამუშავებას დიდი ხნის ისტორია აქვს. სხვადასხვა დროს, წმ. ევსტათის კომპოზიციებით როგორც ქართველი, ისე, უცხოელი მეცნიერები ინტერესდებოდნენ. მათ შორის აღსანიშნავია ნათელა ალადაშვილი,[1] კიტი მაჩაბელი,[2] მარიკა დიდებულიძე,[3] თამარ დადიანი, ეკატერინე კვაჭატაძე, თამარ ხუნდაძე,[4] სალტიკოვი,[5] ნიკოლ ტიერი[6] (სწორედ ნიკოლ ტიერი მოიხსენიებს წმ. ჰუბერტის თემატიკას წმ. ევსტათისთან მიმართებაში), ტანია ველმანსი,[7] ანიტა კუმუსი[8] და სხვ. წინამდებარე სტატია ემყარება აღნიშნული მეცნიერების ნაშრომებს, ჩვენ მიერ ჩატარებულ დამატებით კვლევას, ანალიზს და წარმოადგენს ყოველივე ამის საფუძველზე გამოტანილ დასკვნებს.

სტატიაში გამოყენებული **კვლევის მეთოდოლოგია** მოიცავს ლიტერატურული წყაროების, რელიეფური კომპოზიციების სტილისტურ და შედარებით ანალიზს. ქართული და ფრანგული ნადირობის სცენების შედარებითი, სტილისტური ანალიზის მეთოდით შეიძლება მნიშვნელოვნად გამდიდრდეს არსებული კვლევა.

---

[1] Н. Аладашвили. Монументальная скульптура Грузии, сюжетные рельефы V-XI веков. Тбилиси. Изд. Искусство. 1977.

[2] კ. მაჩაბელი. ქართული ქვა-ჯვარები. თბ. 1988.

[3] მ. დიდებულიძე. „წმ. ევსტათეს ხილვა“ შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში. ლიტერატურა და ხელოვნება. №2. თბ. 1990, გვ. 197-206.

[4] თ. დადიანი, ე. კვაჭატაძე, თ. ხუნდაძე. შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი. თბ. 2017.

[5] А. Салтыков. Видение св. Евстафия Плакиди. Рельефные иконы из Цебелды. Сб.: Искусство христианского мира. Москва. 1996.

[6] N. Thierry. Un problem de continuitè ou de rupture. La Cappadoce entre Rome, Byzance et les Arabes, Comptes rendus des séances de l'Académie des Inscriptions et Belles-Lettres. 121 année. N1. 1977, გვ. 98-145.

[7] T. Velmans. L'église de Zenobani et le thème de la Vision de Saint Eustache en Géorgie, Cahiers Archeologiques. Picard. 1985, გვ. 19-49.

[8] A. Coumoussi. Une representation rare de la vision de Saint Eustache dans une église grecque du XIII^{e} siècle. Cahiers Archeologiques. Picard. 1985, გვ. 51-60.

წმ. ევსტათის შესახებ ცნობები ქართულ ლიტერატურულ წყაროებში ძველმა მეტაფრასულმა კრებულებმა – „სექტემბრის საკითხავებმა“[9] შემოგვინახა, რომელიც ეფუძნება ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების, დავით ტბელის, სტეფანე სანანოსძის, არსენის, იოანე პეტრიწის და სხვა ბერძნული თარგმანების პირველწყაროებს.[10]

დასავლეთ ევროპულ ადრეულ ლიტერატურაში წმ. ევსტათის ბიოგრაფია იაკობ დე ვორაგინეს ნაშრომში – „ოქროს ლეგენდებშია“[11] (XIIIს.) მოთხრობილი. აქ მოცემული წმ. ევსტათის ამბის შინაარსი საქართველოში გავრცელებულ ადრინდელ ლიტერატურაში გადმოცემულ შინაარსს ემთხვევა. რაც შეეხება, ფრანგი წმინდანის ჰუბერტის ცხოვრების პირველწყაროებს, მისი ბიოგრაფია დადასტურებული გვაქვს ფრანკ ჰაგიოგრაფთან – იოანა ორლეანელთან (VIII-IX სს.). ჰუბერტის ცხოვრების შესახებ ორი ხელნაწერი მოგვითხრობს. აქედან, პირველი დათარიღებულია IX, მეორე კი – XI საუკუნით. წმინდა ჰუბერტის ცხოვრების შესახებ ამ ორ ცნობილ ლიტერატურულ წყაროს XIX საუკუნეში თავი მოუყარა მისიონერმა ჟან პიერ სმიტმა „წმინდანთა ქმედებებში“ (Acta Sanctorum) ნოემბრის თვის ხელნაწერში, ვიდან 3 ნოემბერი წმ. ჰუბერტის ხსენების დღეა, მისი ცხოვრება ნოემბრის თვის თავშია მოცემული.[12] ჰუბერტის ცხოვრების შესახებ შემონახული ჰაგიოგრაფიული ცნობები შესულია ბიბლიოთეკა ჰაგიოგრაფიკა ლათინაშიც.[13]

ძველი მეტაფრასული კრებულის სექტემბრის საკითხავში მოთხრობილი ცნობების[14] მიხედვით, II საუკუნეში რომის იმპერატორის ტრაიანეს ერთგული სტრატილატი, გამორჩეული მხედართმთავარი პლაკიდა, ნადირობის დროს მომხდარი სასწაულის შემდეგ ქრისტეს რჯულზე მოექცა. მხედარი გაედევნა ირემს, რომელმაც ივი კლდის ქარაფზე აიყვანა, ირემს რქებს შორის ჯვარი გაუბრწყინდა და წარმართ ერისკაცს უფლის ხმა ჩაესმა: „პლაკიდა რაჲსა მდევნი მე?..“.[15] მე ვარ იესუ ქრისტჱ, რომელმან ყოველივე

[9] ძველი მეტაფრასული კრებული. სექტემბრის საკითხავები. წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა ევსტათისი და თეოპისტაჲსი და ორთა შვილთა მათთაჲ-აღაპისის და თეოპისტისი, [224ვ]. თბილისი. 1986.

[10] ძველი მეტაფრასული კრებული, გვ. 3.

[11] La légende Dorée. Traduite en Français par L'abbé J. B. M. Roze, Édouard Rouveyre, Éditeur. Paris. MDCCCII. 2004.

[12] S. Balcau. Les sources de l'histoire de Liège au Moyen Age, Etude critique. T. I. Bruxelles. 1903, გვ. 40-45.

[13] Bibliotheca Hagiographica Latina. Soc II Bollandiani. Bruxelles. 1911.

[14] ძველი მეტაფრასული კრებული, გვ. 365.

[15] ძველი მეტაფრასული კრებული, გვ. 365.

დავჰბადე არ-არსისაგან და თვისითა ხელითა შეექმენ კაცი... შემუსრვილი ცოდვისა მიერ კუალად განვაახლე“.[16] ამ ხილვის შემდეგ მხედართმთავრის ცხოვრებაში სულიერი გარდატეხა მოხდა. მოინათლა ოჯახთან ერთად, მოთმინებით იტანდა განსაცდელებით სავსე ცხოვრებას და დევნას, რის შემდეგაც მოწამეობრივად აღესრულა, იგი „რვალის კუროში“ ოჯახთან ერთად აწამეს.[17]

ლიტერატურულ წყაროებში შემონახული ცნობებით წმ. ჰუბერტის ხილვის სიუჟეტი პლაკიდას ცხოვრების სიუჟეტს ჰგავს. მორის დენის მიხედვით,[18] იგი მონადირეების მფარველ წმინდანად მოიზარება. სილვიენ ბალოს მიხედვით[19] მისი ცხოვრება VII-VIII საუკუნეებს უკავშირდება. წმინდანის კულტის, როგორც მონადირეების მფარველის, ჩამოყალიბება დაკავშირებული იყო მის გატაცებასთან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფრანკთა მეფე და საღვთო რომის იმპერატორი ლუი I ღვთისმოშიში (778-840), რომელიც ნადირობდა არდენში, სიცოცხლეშივე იყო წმინდა ჰუბერტის მიმდევარი და ერთგული. მან 3 ნოემბერი დიდი ნადირობის დღედ გამოაცხადა. XI საუკუნის აღწერებში მოიხსენიება კავშირი ჰუბერტის ხილვასა და არდენის ტყის მაღლობს შორის, რომელიც სამხრეთ ბელგიის საზღვარზეა. ის ნაწილობრივ ესაზღვრება საფრანგეთს და ლუქსემბურგს. სწორედ ამ საზღვარზე ჩაისახა წმ. ჰუბერტის კულტი და აქედან გავრცელდა დასავლეთ ევროპულ ხელოვნებაში (ინგლისი, გერმანია, ბელგია, ნიდერლანდები).[20]

ბრაიან დანიელ სტარის მიხედვით,[21] ლიეჟის ეპისკოპოსის წმინდა ჰუბერტის ცხოვრება (656-727) დაკავშირებულია ფრანკთა სახელმწიფოს არსებობის პერიოდთან, მისი სამშობლო ავსტრაზიაა, რომელიც მოიცავდა საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის რეგიონებს, ბელგიას, ნიდერლანდებს და ასევე გერმანიის დასავლეთ ტერიტორიებს.[22] წმინდანის ცხოვრებაც აღნიშნულ რეგიონებთან მჭიდროდაა დაკავშირებული: დაიბადა-საფრანგეთში,[23] აკვიტანიაში, რომელიც ოდესღაც წარმოადგენდა რომის იმპერიის პროვინციას და 1137 წელს საფრანგეთმა შემოიერთა. ჰუბერტი – ჰერცოგ ბერნარდის

[16] მ. დიდებულიძე, „წმ. ევსტათეს ხილვა“ შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში, გვ. 198.
[17] ძველი მეტაფრასული კრებული, გვ. 365.
[18] M. Denis. la Légende de Saint Hubert 1896-1897. Paris. c1999, გვ. 39.
[19] S. Baleau. Les sources de l'histoire de Liège au Moyen Age, Etude critique, გვ. 40-45.
[20] Biographie nationale, publiée par l' Académie royale des sciences, des letters et des Beaux-arts de Belgique. IX. Bruxelles. 1897, გვ. 591.
[21] B. D. Starr. Dictionary of Saints, 2013, გვ. 199.
[22] B. D. Starr. Dictionary of Saints, გვ. 199.
[23] M. Denis. la Légende de Saint Hubert, გვ. 40-41.

შვილი – ერთგვარი პოლიტიკური პირიც იყო. იგი თავისი მოღვაწეობით დიპლომატის როლსაც ასრულებს საფრანგეთის ისტორიაში. შესაძლოა, ამიტომაც გახდა აქტუალური აღნიშნული წმინდანის ცხოვრება შუა საუკუნეების ხელოვნებაში.[24]

ლეგენდის თანახმად,[25] ჰუბერტი წითელ პარასკევს ცხენთან და ძაღლთან ერთად არდენის ტყეში ნადირობდა. ნადირობის დროს მან თეთრი ფერის ირმის რქებს შორის ჯვარცმული მაცხოვარი იხილა, რომელმაც სასულიერო ცხოვრებისკენ და წმინდა ლამბერტის მოწაფეობისკენ მოუწოდა. ჰუბერტის ხილვაში თეთრი ფერი არის სიწმინდის სიმბოლო, სასწაულებრიობას ამძაფრებს. თეოფანიის შემდეგ (წმ. ევსტათის მოწამეობრივი ცხოვრებისგან განსხვავებით) საერო ცხოვრებიდან სასულიერო ცხოვრების გზას დაადგა. რომის კარზე წავიდა და წმ. ლამბერტის სულიერი შვილი გახდა. იგი ლიეჟის ეპისკოპოსად ეკურთხა, ხოლო წმ. ლამბერტის გარდაცვალების შემდეგ პაპმა ჰუბერტი გამოარჩია და მალევე მაასტრიხტის ეპისკოპოსობას მიაღწია. იგი ებრძოდა წარმართულ კულტებს, მოახდინა წარმართული ტაძრების ქრისტიანიზაცია.[26]

საკრალურ მნიშვნელობას იძენს წმ. ჰუბერტის წითელ პარასკევს ნადირობა, ირმის რქებს შორის ჯვარცმული მაცხოვრის გამოსახულების საფუძველი ალბათ, აქედან მომდინარეობს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თეთრი ფერის ირმის ხაზგასმა. იგი ყველა კულტურაში კეთილსაწყისის სიმბოლოა და სიცოცხლის, ნაყოფიერების, განახლების სიმბოლოდ მიიჩნევა. კელტები განსაკუთრებით თაყვანს სცემდნენ თეთრ ირემს, რომელიც ზებუნებრივი ძალის მისტიურ ცხოველად მიაჩნდათ. ამასთანავე, ირმის რქები მზის სხივებად აღიქმებოდა. ირემი ითვლებოდა ღმერთთან შუამავლად, მისი განტოტვილი რქები კი სიცოცხლის ხესთან ასოცირდებოდა. როგორც ცნობილია, ირმის რქებს აქვს რეგენერაციის-განახლების უნარი. კელტების წარმოდგენით, ხის ტოტებსაც აქვს ახალი ფოთლებით შემოსვის უნარი. ირმის რქები ასოციაციურად ხის ტოტებს უკავშირდებოდა, ეს უკანასკნელი კი მათთვის უწმინდეს მცენარედ ითვლებოდა. მათი ღმერთი ცერნუნი ბუნების გამოღვიძების ციკლთანაა დაკავშირებული. იგი სახვით ხელოვნებაში ირმის განტოტვილი რქებით ან ირმის და ხარის სახით გამოისახება. რაც შეეხება, პრეისტორიული ხანის გალიის მაცხოვრებლებს, ისინი ირმებს თაყვანს სცემ-

[24] B. D. Starr. Dictionary of Saints, გვ. 199.
[25] M. Denis. la Légende de Saint Hubert, გვ. 40.
[26] M. Denis. la Légende de Saint Hubert, გვ. 40.

დნენ კელტების ჩამოსვლამდე. ირმის რქებს გალები გვირგვინს ეძახდნენ და აღიქვამდნენ ძალის სიმბოლოდ. ირემმა თანდათანობით გალების რწმენა წარმოდგენაში ადამიანის სახე მიიღო და მიენიჭა სახელი ცერნუნოსი[27].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, წინაქრისტიანული ხანის ირმის კულტმა ქრისტიანიზაცია განიცადა, როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნების რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში. ირემზე ნადირობასთანაა დაკავშირებული პლაკიდას და ჰუბერტის მნიშვნელოვანი ცხოვრების ეპიზოდი, რაც საყვარელი თემა გახდა ქრისტიანული სახვითი ხელოვნებისთვის.

საქართველოში ნადირობის სცენები VI საუკუნის სკულპტურაში ვლინდება და არაერთგვაროვანი სახით ვითარდება. აღსანიშნავია: ადრე ქრისტიანული ხანის **იოანე ნათლისმცემლის ქვასვეტის რელიეფი** (VI-VII სს.) (***სურ. 1***), **ატენის სიონის** დასავლეთ ფასადის შემკულობა (VII ს.) (***სურ. 2***), **მარტვილის სიონის** აღმოსავლეთ ფასადის ფრიზი (VII ს.) (***სურ. 3***), **წებელდის კანკელის ფილა** (VII-VIII სს.) (***სურ. 4***), **ტაბაწყურის სარკმლის რელიეფი** (X ს.) (***სურ. 5***), **ინგუშეთის ტყობა-ერდის** რელიეფი (X ს.) (***სურ. 6***), ნადირობის სცენა **ოშკის სარკმლის** თავსართზე (X ს.) (***სურ. 7***), განვითარებული შუა საუკუნეების **ერთაწმინდის** ნადირობის კომპოზიციები (XIIIს), გვიანი შუა საუკუნეების **სადგერის** წმინდა გიორგის ეკლესიის (XV ს.), **ნიქოზის** ამაღლების (ღვთაების) ტაძრის (XV ს?) და **ხეოთის** სამრეკლოს (XV-XVI სს.) რელიეფები.



სურ. 1. იოანე ნათლისმცემლის ქვასვეტის რელიეფი (VI-VII სს.), საქართველოს ეროვნული მუზეუმი



სურ. 2. ატენის სიონის დასავლეთ ფასადის შემკულობა (VIIს.)

[27] ი. მამასახლისი. ირმის კულტი კავკასიის ხალხთა კულტურაში. კავკასიოლოგიური ძიებანი. №5. კავკასიოლოგიის ინსტიტუტი. თბ. 2013, გვ. 285-286.



სურ. 3. მარტვილის სიონის აღმოსავლეთ ფასადის ფრიზი (VII ს.)



სურ. 4. წებელდის კანკელის ფილა (VII-VIII სს.)

XI-XVI საუკუნეებში, აღნიშნული თემატიკა საქართველოში განსაკუთრებული პოპულარობით კედლის მხატვრობაში სარგებლობდა. ტანია ველმანისის მიხედვით,[28] წმ. ევსტათის ხილვის გამოსახულებები ქართული მონუმენტური მხატვრობის პროგრამაში XI საუკუნეში შემოდის და XV-XVI საუკუნეებამდე ძველი იკონოგრაფიული ტრადიციით განაგრძობს არსებობას ფასადებზე[29] (მაგ., იფრარის ეკლესიის ფასადის მხატვრობა XI-XII საუკუნეთა მიჯნა, XIII საუკუნის ხოზიტა მარიამის, ნუზალის, ზენობანის სცენები, XIV საუკუნის საფარას, კაიშე-თარინგზელის, XV საუკუნის ლაღამისა და ლაშთხვერის, ეკლესიათა ფასადების მოხატულობები, ქორეთის, ილემის, ერთაწმინდის გვიანი შუა საუკუნეების მოხატულობები).

ევსტათის ხილვის სცენებს XVII-XVIII საუკუნეებში ქართული წიგნის მინიატურულ შემკულობაშიც ვხვდებით (მაგ., ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული H-2076, XVIII ს-ის გრაგნილი, ევსტათი ირმით და კრებული A-1454-024r (1746 წ.) ევსტათი ცხენზე ამხედრებული.

როგორც ცნობილია, წმ. ევსტათის ნადრიობა სიმბოლურად გადმოსცემდა „ბნელიდან ნათელზე" – ქრისტეს რჯულზე მოქცევას, უფლის გაცხადებას, სულის ხსნის იდეას და, ამავე დროს, ქრისტეს დიდების გამომხატველი თეოლოგიური იდეის ხორცშესხმას წარმოადგენდა.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში გავრცელებულ ნადირობის თემატიკას ფესვები წინაქრისტიანულ ხანაში აქვს. გამომდინარე იქიდან, რომ მონადირეობის ინსტიტუტის უძველესი ტრადიცია საქართველოში მრავალი ისტორიული ცნობით, ეთნოგრაფიული მასალით, ნა-

[28] T. Velmans. L'église de Zenobani et le thème de la Vision de Saint Eustache en Géorgie, გვ. 19-49.

[29] T. Velmans. L'église de Zenobani et le thème de la Vision de Saint Eustache en Géorgie, გვ. 31.

დირობასთან დაკავშირებული ნივთებით (მაგ., იარაღი) დასტურდება, რომლებიც ენეოლითის ხანიდან მოყოლებული შემორჩა. დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე და მის მახლობლად ნაპოვნი ენეოლითის, ბრინჯაოსა და რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები უხვად შეიცავს ნადირობის ამსახველ მასალებს (იარაღი, ცხოველთა გამოსახულებები და სხვ.), ე. წ. კავკასიური ხელოვნების უძველესი ნიმუშებისთვის დამახასიათებელია სამონადირეო მოტივები, გარეულ ცხოველთა გამოსახულებები კი შეადგენს მის ძირითად თემას; ქართველი ერის ისტორიაში ისეთი მნიშვნელოვანი ეტაპიც კი, როგორიცაა ქრისტიანული რელიგიის შემოსვლა, ნადირობასთანაა დაკავშირებული.

მარიამ დიდებულიძის მიხედვით,[30] ქართულ წარმართულ მითოლოგიურ გადმოცემებსა და ფოლკლორში ნადირობა ღვთაებრივ და ზეციურ ძალებთან კონტაქტისთვის საუკეთესო გარემოებად იყო მიჩნეული. ხატჩენის უამრავი ფაქტი სწორედ ნადირობის დროს ხდებოდა, ისევე როგორც საკრალური განძის პოვნა და სხვა. ნადირობის აქტი მიწიერ და ზეციურ სამყაროებს შორის ზღვარის გადალახვის, სხვა განზომილებაში გადასვლის საუკეთესო პირობაა. თანაც წარმართული ხელოვნების ნიმუშებში სწორედ დევნის აქტს ენიჭება მნიშვნელობა და არა ნანადირევის ათვისებას.[31]

ელენე ვირსალაძის მოსაზრებით,[32] ქართული ეკლესია ებრძოდა წარმართული რელიგიის გავლენას. ქართული ეკლესიის მესვეურებმა მოქნილი ხერხი გამოიყენეს: ქრისტიანულმა ხელოვნებამ გაითავისა ქართველი ხალხის ბუნება, მისი ზნე-ჩვეულებები და წინაქრისტიანული ხანიდან ბევრი რამ შეითვისა, მათ შორის, ნადირობის თემატიკა „გააქრისტიანა“ – მას წმინდანთა ცხოვრების და სასწაულის სიუჟეტები დაუკავშირა და ამ სახით მიიტანა სათქმელი ქართველ ერამდე.

ნადირობის კომპოზიციებს შუა საუკუნეების ქართულ, რელიეფურ ქანდაკებაში ტაძრის ფასადებზე, ქვა-ჯვარებზე და კანკელის შემკულობაში ვხვდებით. ადრეული ნადირობის სცენების კომპოზიციური სქემა ასეთია: მხედარი-მონადირე მოზიდული მშვილდ-ისრით დევნის ირემს ან ირმის ჯოგს, რომლის რქებს შორისაც ჯვრის ან მედალიონში ჩასმული მაცხოვრის სახის გამოსახულებაა. კომპოზიციებში ძირითადად ჰორიზონტალური მიმართულებაა ხაზგასმული (მაგ., ატენის სიონი, მარტვილის სიონი, წებელდის კანკელი), ზოგ შემთხვევაში ვერტიკალური (მაგ., იოანე ნათლისმცემლის სტელა). ად-

[30] მ. დიდებულიძე. „წმ. ევსტათეს ხილვა“ შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში, გვ. 204.
[31] მ. დიდებულიძე. „წმ. ევსტათეს ხილვა“ შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში, გვ. 204.
[32] ე. ვირსალაძე. ქართული სამონადირეო ეპოსი (დაღუპული მონადირის ციკლი). თბ. 1964, გვ. 5.

რეულ ეტაპზე ქართულ რელიეფებში იგრძნობა, ერთის მხრივ, ელინისტურ-ანტიკური, მეორეს მხრივ კი, სასანიდური ირანის ხელოვნების გარკვეული „მონაბერი“. მთლიანობაში კი ისინი ინდივიდუალურ სახეს ატარებენ. თითოეულ კომპოზიციაში ჩანს ოსტატის თავისებური შემოქმედებითი მიდგომა, რომელიც შთაგონებული იყო წინაქრისტიანული ხანის მითოლოგიით, ხელოვნებით. იგი ემყარებოდა ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებს, სხვადასხვა დეტალების ხაზგასმით იქმნებოდა თითოეული კომპოზიციის ხასიათი და თავისებურებები. რაც, თავის მხრივ, ქმნის შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ინდივიდუალურ ხასიათს. წარმართული ნიშნები განსაკუთრებით ადრეულ ძეგლებზე ვლინდება, მაგ., იოანე ნათლისმცემლის სტელის ირემი წინაქრისტიანული ხანის ჭვირულ ბალთებზე გამოსახულ ირემს მოგვაგონებს, მის ტანზე გამოსახულ ვარდულიან მედალიონს კი მაჩაბელი[33] ასტრალურ ნიშნებს უკავშირებს და საკრალურ მნიშვნელობას ანიჭებს.

ქართულ ხელოვნებაში წარმოდგენილი წმ. ევსტათის ნადირობის სცენები აერთიანებს მისი ცხოვრების ორ სიმბოლურ მომენტს – ნადირობას და „თეოფანიას“ – მაცხოვრის ხილვას. მათი ძირითადი მახასიათებელი ისაა, რომ რელიეფურ ქანდაკებაში ირმის რქებს შორის გამოსახულია მაცხოვრის მონუმენტური თავი (მაგ., იოანე ნათლისმცემლის სტელა, მარტვილი, წებელდა...), კედლის მხატვრობაშიც ძირითადად მაცხოვარი გამოისახება (მაგ., საფარა), ხოლო წიგნის მინიატურაში ირმის რქებს შორის ჯვარია წარმოდგენილი (H-2076, XVIII ს-ის გრაგნილი და კრებული – A-1454-024 r, 1746 წ.).

კომპოზიციურმა გადაწყვეტამ საუკუნეების განმავლობაში განვითარება განიცადა. ქართულ ნადირობის სცენებში X საუკუნის ოშკის, ტყობა-ერდის, XI ს-ის ბაგრატის და XV ს-ის სადგერის ნადირობის სცენებში ქვეითი მონადირე-მშვილდოსანია გამოსახული. ამდენად, წმ. ევსტათის კომპოზიციური სქემისგან განსხვავებული კომპოზიცია წარმოგვიდგება, და ჩვენი ვარაუდით, აქ არ უნდა გვქონდეს პლაკიდასთან დაკავშირებული სიუჟეტი წარმოდგენილი: მაგალითად, ოშკის ტაძრის სამხრეთი სარკმლის რელიეფზე ჩამუხლული, მშვილდ-მომარჯვებული მონადირე, შესაძლოა, ზოდიაქოს მშვილდოსანს გამოსახავდეს. ვარაუდს ზოდიაქოს მშვილდოსანთან დაკავშირებით ჯობაძის მოსაზრებაც ამყარებს. მკვლევარს მიაჩნია, რომ ოშკის სამხრეთ ფასადზე წარმოდგენილი სხვა რელიეფები უკავშირდება ასტროლოგიურ სამყაროს.[34]

[33] კ. მაჩაბელი. ქართული ქვა-ჯვარები, გვ. 291.

[34] ვ. ჯობაძე. ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში. თბ. 2007, გვ. 142-143.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდში დასავლეთ ევროპულ ქრისტიანულ სამყაროში მიღებული და გავრცელებული იყო ზოდიაქოს ნიშნების ტაძრებზე გამოსახვა და რელიგიური შინაარის მინიჭება (მაგ., საფრანგეთში – ოვერნის ტაძარი XI ს. ვეზლეს რელიეფი – 1120-1150 წწ., ინგლისში ბარფრესტონის წმ. ნიკოლოზის პატარა ეკლესია, დაახ. 1100 წ. და ა.შ.).

შუა საუკუნეების საფრანგეთში წმინდანთა ცხოვრებებზე საუბრობენ პოემებში, თქმულებებში, პოპულარულ დრამებში, ყველა თანამედროვე სახვითი ხელოვნების დარგებით თუ ზეპირსიტყვიერებით ცდილობენ შემოინახონ წმინდანთა ცხოვრების, დღესასწაულებისა და მნიშვნელოვანი მოვლენების ილუსტრაციები.[35]

ლიტერატურული წყაროების მიხედვით, წმინდა ევსტათის კულტი საფრანგეთში XII საუკუნეში ჩნდება.[36] წმინდანის ცხოვრების სიუჟეტი შუა საუკუნეების საფრანგეთის საყვარელი თემა გახდა, მისი ცხოვრებისეული „დრამა“ ამ ეპოქის ხელოვნებისთვის მომხიბლავი და მისაღები იყო, რაზეც მეტყველებს მისი გამოსახულებების სიმრავლე (ოსერის, ლემანის, ტურის ვიტრაჟები და სხვ.).[37]

შუა საუკუნეების საფრანგეთში წმ. ევსტათის გამოსახულებები იკავებს მნიშვნელოვან ადგილს კათედრალებში. კომპოზიციების განთავსების ადგილი საქართველოში თუ უმეტესად კარ-სარკმელთა, ფასადების, კანკელისა და სტელის წახნაგს წარმოადგენს, საფრაგეთში ძირითადად ვიტრაჟების, ტრაპეზის, ტიმპანის და პორტალის შემკულობისას მიმართავენ, მის ცალკეულ სიმბოლოს ზოგჯერ ფასადების ზედა ნაწილში ფრონტონზეც ვხვდებით (მაგ., პარიზის წმ. ევსტათის ტაძარი, XIII ს.).

მოძიებული ნიმუშების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, ნადირობის თემატიკაზე შესრულებული რელიეფები საფრანგეთში უფრო მეტი შემორჩა, ვიდრე საქართველოში. ფრანგული ძეგლებიდან აღსანიშნავია წმ. ევსტათის რელიეფური კომპოზიცია **ვეზლეს** წმ. მარიამ მაგდალინელის ბაზილიკის ნართექსის კაპიტელზე (1120-1150 წწ.) (***სურ. 8.),*** **შარტრის** ჩრდილოეთის ნავის ვიტრაჟი (XIII ს-ის I ნახ.) (***სურ. 9.),*** მის ცხოვრებას ასახავს ამავე პერიოდის **ტურის სენ გატიენის კათედრალის** (XIII ს.) (***სურ. 10)***, **სენ დენის** ბაზილიკის ტრაპეზის რელიეფი (XIII ს.) ***(სურ. 11),*** წმ. ევსტათის სა-

[35] É. Male. l'Art religieux du XIII^e siècle en France, Étude sur l'iconographie du moyen âge et sur ses sources d'inspiration. Paris. 1898, გვ. 347.

[36] M. Denis. la Légende de Saint Hubert, გვ. 39.

[37] M. Denis. la Légende de Saint Hubert, გვ. 39.

ხელზეა აგებული **პარიზის კათედრალი** (XIII ს.). გვიან შუა საუკუნეებში საფრანგეთში პლაკიდას ცხოვრების ეპიზოდის გამოსახვა ადგილს ჰუბერტის ხილვის იკონოგრაფიულ სქემას უთმობს. პლაკიდას თემა კი წიგნის მინიატურაში განაგრძობს არსებობას. მინიატურების უამრავი ნიმუში საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერების დეპარტამენტშია დაცული, მაგ., იაკობ დე ვორაგინეს „ოქროს ლეგენდა“ (XV ს.), ვინსენტ დე ბოვეს ენციკლოპედია (speculum historiale) (XIV ს.) და ა.შ. მინიატურებშიც, ძირითადად, მლოცველი პლაკიდა ქვეითად, ირმის წინაშე დაჩოქილი გამოისახება, ირმის რქებს შორის კი მაცხოვრის მონუმენტური თავია წარმოდგენილი. მას ვხვდებით საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა დეპარტამენტში დაცულ XIV-XV სს-ის ფრანგულ ხელნაწერებშიც, მაგ., წმ. ევსტათის ხილვა, წმინდანთა ცხოვრება, ფრანგული ხელნაწერი (183, 231v) (XIV ს.). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წმ. ჰუბერტის კულტის გაძლიერების პარალელურად წმ. ევსტათის თემატიკა არ არის დავიწყებული. საფრანგეთის გარდა, მისი ხილვის სიუჟეტებს ვხვდებით იტალიაში, გერმანიასა და ინგლისში. როგორც რენესანსის ფერწერაში (მაგ., წმ. ევსტათის ხილვა, პიზანელო, 1438-1442 წწ., ლონდონის ეროვნული გალერეა, გერმანელი ალბრეხტ დიურერის წმ. ევსტათის ხილვა (1501 წ.), სენ ლუის ხელოვნების მუზეუმი (აშშ), უცნობი მხატვრის წმ. ევსტათი, 1500 წ. გერმანია და ა.შ.), ისე კედლის მხატვრობაში (ინგლისში კენტერბერის კათედრალის კედლის მხატვრობა (1480 წ.)).



სურ. 8. ვეზლეს წმ. მარიამ მაგდალინელის ბაზილიკის ნართექსის კაპიტელი (1120-1150 წწ.), საფრანგეთი



სურ. 9. შარტრის ჩრდილოეთის ნავის ვიტრაჟი (XIII ს-ის I ნახ.), საფრანგეთი.



სურ. 10. ტურის სენ გატიენის კათედრალის ვიტრაჟი (XIII ს.), საფრანგეთი.



სურ. 11. სენ დენის ბაზილიკის ტრაპეზის რელიეფი (XIIIს), საფრანგეთი.

ფრანგულ ხელოვნებაში მოძიებული ნადირობის კომპოზიციებიდან ყველაზე ადრეულია XII საუკუნის „წმ. ევსტათის ნადირობა“ ვეზლეს წმ. მარიამ მაგდალინელის ბაზილიკის ნართექსის კაპიტელის რელიეფზე (1120-1150 წწ.). მისი თავისებურება ისაა, რომ ქართულის მსგავსად მხედარი პლაკიდაა ნადირობის მომენტში გამოსახული და არა მლოცველი, ქართულისგან განსხვავებით საყვირით ხელში ნადირობს (ეს სახასიათოა ფრანგული სცენებისთვის). კომპოზიციაში არ გვაქვს იკონოგრაფიული სქემის აუცილებელი ნიშანი – ირმის რქებს შორის მაცხოვრის ან ჯვრის გამოსახულება. აქ წარმოდგენილია მხოლოდ ერთი მომენტი – ნადირობა თეოფანიის გარეშე. ძაღლის ფიგურაც მხედარზეა დამოკიდებული, მოქაჩული თოკით მართავს, დევნილი ცხოველის წინ თავდასხმის მომენტში აკავებს. ცხენის, ძაღლისა და ცხოველის ფიგურა სიმეტრიულია. ფიგურებს შორის თავისუფალი არეები შევსებულია ვაზის მტევნებით და ყლორტებით. მცენარეული ორნამენტის – რბილი, დენადი ხაზის კონტურები დინამიკურობას ანიჭებს კომპოზიციას.

ქართული კომპოზიციებისგან განსხვავებით, ევროპულ წმ. ევსტათის სცენებში ძირითადად ამბის თხრობა ხდება. ქართულ ხელოვნებაში ერთ კომპოზიციაშია გაერთიანებული ნადირობა და მაცხოვრის გამოცხადება, ფრანგულში კი ძირითადად ცალკე გამოისახება ნადირობა, ცალკე თეოფანია. მაგ., შარტრის ჩრდილოეთის ნავის ვიტრაჟზე (XIII ს-ის I ნახ.) რამდენიმე კომპოზიციაა: ცენტრში ნადირობა, სადაც გამოსახულია ორი მხედარი, ირმების დევნის მომენტში, ცენტრალური ფიგურა ვეზლეს მსგავსად ხელში საყვირითაა წარმოდგენილი, კომპოზიციაში ჩართულია ძაღლის ფიგურები. ვიტრაჟის ცენტრალური კომპოზიციის ირგვლივ წრიულ მედალიონებში ჩასმულია ქვეითი ადამიანის ფიგურები ძაღლის ჯგუფებთან ერთად. ნადირობის ზემოთ მარცხენა მხარეს წარმოდგენილია ხილვის სცენა, მარჯვენა მხარეს კი წმინდანის ნათლობა. მედალიონში, ცენტრში ცალ-მუხლზე დაჩოქილი ევსტათი ვედრების პოზაშია წარმოდგენილი ირმის წინაშე, ირემი რქებს შორის მონუმენტური ჯვრის გამოსახულებითაა. ხელით მოზიდული აქვს ცხენის აღვირი. მის თავზე ციდან გადმოსული მაკურთხებელი მარჯვენაა წარმოდგენილი, რაც იშვიათად გვხვდება ფრანგულ ხელოვნებაში, ქართულში კი არსად გამოვლენილა. აღნიშნული დეტალის – მაკურთხებელი მარჯვენის ჩართვა სიუჟეტში ასოციაციას იწვევს გვიან პერიოდში ჰუბერტის იკონოგრაფიული სქემაში შემუშავებული ციდან გადმოსული ანგელოზის ფიგურასთან. ვიტრაჟების ფერებით შექმნილი კონტრასტები თეოფანიის შთაბეჭდილებებს ამძაფრებს.

წმ. ევსტათის ცხოვრებას ასახავს ამავე პერიოდის ტურის სენ გატიენის კათედრალის ვიტრაჟი (XIII ს.). აქაც რამდენიმე კომპოზიცია ეძღვნება წმინდანის ცხოვრების ეპიზოდებს: ნადირობა, ხილვა, წამება რვალის კუროში... ნადირობის სცენაში შარტრისგან განსხვავებით სამი ფიგურაა გამოსახული: მხედარი საყვირით ხელში მიემართება ირმისკენ. ძაღლი თავს ესხმის ირემს. ვიტრაჟები მუქი ტონალობითაა გადაწყვეტილი, თეთრი ფერისაა ძაღლის ფიგურა, ირმის რქები და ცხენი. ევსტათის სამოსი, მუქ მწვანე კაბაზე წითელი მოსასხამით კონტრასტს ქმნის. ნადირობის სცენაში წმ. ევსტათი სამკუთხა წითელი ქუდითაა გამოსახული, რაც მის ერისკაცობაზე მიანიშნებს.

ნადირობის სცენაში თუ ერისკაცი „მდევარი“ პლაკიდაა მოცემული (ირმის დევნის მომენტში), ხილვის კომპოზიციაში წმინდანი წარმოდგენილია როგორც „ირმისგან მონადირებული“ „მაცხოვრის მიმდევარი“. ქვეითი ფიგურა მორჩილად, ოდნავ მოხრილი ფეხებით და ზეაპყრობილი ხელებით მიემართება ირმისკენ, საყვირი გვერდზე აქვს გადაკიდებული, თავზე აქაც სამკუთხა

ქუდი ახურავს (მწვანე ფერის), მის წმინდანობაზე მიანიშნებს წითელი შარავანდედი. ირემს თავი მოტრიალებული აქვს პლაკიდასკენ, შარტრისგან განსხვავებით, მის რქებს შორის წითელ შარავანდედში ჯვრის მაგიერ თეთრსახიანი მაცხოვარია (ნათების აღსანიშნავად) გამოსახული.

შუა საუკუნეების ფრანგული სკულპტურის ძეგლებიდან „წმ. ევსტათი პლაკიდას“ ხილვის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ XIII საუკუნის სენ დენის ბაზილიკის ტრაპეზის რელიეფი (XIIIს). აქაც შარტრის მსგავსად ამბის თხრობა გვაქვს წარმოდგენილი: ევსტათის ისტორიის საკვანძო მომენტებია გამოსახული – ქრისტეს რჯულზე მოქცევა, ნათლობა, განსაცდელები (შვილების დაკარგვა) და მოწამეობრივი აღსასრული (სულის ხსნის იდეა). თეოფანიის-ღვთის გამოცხადების კომპოზიცია, თავის მხრივ, უფლის დიდებასაც ასახავს.

ტრაპეზის ჰორიზონტალური ქვის ფილა მოჩარჩოებულია სწორკუთხა, შუაში ჩაჭრილი ზოლით. მოჩარჩოება ცენტრში სამყურა თაღის ფორმითაა ამაღლებული, რითაც მის ქვეშ გამოსახულ ჯვარცმის კომპოზიციას ესატყვისება. ჰორიზონტალურად გადაწყვეტილი კომპოზიცია მოგვითხრობს წმ. ევსტათის ცხოვრების მნიშვნელოვან ეპიზოდებს: ხილვა – ევსტათის სულიერი ცხოვრების დასაწყისი, ნათლობა ოჯახთან ერთად, ამბის თხრობა იწყება ნადირობის სცენით, „თეოფანიით“ – წმ. დასაწყისით, მდინარის გადაკვეთა და შვილების დაკარგვა, ამბავი სრულდება მისი ოჯახის „რვალის კუროში“ წამებით. ტურის სენ გატიენის ვიტრაჟის მსგავსად აქაც წარმოდგენილია ირმის (რქებს შორის მაცხოვრის გამოსახულებით) წინაშე დაჩოქილი მლოცველი პლაკიდა. ვეზლეს, შარტრის, ტურის კომპოზიციებისგან განსხვავებით წმინდანი აქ საყვირის გარეშეა გამოსახული.

ქართული მაგალითებისგან განსხვავებით ნადირობაში არა დევნის, შეპირისპირების და თავდასხმის მომენტი, არამედ თეოფანიის შემდგომი ეტაპია ხაზგასმული – ქრისტეს ხილვით სარწმუნოებაზე მოქცეული მხედრის მიერ უფლის აღიარება. მხატვრული დამუშავებით მოგვაგონებს ქართული იოანე ნათლისმცემლის ირმის სახეს: გრძელი კისერი დაგვირგვინებული რბილი, ნახევარწრიული ხაზებით შექმნილი დატოტვილი რქები, რომელიც იმეორებს მასში ჩაწერილი მაცხოვრის შარავანდედის სილუეტს. ფიგურების შესრულების მანერა მაღალი ოსტატობით გამოირჩევა, დეტალების დამუშავებით ექსპრესიულობა ენიჭება რელიეფს. ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, სულის ხსნის თემა რწმენის გზით დათმენის, ბოროტის ძლევის იდეასთან ერთადაა გააზრებული.

როგორც აღვნიშნეთ, XV-XVI საუკუნეებში საფრანგეთში რელიეფურ კომპოზიციებსა და მხატვრობაში მეტ პოპულარობას წმინდა ჰუბერტის ნადირობის სცენა იძენს. საგულისხმოა, რომ წმინდა მოწამის-ევსტათის ხილვის სიუჟეტი და ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა საფუძვლად დაედო კათოლიკურ სამყაროში გავრცელებულ წმინდა ჰუბერტის ხილვის იკონოგრაფიულ სქემას. ეს აიხსნება იმით, რომ წმ. ჰუბერტის სულიერი გარდატეხაც პლაკიდას მსგავსად ნადირობის დროს მომხდარ ხილვასთანაა დაკავშირებული.

XV-XVI საუკუნეებში მრავალად იგება წმ. ჰუბერტის სახელობის პატარა სამლოცველოები (ამბუაზის, შოვირე-ლე-შატლეს, არდენის და სხვ.). ჰუბერტის იკონოგრაფიული სქემის საინტერესო ნიმუშია მოცემული: **ამბუაზის** წმ. ჰუბერტის სამლოცველოს პორტალის რელიეფზე (XV ს.), **შოვირე-ლე-შატლეს** წმინდა ჰუბერტის სამლოცველოს ტრაპეზის (XV ს.), **რაჰინგის** წმინდა ჰუბერტის სამლოცველოს ბარელიეფებზე (XV ს.), **ტალანის** ღვთისმშობლის ტაძრის ტრაპეზის ბარელიეფი (XVI ს.), **ტურელის სენ მარტინის** ბარელიეფი (XVI ს.), **არდენის** ტიმპანის რელიეფი (XVIს).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წმ. ჰუბერტის სახელობის სამლოცველო ინგლისშიცაა, იდსეორთში. იგი აგებულია 1030 წელს, თუმცა თავდაპირველად წმ. პეტრესა და პავლეს სახელობის იყო. ხოლო ჰუბერტის სახელი მე-19 საუკუნეში მიიღო, მას შემდეგ, რაც სამლოცველოს ჩრდილოეთის კედელზე შემორჩენილი შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა შეისწავლეს, სადაც გამოსახულია წმ. ჰუბერტი იოანე ნათლისმცემელთან ერთად (მხატვრობა დათარიღებულია 1330 წლით).[38]

ისე როგორც ევსტათის ხილვას, ჰუბერტის თემატიკასაც რენესანსის ფერწერაში XV-XVI საუკუნეების ნიდერლანდელ მხატვრებთანაც ვხვდებით, მაგ., წმ. ჰუბერტის გადასვენება ლიეჟის წმ. პეტრეს ტაძარში, როგირ ვან დერ ვეიდენი, 1437 წ., წმ. ჰუბერტის ხილვა, პიტერ ბრეიგელი და რუბენსი, 1617 წ., მადრიდი, პრადოს მუზეუმი. წმ. ჰუბერტის ხილვას გადმოსცემს წმ. პატრიკის ბაზილიკის ვიტრაჟები, ოტავა, კანადა, 1898 წ. (შესრულებულია გერმანული ფრანც მეიერის კომპანიის დიზაინით). ჰერინგსველის წმ. ეკატერინეს ტაძრის ვიტრაჟები, 1902 წ. ინგლისი.

წმინდა ჰუბერტის რელიეფური ქანდაკების საინტერესო მაგალითი გვაქვს გოთური სტილის **ამბუაზის წმ. ჰუბერტის სამლოცველოს პორტალზე (XV ს.)**.[39]

[38] http://www.hampshire-history.com/series/south-east-hampshire-churches.

[39] როგორც ცნობილია, ამ ეკლესიაში ლეონარდო და ვინჩია დასაფლავებული.

ამ შედევრის გემოვნებიანი ავტორები ცნობილია, მუშაობდა სამი ოსტატი – პიერ მინარი, კასინ დუტრეხტი, და კორნილ დე ნეფი.[40] კომპოზიცია ჰორიზონტალურად იშლება, მარჯვენა მხარეს ცალ მუხლზე დაჩოქილი ჰუბერტია წარმოდგენილი, რომელსაც მარცხენა ხელით ცხენის აღვირი აქვს მოქაჩული, მარჯვენათი კი ქუდს იხდის ირმის წინაშე, ამ რაინდული ჟესტით თითქოს პატივისცემას გამოხატავს. მის თავზე ირიბად მფრინავი ანგელოზის ფიგურას გვირგვინი აქვს გაწვდილი ჰუბერტის ქუდისკენ. ჰუბერტი და ირემი აქაც ერთმანეთის პირისპირ გამოისახებიან. ძაღლების ჯგუფიდან ერთი დაჩოქილია ირმის წინაშე, ორი კი თავდასხმისთვისაა მომზადებული, ირმის რქებს შორის ჯვარცმული მაცხოვარია გამოსახული. ირემი თითქოს დაღმართზე დგას. კლდოვანი ქარაფი ნადირობის სცენას გამოჰყოფს მარცხენა არეში გამოსახული ფიგურებისგან – წმ. ქრისტეფორე მხრებზე მაცხოვრით და კუთხეში წმინდა ანტონი დიდი თავის სენაკში, ღორთან ერთად.[41] წმ. ქრისტეფორეს ატრიბუტია ჯოხი და წვერი, როგორც მეუდაბნოესი. იგი ქრისტიანულ ხელოვნებაში სიძლიერის სიმბოლოა. ქრისტეფორე ჰერკულესის ალეგორიული სახეა, შუა საუკუნეების საბერძნეთში მაშინ, როცა მითოლოგიური გმირი ქრებოდა, ქრისტიანულმა ხელოვნებამ იგი ახალი ფორმით – ქრისტეფორეს სახით ააღორძინა.[42]



სურ.12. **ამბუაზის** წმ. ჰუბერტის სამლოცველოს პორტალის რელიეფი (XVს)

წმინდა ანტონი კი ისეა გადმოხრილი, თითქოს თვალს ადევნებს კომპოზიციაში მიმდინარე მოვლენას. თავისუფალი არეები დატვირთულია სხვა-

[40] J. P. Babelon. le Château d'Amboise. 2004, გვ. 60.
[41] J. P. Babelon. le Château d'Amboise, გვ. 60.
[42] É. Male. l'Art religieux du XIII^e siècle en France, გვ. 354.

დასხვა ზომის ხეებით, პლანებად განლაგებული ფოთლოვანი ხეებით ტყის იმიტაციაა შექმნილი, ბუნებას რეალისტურად გადმოსცემს. ბნელ, შეღრმავებულ ადგილებში გამოყოფილი სხვადასხვა ცხოველის თავი საშიშროების განცდას ბადებს, ამქვეყნიურ ბოროტებას მოასწავებს. შესაძლოა, წმ. ანტონი დიდის გამოსახვა და მისი დაკავშირება ჰუბერტთან სიმბოლურ-ალეგორიული ხასიათისაა. იგი ქრისტიანულ სამყაროში მონაზვნური ცხოვრების ფუძემდებლად ითვლება. მისი ჩართვა კომპოზიციაში მინიშნებას გვაძლევს. შესაძლოა, მოასწავებს თეოფანიის შემდეგ ჰუბერტის სულიერ გარდატეხას, მონაზვნური ცხოვრების დასაწყისს.

მოქანდაკემ შემოქმედებითად გადაამუშავა ცნობილი სცენა. ფონიდან მკვეთრად ამოზრდილი ფიგურების ელასტიური, რბილი კონტური ფიგურების ექსპრესიულ დინამიკას ქმნის. ჰორიზონტალური კომპოზიციის ცენტრს კლდის ქარაფთან მდგომი ირემი წარმოადგენს. იკონოგრაფიულად და შინაარსობრივადაც ირემია ხაზსგასმული, მთავარი სიმბოლური პერსონაჟი, რომლის საშუალებითაც ხდება მაცხოვრის გაცხადება და რომლის გზითაც მყარდება კავშირი ადამიანსა და უფალს შორის. დანარჩენი ფიგურები მის მარჯვენა და მარცხენა მხარეს იშლება. დეტალურადაა დამუშავებული კომპოზიციის თითოეული ელემენტი. ნათლად იკითხება ჰუბერტის დრაპირებული სამოსი, პარიკივით დადებული მხრებამდე დაყრილი ხვეული თმა. ირიბად მოთავსებული ანგელოზის ფიგურა, ფრთების მოხაზულობა, პოზა – მსუბუქად ფრენის შთაბეჭდილებას ქმნის. ქრისტეფორის და ჰუბერტის ფიგურები ტანით პირდაპირ მაყურებლისკენაა მომართული სახით პროფილში შეტრიალებული ჯვარცმის მიმართულებით. ფიგურების განლაგებით სხეულის პოზების ცვალებადობით სიმეტრია იქმნება. დეტალები პროპორციულად, თანაზომიერად ცენტრისკენაა მიმართული. ცოცხალი, დინამიკური პოზები ექსპრესიულს ქმნის კომპოზიციას. ერთმანეთს ენაცვლება ქაოსის, სიმშვიდის, მოსალოდნელი საფრთხის და დიდების შთაბეჭდილებები.

შემოკლებული იკონოგრაფიული რედაქციით გვაქვს **შოვირე-ლე-შატლეს** (XV ს.) ***(სურ. 13.)*** **რაჰინგის** ბარელიეფი (XV ს.) ***(სურ. 14)*** და **ტურელის სენ მარტინის** ჰუბერტის ხილვის სცენა (XVI ს.). ჰუბერტის ნადირობის ვრცელი იკონოგრაფიული რედაქციაა მოცემული **ტალანის** ტრაპეზის ბარელიეფზე (XVI ს.) ***(სურ. 15)***. განსხვავებული იკონოგრაფიული სქემა გვაქვს **არდენის** ტიმპანის რელიეფზე (XVI ს.) ***(სურ. 16)***.



სურ. 13. წმ. ჰუბერტის ხილვა, შოვირე-ლე-შატლეს რელიეფი, (XV ს.) საფრანგეთი.



სურ. 14. წმ. ჰუბერტის ხილვა, რაჰინგის ბარელიეფი (XV ს.), საფრანგეთი



სურ. 15. ჰუბერტის ნადირობის კომპოზიცია, ტალანის ტრაპეზის ბარელიეფი (XVI ს.), საფრანგეთი.



სურ. 16. წმ. ჰუბერტის ხილვა, არდენის ტიმპანის რელიეფი, XVI ს.

დასახელებულ კომპოზიციებში ყველგან ქვეითი, მლოცველი ჰუბერტია გამოსახული ირმის პირისპირ (ფრანგული ევსტათის მსგავსად), მათგან განსხვავებით არდენის ტიმპანზე მხედარი წმინდანია წარმოდგენილი. ყველა სცენაში ირმის რქებს შორის ჯვარცმული მაცხოვარია. გამონაკლისია არდენის რელიეფი, სადაც ჯვარცმას ჯვარი ანაცვლებს. წმ. ჰუბერტი ევსტათის კომპოზიციების მსგავსად, ძირითადად, გვერდზე გადაკიდებული საყვირით და ხმლით გამოისახება (არდენის და რაჰინგის გარდა), რაჰინგზე ხმლის მაგიერ სანადირო იარაღი შუბია. ტალანის და არდენის რელიეფზე ცენტრში გამოსახული ხე კომპოზიციას ორ ნაწილად ჰყოფს. ხე ტალანზე წმ. ჰუბერტს და ირემს გამოყოფს ამალისგან, არდენზე წმ. ჰუბერტს და ირემს მიჯნავს ერ-

თმანეთისგან. ასეთი დაყოფით თითქოს მიწიერი და ზეციური სამყაროს ხაზგასმა ხდება, რომელსაც ერთმანეთთან სიცოცხლის ხე აკავშირებს. ხაზგასმულია „სიცოცხლის ხის“ მნიშვნელობა. შოვირე ლე შატლეს, რაჰინგის, ტალანის, ტურელის რელიეფებზე ანგელოზის ნახევარფიგურებია გამოსახული. არდენზე კი ამბუაზის მსგავსად ანგელოზის მთლიანი ფიგურა ომოფორით ხელში. შოვირე ლე შატლეს კომპოზიციაში თითქოს ნახევარფიგურების გამოსახვა ქვის ფილის ფორმითაა ნაკარნახევი, ოსტატი საგნის ტექტონიკიდან გამომდინარეობდა. სტილისტურად ახასიათებს პირობითობა, ცალკეული დეტალების მასშტაბების გაზრდით შინაარსობრივ აქცენტებს სვამს, მაგალითად, ჰუბერტის გაზრდილი ხელის მტევნებით ვედრების, ლოცვის მომენტია ხაზგასმული. ტურელის რელიეფზე ანგელოზს გადაკეცილი ომოფორი უკავია, დანარჩენებში კი გაშლილია კურთხევის მომენტში. არდენის რელიეფზე ომოფორის ერთი ბოლო ანგელოზს უკავია, მეორე წმინდანს. ამბუაზის მსგავსად არდენზეც მოხდილი ქუდითაა წარმოდგენილი, თუმცა ქუდი გვერდზე აქვს გაწეული და არა ირმის წინაშე. არდენზე წმინდანი სახით მაყურებლისკენაა მომართული და არა ირმისკენ. ირემი კი თითქოს ანგელოზის მიერ წმინდანის კურთხევის მომენტს თვალს ადევნებს. დანარჩენი კომპოზიციებისგან განსხვავებით ირემი დევნის მომენტშია გამოსახული, თავი მოტრიალებული აქვს ჰუბერტისკენ, ტანის საპირისპიროდ. ირემს ძაღლები თავს ესხმიან, მის მიღმა ფონს არქიტექტურული დეტალი ქმნის. ჰუბერტი კი მშვიდი, გაწონასწორებული პოზით უპირისპირდება მარცხენა მხარეს შექმნილ დაძაბულ მომენტს. ჰუბერტის უკან ნახევრად შიშველი მამაკაცის ფიგურაა წარმოდგენილი. შესაძლოა ადამის ალეგორიული სახე. როგორც ადამიანის დაცემის, ცოდვებისა და მიწიერი ცხოვრების შეხსენება.

ამრიგად, შუა საუკუნეების ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში გამოიკვეთა წმ. ევსტათი პლაკიდას ნადირობის კომპოზიციები, ხოლო დასავლეთ ევროპულში – წმ. ევსტათის და მის პარალელურად წმ. ჰუბერტის ნადირობისა და ხილვის სცენები.

წმ. ევსტათი II საუკუნის რომაელი წმინდანია, ეპოქის, როცა წარმართობასთან ბრძოლით ჯერ კიდევ მკვიდრდება ქრისტიანული სარწმუნოება. წმ. ჰუბერტი კი VII-VIII საუკუნეების ფრანკი რაინდია. წმ. ევსტათის ნადირობის სცენა ალმოსავლურმა ქრისტიანულმა ხელოვნებამ უფრო ადრე მიიღო, ვიდრე დასავლეთ ევროპულმა.

მოძიებული მასალების საფუძველზე ჩანს, რომ წმ. ევსტათის თემატიკა ქართულთან შედარებით მეტი პოპულარობით საფრანგეთში სარგებლობდა.

წმ. ევსტათის სახელზე აგებული ტაძრები, წმინდანის ცხოვრების ამსახველი ვიტრაჟები, რელიეფური სცენები, მინიატურები და მისი ვარიაცია „წმ. ჰუბერტის“ სახით აშკარას გაძლიერებულ კულტზე მეტყველებს.

განხილული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ფრანგული წმ. ევსტათის და წმ. ჰუბერტის ნადირობის კომპოზიციის იკონოგრაფიული სქემის თავისებურებები: ცალ მხარეს გამოისახება წმინდანი ირმის პირისპირ, ძირითადად, დაჩოქილი, „ვედრების“ პოზაში გამონაკლისია ვეზლეს კაპიტელის რელიეფი, სადაც მხედარი პლაკიდაა წარმოდგენილი. ქართულისგან განსხვავებით წმ. ევსტათის ნადირობისა და ხილვის სცენა გამიჯნულია ერთამანეთისგან, ცალკეა ნადირობისა და ირმის დევნის მომენტი, ცალკე მაცხოვრის ხილვის სცენა. ქართულში კი ნადირობა და „თეოფანია“ გაერთიანებულია. ირმის რქებს შორის ევსტათის შემთხვევაში ქართულის მსგავად უმეტესად მაცხოვრის გამოსახულება გვაქვს, ზოგან მას ჯვარი (მაგ., შარტრი), იშვიათად კი ჯვარცმა (მაგ., ვინსენტ ბოვეს ენციკლოპედია, XIV ს.) ცვლის. ჰუბერტის შემთხვევაში კი აუცილებლად „ჯვარცმული“ მაცხოვარი გამოისახება, იშვიათად ჯვარი (მაგ., არდენი). ქართულში არ გვაქვს ცის სეგმენტი, ფრანგულ პლაკიდას ხილვაში კი ზოგჯერ მაკურთხებელი მარჯვენა ერთვება, ხოლო ჰუბერტის შემთხვევაში აუცილებელი პერსონაჟია ციდან გადმოსული ანგელოზი ომოფორით ხელში. ქართულისგან განსხვავებით, ფრანგული წმ. პლაკიდა და წმ. ჰუბერტი ხშირად საყვირით გამოისახება, სხვადასხვა ინტერპრეტაციით – ზოგან მომართული საყვირით (ნადირობის სცენებში), ზოგან ხმალთან ერთად გვერდზე გადაკიდებული (ხილვის მომენტში). ეს დამოკიდებულია სიუჟეტის თხრობაზე, რომელსაც გადმოგვცემს კომპოზიცია. ფრანგულში წმ. ევსტათის ხილვის რამდენიმე იკონოგრაფიული სქემის ვარიანტია – ქვეითი პლაკიდა ირმის პირისპირ დაჩოქილი (მაგ., შარტრი, სენ დენის რელიეფი, პარიზის წმ. ევსტათის ტაძრის კედლის მხატვრობა), ქვეითი პლაკიდა ირმის მიმდევარი (ტურის სენ გატიენის ვიტრაჟი). ჰუბერტის სცენები გამდიდრებულია ბიბლიური ალეგორიული პერსონაჟებით: ადამი, ანტონ დიდი, ქრისტეფორე. მათი ჩართვით სიუჟეტში ხილვის შემდგომი ცხოვრების სიმბოლური მინიშნებებია მოცემული. საფრანგეთში ქართულის მსგავსად გვაქვს ნადირობის სცენების ვრცელი და შემოკლებული რედაქციები. ვრცელ რედაქციებში კომპოზიცია გამდიდრებულია ძაღლების ჯგუფით, ადამიანების ფიგურებით და მცენარეული ორნამენტით.

ფრანგულ ხელოვნებაში წმ. პლაკიდა, ქართული იკონოგრაფიული სქემისგან განსხვავებით, სადაც უფრო მკვეთრადაა ერთმანეთთან დაპირისპირებუ-

ლი მიწიერი და ზეციური საწყისი, ბრძოლა ქრისტიანობასა და „წარმართობას“ შორის, ქრისტეს ტრიუმფი, განსაცდელები, ბოლოს წამებით აღსასრული, დათმენა და ამით მოპოვებული მარადიულობა, ფრანგულ იკონოგრაფიულ სქემაში განსხვავებულად იკითხება. აქ მეტია ამბის თხრობითობის ელემენტი, საერო მოტივები. ქართულში კი სიმბოლური მინიშნებების როლი ჭარბობს.

წმინდა ევსტათის ნადირობის სცენის პოპულარობა საქართველოში აიხსნება იმით, რომ აღნიშნული სიუჟეტი ქართველთათვის მირიან მეფის ნადირობისას მომხდარი სასწაულის შედეგად მისი ქრისტეს რჯულზე მოქცევის ისტორიასთან ასოცირდებოდა. შესაძლოა, ამ ორი მოვლენის შერწყმით უფლის გამოჩინებისა და ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევის განზოგადებული ხატი იყოს წარმოდგენილი.[43]

წმ. ჰუბერტის პოპულარობა კი შეგვიძლია ავხსნათ საფრანგეთში ეროვნული წმინდანის და ისტორიული პირის წინ წამოწევის მცდელობით. ვიწაიდან, XV საუკუნე საფრანგეთში არის რთული ისტორიული პერიოდი, მიმდინარეობს სასტიკი ბრძოლები, ფეოდალური დაყოფები. საფრანგეთ-ინგლისის ასწლიანმა ომმა (1337-1458) მძლავრად იმოქმედა საფრანგეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ბრძოლების შედეგად გაძლიერდა ფეოდალური ანარქია. საფრანგეთი ცდილობს დაიცვას ქვეყნის ინტერესები, წარმოაჩინოს თავისი ღირებულებები, შეინარჩუნოს თვითმყოფადობა. ფორმულირდება ახალი მოტივები, ფრანგული რენესანსის რეალისტური საერო თემატიკის გაძლიერება ხდება.[44] საფრანგეთში ამ პერიოდშიც ძლიერია გოთიკა. XV საუკუნის ფრანგული რენესანსი თავისულდება შუა საუკუნეების დოგმებისაგან, სასულიერო და საერო თემატიკის სინთეზით, ჰუმანური იდეებით ატარებს ეროვნულ ხასიათს.[45] სავარაუდოდ, ამან განაპირობა ის, რომ ადრეული შუა საუკუნეების წმ. ევსტათის ასკეტური ცხოვრება და მოწამეობა აღორძინების ხანის ჰუმანურ იდეოლოგიაში ჩნდება ისტორიული პირის, ერისკაცი ჰუბერტის სასულიერო გზაზე შედგომის იდეა, ეროვნული წმინდანის წინ წამოწევა.

აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის ფრანგი წმინდანის ცხოვრების სიუჟეტის „აღორძინება“ ქრისტიანულ ხელოვნებაში. იგი სიცოცხლეშივე იყო აღიარებული და მიღებული რომის პაპის მიერ, ჰუბერტის მოღვაწეობა, მისი ეპისკოპოსობა ფრანგებისთვის პრიორიტეტული და საამაყო იყო.

[43] თ. დადიანი, ე. კვაჭატაძე, თ. ხუნდაძე. შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება, გვ. 24-25.
[44] Ю. Д. Колпинский, Е. И. Ротенберг. Все Общая История Искусств. Т. III. М. 1962, გვ. 417.
[45] Ю. Д. Колпинский, Е. И. Ротенберг. Все Общая История Искусств. Т. III, გვ. 418.

და მაშინ როცა წმინდანების კულტი ყალიბდებოდა, ნადირობისა და მონადირეების მფარველად ფრანგებმა აირჩიეს არა რომაელი, არამედ ეროვნული წმინდანი. მისი კულტი აქტუალური იყო იმ ქვეყნებშიც, რომლებსაც უკავშირდებოდა წმ. ჰუბერტის მოღვაწეობა (ლიეჟის და მაასტრიხტის ეპისკოპოსობა) – ბელგია, ინგლისი, გერმანია, ნიდერლანდები.

სტილისტური თვალსაზრისით შუა საუკუნეების ფრანგული სკულპტურა სიმბოლიზირებულია, სიუჟეტები იდეალისტური. დამუშავების მხრივ ახასიათებს ფონიდან მკვეთრად ამოსული მომრგვალებული დახვეწილი ფორმები, ზოგან ანტიკური სკულპტურის გავლენაც შეინიშნება – რბილი კონტური, სამოსის დამუშავება, დეტალების დამუშავების ხაზგასმით აქცენტებია დასმული მნიშვნელოვან აზრობრივ დატვირთვაზე. ანტიკური ხელოვნებისკენ მიბრუნება რენესანსის ეპოქით შეგვიძლია ავხსნათ. ვინაიდან ეს უკვე რენესანსის პერიოდია, სტილისტურად, მხატვრული ამოცანებით განსხვავებული ეპოქაა.

უნდა აღინიშნოს, რომ თემატიკური სიახლოვის მიუხედავად, იკონოგრაფიული რედაქციები და მათი კომპოზიციური გადაწყვეტა ფრანგულსა და ქართულ მაგალითებში განსხვავებულია ერთმანეთისგან. შუა საუკუნეების ფრანგული ნადირობის კომპოზიციები იკონოგრაფიული სქემების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ფრანგული ქრისტიანული ხელოვნება თავისებური სახის კომპოზიციებს გვთავაზობს. ქართულთან შედარებით მეტი თავისუფლებაა სიუჟეტის გადაწყვეტაში, იცავენ ძირითად სქემას, მაგრამ ინტერპრეტაცია სხვადასხვაა. ეს გამოწვეული უნდა იყოს ადგილობრივი ტრადიციებით, მსოფლმხედველობით, ეპოქით, ისტორიულ-კულტურული მდგომარეობით. თუმცა სკულპტურულ დეკორში გარკვეულად აისახა ქრისტიანული რელიგიური მსოფლმხედველობისთვის დამახასიათებელი საერთო თეოფანიური წარმოდგენები – უფლის აღიარება, უფლის დიდება და სულის ხსნის იდეა.

Nino Goderdzishvili
Theory and History of Art
Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University

ICONOGRAPHIC VARIATIONS OF ST. EUSTACE HUNTING COMPOSITION IN THE MEDIEVAL GEORGIAN AND FRENCH SCULPTURE

Summary

The theme of hunting occupies an important place in a diverse iconographic repertoire of relief sculpture in medieval Christian art. Hunting compositions of St. Eustace were very popular both in Eastern and Western Christian arts.

We find relief scenes with images of hunter-horsemen in different forms and interpretations in continuity from the 6^{th}-7^{th} to the 16^{th} centuries in Georgia. Georgian Christian art presents a specific visual representation – a hunter and its victim – which is mainly represented in St. Eustace Placida's compositions. In addition, we also meet compositions, where a hunter is depicted in an atypical context, for example, in Oshki, Bagrati, Tkoba-Erdi, Sadgeri where we have an image of a hunter-archer. In this case, the task of the study is also to determine the content of the compositions and their meaning.

The aim of the article is collection, definition of interconnection and thorough investigation of the compositions of hunting scenes and scenes of the images of hunter-horsemen together with zoomorphic figures presented in the Georgian Christian art of the Middle Ages, explanation of semantic-symbolic meaning of distinctly expressed features of the compositions, searching of their analogies in the neighbor countries or in the Western European Christian art, and their artistic-stylistic analysis in comparison with them.

Parallel to the hunting scenes of Saint Eustace existing in Georgian art, hunting scenes of Saint Hubert are found in Western European art. Studying and stylistic-semantic analysis of these two phenomena from a single iconographic viewpoint is a novelty.

The article is based on the scientific works of various researchers. Their reflections reinforce our considerations and make the research more profound.

Hunters and victims, archers are present in Western European art, especially in the 12th-16th centuries France. But here, along with Placida's hunting, the episode of St. Hubert's hunting is also relevant. The scene of the vision of St. Hubert narrated in literary sources is similar to that of the vision of St. Eustace. Iconographic schemes of the compositions depicted on the cathedrals are also analogous with slight differences.

It is worth of note that various approaches have been formed in the artistic and stylistic resolution of the compositions of St. Eustace due to different historical conditions and local traditions.

Relief scenes with the images of hunter-horsemen and zoomorphic creatures existing in medieval Georgian and French art are collected in the present article. We made an attempt to group these compositions, examine their contents and symbolic, carry out artistic-stylistic analysis of their iconographic schemes and reveal their peculiarities.

Comprehensive, fundamental study of material shows us this direction of Georgian art in the broader geographic, historic and the world art history context.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIV
თბილისი. 2018

აკაკი ჩიქობავა
თსუ

კლასობრივი ენის საკითხი და ფეოდალური ურთიერთობები

ფეოდალური ურთიერთობების გაღრმავებას თავისი თანმდევი კულტურული ნიშნები ახასიათებს, ასე ვთქვათ, ზედნაშენი მახასიათებლები, რომლებიც ფორმაციის სოციალურ ურთიერთობებს განსაზღვრავს. სოციალური ტეხილები, რომლებმაც ხელი შეუწყო ფეოდალიზმის გამარჯვებას, აღინიშნა ახალი ტერმინების გაჩენით, ან სულაც ძველი სიტყვების ტრანსფორმაციით, მათი სემანტიკის ცვლილებით და ახლით დატვირთვით. შეიცვალა სამყაროს აღქმის მოდელები, რაზეც ქრისტიანულმა კულტურამ დიდი გავლენა იქონია. შესაბამისად, შეიცვალა სიტყვები, რომლებიც ადრეულ ეპოქებში სხვადახვა დატვირთვის მატარებელი იყო. ძირითადად გაჩნდა ახალი ტერმინები, რომლებიც დამოკიდებულისა და მეპატრონის ურთიერთობებს აღნიშნავდნენ, შესაბამისად ფეოდალური საწარმოო ურთიერთობების დინამიკამ განსაზღვრა მათი კლასობრივი ადგილი ენაში. გაჩნდა დროის აღქმის ახალი მოდელები: ფეოდალური დროის აღქმა, საეკლესიო/ლიტურგიკული დრო და ა.შ.[1] მიუხედავად იმისა, რომ დროის აღქმა იმ მოდელის მიხედვით ხდება, რომელ ფორმაციასაც აღწერენ მედიევისტები, ანუ სენიორალური პარადიგმით, მიმაჩნია, რომ ფეოდალური დრო ეს არის დრო უშუალო მწარმოებლისა, რომლის შრომის მიტაცება ხდება მებატონის მიერ, ანუ დროის მიღმა დატოვებული კლასის, რომლის საწინააღმდეგოდ მუშაობს სენიორალური და ლიტურგიკული დროც. მოსაზრება საკამათოა, თუმცა სწორედ იმ დროის პოლიტეკონომიური აღქმა, თუ რა დროს ხარჯავს მშრომელი მებატონის სასარგებლოდ,

[1] რ. ლაბაძე. დროის კონცეფციები თანამედროვე მედიევისტიკაში. ქართველოლოგიური კათედრების (არქეოლოგია, ეთნოლოგია, საქართველოს ისტორია) ახალგაზრდა მეცნიერთა III სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ. 2005, გვ. 61-71.

უნდა მივიჩნიოთ შუასაუკუნეების დროდ. მისი ქვემოდან შესწავლა კი განსაზღვრავს ფეოდალური საწარმოო ურთიერთობების განმაპირობებელი ნიშნების გამოვლენას.

ენის კლასობრიობაზე საუბარი ნიკო მარმა დაიწყო. ვინაიდან ენის კლასობრიობის მარისეულ კონცეფციას ნაწილობრივ ვიზიარებ, უპრიანი იქნება, წარმოვადგინო ის საკვანძო მომენტები მარის კვლევიდან, რომელიც ჩემი შესწავლის ობიქტია. ასევე, მოკლედ მიმივიხილავ იმ დისკუსიას, რომელიც საბჭოთა ენათმეცნიერებაში მიმდინარეობდა მარისეული თეორიების უარსაყოფად.

ნ. მარის განმარტებით, იაფეტოლოგია მხოლოდ კლასობრივი ენების მომხრეა და მათ განვითარებას ტომობრივი საწყისებიდან ხედავს. რადგან ენა, მისი აზრით, კულტურული განვითარების აუცილებელი საჭეა, ენა კი შეუცვლელი იარაღია კლასობრივ ბრძოლაში. არ არსებობს ენა, რომელიც არ ყოფილიყო კლასობრივი და არ არსებობს აზროვნება, რომელიც არ ყოფილიყო, ასევე, კლასობრივი.[2] ნ. მარი ენის ჩასახვასაც კლასობრივ ასპექტში განიხილავდა, რადგან, მისი აზრით, ენა მისნების ხელში ჩაისახა და მას იყენებდნენ, როგორც მანიპულატორ იარაღს.[3] მისივე დაკვირვებით, სხვადასხვა ერის ერთი კლასის ენები უფრო ამჟღავნებენ ტიპოლოგიურ მსგავსებას, ვიდრე ერთ ხალხში სხვადასხვა კლასის ენობრივი მახასიათებლები. ამის დასტურად კი ქართული და სომხური ენები მოჰყავს, ძველი ლიტერატურული ქართული და სომხური ერთმანეთს უფრო მიემსაგავსება, ვიდრე სახალხო ენა და ლიტერატურული ქართული ან სომხური.[4]

ორივე შემთხვევაში ქართულ ეთნოკულტურულ სივრცესა და სომხეთშიც, მსგავსი სოციალურ-პოლიტიკური წყობა იყო. მისი განვითარება კი იდენტურად მიდიოდა. შესაბამისად, მსგავსებები პოლიტიკურ მოწყობაშიც იქნებოდა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ყოველი საქართველო“ სომხურ ტერიტორიებასაც მოიაზრებდა საკუთარ საზღვრებში. ამიტომაც ვეთანხმები აღნიშნულ დაკვირვებას და ქვემოთ ტერმინების ახსნისას მას კლასობრივ ასპექტში გავშლით.

ნ. მარის ამ დაკვირვებას კრიტუკულად უდგება არნ. ჩიქობავა. როგორც ის აღნიშნავს, კლასობრივი მსგავსებების მაგალითები მარს არ მოჰ-

[2] Н. Я. Марр. Язык и мышление. Избранные работы. Т. 3. Ленинград. 1934, გვ. 90-91.

[3] იხ. არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი. თბ. 1952, გვ. 48.

[4] Н. Я. Марр. Почему так трудно стать лингвистом-теоретиком. Избранные работы. Т. 2. 1936, გვ. 415.

ყავს, თუმცა ამგვარ მსგავსებაზე ის ორჯერ წერს, ჯერ 1928 წელს, შემდეგ კი 1930 წელს.[5]

საბჭოთა ენათმეცნიერებაში ენის კლასობრიობაზე დისკუსიები მას შემდეგ გაცხარდა, რაც 1950 წლის 20 ივნისს გაზეთ „პრავდაში" ი. ბ. სტალინის ნაშრომი ენაზე – „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები" გამოიცა.[6] აღნიშნულ წერილში კითხვა-პასუხის ფორმითაა განხილული ენის საკითხი, კერძოდ, ენა არის ბაზისი თუ ზედნაშენი. სტალინი ცალსახა პასუხს სცემს ამ საკითხზე, ენა არ შეიძლება იყოს ბაზისი ან ზედნაშენი და შემდეგ განმარტავს რიგ საკითხებს.[7] კერძოდ, ყველა ბაზისს თავისი ზედნაშენი ახასიათებს, როგორც ფეოდალიზმს ახასიათებს შესაბამისი ზედნაშენი, ასევე, კაპიტალისტური წარმოების წესსაც შესაბამისი ზედნაშენი აქვს.[8] რთულია არ დაეთანხმო სტალინს, რომ ენა არც ბაზისია და არც ზედნაშენი, თუმცა ჩემი კვლევის ობიექტია ფეოდალური ურთიერთობები და ამ პროცესში წარმოქმნილი ან ტრანსფორმირებული ტერმინები. ჩემი დაკვირვებით კი, ნებისმიერ გეოგრაფიულ-ეკონომიკურ არეალში ეს მონაცემები იდენტურია, ამიტომაც კონკრეტული ენობრივი მონაცემები სწორედ რომ ფეოდალური ბაზისის ზედნაშენად შეგვიძლია განვიხილოთ.

სტალინისავე თქმით, რუსეთში რევოლუციის შედეგად ახალი ბაზისი შეიქმნა, რომელსაც ახალი ზედნაშენების გაჩენა მოჰყვა. თუმცა რუსულ ენას არ განუცდია რამე განსაკუთრებული ცვლილება, ახალი ბაზისის შესაბამისად გაჩნდა ახალი სიტყვები და ძველებმა იცვალა მნიშვნელობა, ზოგი კი საერთოდაც გაქრა. თუმცაა ეს პროცესი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მას ენაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია, მითუმეტეს, კლასობრივი ენის ჩამოყალიბების მხრივ. სტალინი იქვე ავითარებს მსჯელობას უკრაინულ, ტაჯიკურ და ქართულ ენათა მიმართ.[9] მისივე თქმით, რა აზრი აქვს ისეთი სიტყვების ცვალებადობას, როგორიცაა „მიწა", „მთა", „წყალი", „ტყე", „თევზი" და ა.შ. სიტყვების შეცვლაზე თუ მიდგა საქმე, მას გარკვული პერიოდი სჭირდება და ეს ცვლილებები უცებ არ ხდება.[10] აქ ერთი დაშვებაა გასაკეთებელი. ჩემი დაკვირვებით, სიტყვები, რომლებიც მნიშვნელობას იცვლის

[5] არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 49-50.
[6] И. В. Сталин. Марксизм и вопросы языкознания. Сочинения. Т. 16. Москва. 1997, გვ. 104-124.
[7] И. В. Сталин. Марксизм и вопросы языкознания, გვ. 104-107.
[8] И. В. Сталин. Марксизм и вопросы языкознания, გვ. 104.
[9] И. В. Сталин. Марксизм и вопросы языкознания, გვ. 104-106.
[10] И. В. Сталин. Марксизм и вопросы языкознания, გვ. 107.

აუცილებლად უნდა იყოს დაკავშირებული მმართველი კლასის ინტერესებთან და მათი გაბატონების ერთ-ერთი წინაპირობაა. მართალია, ენა (სიტყვები) ერთ დღეში არ იცვლება და ეს ხანგრძლივი პროცესია. რადგან ჩემი ინტერესი ფეოდალური პერიოდისკენ არის მიპყრობილი, უნდა ითქვას, რომ ფეოდალიზმის დამყარებაც ისტორიული პროცესია თავისი ხანგრძლივობით, ამიტომაც ფრანგი ისტორიკოსები, რომლებიც იყენებენ ტერმინ „ფეოდალურ რევოლუციას“, მას განიხილავენ დროში გაწელილ მოვლენად, რომელიც თანდათანობით ცვლის საწარმოო წესებს და შემოაქვს ახალი კულტურული აღმნიშვნელები, გნებავთ ზედნაშენები.

ამასთან დაკავშირებით სტალინი შენიშნავს: «Язык же, наоборот, связан с производственном деятельностью человека непосредственно, и не только с производственной деятельностью, но и со всякой иной деятельностью человека во всех сферах его работы – от производства до базиса, от базиса до надстройки. **Поэтому язык отражает изменения в производстве сразу и непосредственно, не дожидаясь изменений в базисе.** Поэтому сфера действия языка, охватывающего все области деятельности человека, гораздо шире и разностороннее, чем сфера действия надстройки. Более того, она почти безгранична. **Этим прежде всего и объясняется, что язык, собственно его словарный состав, находятся в состоянии почти непрерывного изменения**. Непрерывный рост промышленности и сельского хозяйства, торговли и транспорта, техники и науки требует от языка пополнения его словаря новыми словами и выражениями, необходимыми для их работы. И язык, непосредственно отражая эти нужды, пополняет свой словарь новыми словами, совершенствует свой грамматический строй».[11] აქ საგანგებოდ მოვიყვანე სრული ციტატა, რადგან სტალინი საუბრობს იმაზე, რომ ენა დაუყონებლივ ითვისებს სიახლეებს. ბაზისის ცვლილების სისწრაფის მიუხედავად, ამ ლექსიკურ ცვლილებას განვითარებული პროცესები განაპირობებენ, რადგან ჩნდება ახალი მიმართულებები და მეცნიერებები, რომელთაც შესაბამისი ლექსიკა სჭირდება. თუმცა ჩვენ მიერ განსახილველ მასალებში ძირითადად იქნება მხოლოდ ის ლექსიკური მონაცემები, რომლებიც თავისუფალი მწარმოებლის, დამოკიდებულის და ექსპლუატატორის აღმნიშვნელად იხმარებოდა შუა საუკუნეებში. ამიტომაც ტერმინოლოგიური ცვლილებები ყოველთვის კლასობივი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა განვიხილოთ, მით უმეტეს, თუ ენის კლა-

[11] И. В. Сталин. Марксизм и вопросы языкознания, გვ. 108. ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.

სობრიობაზე ან მის უარყოფაზე ვსაუბრობთ. მართალია, ზოგიერთი მათგანის გადამატებული იქნებოდა მარქსიტული თეორიისთვის მორგების ცდები, თუმცა, როდესაც ეკონომიკურ ბაზისზე ვსაუბრობთ და საკითხებს კლასობრიობის კონტექსტში განვიხილავთ, მარქსიზმი აუცილებელი იარაღია მეთოდოლოგიური კვლევისა და მსჯელობებისთვის. ბრმად მორგება კი, რა თქმა უნდა, არ ეგების, რადგან საბჭოთა ენათმეცნიერებასა და ისტორიოგრაფიაში გამართულმა კამათებმა ნიკო მარის თეორიის წინააღმდეგ ეს ნათლად დაგვანახა.

არნ. ჩიქობავას მიხედვით, ენა რომ კლასობრივად მივიჩნიოთ, ის ინდივიდუალურ მოვლენად უნდა გამოვაცხადოთ. ამიტომ ის არგუმენტი, რომ მას, კლასობრივი ბრძოლისას იყენებენ, ვერ გამოდგება, რადგან ენა, ორივე კლასისთვის შეიძლება იყოს ბრძოლის იარაღი და, ასევე, ცალკეული ინდივიდისთვისაც.[12] მისივე თქმით, ენის კლასობრიობის დამცველებს არ გააჩნდათ კრიტერიუმები, რის საფუძველზეც გამოაცხადებდნენ, რომ ენა კლასობრივია.[13] ამ პროცესებში შეიძლება გაჩნდეს კლასობრივი დიალექტები და ჟარგონი, მაგრამ მათი წარმოშობა ენად არ უნდა გამოცხადდესო, – ხაზს უსვამდა სტალინი.[14] არნ. ჩიქობავას არასწორ ფორმულირებად მიაჩნდა სხვადახვა კლასის მეტყველების ენად წარმოჩენა, ენის – სიტყვის პირდაპირი გაგებით. 1952 წელს გამოცემული მისი „ენათმეცნიერების შესავლის“ გარკვეული ნაწილი სწორედ კლასობრივი ენის არარსებობას ამტკიცებს. კლასობრივ ენათა არსებობა ფაქტებით არ დასტურდება. მისი განმარტებით, ენა კლასებზე ადრე წარმოიშვა და კლასების გაქრობის შემდგომაც იარსებებს.[15] აღნიშნული წიგნი ხელმეორედ 2008 წელს გამოიცა გუჩა კვარაცხელიას რედაქტორობით, საიდანაც ამოღებულია ის თავები და აბზაცები, რომლებშიც ჩიქობავა მარქსისტულ ლიტერატურას უთითებდა, მხოლოდ იმ მოტივით, რომ ეს სისტემის ზეწოლის შედეგად განხორციელდა და წიგნის მთლიანობას არ დაარღვევდა. წიგნიდან ამოღებულია ის ნაწილი, რომელიც ენის ბაზისისა და ზედნაშენობის საკითხს შეეხებოდა, ასევე, შესაბამისად, კლასობრივი ენის არსებობა-არარსებობის თეორიაც. 2018 წელს გამოიცა თინათინ ბოლქვაძის წიგნი „საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი: ნ. მარი, ი. სტალინი, არნ. ჩიქობავა“, სადაც ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ ამ თავებისა და აბზაცების ამოღება არღვევს წიგნის ქსოვილს, ვინაიდან ის ნათ-

[12] არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 39.
[13] არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 40.
[14] И. В. Сталин. Марксизм и вопросы языкознания, გვ. 110.
[15] არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 43, 45.

ლად ასახავდა იმ დისკუსიას, რომელიც საბჭოთა ენათმეცნიერებაში მიმდინარეობდა ნიკო მარის მემკვიდრეობის წინააღმდეგ.[16] მით უმეტეს, რომ ეს მოსაზრებები მზადდებოდა იაფეტური თეორიის წინააღმდეგ და ეს მზადება კარგადაა ნაჩვენები ზემოხსენებულ წიგნში.[17] სრულიად ვიზიარებ თ. ბოლქვაძის მოსაზრებას და მიმაჩნია, რომ ეს ნაწილები კონკრეტული თეორიის წინააღმდეგ შექმნილი ნააზრევის ერთობლიობა იყო და, შესაბამისად, ისეთი საკითხების ამოღება, როგორიცაა ენის კალასობრიობა და მისი ზედნაშენობის უარყოფა, სრულიად აზიანებს მის შინაარსს, რადგან ენის კლასობრივი განზომილება ამ ნაშრომებიდან სრულებითაც არ არის ჩემთვის დადასტურებული, მეტიც, არც უარყოფილი.

1932 წელს გამოცემულ საუნივერსიტეტო კურსში „ენათმეცნიერების პროპედევტიკა და ზოგადი ფონეტიკა. ნაწილი პირველი“, რომლის ავტორები არიან გ. ახვლედიანი და არნ. ჩიქობავა, შევხვდებით ასეთ ქვეთავს: **„ენა იდეოლოგიური მონაცემია“,** რომელშიც ვკითხულობთ: ენა იდეოლოგიურ მონაცემს წარმოადგენს. კლასობრივია ყოველი იდეოლოგია; კლასობრივია ენაც, როგორც იდეოლოგიის ერთ-ერთი სახეობა. ენობრივი მონაცემი იშვიათად თუ არის მხოლოდ ობიექტური მონაცემი. მას თან ახლავს ემოციური იერი, რომელშიაც უკუფენას პოულობს სიტყვის სოციალური აქცენტი. იგივე ემოციური იერი თავისებურად წყვეტს ლექსიკის საკითხს და ქმნის სტილის თავისებურებას. ამაში აისახება ყველაზე მკვეთრად სოციალურ და, კერძოდ, კლასობრივ თვალსაზრისთა სხვადასხვაობა ენაში. სტილისა და სემასიოლოგიის გარდა, მან სიტყვაწარმოებაშიაც შეიძლება ჰპოვოს გამოხატულება. თუმცა აქ გაცილებით ნაკლები შესაძლებლობაა; მორფოლოგია (ბრუნვა-უღვლილება) და ფონეტიკა კი მაქსიმალურად ნეიტრალური სინამდვილეა ენაში, როგორც იდეოლოგიურს მონაცემში (ამას თავისი მიზნები აქვს: მათი განხილვა აქ უადგილო იქნებოდა). ენის, როგორც იდეოლოგიური მონაცემის, საკითხი ენათმეცნიერებაში ნაკლებად არის დამუშავებული. ამიტომაც ჩვენ გამოვყავით ის მომენტები, რომლებიც უფრო მკვიდრად დადგენილად შეიძლება იქნეს მიჩნეული. იგივე უნდა ითქვას ენის კლასობრივი ბუნების შესახებ, ოღონდ ამას ერთი რამ უნდა დაემატოს; მართლია, ინდოევროპეისტიკამაც გვერდი ვერ აუარა ამ საკითხის დასმას, მაგრამ ენთმეცნიერული აზროვნების გუ-

[16] თ. ბოლქვაძე. საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი: ნ. მარი, ი. სტალინი, არნ. ჩიქობავა. თბ. 2018, გვ. 195, 197.

[17] თ. ბოლქვაძე. საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი: ნ. მარი, ი. სტალინი, არნ. ჩიქობავა, გვ. 134-174.

ლისყური მას აკად. ნ. მარმა უკანასკნელი წლების ნაშრომში მიაპყრო; პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება ენათმეცნიერებაში მის დამსახურებას შეადგენს".[18]

კლასობრივი ენის საკითხი ფეოდალურ ურთიერთობებზე (არა მარტო ქართული) დაკვირვების პროცესში ჩემთვის ძალზე საინტერესო საკითხად მოჩანს, არა მარტო შუასაუკუნეობრივ წყობილებათა, არამედ თანამედროეობის ენობრივი პროცესებიდან გამომდინარე. საინტერესოა თუ როგორ იმკვიდრებს ახალი ქართული სამეტყველო „ენა" თავს, რომელიც ხშირად სრულიად გაუგებარია არა მხოლოდ სამეცნიერო თვალსაზრისით, არამედ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისთვის. ესა არის თანამედროვე ე.წ. საზოგადოებრივი ინსტიტუტების „ენა", უწინარესად კი, მას შეგვიძლია არასამთავრობო სექტორის (ენჯეო) „ენა" ვუწოდოთ, რომელიც, ალბათ, ხშირად კლასობრივ ასპექტსაც ატარებს.

როგორც უკვე ბევრჯერ აღინიშნა, სოციალურ-პოლიტიკური წყობა ახალ ნიშნებს აყალიბებს და ხშირად ამ ნიშნების გაშიფრვა-კვლევა სისტემის ამოცნობის ერთ-ერთი ინსტრუმენტი ხდება. ამიტომაც ჩემთვის მნიშვნელოვანია ფეოდალური წესრიგის დროს გაჩენილი ინსტიტუტებისა თუ სოციალური ტერმინების განხილვა. სტალინის გავლენით საბჭოთა ენათმეცნიერებაში ენის ამგვარ გამოვლინებას კლასობრივი ჟარგონი და დიალექტი ეწოდა, თუმცა ჩემთვის ამგვარი სიტყვების შესწავლისას სწორედ კლასობრივ ასპექტში დაკვირვებაა მნიშვნელოვანი. ჩემი კვლევის ობიექტებია კლასობრივი ბატონობის, ბატონისა და დამოკიდებულის და სხვა სოციალური მნიშვნელობის სიტყვების შესწავლა.

ერთგან უკვე აღვნიშნე „სოციალური ენის კრახის" შესახებ, თუმცა ის ფეოდალური ურთიერთობების გამარჯვების სამხილად მოვიყვანეთ. ახლა კი შევადაროთ რამდენიმე ენის მონაცემები ერთი და იგივე სოციალურ-პოლიტიკური მახასიათებლების სისტემის შიგნით. საფრანგეთში ფეოდალური ურთიერთობების დამყარება ახალი ლექსიკით აღინიშნა, ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესოა ბატონობასთან დაკავშირებული სიტყვები:

Dominus XI საუკუნემდე საფრანგეთში მხოლოდ ღმერთის აღმნიშვნელად იხმარებოდა, XI საუკუნიდან კი მან ახალი აღმნიშვნელი შეიძინა, რომელიც სოციალური ასპექტის მატარებელი იყო ამიერიდან ის ნებისმიერი სე-

[18] გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების პროპედევტიკა და ზოგადი ფონეტიკა. ნაწილი პირველი. ტფ. 1932, გვ. 13-14.

ნიორის, ბატონის, ციხის მეპატრონის აღმნიშვნელი გახდა. მართალია, სიტყვა **Dominus** რომაულ სამყაროშიც ბატონს ნიშნავდა, თუმცა აქ შუა საუკუნეების ენობრივი მახასიათებლებია განხილული. საფრანგეთში კი მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე, რომელიც იურიდიული დოკუმენტებითაა დადასტურებული, მათ შორის, საეკლესიო ჩანაწერებითაც. დაახლოებით ასეთივე პროცესი გვაქვს საქართველოში. უფალი თავდაპირველად საკრალური მნიშვნელობის იყო და მხოლოდ ღმერთის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა. IX-X საუკუნეებიდან კი ბატონის, პატრონის/სენიორის აღმნიშვნელად იხმარება. მსგავს ცვლილებასთან გვაქვს საქმე სომხურ ენაშიც – **Տեր** (ტერ), ჯერ ღმერთის აღმნიშვნელი სიტყვა იყო, თითქმის ქართული რეალობის პარალელურად სომხურშიც ბატონის, სენიორის მნიშვნელობა შეიძინა.[19] **Господин – владыка, повелитель, хозяин** (მფლობელი, მმართველი, ბატონი), სიტყვა **Господ-ისგანაა** ნაწარმოები[20]. ძველ რუსეთში, კერძოდ, კი ე.წ. ფსკოვის რესპუბლიკაში არსებობდა „გოსპოდების“ საბჭო, ასე რომ, **«на суд пред господою»** ერთნაირად აღნიშნავდა როგორც საღმრთო სამსჯავროზე წარდგომას, ისე ფსკოვის ბატონთა საბჭოს წინაშე წარდგომას.[21] მართალია, ფსკოვის რესპუბლიკას ფეოდალური არ ეთქმის, თუმცა ენობრივი მონაცემის საილუსტრაციოდ გამოდგება.

ქართულ და სომხურ ტერმინებს უფრო მეტი მსგავსება ახასიათებთ კულტურების სიახლოვის გამო. როგორ „მამფალი“, „მამაუფალი“ უფალ ფუძეს შეიცავს, ასევეა, სომხური სიტყვა ტანუტერი – მამასახლისი, რომლის ფუძესაც წარმოადგენს ტერ (უფალი). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მმართველობასთან დაკავშირებული სომხური ტერმინების უმრავლესობა – „ხაპეტ“, „ნახარარ“, „იშხან“ და ა.შ. – ირანული წარმოშობისაა, ტერ ფუძიან სიტყვებს კი ადგილობრივ, ანუ სომხურ წიაღში შექმნილად მიიჩნევენ,[22] რაც სომხეთში ფეოდალიზაციის პროცესზე მიმანიშნებელი უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ყოველივე ამის კულტურული საფუძველი ქრისტიანობა იყო და ბატონის მორჩილება ღმერთის მორჩილებათან იყო გაიგივებული. სისტემა

[19] გრ. აჭარიანი. სომხური ენის ფუძისეული ეტიმოლოგიური ლექსიკონი. ერევანი. 1979, გვ. 401-402 (სომხურ ენაზე); ლეონ მელიქსეთ-ბეგი. სომხურ-ქართული ლექსიკონი. ლექსიკონი გადაამუშავა, შეავსო და გამოსაცემად მოამზადა მერაბ რობაქიძემ. თბ. 1996, გვ. 304; Толковый словарь армянского языка. Составил СТ. Малхасянц. Ер. 1944, გვ. 409 (სომხურ ენაზე).

[20] Словарь церковно-славянского и русского языка. Т. 1. Составленный Вторым отделением Императорской академией наук. СПб. 1847, გვ. 204-205.

[21] В. Тулупов. Совет Господ. Русь Новгородская. Москва. 2009, გვ. 288.

[22] გ. მაისურაძე. ადრეული შუა საუკუნეების საქართველოსა და სომხეთის საზოგადოებათა სოციალური ბუნების საკითხისათვის. ნარკვევები საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის ისტორიიდან IV-XII სს-ში. თბ. 2002, გვ. 10.

ერთნაირად მოქმედებდა ყველგან, გეოგრაფიული არეალის მიუხედავად, რადგან ის თავისუფალ მწარმოებლის გაქრობისა და ახლად გაჩენილი კლასზე ბატონობისკენ იყო მიდრეკილი.

ბატონობის ახალ ფორმებთან ერთად იქმნებოდა ახალი ტერმინები, შესაბამისად, შეიქმნა ან ტრანსფორმირდა დამორჩილებული კლასის აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებიც, ჩემი დაკვირვებით, ნეგატიური შინაარსის მატარებელია და ეს დამთხვევა არ უნდა იყოს. დამორჩილებული/ექსპლუატირებული კლასის ენაში გაფორმება სწორედ მათი, როგორც სოციალურ-პოლიტიკური დაკნინების ხარჯზე უნდა მომხდარიყო. ფეოდალურ საქართველოში უშუალო მწარმოებელ ძალას გლეხობა წარმოადგენდა, მათი მიწაზე მიმაგრება და თავისუფლების წაგერა ფეოდალთა დოვლათში გამოიხატებოდა. როგორც უკვე აღვნიშნე, ტერმინი გლეხი პირველად ფავნელის დაწერილში გვხვდება, თუმცა მისი მებეგრეობის სტატუსი უკვე კარგა ხნის დამყარებული უნდა იყოს. გლეხის ყველაზე ადრინდელი ხსენება ნათრაგმნ ტექსტებშია დაფიქსირებული – „რიფსიმიანთა წამების წიგნში“ დედანში გლეხის ადგილას „ამბოხია“ ნახსენები, რაც ქართული „ერის“ შესატყვისია, თუმცა აზნაურთან საპირისპიროდ ქართველ მთარგმნელს არა „ერი“, არამედ „გლეხი“ გამოუყენებია. აღნიშნულ თარგმანს ილ. აბულაძე VIII-IX საუკუნეებით ათარიღებს.[23] X საუკუნეში გადაწერილ სვანურ მრავალთავში გლეხი სომხურ „რამიკს“ შეესაბამება, სომხეთში კი ისინი სოციალურ წრეს წარმოადგენდნენ, როგორც ამას ა. ბოგვერაძე მიიჩნევს, რაც უჩინოს, უაზნოს ნიშნავს.[24] ილ. აბულაძეს ტერმინი გლეხი გლახაკიდან მომდინარედ მიაჩნია,[25] რაც, ჩემი დაკვირვებითაც, მართებულად უნდა ჩავთვალოთ. ა. ბოგვერაძის აზრით, გლახაკი უფრო ეკონომიკური კატეგორიაა (არაფრის მქონებელს, ღარიბს განეკუთვნება), ვიდრე სოციალური. თუმცა მიიჩნევს, რომ ადრე გლეხსაც ღარიბი-ღატაკის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და ისიც მას გლახა/გლახაკიდან მომდინარედ მიიჩნევს.[26] ლეონტი მროველთან გლახაკი დავრდომილის და უქონელის მნიშვნელობით იხმარება რვაჯერ, ჯუანშერთან ექვსჯერ და აქაც დავრდომილისა და უქონელის აღმნიშვნელია.

[23] ილ. აბულაძე. ძველი ქართულის ლექსიკონიდან. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. ტ. I. 1959, გვ. 170.

[24] ა. ბოგვერაძე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 1961, გვ. 123.

[25] ილ. აბულაძე. ძველი ქართულის ლექსიკონიდან. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. ტ. I. 1959, გვ. 175.

[26] ა. ბოგვერაძე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 120, 123.

„არჩილის ცხოვრებაში“ სიტყვა გლახაკი საერთოდ არ იხსენიება. „მატიანე ქართლისაჲში“ ხუთჯერ იხმარება და მხოლოდ ერთგანაა აზნაურის საპირწონედ დასახელებული: „ბაგრატ პირველ იყო კურაპალატი და შემდგომად ნოველისიმოსი და მერმე იქმნა სევასტოს. იყო კაცი სახითა უშუენიერესი ყოველთა კაცთასა, სრული სიბრძნითა, ფილოსოფოსი ენითა, სჯანი ბედითა, უმდიდრესი ყოველთა მეფეთა აფხაზეთისათა, მოწყალე შეცოდებულთათჳს, უხჳ გლახაკთა ზედა. ხოლო ჟამთა მისთა ქუეყანასა დაწყნარებაჲ არა ჰქონდა: **ეკლესიანი და გლეხნი, აზნაურნი და გლახაკნი ვერ იკითხვებოდეს**“.[27]

თუ ამ მოსაზრებას გავყვებით, ახალმა სოციალურმა ენამ უშუალო მწარმოებელი აღნიშნა ისეთი ტერმინით, რომელიც ადრე ღარიბს/უქონელს ნიშნავდა, რითაც, ჩემი აზრით, ხაზი გაუსვა მის კლასობრიობას. ფენა, რომელიც ძირითადი დოვლათის შემქმნელი იყო იმ დროისთვის, დამაკნინებელი ტერმინით შეხვდა ახალ წყობას. ამგვარად ენამ შემოინახა ექსპლუატირებული კლასის დაკნინების, მათი სრული დაყმევების სამხილები.

ტერმინ გლეხის შექმნის დაახლოებით იდენტური ფაქტი აქვს აღწერილი საფრანგეთში ჟ. დიუბის. მისი თქმით, როდესაც ახალი წყობილება იკიდებდა ფეხს, ის განახლებული ლექსიკით შემოვიდა. საეკლესიო ენამ თავისებურად განსაზღვრა მიწაზე მიმაგრებული ადამიანის სახელი, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა სიტყვა Laborator (მშრომელი), ის უგულვებელყოფილ იქნა და დამკვიდრდა Villanus და Rusticus, ვილანუსი თითქოს ლათინური სიტყვიდან უნდა მომდინარეობდეს, მაგრამ, დიუბის დაკვირვებით, მას მდაბიოს, უღირსის მნიშვნელობით ხმარობდნენ იმ დროის საფრანგეთში. ყველა ეს სიტყვა თითქოს მიმართული იყო კაროლინგური სისტემის შესანარჩუნებლად, რეაქცია იყო ახალის მიმართ, თუმცა, დიუბის თქმით, ორივე სისტემა დამორჩილებულის მონად აღნიშვნის მომხრე იყო.[28]

მსგავსება შეგვიძლია დავინახოთ რუსულ სიტყვაში **Подлый**[29] რომელიც მდაბიოს, უღირს ნიშნავს. მან ეს მნიშვნელობა XVIII საუკუნეში შეიძინა, მანამდე კი უბრალო ხალხს აღნიშნავდა. გამოიყენება ასევე გლეხისა და

[27] „მატიანე ქართლისაჲ“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 297.

[28] Жорж Дюби. Трехчастная модель, или Представления средневекового общества о себе самом. Пер. с фр. Ю. А. Гинзбург. Москва. 2000, გვ. 142, 147-151.

[29] Подлый-ის, როგორც მდაბიო-უღირსი ადამიანის აღსანიშნავად იყენებენ აკადემიურ გამოცემებშიც. მაგ. იხ. Абу-л-Хасан `Али ибн ал-Хусайн ибн `Али ал-Мас`уди. Золотые копи и россыпи самоцветов (История Аббасидской династии: 749-947 гг.). Сост., пер. с араб., прим., комм. и указатели Д. В. Микульского. Москва. 2002, გვ. 263.

ხოლოპის ჰიპონიმად. სიტყვა სლავური ძირისაა და შესაბამის ენებში მოიძებნება ადეკვატური შესატყვისები.[30] ინგლისურად გლეხის შესატყვის **Villain**-ს ასევე გააჩნია ნეგატიური მნიშვნელობა, ბოროტისა და ბოროტმოქმედის სახით. იტალიური **Villano** ლათინური ძირის მატარებელია და აღნიშნავს ადამიანს, რომელიც ვილაში მუშაობს, ასევე აღნიშნავს გლეხსაც. მანაც შეიძინა ნეგატიური ფორმები, რაც აშკარად კლასობრივი გამოძახილია ქვედაფენებისადმი. იტალიურ ტექსტებში ის უხეშ, უღირს ადამიანს აღნიშნავს.[31] ასევე, ესპანური სიტყვა **Campesino**/გლეხი ესპანურ მეტყველებაში აღნიშნავს უხეშ/უღირს ადამიანს. საგულისხმოა, რომ ფრანგულში არსებული სიტყვა **Vile** ავაზაკი, მდაბიური, სწორედ ვილანუსიდან უნდა იყოს ნაწარმოები.

მდაბიო/მდაბიონი/მდაბური/მდაბიორი – ყველა ეს სიტყვა IX საუკუნემდე ქართულ ეთნოკულტურულ სივრცეში თავისუფალი მწარმოებლის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა. ის აღნიშნავდა ადამიანს, რომელიც დაბაში ცხოვრობდა.[32] მას შემდეგ, რაც ფეოდალურმა ურთიერთობებმა მომძლავრება იწყო, როგორც ვიცით, დაბის ადგილი თანდათან დაიკავა სიტყვა სოფელმა. ადრე თუ სოფელი მსოფლიოს აღნიშნავდა, IX საუკუნიდან ის უკვე ძირითადად ღღევანდელი მნიშვნელობით იხმარება. ა. ბოგვერაძის აზრით, „მდაბიო" დაბის/სოფლის მკვიდრს ეწოდებოდა ადრეფეოდალურ საქართველოში, მაგრამ მას ასევე ჰქონდა სოციალური მნიშვნელობაც. რუის-ურბნისის დადგენილებაში მდაბიო, როგორც სოციალური კატეგორია, აზნაურს უპირისპირდება.[33] გ. მელიქიშვილი „ევსტათი მცხეთელის" ტექსტზე დაკვირვებით ფიქრობდა, რომ „მდაბიო", როგორც სოფლის, ისე ქალაქის წარმომადგენელსაც ნიშნავდა, ასევე, მისი გამოყენება მეთემეს მნიშვნელობითაც დასაშვებად მიაჩნია.[34] საწარმოო ურთიერთობების გაღრმავებამ გამოიწვია ახალი ტერმინის – გლეხის – გაჩენა, რომელიც მწარმოებელი ძალის აღმნიშვნელად იხმარებოდა. რადგან უკვე თავისუფალი მწარმოებელი აღარ არსებობდა, „მდაბიომ" დაკარგა თავისი მნიშვნელობა და ნეგატიური შინაარსი შეიძინა, ის ახალი მნიშვნელობით

[30] Словарь церковно-славянского и русского языка. Т. 3. составленный Вторым отделением Императорской академией наук. СПб. 1847, გვ. 259.

[31] იტალიურის განმარტებითი ლექსიკონი: http://www.treccani.it/enciclopedia/villano_%28Enciclopedia-Dantesca%29/ (ბოლო ნახვა – 2018 წლის 23 აგვისტო).

[32] ა. ბოგვერაძე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 110.

[33] ა. ბოგვერაძე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 112.

[34] Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб. 1959, გვ. 401-402.

აღიჭურვა. მართალია, კლასობრივად ცალკე არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ გლეხზე უფრო დაბალ საფეხურზე იდგა. XII საუკუნიდან მოყოლებული[35] სიტყვა მდაბიომ თითქმის დღევანდელი მნიშვნელობა შეიძინა.

ხალხის აღმნიშვნელი სიტყვების ამდაგვარი ტრანსფორმაცია შეინიშნება ესპანურსა და ფრანგულ ენებში. ესპანური სიტყვა **Pueblo**, რომელიც ლათინური **Populus**-იდან მომდინარეობს, შუა საუკუნებში ქალაქსა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის აღმნიშვნელთან ერთად იძენს ნეგატიურ მნიშვნელობას, მდაბიოსა და ულირსი ადამიანის აღმნიშვნელად. ასევე, საინტერესოა ლათინური სიტყვა **Vulgus/Vulgatus** რაც ხალხის, ადამიანების გაერთიანებას აღმნიშვნელია, გვიან შუა საუკუნეებში კი, დაახლოებით 1530 წლის შემდეგ, მან შეიძინა ვულგარულის თანამედროვე მნიშვნელობა და მიემართებოდა ქვედა კლასებს, რაც აშკარად ენაში გაჩენილი კლასობრივი ხასიათის გამოვლინებაა.[36]

ზოგადად, ხალხის აღმნიშვნელად ქართულში გამოიყენებოდა სიტყვა „ერი", რომელიც ადამიანების გაერთიანებას ნიშნავდა, მიუხედავად იმისა, სად მოსახლეობდა ის, სოფელში, ხევსა თუ ქალაქში. ფეოდალური ურთიერთობების გაღრმავებამ შეცვალა „ერისადმი" ენობრივი დამოკიდებულებაც. მიჩნეულია, რომ ერი იყო ის ერთობა, რომელიც სამხედრო სამსახურში იყო ჩართული, სამხედრო სამსახურში კი, ძირითადად აზნაურული წარმომავლობის საზოგადოება იყო წარმოდგენილი. „ერი", ზოგადად, მთელი მოსახლეობის აღსანიშნადაც იხმარებოდა, თუმცა მოგვიანებით გაიმიჯნება, თუ ადრე მოლაშქრეს ნიშნავდა, ანუ როცა მთელი მოსახლეობა იღებდა ლაშქრობაში მონაწილეობას, მოგვიანებით სოციალური დატვირთვა მიენიჭა.[37] ჩემი დაკვირვებით, ტერმინი „ერი" მხოლოდ და მხოლოდ მაღალი კლასის პირებს მიემართება – აშოტის ყოველი ერი, ჩორჩანელის ერი, ბაგრატის ან სხვა მეფეთა თუ დიდებულთა ყოველი ერი წარმოადგენს იმ მოლაშქრე ადამიანებს, იმ დიდებულებს, რომლებიც მათ თან ახლავთ ან მათ ნობილიტეტში განიხილება. ზ. კიკნაძე ერს სოციალურ-პოლიტიკურ ერთობად განიხილავს.[38] ამ ბოლო

[35] ა. ბოგვერაძე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 118.

[36] ეტიმოლოგიური ონლაინლექსიკონი: https://www.etymonline.com/word/vulgar#etymonline_v_7897 (ბოლო ნახვა 23 აგვისტო 2018 წელი). ასევე, იხ. ტერმინის ზოგადი ცვლილებები ლათინურთან მიმართებით. Igor Filippov. Vulgate Versus *Vetus Latina*: The Choices of Caesarius of Arles: https://www.academia.edu/36458107/Vulgata_versus_Vetus_Latina_The_Choices_of_Caesarius_dArles.pdf (ბოლო ნახვა – 2018 წლის 23 აგვისტო).

[37] ა. ბოგვერაძე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 202-204.

[38] ზ. კიკნაძე. ნაოესავიდან ერამდე. ეთნიკურობა და ნაციონალიზმი. თბ. 2002, გვ. 17-18.

დროს გ. მაჭარაშვილს საინტერესო დაკვირვება აქვს „ერისა“ და „არა ერის“ ურთიერთმიმართებაზე. „ერსა“ და „არა ერს“ ის განიხილავს რელიგიურ კონტექსტში, ქრისტიანისა და არაქრისტიანის შეპირისპირებით.[39] ასევე, საინტერესო დაკვირვება აქვს ს. ქადაგიშვილს, იგი „ერს“ განიხილავს, როგორც გარკვეულ ერთობას.[40] აქედან გამომდინარე, ვიზიარებ ს. ჯანაშიას დაკვირვებას ტერმინ „წვრილი ერის“ გაჩენასთან დაკავშირებით. XI საუკუნის ავტორი როდესაც ხმარობს ტერმინს „წვრილი ერი“, ესეც სოციალური დაყოფის მანიშნებელია. ს. ჯანაშიას აზრით, „წვრილი ერი“ მმართველი ელიტის მიერ შერქმეული ტერმინი უნდა იყოს, რაც კარგად ასახავს კლასობრივ დაპირისპირებას.[41]

ასეთია ზოგადი დაკვირვება იმ ტერმნინებზე, რომლებიც ფეოდალური ურთიერთობების წიაღში წარმოიშვა. დამოკიდებულის აღმნიშვნელი ყველა სიტყვა თითქმის ყველა კულტურულ სივრცეში ნეგატიურ მნიშვნელობას იძენს, რასაც კლასობრივი სარჩული უნდა ჰქონდეს. საწყის ეტაპზე, ანუ ადრეული ფეოდალიზმის ეპოქაში, გაჩენილი სიტყვები აშკარად „ზემოდან“ შექმნილი ტერმინებია, რომლებმაც სამწერლობო ენაში გაიმყარა პოზიციები, რადგან წერა-კითხვა უპირობოდ მმართველი ფენის პრეროგატივა იყო, როგორც ეკლესიის, ისე საერო დიდებულებისა. გარკვეული ნეგატიური მნიშვნელობები, სავარაუდოდ, ჯერ მეტყველებაში გაჩნდა და შემდგომ დაიმკვიდრა ადგილი სალიტერატურო ენაში.

ზემოთ განხილულ სიტყვებზე დაკვირვების შედეგად თითქოს მართებულად მოჩანს ნ. მარის ჰიპოთეზა, რომ სხვადასხვა ერის მაღალი კლასების ენა უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, ვიდრე ერთი და იმავე ხალხის სხვადასხვა კლასის ენები. ჩვენ ვნახეთ, რომ სხვადასხვა კულტურაში, ზოგჯერ იდენტურ ეპოქებში, ზოგჯერაც სრულიად განსხვავებულ პერიოდში, სენიორალური სისტემის ქვედა საფეხურზე მდგომი ხალხის, უშუალო მწარმოებელი კლასის აღმნიშვნელი ტერმინები როგორ იძენს ნეგატიურ მნიშვნელობას ან უარყოფითი სიტყვების ფუძისგან წარმოდგება. ამით სისტემა ერთნაირად მუშაობს: ფენა, რომელსაც ისინი ექსპლუატაციას უწევენ, უნდა დაემცროს, რათა მათი ბატონობა სამართლებრივად განმტკიცებული იყოს.

[39] გ. მაჭარაშვილი. „ერისა“ და „არა ერის“ მნიშვნელობა ძველ ქართულში. ჟურნ.: „ქართველოლოგია“. №6. თბ. 2014, გვ. 92-97.

[40] ს. ქადაგიშვილი. ეთნიკურობის პერცეფცია ქართულ ჰაგიოგრაფიაში (VIII-X სს.). ჟურნ.: „სპეკალი“. http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/12/122 (ბოლო ნახვა – 2018 წლის 28 აგვისტო).

[41] ს. ჯანაშია. შრომები. ტ. I, გვ. 272.

ტერმინების გაჩენა-ტრანსფორმაციაზე დაკვირვებით შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ფეოდალური ურთიერთობების გამარჯვების პროცესში თუ როგორ საწარმოო ურთიერთობებთან გვქონდა საქმე. დამოკიდებულის აღმნიშვნელ ტერმინზე დაკვირვებით შეგვიძლია მოვხაზოთ პერიოდი თავისუფალი მწარმოებლის გაქრობისა და მათ ნაცვლად თავისუფლებადაკარგული მწარმოებელი კლასის გაჩენისა.

სრულებით ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ენა არ შეიძლება იყოს, არც ბაზისი და არც ზედნაშენი. მიუხედავად ამისა, ჩემი დაკვირვებით, „ენა“ შესაძლებელია იყოს კლასობრივი სოციალურ-პოლიტიკური ტეხილების დროს, გარდამავალ პერიოდებში. ფეოდალური ურთიერთოებების ჩამოყალიბებისას ენაში გაჩენილი სოციალური ტერმინები ისე მუშაობს, თითქოს პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელება ერთი ჯგუფის მიერ მეორეზე ერთგვარი სამართლიანობის მატარებელი იყოს. მმართველი ფენა ახორციელებს ჯგუფების მონიშვნას და მათ სახელდებას, რადგან მათგან მიღებული სარგებელი, რომელიც ახალი ფორმაციის მიერ მოტანილი ეკონომიკური წესრიგია, რამენაირად იურიდიულ ჩარჩოებში უნდა მოექცეს. შესაბამისად, ენა მუშაობს კლასობრივი მახასიათებლებით, როდესაც სისტემა ან ახალ წესრიგს ერგება, ანდაც ძველის შენარჩუნებას ცდილობს.

Akaki Chikobava
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ISSUE OF CLASS LANGUAGE AND FEUDALISM

Summary

Article deals with the issue of class language and terms denoting ruling and working classes that originate during feudal epoch, and class specification of those terms.

In France before the 11th century the term *"dominus"* was used to denote the God. In the 11th century it acquired a new meaning which had a social context, from this time on it denoted all kind of seignior, lord, owner of fortress. *Dominus* was used to denote the lord even in the Roman world, but in our article we have discussion concerning medieval linguistic features. This kind of situation is attested in France which is confirmed by legal documents including ecclesiastical materials. Almost similar process is attested in Georgia – term "*upali*" had a sacral meaning and was used to designate a God, but already from 9th-10th centuries it was used to denote lord and seignior.

We see the similar changes in Armenian language – *"ter"* was used to designate the God, but later, almost next to the Georgian reality, acquired a new meaning of lord, seignior. The same meaning is shared by Russian term "*Господин*".

The Georgian term "*glekhi*", which means a labor class, originates from "*glakhaki*", hence diminutive form is used for description of this social class. Almost the same story is described by Georges Duby when he writes about the creation of term for peasant. He thinks that when a new order was established it appeared with new terminology. Ecclesiastical language had specifically defined the name of land worker. Despite the fact that term "*laborator*" (worker) had existed, it was rejected and instead *"villanus"* and *"rusticus"* were established. G. Duby writes that *"villanus"* was used to denote the lower class in France at that period. Seemingly, all those words were uses to preserve the Carolingian system and were reaction to the new order, both of those systems agreed to treat dependant as a slave.

Russian word *"Подлый"* also was used to describe someone of lower ori-

gin. It obtained this meaning in the 18th century. Before that it meant the people and was used as hyponym of peasant and *"kholop"*. This word has Slavic roots and its familiar meaning we can see in different languages. *"Villain"* that is an English term for peasant has diminutive expression. Italian *"Villano"* has Latin roots and means a human who works in a villa or a peasant. It acquired diminutive forms as well. In Italian texts this word is used to denote rough, unworthy human. Spanish word *"campesino"* (peasant) means the same. French word *"vile"* – robber, someone of lower origin, is also derived from villanus.

Before 9th century Georgia free laborers were called mdabio/mdabioni/mdabiuri/mdabiori. During the strengthening of feudalization in the 12th century it acquired a new diminutive expression.

Such kind of transformation of the words denoting the people are attested in French and Spanish languages. *"Pueblo"* is Spanish word and originates from Latin term *"populous"*. Next to its meaning this term acquired diminutive expression and was used to denote low and unworthy population in Medieval period. Latin term *"vulgus/vulgates"* is also very interesting. It meant the people, but from approx. 1530, during the late medieval period, it acquired new meaning which it has today and was applied to the lower classes.

According to our observation, "language" could be class oriented during social and political changes. We think that during the establishment of feudalism specific social terminology was used to justify implementation of political supremacy by one group over another. Ruling elite tries to target and name the particular groups of people just as they try to exploit those groups. This is economic order brought by new formation and those who established it try to adjust it in the legal framework. Hence, the language works with its class specifications.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIV
თბილისი. 2018

ლერი თავაძე
ასისტენტ-პროფესორი, თსუ

სამეფო კარის ინტრიგები: აფხაზთა მეფე თეოდოსი III მწუხარის ცხოვრება და მმართველობა

საქართველოს ისტორია სავსეა მრავალფეროვანი და საინტერესო მოვლენებით. არაერთი საგულისხმო საკითხი აკადემიურ ლიტერატურაში საფუძვლიანადაა შესწავლილი. ყველაფრის მიუხედავად ქართულ ისტორიაში არსებობს მრავალი ისეთი საკითხი, რომლებიც საფუძვლიან დაკვირვებას, კვლევა-ძიებასა და ღრმა ანალიზს მოითხოვს. ეროვნული ისტორიისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებაა. საქართველოს გაერთიანების საკითხი არ კარგავს აქტუალობას და ნებისმიერი ის პრობლემა, რომელიც ერთიანი ქართული პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბებას უკავშირდება ყურადღების ცენტრში ექცევა. თემატიკა ძალიან სენსიტიურია, შესაბამისად, მისი შესწავლა დიდ ძალისხმევას, ობიექტურობასა და საისტორიო წყაროების სათანადო განხილვას მოითხოვს.

ქართული სივრცის გაერთიანება X საუკუნის მეორე ნახევარში განვითარებული დრამატული მოვლენების ფონზე ხდება, როდესაც ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდა ორი ძლიერი ქართული სახელმწიფო – აფხაზთა და ქართველთა სამეფოები. საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება მათი დაახლოებისა და შერწყმის შედეგია. ორ ქვეყნის გაერთიანება ერთბაშად არ მომხდარა, მას წინ უძღოდა გარკვეული პროცესები, რამაც გაერთიანება დააჩქარა. ამ პერიოდში პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩნდა აფხაზთა მეფე თეოდოსი III მწუხარე.

თეოდოსის კარიერა აღსავსეა თავგადასავლებით, ინტრიგებითა და სიძნელეებით, რამაც მის ცხოვრებას ღრმა კვალი დააჩნია. მისი ხანმოკლე მმართველობიდან გამომდინარე, თეოდოსის პიროვნებით ცოტა ვინმე თუ დაინტერესდა. ისტორიოგრაფიაში მისი როლი ან უგულებელყოფილია, ანდა ის შეფასე-

ბული, როგორც სუსტი მმართველი. მართალია, თეოდოსი ნაკლებად მოექცა მკვლევართა ყურადღების ცენტრში, სამაგიეროდ, მისი მოღვაწეობის პერიოდი და მეფობის ხანა კარგად არის გაშუქებული სპეციალურ ლიტერატურაში.[1]

X საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ ძირითადად ქართული საისტორიო წყაროები გვაქვს. მათ შორის ყველაზე უფრო ინფორმაციული XI საუკუნეში მცხოვრები „მატიანე ქართლისას“ უცნობი ავტორის ცნობებია.[2] შედარებით უფრო მოკრძალებულია მისივე თანამედროვის, სუმბატ დავითის ძის, „ცხოვრება და უწყება ბაგ-

[1] მ. ბროსე. საქართველოს ისტორია. I. პირველად გამოიცა 1855 წელს. ნათარგმნი და განმარტებული ს. ღოღობერიძის მიერ, გამოცემული ნ. ღოღობერიძის მიერ. ტფ. 1895, გვ. 126-129; დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდამ მე-10 ს. დასასრულამდე). ტფ. 1889, გვ. 275; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წგნ.: I. პირველი გამოცემა 1892 წელს. მეორე ფოტოფირული გამოცემა. თბ. 2004, გვ. 91-92, 129; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. II. პირველად გამოიცა 1914 წელს. თბ. 1965, გვ. 123-126; მ. ლორთქიფანიძე. ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ. 1973, გვ. 523-530; გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ. 1973, გვ. 4-24; ა. აბდალაძე. ამირეკაკაისის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში. თბ. 1988, გვ. 231-240; ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ. 1990, გვ. 6-101; გ. მჭედლიძე. ბაგრატ მესამის საქართველო. ქუთაისი. 1996; მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი დიპლომატიური უზრუნველყოფა. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. I. თბ. 1998, გვ. 206-225; გოგოლაძე. „აფხაზთა“ (დასავლეთ საქართველოს) მეფეები. საქართველოს მეფეები. თბ. 2000, გვ. 75-76; მ. ლორთქიფანიძე. მეფე ბაგრატ მესამე. ქუთაისი. 2002, გვ. 19-34; გ. მაისურაძე. რამდენიმე ეპიზოდი დავით დიდი კურაპალატის დიპლომატიური ძალისხმევიდან. ქართული დიპლომატია (წელიწდეული). ტ. 9. თბ. 2002, გვ. 161-180; შ. გლოველი, ნ. გურგენიძე. ქართველ პოლიტიკოსთა ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისთვის და „აფხაზთა სამეფო“. საისტორიო შტუდიები IV. გამომცემლობა „ენა და კულტურა“. 2003, გვ. 19-50; შ. გლოველი. „აფხაზთა სამეფო“. თბ. 2005, გვ. 94-121, 147-150; ალ. მარუაშვილი. „ძლიერი და ერ-მრავალი“ დიპლომატი ივანე მარუშის ძე. ქართული დიპლომატია (წელიწდეული). ტ. 12. თბ. 2005, 24-39; ალ. მარუაშვილი. მარუშიანთა ფეოდალური სახლის ისტორია. თსუ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. ხელნაწერის უფლებით. თბ. 2006; ლ. ახალაძე. აფხაზეთი XI საუკუნიდან XIII საუკუნის 40-იან წლებამდე. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე. თბ. 2007, გვ. 119-121; ჯ. სამუშია. ბაგრატ III. თბ. 2012, გვ. 24-43; მ. ლორთქიფანიძე. ქართული მონარქიის შექმნა შუა საუკუნეებში. საქართველოს ისტორია (ოთხ ტომად). ტ. II. თბ. 2012, გვ. 239-259; Д. Гулия. История Абхазии. Т. I. Тифлис. 1925, გვ. 218-222; З. В. Анчабадзе. Из истории средневсковой Абхазии (VI–XVII вв.). Сухуми, 1959, გვ. 128-135, 162-167.

[2] მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 270-276; მატიანე ქართლისაა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 265-269.

რატონიანთა“.[3] საინტერესოა, ასევე, „აფხაზ მეფეთა დივანის“ ცნობები, რომელშიც, უპირატესად, აფხაზ მეფეთა ქრონოლოგიაა წარმოდგენილი.[4] საინტერესოა სომეხი მემატიანის, სტეფანოზ ტარონეცის (ასოღიკი) ცნობებიც.[5] ამავე მოვლენებზე წარმოდგენას გვიქმნის X საუკუნის ქართული და სომხური ეპიგრაფიკული ძეგლები.[6] ზოგადად, საისტორიო წყაროები აღნიშნული პერიოდის შესახებ მწირია, შესაბამისად, მოვლენების თანმიმდევრობა, რიგ შემთხვევაში, სანდო ისტორიულ მატიანეებში დაფიქსირებული ფაქტების ლოგიკური რეკონსტრუქციის გზით ხერხდება.

თეოდოსი III მწუხარე (975-978) აფხაზთა სამეფოს ანოსიანთა დინასტიის უკანასკნელი მეფე იყო. თეოდოსი, ასევე, ბოლო იყო გიორგი II დიდის შვილებს შორის, ვინც აფხაზთა სამეფო ტახტი დაიკავა. როგორც ცნობილია, თეოდოსის ოთხი ძმა ჰყავდა: კოსტანტი, ლეონი, დემეტრე და ბაგრატი.[7] ამათგან, ის რიგით მეოთხე ძმა გახლდათ.[8] ანოსიანთა სამეფო სახლში საკუთარი სახელი „თეოდოსი“ გავრცელებული ჩანს და მანამდე ის, სულ მცირე, დინასტიის ორ წარმომადგენელს ერქვა.[9]

მეფის ზედსახელი, „მწუხარე“,[10] მისი ფიზიკური მდგომარეობის მაჩვე-

---

[3] სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 382; სუმბატ დავითის ძე. ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთაჲ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 369-370.

[4] ექვ. თაყაიშვილი. ეგრეთ წოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა. ძველი საქართველო: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. ტ. II, განყ. მესამე: სალექსიკონო და საისტორიო მასალანი. ტფ. 1913, გვ. 28-54.

[5] The Universal History of Step'anos Tarōnec'i. Introduction, Translation, and Commentary by Tim Greenwood. Oxford: Oxford University Press. 2017, გვ. 290.

[6] ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები: აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1980, გვ. 170-184; ზ. ალექსიძე. ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ. 1978, გვ. 50-51; ზ. ალექსიძე. ბიზანტიის იმპერიის უცნობი ქართველი დიდი მოხელე და მისი საგვარეულო. ანალები. № 7. თბ. 2011, გვ. 29-61. ამავე პერიოდის ამსახველი ეპიგრაფიკა და სხვა სახის საისტორიო წყაროების ამონარიდები შეკრებილია და ქრესთომატიული სახით დაღაგებულია შ. გლოველის ნაშრომში, იხ.: შ. გლოველი. „აფხაზთა სამეფო“, გვ. 257-434.

[7] „მატიანე ქართლისას“ მიხედვით, ყველა მათგანი გიორგი II აფხაზთა მეფის შვილებია, იხ.: მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 266, 268, 270; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 262-263, 265.

[8] „მატიანე ქართლისას“ ავტორი პირდაპირ არ წერს რიგითობის შესახებ, მაგრამ უხუცესად ასახელებს კოსტანტის, ხოლო გიორგის მეფის ყოველი მომდევნო შვილი თავისი ასაკისა და მდგომარეობის მიხედვით ჰყავს დასახელებული.

[9] ექვ. თაყაიშვილი. ეგრეთ წოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა, გვ. 46-47, 52.

[10] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 275; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 268.

ნებელია. როგორც ცნობილია, თეოდოსი გამეფებამდე დააბრმავეს.[11] ამგვარად, მისი ეპითეტი სიტყვა „ბრმის“ სინონიმია. „აფხაზ მეფეთა დივანში“ ზედსაწელის ფორმად გამოყენებულია „თვალდამწვარი“.[12] სხვა ისტორიკოსებთან ამ სიტყვების სინონიმებად ნახმარია ამავე ფიზიკური მდგომარეობის აღმნიშვნელი სხვა ტერმინები, მათ შორისაა: „უთვალო“, „უსინათლო“ და ა.შ.[13] ჩვენ შემთხვევაში ვიყენებთ „მატიანე ქართლისაში“ დაფიქსირებულ სიტყვას „მწუხარე“, რომელიც დაბრმავებული პირის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. „მატიანე ქართლისას“ უცნობი ავტორი პირდაპირ წერს: *„მეფობდა აფხაზეთს თეოდოსი მწუხარე“*.[14]

თეოდოსი დასავლეთ საქართველოში დაიბადა და სიყმაწვილის პერიოდი სამშობლოში გაატარა. 944 წელს, ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მამამისმა, გიორგი მეორემ, თავისი ორი შვილი, თეოდოსი და ბაგრატი, კონსტანტინოპოლში გაგზავნა.[15] ამ გადაწყვეტილების ძირითადი მიზეზი უფროსი ძმების, ლეონისა და დემეტრეს, სამეფო ტახტის მემკვიდრე-

[11] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 272; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 266.

[12] ექვ. თაყაიშვილი. ეგრეთ წოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა, გვ. 47.

[13] ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით გამოსცა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. IV. თბილისი, 1973, გვ. 800; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. II, გვ. 108, 123.

[14] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 275; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 268.

[15] სავარაუდოა, რომ გიორგი II-მ თავისი ორი უმცროსი შვილი, თეოდოსი და ბაგრატი, კონსტანტინოპოლში მაშინ გაგზავნა, როდესაც საკუთარი უხუცესი ძის, კოსტანტის, აჯანყება ჩაახშო. ამავე პერიოდში დააწინაურდა ლეონი, რომელიც ტახტის მემკვიდრე და ქართლის ერისთავი გახდა. ლეონის პარალელურად მმართველობდა დემეტრე, მესამე ძმა. მთელი ეს ცნობები „მატიანე ქართლისაშია“ დაფიქსირებული (მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 267-268, 271; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 263, 266). ავტორის მიხედვით, ისინი გიორგიმ თავის სიცოცხლეში გაგზავნა კონსტანტინოპოლში, მაგრამ არ ჩანს თუ ზუსტად რომელ წელს ხდება ეს მოვლენა. სავარაუდებელია, რომ უფლისწული კოსტანტის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ანუ 944 წელს. კოსტანტის აჯანყება ხდება გიორგი მეფის მიერ ქართლის დაუფლებიდან მესამე წელს. ჩვენი აზრით, გიორგი ქართლს 944 წელზე ეუფლება, როდესაც ტაოელ მეფეებთან ერთად გურგენ ერისთავერისთავის სამფლობელოთა გაყოფით იყო დაკავებული. გურგენის სამფლობელოთა გაყოფაზე იხ.: კონსტანტინე პორფიროგენეტი. გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. IV (2). ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1952, გვ. 277; ლ. თაყაძე. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში. თბ. 2016, გვ. 66, 79-80, 154. უფლისწულთა კონსტანტინოპოლში გაგზავნის ფაქტი კოსტანტის აჯანყებასა და გიორგი მეფის სიფრთხილეს ჯერ კიდევ შ. გლოველმა დაუკავშირა, თუმცა დეტალები და თარიღი განსხვავებულია, იხ.: შ. გლოველი. „აფხაზთა სამეფო“, გვ. 147-148.

ებად გამოცხადება და ძმებს შორის მოსალოდნელი კონფლიქტის თავიდან აცილება იყო. გიორგი მეფეს ამ ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობაში თავისი უფროსი შვილის, კოსტანტის, აჯანყების პრეცენდენტი არწმუნებდა. სამეფო ხელისუფლების სტაბილურობის მიზნით, გიორგი საჭიროდ თვლიდა ქვეყანაში მხოლოდ ის უფლისწულები დარჩენილიყვნენ, რომლებიც მომავალში აფხაზთა სამეფოს დაეპატრონებოდნენ. თეოდოსის ადგილი აფხაზთა სამეფოში აღარ მოიძებნა. ის უცხოეთში, ბიზანტიის იმპერიაში, გაამგზავრეს.

უფლისწული თეოდოსი ძმასთან ერთად კონსტანტინოპოლში წლების განმავლობაში ცხოვრობდა. ბიზანტიაში მან ადგილობრივი ტრადიციები და კულტურა შეითვისა, მიიღო განათლება და შეისწავლა ბერძნული ენა. წყაროების მიხედვით ზუსტი პერიოდი უცნობია, მაგრამ, სავარაუდოა, თეოდოსიმ ბიზანტიის იმპერიაში დაახლოებით 20 წელზე მეტი იცხოვრა. გიორგი მეორის მეფობის ბოლოს და ლეონ მესამის ზეობის პერიოდში ის სტაბილურად კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა, სადაც დაუახლოვდა ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტას, თუმცა სამშობლოში დაბრუნების სერიოზული მცდელობა არ ყოფილა. აღნიშნულის მთავარი განმაპირობებელი მიზეზი, ალბათ, ის გახლდათ, რომ თეოდოსის აფხაზეთის სამეფოს ტახტის დასაკავებლად არც ბიზანტიისა და არც აფხაზთა სამეფოს არისტოკრატიის სათანადო მხარდაჭერა არ მოუპოვებია. ასეთი ვითარება მხოლოდ დემეტრე მესამის ზეობის დასაწყისში შეიქმნა.

დემეტრე აფხაზთა სამეფოს ტახტს 967 წელს იკავებს.[16] ერთ-ერთი პირველი, რაც დემეტრე მეფემ გააკეთა, იყო ქართლის დაკავება და ამ მიწაზე თავისი ნდობით აღჭურვილი პირების დამტკიცება. დემეტრე შიდა ქართლის ტერიტორიის კონტროლს ქართლის ერისთავის თანამდებობაზე დანიშნულ ივანე მარუშის ძეს ანდობდა.[17] ივანე ქართლის მკვიდრი არ გახლდათ, მარუშიანთა საგვარეულო დასავლეთ საქართველოს დიდებულთა რიცხვს ეკ-

[16] ბაგრატის 978 წელს გამეფების თარიღის დადგენა ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის, რასაც შემდეგ მანვე შეუსაბამა „აფხაზ მეფეთა დივანის“ ქრონოლოგია. შესაბამისად, აფხაზეთის მეფეთა ქრონოლოგია, უპირატესად, მისი დადგენილია და ჩვენც მას მივუყვებით, იხ.: ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. II, გვ. 107, 124-125.

[17] „მატიანე ქართლისა“ ცნობით, აფხაზთა მეფე ლეონ III-ის სიკვდილის შემდეგ, *„დაჯდა დემეტრე მეფედ, ძმად ლეონისი, და ეუფლა ქართლსა“*; ხოლო ამის შემდეგ, იმავე ტექსტის მიხედვით, ქართლის ერისთავი ივანე მარუშის ძეა. ყველაფერი ეს კი იმისი მანიშნებელია, რომ ქართლის დაუფლების შემდეგ, გამეფების წელსვე (967 წ.), დემეტრე ქართლის მმართველობას ივანე მარუშის ძეს ჩააბარებს, იხ.: მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 270, 272; მატიანე ქართლისაა. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 265, 267.

უთვნოდა.[18] აფხაზთა სამეფოში ივანე მარუშის ძემ ძალიან დიდი გავლენა მოიპოვა და ვრცელ სამფლობელოებსაც ფლობდა.[19] ივანე მარუშის ძის გასაკუთრებული დაწინაურება დემეტრე მესამის მეფობის დროს ხდება. ამავე გვარის წარმომადგენლები ფლობდნენ ჯავახეთის ერისთავის სახელოსაც.[20] დემეტრესა და მარუშიანების წინააღმდეგ გამოვიდნენ ქართველი აზნაურები, მათ სათავეში იდგა ცნობილი მთავარი ადარნასე ძამელი.[21] ქართლის ფეოდალების გარდა, დემეტრე მეფის პოლიტიკით უკმაყოფილოები იყვნენ ქართველთა სამეფოს მესვეურთა ნაწილი და კახეთის ქორეპისკოპოსი კვირიკე მეორე. საქართველოში ცენტრალიზებული და უკიდურესად გაძლიერებული აფხაზთა მეფის წინააღმდეგ შეიკრნენ.

ქართლისა და აფხაზეთის[22] ფეოდალთა ერთმა ჯგუფმა კონსტანტინოპოლში ხალხი გაგზავნა უფლისწული თეოდოსის ჩამოსაყვანად. თარიღი ცნობილი არ არის, თუმცა უკმაყოფილება დემეტრე მეფის პოლიტიკის მიმართ თავიდანვე უნდა დაწყებულიყო, შესაბამისად, თეოდოსიც ადრეულ ეტაპზე ჩამოჰყავთ. „მატიანე ქართლისას“ ცნობით, დემეტრეს გამეფების შემდეგ მან ქართლი შემოიმტკიცა და ქვეყანა მოაწყო. სწორედ ამ დროს *„გარდაჴდეს ამას შინა ყამნი. და იყო ძმაჲ მისი თეოდოსი საბერძნეთს (ბიზანტია – ლ. თ.), უჴშეს კაცთა ვითმე ამის ჴუეყანისათა, რაჲთა გამოვიდეს ძმასა*

[18] ნიკოლოზ (ნიკო) ბერძენიშვილის აზრით, მარუშიანები შესაძლოა წარმოშობით დალი-წებელდის მხარიდან ყოფილიყვნენ, იხ.: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VIII. თბ. 1975, გვ. 610.

[19] „მატიანე ქართლისას“ უცნობი ავტორი მას განმადიდებელი სიტყვებით მოიხსენიებს – „კაცი ძლიერი და ერმრავალი“. საინტერესოა ისიც, რომ ეპითეტი „ძლიერი“ ამ დროს მეფეთა საპატიო წოდება იყო. ამგვარი სახით, ოფიციალურ მატიანეებში ფეოდალის მოხსენიება დიდი იშვიათობაა, იხ.: მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 272; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 267.

[20] მარუშიანთა საგვარეულოს შესახებ იხ.: ნ. შოშიაშვილი. მარუშიანები. ქართული საბჭთა ენციკლოპედია. ტ. 6. თბ. 1983, გვ. 463; ალ. მარუაშვილი. მარუშიანთა ფეოდალური სახლის ისტორია, გვ. 7-132.

[21] „მატიანე ქართლისას“ მიხედვით, თეოდოსის მთავარი მოკავშირე დიდი მთავარი, ადარნასე ძამელია. გაჭირვების ჟამს თეოდოსი სწორედ მის სამფლობელოებში გარბის და ძამის ციხეს შეაფარებს თავს. მამატიანე სხვა ქართელ წარჩინებულთა შორის ადარნასე ძამელს გამოარჩევს, მას მთავარს უწოდებს და თეოდოსის ძირითად მოკავშირედ ჰყავს წარმოდგენილი. ეჭვი არაა, რომ ქართელ აზნაურთა ერთ-ერთი მეთაური სწორედ ადარნასე ძამელია, იხ.: მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 270-271; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 266.

[22] ქართლი და აფხაზეთი X საუკუნის მეორე ნახევარში არ იმეორებს იმ საზღვრებს, რაც თანამედროვე რეალობაში გვაქვს. ზემოხსენებულ პერიოდში ქართლი მოიცავდა თანამედროვე შიდა ქართლს, ხოლო აფხაზეთი – დასავლეთ საქართველოს. ჩვენ ამ ორივე ტერმინს თავისი ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით ვიყენებთ და არა თანამედროვე გაგებით.

თჳსსა ზედა“.[23] ზუსტად რა დრო გავიდა, საისტორიო წყაროში არ ჩანს, მაგრამ აღნიშნული მოვლენა მაშინ ხდება, როდესაც მეფე დემეტრე ქვეყნის დალაგებითაა დაკავებული.

ბიზანტიის იმპერიაში გაგზავნილმა კაცებმა თეოდოსი აფხაზთა სამეფოში დაბრუნებაზე დაიყოლიეს. უფლისწული თეოდოსი იმ დროს ბიზანტიის იმპერატორი იოანე I ციმისკის (969-976) მფარველობით სარგებლობდა. როგორც ჩანს, თეოდოსის გაშვებაზე თანახმობა განაცხადა თავად იმპერატორმა.[24] ჩვენი აზრით, თეოდოსის თვითნებურად კონსტანტინოპოლი არ უნდა დაეტოვებინა. ამ საქმეში მას აღმოსავლეთ რომის იმპერატორის თანხმობა სჭირდებოდა, რაც მიიღო კიდეც. იმპერატორი დაპირისპირებაში პირდაპირ არ ჩარეულა, თუმცა თეოდოსის სამშობლოში გაშვებით მოსალოდნელ კონფლიქტში, ფაქტობრივად, მისი მხარი დაიჭირა.

თეოდოსი საქართველოში 970 წლის ახლო ხანებში ჩამოდის. უფლისწული ბიზანტიიდან ქართველთა სამეფოში შემოვიდა და სამცხეში გაჩერდა, სადაც მოკავშირეები ეგულებოდა. სამცხეში შემოსული უფლისწული, მესხი აზნაურების გარდა, თავის მხარდამჭერ ქართლის აზნაურებსაც ეპატიჟებოდა. თეოდოსი საბრძოლველად იყო შემართული, ხოლო თავისი სამხედრო ბანაკი მარგის მერეში ჰქონდა დადებული.[25] სამცხის მერე ფოცხოვის ხეობაში მდებარეობს, სადაც, ციხესიმაგრის გარდა მონასტერი და სხვა მნიშვნელოვანი ნაგებობები იყო განლაგებული. ქართველთა სამეფოში, რომელშიც ერთიანდებოდა სამცხის ტერიტორია, ქართველთა მეფე ბაგრატ II რეგუენი (958-994) მმართველობდა, აქვე იყო უფლისწული გურგენ ბაგრატის ძის სამფლობელო,

---

[23] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 270; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 265.

[24] კონსტანტინოპლში ჩასული უფლისწულები, როგორც წესი, ბიზანტიის იმპერატორის კარზე მსახურობდნენ, თეოდოსი და ბაგრატი ვერ იქნებოდნენ გამონაკლისები. მემატიანის მიხედვით, დემეტრეს გამეფების (967 წ.) შემდეგ, *„გარდაჴდეს ამას შინა ჟამი“* და ამის მერე მოუხმეს თეოდოსის საქართველოში. არაა დაკონკრეტებული რა დროს გავიდა, მაგრამ მითითებაა გაკეთებული გარკვეული რაოდენობის „ჟამის“ გასვლაზე, რაც, ვფიქრობ, ისტორიკოსის სხვა პასაჟებს თუ გავითვალისწინებთ, რამდენიმე წელს გულისხმობს. საკარაუდებელია, ეს მომხდარიყო იოანე I ციმისკეს (969-976) დროს, ვინაიდან ნიკიფორე II ფოკას (963-969) ზეობისას არ ჩანს ბიზანტიის ჩარევა აფხაზთა სამეფოს შიდა საქმეებში. იოანე ციმისკეს პერიოდში საგარეო პოლიტიკა უფრო ხისტი გახდა. ეს უკანასკნელი 969 წლის დეკემბერს ბიზანტიის იმპერიის სათავეში მოვიდა. შესაბამისად, მომდევნო წელს მას თეოდოსი საქართველოში უნდა გამოეშვა და პოლიტიკური მხარდაჭერა განეხორციელებინა.

[25] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 270; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 265.

ის საუფლისწულო მამულის საზით შავშეთის მიწებს განაგებდა.[26] გურგენი გახლდათ გურანდუხტის მეუღლე და თეოდოსის სიძე. როგორც ჩანს, ბაგრატ რეგუენი და მისი შვილი გურგენი თეოდოსის ემხრობიან. თეოდოსის მხარეს არიან ქართველთა სამეფო სხვა წარჩინებულებიც, მათ შორის იმ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პიროვნება – დავით იმიერტაოელი. დავითი საკმაოდ კარგ ურთიერთობაში იმყოფებოდა ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლებასთანაც, რასაც მისი ბიზანტიური ტიტულატურა ადასტურებს.[27]

ამგვარად, თეოდოსი საქართველოში ჩამოსვლისთანავე დიდი რაოდენობით მხარდამჭერებს იძენს. საერთო ჯამში მას ემხრობა ქართველთა სამეფოს მესვეურთა უმრავლესობა, ქართლის აზნაურთა მნიშვნელოვანი ნაწილი, აფხაზ აზნაურთა მცირე ნაწილი და კახეთის ხელისუფლება. მიუხედავად მოკავშირეთა სიმრავლისა, მათი ძალები დაქსაქსული იყო. ყველა მათგანის გაერთიანება აფხაზთა მეფეს სერიოზულ საფრთხეს უქადდა. თეოდოსის მოთხოვნა კი კატეგორიული იყო, მას აფხაზთა სამეფო ტახტი სურდა. დემეტრეს სასწრაფოდ უნდა ემოქმედა.

სამცხეში შეკრებილ თეოდოსის მომხრეებს, მესხი აზნაურების გარდა, ქართლის აზნაურთა ნაწილიც შემოუერთდა. ამ კუთხით ნაკლებად აქტიურობდნენ საკუთრივ ქართველთა სამეფოს მეფეები, ბაგრატ რეგუენი და დავით იმიერტაოელი. უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაზე მეტად მას გურგენი ეხმარებოდა, ვინაიდან თეოდოსის ლაშქარი გურგენის საუფლისწულო მამულის სიახლოვეს იყო დაბანაკებული და იქვე ახდენდა შევსებას. არ ვიცით ჰქონდა თუ არა თეოდოსის ბიზანტიის იმპერატორისგან რაიმე ფინანსური შემწეობა, თუმცა, ასეთი რამ არ უნდა გამოირიცხოს.

თეოდოსის მთავარი მხარდამჭერები მაინც ქართლისა და მესხეთის აზნაურები იყვნენ, რომლებიც დემეტრესა და მარუშიანთა კლანის წინააღმდეგ გაერთიანებას ცდილობდნენ. ბუნებრივია, ისე არ უნდა წამოვიდგინოთ, თითქოს, შიდა ქართლისა და ჯავახეთის ყველა აზნაური მეფე დემეტრესა და

[26] გურგენი, რომ შავშეთში მმართველობს ამას კარგად აჩვენებს „მატიანე ქართლისა“, იხ.: მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 277; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 270. ის შეიძლება ყოფილიყო მთელი მხარის მმართველი ან შავშეთის ნაწილის მემამულე-მფლობელი. ბუნებრივია, მასვე შეიძლებოდა ჰქონოდა მიწები სამცხეშიც. ხშირად ეს ორი მხარე ადმინისტრაციული თვალსაზრისით ერთ პროვინციაში ერთიანდებოდა.

[27] კონფლიქტის დასრულების შემდეგ თეოდოსი სწორედ დავით მაგისტროსთან ჰპოვებს დროებით თავშესაფარს, რაზეც უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ. ყველაფერი ეს დავითის მისადმი მხარდაჭერაზე მიუთითებს. დავითის ბიზანტიური ტიტულზე იხ.: ლ. თაყაძე. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში. თბ. 2016, გვ. 94-101.

მისი მოხელეების წინააღმდეგ გამოდიოდა. ბუნებრივია, მათ ჰყავდათ თავიანთი მომხრეები, მაგრამ უმრავლესობა მარუშიანთა კლანისა და აფხაზი დიდებულების წინააღმდეგი იყო.

დემეტრე მეფეს არ შეეძლო დიდი ხნის განმავლობაში თავისი ძმის მომხრეების შეკრებისთვის მშვიდად ეყურებინა. თეოდოსის ჩამოსვლიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, აფხაზთა მეფემ თავისი ლაშქარი სამცხეში გაგზავნა. დემეტრე გეგმავდა თეოდოსის მომხრეებზე მოულოდნელი შეტევა მიეტანა და ისინი იქამდე გაენადგურებინა, სანამ დიდი ლაშქრის მოგროვებას მოახერხებდნენ. ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა. აფხაზთა ჯარის მოძრაობის მარშრუტი ცნობილი არაა, სავარაუდებელია, რომ ისინი ფერსათის გავლით სამცხეში შეიჭრნენ, ხოლო შემდეგ მერეს მიაშურეს. ეს სამცხეში შეჭრის ყველაზე იოლი გზა იყო, ამასთან, მტრულად განწყობილი შიდა ქართლის გზის ავლით. მოულოდნელი თავდასხმით შეშინებული თეოდოსი დამარცხდა და იძულებული შეიქნა სამცხე დაეტოვებინა.[28]

თეოდოსი გარბის თავისი მოკავშირის ადარნასე ძამელის სამფლობელოში.[29] მიუხედავად იმისა, რომ აფხაზთა ჯარი სამცხეში მოძრაობდა, ამ მხარეში მდებარე ციხესიმაგრეები კარგად იყო გამაგრებული, ხოლო სამცხის პატრონები თეოდოსის უჭერდნენ მხარს. თეოდოსის ყველაზე მეტი მხარდამჭერი მაინც შიდა ქართლში ეგულებოდა. ამასთან შიდა ქართლიდან ის კახელი და მესხი აზნაურების ხელახალ შემოკრებას გეგმავდა. ამრიგად, თეოდოსი დატოვებს სამცხეს, გადადის თორში, ხოლო იქიდან შიდა ქართლის მხარეში, კონკრეტულად, ძამის ხეობას აფარებს თავს.

ძამის ხეობა, უპირატესად, ადარნასე ძამელის ხელში იყო მოქცეული. ძამის ციხის პატრონი ადარნასე ქართლის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფეოდალი გახლდათ. როგორც ჩანს, ადარნასე ძამელი იყო ის საკონტაქტო პირი, ვისი მეშვეობითაც თეოდოსი ქართლის აზნაურებს იმხრობდა. ადარნასე, რომელსაც ქართული წყარო მთავრის ტიტულით მოიხსენიებს, თეოდოსის საკუთარ სამფლობელოში შეიფარებს. ძამის ციხე უფლისწული თეოდოსის ახალი თავშესაფარი ხდება. აქედან უნდა გაერთიანებულიყო ქართლის, მესხეთისა და კახეთის ძალები, ხოლო შემდგომ დასავლეთ საქართველოში უნდა აეღოთ ხელში ძალაუფლების. ამ გეგმის აღსრულება ვერ მოხერხდა.

[28] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 270; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 265-266.

[29] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 270-271; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 266.

დემეტრე მეფემ სწრაფად იმოქმედა. აფხაზთა მეფემ თავისი ლაშქარი ძამის ციხის წინააღმდეგ გაგზავნა. ამ შემთხვევაში მეფის არმია ლიხის ქედის გავლით შიდა ქართლში შეიჭრა, იქაური მომხრეთა ძალები მიიმხრო და ციხესიმაგრეს ალყა შემოარტყა. ძამის ციხის ალყა დიდი ხანი გაგრძელდა. არც ერთი მხარე არ აპირებდა პოზიციების დათმობას. „მატიანე ქართლისას“ მიხედვით, ბრძოლები სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. აფხაზთა სამეფო ძალებს ამ ბრძოლების დროს დიდი ზიანი მიადგათ. ციხესიმაგრე იმდენად კარგად იყო გამაგრებული, რომ მისი აღება იარაღის მეშვეობით არ ხერხდებოდა. ამავე დროს, ზიანი ადგებოდათ თავად ძამის ციხის მეციხოვნეებს. დახმარება არც ერთი მხრიდან არ ჩანდა. აფხაზთა სამეფოს არმია საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში მოქმედებდა, ხოლო დაქსაქსული ქართველთა სამეფოს მმართველი ელიტა ერთიანი ძალებით თეოდოსის მხარეზე გამოსვლას ვერ ბედავდა. როგორც ჩანს, დემეტრე მეფემ და ივანე მარუშის ძემ კარგად გაამაგრეს კახეთის მხრიდან უფლისციხის გავლით ძამის ხეობისაკენ მიმავალი გზები. არ ჩანს, როგორი იყო კლდეკარის ერისთავთა დამოკიდებულება. თრიალეთის მხრიდან კიდევ ერთი გადმოსასვლელი პირდაპირ ძამის ხეობაში შემოდიოდა, ამდენად, ბაღვაშთა პოზიციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

სამი თვის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლებმა მეციხოვნეები დაარწმუნა, რომ ბრძოლის გახანგრძლივების შემთხვევაში ძამის ციხე შეიძლებოდა მალე დაცემულიყო, რის გამოც დაზავება ითხოვეს. მიმდინარე ბრძოლები და არმიის სურსათ-სანოვაგით შევსება დიდ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული, ამასთან, არც ის იყო გამორიცხული რომ თეოდოსისა და ადარნასეს საშველად ტაოელები და კახელები მოსულიყვნენ. ყველა ამ და სხვა მიზეზების გამო აფხაზთა ლაშქრის მეთაურები ძამელებს დაუზავდნენ. ზავის მიხედვით, ძამელები უვნებლობის პირობით აფხაზთა მეფეს დამორჩილდნენ, ხოლო თეოდოსი მშვიდობით გაუშვეს. პირობის თანახმად, თეოდოსის აფხაზთა სამეფოს ტერიტორია უნდა დაეტოვებინა და ძმის წინააღმდეგ მოქმედებაზე ხელი აეღო.[30]

თეოდოსი იძულებულია ქართლი დატოვოს და თავის კიდევ ერთ მოკავშირესთან დავით ტაოელთან მიემგზავრება. X საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში თეოდოსი იმიერტაოში იმყოფება, სადაც კიდევ უფრო დაუახლოვდა ტაოს მმართველ ელიტას. ტაოს ბაგრატიონები მის მიმართ განსა-

[30] „მატიანე ქართლისას“ ავტორი მხოლოდ ფაქტებს გადმოგვცემს, რის გამოც მისი ცნობები ძალიან მშრალია. შესაბამისად, ძირითადი მოვლენების რეკონსტრუქცია აქაც და, თითქმის, ყველგან ჩვენ გვეკუთვნის, იხ.: მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 270-271; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 266.

კუთრებულ პატივისცემას იჩენდნენ, ამას გარკვეული ნათესაური კავშირებიც განაპირობებდა. თეოდოსის და გათხოვილი იყო უფლისწულ გურგენზე, ამიერტაოს ბაგრატიონთა წარმომადგენელზე, ხოლო მათი შვილი, მცირეწლოვანი უფლისწული ბაგრატი, დავით ტაოელთან ოლთისში იზრდებოდა. ბუნებრივია, ასეთმა კავშირმა თეოდოსი ტაოს ბაგრატიონთა სამეფო კარზე მიღებულ სტუმრად აქცია. მან ტაოში ერთი წელი იცხოვრა. როგორც ჩანს, დავით ტაოელი თეოდოსისა და დემეტრეს შორის შუამავლის როლს ასრულებდა, როდესაც მხარეები ძმის ციხესთან ერთმანეთს დაუზავდნენ. თეოდოსი ტაოში მოღვაწეობის დროს აფხაზთა მეფის წინააღმდეგ ღია მტრულ მოქმედებაზე აღარ გადასულა.

მალე აღმოჩნდა, რომ დავითის მშვიდობიანი პოლიტიკა თეოდოსის ინტერესებში არ შედიოდა. მას კლავინდებურად აფხაზთა სამეფო ტახტის დაუფლება სურდა, ხოლო, ვინაიდან ამ საქმეში დავითის დახმარების იმედი დაკარგა, თეოდოსი ტოვებს ტაოს და კახეთის საქორეპისკოპოსოში მიემგზავრება. კახეთში მას ადგილობრივი მთავრისა და ქართლის აზნაურების დახმარების იმედი ჰქონდა.

თეოდოსის კახეთში ჩასვლის ზუსტი თარიღი უცნობია. უფლისწული კახეთში 70-იანი წლების დასაწყისში უნდა ჩასულიყო, სავარაუდოდ, 972 წლის ახლო ხანებში. კახეთის ქორეპისკოპოსი კვირიკე სამეფო ტახტის მაძიებელ უფლისწულს მიემხრო და დახმარებას შეჰპირდა. თეოდოსიმ კვლავ ღიად დაიწყო ძმის წინააღმდეგ მოქმედება. პირობა, რომელის მიხედვითაც მას დემეტრე მეფის საწინააღმდეგო მოქმედებებში არ უნდა მიეღო მონაწილეობა, დაირღვა.

დემეტრე მეფე ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. თეოდოსისა და კვირიკეს კავშირის ჩასაშლელად მას სასწრაფო ზომები უნდა მიეღო. ბრძოლის ნაცვლად დემეტრემ დიპლომატიით სცადა ძმის ამბოხის ჩახშობა. ამ მიზნის მისაღწევად ის არც მუხანათობასა და ტყუილს მოერიდა. გეგმის მიხედვით, თეოდოსი აფხაზთა სამეფოში ცრუ დაპირებებით უნდა შეეტყუებინათ, ხოლო შემდეგ მოეშორებინათ. როგორც ჩანს, ამ საქმეში მას ივანე მარუშის ძე და მისი მომხრეები უმაგრებდნენ ზურგს. დემეტრე მეფემ მოციქული გაუგზავნა კვირიკე ქორეპისკოპოსს და სთხოვა თავის ძმასთან ეშუამავლა. დემეტრე პირობას იძლეოდა თეოდოსი თანამმართველად დაესვა და ხელისუფლება მასთან გაეზიარებინა. აფხაზთა სამეფოში ძმების თანამმართველობის პრეცედენტი ლეონ მესამის ზეობისას უკვე არსებობდა, როდესაც

ლეონი და დემეტრე ერთად მეფობდნენ. ანალოგიურ დაპირებას იძლეოდა დემეტრე, ოღონდ ამჯერად თეოდოსის თანამეფედ დაყენების პირობით. კვირიკე ამ წინადადებით საკმაოდ მოხიბლული დარჩა, როგორც ჩანს, მას იმედი ჰქონდა, რომ თეოდოსის აფხაზთა სამეფოში თანამეფობის დროს ქართლის ტერიტორიის ნაწილს გააკონტროლებდა.

მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა. კვირიკემ თეოდოსი ძმის წინადადების მიღებაზე დაიყოლია, სამაგიეროდ ორივემ მოითხოვა ამ პირობის აღსრულების საზეიმო ფიცით განმტკიცება, რაზეც აფხაზთა მეფისგან სრული თანხმობა მიიღეს. ფიცის დადების საზეიმო ცერემონიალი მცხეთის სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარში გაიმართა, ქართლის კათალიკოსისა და საქართველოს სხვა მღვდელმთავრების, ასევე, აფხაზეთის, ქართლისა და კახეთის დიდებულების მონაწილეობით. სვეტიცხოველში დადებული ფიცით აფხაზთა მეფე და მისი დიდებულები თეოდოსის ხელშეუხებლობას, უვნებლობას და ტახტზე აყვანის პირობას აძლევდნენ. ღვთისა და ეკლესიის წინაშე დადებული ფიცით მინდობილი თეოდოსი დასავლეთ საქართველოში ძმის, დემეტრე მესამის, სამეფო კარზე გაემგზავრა.

თეოდოსი სამშობლოში დაბრუნდა. თავდაპირველად ის მშვიდობით მიიღეს და სამეფო ტახტის დაკავებაც აღუთქვეს, თუმცა დემეტრეს მუხანათური გეგმა მალე გაცხადდა. ქუთაისში მისვლიდან რამდენიმე დღეში დემეტრე მეფის ბრძანებით თეოდოსი შეიპყრეს და მეფის ღალატის ბრალდებით თვალები დათხარეს. უსინათლო თეოდოსი საპატიმროში ჩასვეს, რითიც სამეფო ხელისუფლების დაკავების მცდელობა მოუსპეს.[31]

სვეტიცხოველში დადებული ფიცის გატეხამ და თეოდოსის სასტიკმა დასჯამ საქართველოში მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. დემეტრემ, ქართლისა და კახეთის ფეოდალების გარდა, ქართული ეკლესია, ქართველთა სამეფოს მმართველი წრე და კავკასიის ბევრი ლიდერი მოიმდურა. ძმის შეპყრობის გამო ისტორიკოსები დემეტრე მეფეს უარყოფითად ახასიათებენ: „მა-

[31] მთელი ეს მოვლენები თეოდოსის კახეთში ჩასვლა, ტახტისთვის ბრძოლის განახლება, დემეტრეს მზაკვრული ჩანაფიქრი, სვეტიცხოველის ფიცი და შეთანხმება, თეოდოსის ქუთაისში ჩასვლა და მისი მუხანათური შეპყრობა და დაბრმავება აღწერილია „მატიანე ქართლისას“ უცნობი ავტორის მიერ, იხ.: მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 271-272; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 266. ამ ცნობებს ავსებს სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ტარონეცი. მისი ცნობით, თეოდოსი ქვეყნის (იგულისხმება აფხაზთა სამეფო) წამყვანმა პირებმა დააბრმავეს, რაშიც, დემეტრე აფხაზთა მეფესთან ერთად, ავტორი დემეტრეს თანამზრახველებს, ანუ მარუშიანებს და სხვა დიდებულებს გულისხმობს, იხ.: The Universal History of Step'anos Tarōnec'i, გვ. 290.

ტიანე ქართლისას" ავტორი მას „ფიცის გამტეხს" უწოდებს, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონი – „უღმრთოს". ამავე დროს, არც ერთ მათგანს არ ავიწყდება დემეტრეს ქება მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით.[32]

თეოდოსის დაკავების შემდეგ დემეტრე მეფის საქციელით აღშფოთებულმა ქართველმა ფეოდალებმა მას კიდევ ერთი ძმა, ბაგრატი, დაუპირისპირეს და დემეტრეს საწინააღმდეგოდ მეფედ გამოაცხადეს.[33] დემეტრეს მტრები მის დამხობასა და მისივე ძმების, თეოდოსისა და ბაგრატის, გამეფებას ცდილობდნენ. მიმდინარე ბრძოლები დიდი ხანი გაგრძელდა და საბოლოოდ დემეტრე მეფის გამარჯვებით დასრულდა. დაძაბულობა არც ამის შემდეგ შენელებულა. კახეთის ქორეპისკოპოსი ბოლომდე თავისი პირობის ერთგული დარჩა, ხოლო თეოდოსის სისხლის აღების საბაბით აფხაზთა მეფის პოზიციებს უტევდა. დემეტრე მეფეს ძმის დასჯისა და ფიცის გატეხის გამო მთელი ქვეყნის მასშტაბით მტრობდნენ. აფხაზთა მეფე დემეტრე 975 წელს გარდაიცვალა.

სამეფო ტახტი ვაკანტური დარჩა. როგორც ჩანს, მეფე დემეტრე მესამეს არ ჰყავდა ვაჟიშვილი, რის გამოც ტახტის კანონიერ მემკვიდრედ თეოდოსი რჩებოდა. აფხაზთა სამეფოს დიდებულებმა 975 წელსვე ტახტზე თეოდოსი მწუხარე ანუ თვალდამწვარი დასვეს.[34] თეოდოსის გამეფებით ისარგებლა კახეთის ქორეპისკოპოსმა კვირიკემ და კიდევ ერთხელ შემოუტია შიდა ქართლის ცენტრს – უფლისციხეს.[35]

---

[32] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 271-272; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 266; ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 801.

[33] მათი კიდევ ერთი ძმა ბაგრატი იყო, გიორგი აფხაზთა მეფის უმცროსი შვილი, რომელსაც მემატიანე ჩალა-მეფის სახელით იხსენიებს. „ჩალა-მეფე" მისი ზედსახელია, რაც იმას უჩვენებს, რომ მას არანაირი სამფლობელო არ გააჩნდა, ხოლო იმისთვის რომ ამ პერიოდში მოღვაწე სხვა სეხნიებისგან (ბაგრატ რეგუენი, უფლისწული ბაგრატ გურგენის ძე) გამოერჩიათ, ზედმეტსახელად „ჩალა-მეფე" უწოდეს. ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ „მატიანე ქართლისას" ჩალა-მეფე და ბაგრატ გიორგი II დიდის ძე ერთიდაიგივე პიროვნებაა. „მატიანე ქართლისაში" დაფიქსირებული ამ ორი პიროვნების გაიგივება დიდი ხანია შემჩნეულია, იხ.: ალ. მარუაშვილი. „ძლიერი და ერ-მრავალი" დიპლომატი ივანე მარუშის ძე, გვ. 30.

[34] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 272; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 266-267. ივანე ჯავახიშვილის შენიშვნით, თეოდოსის გამეფება აფხაზთა სამეფოს დიდებულთა მხრიდან იძულებითი ნაბიჯი იყო, ვინაიდან სხვა მემკვიდრე ქვეყანაში აღარ იძებნებოდა. თეოდოსის მეფობის ზუსტი თარიღიც მასვე მოაქვს, იხ.: ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. II, გვ. 108. ივანე ჯავახიშვილის აზრი, იმის შესახებ რომ უსინათლო თეოდოსი აფხაზთა სამეფოს დიდებულ აზნაურთა სათამაშო უნდა გამხდარიყო, ეფიქრობ, ბოლომდე არაა მისაღები. შეიძლება დიდებულები ამას გეგმავდნენ, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ოცნებები არ აუხდათ.

[35] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 272; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 267.

უფლისციხეს იმ დროს ივანე მარუშის ძე, ქართლის ერისთავი ფლობდა. ივანე მარუშის ძე და მარუშიანთა კლანი დემეტრე მესამის მხარდამჭერები იყვნენ. თეოდოსის გამეფებით ისინი ინარჩუნებენ თავანთ მდგომარეობას აფხაზთა სამეფოში, მაგრამ არცთუ ისე მყარად. ივანე მარუშის ძეს, როგორც ჩანს, ცუდი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა ახლად გამეფებულ თეოდოსი მესამესთან. თეოდოსისა და ივანეს ცუდ ურთიერთობას მარუშიანთა კლანის დემეტრესთან ახლო ურთიერთობა განაპირობებდა. მარუშიანთა ჩამოშორებას ცდილობდნენ დემეტრეს მოწინააღმდეგე აფხაზი და ქართველი ფეოდალებიც.

ქალაქ უფლისციხის ბრძოლებმა აშკარა გახადა, რომ მეფე თეოდოსი აფხაზთა სამეფოს სამხედრო ძალებით ქართლში მდებარე თავისი სამფლობელოების დაცვას არ აპირებდა. უფლისციხეს მხოლოდ დემეტრეს მიერ დანიშნული მოხელე, ივანე მარუშის ძე და მისი კლანი იცავდნენ. ქართველი მემატიანის დახასიათებით, ივანე მარუშის ძე იყო *„კაცი ძლიერი და ერმრავალი“*:[36] ივანე ხედავდა, რომ აფხაზთა მეფე თეოდოსი უფლისციხესა და ქართლის საერისთავოს დიდი ნაწილის უბრძოლველად დათმობას აპირებდა. როგორც ჩანს, ამის ძირითადი მიზეზი მარუშიანების მოსპობა და თეოდოსისა და მისი ბანაკის კახეთის ქორეპისკოპოსთან ახლო ურთიერთობა იყო. მათ სურდათ გარდაცვლილი დემეტრე მეფის მომხრეები ამოეძირკვათ, ხოლო თავიანთი მომხრეები დაეწინაურებინათ.

ივანე მარუშის ძე ახალი მოკავშირის გარეშე ქართლს ვერ დაიცავდა. უფრო მეტიც, ივანე მარუშის ძე და მისი კლანი დიდი საფრთხის წინაშე იყვნენ საკუთრივ აფხაზთა სამეფოშიც, სადაც მათი პოლიტიკის მოწინააღმდეგე თეოდოსი მმართველობდა. საჭირო იყო გარანტიები იმისა, რომ კლანი აფხაზთა სამეფოში თავის მდგომარეობას უსაფრთხოდ შეინარჩუნებდა. ამ გარანტიის უმთავრესო წყარო ქართველთა სამეფოს ბაგრატიონები უნდა გამხდარიყვნენ.

ივანე მარუშის ძე თავისი პოზიციების შენარჩუნების მიზნით, აფხაზთა მეფის გვერდის ავლით, უკავშირდება დავით ტაოელს და ქართლის დაკავებას სთავაზობს, სადაც, მისივე გეგმის მიხედვით, უფლისწული ბაგრატი უნდა დაესვათ ერისთავის თანამდებობაზე და აფხაზთა სამეფოს ტახტის მემკვიდრედ უნდა გამოეცხადებინათ, როგორც აფხაზთა დიდი მეფის, გიორგი II-ის, ქალის ხაზით შვილიშვილი და მემკვიდრე. ივანე მარუშის ძის ამ გა-

[36] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 272; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 267.

დაწყვეტილებას მარუშიანთა კლანის გარდა გარდაცვლილი დემეტრე მეფის ყველა მომხრე იზიარებდა. განსაკუთრებით კი ისინი, ვინც ახალი მეფის ქმედებებით უკმაყოფილო იყო. ყველა ამ ფეოდალს საერთო ინტერესი ჰქონდათ – ყოფილიყვნენ დაცული ახალი მეფის შურისძიებისგან. თეოდოსი თავის დაბრმავებას, ისევე როგორც ფიცის გატეხას, გარდაცვლილ დემეტრე მეფესა და მის მომხრეებს აბრალებდა. სტეფანოზ ტარონეცი პირდაპირ წერს, რომ ქვეყნის წამყვანი პირების მონაწილეობით დააბრმავეს თეოდოსი,[37] რაშიც, უპირველეს ყოვლისა, მარუშიანები იგულისხმებიან. ამგვარად, ივანე მარუშის ძის მიზანი ქართლის დაცვა, მარუშიანთა კლანის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საკუთარი მდგომარეობის განმტკიცება და ბაგრატის ტახტის მემკვიდრედ გამოცხადება იყო.

თეოდოსის განსხვავებული მიზნები ჰქონდა. მისი პასიურობა უფლისციხეზე განხორციელებული თავდასხმის დროს იმის მანიშნებელია, რომ მეფე არ თვლიდა საჭიროდ ქალაქის დაცვას. კახეთის ქორეპისკოპოსი მისთვის ბუნებრივი მოკავშირე იყო მარუშიანების წინააღმდეგ. თეოდოსის სურდა, ყოფილი მეფის მომხრეთა ჩამოშორებით ქვეყანაში ახალი მმართველი გუნდი შეეკრა. აფხაზთა სამეფოს მმართველი ზედაფენის ერთი ნაწილი, როგორც დავინახეთ, დამნაშავე იყო მის დაბრმავებაში, რასაც ის არავის აპატიებდა. ივანე მარუშის ძის აქტიური მოქმედების წყალობით მეფე თეოდოსის გეგმებს განხორციელება არ ეწერა.

ივანე მარუშის ძის გეგმა დავით ტაოელმაც მოიწონა. ქართლის დაკავება და აფხაზთა სამეფო ტახტის მემკვიდრედ მეფის დისწულის, უფლისწული ბაგრატის, გამოცხადება ბაგრატიონთა ინტერესებშიც შედიოდა. ბაგრატი დავითს აღზრდილი იყო, ამასთან, ის ქართველთა მეფე ბაგრატ რეგუენისა და მისი მემკვიდრის გურგენის მომავალი მემკვიდრე გახლდათ. ქართველთა სამეფოში ამ ფაქტს დიდი მოწონებით შეხვდნენ. დავითი ქართველთა სამეფოს ლაშქარს პირადად ჩაუდგა სათავეში, მოირთო მარუშიანთა ძალები და ერთობლივად კახელებს შეუტია. როგორც კი დავითი უფლისციხეს მიუახლოვდა, კახელებმა დაკავებული პოზიციები დათმეს და ქართლი დატოვეს.[38]

დავით ტაოელმა უფლისციხე უშუალოდ ივანე მარუშიანის ხელით ჩაიბარა. მარუშიანებთან შეთანხმებით 975 წელსვე ახალგაზრდა უფლისწული ბაგრატი აფხაზთა სამეფო ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადეს, ხოლო, ვინა-

[37] The Universal History of Step'anos Tarōnec'i, გვ. 290.

[38] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 272; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 267.

იდან ჯერ კიდევ ასაკით არასრულწლოვანი იყო, თანაგამგებლად მამამისი გურგენი დაუნიშნეს, იქვე იმყოფებოდა ბაგრატის დედა, გურანდუხტი, რომელიც მეფე თეოდოსის და გახლდათ.[39] საინტერესოა ამ ამბავში ივანე მარუშის ძის ქმედება. მან თავისი ინიციატივით მოიყვანა და თავისი ხელით ჩააბარა ბაგრატიონებს უფლისციხე და ქართლის განმგებლობა, სანაცვლოდ მოიპოვა მათი ნდობა და მომავალი მეფის, ბაგრატის, უპირობო მხარდაჭერა. ივანე მარუშის ძის გათვლები თავისი კლანის გაძლიერებას ისახავდა მიზნად, ხოლო დავით ტაოელის ქმედება ქართული მიწები გაერთიანებას. დავითის უფლისციხეში წარმოთქმული სიტყვები საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ერთგვარი დასაბამი გახდა. მან ბაგრატის ქართლის ერისთავის თანამდებობაზე დადგინებისას, რაც აფხაზთა სამეფო ტახტის მემკვიდრის უფლების მოპოვებასაც ნიშნავდა, დამსწრეებს შემდეგი სიტყვით მიმართა: *„ესე არს მკვდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისაჲ, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე. ამას დაემორჩილენით ყოველნი“*: ამის შემდეგ, რამდენიმე დღეში დავითი ტოვებს ქართლს და ტაოში ბრუნდება.[40]

უფლისციხის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება მეფე თეოდოსის მონაწილეობის გარეშე იქნა დადგენილი. თეოდოსის ყველა საფუძველი ჰქონდა ამ გადაწყვეტილებისთვის მხარი არ დაეჭირა, მაგრამ ეს არ მოხდა. ქართველთა სამეფოს მესვეურთა და აფხაზთა დიდებულების ერთობლივმა მოქმედებამ მეფე აიძულა, ბაგრატის ტახტის მემკვიდრეობასა და ქართლში მის ნომინალურ მფლობელობას შერიგებოდა. შიდა ქართლში რეალურად გურგენი და გურანდუხტი მმართველობდნენ. ბაგრატიონთა ოჯახს შიდა ქართლში მარუშიანები ედგნენ გვერდში. აფხაზთა სამეფო ტახტის მემკვიდრის ოჯახთან დაახლოებამ მარუშიანების გავლენა კიდევ უფრო გაზარდა. მართალია, კლანი ქართლს აღარ მართავდა, თუმცა ქართლის იმჟამინდელი მმართველი ბაგრატიონების ინტერესებს იცავდა მთელი სამეფოს მასშტაბით. ამ მიზნით ივანე მარუშის ძე აფხაზეთში გადავიდა.

თეოდოსის მარუშიანთა კლანისგან გათავისუფლების მიზნით თავიდან უნდა მოეშორებინა მათი დასაყრდენი, უფლისწული ბაგრატი და მისი ოჯახი, ვისთანაც ის ერთ დროს ძალიან ახლოს იყო, ხოლო იმჟამად იძულებული გახდა მათ მფლობელობას შერიგებოდა შიდა ქართლში. ჩვენ დაზუსტებით არ

[39] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 272; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 267.

[40] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 272, 274; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 267-268.

ვიცით, ბაგრატის გარდა ჰყავდა თუ არა თეოდოსის ვინმე სხვა მემკვიდრე. „მატიანე ქართლისას“ მიხედვით, მას შვილი არ ჰყოლია. ყველა შემთხვევაში, ნაკლებად სავარაუდებელია, მეფე დიდი ხნით შეგუებოდა მარუშიანთა ინიციატივით გაბატონებული ბაგრატიონების მმართველობას. ბაგრატიონებმა თავიანთი ხელისუფლება დაამყარეს ქართლში, ხოლო სულ მალე უფლისწულ ბაგრატ ბაგრატიონის საშუალებითა და ივანე მარუშის ძის დახმარებით, იმავეს აპირებდნენ მთელ აფხაზთა სამეფოში. თეოდოსის თავიდან უნდა მოეშორებინა შიდა ქართლში გაბატონებული ბაგრატიონები. მალე ასეც მოხდა.

დავით ტაოელმა შიდა ქართლში მხოლოდ რამდენიმე დღე დაჰყო ისიც იმისთვის იყო საჭირო, რომ ადგილობრივი ფეოდალები ბაგრატი ერთგულებაზე დაეფიცებინა. დავითის სამშობლოში გამგზავრების შემდეგ სიტუაცია ნელ-ნელა იცვლება. ქართლის აზნაურები კვლავინდებურად უკმაყოფილოები არიან ახალი ხელისუფლებით, მათ უკმაყოფილებას აძლიერებს კახეთის ქორეპისკოპოსის პოზიცია, რომელიც ქართლის ტერიტორიას თავის სამფლობელოდ მიიჩნევს. როგორც ჩანს, ამჯერად, აფხაზთა მეფესთან შეთანხმებით ქართლის აზნაურთა ნაწილი უფლისწულ ბაგრატსა და მის ოჯახს განუდგა.

976 წელს ქართლის აზნაურთა ამ პარტიამ კახეთის ქორეპისკოპოსი კვირიკე უფლისციხეში მოიწვია, ხოლო, როდესაც კახელთა ჯარი ქალაქს მიადგა, ქართლის აზნაურებმა მტერს კარი გაუღეს და, ფაქტობრივად, უბრძოლველად ხელში ჩაუგდეს უფლისციხე და ქალაქში მყოფი უფლისწული ბაგრატის მთელი ოჯახი.[41] თეოდოსი აფხაზთა მეფემ არც ამ შემთხვევაში მოიმოქმედა რაიმე თავისი მიწების დასაცავად.

თეოდოსის მოქმედებები კარგად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ის შეკრული იყო ქართლისა და კახეთის ფეოდალებთან, რათა თავიდან მოეშორებინა თავისი და, დისწული და სიძე, ხოლო მათ ნაცვლად თავის ძველ მოკავშირეს, კვირიკე ქორეპისკოპოსს, ეპატიჟებოდა. თეოდოსი ჭკვიანურად მოქმედებდა, აღნიშნულ მოვლენებს ისტორიკოსი ქართლელ აზნაურებს მიაწერს, მაშინ როდესაც ქართლის აზნაურები ამ პროცესების მხოლოდ ერთ-ერთი მოქმედი პირები უნდა ყოფილიყვნენ. უფლისწული ბაგრატის ოჯახის თავიდან მოშორების შემდეგ თეოდოსის მარუშიანთა კლანი უნდა მოესპო. ბაგრა-

[41] მოვლენები აღწერილია „მატიანე ქართლისაში“, მაგრამ თარიღზე მინიშნება და ქორეპისკოპოსის სახელი ჩანს მხოლოდ ვახუშტი ბაგრატიონის თხულებაში, რომლეიც, უპირატესად, „მატიანე ქართლისას“ ეყრდნობა, მაგრამ აქვს სხვა წყაროებიც, იხ.: მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 274; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 268; ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 560.

ტი მშობლებთან ერთად კახეთის ქორეპისკოპოსმა აიყვანა ტყვედ. თეოდოსისა და კვირიკე ქორეპისკოპოსის პოზიციები, თითქოს, საკმაოდ გამყარდა.

კვირიკემ ვერ გაწირა ბაგრატიონთა სამეფო ოჯახი და ისინი მხოლოდ დაატუსაღა. მათი ლიკვიდაცია არ იგეგმებოდა, ისინი ქართლის მმართველობას უნდა ჩამოეშორებინათ, ხოლო შიდა ქართლში სასურველი რეჟიმი დაემყარებინათ. მალე სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. კვირიკესა და თეოდოსის გეგმები დავით ტაოელმა ჩაშალა.

ბაგრატის, გურგენისა და გურანდუხტის დატყვევებას პირველი იმიერტაოს მმართველი დავით გამოეხმაურა. კახელთა ამ ქმედებით განრისხებული დავითი თავისი არმიით თრიალეთში შემოვიდა, სადაც მას კლდეკარის ერისთავი უნდა შეერთებოდა. მას გზაში შეუერთდებოდა მარუშიანთა კლანიც, რომლიც ჯავახეთს მართავდა. საისტორიო წყაროებში არ ჩანს ივანე მარუშის ძის მოქმედება, მაგრამ, როგორც ჩანს, ის დასავლეთ საქართველოში ამზადებდა ჯარს კახელთა ქმედების საპასუხოდ. ჩვენ არ ვიცით დავითის მიერ შეკრებილი არმიის ზუსტი რაოდენობა, მაგრამ ის იმდენად მასშტაბური აღმოჩნდა, რომ კახეთის ქორეპისკოპოსმა კვირიკემ, იქამდე სანამ ქართველთა სამეფოს ლაშქარი კახეთში შეიჭრებოდა, მოწინააღმდეგეს ზავი შესთავაზა. როგორც ჩანს, კვირიკეს უმოქმედო თეოდოსის სამხედრო მხარდაჭერის იმედი არ ჰქონდა, რის გამოც, ფაქტობრივად, მოკავშირის გარეშე დარჩა. ახალგაზრდა უფლისწულისა და მისი ოჯახის მუხანათური დატყვევებისთვის კი მას აუცილებლად პასუხს აგებინებდნენ. მოვლენების ასეთი სწრაფი და მოულოდნელი განვითარებით შეშფოთებულმა კვირიკემ მოციქულების მეშვეობით დავით ტაოელთან ზავი გააფორმა.

დავითისა და კვირიკეს შორის თრიალეთში დადებული ზავის მიხედვით, უფლისწული ბაგრატი და მისი მშობლები გაათავისუფლეს, უფლისციხე და შიდა ქართლი მათ სასარგებლოდ დაცალეს, ხოლო ყველაფერი ამის სანაცვლოდ კვირიკემ ქართლის ორი ციხესიმაგრე, წირქვალი და გრუი მიიღო,[42] ასევე, როგორც ჩანს, კვირიკეს მომხრე ქართველი აზნაურების ხელშეუხებლობის გარანტია.

თრიალეთის ზავის დადებიდან მცირე ხნის შემდეგ კვირიკე გარდაიცვალა,[43] ხოლო აფხაზთა მეფე თეოდოსი მწუხარე მოკავშირის გარეშე დარჩა. კახეთის ახალი ქორეპისკოპოსი თავად ცდილობდა ხელისუფლების გამყარებას და

[42] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 274-275; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 268.

[43] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველო.სა, გვ. 560

ქართლისთვის ნაკლებად ეცალა. თეოდოსი მტრულ გარემოცვაში აღმოჩნდა. მისი ბრალი იყო აფხაზთა სამხედრო ძალების სრული უმოქმედობა თავისი დის, გურანდუხტისა და მისი ოჯახის შეპყრობის დროს, მასვე ბრალდებოდა უფლისციხის დაცემა და ქვეყანაში გავრცელებული მრავალი უწესობა.

გურანდუხტი 976 წელს ბაგრატის ნაცვლად ქართლის დროებით გამგებლად დაინიშნა, ხოლო არასრულწლოვანი უფლისწული ბაგრატი დავითმა ტაოში წაიყვანა.[44] გურანდუხტ დედოფალი და დავით ტაოელი თეოდოსის აღარ ენდობოდნენ. თეოდოსიმ წინანდელზე უფრო მეტად გადაიმტერა დასავლეთ საქართველოს ფეოდალებიც, ისინი მას ქვეყნის მმართველობის დასუსტებაში, ძველი წესებისა და კანონების შეცვლასა და შერყვნაში ადანაშაულებდნენ. აფხაზთა სამეფო ანარქიამ მოიცვა, ხოლო თეოდოსის მმართველობა იმდენად ფორმალური გახდა, რომ ის, პრაქტიკულად, ქვეყანას ვეღარც მართავდა. დიდებულთა ერთი ნაწილი მას ანგარიშს აღარ უწევდა. მან ვერ შეძლო ვერც ერთი სერიოზული მოწინააღმდეგის მოშორება, ხოლო მარუშიანთა კლანი, ყველაფერი ზემოხსენებულის ფონზე, ძალიან ახლოს იყო უსინათლო მეფის იძულებით დამხობასთან. მალე ამისი დროც დადგა.

977 წელს უფლისწული ბაგრატი სრულწლოვანი გახდა.[45] ამის შემდეგ აფხაზეთისა და ქართლის დიდებულები, ერისთავები და აზნაურები ივანე მარუშის ძის ინიციატივით თხოვნით მიმართავენ დავით ტაოელს, რათა აფხაზთა სამეფოს ახალ მეფედ ბაგრატი გამოგზავნოს. ფორმალურად ბაგრატი თეოდოსის თანამეფედ უნდა დაესვათ, როგორც მისი დისწული და კანონიერი მემკვიდრე, მაგრამ რეალურად მეფე თეოდოსის უფლისწული ბაგრატით ჩანაცვლება იგეგმებოდა. აღნიშნული გეგმა, როგორც ჩანს, წინასწარ შეთანხმებული იყო გურანდუხტ დედოფალთან და გურგენ ბაგრატიონთან, ბაგრატის მშობლებთან. ამ აზრს იზიარებდა აფხაზთა სამეფოსა და ქართველთა სამეფოს წარჩინებულთა უმრავლესობა. ყოყმანობდა მხოლოდ დავით ტაოელი, რის გამოც მოლაპარაკებები გაიწელა. დავითს არ სურდა თავისი ახალგაზრდა მემკვიდრის საფრთხეში ჩაგდება და იმის გამეორება, რაც უფლისციხეში მოხდა ორი წლის წინ. დავითის პოზიციებს ამ პერიოდში ისიც ამყარებდა, რომ მისი მხარე ეკავა სომხეთის მეფე სუმბატ II-სა (977-989) და სომხეთის მმართველ წრეებს. ისინი ტაოს მეფისგან ძალიან იყვნენ დავალებული და სომეხ ბაგრატუნთა შორის არსებული კონფლიქტი ამავე წელს სწორედ დავითის

[44] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 275; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 268.

[45] უფლისწული ბაგრატის ასაკის თაობაზე იხ.: ჯ. სამუშია. ბაგრატ III, გვ. 15.

ჩარევით მოგვარდა.[46] აფხაზთა სამეფოში მიმდინარე ამ დრამატული მოვლენების მიმდინარეობისას დავითის გადაწყვეტილება გადამწყვეტი აღმოჩნდა.

დავით ტაოელი აფხაზთა სამეფოს ბევრ დიდებულს ეჭვის თვალით უყურებდა, განსაკუთრებით კი ქართლელ აზნაურებს. ბიზანტიის იმპერიაში არსებული დაძაბული სიტუაციის ფონზე ახალ კონფლიქტებში ჩაბმას დავითი თავს არიდებდა. ამიტომ მოითხოვა გარანტიები ფიცის სიმტკიცისა და მძევლების სახით, რათა აფხაზეთისა და ქართლის აზნაურებს უფლისწული ბაგრატი ტახტზე მშვიდობიანად აეყვანათ და, ასევე, სტაბილური მეფობის საშუალება მიეცათ. გარანტიების მიღების შემდეგ გარიგება შედგა. დავითი, ფიცისა და მძევლების მიღების შემდეგ, დათანხმდა ბაგრატის ქუთაისში გაშვებასა და მეფედ დამტკიცებას.[47]

978 წელს უფლისწული ბაგრატი ქუთაისში შემოიყვანეს და აფხაზთა სამეფოს დიდებულთა წინაშე აფხაზთა მეფედ აკურთხეს.[48] ბაგრატის კურთხევის ცერემონიალს დავით ტაოელი და სომხეთის მეფე სუმბატ II-ც ესწრებოდნენ.[49] ტაოსა და სომხეთის წარჩინებულებთან ერთად ცერემონიას გურგენი, გურანდუხტი და ქართველთა სამეფოს დიდებულებიც უნდა დასწრებოდნენ. რამდენიმე სამეფოს მმართველი ელიტის დასწრება მნიშვნელოვანი იყო იმისთვის, რომ ახალი მეფისა და დინასტიის ლეგიტიმურობა ეჭვის ქვეშ არავის დაეყენებინა. მეფე თეოდოსის, რომელიც ამ დროს მმართველობდა, ერთპიროვნული ძალაუფლება ჩამოართვეს. თეოდოსი მეფის უფლებებს კლავ ინარჩუნებს, მაგრამ უპირატესობა ბაგრატის ხელში მოექცა. გამეორდა ის, რაც ლეონისა და დემეტრეს დროს მოხდა, როდესაც აფხაზთა სამეფოს ლეონი მართავდა, ხოლო დემეტრე ფორმალური თანამმართველი იყო. ბაგრატი ამ დროს უკვე დაახლოებით 17 წლის იყო.

---

[46] The Universal History of Step'anos Tarōnec'i, გვ. 240.

[47] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 275; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 268-269.

[48] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 275; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 268-269. ბაგრატ მესამის მეფედ კურთხევის ცერემონიალი ვრცლად აქვს განხილული ჯ. ბაბა სამუშიას (იხ.: ჯ. სამუშია. ბაგრატ III, გვ. 39-57).

[49] სტეფანოზ ტარონეცი აფხაზთა სამეფოს დიდებულებთან ერთად დავითსა და სუმბატს ასახელებს ბაგრატის გამეფების შემოქმედებად. სომეხი ისტორიკოსი პირდაპირ წერს, რომ ბაგრატი დავითმა და სმბატმა (სუმბატის სომხურში გავრცელებული ფორმა) დასვეს მეფედო, რაც ცერემონიალის დროს მათი დასწრებით უნდა აიხსნას ტაოსა და სომხეთის სამხედრო ძალებთან ერთად, იხ.: თჰე ნივერსალ ჰისტორყ ოფ შტეპ ანოს თარōnec'i, გვ. 290. სტეფანოზ ტარონეცი ტექსტის ყველა ხელნაწერში ბაგრატი იხსენიება, როგორც სმბატ გურგენის ძე, ბაგრატ ქართველთა მეფის შვილიშვილი, მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს ისტორიკოსის (ან გადამწერის) უნებლიე შეცდომაა, რის გამოც უახლოეს გამოცემაში სახელი „სმბატი“ გასწორებულია „ბაგრატად“, იხ.: The Universal History of Step'anos Tarōnec'i, გვ. 290, სქ. 491.

თეოდოსი თავისი ზეობის მთელი სამი წლის განმავლობაში ისწრაფოდა ხელისუფლების გამყარებისკენ, რაც ბაგრატისა და მისი ოჯახის კეთილდღეობის ხარჯზე ხდებოდა. თეოდოსი ახალგაზრდა უფლისწულისთვის საშიში იყო, თუნდაც უსინათლო და შეზღუდული, ის ბაგრატისა და მისი კლანისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. თეოდოსი წარუმატებელი აღმოჩნდა დასავლეთ საქართველოს ფეოდალებთან საერთო ენის გამონახვის საქმეში, ისევე როგორც მტრების განადგურების მცდელობაში. 978 წლისთვის თეოდოსის ძალაუფლება იმდენად მიზერული იყო, რომ მან ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ბაგრატის ქუთაისში მეფედ კურთხევას. ამ გადაწყვეტილებით ძალაუფლება აფხაზთა სამეფოს ახალი მონარქის, თეოდოსის დისწულს, ბაგრატ მესამის, ხელში აღმოჩნდა. თეოდოსის სტატუსი 978-980 წლებში შენარჩუნებული იყო, მაგრამ რეალური მეფე ბაგრატი გახლდათ. ქვეყნის დიდებულები უკვე ბაგრატის ბრძანებას ემორჩილებოდნენ. „მატიანე ქართლისას“ ავტორი წერს:

„შთაიყვანეს იგი აფხაზეთს, დალოცეს მეფედ და დაემორჩილნეს ყოველნი ბრძანებასა მისსა, რამეთუ განსრულებულ იყო ჰასაკითა“:[50]

აფხაზთა სამეფოში ორმეფობა დამყარდა, სადაც ბაგრატ მესამე და მისი მომხრე დასი დომინირებდა. თეოდოსი მესამეს ახალი პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით ქვეყანაში მყარი პოლიტიკური დასაყრდენი უნდა ეძებნა. ასეთი დასაყრდენი შეიძლებოდა გამხდარიყო ქართლის აზნაურები და დედა-დედოფალი გურანდუხტი, თეოდოსის ღვიძლი და.

აფხაზთა სამეფოში დამყარებული ორმეფობა მომენტალურად წარმოშობდა ორ ძირითად ბანაკს, რომელშიც ქვეყნის წამყვანი დიდებულები იყვნენ გადანაწილებული. თეოდოსის მომხრე წარჩინებულები ბაგრატის და მარუშიანთა კლანის მოწინააღმდეგე ფეოდალები უნდა ყოფილიყვნენ. ასეთი, უპირველეს ყოვლისა, ქართლის დიდაზნაურები იყვნენ. ქართლში ამ დროს აღზევებული იყო ტბელთა საგვარეულო, რომელსაც ადგილობრივ აზნაურთა შორის ერთ-ერთი უპირატესი ადგილი ჰქონდა მოპოვებული. ქართლის განმგებელის, დედოფალ გურანდუხტის, გარემოცვაში ტბელთა გვარი ყველაზე უფრო მეტად იყო დაწინაურებული. აღნიშნული კლანის მეთაური ქავთარ ტბელი გახლდათ. მის გარდა ამ პერიოდის მოვლენებისას ქართლის სხვა დიდებულ აზნაურთა სახელებს მემატიანე არ ასახელებს. „მატიანე ქართლისას“ მიხედ-

[50] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 275; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 268-269.

ვით, ქართლის აზნაურთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქავთარის მონაწილეობით, დედოფალი გურანდუხტის მმართველობას ამოფარებულნი, *„განაგებდეს საქმეთა ქართლისათა“*,[51] ანუ შიდა ქართლის რეალურ მმართველობას ახორციელებდნენ. თვითმმართველ ქართლის აზნაურთა შორის უნდა იგულისხმებოდეს ძამელები, რომლებიც თეოდოსის ერთ-ერთი მთავარი მოკავშირეები იყვნენ დემეტრე მეფის წინაალმდეგ ბრძოლაში, ასევე მათი სხვა მომხრეები, ვინც წლების მანძილზე თეოდოსის მხარეზე იბრძოდნენ.

ქართლის აზნაურთა ის კლანი, რომელიც ქავთარ ტბელის ირგვლივ იკრიბება საკმაოდ გავლენიანია. მათი მხარდაჭერა ბაგრატ III-ის გამეფების საქმეში, როგორც ჩანს, გურანდუხტს მოპოვებული ჰქონდა. ბაგრატი თავისი ბიძის თანამმართველი გახდა. 978-980 წლებში თეოდოსი და ბაგრატი ერთად მეფობდნენ. ორივე მეფეს მთელი ქვეყნის მასშტაბით, როგორც დასავლეთ საქართველოში, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს იმ ნაწილში, რომელიც აფხაზთა სამეფოს შემადგენლობაში იყო, თითქოს, მყარი ძალაუფლება ჰქონდა მოხვეჭილი. საგარეო საფრთხეები, რაც, ძირითადად, კახეთის საქორეპისკოპოსოს მხრიდან მომდინარეობდა აღარ არსებობდა, ხოლო ქართველთა სამეფოს მმართველი ზედაფენა ბაგრატს უმაგრებდა ზურგს, რის გამოც მათ აფხაზთა სამეფოს მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები არ ჰქონდათ. დავით კურაპალატი, ბაგრატ ქართველთა მეფე, გურგენი და ქართველთა სამეფოს სხვა მმართველები აფხაზთა მეფე ბაგრატ ბაგრატიონს ორი ქვეყნის გამაერთიანებლად მოიაზრებდნენ, შესაბამისად, ბაგრატიონთა დინასტიის წევრის ხელში გადასული ახალი სამეფოს წინააღმდეგ აგრესიულ ქმედებას არ ახორციელებდნენ. აფხაზთა სამეფოს უმთავრესი გამოწვევა შიდაპოლიტიკური დესტაბილიზაცია იყო.

აფხაზთა სამეფოში შიდაპოლიტიკური ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ქვეყანაში ორი გამოკვეთილი ბანაკი ჩამოყალიბდა: 1) ბაგრატ აფხაზთა მეფის ბანაკი, მასში ერთიანდებოდნენ მარუშიანები, დასავლეთ საქართველოს დიდებულთა და აზნაურთა დიდი ნაწილი. ქვეყნის გარეთ მათ მხარს უჭერდა ქართველთა სამეფოს მმართველი ელიტა; 2) თეოდოსი აფხაზთა მეფის ბანაკი, რომელშიც შედიოდნენ დასავლეთ საქართველოს დიდებულთა უმნიშვნელო ნაწილი, ქართლის აზნაურები ქავთარ ტბელის მონაწილეობით და გურანდუხტ დედოფალი, რომელიც ამ ჯგუფის პასიური მხარდამჭერი იყო და

[51] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 276; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 269.

ქართლის აზნაურთა სერიოზული გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. თეოდოსის პარტიას კახეთის ქორეპისკოპოსის იმედიც შეეძლო ჰქონოდა. არევმანელთა სახლი, როგორც წესი, თეოდოსისა და ქართლის აზნაურთა აქტიური მოკავშირე იყო, რისი განახლებაც ნებისმიერ მომენტში იყო მოსალოდნელი.

980 წელს აფხაზთა სამეფოში ჩამოყალიბებულ ორ ჯგუფს შორის არსებულმა დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია. აღნიშნული უკავშირდებოდა ბაგრატის პარტიის გადაწყვეტილებას, დაემხოთ თეოდოსი, ხოლო აფხაზთა სამეფო ერთი ხელისუფლის ბაგრატ მესამის ერთპიროვნული ძალაუფლებისთვის დაემორჩილებინათ. „მატიანე ქართლისას“ ავტორი თეოდოსის დამხობის გადაწყვეტლებას ბაგრატის ინიციატივას უკავშირებს, რასაც იმით ამართლებს, რომ შექმნილი ვითარების ფონზე მან ეს ყველაზე გამართლებულ გადაწყვეტილებად მიიჩნია, რათა ბოლო მოეღო უწესობისთვის და თავისი ძალაუფლება განემტკიცებინა. უცნობი ავტორი წერს:

„გამოგზავნა თეოდოსი მეფე, დედის ძმაჲ მისი, ტაოს, წინაშე დავით კურაპალატისა, რამეთუ ესე საქმე გამონახა უმჯობესად, რაჲთა ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, სასოებაჲ კეთილისა, გინა შიში უწესოებისათჳს მისა მიმართ აქუნდეს“.[52]

ბაგრატის გადაწყვეტილების უკან, უდავოდ, მარუშიანები იდგენენ, ხოლო მთელი ეს ქმედება დავით კურაპალატის თანხმობით იყო განხორციელებული, რასაც მხარს უჭერდნენ ქართველთა სამეფოს სხვა მმართველებიც. „მატიანე ქართლისას“ ავტორი თეოდოსის დამხობას საკმაოდ ნათელ ფერებში აღგვიწერს. ქართველი მემატიანე თავს ვერ არიდებს სიმართლის თქმას, მისივე ტექსტის მიხედვით, თეოდოსი ჩამოაშორეს ძალაუფლებას, მაგრამ ავტორს ყველაფერი ეს ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს დამხობასა და ძალადობას ადგილი არ ჰქონია. სტეფანოზ ტარონეცი, რომელიც მოვლენათა თანამედროვეა, პირდაპირ წერს, რომ აფხაზთა სამეფოს წამყვანმა პირებმა თეოდოსი სამეფო ხელისუფლებას ძალით ჩამოაშორესო.[53] მეფე თეოდოსი მწუხარეს ედავებოდნენ ხელისუფლების გარყვნას, ძველი კანონებისა და წესების მოშლას, არეულობისა და უწესობის ხელშეწყობას.[54] ბუნებრივია, ყველაფერ ამას იმდენად ექნებოდა ადგილი, რამდენადაც ქვეყანაში ორხელისუფ-

[52] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 275-276; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 269.

[53] The Universal History of Step'anos Tarōnec'i, გვ. 290.

[54] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 275-276; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 268-269.

ლებიანობა იყო და ქვეყნის ორივე ხელისუფალი სხვადასხვა ინტერესის გამტარებელი გახლდათ. თეოდოსის ხელისუფლებას, უპირატესად, ქართლის ფეოდალები სცნობდნენ, ხოლო ბაგრატის ძალაუფლებას დასავლეთ საქართველოს დიდებულები. თეოდოსისა და გურანდუხტის გამოყენებით ქართლის აზნაურებს საშუალება ეძლეოდათ გავლენა მოეპოვებინათ როგორც საკუთრივ ქართლზე, ასევე დასავლეთის ტერიტორიაზე. აღნიშნულის პრევენციის მიზნით, ბაგრატის ბანაკი გადაწყვეტს თეოდოსი თავიდან მოიშოროს. ამ მიზნით ისინი დავით კურაპალატს შეუთანხმდებიან, საქმეში უდავოდ იქნებოდნენ ჩართული ქართველთა სამეფოს სხვა წევრებიც, თუმცა, თეოდოსის შიდაპატიმრობაზე და აფხაზთა სამეფოს საზღვრებისგან მის მოშორებაზე პასუხისმგებლობა დავითმა აიღო. ყველაფერი შეთანხმებით მოხდა.

ბაგრატი, ივანე მარუშის ძე, დავითი და ქართველთა სამეფოს მესვეურები გაერთიანდნენ. ბაგრატის ხალხი თეოდოსის დააკავებს, ტახტზე უარს ათქმევინებს, ხოლო დატყვევებულ მეფეს კი დავითის მეომრებს ჩააბარებენ, რასაც, იმავე წელს, შედეგად მოჰყვა თეოდოსის ტაოში გადასახლება. მაინც რა უნდა გამხდარიყო მსგავსი რადიკალური ნაბიჯის გადადგმის მაპროვოცირებელი, რამაც ბაგრატი და მისი ბანაკი აიძულა ეს ნაბიჯი გადაედგა განეხორციელებინა და რა შედეგი გამოიღო ამან? ვფიქრობ, პასუხი ამ კითხვაზე თეოდოსის გადაყენების შემდეგ დატრიალებულ მოვლენებში უნდა ვეძებოთ.

„მატიანე ქართლისას“ უცნობი ავტორის მიხედვით, მეფე თეოდოსის ტაოში გაგზავნის თანმდევი მოვლენა იყო ბაგრატ III-ის ქართლში შესვლა. ბაგრატი ქართლის ფეოდალთა დამორჩილებას ისახავდა მიზნად, ხოლო ისინი მეფის თავიანთ მიწაზე შესვლას ეწინააღმდეგებოდნენ, რის გამოც მეფესა და ქართლის აზნაურთა შორის გენერალური ბრძოლა მოხდა. ბაგრატი მოღრისის ბრძოლაში (980 წ.) ქავთარ ტბელის მეთაურობით მოქმედ ქართლის აზნაურთა ლაშქარს დაამარცხებს, რომელთა შორის უმეტესობა დაიღუპება, ტყვედ ჩავარდება, ან ქვეყნას დატოვებს.[55] დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი ქართლის აზნაურთა შეუვალობა იყო, რომელიც მათ მოიპოვეს ბაგრატის შემოსვლამდე – ქართლი ადგილობრივ აზნაურთა შორის იყო განაწილებული, ხოლო გურანდუხტი მათი ფორმალური განმგებელი გახლდათ.[56] მაგრამ არსებობდა

[55] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 276; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 269; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. II, გვ. 126. ბაგრატისა და ქართლის აზნაურების დაპირისპირების დეტალური ანალიზი იხ.: ჯ. სამუშია. ბაგრატ III, გვ. 59-71.

[56] ჯ. სამუშია. ბაგრატ III, გვ. 60-61.

სხვა მიზეზიც, რაც, ჩვენი აზრით, თეოდოსის ძალაუფლებისგან ძალადობრივი გზით ჩამოშორების საფუძველი უნდა გამხდარიყო. ქართლი დემეტრე მეფის დროს ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული ერისთავის მეშვეობით იმართებოდა, ხოლო თეოდოსის დროს ერისთავის ფუნქციები ქართლელმა დიდებულმა აზნაურებმა შეითავსეს. ისინი თავიანთ კუთვნილ მიწებს და, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტსაც დამოუკიდებლად განაგებდნენ. მთელი ეს პრივილეგიები ქართლელ დიდებულ აზნაურებს მეფე თეოდოსის წყალობით უნდა მიეღოთ. „მატიანე ქართლისას“ ავტორი მეფე თეოდოსის ძველი წესების შეცვლაში ადანაშაულებს, *„შეიცვალა ყოველი წესი და განგებაჲ, პირველთა მეფეთაგან განწესებული“*;[57] რამაც ქვეყანაში ახალი წესები დაამკვიდრა.

ახალი წესები საჭირო იყო, რათა თეოდოსის მმართველობა ქართლის აზნაურთა მიერ მხარდაჭერილი ყოფილიყო, ხოლო მარუშიანთა გავლენა ქართლის საერისთავოში მინიმუმამდე დასულიყო. ქართლის აზნაურთა გაძლიერებით, თეოდოსი თავისი პოზიციების გამყარებას ცდილობდა მსგავსი პროცესები უნდა დასავლეთ საქართველოშიც, რაც, როგორც ჩანს, გაძლიერდა ბოლო ორი წლის განმავლობაში, რამაც სახელისუფლებო კრიზისი წარმოშვა. ისტორიკოსის ფრაზა, *„განირყუნა ქუეყანაჲ იგი და შეიცვალა ყოველი წესი და განგებაჲ, პირველთა მეფეთაგან განწესებული“*;[58] სწორედ ამას უნდა გულისხმობდეს. ქვეყანაში მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით საჭირო იყო თეოდოსის დროული მოშორება. თეოდოსის ხელისუფლებისგან ჩამოშორება, ბუნებრივია, მარუშიანთა დაბრუნებას, აზნაურთა ერთი ნაწილის მიერ ახალი პრივილეგიების დაკარგვასა და სამეფოში მოპოვებული პოზიციების დათმობას გულისხმობდა. ბაგრატი ქართლში არსებული წესრიგის შეცვლას მხოლოდ თეოდოსის მოშორების შემდეგ ახერხებს, რაც თავისთავად ბევრის მთქმელია – ბაგრატი თავისი მეფობის საწყის ეტაპზე არ ფლობდა სრულ ძალაუფლებას, ის იძულებული იყო ანგარიში გაეწია თეოდოსისა და მისი ბანაკისთვის, რომელიც, უპირატესად, ქართლელი აზნაურებით იყო დაკომპლექტებული. ივანე მარუშის ძე 980 წლის მოვლენებისას რატომღაც აღარაა ნახსენები. ისტორიკოსის დუმილის მიუხედავად, ბაგრატის მიერ თეოდოსის გადაყენებისას და ქართლის აზნაურთა დამორჩილებისას, ორივე შემთხვევაში, მარუშიანები მეფის გვერდით ამ მოვლენათა უშუალო ეპიცენტრში უნდა ყოფილიყვნენ.

[57] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 275; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 268.

[58] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 275; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 268.

მოღრისის ბრძოლამ თეოდოსის მომხრე ქართლის აზნაურთა იმედები საბოლოოდ დაასამარა. სამხედრო ძალით, ან პოლიტიკური ინტრიგების წყალობით, მათი გავლენა აფხაზთა სამეფოში ველარ აღდგებოდა. თეოდოსი ტაოში შიდაპატიმრობაში იმყოფებოდა, ბაგრატის მოწინააღმდეგეთა ძალები შემცირებული იყო, ხოლო გურანდუხტი ქუთაისში წავიდა. ბაგრატ მესამე დედის ქუთაისში ყოფნით თავისი როგორც აფხაზთა მეფის კანონიერებას ამყარებდა.[59] ისტორიკოსის თქმით, ბაგრატმა თავისი დედის დასავლეთ საქართველოში წაყვანის შემდეგ მთელი აფხაზეთის საქმეები მოაწესრიგა, ურჩი მოხელეები ხელისუფლებას ჩამოაშორა, ხოლო მომხრეები განადიდა.[60] „ურჩნი“, ვიზეც მემატიანე საუბრობს, უპირატესად, ძველი მეფის, თეოდოსის, მომხრეები უნდა ყოფილიყვნენ. ამის შემდეგ, დასავლეთ საქართველოში, ისევე როგორც ქართლის საერისთავოში, არავინ იყო დარჩენილი, ვინც ბაგრატ მესამეს ხელისუფლებაში შეეცილებოდა.

980 წლიდან მოყოლებული თეოდოსი სამუდამოდ ჩამოშორდა აფხაზთა სამეფოს მმართველობას და თავისი მოღვაწეობა ტაოში, თავისი სამშობლოდან შორს გააგრძელა. ის იყო უკანასკნელი აფხაზთა სამეფო დინასტიიდან, ვინც ამ ქვეყანას მართავდა. თეოდოსის მმართველობის ლიკვიდაციით, ბაგრატ მესამემ და მისმა მომხრეებმა ხელისულების ეტაპობრივი ცვლილება მოახდინეს, ძალაუფლებას ჩამოაცილეს ანოსიანთა დინასტიის უკანასკნელი მეფე, ხოლო ამავე დინასტიის მემკვიდრეობა, ქალის ხაზით, ბაგრატიონებმა ჩაიბარეს.

ტაოში გასახლების შემდეგ თეოდოსი მწუხარის ბედი უცნობია. ის უკვე აფხაზთა სამეფოს ყოფილი მონარქი გახლდათ, ამასთან, უკვე მოხუცებული და ნაკლებად წარმოადგენდა საფრთხეს გარშემომყოფთათვის. ამის შემდეგ თეოდოსიმ გარკვეული დროის მანძილზე იცოცხლა და თავისი ცხოვრება, დიდი ალბათობით, ტაოში დაასრულა.

[59] მ. ლორთქიფანიძე. მეფე ბაგრატ მესამე, გვ. 33; ჯ. სამუშია. ბაგრატ III, გვ. 70-71.

[60] მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 276; მატიანე ქართლისაჲ. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 269.

Leri Tavadze
Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

THE INTRIGUES OF ROYAL COURT: LIFE AND REIGN OF THEODOSI III THE BLIND KING OF ABKHAZIANS

Summary

Theodosi was the last ruler from the old dynasty of Abkhazian Kingdom. Western Georgian kingdom was one of the major players in the politics of the Georgian World. Georgia was close to its unification and this process was completed at the turn of the 1st and the 2nd millennia CE. Theodosi was born in western Georgia, he was the fourth son of Giorgi II the Great (r. 922-957), king of Abkhazians. Approx. in 944 he and his junior brother were sent to Constantinople in Byzantium. Theodosi was kept away from royal court to ensure that succession of throne to the second and third sons would be peaceful. King Giorgi made this decision after he suppressed the rebellion of his eldest son, who was severely punished for disobedience and revolt against his father.

Prince Theodosi was not blamed for the rebellion but he was abandoned by his family. He and his brother lived in a capital of Byzantine Empire quite far from their homeland. They were acquainted with Byzantine culture and customs and spent more than 20 years in Byzantium. The changes are occurring later. The power in Kingdom of Abkhazians shifted from Leon III to Demetre III in 967 after the death of the former. Single king was in power in Abkhazia while the position of another king was free and Theodosi was willing to accept it. Abkhazian and Kartlian nobles arrived in Constantinople and offered him the support in capturing the royal power in his homeland. Most probably it was during the reign of John Tzmiskes (r. 969-976), when Theodosi obtained permission from Emperor to return back to his home. John led an aggressive foreign policy, hence his interference in Abkhazian Kingdom cannot be excluded.

Theodosi went to East Georgia. Here he was able to find some allies for his cause, those who were against the aggressive policy of Abkhazian kings.

The rulers of Kartvelian Kingdom and Kakhetian Korepiscopate were most interested to diminish the influence of Abkhazians. The part of western Georgian nobles and some from Kartli, who were subjects of Demetre III, had intention to control the kingdom and get rid of Marushiani clan. Ivane Marushiani and other members of this family were in charge of eastern Georgian provinces, they also held the positions of eristavi of Kartli and eristavi of Javakheti which are two major provinces of eastern Georgia under the control of Abkhazian kings. Marushiani are close associates of king Demetre III. Theodosi was expected to storm the power of Marushiani and despotic rule of Demetre III. Nobles started to assemble in Samtskhe region, which was a part of Kartvelian Kingdom. Kings and nobles of this kingdom as well as subjects of Abkhazian king from Kartli started to send their forces to join Theodosi's around 970. Theodosi's camp was still assembling when the army of Demetre III suddenly attacked his brother and defeated him near Mere in Samtskhe region. Theodosi was forced to flee to Kartli. Adarnase Dzameli was his closest ally, hence Theodosi went in Adarnases's domain to seek the support from other nobles of Kartli. Demetre III fought for 3 months against supporters of Theososi, but his attempt to capture fortress of Dzama proved to be a failure. Finally, both sides reached ceasfire. Davit of Imiertao was probably the mediator between rival brothers. Kartli nobles swore allegiance to Demetre III and Theodosi found shelter in Tao.

Theodosi lived in Tao under patronage of Davit king of Imiertao (southern part of Tao). Theodosi still hoped to gain power in his homeland, but Davit was not inclined to assist him anymore. Theodosi left Tao after he had spent a year in Davit's territory. He went to Kakheti and met with Kvirike II. They forged alliance against Demetre III and sought the support from Kartlian nobles. Demetre decides to get rid of his brother by the means of treachery, he offered Kvirike a peace agreement and promised to share his royal power with his junior brother. The truce was concluded and Theodosi went at his homeland after almost 30 years of absence. Demetre broke the agreement very soon and he ordered to arrest and blind his brother. Theodosi was blinded and imprisoned. Nobles were disappointed with a decision of their king and they invited the youngest brother Bagrat, who was nicknamed as "Chala-mepe", and declared him as a king. But Bagrat was not able to challenge the power of Demetre III and was defeated. Demetre died some years after those event and his survived, but blinded brother Theodosi III took control of Abkhazian Kingdom by the decision of local nobility. Theodosi was next in the line of succession among the members of dynasty, hence none resisted to his ascension.

Theodosi became a king in 975. His policy was to get rid of those nobles who were supporting his deceased brother, those were Marushiani clan and others grouped around them. Probably with instigation from Theodosi the Kakhetians invaded Kartli to capture administrative center of that region – Uplistsikhe. Theodosi did nothing to defend his domains in Kartli that means he tried to expel from their positions. Marushiani were blamed for blinding the king while he fought against Demetre. Ivane Marushisdze decides that he needs much stronger supporter on the royal throne for defence of his interests. He came to idea to elevate prince Bagrat son of crown prince Gurgen to the royal throne of Abkhazia. Bagrat was a nephew of Theodosi thus grandson of Giorgi II the Great of Abkhazia. Also, he was a grandson of Bagrat II king of Kartvelians from his father's side. Prince Bagrat was adopted by Davit of Tao as his heir and successor. Therefore, prince Bagrat was seen as unifier of those three kingdoms. Ivane chose him as his protégé and patron. Bagrat was installed in Kartli as a governor (eristavi) of Kartli and crown prince of Abkhazian Kingdom. Theodosi was unable to resist demends of Abkhazian and Kartvelian nobility, both of them supported prince Bagrat. Bagrat entered in Uplistsikhe, center of Kartli, together with Davit and his army and he was officially proclaimed as the heir of Abkhazian Kingdom and ruler of Kartli.

In 976 new intrigues developed in Abkhazian Kingdom. Nobles from Kartli invited Kvirike II ruler of Kakheti to take control of region. Theodosi did nothing to protect his newly elevated heir. He probably instigated incursion of Kvirike to get rid of his nephew and weaken position of Marushiani clan. Bagrat and his parents, who ruled as regents for him in Kartli, were all captured and imprisoned in Kakheti. Only after Davit's involvement Bagrat and his family were liberated. By 978 Bagrat reached the age of 16. Ivane Marushiani decided that it was the right time to elevate him into the position of king of Abkhazians. Theodosi was blamed for misfortunes of Abkhazian Kingdom and did nothing to counter this decision. Bagrat was elevated into the position of co-ruler of Theodosi. King Theodosi maintained at least formal power of monarch while actual sovereignty was held by young king Bagrat III of Abkhazia. Theodosi decides to strengthen his power as a king by division of administrative provinces into much smaller units under the patronage of local feudal lords. Kartli nobles were much to profit from these measures. Division of Kartli was seen as a pattern for the other regions. Strenghening of local feudals was against the interests of Bagrat III and his party. They almost lost their power in Kartli and expected the same development of events in other parts of the kingdom. Mem-

bers of Marushiani clan, Bagrat III of Abkhazia and his adoptive father Davit of Tao decided that Theodosi the Blind was a threat for central power in Kingdom of Abkhazia. The aged king was removed from governance. Theodosi was sent to Tao far away from Abkhazian Kingdom by supervision of Davit Kourapalates king of Imiertao. This coup d'etat was protested by nobles of Kartli, but Bagrat III defeated them in the battle of Moghrisi in 980. As a result of this victory, Bagrat established himself as undisputed king of Abkhazian Kingdom and later united Georgia. The most probably Theodosi ended his life in Tao.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIV
თბილისი. 2018

მამუკა წურწუმია
საქართველოს პარლამენტთან არსებული
ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ჰერალდიკის საკითხების
განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ჯიჰადი საქართველოს წინააღმდეგ? 1121 წლის კამპანია საღვთო ომის მოძღვრების შუქზე*

ისლამური ჯიჰადი

ჯიჰადი არაბულად ნიშნავს „გულმოდგინებას“ მიზნისკენ მიმავალ გზაზე, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის „შეუპოვარი ძალისხმევაა“.[1] სემანტიკურად *ჯიჰადს* არაფერი აქვს საერთო ომთან. ის წარმოდგება *ჯ.ჰ.დ.* ძირისაგან და აღნიშნავს მცდელობას, ძალისხმევას, გულმოდგინებას.[2] მხოლოდ მუჰამედის მოღვაწეობის დროს შეიძინა მან ახალი მნიშვნელობა – „ბრძოლა ურწმუნოთა წინააღმდეგ“.[3]

ზოგადად, ჯიჰადი ისლამის გავრცელებისათვის მიმართული ძალისხმევაა. მისი ობიექტი შეიძლება იყოს გარეშე მტერი, სატანა ან საკუთარი თავიც კი (ზნეობრივი სრულყოფისაკენ მიმავალ გზაზე). სამივე შემთხვევაში მოწინააღმდეგეა დასამარცხებელი და ასეთი ჯიჰადი ბრძოლას ნიშნავს. როდესაც ყურანი და ჰადისები ჯიჰადის დროს საზღაურს გვპირდებიან, ისინი სწორედ შეიარაღებული ბრძოლის საზღაურს გულისხმობენ. ჯიჰადი ბრძოლაა ალაჰისათვის, ალაჰის გზაზე (*ფი საბილ ალაჰ*) და მისი მიზანი ისლამური წესრიგის დამყარებაა.[4]

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი FR17_138).

[1] Mustansir Mir. *Jihād* in Islam. The Jihād and its Times. Dedicated to Andrew Stefan Ehrenkreutz. Ed. by Hadia Dajani-Shakeel and Ronald A. Messier. Ann Arbor. 1991, გვ. 113.

[2] Reuven Firestone. Jihad: The Origin of Holy War in Islam. New York. 1999, გვ. 16.

[3] Ella Landau-Tasseron. Jihād. Encyclopaedia of the Qur'ān. Ed. Jane Dammen McAuliffe. Vol. 3. Leiden. 2003, გვ. 35-42; Paul E. Chevedden. The View of the Crusades from Rome and Damascus: The Geo-Strategic and Historical Perspectives of Pope Urban II and ʿAlī ibn Ṭāhir al-Sulamī. Oriens. 39/2. 2011, გვ. 289, შენ. 90.

[4] Mustansir Mir. *Jihād* in Islam, გვ. 113-14.

ჯიჰადის კლასიკური დოქტრინის თანახმად, მუსლიმთა მიზანია ისეთი პოლიტიკური წესრიგი, როდესაც მთელ კაცობრიობას ისლამი სწამს ან მასაა დაქვემდებარებული. ამ მიზნის მიღწევად დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ ომი წარმოებს. ჯიჰადი ინსტრუმენტია გლობალური მუსლიმური ჰეგემონიის დასამყარებლად და მასში მონაწილეობის მიღება ყოველი მუსლიმის მოვალეობაა.[5] ჯიჰადი უვადოა. მისი წარმოების ვალდებულება არსებობს „მკვდრეთით აღდგომის დღემდე“ ან „სამყაროს დასასრულამდე“, მანამ სანამ ისლამი ყველგან არ გაბატონდება.[6]

ეჭვგარეშეა, ჯიჰადის მოძღვრებამ დიდი როლი ითამაშა მუსლიმთა დაპყრობითი ომების წარმატებაში და ხელი შეუწყო ისლამის გავრცელებას.[7] ისლამის ექსპანსიის შეჩერებისა და სახალიფოს დაშლის შემდეგ ჯიჰადის დოქტრინამ თანდათან აქტუალობა დაკარგა.

ჯიჰადის აღორძინება XII საუკუნეში, ჯვაროსნული ომების ეპოქაში მოხდა. ამ დროს, იბერიის ნახევარკუნძულზე, სირია-ანატოლიასა და კავკასიაში ქრისტიანული სამყაროს გლობალური შეტევის ფონზე, ისლამმა კვლავ მიმართა თავის ნაცად იარაღს – ჯიჰადს. საღვთო ომის ხელახალი დანერგვის პროცესი დროში საკმაოდ გაწელილი აღმოჩნდა და მან მხოლოდ XII საუკუნის მეორე ნახევარში მიიღო ჩამოყალიბებული სახე. ჯიჰადის აღორძინებისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა სულთნისა და მებრძოლი სწავლულების ალიანსი. იმად ად-დინ ზენგიმ (1127-46), ნურ ად-დინ ზენგიმ (1146-74) და სალაჰ ად-დინმა (1171-93) მოახერხეს ერთი იდეის ქვეშ გაეერთიანებინათ მოსული, დამპყრობელი თურქების სამხედრო ელიტა და ადგილობრივი, ქალაქების მოსახლეობის ელიტის წარმომადგენელი მუსლიმი სწავლულები.[8] ისტორიამ აჩვენა, რომ ეს „ხმლისა და კალმის კავშირი“[9] მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა.

ჯიჰადი 1121 წლის ომში?

ქართულ ისტორიოგრაფიაში საკითხი 1121 წლის კამპანიაში საქართველოს წინააღმდეგ გამოყენებული ჯიჰადის შესახებ პირველად ს. მარგიშვილმა დააყენა. ილ-ღაზის ლაშქრობა მან განიხილა როგორც მუსლიმთა სამ-

[5] Mustansir Mir. *Jihād* in Islam, გვ. 114.

[6] E. Tyan. Djihād. Encyclopaedia of Islam. 2nd Edition. Vol. 2. Leiden. 1965, გვ. 539.

[7] Fred McGraw Donner. The Early Islamic Conquests. Princeton. 1981, გვ. 295; David Cook. Understanding Jihad. Berkeley. 2005, გვ. 30.

[8] Michael Bonner. Jihad in Islamic History: Doctrines and Practice. Princeton. 2006, გვ. 142; Carole Hillenbrand. The Crusades: Islamic Perspectives. Edinburgh. 2006, გვ. 108.

[9] James Waterson. Sacred Swords: Jihad in the Holy Land, 1097-1291. London. 2010, გვ. 57.

ყაროს მიერ ორგანიზებული ჯიჰადი. მკვლევარმა ეს მოსაზრება თანმიმდევრულად წარმოგვიდგინა თავის ნაშრომში, რომელიც დავით აღმაშენებლის მეფობას ეძღვნება.[10]

ს. მარგიშვილმა ჯერ განიხილა ის თეორიული საფუძველი, რომელიც, მისი აზრით, XII საუკუნის დასაწყისის ჯიჰადისათვის იყო დამახასიათებელი, შემდეგ კი, ამ თეორიის საფუძველზე განხორციელებული პრაქტიკული ქმედებების დემონსტრირებას შეეცადა. მკვლევრის აზრით, სელჩუკთა იმპერიამ და, საერთოდ, მუსლიმურმა სამყარომ ჯვაროსნებს დაუპირისპირა „ტრანსფორმირებული ჯიჰადის იდეოლოგია, რომლის ფორმირებაც საკმაოდ სწრაფად მოხდა XII საუკუნის პირველ ათწლეულში“.[11] ავტორი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ „XII საუკუნის I მეოთხედისათვის (ანუ ზუსტად დავით აღმაშენებლის მეფობის დროს), მუსლიმური ჯიჰადის კონცეფციას... სავსებით ჩამოყალიბებული და სპეციფიკური სახე ჰქონდა მიღებული“.[12] მარგიშვილის მიხედვით, მუსლიმმა თეოლოგებმა ალ-ღაზალიმ და ალ-სულამიმ შეიმუშავეს ჯიჰადის კონცეფცია, რომლის თანახმადაც, მუსლიმურ რეგიონს, რომელიც ვერ იგერიებდა მტრის შეტევას, დასახმარებლად სხვა რეგიონებისათვის უნდა მიემართა.[13]

გადავხედოთ ამ მუსლიმ სწავლულთა შრომებს და ვნახოთ, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი ზემოთ წარმოდგენილ ჯიჰადის კონცეფციას. ცნობილი მუსლიმი ღვთისმეტყველი აბუ ჰამიდ მუჰამედ იბნ მუჰამედ ალ-ღაზალი (1057/8-1111) ზოგადად წერდა ჯიჰადის, როგორც ყოველი მუსლიმის მოვალეობაზე და მხოლოდ რამდენიმე სტრიქონით – გაჭირვებაში მყოფი მუსლიმური ქალაქების დახმარებაზე.[14] ამ განთქმული ფილოსოფოსისათვის მთავარ

---

[10] ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ: ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ. თბ. 2006.

[11] ს. მარგიშვილი, მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 36.

[12] ს. მარგიშვილი, მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 231.

[13] ს. მარგიშვილი, მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 231. სინამდვილეში, ჰადია დაჯანი-შაკილის ის ერთადერთი სტატია, რომელსაც მარგიშვილი ეყრდნობა თავისი ჯიჰადის კონცეფციის ჩამოყალიბებისას, სწორედ საწინააღმდეგოს ამტკიცებს (იხ. ქვემოთ და თავად ნაშრომიც: Hadia Dajani-Shakeel. A Reassessment of Some Medieval and Modern Perceptions of the Counter-Crusade. The Jihād and its Times. Dedicated to Andrew Stefan Ehrenkreutz. Ed. by Hadia Dajani-Shakeel and Ronald A. Messier. Ann Arbor. 1991, გვ. 41-70).

[14] პროფესორი ვ. მ. უოტი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ჯვაროსნულ ლაშქრობას არ მოუხდენია გაელენა ალ-ღაზალის შემოქმედებაზე და რომ მის ნაწერებში ჯვაროსანთა ხსენებაც კი არ არის (W. Montgomery Watt. Islamic Conceptions of the Holy War. In: The Holy War. Ed. by Thomas Patrick Murphy. Columbus, OH. 1976, გვ. 197).

ფასეულობას სულის ჯიჰადი, დიდი ჯიჰადი (*ჯიჰად ალ-აქბარ*) წარმოადგენდა და მისი მიზანი იყო დახმარებოდა მორწმუნეს სულიერების პოვნაში.[15] ალ-ღაზალის ნაწერი არ შეიძლება ჩაითვალოს ჯიჰადის ჩამოყალიბებულ დოქტრინად. ჰადია დაჯანი-შაკილი, სწორედ ის მკვლევარი, რომელსაც ს. მარგიშვილი ეყრდნობა ჯიჰადის თეორიის ჩამოყალიბებისას, აღნიშნავს, რომ ალ-ღაზალის არ განუსაზღვრავს ხალიფას ან სხვა მუსლიმ სახელმწიფოთა მოვალეობები ჯიჰადის დროს. მკვლევარი იქვე მიუთითებს, რომ თავდაცვითი ჯიჰადის ცნება მხოლოდ XII საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა.[16]

განვიხილოთ ალ-სულამის, უფრო სწორად კი ას-სულამის მოღვაწეობაც, რომელსაც ასეთი დიდი ადგილი უჭირავს ს. მარგიშვილის თეორიაში. აბუ ალ-ჰასან ალი იბნ ტაჰირ ას-სულამი (1039-1106), რომელმაც 1105 წელს პირველმა იქადაგა ჯიჰადი ჯვაროსანთა წინააღმდეგ დამასკოში, აქცენტს აკეთებდა მუსლიმთა გათიშულობაზე და სუნიტებსა და შიიტებსაც კი მოუწოდებდა, გაერთიანებულიყვნენ ფრანკთა წინააღმდეგ.[17] ას-სულამიმ პირველმა გააცნობიერა, რომ ფრანკები საღვთო ომს აწარმოებდნენ და ჯვაროსნული ლაშქრობა ჯიჰადს შეადარა, რაც მის გამჭრიახობაზე მეტყველებს.[18] ს. მარგიშვილის მტკიცების საწინააღმდეგოდ, ას-სულამის ჯიჰადის წიგნს

[15] Nikita Elisséeff. The Reaction of the Syrian Muslims after the Foundation of the First Latin Kingdom of Jerusalem. Crusaders and Muslims in Twelfth-Century Syria. Ed. Maya Shatzmiller. Leiden. 1993, გვ. 164.

[16] Hadia Dajani-Shakeel. A Reassessment of Some Medieval and Modern Perceptions of the Counter-Crusade, გვ. 53.

[17] Hadia Dajani-Shakeel. A Reassessment of Some Medieval and Modern Perceptions of the Counter-Crusade, გვ. 54-55. მართალია, ას-სულამი მხოლოდ ჯვაროსნებთან ბრძოლაზეა აქცენტირებული, მაგრამ მის წიგნში შეგვიძლია დავინახოთ პირველი ნიშანი სუნიტური ჯიჰადის იმ ტრანსფორმაციისა, რომელიც XII საუკუნის II ნახევარში მოხდა. ას-სულამი ამტკიცებს, რომ ბრძოლის ველზე ჯიჰადის წარმატებისათვის აუცილებელია სულიერი განწმენდა; ის ასევე ამბობს, რომ გარეშე მტრებთან (ჯვაროსნებთან) ბრძოლაში საჭიროა მუსლიმთა გაერთიანება. მომდევნო ათწლეულებში სუნიტმა სწავლულებმა განავრცეს ჯიჰადის იდეოლოგია და ნებადართული გახადეს სხვა მუსლიმებზე (განსაკუთრებით, შიიტებზე) თავდასხმაც. ნურ ად-დინის ეპოქაში ჯიჰადის ქადაგება გულისხმობდა სუნიზმის განუყოფელ ბატონობას ისლამის მიწებზე, რასაც ჯვაროსნებთან ბრძოლაში წარმატება უნდა განეპირობებინა (Suleiman A. Mourad and James E. Lindsay. Ibn 'Asakir and the Intensification and Reorientation of Sunni Jihad Ideology in Crusader-Era Syria. Just Wars, Holy Wars and Jihads: Christian, Jewish, and Muslim Encounters and Exchanges. Ed. by Sohail H. Hashmi. Oxford. 2012, გვ. 119-20). ეს ფაქტორი წარმატებით გამოიყენა ჯერ ნურ ად-დინმა, შემდეგ კი სალაჰ ად-დინმა სირიისა და ეგვიპტის იარაღით გაერთიანებისათვის.

[18] Niall Christie. Religious Campaign or War of Conquest? Muslim Views of the Motives of the First Crusade. Noble Ideals and Bloody Realities: Warfare in the Middle Ages. Eds. Niall Christie and Maya Yazigi. Leiden. 2006, გვ. 66-71.

(*კიტაბ ალ-ჯიჰად*) პოპულარობა არ მოუპოვებია.[19] ას-სულამი ამ წიგნს 1105 წლის მხოლოდ რამდენიმე თვის (მაისიდან ოქტომბრამდე) განმავლობაში კითხულობდა. საინტერესოა, რომ მან ჯიჰადის ქადაგებისათვის დამასკოს მთავარი მეჩეთის ნაცვლად ქალაქის გარეთ მდებარე შედარებით უმნიშვნელო მეჩეთი აარჩია. ის ერიდებოდა ხელისუფლების რეაქციას და ვერ ბედავდა ქადაგებით გამოსულიყო დამასკოს ცნობილ სწავლულთა წინაშე, რადგანაც მხოლოდ არაბული გრამატიკის სპეციალისტი იყო და არა სწავლული და სამართლისმცოდნე.[20] როგორც კ. ჰილენბრანდი შენიშნავს, ალ სულამის გაფრთხილება ნახევარი საუკუნის განმავლობაში არავის შეუსმენია.[21] მისი ქადაგება სასულიერო წრეებს არ გაცილებია და მმართველთა ყურადღების მიღმა დარჩა.[22] ჰილენბრანდი იქვე განმარტავს, რომ ჯიჰადის აღორძინებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ მუსლიმ სასულიერო პირთა მიერ დაწერილი მოწოდებები. ამისათვის აუცილებელი კავშირი სასულიერო და სამხედრო-პოლიტიკურ წრეებს შორის მხოლოდ XII საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა.[23] ნ. კრისტი, რომელსაც ეკუთვნის ას-სულამის ნაშრომის უახლესი კომენტირებული გამოცემა, წერს, რომ ას-სულამის ქადაგება არ შეუსმენიათ მათ, ვისაც ჯვაროსანთა წინააღმდეგ ბრძოლა ევალებოდა.[24] ას-სულამის ქადაგებამ ვერ მოახდინა გავლენა მუსლიმურ ლევანტზე და ვიცით, რომ მისი ტექსტი დამასკოსა და მის სა-

[19] მაგალითად, ვიცით, რომ მის ერთ ქადაგებას ჯიჰადის თაობაზე მხოლოდ სამი (!) კაცი ესწრებოდა და მათ რიცხვში პოლიტიკური წრეების ერთი წარმომადგენელიც არ ყოფილა (The Book of the Jihad of 'Ali ibn Tahir al-Sulami (d. 1106). Text, translation and commentary by Niall Christie. Farnham. 2015, გვ. 11). ას-სულამის ქადაგებას ჩვეულებრივ, მხოლოდ 3-4 მოსწავლე ესწრებოდა. სხვადასხვა დროს მის ქადაგებებს სულ 9 მოსწავლე უსმენდა. ყველაზე დიდი აუდიტორია რაც კი მას ჰყავდა, რვა სწაელულს ითვლიდა (The Intensification and Reorientation of Sunni Jihad Ideology in the Crusader Period: Ibn 'Asākir of Damascus (1105-1176) and His Age. With an Edition and Translation of Ibn 'Asākir's *The Forty Hadiths for Inciting Jihad* by Suleiman A. Mourad, James E. Lindsay. Leiden. 2013, გვ. 34).

[20] The Intensification and Reorientation of Sunni Jihad Ideology in the Crusader Period, გვ. 33-34.

[21] Carole Hillenbrand. The Crusades: Islamic Perspectives, გვ. 74.

[22] Carole Hillenbrand. The Crusades: Islamic Perspectives, გვ. 108.

[23] Carole Hillenbrand. The Crusades: Islamic Perspectives, გვ. 108.

[24] Niall Christie. Religious Campaign or War of Conquest? Muslim Views of the Motives of the First Crusade, გვ. 59. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის წარმატების პასუხად მუსლიმურ სირიაში ჯიჰადისაკენ მოწოდებას ს. მურადი და ჯ. ლინდსი ხმამაღალს, მაგრამ ამაოს უწოდებენ, ხოლო ას-სულამის მიერ ჯიჰადის ქადაგებას – დრამატულ გამონაკლისს. იბნ ასაქირამდე (ანუ თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში) ჯიჰადის ქადაგება დამასკოში პრაქტიკულად არ ხდებოდა. The Intensification and Reorientation of Sunni Jihad Ideology in the Crusader Period, გვ. 32, 37.

სულიერო წრეებს არ გაცილებია.[25] ნაშრომიცა და მისი ავტორიც მალევე დაივიწყეს.[26] მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ, ნურ ად-დინის ეპოქაში, მოახერხა ისლამმა ჯიჰადის წამოწყება.[27]

როგორც ვხედავთ, მარგიშვილის მიერ დახატული ჯიჰადის სურათი რეალობაში არ არსებობდა XII საუკუნის I მეოთხედის ახლო აღმოსავლეთში.[28] მკვლევრები თანხმდებიან იმის თაობაზე, რომ ჯიჰადის მოძრაობა ძალას მხოლოდ XII საუკუნის შუახანებიდან იკრებს. ილ-ღაზის მოღვაწეობის

---

[25] Niall Christie. Religious Campaign or War of Conquest? Muslim Views of the Motives of the First Crusade, გვ. 66.

[26] Nikita Elisséeff. The Reaction of the Syrian Muslims after the Foundation of the First Latin Kingdom of Jerusalem, გვ. 165. ას-სულამის გარდაცვალების შემდეგ ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც 1113 წელს დამასკოში მისი წიგნი ჯიჰადის საქადაგოდ გამოიყენეს (Mourad, Lindsay, "Ibn 'Asakir and the Intensification and Reorientation of Sunni Jihad Ideology in Crusader-Era Syria," 112). მრავლისმეტყველია შემდეგი ფაქტიც: იბნ ასაქირის *ორმოც ჰადისზე* მიწერილი ერთ-ერთი კოლოფონიდან ვიგებთ, რომ 1229 წელს წიგნის კითხვას ესწრებოდა ას-სულამის ორი შთამომავალი. ის ფაქტი, რომ მათ ჯიჰადის შესახებ ერჩიათ ესწავლათ იბნ ასაქირის და არა ას-სულამის წიგნიდან, მიუთითებს იბნ ასაქირის წიგნის პოპულარობაზე და იმაზეც, რომ ას-სულამის წიგნი დავიწყებული იყო და მას არ ასწავლიდნენ დამასკოში (*The Intensification and Reorientation of Sunni Jihad Ideology in the Crusader Period*, 89-90).

[27] Nikita Elisséeff. The Reaction of the Syrian Muslims after the Foundation of the First Latin Kingdom of Jerusalem, გვ. 165.

[28] ის მცდარი შეხედულებები, რომლებიც ს. მარგიშვილს აქვს გამოთქმული ჯიჰადის თაობაზე, ზემოთ აღნიშნული მწირი ისტორიოგრაფიული ბაზითაც უნდა იყოს განპირობებული. ასე მაგალითად, ის თვლის, რომ შიიტებისათვის ჯიჰადი არ იყო მნიშვნელოვანი და 1121 წლის ლაშქრობაში მონაწილე დუბაისთან დაკავშირებით წერს: „იგი ღრმად მორწმუნე შიიტი იყო და მისთვის ჯიჰადის იდეა არაფერს ნიშნავდა". სოსო მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 70. შემთხვევითი არ არის, რომ შიიტებისა და ჯიჰადის შესახებ ამ მცდარი დებულების წყაროდ ის იმოწმებს ანგუს კონსტამის ნაშრომს (იქვე, 238), სადაც არც მითითებულ გვერდებზე და არც სხვაგან მსგავსი არაფერი წერია (იხ. Angus Konstam. Historical Atlas of the Crusades. London. 2004, გვ. 100-101). სინამდვილეში, სუნიტების მსგავსად, შიიტებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჯიჰადს. მათთვისაც ჯიჰადი ალაპის მიერ დაწესებული მოვალეობაა. ისლამის ეს ორივე მიმდინარეობა ჯიჰადის მრავალ დებულებას იზიარებს. (Etan Kohlberg. The Development of the Imami Shi'i Doctrine of Jihad. *Zeitschrift der Deutschen Morgenlandischen Gesellschaft*. 126. 1976, გვ. 64, 68). რა თქმა უნდა, შიიტური ჯიჰადის დოქტრინა განსხვავდება სუნიტურისაგან. შიიტები მიიჩნევენ, რომ ჯიჰადის წინამძღოლობა იმამმა უნდა ითავოს, ერთ-ერთმა თორმეტ, ჭეშმარიტ იმამთაგან და მის გამოცხადებას იმამის ნებართვა სჭირდება. შიიტთა უმრავლესობისათვის ასეთია მეთორმეტე, ფარული იმამი, *მაჰდი*, მესია, რომელიც დაბრუნდება და სამართლიანობას აღადგენს დედამიწაზე (Etan Kohlberg. The Development of the Imami Shi'i Doctrine of Jihad, გვ. 68-69; Michael Bonner. Jihad in Islamic History, გვ. 125). XI საუკუნის ცნობილმა შიიტმა სამართლისმცოდნემ აბუ ჯაფარ მუჰამედ იბნ ჰასან ტუსიმ (-1067) შეიმუშავა შიიტური ჯიჰადის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, თავდაცვითი ჯიჰადის წარმოება შესაძლებელია იმამის არყოფნის პირობებშიც. (Etan Kohlberg. The Development of the Imami Shi'i Doctrine of Jihad, გვ. 80; John Kelsay. Arguing the Just War in Islam. Cambridge, MA. 2007, გვ. 123).

პერიოდში არ არსებობდა ჯიჰადის ჩამოყალიბებული კონცეფცია, რომელიც სახელმძღვანელო გახდებოდა მუსლიმი სახელმწიფო მოღვაწეებისათვის.

ფრანგმა მკვლევარმა ემანუელ სივანმა აჩვენა, რომ ჯვაროსანთა წინააღმდეგ ჯიჰადის მოძრაობა ნელა და თანდათანობით ვითარდებოდა მთელი XII საუკუნის განმავლობაში. საუკუნის დასაწყისში ის ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა და მხოლოდ მუსლიმ სასულიერო პირთა ვიწრო წრე ქადაგებდა.[29] ჯიჰადის ქადაგებამ ფართო და საყოველთაო ხასიათი მხოლოდ ნურ ად-დინისა და, განსაკუთრებით, სალაჰ ად-დინის ეპოქაში შეიძინა.

მიუხედავად ამისა, მაინც მივყვეთ ავტორისეულ მსჯელობას, რადგანაც ამ ნიჭიერი მკვლევრის ყოველი ჰიპოთეზა და მეცნიერული კონსტრუქცია, მიუხედავად იმისა, მცდარია ის თუ ჭეშმარიტი, საკმაო ხელოვნებით არის აგებული და ყოველთვის აქვს თავისი შინაგანი ლოგიკა.

სიღრმისეულად რომ მივუდგეთ, საკითხის განხილვა მხოლოდ თეორიულ ასპექტში – გამოცხადდა თუ არა ჯიჰადი, ბევრს ვერაფერს მოგვცემს, თუკი არ ჩანს მისი რეალური გავლენა კამპანიის მსვლელობაზე, განსაკუთრებით, მის მოსამზადებელ პერიოდში. მაგრამ ვნახოთ, ფორმალურად მაინც თუ იყო გამოცხადებული ჯიჰადი საქართველოს წინააღმდეგ 1121 წელს.

საქმე ის გახლავთ, რომ უნდა გავარჩიოთ „რეალური ჯიჰადი", რომელსაც XII საუკუნის მეორე ნახევრიდან ჰქონდა ადგილი და შედეგიც მოიტანა და „ფორმალური ჯიჰადი", რომელსაც ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე აცხადებდნენ სელჩუკი სულთნები XII საუკუნის პირველ მეოთხედში და რომელსაც არავითარი წარმატება არ მოჰყოლია. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ეს ჯიჰადი შორსაა ჯიჰადის იმ მოძრაობისაგან, რომელმაც XII საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული ფართოდ მოიცვა ისლამური აღმოსავლეთის ქვეყნები; ვერც საზოგადოებასა და პოლიტიკაზე ზეგავლენითა და პრაქტიკული შედეგებით ვერ შევადარებით ამ ორ მოვლენას ერთმანეთს.

ცნობილი ორიენტალისტი ჰ. გიბი აკრიტიკებს რენე გრუსეს, როდესაც ის ჯვაროსნულ სახელმწიფოებზე მუსლიმთა ყოველ შეტევას განიხილავდა როგორც ჯიჰადს. მკვლევარი აღნიშნავს, რომ არამუსლიმთა წინააღმდეგ ყოველი ომი იყო შეფერილი რელიგიური შინაარსით, მაგრამ მათთვის ყოველთვის ჯიჰადის დარქმევა ამ ტერმინის გაუფასურებას ნიშნავს. გიბის აზრით, ჯვაროსნული აღტკინების მსგავსი, როდესაც საზოგადოების ყველა ფენა იყო

[29] Emmanuel Sivan. L'Islam et la Croisade: Idéologie et propagande dans les réactions musulmanes aux Croisades. Paris. 1968, გვ. 59-130.

ჩართული მოძრაობაში, მუსლიმთა შორის არ შეინიშნება ნურ ად-დინამდე მაინც და, ალბათ, სალაჰ ად-დინამდეც კი.[30] ამავე აზრისაა კ. ჰილენბრანდიც, რომელიც პირდაპირ აცხადებს, რომ არასწორია ჯიჰადი ვუწოდოთ XII საუკუნის დასაწყისში სირიაში სელჩუკთა მიერ წარმოებულ კამპანიებს და მაგალითისათვის ასახელებს მაუდუდის 1110-13 წლების ლაშქრობებს.[31]

ილ-ღაზის 1121 წლის ლაშქრობა ასეთი „ჯიჰადიც" კი არ ყოფილა და მისთვის ფორმალურადაც არავის უწოდებია ჯიჰადი. არცერთი მუსლიმი მემატიანე, რომელიც პუნქტუალურად გვაწვდის ინფორმაციას სულთნებისა თუ სხვა მუსლიმი მმართველების მიერ გამოცხადებული წმინდა ომის შესახებ, თუნდაც ის წარუმატებელი ყოფილიყო, არ ახსენებს, რომ ილ-ღაზის ლაშქრობა იყო ჯიჰადი. ს. მარგიშვილი თავად აღიარებს, რომ „წერილობითი წყაროები საქართველოს წინააღმდეგ ჯიჰადის გამოცხადებას არ აღნიშნავენ".[32] ამისდა მიუხედავად, ის მაინც ცდილობს თავისი თვალსაზრისის დამტკიცებას. მკვლევრის მთავარი არგუმენტი ასე ჟღერს: „ამის უდავო დადასტურება საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში, თავად ილ-ღაზის მონაწილეობის ფაქტია".[33] ავტორისეული ლოგიკა ასეთია: 1119 წელს სისხლიან ველზე ანტიოქიის მთავრის როჯერის დამარცხებამ „მუსლიმურ სამყაროში უზარმაზარი რეზონანსი გამოიწვია და ილ-ღაზი საღვთო ომის აღიარებულ ლიდერად აქცია. მან ბაღდადის ხალიფასგან ჯილდოდ მიიღო ძვირფასი ხალათი (რაც განსაკუთრებული სახის პატივი იყო) და მასთან ერთად „რელიგიის (ალაჰის) დამცველის" საპატიო ტიტული, რაც ფაქტობრივად, ილ-ღაზის მაჰმადიანური ჯიჰადის ხელმძღვანელად გამოცხადებას ნიშნავდა ქრისტიანობის წინააღმდეგ".[34] მარგიშვილი ჯერ გვიამბობს 1119 წლის ჯვაროსნებზე გამარჯვების რეზონანსზე და ილ-ღაზის მიერ მიღებულ ტიტულზე,[35] შემდეგ კი უაპელაციოდ აცხადებს, რომ ეს ტიტული „ფაქტი-

[30] H. A. R. Gibb. Notes on the Arabic Materials for the History of the Early Crusades. Bulletin of the School of Oriental Studies. 7/4. 1935, გვ. 741.

[31] Carole Hillenbrand. The Crusades: Islamic Perspectives, გვ. 108.

[32] ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 62.

[33] ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 62.

[34] სოსო მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 62.

[35] ეს შეცდომაა, ილ-ღაზის ტიტული „სარწმუნოების ვარსკვლავს" ნიშნავს და არაფერი აქვს საერთო „რელიგიის (ალაჰის) დამცველთან". ამ შეცდომას უხეშს უწოდებს გ. ჯაფარიძე (იხ. გ. ჯაფარიძე. სოსო მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ. ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ. რეცენზია. სოხუმის უნივერსიტეტის შრომები. XVI. 2017, გვ. 82). მართლაც, ძნელია სხვაგვარად შეაფასო ტიტულის მცდარ თარგმნაზე დამყარებული მოსაზრება ილ-ღაზის, როგორც ქრისტიანობის წინააღმდეგ ჯიჰადის ხელმძღვანელზე.

ურად, ილ-ღაზის მაჰმადიანური ჯიჰადის ხელმძღვანელად გამოცხადებას ნიშნავდა ქრისტიანობის წინააღმდეგ".[36] დამახასიათებელია, რომ ამ დებულების გასამყარებლად მას მოჰყავს სქოლიო პ. ვიიმარისა და ს. რანსიმენის დამოწმებით[37] და მკითხველს შთაბეჭდილება რჩება, თითქოსდა ეს ორივე ავტორი ილ-ღაზის ჯიჰადის ლიდერად გამოცხადებას (და თანაც ქრისტიანული სამყაროს წინააღმდეგ) ამტკიცებდნენ. სინამდვილეში, ორივე მათგანი მხოლოდ როჟერთან ბრძოლაში ილ-ღაზის გამარჯვებაზე მოგვითხრობს და არაფერს ამბობს ჯიჰადის თაობაზე.[38]

მეტიც, ირკვევა, რომ მარგიშვილის ზემორე მოსაზრება მთლიანად გაუგებრობას ეფუძნება. ის იმეორებს ს. რანსიმენის ცნობილ შეცდომას, როდესაც ინგლისელმა მკვლევარმა ჯვაროსნული ლაშქრობების მატიანეთა ცნობილ კრებულში (*Recueil*) შეტანილი იბნ ალ-ასირის ფრანგულად ნათარგმნი ტექსტის არასწორად წაკითხვის საფუძველზე გამოაცხადა, რომ ბაღდადის ხალიფამ ილ-ღაზის, ხალათთან ერთად (რაც მართლა მოხდა), „სარწმუნოების ვარსკვლავის" ტიტულიც უბოძა (რაც მას არ გაუკეთებია).[39] იბნ ალ-ასირის თანამედროვე გამოცემაში ეს ადგილი სათანადოდაა წარმოდგენილი,[40] ისევე როგორც არც ერთი არაბული წყარო არ ახსენებს ხალიფას მიერ ილ-ღაზისათვის ტიტულის ბოძებას.[41] გამოდის, მკვლევარი არასწორად ასახელებს არა მარტო ილ-ღაზის ტიტულს, არამედ, საერთოდ, ხალიფას მიერ მისი ბოძების ფაქტს.

სხვათა შორის, ხალიფამ ხალათთან ერთად ილ-ღაზის დუბაის იბნ სადაკას გაძევება მოთხოვა, მაგრამ ართუკიანმა ყურიც არ ათხოვა მას,[42] პირიქით, დუბაისთან კავშირი შეკრა და ქალიშვილიც კი მიათხოვა მას.[43] აქედან

[36] სოსო მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 62.
[37] სოსო მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 233.
[38] იხ. Пьер Виймар. Крестовые походы: Миф и реальность священной войны. Перевод с французского Д.А. Журавлевой. СПб. 2003, გვ. 212; Steven Runciman. A History of the Crusades. Vol. 2. The Kingdom of Jerusalem. Cambridge. 1952, გვ. 151.
[39] Steven Runciman. A History of the Crusades. Vol. 2, გვ. 151.
[40] The Chronicle of Ibn al-Athīr for the Crusading Period from al-Kāmil fī'l-ta'rīkh. Part 1. Translated by D. S. Richards. Aldershot. 2006, გვ. 214.
[41] Selim Tezcan. Jihad in a Context of Shifting Alliances and Enmities: A Study on the Relations of the Early Artukids and Crusaders as Reflected in Contemporary Muslim And Christian Historiography, 1098-1124. PhD Thesis. Bilkent University of Ankara. 2013, გვ. 427.
[42] The Chronicle of Ibn al-Athīr for the Crusading Period from al-Kāmil fī'l-ta'rīkh. Part 1, გვ. 214.
[43] Камал ад-Дин. Сливки, снятые с истории Халеба. Пер. Л.А Семенова. Из истории средневековой Сирии. Москва. 1990, გვ. 155.

კარგად ჩანს, რომ მუსლიმთა სულიერი ლიდერის ინტერესები, თუკი მისას არ ემთხვეოდა, ილ-ღაზის დიდად არ ანაღვლებდა.[44]

შემდგომში მკვლევარი უკვე მტკიცებითი ფორმით წერს, რომ „1121 წლის დასაწყისისათვის, საღვთო ომის სახელით გადაწყდა კოალიციური ლაშქრობის მოწყობა საქართველოს წინააღმდეგ, რასაც ერთხელ და საბოლოოდ უნდა დაესვა წერტილი დავით აღმაშენებლის ძლიერებისა და „აგრესიისათვის“,[45] და რომ „ისლამურმა სამყარომ სელჯუკთა ცენტრალური ხელისუფლების სახით მოუხმო ჯიჰადის გმირსა და რელიგიის დამცველ ილ-ღაზის და მოუწოდა სელჯუკთა ტერიტორიებზე მცხოვრებ ყველა ჭეშმარიტ მუსლიმს საქართველოს წინააღმდეგ საღვთო ომისკენ“.[46]

ავტორი მიიჩნევს, რომ დავით აღმაშენებელზე გამარჯვების მოსაპოვებლად „რელიგიური ომების მოხალისეების, ე.წ. “Mutawwiun”-ების მასიური შეგროვება, რაც მხოლოდ ჯიჰადის სახელით იყო შესაძლებელი, აუცილებელ ღონისძიებად გამოიყურებოდა“.[47] არც ეს მოსაზრება ჩანს დამაჯერებელი: მუთატავვი'ების შესახებ მარგიშვილს ამოკითხული აქვს რობერტ ირვინთან,[48] მაგრამ ეს ავტორი სალაჰ ად-დინის თანმხლებ მუთატავვი'ებს მოიხსენებს, როგორც ჯიჰადში მონაწილე სამოქალაქო მოხალისეებს, რომლებიც ასრულებდნენ მეორეხარისხოვან სამუშაოებს, როგორიც იყო, მაგ., ბალახის გადაწვა ქრისტიანული არმიის გზაზე.[49] კ. ჰილენბრანდიც აღნიშნავს, რომ სალაჰ ად-დინის არმიაში მუთატავვი'ებს მოხალისე ასკეტები და სუფიები წარმოადგენდნენ.[50] მათ მხოლოდ ლოკალურად შეეძლოთ მოქმედება და ისეთ შორეულ ლაშქრობაში, როგორიც იყო საქართველოში ექსპედიცია, ვერც მონაწილეობას მიიღებდნენ და ვერც ილ-ღაზის ლაშქარს გააძლიერებდნენ. რაც მთავარია,

---

[44] ძნელი დასაჯერებელია, ისეთი პრაგმატული ლიდერი, როგორიც ილ-ღაზი იყო და რომელიც მხოლოდ საკუთარი ინტერესების დასაცავად იბრძოდა, საღვთო ომის თეორიულად ჩამოყალიბებულ კონცეფციას ისლამის მხარების დაცვის შესახებ (თუნდაც ასეთი არსებულიყო) აყოლოდა და ის გაეხადა სამოქმედო პროგრამად. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებ.

[45] ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 61.

[46] ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 64.

[47] ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 63.

[48] Роберт Ирвин. Ислам и крестовые походы. Москва. 1998, გვ. 273.

[49] Robert Irwin. Islam and the Crusades, 1096-1699. The Oxford Illustrated History of the Crusades. Ed. by Jonathan Riley-Smith. Oxford. 1995, გვ. 235-36.

[50] Carole Hillenbrand. The Crusades: Islamic Perspectives, გვ. 445. არაპროფესიონალი სამხედროების, მოხალისეების მონაწილეობას ისლამის მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველთვის ჰქონდა ადგილი ისლამის არსებობის მანძილზე. მუსლიმი სწავლულები, რომლებიც ჯიჰადის მოხალისეები ხდებოდნენ და ბრძოლებში მონაწილეობდნენ, თვლიდნენ, რომ ამ გზით ხსნას მოიპოვებდნენ. Michael Bonner. Jihad in Islamic History, გვ. 114-15.

არათუ არავითარი ცნობა, არამედ იმის უბრალო მინიშნებაც კი არ მოგვეპოვება, რომ საქართველოსკენ მიმავალ გრძელ გზაზე ილ-ღაზის არმიას მოხალისეები უერთდებოდნენ და აძლიერებდნენ. მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევაში, გვაქვს იმის მრავალი მოწმობა, რომ ჯიჰადის დროს მუსლიმთა ლაშქრობებში „ურჯულოთა“ წინააღმდეგ მოხალისეებიც იღებდნენ მონაწილეობას.[51]

ს. მარგიშვილის მიხედვით, „მუსლიმურმა სამყარომ უკვე ფართომასშტაბიანი ჯიჰადი გამოაცხადა მის [დავით IV-ის] წინააღმდეგ და მასში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან ისეთი შორეული რეგიონებიდან მიიწვია, როგორიც იყო მარდინი და ალეპო. მათ უსაფრთხოებას დავით აღმაშენებელი არაფრით არ ემუქრებოდა, მაგრამ მათ სწორედ მაშინდელი ჯიჰადის კონცეფცია ავალდებულებდა საქართველოს მიერ განხორციელებული შეტევის წინააღმდეგ გამოსვლას“.[52] ამ ნააზრევში ერთგვარ სქემას ვხედავთ, რომელსაც ავტორი იმპერატიულ ხასიათს ანიჭებს. ჯიჰადის კონცეფციას მართლაც ასეთი სავალდებულო სახე რომ ჰქონოდა, ის მარტო ილ-ღაზისა და მისი ტრადიციული მოკავშირეებისა და ვასალების სამფლობელოებზე არ გავრცელდებოდა: მარდინი თუ იყო ვალდებული, ასევე იქნებოდა შაჰ-არმენთა სახელმწიფო ან სხვა (თუნდაც საქართველოს მოსაზღვრე ანისისა და ყარსის) საამიროები, რომ არაფერი ვთქვათ დანიშმედიანებზე, მანგუჯაქიანებსა და სალთუკიანებზე. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან განლაგებულ მუსლიმურ ერთეულთაგან არცერთი არ მონაწილეობდა 1121 წლის ლაშქრობაში. საქართველოს წინააღმდეგ გამოვიდა მხოლოდ განძის საამირო (რომელიც ისედაც ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა დავით IV-თან) და ილ-ღაზი თავის მოკავშირეებთან ერთად, ანუ მარდინ-ალეპოსა (ილ-ღაზის სამფლობელო) და არზან-ბითლისის საამირო (ილ-ღაზის ვასალი), დამხმარე რაზმები მალატიიდან (ილ-ღაზის ძმისშვილი ბალაქი) და დამასკოდან (ილ-ღაზის სიმამრი თუღ-თეგინი), ასევე, ილ-ღაზის სიძე, დეენილი, მაგრამ მდიდარი შიიტი დუბაის იბნ სადაკა.[53] ცხადია, რომ აქ ჯიჰადის კონცეფცია არაფერ შუაშია და ყოველი მუსლიმური საამირო ისე მოქმედებდა, როგორც ეს მის ინტერესებს შეესაბამებოდა (ან თვლიდა, რომ შეესაბამებოდა).

---

[51] მაგალითად, 1110 წლის ჯიჰადს ფრანკთა წინააღმდეგ მრავალი მოხალისე შეუერთდა სირიიდან (The Damascus Chronicle of the Crusades. Extracted and translated from the Chronicle of Ibn Al-Qalānisī by H. A. R. Gibb. London. 1932, გვ. 102).

[52] ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 232.

[53] კოალიციის წევრების შესახებ იხ. გოჩა ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში. თბ. 1995, გვ. 41-47.

ს. მარგიშვილი ფიქრობს, რომ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში გაერთიანებისათვის მუსლიმურ საამიროებს ჯიჰადის იდეა სჭირდებოდათ: „იმ ვითარებაში, როდესაც ცალკეულ სელჯუკურ ერთეულებს აღარ შესწევდათ ძალა, დამოუკიდებლად აღდგომოდნენ წინ საქართველოს გაძლიერებულ სამეფოს და აღეკვეთათ მისი აგრესია, საჭირო იყო არსებულ ძალთა (საქართველოს წინააღმდეგ) გარკვეული იდეის ქვეშ გაერთიანება. ასეთ ვითარებაში წინა პლანზე თავისთავად ჯიჰადის იდეა გამოვიდა...“[54] ჯიჰადის იდეა სულაც არ იყო აუცილებელი, რომ გაძლიერებულ საქართველოსთან ბრძოლაში მუსლიმურ საამიროებს გაერთიანების აუცილებლობა დაენახათ. დავით IV-ის შემდგომ ეპოქაშიც საქართველოს წინააღმდეგ სხვადასხვა მუსლიმური ერთეულები ხშირად გამოდიოდნენ კოალიციის სახით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი გაერთიანებისათვის აუცილებლად ჯიჰადს საჭიროებდნენ და მისთვის არც მიუმართავთ. ჯიჰადის იდეოლოგიის გარეშე, პოლიტიკური აუცილებლობიდან გამომდინარე, კოალიციებით უპირისპირდებოდნენ საქართველოს სუქმანიანები 1125, 1130 და 1161 წლებში, ხოლო ელდიგუზიანები 1163 და 1175 წლებში.[55]

1121 წლის ჯიჰადის ვერსიის სასარგებლოდ მარგიშვილს მოჰყავს მათეოს ურჰაელის ცნობა ამირა ღაზის (რომელსაც შეცდომით უწოდებს „ამირა ჰაზის“)[56] შესახებ და ამტკიცებს, რომ ის, როგორც ღაზი, საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ჯიჰადის მონაწილე იყო.[57]

---

[54] ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 60.

[55] იხ. გოჩა ჯაფარიძე. მუსლიმთა კოალიციები და საქართველო: XII საუკუნის 60-70-იანი წლები. მხედარი. 2. 1992, გვ. 21-29.

[56] ს. მარგიშვილის მიხედვით, „ჰაზი“, იგივეა რაც „ილ-ღაზი“, რომელიც ნიშნავს ალაჰის ვარსკვლავს და რელიგიის დამცველს, რომელსაც წმინდა ომების, ჰაზავათისა (სწორია *ღაზათი* – მ.წ.) და ჯიჰადის მაწარმოებელ ემირებს აკუთვნებდნენ ისლამის რელიგიური მამები“ (სოსო მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 232). როგორც უკვე შევნიშნეთ, ავტორი არასწორად ასახლებს ილ-ღაზის ტიტულს (*ლაკაბს*): „ნაჯმ ად-დინი“ (და არა ილ-ღაზი) ნიშნავს სარწმუნოების ვარსკვლავს (და არა ალაჰის ვარსკვლავს ან რელიგიის დამცველს). შდრ. გოჩა ჯაფარიძე. ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზი. კრ. დავით აღმაშენებელი. თბ. 1990, გვ. 208. რაც მთავარია, „ღაზი“ სულაც არ ნიშნავს ჯიჰადის მეომარს. სხვას რომ თავი გავანებოთ, ილ-ღაზის თავისი სახელი, სულ მცირე, ჯვაროსნების გამოჩენამდე მეოთხედი საუკუნით ადრე აქვს მიღებული და ის მემკვიდრეობითი იყო ართუკიანთა გვარში, როგორც ამას მისი შვილთაშვილის კუტბ ად-დინ ილ-ღაზის სახელიც მოწმობს (Selim Tezcan. Jihad in a Context of Shifting Alliances and Enmities, გვ. 508, შენ. 146). ასეთივე თურქული სახელი იქნებოდა ის იმ თურქმენი ამირასათვის, რომელზეც მათეოსი მოგვითხრობს.

[57] ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 232-33. ვნახოთ, რას გადმოგვცემს მათეოს ურჰაელი. სომეხი მემატიანე გვიამბობს, რომ „სომეხთა წელთაღრიცხვის 570 წელს [1121-22] ვინმე ამირამ, განძაკის ქვეყნიდან, სახელად ხაზიმ,

ამ არგუმენტის გაზიარებაც ძნელია. იმ დროს ღაზიების ბრძოლა სულაც არ იყო ჯიჰადის მოძრაობა. კლოდ კაენი აღნიშნავს, რომ მომთაბარე თურქმენებს იზიდავდა დასახლება სასაზღვრო ზონებში, სადაც მათ ძარცვა-გლეჯის მეტი შესაძლებლობა ეძლეოდათ. ამ პროცესს ხშირად შეცდომით აძლევენ საღვთო ომის ხასიათს, უწოდებენ რა მათ „ღაზიებს“, მაშინ როდესაც სინამდვილეში ისინი მონაპირეებს წარმოადგენდნენ.[58] თურქ მკვლევრებს დადგენილი აქვთ, რომ *ღაზის* თავდაპირველი მნიშვნელობა იყო თარეში, მოთარეშე.[59] ქემალ კაფადარი პირდაპირ უწოდებს ღაზას „საღვთო ომად“ თარგმანს არასწორს.[60] არავისზე დამოკიდებელი ღაზიების მიერ წარმოებული რეიდები ტერიტორიების მოხვეჭას ისახავდა მიზნად. ღაზა არ იყო ჯიჰადის სინონიმი. ჯიჰადისაგან განსხვავებით, ასეთი ომების ხასიათი არ იყო მკაცრად განსაზღვრული და ის შეზღუდვებს ნაკლებად ექვემდებარებოდა. დაშვებული იყო ამ დროს აღებული ნადავლის განაწილება „ურჯულოსათვისაც“ კი, რომლებიც ასეთ რეიდში იღებდნენ მონაწილეობას. რელიგიური შეფერილობა ღაზამ მხოლოდ XIV საუკუნისათვის მიიღო.[61]

ილ-ღაზი როგორც ჯიჰადის მეომარი?

დამახასიათებელია, რომ ს. მარგიშვილი, რომლის ძირითად არგუმენტს 1121 წლის ლაშქრობაში ილ-ღაზის მონაწილეობა წარმოადგენს, არც კი განიხილავს ისტორიოგრაფიაში არსებულ შეხედულებებს ილ-ღაზის, როგორც ჯიჰადის მეომრის შესახებ.

კაცმა სისხლისმღვრელმა, ბილწმა და ბოროტმა ეშმაკმა, რომელიც ქართველთა ქვეყნის მოსაზღვრე იყო და კეთილგანწყობით მორჩილებაში იმყოფებოდა ქართველთა მეფე დავითთან, იმ წელიწადს ბოროტი ზრახვანი განიზრახა. წაიყვანა ხაზიმ 30.000-ანი თურქთა ლაშქარი და ქართველთა ქვეყანაში შევიდა. ერთი ნაწილი დაატყვევა და გააძევა ქართველთა ქვეყნიდან, [ხოლო თვითონ] წავიდა და დაბანაკდა თავის ადგილას“ (ლიანა დავლიანიძე. მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებელის შესახებ. საქართველო რუსთაველის ხანაში. თბ. 1966, გვ. 243-44; The Chronicle of Matthew of Edessa. Translated from the original Armenian with a commentary and introduction by Ara Edmond Dostourian. Lanham. 1993, გვ. 226). როგორც ვხედავთ, ამირა ხაზი (ღაზი) ჯიჰადის თავდადებული მებრძოლი კი არა, არამედ გარკვეულ პერიოდში დავითის ვასალიცაა, რომელმაც თავისი მომთაბარული ბუნების შესაბამისად, მისთვის ხელსაყრელ მომენტში საქართველოს ტერიტორიის ძარცვა-რბევას მიჰყო ხელი.

58 Claude Cahen. The Formation of Turkey. The Seljukid Sultanate of Rūm: Eleventh to Fourteenth Century. Translated and edited by P. M. Holt. Harlow. 2001, გვ. 14.

59 Selim Tezcan. Realpolitik and Jihād: Najm al-Dīn Ilghāzī's Relations with the Early Crusader Stacs. Bilig. 69. 2014, გვ. 274.

60 Cemal Kafadar. Between Two Worlds: The Construction of the Ottoman State. Berkeley. 1995, გვ. XII.

61 Cemal Kafadar. Between Two Worlds: The Construction of the Ottoman State, გვ. 79-80.

უნდა ითქვას, რომ ილ-ღაზი ხშირად არის დახატული ჯიჰადის სწორუპოვარ მეომრად თურქი ისტორიკოსების (ოსმან თურანის, ალი სევიმის და სხვ.) ნაშრომებში, რომლებიც ნაციონალისტური და „პატრიოტული“ მოტივებით ხელმძღვანელობენ და ვითარებას ისე წარმოადგენენ, თითქოსდა თურქები ყოველთვის აწარმოებდნენ საღვთო ომს „ურჯულო“ ფრანკთა წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ასეთ მიდგომას აკრიტიკებენ თანამედროვე თურქი მკვლევრები.[62]

ილ-ღაზის მამოძრავებელი მოტივებისა და ჯიჰადის მიმართ მისი დამოკიდებულების გასაგებად მისივე კარიერის ძირითად ეტაპებს ზოგადად მაინც უნდა გადავხედოთ.

1105 წელს სელჩუკთა სულთანმა მუჰამედმა ბაღდადის შიჰნის თანამდებობიდან გაათავისუფლა ილ-ღაზი. ამ დროიდან ილ-ღაზის დასაყრდენის ძიებაში ვხედავთ. 1106 წელს მან გადაათქმევინა ალეპოს მფლობელ რიდვანს ფრანკებზე გალაშქრება და ამის ნაცვლად ურჩია მოსულის ათაბაგის ჯეკერმიშისათვის წაერთმიათ ნისიბინი. მოკავშირეებმა ნისიბინს შემოარტყეს ალყა. რიდვანი მალევე შეუთანხმდა ჯეკერმიშს და ილ-ღაზის დატყვევება სცადა, მაგრამ ილ-ღაზის თურქმენთა წინააღმდეგობამ აიძულა ის, უკან დაეხია.[63] ილ-ღაზი, რომელსაც ამ დროისათვის საყრდენი ბაზა არ გააჩნდა, სარგებლობდა ფრანკებთან ომით და თურქმენების დახმარებით ცდილობდა თავისი საამიროს შექმნას. მას სულ არ ანაღვლებდა ჯიჰადის ლოზუნგები და საკუთარი სარგებლის ნახვა სურდა, თუნდაც ეს ფრანკების ნაცვლად მუსლიმებთან ომი ყოფილიყო.[64]

1107 თუ 1108 წელს, ძმიშვილის იბრაჰიმ იბნ სუქმანის გარდაცვალების შემდეგ, ილ-ღაზი მარდინის მფლობელი ხდება.[65] ამ მნიშვნელოვანი და-

---

[62] Selim Tezcan. Jihad in a Context of Shifting Alliances and Enmities, გვ. 9-12. 6. მორტონიც აღნიშნავს იმდროინდელი თუ შემდგომი მუსლიმი ავტორების მცდელობას, ჭეშმარიტ და ღვთისმოსავ მუსლიმებად წარმოედგინათ ისეთი ისტორიული ფიგურები, როგორიც იყო თულთეგინი და ილ-ღაზი. მკვლევრის დასკვნით, ეს მხოლოდ პროპაგანდას წარმოადგენს და შორსაა ისტორიული რეალობისაგან. Nicholas Morton. Walter the Chancellor on Ilghazi and Tughtakin: A Prisoner's Perspective. Journal of Medieval History. 44/2. 2018, გვ. 185.

[63] The Chronicle of Ibn al-Athīr for the Crusading Period from al-Kāmil fi'l-ta'rīkh. Part 1, გვ. 100-101.

[64] ცნობილ გერმანელ მკვლევარს მ. კოლერს 1106 წლის ეპიზოდი მოჰყავს იმის მაგალითად, თუ რა მცირე პოლიტიკური ფასი ჰქონდა ჯიჰადის პროპაგანდას ჩრდილოეთ სირიის მმართველებისათვის. Michael A. Köhler, Alliances and Treaties between Frankish and Muslim Rulers in the Middle East: Cross-Cultural Diplomacy in the Period of the Crusades. Translated by Peter M. Holt, revised, edited and introduced by Konrad Hirschler. Leiden. 2013, გვ. 94. მისი დასკვნით, სირიელი ამირებისათვის ჯიჰადს მხოლოდ რიტორიკული ხასიათი ჰქონდა. Michael A. Köhler. Alliances and Treaties between Frankish and Muslim Rulers in the Middle East, გვ. 94.

[65] Selim Tezcan. Jihad in a Context of Shifting Alliances and Enmities, გვ. 168-69, შენ. 21.

საყრდენის მოპოვების შემდეგ, ილ-ღაზი თავისი სამფლობელოს გაფართოებაზე ზრუნვას შეუდგა.

1110 წელს სელჩუკთა სულთნის მიერ გამოცხადებულ ჯიჰადში მონაწილეობის მისაღებად ილ-ღაზი რომ დაეთანხმებინა, მუსლიმთა სარდალმა და მოსულის გამგებელმა მაუდუდმა მას ჰარანი დაუთმო.[66] კამპანიის მსვლელობისას ილ-ღაზიმ ძველი მტრობა გაიხსენა და თავის კონკურენტს დიარბაქირში, ხლათის მფლობელ სუქმან ალ-კუტბის წაეკიდა, ჰარანი დატოვა და მარდინში წავიდა. საპასუხოდ სუქმანმა მისი ძმისშვილი ბალაქი დაატყვევა და ბორკილდადებული წაიყვანა ხლათში. შედეგად მუსლიმთა კოალიცია დაიშალა.[67]

1111 წელს შედგა მუსლიმთა მეორე კოალიცია. სულთანმა მოუწოდა მრავალ ამირას – მაუდუდს მოსულიდან, თავრიზის, ხლათისა და მაიაფარიკინის მფლობელ სუქმან ალ-კუტბის, ჰამადანის მფლობელის ბურსუკის შვილებს, მარაღის ამირა აჰმადილს; ბრძანება მიუვიდათ ირბილის ამირა აბუ ლჰაიჯას და მარდინის ამირა ილ-ღაზისაც. ყველა გამოცხადდა, გარდა ილ-ღაზისა, რომელმაც სანაცვლოდ თავისი შვილი აიაზი გაგზავნა. მუსლიმთა გაერთიანებულმა ლაშქარმა ფრანკთა რამდენიმე ციხე აიღო და ალყა შემოარტყა ედესას. ქალაქის დასახმარებლად მოვიდა ფრანკთა გაერთიანებული არმია, რომელმაც მოამარაგა ედესა. მუსლიმებმა ედესას თავი გაანებეს, ევფრატი გადალახეს და ახლა ტელ-ბაშირს შემოეწყვნენ. აქაც 45 დღიანი უნაყოფო ალყის შემდეგ კოალიციამ უკან დაიხია. სუქმან ალ-კუტბი ავად გახდა და გარდაიცვალა. მისმა მხლებლებმა ცხედარი კუბოში ჩაასვენეს და შინისაკენ გაემართნენ. ამ დროს მათ თავს დაესხა ილ-ღაზი, მაგრამ მისი შეტევა მოიგერიეს.[68] ილ-ღაზის მიზანი დიარბაქრში სუქმანიანთა პოზიციების დასუსტება და ბალაქის ტყვეობიდან გამოხსნა იყო. როგორც ჩანს, მიზნის მიღწევას ის სუქმანის გვამის ხელში ჩაგდებითაც კი იმედოვნებდა. ილ-ღაზის ამ თავდასხმას მუსლიმთა წინამძღოლზე, რომელიც წმინდა ომში დაიღუპა, ბანდიტურს უწოდებს რენე გრუსე.[69] ეს ფაქტი კარგად აჩვენებს, რომ მიზნის მისაღწევად ილ-ღაზი არ ერიდებოდა წმინდა ომში დაცემული მოწამის (*შაჰიდის*) ნეშტის შეურაცხყოფასაც კი და რომ მისთვის ჯიჰადის იდეა ბევრს არაფერს ნიშნავდა.

---

[66] The Damascus Chronicle of the Crusades, გვ. 103.

[67] The Damascus Chronicle of the Crusades, გვ. 105.

[68] The Chronicle of Ibn al-Athīr for the Crusading Period from al-Kāmil fi'l-ta'rīkh. Part 1, გვ. 156-57.

[69] René Grousset. Histoire des Croisades et du Royaume franc de Jérusalem. T. 1. Paris. 1934, გვ. 467.

1112 წელს, როდესაც მუსლიმთა კოალიციამ მაუდუდის მეთაურობით კიდევ ერთხელ სცადა ედესის აღება, ილ-ღაზიმ ლაშქრობაში მონაწილეობის ნაცვლად შაჰ-არმენთა ვასალს ჰუსამ ად-დაულა ილ-თექინს შეუტია და დაიმორჩილა. დილმაჩიანთა საგვარეულოს ფუძემდებელი ეს თურქმენი ამირა ბითლისსა და არზანს ფლობდა. ამ საგვარეულოს შემდეგი წარმომადგენელი ტუღან-არსლანი (1113-34) ილ-ღაზის ერთგულ ვასალად გვევლინება.[70]

1113 წელს მაუდუდი დამასკოში მოკლეს.[71] მის ნაცვლად მოსულის გამგებლად სულთანმა აკ-სონკურ ალ-ბურსუკი დანიშნა, ილ-ღაზის შემცვლელი ბაღდადის შიჰნას პოსტზე.[72] 1114 წელს აკ-სონკურმა კამპანია ფრანკების ნაცვლად ილ-ღაზის სამფლობელოებზე შეტევით დაიწყო და მარდინს შემოეწყო. ილ-ღაზი იძულებული გახდა დამორჩილებულიყო და თავისი შვილი აიაზი გაუგზავნა სამასი მხედრით. შემდეგ აკ-სონკურმა ედესის აღება სცადა, მაგრამ ხანგრძლივი ალყის მიუხედავად, ვერაფერი გააწყო. აკ-სონკური ისევ ილ-ღაზის მიუბრუნდა, მისი შვილი შეიპყრო და მარდინის შემოგარენის აოხრება დაიწყო.[73] ილ-ღაზიმ დასახმარებლად ძმიშვილს, ჰისნ ქაიფას მმართველ დაუდ იბნ სუქმანს მიმართა, თურქმენთა ლაშქრით დაამარცხა სულთნის ჯარი და გაათავისუფლა შვილი.[74] როგორც ვხედავთ, თავიდან ილ-ღაზი საერთოდ უარს ამბობდა ფრანკთა წინააღმდეგ წმინდა ომში მონაწილეობაზე, შემდეგ კი ჯიჰადის არმია თავად დაამარცხა.

1115 წლის თებერვალში სულთანმა მუჰამედმა ჰამადანის მფლობელ ბურსუკ იბნ ბურსუკის მეთაურობით ისევ გაგზავნა ჯარები სირიაში. მათ ჯერ ილ-ღაზი და მისი მოკავშირე, დამასკოს ათაბაგი თუღ-თეგინი უნდა დაემორჩილებინათ, შემდეგ კი ფრანკები დაელაშქრათ. ილ-ღაზი, თუღ-თეგინი და ალეპოელები ფრანკებს დაუკავშირდნენ და კავშირი შეკრეს ანტიოქიის მთავარ როჯერთან. მოკავშირეები აპამეასთან დაბანაკდნენ. მათ შეუერთდათ იერუსალიმის მეფე ბალდუინი და ტრიპოლის გრაფი პონსიც. ბრძოლაში ჩაბმას ორივე მხარე მოერიდა და მუსლიმებმა შაიზართან დასცეს ბანაკი. ორ-

[70] Selim Tezcan. Jihad in a Context of Shifting Alliances and Enmities, გვ. 219-20.

[71] The Chronicle of Ibn al-Athīr for the Crusading Period from al-Kāmil fī'l-ta'rīkh. Part 1, გვ. 162-63; The Chronicle of Matthew of Edessa, გვ. 214.

[72] Carole Hillenbrand. The Career of Najm al-Dīn İl-Ghāzī. Der Islam. 58. 1981, გვ. 261.

[73] The Chronicle of Ibn al-Athīr for the Crusading Period from al-Kāmil fī'l-ta'rīkh. Part 1, გვ. 166.

[74] The Chronicle of Ibn al-Athīr for the Crusading Period from al-Kāmil fī'l-ta'rīkh. Part 1, გვ. 167; The Syriac Chronicle of Michael Rabo (The Great): A Universal History from the Creation. Translation and introduction by Matti Moosa. Teaneck, NJ. 2014, გვ. 639-40; The Chronicle of Matthew of Edessa, გვ. 215-16.

თვიანი დაპირისპირებისა და რიგი მანევრების შემდეგ, 1115 წლის 14 სექტემბერს, სარმინთან ახლოს, ტელ დანითის ბრძოლაში როჯერმა მოულოდნელი თავდასხმით გაანადგურა ბურსუკის არმია.[75] აქაც, ილ-ღაზი არ თაკილობს „ურწმუნო" ფრანკებთან კავშირს და მათთან ერთად უპირისპირდება ჯიჰადის არმიას.

ილ-ღაზისა და სხვა თურქი მმართველების დაპირისპირებას სელჩუკთა იმპერიასთან ღრმა საფუძვლები ჰქონდა, რაც პოლიტიკურ პროპაგანდასა და ჯიჰადის ლოზუნგებზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. 1110-15 წლებში სულთან მუჰამედის მიერ ორგანიზებული „ჯიჰადის" ლაშქრობების განხილვისას კარგად ჩანს, რომ სელჩუკი სულთნის მიზანი, დეკლარირებული ჯიჰადისა და ფრანკებთან ომის გარდა, დამოუკიდებელი თურქი ამირების დამორჩილება იყო. მ. კოლერი მიუთითებს, რომ მოსულიდან წარმართული ლაშქრობები ჯვაროსანთა წინააღმდეგ ისლამის სამყაროს გაერთიანებას კი არ ცდილობდა, არამედ ერაყსა და მესოპოტამიაში ძალაუფლების მოპოვებას.[76] თურქთა ეს გაერთიანებული ლაშქრობები არ ყოფილა ანტიჯვაროსნული, ლევანტიდან ფრანკთა გასაძევებლად მიმართული და ასეთად მათ არც სირიის მუსლიმი მმართველები აღიქვამდნენ.[77] 1110 წლიდან სელჩუკთა იმპერიის მიერ ჯიჰადის ლოზუნგით დაწყებული ლაშქრობები, ფრანკებთან ომის გარდა, სირია-ჯაზირას დამოუკიდებელი თურქი ამირების დამორჩილებას ისახავდა მიზნად. სწორედ ამიტომ ეს ამირები, ილ-ღაზის ჩათვლით, წინააღმდეგობას უწევდნენ მათ. ტელ დანითთან დამარცხების შემდეგ სელჩუკთა ცენტრალურმა ხელისუფლებამ პრაქტიკულად ხელი აიღო სირიის საქმეებში ჩარევისაგან და აღარ უცდია ადგილობრივი მუსლიმი ამირების დამორჩილება.

---

[75] The Chronicle of Ibn al-Athīr for the Crusading Period from al-Kāmil fī'l-ta'rīkh. Part 1, გვ. 172-73; Камал ад-Дин. Сливки, снятые с истории Халеба, გვ. 144-45; Walter the Chancellor. The Antiochene Wars. A translation and commentary by Thomas S. Asbridge and Susan B. Edgington. Aldershot. 1999, გვ. 87-106; The Chronicle of Matthew of Edessa, გვ. 218-19; Fulcher of Chartres. A History of the Expedition to Jerusalem, 1095-1127. Translated by Frances Rita Ryan, edited with an introduction by Harold S. Fink. New York. 1973, გვ. 210-14.

[76] Michael A. Köhler. Alliances and Treaties between Frankish and Muslim Rulers in the Middle East, გვ. 98.

[77] Michael A. Köhler. Alliances and Treaties between Frankish and Muslim Rulers in the Middle East, გვ. 102, 105. მკვლევრის დასკვნით, ანტიჯვაროსნული მოძრაობის თეზისი, თითქოსდა XII საუკუნის I დეკადის შემდეგ მუსლიმები გაერთიანდნენ ჯვაროსანთა წინააღმდეგ საბრძოლველად, უსაფუძვლოა. სირიის მმართველებისათვის დამოუკიდებლობის შენარჩუნების იდეა ჯიჰადის მოწოდებაზე მაღლა იდგა. XII საუკუნის I მეოთხედში რელიგიური ანტაგონიზმი არ იყო განმსაზღვრელი ფაქტორი პოლიტიკაში. Michael A. Köhler. Alliances and Treaties between Frankish and Muslim Rulers in the Middle East, გვ. 120-21.

ილ-ღაზის ბიოგრაფიაში ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მისი სახელი ჯიჰადთან მიმართებაში მოიხსენიება, არის 1119 წელს ანტიოქიის სამთავროს წინააღმდეგ ბრძოლა, როდესაც მან ბალატთან, სისხლიან ველზე დაამარცხა როჯერი და გაანადგურა მისი არმია.[78]

ამ ბრძოლის კონტექსტში ჯიჰადის ხსენებას უკვე კამპანიის მოსამზადებელ პერიოდში ვხვდებით იბნ ალ-კალანისის დამასკოს ისტორიაში. იბნ ალ-კალანისი, რომელიც დამასკოს მმართველი წრეების წარმომადგენელი და ორჯერ რაისიც (ქალაქის თავი) კი იყო, მთელი ნაშრომის მანძილზე ცდილობს წარმოადგინოს თავისი პატრონი, დამასკოს ათაბაგი თუღ-თეგინი, როგორც ცენტრალური ფიგურა (ხშირად, ილ-ღაზის უგულებელყოფის ხარჯზეც) და მუსლიმთა დამცველი, ჯიჰადის იდეებით გამსჭვალული მეომარი.[79] მემატიანეს სურს დაგვარწმუნოს, რომ 1119 წლის კამპანიის წინ, ჰ. 512 წლის რამადანის პირველი ათი დღიდან (1118 წ. 16-25 დეკემბერი) ჰ. 513 წლის საფარამდე (1119 წ. 14 მაისი – 11 ივნისი) თუღ-თეგინი ილ-ღაზის წაჰყვა დიარბაქრში თურქმენთა შესაკრებად და წმინდა ომისათვის მოსამზადებლად.[80] წარმოუდგენელია, რომ თუღ-თეგინს დამასკო ხუთი თვით უპატრონოდ მიეტოვებინა და ილ-ღაზის წაჰყოლოდა თურქმენთა არმიის შესაგროვებლად,[81] მაშინ როდესაც ართუკიანს მისი დახმარება თურქმენთა წინაშე არაფერში სჭირდებოდა. ცხადია, ეს ამბავი იბნ ალ-კალანისს პატრონის განსადიდებლად დასჭირდა, რომ ფრანკებთან ბრძოლაში მისი წვლილი გამოეკვეთა.[82] დამახასიათებელია, რომ ბალატთან გამარჯვების აღწერისას, იბნ ალ-

[78] ს. მარგიშვილის მტკიცებით, „ჯვაროსანთა წინააღმდეგ მეორე საღვთო ომი გამოცხადდა 1119 წელს და მას სათავეში ჩაუდგა მარდინის ემირი, ნეჯმ ად-დინ ილ-ღაზი“ (სოსო მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 36). მკვლევარი არ ასახელებს ჯიჰადის გამომცხადებელის ვინაობას, რაც გასაგებია, რადგან ასეთ ფაქტს არც ჰქონია ადგილი.

[79] Nicholas Morton. Walter the Chancellor on Ilghazi and Tughtakin: A Prisoner's Perspective, გვ. 171.

[80] The Damascus Chronicle of the Crusades, გვ. 158-59.

[81] Selim Tezcan. Jihad in a Context of Shifting Alliances and Enmities, გვ. 330.

[82] 1119 წლის კამპანიის წინა ვითარება იბნ ალ-ასირს აქვს უფრო კორექტულად აღწერილი. ის მოგვითხრობს იმ მარცხზე, რომელიც თუღ-თეგინის ჯარებმა განიცადეს ფრანკებთან ბრძოლაში, რის შემდეგაც ათაბაგი ალეპოს გაემართა და ილ-ღაზის მიმართა დახმარებისათვის. სწორედ ამ დროს ფრანკებმა დამასკოს მიწები აააოხრეს. მოკავშირეთა გადაწყვეტილებით, თუღ-თეგინი დამასკოში დაბრუნდა ქალაქის დასაცავად, ილ-ღაზი კი მარდინში წავიდა თურქმენთა ჯარის შესაგროვებლად (The Chronicle of Ibn al-Athīr for the Crusading Period from al-Kāmil fi'l-ta'rīkh. Part 1, გვ. 196-97). როგორც ვხედავთ, თუღ-თეგინს წვლილი არ მიუძღვის ბალატთან გამარჯვებული თურქმენული არმიის მობილიზებაში და ეს მხოლოდ ილ-ღაზის დამსახურებაა.

კალანისი არც კი ახსენებს ილ-ღაზის სახელს და ისე აქვს წარმოდგენილი ვითარება, თითქოს ბრძოლაში თულ-თეგინიც მონაწილეობდა.[83] ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იბნ ალ-კალანისი თავის ნაშრომს გვიანდელი, ზენგისა და ნურ ად-დინის დროს უკვე ჩამოყალიბებული ჯიჰადის იდეოლოგიის პოზიციიდან წერდა და მოვლენებს ხშირად აძლევდა მისთვის სასურველ, რეალურისაგან განსხვავებულ შეფერილობას. თავის ნაშრომში იბნ ალ-კალანისი მუსლიმთა ლამის ყოველ ბრძოლას ჯიჰადად თვლის: მისთვის წმინდა ომია ყილიჩ-არსლანის ბრძოლა პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობასთან,[84] ქერბოგას ბრძოლა ჯვაროსნებთან,[85] ფრანკებთან ფატიმიანთა ბრძოლაც კი[86] და სხვა შეტაკებები, რომელთაც ჯიჰადის არაფერი სცხიათ.

ალეპოელი ქემალ ად-დინი მოგვითხრობს, რომ როჯერთან ბრძოლის წინ ილ-ღაზი თავის სიმამრს, დამასკოს ათაბაგ თულ-თეგინს ელოდებოდა. თურქმენებმა მოკავშირის ლოდინი არ მოისურვეს და ილ-ღაზის მტერზე შეტევა მოთხოვეს.[87] ასეთ ვითარებაში ილ-ღაზიმ ხელახლა დაიფიცა თავისი ამირები და, ქემალ ად-დინის სიტყვებით, მათ საღვთო ბრძოლაში თავდადება მოსთხოვა.[88] რომც დავუშვათ, რომ მემატიანე სიტყვა-სიტყვით გადმოგვცემს მომხდარ ამბავს და ილ-ღაზიმ უბრალოდ ერთგულებაზე კი არა, არამედ სწორედ ჯიჰადში თავგანწირვაზე დაიფიცა თურქმენი ამირები,[89] ეს ფაქტი თავისუფლად შეიძლება განვიხილოთ როგორც კონკრეტული მომენტით გამოწვეული რიტორიკული მოწოდება, რაც არ გვაძლევს შორს მიმავალი დასკვნების გაკეთების უფლებას.[90]

---

[83] The Damascus Chronicle of the Crusades, გვ. 160; Selim Tezcan. Jihad in a Context of Shifting Alliances and Enmities, გვ. 356.

[84] The Damascus Chronicle of the Crusades, გვ. 41.

[85] The Damascus Chronicle of the Crusades, გვ. 46.

[86] The Damascus Chronicle of the Crusades, გვ. 47, 53, 58 და 70-71.

[87] მთავარი მოტივი, რომელიც თურქმენებს ამოძრავებდათ, იყო სურვილი, გამარჯვების შემთხვევაში, მოკავშირეებისათვის ნადავლი არ გაეყოთ.

[88] Камал ад-Дин. Сливки, снятые с истории Халеба, გვ. 150.

[89] თურქმენთა სარწმუნოებრივი თავდადება იმ ეპოქაში შორს იყო სასურველისაგან და ისინი ჯერ კიდევ თავიანთი მომთაბარული ტრადიციების ერთგულები იყვნენ. იხ. Nicholas Morton. Walter the Chancellor on Ilghazi and Tughtakin: A Prisoner's Perspective, გვ. 170-86.

[90] მკაცრად სამართლებრივად რომ ვიმსჯელოთ, ილ-ღაზის არც შეეძლო ჯიჰადის დამოუკიდებლად წამოწყება. ჯიჰადი ბაღდადის ხალიფას უნდა გამოეცხადებინა. სწორედ ამიტომ ჩადიოდა მასთან დელეგაციები სირიიდან. მუსლიმური სამართალის მიხედვით, სირია-მესოპოტამიის თურქ ამირებს არ შეეძლოთ ჯიჰადის გამოცხადება, რადგან მათ ხელისუფლება უზურპირებული ჰქონდათ და ლეგიტიმური მმართველები არ იყვნენ. Carole Hillenbrand. The Crusades: Islamic Perspectives, გვ. 104.

საყურადღებოა, რომ მემატიანისვე მოწმობით, ილ-ღაზიმ მხოლოდ ერთხელ და ისიც ბრძოლის წინ ახსენა ჯიჰადი და მოუწოდა ამირებს საღვთო ომში თავდადებისაკენ. ეს ამბავი ზედმიწევნით ჰგავს 1163 წლის ვითარებას, როდესაც გიორგი III-ის წინააღმდეგ კოალიციური ლაშქრით გამოვიდა აზერბაიჯანის ათაბაგი შამს ად-დინ ელდიგუზი, ერაყის თურქი ამირები, შაჰ-არმენი სუქმან II, აჰმადილიანები და აჰდაბიანები. მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეს გიორგი III-მ ზავი შესთავაზა. ელდიგუზი თავიდან თანახმა იყო ზავზე და მხოლოდ მის დასახმარებლად მისულმა კოალიციის სხვა წევრებმა, იმის გამო, რომ მათ უკვე საკმაო ხარჯი ჰქონდათ გაღებული, აიძულეს ის ბრძოლა მიეღო. ბრძოლისწინა თათბირის დროს ელდიგუზი მიხვდა, რომ მოკავშირეებს ვეღარ გადაარწმუნებდა და სცენა გაითამაშა. ის ყველა ამირას სათითაოდ გადაეხვია და ჯიჰადის ლოზუნგი მოიშველია: „ახლა გავიგე, რომ გწადიათ ჯიჰადი და დაჟინებით მოითხოვთ ალაჰის მტრებთან ბრძოლას! წინ, ურწმუნოებისაკენ! ჯიჰადში შევწიროთ ჩვენი სულები ალაჰს!“.[91] რა თქმა უნდა, არასწორი იქნებოდა ჩაგვეთვალა, რომ ელდიგუზი, რომელიც მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ჩაება ბრძოლაში, ჯიჰადის მეომარი იყო და ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლაში საღვთო ომის პრინციპებს იყენებდა. ასევე არასწორი იქნება, ბრძოლის წინ ჯიჰადის ფორმალური ხსენებით ილ-ღაზი ჯიჰადის მეომრად გამოვაცხადოთ.

კ. ჰილენბრანდი აკრიტიკებს ემანუელ სივანს, რომელიც თვლის, რომ ილ-ღაზი იყო პირველი, ვინც დაიწყო ჯიჰადის იდეის გამოყენება ჯვაროსანთა წინააღმდეგ.[92] ჰილენბრანდის აზრით, ილ-ღაზი მართლა ჯიჰადის მეომარი რომ ყოფილიყო, მას ჯიჰადის პროპაგანდა 1119 წლის შემდეგ კიდევ უნდა გამოეყენებინა, რაც არ მომხდარა.[93] ეს სერიოზული არგუმენტია იმათ წინააღმდეგ, ვინც თვლის, რომ ილ-ღაზი ჯიჰადს აწარმოებდა.[94] მართლაც, არაბული წყაროები ერთმნიშვნელოვნად დუმან ამის თაობაზე და ჩვენ ვერ ვიპოვით თუნდაც რაიმე მინიშნებას ილ-ღაზის მიერ სხვა დროს ჯიჰადის გამოყენებაზე.

---

[91] Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Сообщения о Сельджукском государстве. Сливки летописей, сообщающих о сельджукских эмирах и государях. Издание текста, перевод, введение, примечания и приложения З. М. Буниятова. Москва. 1980, გვ. 139-40.

[92] Emmanuel Sivan. L'Islam et la Croisade: Idéologie et propagande dans les réactions musulmanes aux Croisades, გვ. 41.

[93] Carole Hillenbrand. The Career of Najm al-Dīn İl-Ghāzī, გვ. 287.

[94] კ. ჰილენბრანდმა პირადად დამიდასტურა, რომ ის არ მიიჩნევდა ილ-ღაზის ჯიჰადის მეომრად და რომ მის მიერ ჩატარებულ კამპანიებს არაფერი ჰქონდა საერთო საღვთო ომთან. პირადი მიმოწერა ავტორთან, 5 იანვარი 2008.

მეტიც, 1119 წელს ჯიჰადს ქადაგებს არა ილ-ღაზი, არამედ ალეპოს ყადი,[95] რომელსაც ილ-ღაზის თურქმენები მასხრად იგდებენ. ალეპოს ყადი და რაისი იბნ ალ-ხაშშაბი ფრანკთა აქტიური მოწინააღმდეგე იყო და მას ხშირად ვხედავთ ჯვაროსანთა წინააღმდეგ პოლიტიკური კამპანიის წინა ფრონტზე. 1111 წლის თებერვალში იბნ ხაშშაბი მეთაურობდა ალეპოელთა დელეგაციას, რომელიც ბაღდადში ეძიებდა დახმარებას ფრანკებთან ბრძოლაში.[96] 1118 წელს მან ჩააბარა ილ-ღაზის ალეპო, რათა ქალაქი ფრანკთა ხელში არ მოხვედრილიყო.[97] 1124 წელს, ალეპოელთა და ფრანკთა მორიგი დაპირისპირებისას, იბნ ხაშშაბი კვლავ ამხნევებდა მუსლიმებს, როდესაც მათ ილ-ღაზის ნაცვლად უკვე აკ-სონკურ ალ-ბურსუკი მეთაურობდა.[98] ამ მოცემულობიდან და ილ-ღაზის ბიოგრაფიაში 1119 წლის ეპიზოდის იზოლირებული ხასიათიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ბალატთან ბრძოლის წინ ჯიჰადის ქადაგებაში მთავარი ფიგურა ალეპოს ყადი იყო, ილ-ღაზი და მისი თურქმენები კი ამის მეტ-ნაკლებად პასიური შემსწრენი.

თავად თურქმენ მეომართა ქცევა ბრძოლის წინ, ალეპოს ყადის იბნ ალ-ხაშშაბის დაცინვა, რომელიც ჯიჰადის ქადაგებას ცდილობდა, ნათლად მეტყველებს საღვთო ომის ლოზუნგებთან მათ დამოკიდებულებაზე. როდესაც ცხენზე ამხედრებულმა და შუბით შეიარაღებულმა იბნ ხაშშაბმა თურქმენებს ბრძოლისაკენ მოუწოდა, ის მასხრად აიგდეს და პირში მიახალეს: „ჩვენი ქვეყანა იმისთვის არ დაგვიტოვებია, რომ ჩალმიანი კაცისთვის გვესმინაო“.[99]

ს. ტეზჯანი შენიშნავს, რომ მხოლოდ ერთ ავტორთან (ქემალ ად-დინთან) გვხვდება ამბავი, თითქოსდა ყადის მიერ ჯიჰადის ქადაგების შემდეგ

---

[95] სხვათა შორის, იბნ ხაშშაბი შიიტი იყო. Michael A. Köhler. Alliances and Treaties between Frankish and Muslim Rulers in the Middle East, გვ. 109-10. წლების განმავლობაში ფრანკების მიერ შეიწროებულ ალეპოში ჯიჰადის იდეა თანდათანობით ფეხს იკიდებდა და ყადის ქცევაც ამას მოწმობს.

[96] Michael A. Köhler. Alliances and Treaties between Frankish and Muslim Rulers in the Middle East, გვ. 99. ფრანკთა თავდასხმებისაგან შეწუხებული ალეპოს მცხოვრები ბაღდადში ჩავიდნენ და შველა ითხოვეს. მათ ადგილობრივი რჯულისმცოდნეებიც შეუერთდნენ და სულთნის მეჩეთში ლოცვა ჩაშალეს, მინბარი (კათედრა) დაამტვრიეს და მისგან დახმარების პირობა მიიღეს. ისინი ხალიფასაც შეუვარდნენ სასახლის მეჩეთში, აქაც ლოცვა ჩაშალეს და მინბარი დაამტვრიეს. ხალიფამ საშველად სულთანს მიმართა, რის შემდეგაც მან დაიწყო ფრანკებთან ომისათვის მზადება. The Chronicle of Ibn al-Athīr for the Crusading Period from al-Kāmil fī'l-ta'rīkh. Part 1, გვ. 154; The Damascus Chronicle of the Crusades, გვ. 111-12.

[97] Камал ад-Дин. Сливки, снятые с истории Халеба, გვ. 148.

[98] Камал ад-Дин. Сливки, снятые с истории Халеба, გვ. 170-71.

[99] Камал ад-Дин. Сливки, снятые с истории Халеба, გვ. 150. გასაკვირი არ არის, რომ სწავლულის ტანსაცმელში გამოწყობილ და მისთვის შეუფერებლად აღჭურვილ ყადს ნამდვილი მეომრებისაგან დაცინვა ერგო წილად.

ილ-ღაზის თურქმენებს თვალზე ცრემლი მოადგათ.[100] ის ეჭვის თვალით უყურებს ეპიზოდს და საფუძვლიანად მიუთითებს, რომ იბნ ხაშშაბის მაღალფარდოვანი არაბული გაუგებარი იქნებოდა თურქმენებისათვის, ხოლო მას არ ეცოდინებოდა ისეთი თურქული (თუკი საერთოდ იცოდა), რომ მსმენელთათვის ცრემლები მოეგვარა. ტეზჯანი სწორად ასკვნის, რომ სინამდვილეში ყადის სიტყვებსა და შუბის ქნევას ნამდვილ მეომართა მხრიდან მხოლოდ დაცინვა ხვდა წილად, ალეპოელმა მემატიანემ ქემალ ად-დინმა კი თურქმენთა ცრემლიანი თვალები, თავის მხრივ, ჩაამატა ტექსტში, რომ ქალაქის გავლენიანი მოქალაქისათვის სახე შეენარჩუნებინა.[101] სწორედ ჯიჰადის იდეის მიმართ თურქმენთა გულგრილობით ხსნის ს. ტეზჯანი იმ ფაქტს, რომ ილ-ღაზი აღარც კი ეცადა ჯიჰადის გამოყენებას შემდგომ კამპანიებში.[102]

გარდა ამისა, ჩვენ მოგვეპოვება ისეთი ფაქტი, რომელიც საბოლოოდ უნდა აქარწყლებდეს ყოველგვარ ეჭვს ილ-ღაზის, როგორც ისლამური ჯიჰადის ლიდერის შესახებ. იბნ ალ-ასირი გადმოგვცემს, რომ 1121 წლის საფარში (21 აპრილი – 19 მაისი) სულთანმა მაჰმუდმა მოსულის ათაბაგად დანიშნა ილ-ღაზის მტერი (!) აკ-სონკურ ალ-ბურსუკი, უბრძანა ამირებს მას დამორჩილებოდნენ, ათაბაგს კი ფრანკების წინააღმდეგ ჯიჰადის წარმოება დაავალა.[103] გამოდის, სწორედ იმ დროს, როდესაც ილ-ღაზი საქართველოში სალაშქროდ ემზადებოდა, სელჩუკთა იმპერიამ საღვთო ომი გამოუცხადა ჯვაროსნებს. აქედან კარგად ჩანს, რომ მუსლიმურ სამყაროს არ გამოუცხადებია 1121 წელს ჯიჰადი საქართველოსათვის და რომ იმ დროს, როდესაც ს. მარგიშვილი ილ-ღაზის გამოგონილი ჯიჰადის შესახებ წერს, სელჩუკთა სულთანი და ბაღდადის ხალიფა ნამდვილად აწარმოებდნენ ჯიჰადს, მხოლოდ ფრანკთა წინააღმდეგ. ზედმეტია იმაზე მსჯელობა, ილ-ღაზი ქრისტიანობის წინააღმდეგ მაჰმადიანური ჯიჰადის ხელმძღვანელად მართლაც რომ გამოეცხადებინათ, რასაც ს. მარგიშვილი ამტკიცებს,[104] აკ-სონკურ ალ-ბურსუკს არავინ დანიშნავდა ფრანკთა წინააღმდეგ ჯიჰადის ხელმძღვანელად.

მ. კოლერი წერს, რომ ილ-ღაზის არასდროს უფიქრია ანტიჯვაროსნული კამპანიის წარმოება.[105] მართლაც, არც ილ-ღაზის და არც იმდროინდელ

[100] Камал ад-Дин. Сливки, снятые с истории Халеба, გვ. 150.
[101] Selim Tezcan. Jihad in a Context of Shifting Alliances and Enmities, გვ. 500, შენ. 126.
[102] Selim Tezcan. Jihad in a Context of Shifting Alliances and Enmities, გვ. 501.
[103] The Chronicle of Ibn al-Athīr for the Crusading Period from al-Kāmil fī'l-ta'rīkh. Part 1, გვ. 229.
[104] ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 62.
[105] Michael A. Köhler. Alliances and Treaties between Frankish and Muslim Rulers in the Middle East, გვ. 110.

მუსლიმ სასულიერო პირებს არც კი მოსვლიათ თავში აზრად, რომ ალეპო გამოეყენებინათ ფრანკების წინააღმდეგ მოქმედებების ბაზად, რათა საერთოდ გაეძევებიათ ისინი ანტიოქიიდან და წმინდა მიწიდან, ისე როგორც ამას შემდგომში ქადაგებდნენ ნურ ად-დინი (1146-74) და სალაჰ ად-დინი (1174-93) და რაც იყო კიდეც მათი ჯიჰადის მიზანი.[106]

ილ-ღაზისაგან განსხვავებით ჯიჰადის ნამდვილი მეომრის, ნურ ად-დინის, არმიაში მრავალი მუსლიმი სწავლული და ქადაგი ირიცხებოდა, რომელთა მოვალეობას ჯიჰადის სულისკვეთებით მებრძოლთა შეგულიანება იყო.[107] ნურ ად-დინის საქმის გამგრძელებელი სალაჰ ად-დინიც ფართოდ იყენებდა მისი წინამორბედის მიერ აპრობირებულ პროპაგანდისტულ ხერხებს.[108] ლაშქრობებში მასაც თან ახლდა ჯიჰადის მქადაგებელი მუსლიმი სწავლულები (ულემები).[109]

იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ როგორ მოქმედებდა ჯიჰადის ჭეშმარიტი მეომარი, შევადაროთ ერთმანეთს ნურ ად-დინისა და ილ-ღაზის ქმედებები. ნურ ად-დინის მიერ წარმოებული ჯიჰადი მუდმივი და დროში განგრძობადი პროცესი იყო, რომელსაც არ ახასიათებს ისეთი ეპიზოდური აპელირება ჯიჰადზე, როგორც ეს ილ-ღაზის შემთხვევაში გვაქვს. ნურ ად-დინის დროს მოხდა ჯიჰადის ქადაგების გაძლიერება ყველა დონეზე, დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ბრძოლის ველზე დაცემულ მოწამეთა (*შაჰიდთა*) განდიდებას. ჯიჰადის იდეოლოგიის გასავრცელებლად ნურ ად-დინმა შექმნა „აგენტების“ შთამბეჭდავი ქსელი, რომლებიც საზოგადოების ყველა ფენაში ქადაგებდნენ მის იდეებს. ნურ ად-დინი დიდ ყურადღებას აქცევდა მის მიერ აგებულ თუ აღდგენილ არქიტექტურულ ძეგლებზე წარწერების დატანას, სადაც ის წარმოდგენილი იყო როგორც *მუჯაჰიდი* და მუსლიმთა დამცველი.[110] ნურ ად-დინი ფართოდ იყენებდა კალამსაც: წერილებსა თუ სხვადასხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებში მუდმივად ისმის ჯიჰადისაკენ მოწოდება. ნურ ად-დინი აარსებდა და ხელს უმართავდა სასწავლო დაწესებულებებს, სადაც მუსლიმი სწავლულები და სამართლისმცოდნეები მხარს უჭერდნენ ჯიჰადის პროპაგანდას.[111] არც

[106] Selim Tezcan. Jihad in a Context of Shifting Alliances and Enmities, გვ. 513.
[107] Carole Hillenbrand. The Crusades: Islamic Perspectives, გვ. 119-22.
[108] Carole Hillenbrand. The Crusades: Islamic Perspectives, გვ. 175.
[109] Carole Hillenbrand. The Crusades: Islamic Perspectives, გვ. 179.
[110] საყურადღებოა, რომ ზენგისა და ნურ ად-დინამდე, XII საუკუნეში მთელ ისლამურ სამყაროში, ესპანეთიდან ინდოეთამდე, ჯიჰადი მხოლოდ ბალაქის აკლდამის წარწერაში მოიხსენიება. Carole Hillenbrand. The Crusades: Islamic Perspectives, გვ. 110-11.
[111] Nikita Elisséeff. The Reaction of the Syrian Muslims after the Foundation of the First Latin Kingdom of Jerusalem, გვ. 167-71.

ერთი აქ ჩამოთვლილი ქმედება არ ახასიათებდა ილ-ღაზის მმართველობასა და მოღვაწეობას, რაც, რა თქმა უნდა, არ არის შემთხვევითი.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მუსლიმთა მიერ 1121 წელს თითქოსდა საქართველოს წინააღმდეგ ორგანიზებული ჯიჰადის სასარგებლოდ არ არსებობს არც ფაქტობრივი მასალა (წყაროთა მონაცემები) და ვერც თეორიული მსჯელობა მიგვიყვანს ამგვარ დასკვნამდე. XII საუკუნის პირველი მეოთხედის ისლამურ სამყაროში ტრანსფორმირებული ჯიჰადის იდეა მხოლოდ ფეხს იდგამდა და შორს იყო იმ სრულყოფისაგან, რასაც მან ამავე საუკუნის მეორე ნახევარში მიაღწია. არც ილ-ღაზი იყო ჯიჰადის ნამდვილი მეომარი და იმ მასშტაბის პოლიტიკური ფიგურა, რომ თავისი დროისათვის გაესწრო და ნახევარი საუკუნით ადრე დაეწყო მოძრაობა, რომელსაც მხოლოდ ჯიჰადისა და ისლამის სამყაროს გმირებმა ნურ ად-დინმა და სალაჰ ად-დინმა მისცა საბოლოო სახე.

Mamuka Tsurtsumia
Chairman
The State Council of Heraldry
at the Parliament of Georgia

JIHAD AGAINST GEORGIA? 1121 CAMPAIGN IN THE LIGHT OF THE HOLY WAR

Summary

Jihad is an Arabic word and denotes "striving" on the path of a praiseworthy aim. In other words, it means a perseverant effort made by a person to achieve his aim. From the semantic point of view, *jihad* is not connected with the concept of war. It comes from the root *jhd* which denotes "striving" or "effort." Only during the time of Muhammad did this word acquire the new meaning of "warfare against the infidels". According to the prominent lexicographer Ibn Manẓūr (1230-1311), *jihad* is a struggle against something or exerting one's effort toward an objective. *Jihad* was interpreted as an effort in fighting against the enemies of God by words or by deeds.

Following the classical doctrine of *jihad*, the ultimate aim of Muslims is to achieve a universal political order in which all humankind will either worship Islam or will be subjugated to it. In order to achieve this aim, war is to be waged against the world. *Jihad* is an instrument for the establishment of global Muslim hegemony and it is an obligation of every Muslim to participate in it. *Jihad* does not recognize time limits. It is obligatory to follow *jihad* "until the day of the resurrection", and "until the end of the world," till Islam rules all over the world.

The doctrine of *jihad* played a great role in the success of the Muslim wars of conquest and assisted the spread of Islam. After the halt of Islamic expansion and break-up of the Caliphate, the doctrine of *jihad* gradually lost its significance.

The revival of *jihad* was accomplished in the 12th century, the age of the Crusades. At this time, under a global attack from the Christian world, Islam again turned to an old, proven weapon – *jihad*. The process of the revival of

jihad proved to be stretched considerably in time and reached its final form only in the second part of the 12th century. In the 12th century, the alliance between the Muslim rulers and scholars proved to be decisive. Imad al-Din Zangi, Nur al-Din and Salah al-Din managed to unite under one idea the military elite of the invader Turks and elite Muslim representatives of local citizens. As revealed by history, this "union of the pen and the sword" proved to be extremely successful.

In Georgian historiography the issue of using *jihad* against Georgia in the campaign of 1121 was first posed by S. Margishvili. He considered the campaign organised by Ilghazi as *jihad* carried out by the Muslim world against Georgia. Margishvili presented his thoughts in the work dedicated to the rule of David the Builder.

In this theory, the Seljuk Empire and, generally, the Muslim world confronted the Crusaders with the "ideology of the transformed *jihad*, which was formed rapidly in the first decade of the 12th century". The author maintains that "in the first quarter of the 12th century (which coincides with the rule of David the Builder), the theory of the Muslim *jihad* had already been formed and specified". Margishvili believes that the Muslim theologians al-Ghazali and al-Sulami elaborated the theory about *jihad* according to which a Muslim region, unable to resist the attack of enemies, had to appeal to other regions for assistance.

The works by al-Ghazali and al-Sulami do not correspond to the conceptualisation of *jihad* presented above. The distinguished Muslim theologian al-Ghazali (1057/58-1111) writes about *jihad* as an obligation of each Muslim and allots only a few lines to the assistance of Muslim cities in trouble. For this prominent philosopher the main value lay in the spiritual *jihad*, greater *jihad (jihad al-akbar)* and its ultimate aim was to assist a believer in their quest for spirituality. The works by Al-Ghazali cannot be considered to be the established doctrine of *jihad*.

Al-Sulami (1039-1106), who was the first to appeal for using *jihad* against the Crusaders in 1105, emphasises the split of the Muslims and urges both Sunnis and Shiites to unite against the Franks. Al-Sulami was the first to see the true, religious nature of the war fought by the Crusaders and therefore compared the Crusades with *jihad* which without a doubt indicates his astuteness.

It should be argued against the theory by S. Margishvili, that the *Book of Jihad (Kitab al-Jihad)* by al-Sulami was not popular. As pointed out by C.

Hillenbrand, nobody paid attention to the warning by al-Sulami for half a century. His theory did not go beyond the clerical circles and therefore did not become the focus of the ruling classes. Hillenbrand states that neither appeals by Muslim clericals, nor ardent poems written after the First Crusade, proved to be sufficient for the revival of *jihad*. The union between clerics and rulers crucial for this to happen was formed only in the second half of the 12th century. The appeals by al-Sulami did not reach the ears of those, whose obligation was to fight against the Crusades. Both the work and its author were soon forgotten. Only after fifty years was Islam able to start *jihad*.

As can be seen, the picture depicted by S. Margishvili regarding *jihad* did not exist in the Near East of the first quarter of the 12th century. The scholars agree that the movement for *jihad* became stronger only in the middle of the 12th century. During the time of Ilghazi, there was no elaborated theory of *jihad* which would have become a guidebook for Muslim statesmen.

In addition, it is difficult to believe that such a pragmatic leader as Ilghazi, who fought only for his own interests, would have followed the theoretical concepts of the Holy War (even if the latter had existed) and moreover, would have made it a programme to follow.

As well as that, nobody referred to the 1121 campaign of Ilghazi as *jihad*. Not a single Muslim historian mentions that this campaign was called *jihad*. S. Margishvili admits that "written sources do not mention announcing *jihad* against Georgia". Despite this, he still makes an attempt to support his theory and brings about the main argument as follows: "but the real proof of this is participation of Ilghazi himself in the campaign against Georgia". The logic by the author is as follows: the defeat of Roger in 1119 on a Field of Blood "brought about a tremendous response in the Muslim world and made Ilghazi a recognised leader of the Holy War. He received an expensive robe from the Caliph of Bagdad (which was considered a special honour) and, together with this, the honourary status of "Protector of religion (Allah), which meant announcing Ilghazi as a leader of the Muslim jihad". Margishvili states that by obtaining this title "Ilghazi was declared to be the leader of *jihad* against Christians".

It is clear that the above mentioned opinion by Margishvili is based on misinterpretation. The scholar is mistaken when interpreting the title of Ilghazi, as it means the "star of the religion" and does not have anything to do with the "protector of the religion (Allah)". In addition, Margishvili repeats a well-known mistake by Steven Runciman, based on the fact that, the English scholar,

due to the misreading of the French translation of the original text by Ibn al-Athīr, declared that Caliph of Baghdad had conferred Ilghazi, together with the robe (which was a fact), title of the "star of the religion" (which did not happen in reality). Clearly, Margishvili is mistaken not only when naming the title conferred to Ilghazi, but, also, the fact of conferring the title itself.

According to S. Margishvili, "the Muslim world announced large-scale *jihad* against him [David the Builder] and invited the warriors from the regions as far from Georgia, as Mardin and Aleppo, whose safety could not have been threatened by David the Builder, but the theory of *jihad* of that period obliged them to act against the attacks organised by Georgia". I can see a certain scheme in this thought turned into an imperative by the author. If the concept of *jihad* had implied an obligatory participation, it would not have included only Ilghazi and his traditional allies and vassals, or, in other words, if Mardin was obliged to take part in the war, so would have Akhlat and others, for instance, the neighbouring Ani and Kars emirates, not to mention Danishmeds, Mangujakids and Saltukids. It is significant that none of the Muslim states located at the southern borders of Georgia participated in the campaign of 1121. Only the Ganja emirate, which already was at war with David IV, joined Ilghazi. Together with Ilghazi only his allies, the Mardin-Aleppo emirate (domain of Ilghazi) and the emirate of Arzan and Bitlis (vassal of Ilghazi), assisted forces from Malatya (Ilghazi's nephew Balak) and from Damaskus (Ilghazi's father-in-law Tughtakin) as well as Ilghazi's brother-in-law, wealthy shiite Dubays ibn Sadaqa participated in the campaign. Clearly, the *jihad* was not important at all for the Muslim states and each of them acted according to their interests, or, what they thought was in their interests.

It is significant that there is no information, or an indication of the fact that on the long way leading to Georgia, Ilghazi's army was joined and strengthened by volunteers. Whereas, in the case of *jihad* campaigns, volunteers usually join fight against the infidels.

It should be mentioned that Ilghazi is frequently portrayed as a warrior of *jihad* by Turkish historians (Osman Turan, Ali Sevim and others) who followed nationalist or "patriotic" motifs and claimed that Turks always fought Holy War against the infidel Franks. It is also worth noting that this approach is critisised by modern Turkish scholars.

The only occasion in the biography of Ilghazi, when he is mentioned in the context of *jihad*, is the fight against the principality of Antioch in 1119, when he beat Roger at Balat and destroyed his army.

Jihad is mentioned in the context of this battle in the preparatory period of the campaign in the History of Damascus by Ibn al-Qalānisī who wrote his work from the standpoint of the later, already elaborated ideology of *jihad* and therefore, he frequently described the events in a way which did not correspond to reality. In his work Ibn al-Qalānisī considers all the battles conducted by Muslims as *jihad*. Therefore, he believes that the battle of Kilij Arslan against the First Crusade, the battle of Kerbogha against the Crusaders, even the battles of the Fatimids with Franks, were all *jihad* wars.

Kamal al-Din of Aleppo maintains that before the battle against Roger, Ilghazi was waiting for his father-in-law, Atabeg of Damascus Tughtakin. Turkomans did not wish to wait for the allies and demanded Ilghazi to attack the adversary. On this occasion, Ilghazi made his emirs vow to lay down their lives for the Holy War. Even if the historian had retold about the event truthfully and Ilghazi had made the emirs swear to sacrifice their lives specifically in jihad, this fact could be labelled as a rhetorical appeal based on a specific moment which does not allow making far-fetched conclusions.

C. Hillenbrand criticises Emmanuel Sivan, who believes that Ilghazi was the first to employ the concept of *jihad* against the Crusaders. Hillenbrand states that if Ilghazi had been a warrior of *jihad*, he would have continued propagating *jihad* after 1119, which did not happen. This is a serious counter argument against those who considers that Ilghazi participated in *jihad*. There is no mention of this in Arabic sources and we are not able to find even a mere indication of Ilghazi's participation in *jihad* at any other time.

Even more, in 1119, in preaching *jihad* before the battle of Balat, the main figure was qadi Ibn al-Khashshab of Aleppo, whereas Ilghazi and his Turkoman warriors were more passive witnesses. The behaviour of the Turkomans, sneering at the qadi who tried to preach *jihad* reveals their attitude towards the slogans of the Holy War. When Ibn Khashshab, armed with a spear and mounted on the horse, urged the Turkomans to fight for the Holy War, he was openly mocked and told that the "we had not left our land to listen to a man in a turban".

This indifferent attitude towards *jihad* must have been the reason for Ilghazi's decision not to address *jihad* in later campaigns, as suggested by S. Tezcan.

In addition, there is another fact which would destroy all the suspicions concerning Ilghazi as a leader of Islamic *jihad*. Ibn al-Athīr mentions that in Safar of 1121 (from April 21 to May 19) Ilghazi's enemy Āqsunqur al-Bursuqī

was appointed as the Atabeg of Mosul by Sultan Mahmud and all the emirs were commanded to obey his orders. As well as this, Āqsunqur al-Bursuqī was assigned to conduct *jihad* against the Franks. It turns out that, at the time when Ilghazi was making preparations for his campaign in Georgia, the Seljuk Empire declared the Holy War to the Crusaders. Therefore, in 1121 *jihad* was not used against Georgia and when S. Margishvili writes about the fictitious *jihad* against Georgia by Ilghazi, the Sultan of the Seljuks and Caliph of Baghdad did perform *jihad*, but only against the Franks.

It can be concluded, then, that there are neither empirical data in favour of *jihad* against Georgia in 1121, nor any theoretical reasoning will bring us to such conclusion. The idea of transformed *jihad* was only being elaborated in the first quarter of the 12th century and was far from the perfection it achieved later, in the second part of the same century. Ilghazi was neither a genuine warrior of *jihad* nor was he a political figure of such a scale to go ahead of his time and start the movement which was finally shaped only fifty years later, by the heroes of the Islam Nur al-Din and Salah al-Din.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIV
თბილისი. 2018

ალექსანდრე ბოშიშვილი
ასისტენტ-პროფესორი, თსუ

ირანის შაჰების დემოგრაფიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ (თურქმანული ტომების ჩამოსახლება ქვემო ქართლში)*

მომთაბარეების ჩამოსახლების პირველი მცდელობები

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ისტორიული წყაროების მიხედვით, თურქმანულმა ტომებმა XV საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყეს ჩამოსახლება.[1] ქართლის სამეფოში თურქულენოვანი მოსახლეობის ჩამოსახლება ირანის მხრიდან, ქართლისთვის თავდაცვის სამხრეთის ზღუდის მორღვევის საქმეს ემსახურებოდა. ქვემო ქართლის სამხრეთ აღმოსავლეთით „თათარი[2] ელების[3]“ დასახლება პირველად, XV საუკუნის II ნახევარში უზუნ ჰასანის ლაშქრობების შემდეგ მოხდა. თეთრბატკნიანთა თურქმანული სახელმწიფოს მბრძანებელი, უზუნ ჰასანი (1453-1478 წწ.) საქართველოს 1477 წელს შეესია.[4] როგორც ცნობილია, ერთიანი ქართული მონარქიის დაშლის ერთერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი, სწორედ, მისი ლაშქრობები გახდა.[5] უზუნ

---

* კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით“ [YS17_45].

[1] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი. ნაკვ. I. თბ. 1979, გვ. 109.

[2] ქართული დოკუმენტური წყაროები თურქმანული მოდგმის ტომებს უმეტესად მოიხსენიებს, როგორც „ელი“ ან „თათარი“. ხოლო შედარებით მოგვიანო ხანის (XIX-XX სს.) ნარატიულ წყაროებში ისინი „თათრებად“ მოიხსენიებიან.

[3] ელი (თურქ., აზერბ. ილ, ელ – ტომი, ხალხი), მეჯოგე-მომთაბარე მოსახლეობაა კახეთსა და ქვემო ქართლში XVI-XIX საუკუნეებში (იხ. ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა). თბ. 1958; ვ. ჩოჩიევი. ელი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე). ტ. 4. თბ. 1979, გვ. 124).

[4] უზუნ ჰასანი საქართველოში, პირველად, 1473 წელს შემოვიდა.

[5] ბ. ლომინაძე. საქართველო XV საუკუნის მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად, საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ. 1979, გვ. 742; ნ. ასათიანი. აყ-ყოინლუს თურქმანთა შემოსევები. საქართველოს ისტორია. ტ. III. თბ. 2012, გვ. 127-129.

ჰასანმა საქართველოში დიდი სისასტიკე გამოიჩინა, როდესაც ვახუშტი ბატონიშვილი მისი ლაშქრობების ამბებს აღწერს, ძალიან ხშირად იყენებს სიტყვებს „მოარბიეს“, „მოსწყვიტეს“, „მოაოკრეს“. უზუნ ჰასანმა ლაშქრობასთან ერთად ქართლის საზღვართან „თათრის ელები“, ანუ მომთაბარე თურქმანები დაასახლა, მაგრამ მისი გარდაცვალებისთანავე მეფე კონსტანტინე II-მ (1478-1505 წწ.) ჩამოსახლებული თურქმანები საზღვრებიდან მთლიანად განდევნა.[6] ვახუშტის მიხედვით, მეფემ „უბრძანა ბარათიანთა და სომხითართა, მიუჴდნენ ელთა, დატევებულთა ყენისაგან საზღვართა ქართლისათა, სრულიად მოსრნეს და ტყუე-ყვნეს“.[7] იგივეს მოგვითხრობს ბერი ეგნატაშვილი, „ჩაუჴდეს ბარათიანნი, დაიფორაქეს ელი და დაჴოცეს მრავალი თათარი ყაენისაგან შეწყალებულნი.[8]

ამ ამბებიდან სულ მალე, 1490 წელს, საქართველო ოფიციალურად დაშლილად გამოცხადდა. ერთიანი ქვეყნის დაშლის შემდეგ განვითარებული მოვლენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნათელია, რომ ყველა ახალი დამჰყრობელი დემოგრაფიული სურათის შეცვლას ცდილობდა და მუდმივად იბრძოდა იმისთვის, რომ პირველ ეტაპზე ქართლის საზღვართან ახლოს, მოგვიანებით კი უკვე საზღვარს შიგნითაც, სხვადასხვა მომთაბარე ტომები დაესახლებინათ.

საქართველოს დაშლის შემდგომ, ირანიდან წამოსულ ყოველ ახალ თავდამსხმელს თან მოჰყვებოდნენ მომთაბარე თურქმანული, ე.წ. „ელის ტომები“ და მათთვის სასურველ და ხელსაყრელ ტერიტორიებზე სახლდებოდნენ. თუმცა მტრის წასვლის შემდეგ ქართველები „მოსრვიდნენ გარემოთა თათართა“.

საქართველოში თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს ლაშქრობები უზუნ ჰასანის მემკვიდრის, იაყუბ ყაენის (1479-1490 წწ.), დროსაც გრძელდებოდა. იგი ქართლში 1488 წელს შემოვიდა. მან ქართლის სამეფოს წინააღმდეგ, ქვემო ქართლის მიმართულებით, საფუძვლიანი ღონისძიებებიც გაატარა. იაყუბ ყაენმა ძველი გაგის ციხის ნანგრევებზე აღჯაყალის ციხე ააშენა, ასევე განაახლა ქაოზიანიც, „და დაუწყო შენება ქაოზიანთა და აღჯაყალისა ციხესა“.[9]

---

[6] იხ. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 385; ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 342, 479.

[7] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 385.

[8] ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 342, 479.

[9] ახალი ქართლის ცხოვრება. მესამე ტექსტი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 484; იხ. დ. მუსხელიშვილი. აღჯაყალა-გაგის ციხე. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული (სიგკ). ტ. I. თბ. 1960, გვ. 122-136.

მისი მიზანი, ქართლში მომდევნო ლაშქრობებისთვის და თურქმანული ტომების დასახლებისთვის საიმედო პლაცდარმის შეექმნა იყო. იაყუბ ყაენის გეგმით, მომავალში სწორედ ამ ციხეებიდან უნდა მომხდარიყო ქართლის სამეფოს საქმეების მართვა. მაგრამ მეფე კონსტანტინე II-მ (1478-1505 წწ.) ჩამოსახლებული მომთაბარეები ამჯერადაც გაანადგურა და ციხეებიც დაანგრია. „მიუჯდა და მოსრნა ელნი გარემონი, შემუსრა და დაარღვივა აღჯაყალა და ქაოზიანი, აღიღო ალაფი მათი და მოვიდა ტფილისს“.[10]

ვახუშტი აღჯაყალას[11] ასე აღწერს: „ხოლო ძუელად ადგილისა ამის სახელი არს ჭურდვაჭრის ჭევი, და აწ უწოდებენ აღჯაყალას, იაყუფ ყეენისაგან წოდებულს, რომელმან პირველ აღაშენა ციხე ესე“.[12] აკად. დავით მუსხელიშვილი მიიჩნევს, რომ ვახუშტის ცნობები აღჯაყალის აგების შესახებ გაზვიადებულია და იაყუბ ყაენმა, მხოლოდ განაახლა აღჯაყალას ციხე: „...მხოლოდ წერილობითი წყაროების მონაცემების საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ ციხესიმაგრე აღჯაყალა იაყუბ ყაენს კი არ აუგია, როგორც ამაში გვარწმუნებს ვახუშტი ბატონიშვილი, არამედ მას მხოლოდ განუახლებია იგი და, როგორც ეტყობა, მანამდე „დარღვეული“ კედლები შეუშენებია“.[13]

აღჯაყალა[14] მნიშვნელოვან გზებზე მდებარეობდა და საქართველოს ახლო აღმოსავლეთთან, კერძოდ, ირანთან აკავშირებდა. ამის შესახებ აკად. დავით მუსხელიშვილი აღნიშნავს, „აღჯაყალა, როგორც მნიშვენლოვანი ციხესიმაგრე საკომუნიკაციო გზაზე უნდა მდგარიყო... შესაძლებელია მდგარიყო იმ ერთ-ერთ ძირითად მაგისტრალზე, რომლის საშუალებითაც ქართლი (შიდა და ქვემო) უკავშირდებოდა სომხეთს და მახლობელ აღმოსავლეთს“.[15] ცი-

[10] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 390.

[11] აღჯაყალის შესახებ იხ.: აღჯაყალა (თეთრი ციხე), ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე). ტ. II. თბ. 1977, გვ. 66; დ. მუსხელიშვილი. გაგის ციხე. საქართველო. ენციკლოპედია. ტ. I. თბ. 1997, გვ. 527; დ. მუსხელიშვილი. აღჯაყალა-გაგის ციხე, გვ. 113-140; მ. ილურიძე. აღჯაყალათა იდენტიფიკაციისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია). №2. თბ. 1989, გვ. 114-121; გურჯიზადე. თბილისის დაპყრობის წიგნი. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ. თბ. 1975, გვ. 65, შენიშვნა: 66.

[12] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 307.

[13] დ. მუსხელიშვილი. აღჯაყალა-გაგის ციხე, გვ. 116.

[14] საქართველოსა და მის ირგვლივ (დღევანდელი თურქეთის, სომხეთის და დასავლეთ ირანის ტერიტორიაზე), როგორც მარინე ილურიძემ გამოიკვლია, ცხრა აღჯაყალა აღმოჩნდა. ავტორი ჩამოთვლის თითოეულ მათგანს: გაგი-აღჯაყალა, ერევნის, ხახულის, ერზრუმ-ნარიმანის, ყარს-სელიმის, ჩილდირის, გიუმუშხანეს, მაჰმუდის და ყარსის არფაჩაის აღჯაყალა. თვით სახელწოდება აღჯაყალა/ახჩაყალა თურქულია და თეთრ ციხეს ნიშნავს. ავტორი აღნიშნავს, რომ – აღჯაყალათა „სიმრავლე გვავალებს, რომ თითოეული მათგანის ლოკალიზებას დიდი გულისყურით და სიფრთხილით მოვეკიდოთ“ (იხ. მ. ილურიძე. აღჯაყალათა იდენტიფიკაციისათვის, გვ. 121).

[15] დ. მუსხელიშვილი. აღჯაყალა-გაგის ციხე, გვ. 117.

ხესიმაგრე, როგორც ჩანს, უმთავრესად, მაინც თბილისის ადვილად დაკავების მიზნით აღადგინეს, მაგრამ რადგან, მას ძირითადად ქართველები აკონტროლებდნენ, პირიქით, დედაქალაქის დაცვის ფუნქცია შეიძინა. ირანელი მმართველები მუდმივად ცდილობდნენ აღჯაყალის ხელში ჩაგდებას, ხოლო ქართველი მეფეების მხრიდან შეუპოვარ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ.[16]

ბრძოლა, რომელიც ძირითადად მტკვრის დაბლობის დაუფლებისთვის მიმდინარეობდა და რამდენიმე საუკუნე გაგრძელდა, საბოლოოდ, XVI საუკუნეში ამ მხარეში ქართველების შემცირებით და თურქმანული ტომების ჩამოსახლებით დასრულდა. ქართლის სამეფოს პროვინცია, ძველი გარდაბანი, იგივე ხუნანის საერისთავო, ქართველებისგან დაიცალა. შემდგომ ხანებშიც ირანის შაჰები ყველა მათთვის ხელსაყრელ მომენტში ცდილობდნენ მომთაბარე ტომების ჩამოსახლებას და მათ უკვე ქართლისა და კახეთის შიდა რაიონებში განსახლებას. ამით ახალ ,,სახანოებსა“ და ,,სასულთნოებს“ ქმნიდნენ.[17] მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ იმ ეტაპზე ჯერ არ იყო დასრულებული მათი მკვიდრად აქ დასახლება, რადგან ქართლის მეფეები და ფეოდალები მუდმივად აწიოკებდნენ და ანადგურებდნენ მათ სადგომებს.[18]

,,სახანოები“ და ,,სასულთნოები“ ქვემო ქართლში

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ელი მოსახლეობის სახანოები და სასულთნოები არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. აქ სახელწოდება ,,სახანო“ – უფრო პირობითია, ხშირად ,,სულთანი“ და ,,ხანიც“ ერთმანეთშია არეული (მაგ., წყაროებში, უმეტესად, ,,ყაზახის ხანი“ დასტურდება, მაგრამ ერთ-ერთ ქრონიკაში გვხდება ასეთი ჩანაწერი: ,,ყაზახის სულთანი“). უცხოენოვან წერილობით ძეგლებში მათ სახანოს და მითუმეტეს, სასულთნოს ნაკლებად უწოდებენ და მოიხსენიებიან, როგორც ,,ტომი“, ,,საზოგადოება“, ,,ხალხი“ და ა.შ. გარკვეულ უხერხულობას ქმნის ის ფაქტიც, რომ მეზობლად მართლაც არსებობდა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, ისეთი სახანოები, რომელნიც დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდნენ თავიანთი ბიუროკრატიული სამოხელეო აპარატიც გააჩნდათ (განჯის სახანო, ყარაბაღის სახანო, ერევნის სახანო

[16] იხ. დ. მუსხელიშვილი. აღჯაყალა-გაგის ციხე, გვ. 113-140; დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი, გვ. 109.

[17] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი, გვ. 109-110.

[18] იხ. დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი, გვ. 109.

და სხვ.). ამიტომ, გაურკვეველობის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ელის ტომების სახანოები და სასულთნოები ტექსტში ყველგან აღნიშნულია ბრჭყალებით (მაგ., ბორჩალოს ,,სახანო", ყაზახის ,,ხანი", ბაიდარის ,,სულთანი" და სხვ.).[19]

ირანის მესვეურები ქართლზე ყოველი ახალი თავდასხმის შემდეგ, მტკვრისპირა დაბლობზე მომთაბარე თურქმანულ ტომების ახალი ნაკადის დასახლებას ცდილობდნენ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის დაბლობში უკვე XVI საუკუნეში მომთაბარეობდნენ შამშადილოსა და ყაზახის ყიზილბაშური ტომები. ბოლოს კი, XVI საუკუნის შუა ხანებში, ირანის შაჰმა, თამაზ I-მა (1524-1576 წწ.) მოახერხა და პირველი ,,სახანო" დააარსა, რომელიც მომთაბარე მოსახლეობის მიუხედავად, უმეტესად ქართლის მეფის მორჩილებაში იმყოფებოდა, და ისტორიაში ყაზახის ,,სახანოს" სახელით არის ცნობილი.

ყაზახის ,,სახანოში" შედიოდა, ყიზილბაშური სახელმწიფოს ძირითადი ტომის ზულკადარის[20] განშტოება შამშადილოს (შამს ად დინლუ) ტომი. ყაზახს შამშადილო მალე გამოეყო, მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიასაც მათივე სახელი ეწოდა,[21] ასე გაჩნდა ,,შამშადილოს ,,სახანო".[22] ბერი ეგნატაშვილის ცნობით, 1556 წელს შაჰ თამაზმა ,,დასუა ყაზახის ადგილსა და შამშადილუსა ხანი თჳსი".[23] პირველ ეტაპზე, ქართლის მეფისადმი მორჩილებაზე მეტად ირანის ცენტრალური ხელისუფლების გავლენას განიცდიდნენ.

ქვემო ქართლში ეთნიკური და დემოგრაფიული სურათის შეცვლას განსაკუთრებული მონდომებით შაჰ აბას I (1587-1629 წწ.) ცდილობდა. მან, როგორც ცნობილია, XVII საუკუნის დამდეგს (1604 წ.) ქართლის მეფეს ჩამოართვა ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილი (დებედას ხეობა), სადაც მისდამი ლოიალურად განწყობილი მმართველი მელიქი დაადგინა. ამასთან, მიწისმფლობელობის შეცვლასაც ცდილობდა. შაჰმა ამ ყველაფრის პარალელურად

---

[19] იხ. ა. ბოშიშვილი. ქართლის სამეფოს სამხრეთის საზღვარი და სამხრეთის პროვინციები (XV-XVIII სს.). თბ. 2015, გვ. 73-74.

[20] XV საუკუნეში, შვიდი ძირითადი ყიზილბაშური ტომი (შამლუ, რუმლუ, უსტაჯლუ, თექლუ, ავშარი, ყაჯარი, ზულკადარი) არსებობდა, რომლებიც მალევე, სეფიანთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძველი გახდნენ (იხ. დ. კაციტაძე. ირანის ისტორია. III-XVIII საუკუნები. მეორე გამოცემა. თბ. 2009, გვ. 370-371).

[21] გურჯიზადე. თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 65, შენიშვნა 65.

[22] არის შემთხვევები, როდესაც შამშადილო ,,სასულთნოდაც" მოიხსენიება, მაგ. 1781 წლის საჩივრის წიგნი (იხ. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII. სასამართლო არზა-ოქმები. ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ. თბ. 1981, გვ. 509-510).

[23] ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 365, 507.

კიდევ ერთი მომთაბარე ტომი ბორჩალო ჩამოასახლა.[24] „...შემდგომად, ოდეს მიუხუნა (აღჯაყალა)[25] შააბაზ პე[26] მეფეს გიორგის,[27] მან გამოიყვანნა ელნი ბორჩალუ, და დასხნა აქა, და ამით ეწოდა ბორჩალუ".[28] მდ. დებედის ხეობაში, ლორეს მხარეში, თურქმანული ტომის ბორჩალუს ჩამოსახლების შემდეგ გაჩნდა ლორეს „სახანო". წყაროებში, ლორის „სახანო" და ბორჩალოს „სახანო" ხშირად ერთიდაიმავე მნიშვნელობით გამოიყენება. შაჰ აბასმა ამით ქართლს სამხრეთის კედელი მოარღვია და მის თავდაცვისუნარიანობას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა. ქართველები საუკუნეთა განმავლობაში თავგამოდებით იცავდნენ ამ მნიშვნელოვან ზღუდეს. შაჰ აბას I-მა კი „მშვიდობიანად" ჩაიგდო ხელში სტრატეგიულად დიდი მნიშვნელობის მხარე, ამის შემდეგ ქართლის დაცვის კედელი მის საწინააღმდეგო პლაცდარმად იქცა.[29] როგორც აკად. ნიკო ბერძენიშვილი წერდა, „ასეთი ღონისძიებით შაჰ აბასმა ლორე-დებედას საკითხი საბოლოოდ გადაჭრა, „ქართლის ალაყაფი მოარღვია და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ერთის დაკვრით დამბლა დასცა".[30]

იგივე პროცესები გაგრძელდა შაჰ აბას I-ის მემკვიდრის სეფი I-ის (1629-1642 წწ.) დროსაც. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ირანის შაჰმა თურქმანი ელები ქციის ქვემო წელზე დაასახლა და „დაუყენა ბაიდარის[31] სულთანი... ალავარის[32] ქვეით ნავღბადინამდე და ეკლესია ნაზარა-სოფლამდე. ხოლო ადგილსა ამას ეწოდებოდა წყალთაშუა და აწ ბაიდარი".[33]

---

[24] იხ. ა. ბოშიშვილი. სამელიქო ქვემო ქართლში (შაჰ აბასის მიერ ქვემო ქართლის მიწების მიტაცების მცდელობა). „საისტორიო კრებული". №2. მთ. რედ. მამუკა წურწუმია. თბ. 2012, გვ. 68; ა. ბოშიშვილი. მელიქის სახელო საქართველოში. თბ. 2013, გვ. 54-55;

[25] აღდგენა ეკუთვნის აკად დავით მუსხელიშვილს (იხ. დ. მუსხელიშვილი. აღჯაყალა-გაგის ციხე, გვ. 121).

[26] ვახუშტის მიხედვით, გიორგი X, ქართლის პე, ანუ 85-ე მეფე იყო.

[27] ქართლის მეფე გიორგი X (1600-1606 წწ.).

[28] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 307.

[29] ალ. ბოშიშვილი. ლორე – ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების სპეციალური გამოშვება „დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა". თბ. 2012, გვ. 98; ალ. ბოშიშვილი. მელიქის სახელო საქართველოში, გვ. 60.

[30] ნ. ბერძენიშვილი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. მიჯნაზე. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. IV. თბ. 1967, გვ. 127.

[31] ბაიდარის სახელწოდება ბაიდარლუს ტომის სახელიდან უნდა მომდინარეობდეს.

[32] ავლავარი შეცდომითაა გამოცემისას, უნდა იყოს ალავარი (იხ. იას. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. ნაწილი I და II. წყაროების გამოკვლევა და საგეოგრაფიო ცნობები. ტფ. 1935, გვ. 289; ასევე, ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი, XVIII ს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა. თბ. 1997).

[33] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 324; აკად. ნ. ბერძენიშვილმა ვახუშტის ამ ცნობაზე დაყრდნობით ივარაუდა, რომ „ეს ცვლილება ტოპონიმებისა შედარებით ახალი საქმეა

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ყარაიაზის ქვემოთ ცხოვრობდნენ დემურჩი ასანლუს ელები. ვახუშტის მიხედვით, „ყარაიის ჭალას ქუევით, მტკურის კიდეს, ესახლნენ ელნი დემურჩიასალნუ, სავსენი პირუტყჳთა, რამეთუ ზამთარ სითბოთი და ტყითა და ბალახითა მოკლებულ არს ადგილი ესე და პირუტყუნი მათნი დგებოდნენ გარეჯის მთასა ზედა, რამეთუ რაოდენნი წყარონი სდიან მთასა მას, მლაშენი არიან და პირუტყუთა შემრგონი“.

დემურჩი ასანლუს ხალხი XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში ნადირ შაჰმა (1736-1747 წწ.) მთლიანად ხორასანში გადაასახლა. „აჰყარა შანადირ და დასხნა ხორასანს“.[34] დემურჩი ასანლუს ტომის უკან დასაბრუნებლად ერეკლე II-მ (1744-1798 წწ.) გარკვეული სამუშაოები ჩაატარა. ერეკლე II 1758 წელს ბორჩალოს ტომის „ხანს“ ბამანს შეურიგდა, ბამანმა კი ქართლის სამეფოს საზღვრებს გარეთ გასული ელები დააბრუნა, მათ შორის იყო დემურჩი ასანლუს ელიც. „ქორონიკონსა უმე (1758 წ.) მოვიდა ბამანხან, ქართველს ბატონს შეურიგდა, მისცეს ბორჩალოს „ხანობა“, განჯას რაც ქართლის ელები იყო ყაზახ-ბორჩალო-დემურჩიასანლუსი, სულ მოიყვანა“.[35]

ქართლის საზღვრებში არსებული თურქმანული ელის „სახანოებისა“ და „სასულთნოების“ გარდა, არსებობდა კიდევ სხვა ტომებიც, რომელნიც ზოგი ზემოთ დასახელებული ტომებისგან, ზოგიც მოგვიანებით იყო ჩამოსული. ქართლის საზღვრებში, შემოსახლებული თურქმანულ-ყიზილბაშური ტომების გამრავლება და დანაწევრება მათ გადაადგილებასაც იწვევდა. ისინი სახლდებოდნენ არა მარტო სამხრეთის პროვინციებში, არამედ, შედარებით ჩრდილოეთითაც მოიწევდნენ და ქართული მოსახლეობისგან დაცლილ მხარეებს იკავებდნენ. XVII საუკუნის I მეოთხედიდან XVIII საუკუნის დასაწყისამდე „ამ ხალხს გადაულახავს პირველად მიჩენილი საზღვრები და დაუპყრია ახალი ადგილები. დასავლეთით ისინი გადასულან სომხითში და მისულან შულავერამდე, ერთ მათგანს (ნასიბლუ) დმანისის ხეობამდეც მიუღწევია. განსაკუთრებით ისინი გაწეულან ჩრდილოეთით ქციის ხეობაში და აღმოსავლეთისაკენ ალგეთში. უკანასკნელ შემთხვევაში გასულან მტკვრის გაღმაც, ე.ი. მოკიდებიან ლილოების სამხრეთის და ყარაიის მიწას, სადაც უფრო კარგი საძოვარი ადგილები და სარწყავი რუებიც იყო გაყვანილი“.[36]

და ტრადიცია (ვახუშტის დროს – ა. ბ.) ჯერ კიდევ ცოცხალია“ (იხ. ნ. ბერძენიშვილი. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990, გვ. 312).

[34] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 332.

[35] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა. თბ. 1981, გვ. 245.

[36] იას. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. ნაწილი I და II, გვ. 249.

ელების გადაადგილება XVIII საუკუნეშიც გრძელდებოდა, რის შედეგადაც ქვემო ქართლის სხვადასხვა მხარეში ბევრი მათი სოფელი ყალიბდებოდა. მათ შორის: დურღაი იმირასან, ქეშალუ[37] (ქოჩულო), სარაჯლუ.[38] ამათ გარდა, ყოფილან „ელის კაცნი“, რომელთაც სამეფო ფულადი გადასახადი ეკისრებოდათ. ამათი სახელები დღეს სოფლებს შემორჩენიათ, ესენია: მოლა ბაბაოღლი (მოლაოღლი, ფოლადაურის ხევში), მუღანლუ, ზარგარი და ქაფანქჩი (ბოლნის-ქაფანქჩი) და სხვ.[39] თბილისთან ახლოს შაჰ სეფიმ (1629-1642 წწ.) დაასახლა სეიდების ტომიც. მოგვიანებით, მათი სახელიდან ეწოდებოდა თბილისის ერთ-ერთ უბანს სეიდაბადი. „აქა დასხნა შასეფიმ სეიდნი, მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბადს“. ამ უბანში „ყოფილან ეკლესიანი დიდშენნი, არამედ აწ შემუსრვილნი არიან“.[40] სეიდაბადი, ადრე სოფელი, თბილისი იყო. ვახუშტიც თბილისის გეგმაზე აღნიშნავს ორი სახელით, „სეიდაბადი ან ტფილისი“.[41]

ბორჩალოს, შამშადილოს თუ სხვა თურქმანული ტომის საცხოვრისს ქვემო ქართლში მეფის დომენი წარმოადგენდა. ეს იყო ძირითადად ყაზახი, ბორჩალო, შამშადილო, ბაიდარი (მდ. ქციასა და მდ. მტკვარს შორის ტერიტორია – „წყალთაშუა“), ასევე, ყაიყულში მათ სეზონურ სადგომებად ჩანს ყაზანჩი და სხვა სოფლები. მომთაბარეების გადადგილების პარალელურად ქვემო ქართლში შემორჩენილი იყო ადგილობრივთა სოფლებიც, რომლებიც თანდათან დაიცალა. როგორც ჩანს, ქართველები უფრო ჩრდილოეთით გადასახლდნენ.[42] ქვემო ქართლში მომთაბარეთა დასახლება ქართული ფეოდალური მეურნეობის მოშლას უწყობდა ხელს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ქართლისგან ამ მხარეების საბოლოოდ გაუცხოვებას ითვალისწინებდა.

დაუსრულებელი ბრძოლების შედეგად ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არა მარტო მოსახლეობა და ადგილობრივი ქართული მეურნეობა ნადგურდებოდა,

---

[37] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი, გვ. 110.

[38] იხ. იას. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. ნაწილი I და II, გვ. 247-248.

[39] ქართული სამართლის ძეგლები. ხელმწიფის კარის გარიგება; დასტურლამალი. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ივანე სურგულაძემ. თბ. 1970, გვ. 562-563.

[40] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 334.

[41] სეიდაბადი დღევანდელი აბანოთუბნისა და მიმდებარე ტერიტორიაა, იქამდე, სადაც დღეს 300 არაგველის ობელისკი დგას (იხ. თ. კვირკველია. ძველთბილისური დასახელებანი. თბ. 1985, გვ. 79; თ. ბერიძე. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია. თბ. 1977, გვ. 73-74).

[42] იხ. ა. ბოშიშვილი. ქართლის სამეფოს სამხრეთის საზღვარი და სამხრეთის პროვინციები (XV-XVIII სს.), გვ. 73.

არამედ იცვლებოდა გეოგრაფიული სახელწოდებებიც. განადგურებული მოსახლეობის ადგილას მოსული ახალი თურქმანული ელი ძველ ტოპონიმიას არ იცნობდა და ახალ სახელწოდებებს ამკვიდრებდა. ამის შედეგად ბევრი ნასოფლარის სახელწოდება მივიწყებას მიეცა. XVIII საუკუნეში ქვემო ქართლის სამხრეთი პროვინციები ადგილობრივი მოსახლეობისგან თითქმის დაცლილი იყო.[43]

„სახანოებისა" და „სასულთნოების" დამოკიდებულება ქართლის მეფეებთან

ქართლის ტერიტორიაზე XVI-XVIII საუკუნეებში არსებობდა რამდენიმე „სახანო" და „სასულთნო": შამშადილოს, ყაზახის და ბორჩალოს „სახანოები", ბაიდარისა და დემურჩი ასანლუს „სასულთნოები". ისინი ქართლის მეფის (შამშადილოს შემთხვევაში, ხან კახეთის) მფლობელობაში იყო. ცნობილია, რომ, რადგან ისინი მესაქონლეობით იყვნენ დაკავებული, ამიტომ სეზონურად იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილებს. მათ ჰყავდათ თავისი მმართველი („ხანი", „სულთანი" და სხვ.). მაგრამ, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ქვეყნის ტერიტორიაზე სეზონურად გადაადგილებას და მათგან სახელმწიფო გადასახადების აკრეფას ქართლის მეფის მიერ დანიშნული მოურავები და სხვა მოხელეები უზრუნველყოფდნენ და აკონტროლებდნენ.

მაგ., 1703 წელს ქვემო ქართლის ელის მოსახლეობის ჩობანბეგად[44] ვახტანგ V შაჰნავაზმა კონსტანტინე მუხრანბატონი დანიშნა. „...შეგიწყალეთ და გიბოძეთ... ჩვენის ელის ჩობანბეგობა რარიგადაც მისი წესია და სარგო გარიგებული ყოფილიყოს ამ კუალად თქუენთვინ წყალობა გვიქნია გქონდესთ და გიბედნიეროსთ...".[45] ვახტანგის შემდეგ, მოგვიანებით, ეს ბრძანება იესემ განაახლა. „ჩვენ მეფეთ-მეფემან პატრონმან იესემ ეს კურთხეულის მამის ჩვენის ბძანება ჩვენც ასრე დაგვიმტკიცებია".[46]

ირანის შაჰების დემოგრაფიული პოლიტიკა, საქართველოში ეთნიკური სურათის მთლიან ცვლილებას ითვალისწინებდა. XV საუკუნიდან დაწყებული პროცესი, საქართველოში თურქმანული ელის დასახლება, ძირითადად, საქართველოს გადაშენებისკენ იყო მიმართული. დამპყრობთა მიზანი არა მარტო მოსახლეობის, არამედ ადგილობრივი მიწისმფლობელობის წესის შეცვლაც იყო. თუმცა ქართველმა მეფეებმა მოახერხეს და ჩამოსახლებული უცხოტო-

[43] ქვემო ქართლის დაკარგული ტოპონიმების შესახებ, უფრო ვრცლად, იხ. კ. ხარაძე. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ქვემო ქართლი. თბ. 1991, გვ. 26; მ. კემულარია. ქვემო ქართლის ტოპონიმია (ბოლნისის, დმანისის, მარნეულის რაიონები). თბ. 2013 და სხვ.

[44] მწყემსების უფროსი, ასევე, გადასახადი ცხვრის ძოვებისათვის (დასტურლამალი. გვ. 837).

[45] კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). Hd-9693.

[46] ხეც. Hd-9693.

მელები სახელმწიფოს სამსახურში ჩააყენეს. და მათ მიერ შექმნილი დოვლათი სახელმწიფო შემოსავლებში აღირიცხებოდა.

ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი „დასტურლამალის" მიხედვით, სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრულია ელის მოსახლეობის ვალდებულებები და გადასახადები.

დასტურლამალის მიხედვით დაკანონებული იყო, რომ ქვეყანაში აღწერა უნდა ჩატარებულიყო შვიდ წელიწადში ერთხელ.[47] მაგრამ თურქმანული ტომების მდგომარეობა განსხვავებული იყო. ელი, დასტურლამალის მიხედვით, სამ წელიწადში ერთხელ აღიწერებოდა. განსაზღვრული იყო აღწერის გადასახადიც. კომლზე სამი აბაზი და აღამათის[48] ორი შაური.[49]

ამის გარდა, ისინი იხდიდნენ მათთვის დადგენილ გადასახადებს, მაგ., „ინდოს ლაწჩარი", რომელიც წარმოადგენდა კომლობრივ გადასახადს, და განსაზღვრული იყო ხუთი აბაზით; „ქოდავი" – ერთი შაური; „სანავროზო" კომლზე აბაზი; „სამასპინძლო" და სხვ. სამ წელიწადში ერთხელ, ქართველი მეფის მიერ დადგენილი ჩობანბეგი დაითვლიდა მათ ცხვარს. ცალ-ცალკე აღნუსხავდა და ამის საფასურს, ას ცხვარზე, რვა შაურს აიღებდა.[50] „ყენინ ფეშქაში", რომელსაც ქართლის მეფე ირანში აგზავნიდა, განსაზღვრული იყო, რომ ელები ამ დროს ასი თუმანს მიართმევდნენ მეფეს.[51]

ასეთი ვითარება იყო მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში. 1723-1735 წლებში, ოსმალობის დროს ეს ხალხი თბილისის ვილაიეთში არიან გაერთიანებული.[52] ყიზილბაშობის დროს კი მათზე ძალაუფლება ქართლის მეფეს დაუბრუნდა. მაგ., 1749 წელს, როდესაც თეიმურაზ II ირანიდან დაბრუნდა, თან ჩამოიტანა სიგელი, რომლის ძალითაც მას „ყაზახ-ბორჩალო" კვლავ უნდა დამორჩილებოდა. „როგორც საქართველო,[53] ეგრე ყაზახ-ბორჩალუ იმსახურეო". მართლაც დაბრუნებულ თეიმურაზს, როგორც პაპუნა ორბელიანი აღწერს, „მოეგებნენ ყაზახისა და ბორჩალუს სულთნები, თავისი ჯარებით დახვდნენ ყმურად და მიართვეს მისართმევი".[54] ამის შემდეგ თეიმურაზ II-ის (1744-

[47] დასტურლამალი, გვ. 515-517; ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. თბ. 2010, გვ. 119.
[48] აყამათ – ჯდომა, ყოფნა დროებით (იხ. დასტურლამალი. გვ. 780).
[49] დასტურლამალი, გვ. 575-576.
[50] დასტურლამალი, გვ. 553-575
[51] დასტურლამალი, გვ. 573.
[52] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ. წ. II. თბ. 2010.
[53] აქ იგულისხმება ქართლი.
[54] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 156.

1762 წწ.) ტიტული, 1749 წელს გაცემულ შეწირულობის დოკუმენტში ასეა ჩამოყალიბებული „...ქართლისა და ყაზახ-ბორჩალოს ფლობით მპყრობელ-მქონებელმა, მეფეთ-მეფემან პატრონმან თეიმურაზ".[55] ასევეა, 1751 წლის დოკუმენტზე: „ქ. ჩვენ ღვთივ ცხებით გვირგვინოსანი, ქართლისა და ყაზახ-ბორჩალოს ფლობით მპყრობელ მქონებელი, პატრონი მეფე თეიმურაზ".[56]

საერთო ჯამში, XVIII საუკუნის ბოლოს სახელმწიფო შემოსავლები ელით დასახლებული მხარეებიდან 35000 მანეთს შეადგენდა (ქვეყნის მთლიანი ბიუჯეტი 400 ათასი მანეთი იყო), ამას ემატება იქ მცხოვრები სამეფო ყმებიდან, იქ არსებული საბაჟოებიდან, ხელოსნებიდან, ჯარიმების შემოსავლებიდან აკრეფილი შემოსავლები.[57]

სწორედ ამ მოვლენებს უკავშირდება ის, რომ XVIII საუკუნეში ერეკლე II-მ გაუკაცრიელებული მიწების შევსება იმ დროისთვის სამეფო კარისთვის უკვე სანდო, ეთნიკურად არაქართველების მეშვეობით სცადა. XVIII საუკუნის შუა წლებში ერეკლე II-მ მულანის ველიდან სპარსელებისაგან შევიწროებული 250 თურქმანული ოჯახი გადმოასახლა, მათგან შეიქმნა სოფლები: მუღანლო, ყაფანახჩი და ყიზილ-ჰაჯილი.[58] ქართლ-კახეთის მეფე მუდმივად აკვირდებოდა ჩამოსულებს და მათ ქვეყნიდან წასვლის საშუალებასაც არ აძლევდა. 1755 წელს ქართველმა მეფემ უკან დააბრუნა ერევნის სახანოსა და ყარა სუზე გადასახლებული მანამდე ქვემო ქართლში მცხოვრები სხვადასხვა ტომი.[59] 1756 წელს ახალციხეში საიალაღოდ მდგომმა ელებმა ირანში წასვლა გადაწყვიტეს. მათ ყაზახის მომთაბარეებმაც აუბეს მხარი. ამ გადაწყვეტილებაში მათ ისიც დაეხმარა, რომ ლეკები მათ სადგომებს მუდმივად ესხმოდნენ, სტაცებდნენ პირუტყვს და ხალხს. პაპუნა ორბელიანის სიტყვებით – „საქართველოს ელები ერთად, რომელნი იდგნენ ოსმალოს ქვეყანასა, დადვეს პირი და ფიცი, „ნუღარ მივალთ საქართველოში, ნუღარ ვემსახურებით ქართველ ბატონსაო, წავიდეთ ერანის ქვეყანაშიო", აიყარა ყაზახის ხანიც...", თე-

[55] გარეჯის ისტორიული დოკუმენტები. XIII-XVIII სს. ნაკვეთი I. გამოსაცემად მოამზადეს დოდო ლომიძემ, მანანა ჭუმბურიძემ და ზაზა სხირტლაძემ, ზეინაბ გურჯიძის და ლევან ბუკიას მონაწილეობით. თბ. 2008, გვ. 373; იხ. ასევე, გვ. 381 (1750 წ.); გვ. 392 (1753 წ.).

[56] საქართველოს სიძველენი. ტ. II. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ. 1909, გვ. 546.

[57] იხ. ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 112.

[58] ამ სახელწოდების სოფლები დღეს მარნეულის მუნიციპალიტეტში მდებარეობს.

[59] ლ. ჯანიაშვილი. აზერბაიჯანელები. წიგნში.: „ეთნოსები საქართველოში". საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბ. 2008, გვ. 113.

იმურაზ მეფემ სასწრაფო ზომები მიიღო, მათ ყაიყულში დაეწია და დემურჩი ასანლუსა და ბაიდარის „სასულთნოების“ ქეთხუდებისგან ერთგულების პირობა აიღო, უკან დააბრუნა და განდგომილი ელების მეთაურებიდან მძევლები აიყვანა. ასევე, ახალციხის ფაშისთვის მიყენებული ზარალიც ანაზღაურებინა.[60] 1760 წელს ფანა ხანის დამარცხების შემდეგ ერეკლემ ყარაბაღსა და ნახიჭევანში გადასახლებულთა დასაბრუნებლად ჯარი გააგზავნა, ააყრევინა ისინი და უკან დააბრუნა. მოგვიანებით ქვემო ქართლის ელების ერთი ნაწილი, თარაქამები, ალი-ბეგმა გადაიბირა ახალციხის საფაშოში დასასახლებლად.[61]

ამ დროიდან უკვე ხშირი იყო მესხეთში მომთაბარე თურქმანი ელის გადასვლა და იქ დადგომა. თურქმანული ელები ხშირად გადადიოდნენ ახალციხეში და იქვე სახლდებოდნენ. მესხეთში ადგილობრივი ფაშა მათ მესაქონლეობისთვის და საგადასახადო საკითხებში ხელსაყრელ პირობებს სთავაზობდა. ელის ნაწილი რჩებოდა, ხოლო ზოგიერთის უკან დაბრუნებაზე მეფეს უამრავი ბრძანების, თხოვნისა და ძალისხმევის გამოყენება უხდებოდა. მაგ., 1799 წელს გიორგი XII ყარსში გადასულ ელების ხელმძღვანელობას, მაჰმად აღას და სოლეიმან აღას, უბრძანებს, „რომ ისინი დაბრუნდნენ საქართველოში და არაფრის ჯავრი არ ჰქონდეთ“.[62]

გიორგი XII-მ 1800 წელს ბრძანება გამოსცა. მეფე ახალციხეში გადასულ სარაჯლუს ტომის ქეთხუდებს უბრძანებდა, თავიანთ ადრინდელ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებულიყვნენ.[63] სარაჯლუს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ტომის დაბრუნებაზე გიორგი XII-ის გამოცემული რამდენიმე ბრძანებაა შემორჩენილი. მეფემ ამ საკითხის უზრუნველყოფა თავის მოხელეს ალექსანდრე ჭავჭავაძეს დაავალა, „შეუგროვოს ჯემშიდს[64] სარაჯლუ და ჩამოიყვანოს მეფის სახასო ტერიტორიაზე და ჩააბაროს ჯემშიდს“.[65] ასევე,

---

[60] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 241-242; ამ ფაქტს ომან ხერხეულიძე 1755 წლის ოქტომბრით ათარიღებს. იხ. ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა. თბ. 1989, გვ. 45.

[61] ლ. ჯანიაშვილი. აზერბაიჯანელები, გვ. 113.

[62] აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული საბუთები. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და კომენტარებით გამოსაცემად მოამზადა ნუგზარ დუნდუამ. თბ. 2010, გვ. 18-19.

[63] აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული საბუთები, გვ. 19.

[64] იგულისხმება ყარაბაღიდან დევნილი და ქართლ-კახეთს შეფარებული მელიქი ჯემშიდი, რომელსაც უნდა დამორჩილებოდა ეს ტომი.

[65] აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული საბუთები, გვ. 59.

კიდევ ერთ წერილში, რომელიც სარაჯლუს ქეთხუდას ისმაილ აღას მისამართით არის დაწერილი „ისმაილ-აღას ებრძანება, რომ წამოიყვანოს სარაჯლუ იეჯადადის სამასი კომლი და დაასახლოს თავის ძველ (მკვიდრ) ყიშლაღში, ამიერიდან ამ ტომთა და დედოფლის მამულებში მოსახლე ხალხთან სხვას არავის არ ექნება ხელი“.[66]

ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII ელების უკან დაბრუნების საქმეში ოსმალეთის სულთანსაც სთხოვდა დახმარებას. ფორმალურად სულთანს უფლება არ ჰქონდა ქართველი მეფის კანონიერი მოთხოვნა არ დაეკმაყოფილებინა, ამიტომ მან თარაქამები ქართლის საზღვრის გაყოლებით დაასახლა.[67]

როგორც ჩანს, ელების სასულიერო პირსაც ქართველი მეფე ამტკიცებდა. ჩვენამდე მოღწეულია გიორგი XII-ის მიერ გაცემული ოქმი, რომელიც ბორჩალოს შეიხოლესლამის[68] თანამდებობას მოლა მოჰამედს აძლევს. ბორჩალოს ვექილსაც ავალებს დაემორჩილონ ამ ბრძანებას.

„გამოვიდა მაღალი ბრძანებულება მასზე, რომ... არღუნ-ხანმა, ბორჩალოს ვექილმა, მოხსენებული ადგილების ყველა რაიათმა, დანარჩენმა რიშსეფიდებმა და ქედხოდებმა, უწყოდნენ, რომ ამჟამად ბორჩალოს შეიხოლესლამის თანამდებობა მაღალადგილოვან, ღვთისმოსავ მოლა მოჰამედისათვის მიგვიცია და წყალობა გვიბრძანებია, რათა სამართლიანად და ერთგულად, შარიათის ღვთაებრივი კანონის შესაბამისად იმოქმედოს. დადგენილია, რომ ბორჩალოს მთელმა მოსახლეობამ მოხსენებული თავის ერთადერთ შეიხოლესლამად აღიაროს, მის ნათქვამს გაუგონონ და მის საბოლოო განაჩენს დაემორჩილონ...“.[69]

XV საუკუნიდან დაწყებული პროცესი, საქართველოში თურქმანული ელის დასახლება, ძირითადად, საქართველოს გადაშენებისკენ იყო მიმართული. დამპყრობთა მიზანი არა მარტო მოსახლეობის, არამედ ადგილობრივი მიწისმფლობელობის შეცვლაც იყო. მაგრამ ქართველმა მეფეებმა მოახერხეს და ჩამოსახლებულები სახელმწიფოს სამსახურში ჩააყენეს. მათმა არაერთმა წარმომადგენელმა თავი გამოიჩინა ქვეყნისთვის ბრძოლისა და აღმშენებლობის საქმეში. ირანის შაჰების პოლიტიკა ირანისთვის ბოლომდე წარმატებული ვერ აღმოჩნდა, მათთვის სასურველ საბოლოო შედეგს ვერ მიაღწიეს.

---

[66] აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული საბუთები, გვ. 20.

[67] ლ. ჯანიაშვილი. აზერბაიჯანელები, გვ. 113.

[68] შეიხ ულ-ისლამი – მომდინარეობს არაბულიდან, იგი მუსლიმური სასულიერო იერარქიის, ერთ-ერთ უმაღლესი, თანამდებობის პირია (იხ. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში. წ. I. ნაკვ. 3, გამოსცა ვლ. ფუთურიძემ. თბ. 1965, გვ. 108).

[69] აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული საბუთები, გვ. 41.

Alexander Boshishvili
Assistant Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

DEMOGRAPHIC POLICY OF IRANIAN SHAHS IN GEORGIA
(The Migration of The Turkic Nomadic Tribes in Kvemo Kartli)*

Summary

The migration of Turkoman tribes in Kvemo Kartli started in the second half of 15th century, during the military campaigns of Aq Qoyunlu rulers Uzun Hasan (1453-1478) and his son, Sultan Yaqub (1478-1490). They failed to establish themselves in Georgia as king of Kartli Constantine II (1478-1505) expelled them from the borders of his kingdom. According to Vakhushti Bagrationi, the king ordered to Baratashvili family and others to attack Turkomans settled on Georgian soil and they attacked newcomers wiping them out or capturing them entirely.

The main goal of resettlement of Turkomans in the kingdom of Kartli by the rulers of Iran was to voilate the southern frontier of Kartli. In the 16th century pressure on the Georgians was increased by the rulers of Safavid Iran. In 1556 shah Tahmasp I (1524-1576) established the first "khanate" in Qazakh. On the basis of the latter, Shamshadilo "Khanate" was created. In 1604, with the help of shah Abbas I (1587-1629), Borchaly tribe was resettled in Kartli.

Shamshadilo, Qazakh, Borchalo "khanates" and Baidari and Demurchi-Asanlu – "sultanates" – existed within territory of Kartli in 16th-18th centuries. They were under the subordination of the kings of Kartli. Their everyday occupation was nomadic pastoralism, hence, they tend to change their living places seasonaly. They had their own ruler ("khan", "sultan" etc.). According to the documents, their seasonal movement and tax collection was implemented by *mouravi* and other officials appointed by the king of Kartli. The Georgian kings achieved much success in bringing those foreign migrants into the service of the local government. Their income was recorded in the royal treasury and they paid different types of taxes, also they were obliged to serve in military service of the Georgian kings.

* This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [YS17_45].

The Georgian kings and their officials were successful in attempt to impose effective control over those foreign newcomers, who were resettled in Kartli to oppose local authorities, hence Iranian shahs did not achieve their major political goal. Despite the existing differences in religion and life, Georgian kings managed to integrate them into economic, military, and political life of the country. Many of them distinguished themselves and took active part in defending and building Georgia.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIV
თბილისი. 2018

თეა ქარჩავა
ასისტენტ-პროფესორი, თსუ

აღმოსავლეთში ინგლისელთა სავაჭრო და დიპლომატიური მიზნებისა და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისთვის (ენტონი ჯენკინსონის რელაციონის მიხედვით)

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების თანადროულად, რამაც შემდგომში ძირეულად შეცვალა ევროპულ სახელმწიფოთა სოციალურ-ეკონომიკური და, შეიძლება ითქვას, მენტალური განვითარება, არც სხვა კატაკლიზმები აკლდა ევროპის კონტინენტს. ბიზანტიის იმპერიის დამხობამ და ამ ტერიტორიაზე ოსმალეთის იმპერიის დამკვიდრებამ, რომელიც მე-16 საუკუნეში უკვე სამ კონტინენტზე გადაიჭიმა, ადრეული ახალი პერიოდის ევროპისთვის ერთ-ერთი პრობლემატური საკითხი დაყენა დღის წესრიგში: ამ ახალ რეალობასთან ან კონფრონტაცია, ან კიდევ თანამშრომლობა. ამავე დროს, გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა ძალიან გაამძაფრა ეკონომიკური ინტერესი, რამაც ევროპულ ქვეყნებში სხვადასხვა მიმართულებით (აზია იქნებოდა, აფრიკა თუ ამერიკის კონტინენტი) სავაჭრო-სამომსვლო გზებისა და ბაზრების, მანამდე არნახული, მოპოვების სურვილი გამოიწვია.

კონფრონტაციის კონტექსტში ნიშანდობლივია ანტიოსმალური კოალიციების შექმნის მცდელობები, რომლის დროსაც დასავლეთს ყველაზე რეალურ პარტნიორად სეფიანთა სპარსეთი ესახებოდა, როგორც ოსმალეთის უმთავრესი მოწინააღმდეგე აღმოსავლეთში. თუმცა, ანტიოსმალურმა კოალიციებმა ვერ უზრუნველყვეს დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნის გაერთიანება და ერთ პოზიციაზე დადგომა. რელიგიური განსხვავებულობა და ოსმალთაგან მომდინარე სამხედრო საფრთხე, რაც არაერთგზის დაადასტურა ბალკანეთსა და ცენტრალურ ევროპაში „პორტას“[1] წარმატებებმა, არ აღმოჩნდა საკმარი-

[1] ბრწყინვალე პოსტა – ოსმალეთის იმპერიის ცენტრალური მთავრობის, ზოგადად ოსმალეთის მმართველობითი სისტემის აღმნიშვნელი ტერმინი დიპლომატიაში

სი დულაბი დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, რათა ერთიანი ფრონტით ებრძოლათ თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ. თუ ჰაბსბურგები ამ პერიოდში მუდმივად დაპირისპირებულნი იყვნენ ოსმალებთან, საფრანგეთი საერთოდ მისი მოკავშირე გახდა; ლევანტში საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მერყევი პოზიცია ჰქონდა ვენეციას, ხოლო ინგლისელებს, რომელთაც, ამ ეტაპზე, უპირატესად, ეკონომიკური მოტივები ამოძრავებდათ, ახალი სავაჭრო არეალების ხელში ჩაგდება სურდათ ხმელთაშუაზღვისპირეთში და, ზოგადად, აღმოსავლეთში, და ამ მიმართულებით მცდელობა არ დაუკლიათ.[2] ამისთვის მათ არა მხოლოდ ოსმალეთის კონტროლქვეშ მდებარე სივრცეში, არამედ მახლობელ აღმოსავლეთშიც მოახერხეს შეღწევა და საინტერესო ცნობებიც დატოვეს. წინამდებარე სტატიის მიზანია ევროპა-აღმოსავლეთის ურთიერთობის რეალიების ფონზე, ინგლისელთა სპარსეთსა და სამხრეთ კავკასიაში ვიზიტების ეკონომიკური და დიპლომატიური მოტივების ანალიზი. ამის საფუძველზე შესაძლებლობა გვეძლევა საქართველოს ისტორიაში საკამათო საკითხების ირგვლივ საკუთარი მოკრძალებული მოსაზრებები გამოვთქვათ.

თავის დროზე სებასტიან კაბოტი უმცირესობაში იყო, ვინც ჩრდილოაღმოსავლეთ გასასვლელების მნიშვნელობას ანიჭებდა უპირატესობას აზიაში შესაღწევად, მაგრამ სწორედაც რომ ჩრდილოეთის გზებით მოხდა ინგლისელთა წინსვლა აზიისაკენ. სანამ ინგლისური ოსტ-ინდოეთის კომპანია ინდოეთში პორტუგალიელებთან დაპირისპირებასა და იქ პოზიციების დაკავებას შეძლებდა, ასევე, მომავალში ინგლისის იმპერიის ეკონომიკური ძლევამოსილების გარანტადაც იქცეოდა, ინგლისელთა „მოსკოვიის კომპანიის“ წარმომადგენლებმა 1558-1581 წლებში აღმოსავლეთშინ 7 ვიზიტი განახორციელეს. მათგან ერთი – შუა აზიაში და ექვსი კი – სეფიანთა სპარსეთში შედგა. თითოეული ვიზიტი ანგარიშების სახით წარედგინა საკუთრივ კომპანიასა და სამეფო კარს და შესულია ჰაკლუიტის ცნობილ ნაწარმოებში – "The Principal Navigations, Voyages Traffiques and Discoveries of the English Nation" (პირველად გამოიცა 1598-1600 წწ.).[3] საინტერესო ცნობები სეფიანთა სპარსეთში მოგზაურობის შესახებ დატოვა არა მარტო ენტონი ჯენკინსონმა (პი-

[2] Dorothy M. Vaughan. Europe and the Turk: A pattern of Alliances, 1350-1700. Liverpool. 1954, გვ. 205-2015; იხ. ასევე: თ. ქარჩავა, თ. წითლანაძე. ლევანტური კომპანიის შექმნა და ტიუდორთა დიპლომატიის შედეგები XVI საუკუნის ოსმალთა იმპერიაში. საქართველოს უნივერსიტეტის III ყოველწლიური ეროვნული კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. თბ. 2011, გვ. 396-409.

[3] R. Hakluyt. The Principle Navigations, Voyages, Traffiques and Discoveries of the English Nation (1598-1600) – http:/www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A1999.03.0070%3Anarrative%3D121.

ონერმა ამ მიმართულებით, სწორედ მის სახელს უკავშირდება ბუხარასა (1558-1559წწ.) და სპარსეთში (1561-1562 წწ.) მოგზაურობა), არამედ მეორე მოგზაურობის (1563-1564 წწ.) მონაწილე რიჩარდ ჩინიმ. ასევე, მესამე (1575-1567 წწ.) და მეოთხე (1568-1569 წწ.) მოგზაურობის მონაწილე არტურ ედვარდსმა, მეხუთე (1569-1574 წწ.) ჯეფრი ბეკეტმა და ბოლო, მეექვსე მოგზაურობის (1579-1581 წწ.) მონაწილე ქრისტოფერ ბორომ. როგორც ვხედავთ, ინგლისელები საოცარი ინტენსივობითა და შტურმით შეეცადნენ ამ მიმართულებით გზის გაკვალვას და ცნობებიც საინტერესო დატოვეს როგორც სეფიანთა სპარსეთზე, ისევე ამ სახელმწიფოს გავლენის ქვეშ მყოფ სამხრეთ კავკასიის ხალხებზე; ამ უკანასკნელთა სპარსეთსა და ოსმალეთთან, ასევე მოსკოვის სახელმწიფოსთან ურთიერთობაზე, შიდა ეკონომიკურსა და პოლიტიკურ მდგომარეობაზე და სხვა. თუმცა, გამომდინარე ქართული სახელმწიფოების იმ კონკრეტული პოლიტიკური ვითარებიდან და იმ ინფორმაციიდან, რაც ენტონი ჯენკინსონის ცნობებშია (საუბარი გვაქვს მის სრულ რელაციონზე, რომელიც ვთარგმნეთ და არა ფრაგმენტებზე, როგორც იყო ხოლმე აქამდე წარმოდგენილი ქართველი მკვლევრების ნაშრომებში) ჩვენი გადასახედიდან ყურადღებას, პირველ რიგში, სპარსეთსა და სამხრეთ კავკასიაში განხორციელებული მოგზაურობის სწორედ მისეული ჩანაწერები იპყრობს.

საკმათო არაა, რომ XVI საუკუნე საქართველოსთვის საკმაოდ მძიმე პერიოდია, როცა ნაწილებად დაშლილი ქვეყანა, თურქ-ოსმალებისა და სეფიანთა გავლენების არეალში მოქცეული და მოხარკედ ქცეული, თვითგადარჩენისთვის იბრძოდა. შესაბამისად, ამ მხრივ თანადროული ქართული წყაროები არც თუ ისე მრავალია,[4] ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჩვენთვის ყველა ის ცნობა იძენს, რომელიც ჩვენი ქვეყნის წარსულში მომხდარ მოვლენების რეკონსტრუქციისთვის და სურათის ფართო ჭრილში დანახვისთვის

[4] ამ პერიოდის კვლევისთვის ქართული საისტორიო წყაროებიდან ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ისტორიას" (იხ. ს. კაკაბაძე. ფარსადან გორგიჯანიძის საქართველოს ცხოვრება. საისტორიო მოამბე. ტ II. თბ. 1925); ბერი ეგნატაშვილის რედაქციით დამუშავებულ „ახალი ქართლის ცხოვრებას" (ახალი ქართლის ცხოვრება. ტექსტი ძველი ქართულიდან თანამედროვე ქართულზე გადმოიტანა და კომენტარები დაურთო გ. მაჭარაშვილმა. თბ. 2012), ვახუშტის საქართველოს სამეფოს აღწერას (ქართლის ცხოვრება. ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს სამეფოს აღწერა, ნაწ. 2. ტექსტების ძველი ქართულიდან ახალ ქართულზე გადმოიტანეს და კომენტარები დაურთეს: მაია რაფავამ, თამარ მარგიანმა. ახალი ივერონი. 2012) და მესხური დავითნის ქრონიკას (ქ. შარაშიძე. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.). თბ. 1961) თუ დავასახელებთ. ამათგან, მიუხედავად იმისა, რომ შეიცავს საკმაოდ საინტერესო ცნობებს ოთხივე, ჩვენთვის საინტერესო, საკუთრივ XVI საუკუნეში მხოლოდ ეს უკანასკნელია შექმნილი, ხოლო ბერი ეგნატაშვილიც, ფარსადან გორგიჯანიძეცა და ვახუშტიც რა ქართულ საისტორიო მასალას იყენებდნენ, საკუთარი თხზულებების წერისას, ჩვენთვის უცნობია.

გამოგვადგება. თუკი შევეცდებით ენტონი ჯენსკინსონის მიერ ქართველების ფრაგმენტულად მოხსენიების ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირებას, მთელი მისი რეპორტის ერთიან კონტექსტში გააზრებას და ასევე, მათ შესაბამისი ეპოქის ამსახველ სპარსულ-ოსმალურ და ქართულ წყაროებთან შეჯერებას, ეს მეტ სიცხადეს შეიტანს XVI საუკუნის ქართული პოლიტიკურ-ეკონომიკური და დიპლომატიური პრობლემების გაშუქებაში და რეპორტში მოხსენიებული პიროვნებების (ქართველების) იდენტიფიცირებასთან დაკავშირებულ კამათში. ასევე, გარკვეული ვარაუდების გამოთქმის საშუალებასაც მოგვცემს, რაც შეიძლება საკითხის ახლებურად გადააზრების საფუძველი გახდეს. ქვემოთ შევეცდებით, ეტაპობრივად გავშალოთ ეს საკითხები.

***

არავისთვის საკამათო არაა, რომ შორეულ აღმოსავლეთთან პირდაპირი საზღვაო კავშირის გაჩენამ პირველ რიგში სწორედ ვენეციის სავაჭრო ძლიერებას შეურყია საფუძველი (არა ერთბაშად, რა თქმა უნდა, არამედ ეტაპობრივად), რომელიც ემყარებოდა სახმელეთო-საქარავნო გზებით ლევანტამდე მოტანილი სანელებლებით ვაჭრობაზე მონოპოლიას. დაიწყო ზრდა არა მხოლოდ ახალმა სავაჭრო ცენტრებმა, სადაც ახლებურ სავაჭრო ფორმებს ვაწყდებით (ანტვერპენის სავაჭრო ბირჟა), არამედ პორტუგალიელებისა და ესპანელების კვალდაკვალ სხვა ევროპული სახელმწიფოებიც აქტიურად ჩაერთვნენ ახალი კონტინენტებისა და ახალი სავაჭრო-სამიმოსვლო გზების და ნედლეულის წყაროებისა თუ ბაზრების ძიებაში. ინგლისი, რომელსაც XV საუკუნის მიწურულს ძალზე მწირი აქტივობები ჰქონდა ამ მიმართულებით და მხოლოდ ჯონ კაბოტის (ჯოვანი კაბოტო) ნიუფაუნდლენდთან მოგზაურობით თუ მოიწონებდა თავს, ხოლო ადგილობრივ მაუდის წარმოების საჭიროებებს ჯერ კიდევ ფლანდრიაში გატანილი მატყლით აკმაყოფილებდა, უკვე XVI საუკუნიდან ნახტომისებური ნაბიჯები გადადგა. ინგლისელმა ვაჭრებმა, ტიუდორი მონარქების მხარდაჭერით, საბოლოოდ დაამარცხეს და წელში გატეხეს ჰანზის სავაჭრო ძლიერება[5] და სხვადასხვა ქვეყანასთან პირდაპირ სავაჭრო ურთიერთობებში ჩაებნენ. ამასთანავე, მონარქის ხელდასხმით, მათი ინტერესების გამტარებელი ან მათ მიერ დაქირავებული პირები, სანამ არ დაეუფლნენ საკმარის ძალას პირდაპირ დაპირისპირებოდნენ ჰაბსბურთა ესპა-

[5] Oxford Dictionary of World History. (ed. Dr. Alan Isaacs. F. Alexander. J. Law. E. Martin). Oxford Univ. Press. Oxford-NY. 2001, გვ. 408-409

ნეთის სამხედრო-საზღვაო ძალას, მძლავრი პირატული რეიდებით აწუხებდნენ მათ და, ამგვარად, საკუთარ ძალასაც სინჯავდნენ, როგორც კორსარები და პირველადმომჩენები და ნაძარცვი ქონებით ხაზინასაც ამდიდრებდნენ.[6] ამიტომ ამ ორ სეგმენტს – კორსარებსა და ვაჭრებს თავიანთ ახალ წამოწყებებში არასდროს აკლდათ სამეფო ხელისუფლების მხარდაჭერა და სავსებით შეესაბამებათ უოლტერ რელის დევიზი – tam Marti quam Mercurio (ერთდროულად მარსისა [ომის ღმერთი] და მერკურის [ვაჭრობის ღმერთი] სამსახურში). მიუხედავად იმისა, რომ ვირჯინიის მიმართულებითაც იმოგზაურა უოლტერ რელიმ, გვინეისა და ბრაზილიის მიმართულებითაც სცადეს გაცურვა ჰოუკინსმა ჩრდილო-დასავლეთიდან და ნიუფაუნდლენდიდან მცდელობებიც არ დააკლეს, რომ შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებისკენ გზა გაეჭრათ, ეს წამოწყებები შედეგიანი არ გამოდგა და ინგლისელებმა მზერა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით გადატანეს. ამ მხრივ განსაკუთრებული წვლილი უ. უოლბისა და რ. ჩენსლერს მიუძღვით, რომლებმაც ნორვეგიის შემოვლითი გზით ჩინეთამდე მიღწევა სცადეს.[7]

ინგლისში ფართოდ წახალისებულმა ჩრდილო-აღმოსავლეთის გასასვლელების ძიებამ (მანამდე აღმოსავლეთისკენ აღმოჩენილ გზებზე ჯერჯერობით პორტუგალიასა და ესპანეთს, ასევე ვენეციასა და გენუას ინგლისის სამეფო ამ ეტაპზე ტოლს ვერ დაუდებდა) ინგლისელი მოგზაურები (ლონდონელი ვაჭრები) თავდაპირველად რუსეთში და არა შორეულ აზიაში მიიყვანა. ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეს მცდელობაც უკვალოდ ჩაივლიდა, ვინაიდან ექსპედიციაზე გაწეული ხარჯი დაკარგული ჩანდა, ხოლო სასწაულებრივად გადარჩენილი ადამიანები კი – ჩინეთის ნაცვლად (რომელიც სიმდიდრის მოპოვების მსურველ ინგლისელ ვაჭრებს ძალიან იზიდავდა), რუსეთის შუაგულში აღმოჩნდნენ. თუმცა, სწორედ ჩენსლერი (ამ წა-

[6] История средних веков (Под редакцией С.П. Карпова). Раннее новое Время. Изд. Московского Университета. 2011, გვ. 268-269; ასევე, იხ.: J. H. Perry. The Age of Reconnaissance: Discovery, Exploration and Settlement, 1450-1650. University of California Press, 1982.

[7] 1553 წელს ინგლისელებმა ჩრდილო-აღმოსავლეთის გზის გაკვალვა ჩენსლერისა და ილოგბის მეთაურობით განაახლეს. ისინი მიზნად ისახავდნენ ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანიდან ჩინეთისა და ინდოეთის მიმართულებით გაღწევას, თუმცა, სკანდინავიის შემოვლის შემდეგ, მათი გემები მდ. ჩრდ. დვინას შესართავთან გაიყინა. აქედან ჩენსლერმა მაინც მოახერხა მოსკოვამდე მიღწევა, სადაც ის ივანე მრისხანეს წინაშე წარსდგა. ამან დაუდო სათავე ინგლისსა და მოსკოვის (რუსეთის) სახელმწიფოს შორის სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას და „მოსკოვიის კომპანიის დაარსებას“ (იხ. დასავლეთ ევროპის ისტორია (რედ. მ. პაპაშვილი). თბ. 2015, გვ. 222-223; XVI ს.; Летопись Двинская [сост. и авт. предисл. А.А. Титов]. Москва. 1889; История средних веков, გვ. 267.

მოწყების ერთ-ერთი მოთავე) აღმოჩნდა ის ადამიანი, რომელმაც იმ ახალ საჭიროებებს, რომლებსაც ვაჭარ-ავანტიურისტთა წარმოწყებები აყენებდა დღის წესრიგში, გაუსწორა თვალი. მან სწრაფად მოახერხა ორიენტირება ახალ ქვეყანაში და თავის წერილში მკაფიოდ ჩამოაყალიბა არა მხოლოდ მოსკოვის სახელმწიფოს ეკონომიკის, სოციალური ვითარებისა და რელიგიის მახასიათებლები, არამედ ევროპის ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების, ზოგადად, საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების წყურვილი, რომელიც ამ დროს აღმავლობის გზაზე მყოფ მოსკოვის სახელმწიფოს ჰქონდა. ეს კი, თავის მხრივ, ინგლისელ ვაჭრებს ახალ, უკვე აღმოჩენილ ბაზარს და ამ სახელმწიფოს გავლით, სხვა ბაზრებსა და ქვეყნებთან კონტაქტების შანსს აძლევდა. ჩენსლერის ინფორმაცია იმდენად დამაჯერებელი აღმოჩნდა, რომ ვაჭარ-ავანტიურისტთა საზოგადოებამ მალე ამ მიმართულებით განსაკუთრებული ქარტია მოიპოვა და „მოსკოვიის კომპანიის დაარსება“ (1555 წ.) უზრუნველყო, რასაც მოჰყვა ურთიერთობების დამყარება ორ ქვეყანას შორის[8].

„მოსკოვიის“[რუსეთის] ბაზარზე ფეხის მოკიდების შემდგომ ინგლისელები ცდილობდნენ, ვოლგის გზის გამოყენებით (ცნობილია, რომ 1552 წელს ყაზანისა და 1556 წელს ასტრახანის ხელში ჩაგდებამ გახადა შესაძლებელი ამ გზის გამოყენება) უშუალო სავაჭრო ურთიერთობები დაემყარებინათ არა მხოლოდ ინდოეთთან (რომლის სიმდიდრეზე ცნობილი იყო პორტუგალიელების მიერ იქიდან ჩამოტანილი საქონლით და, ასევე, დამოკიდებულებით, თუ როგორ აკონტროლებდნენ ყველა გზას, რომ მონოპოლიური ვაჭრობაში სხვა ევროპელთაგან ხელი არ შეშლოდათ) და ჩინეთთან შუა აზიისა და სპარსეთის გავლით, არამედ საკუთრივ ამ უკანასკნელთან, რომლის მთავარ საექსპორტო საქონელსაც აბრეშუმი წარმოადგენდა. თუმცა, სეფიანთა სპარსეთამდე, ინგლისელებმა შორეულ აზიაში მოგზაურობა გადაწყვიტეს ვოლგისა და კასპიისპირეთის გზის გამოყენებით.

რუსეთის გავლით ამ რთულსა და ამბიციურ მოგზაურობას ამტანი და გამბედავი მოგზაური სჭირდებოდა. სწორედ ასეთი გამოდგა ენტონი ჯენკინსონი, რომელიც მოსკოვიის კომპანიის წარმომადგენელი იყო და თავისი მოგზაურობების ადრეულ ეტაპზე ლევანტშიც გახლდათ ნამყოფი. როგორც ჩანს, ამ გამოცდილებამ ჯენკინსონის შემდგომ მოგზაურობებზე დიდი გავლენა იქონია და მას თვალი აუხილა იმ შესაძლებლობებზე, რომლებსაც ახლო და

[8] A. J. Gerson. The Organization and Early History of Moscovy Company. in: Studies in the History of English Commerce in the Tudor Period. N-Y. 1912, გვ. 116-120.

ცენტრალურ აზიისა და კიდევ უფრო აღმოსავლეთითაც მდებარე ქვეყნებთან ვაჭრობა მოიტანდა.

ამ მიზნებით აღვსილმა ჯენკინსონმა 1557 წელს რუსეთს მიაშურა, სადაც, თავდაპირველი დაბრკოლებების შემდეგ, საკმაოდ თბილი შეხვედრა ჰქონდა ივანე მრისხანესთან, რომელმაც იგი შემდგომი მოგზაურობის გაგრძელებისთვის აუცილებელი სარეკომენდაციო წერილებითაც აღჭურვა.

ვოლგას ენტონი ჯენკინსონი თანამემამულე რიჩარდ და რობერტ ჯონსონებისა და თათარი თარჯიმნის თანხლებით დაუყვა. ასტრახანში ჯგუფმა გემი შეიძინა და თამამად განაგრძო გზა ზღვით – ისინი პირველი ინგლისელები იყვნენ, ვინც კასპიის ზღვაში იცურეს და ამ მხარეში წმინდა გიორგის წითელჯვრიანი დროშა ააფრიალეს.[9] ხმელეთზე გადმოსვლის შემდეგ დიდ ქარავანს შეუერთდნენ, რომელიც ცენტრალურ აზიაში მიეშურებოდა. ურგენჩიში ხანგძლივი შეჩერებისა და თურქმან ტომებთან[10] უსიამოვნო შეხლა-შემოხლის შემდეგ ქარავანმა, როგორც იქნა, ბუხარას მიაღწია. აქ უკვე ჯენკინსონი გულთბილად მიიღო ხანმა[11] და ინგლისელებმა აქ გამოიზამთრეს. იმისდა მიუხედავად, რომ ხანი აშკარად ავლენდა ინტერესს ჯენკინსონის გეგმებთან დაკავშირებით და აქტიურად ეკითხებოდა მას რუსეთისა და ინგლისის შესახებ, ინგლისელებმა ბევრს ვერაფერს მიაღწიეს. ჯენკინსონს ჰქონდა ამბიციური გეგმა – ჩინეთის მიმართულებით გაეგრძელებინა გზა მარკო პოლოს კვალდაკვალ, მაგრამ აღმოსავლეთის ქვეყნებში არსებული ტურბულენტური მდგომარეობის გამო ვაჭრობა ჩინეთთან, ამ დროისათვის, ფაქტობრივად, ნულამდე იყო დაყვანილი.[12] საუკეთესო პირობებშიც კი, როგორც ჯენკინსონს უთხრეს, მინიმუმ ცხრა თვე მაინც დასჭირდებოდა პეკინამდე მიღწევას. იმის გათვალისწინებით, რომ ამდენივე მას დასჭირდა მოსკოვიდან აქამდე მოსვლისთვის, იგი საკმაოდ მართებულად შეძრწუნდა ინგლის-ჩინეთის სავაჭრო კონტაქტების დამყარების სირთულეებით.[13] არც ინდოეთთან ვაჭრობა ჩანდა მაინცდამაინც იმედის მომცემი, იმ ცხელ კლიმატში

[9] B. Penrose. Travel and Discovery in the Renaissance 1420-1620. Harvard Univ. Press. Cambridge Massachusets. 1955, გვ. 193.

[10] ასე მოიხსენიებს ჯენკინსონი ცენტრალურ აზიაში მცხოვრებ ხალხებს (თ.ქ.)

[11] იგულისხმება მუჰამად ხანი – ბუხარის სახანოს შაიბანიანთა(შაიბანიდები) დინასტიიდან იხ.: R. D. Mc Chesney. The Encyclopaedia of Islam, Shibanids. vol. IX. ed. C.E. Bosworth, E. van Donzel, W.P. Heinrichs, G. Lecomte, Brill. 1986, გვ. 428.

[12] B. Penrose. Travel and Discovery in the Renaissance 1420-1620, გვ. 194.

[13] იგულისხმება გრძელი და საშიში გზა ცენტრალური აზიის ქვეყნებზე, რომლებიც ერთმანეთში ომობდნენ, ინგლისელთათვის უჩვეულო კლიმატური პირობები და ა.შ.

ინგლისური მაუდი და შალის ნაწარმი, რაც ინგლისელთა მთავარი შესათავაზებელი საიმპორტო ნაწარმი იყო და, აგრეთვე, ადგილობრივთა სიღარიბე (მაუდი კი არცთუ იაფი საქონელი გახლდათ), პესრსპექტივას საიმედოს არ ხდიდა. სავაჭრო პერსპექტივებთან დაკავშირებით ჯენსკინსონმა და მისმა მხლებლებმა ბუხარა სრულიად იმედგაცრუებულებმა დატოვეს 1559 წელს და სულ ერთი კვირით გამოასწრეს ალყას, რომელშიც ქალაქი მოექცა სამარყანდიდან შემოჭრილი მტრის შედეგად.[14] უკან მომავალი გზა სირთულის მხრივ ისეთივე იყო, როგორიც მიმავალი. ჯენკინსონმა იმაზე ღარიბმა მიაღწია მოსკოვს, ვიდრე დატოვა, თუმცა ამჯერად იგი საკმაოდ მდიდარ ინფორმაციას ფლობდა. ასე რომ, ინფორმაციასთან დაკავშირებით, ჩენსლერის ისტორია, შეიძლება ვთქვათ, განმეორდა. ეს უკვე არის ის პერიოდი, როდესაც ინფორმაციის მოპოვება მატერიალურ კაპიტალზე არანაკლებ ძვირფასი და მნიშვნელოვანია და შემდგომი საგარეო ვექტორების სწორად დაგეგმვისა და გადახედვის აუცილებელი წინაპირობაა.

ვოლგისპირეთის გავლით ჩინეთსა და ინდოეთთან დაკავშირებაზე გულაყრილმა ჯენკინსონმა თავისი ყურადღება სეფიანთა სპარსეთზე გადაიტანა და დაბრუნდა სამშობლოში, რათა „მოსკოვიის კომპანიისგან“ სანქცია ამ მიმართულებით ვაჭრობაზე მიეღო.[15] მან სამშობლოში კი მიიღო მსგავსი სანქცია (მიზნობრივი ქარტიის სახით), თუმცა, საჭირო იყო იგივე მოსკოვის ხელმწიფესაც გაეცა, ამიტომ ჯენკინსონს დასჭირდა ივანე მრისხანესთან არა მხოლოდ აუდიენცია, არამედ საკუთარი სამსახურის შეთავაზებაც კი (არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვების მიზნით), რაც, ვფიქრობთ, გასაგებად იკვეთება სპარსეთში მისი მოგზაურობის შესახებ დატოვებული ცნობებიდან.

ჯენკინსონის რელაციონიდან ჩანს, რომ საკუთრივ მოსკოვის სახელმწიფოს მეფე ივანე მრისხანეს საკმაოდ აინტერესებს ის ეკონომიკური და პოლიტიკური პერსპექტივები, რომლებიც შეიძლებოდა გადაშლილიყო აღმავლობის გზაზე მდგარი მოსკოვის სახელმწიფოსთვის კავკასიონის სამხრეთითა და კასპიისპირეთის მიმართულებით. ყაზანისა და ასტრახანის შემოერთების გარდა, რაც ზემოთ უკვე ვახსენეთ, აღსანიშნავია ამ მხრივ, გზის მატრიმონიალური კავშირებითაც გაკვალვა, კერძოდ, ივანე მრისხანის ქორწინება ჩერქეზეთის მთავრის, თემრუკის ასულზე, მარიაზე (რაც კარგად ჩანს კიდეც რელაციონში). ჯენკინსონის წერილიდან ვიგებთ, რომ პირველადი დაბრკო-

[14] W. Foster. England's Quest of Easter Trade. vol. 1. Routledge. London and NY. 1933, გვ. 21.
[15] B. Penrose. Travel and Discovery in the Renaissance 1420-1620, გვ. 194.

ლების შემდეგ, მოსკოვის მეფე არამცთუ დათანხმდა ინგლისელი ვაჭარ-აგენტების მოგზაურობას მისი სამფლობელოების გავლით სპარსეთში, არამედ სარეკომენდაციო წერილებიც გაატანა სხვა (სპარსეთის გავლენის სფეროში შემავალ) მფლობელებთან და საკუთარი, გარკვეულწილად მნიშვნელოვანი საქმეებიც დაავალა: „არა მარტო მომცა ნებართვის წერილები, როგორც ზემოთ აღვნიშნე, არამედ მნიშვნელოვანი დავალებებიც მომცა შესასრულებლად იმ ქვეყნებში, რომლებშიც მე ვაპირებდი წასვლას," – წერს ავტორი.[16]

1561 წლის ზამთარი ჯენკინსონმა მოსკოვში გაატარა. იმავე დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ რუსეთის მეფის კარის მაღალ მოხელეთა მხრიდან შექმნილი დაბრკოლებებით თითქმის იმედგაცრუებული იყო,[17] როცა ოსიპ ნაპეას[18] დახმარებით აუდიენციაც შეძლო მეფესთან და სარეკომენდაციო წერილების მოპოვებაც. სწორედ ამის შემდეგ მიეცა მას საშუალება, გამგზავრებულიყო 1561 წელს (აპრილის ბოლოს), ქვეყნიდან სპარსეთის ელჩთან ერთად, რომელსაც ჯერ კიდევ ივანე მრისხანესთან აუდიენციისას სადილობზე შეხვდა და მეგობრადაც კი მოიხსენიებს მას.[19] რატომ აღმოჩნდა სპარსეთის ელჩიც ასე კეთილგანწყობილი ინგლისელი ვაჭრისა და მოგზაურისადმი, ამაზე მხოლოდ ვარაუდები შეიძლება გამოვთქვათ, ტექსტიდან კი ეს არ ჩანს. თუმცა, ვფიქრობთ, სავსებით გამიზნულია ის ქმედება, რომ სპარსეთის სამფლობელოებისკენ წამოსვლის ნებართვის მოპოვების გაცემის შემდეგ, რუსეთის მეფე სპარსეთის ელჩსა და ჯენკინსონს ერთად იწვევს ნადიმზე. ეს ის პერიოდია, როცა სპარსულ-რუსული კავშირები მხოლოდ კეთილგანწყობას იწვევს სეფიანთა სპარსეთში, ვინაიდან მზარდ რუსეთში, ევროპელთა მსგავსად, ისიც ჯერჯერობით ოსმალთა წინააღმდეგ პოტენციურ მოკავშირეს უფრო ხედავს, ვიდრე კასპიისპირეთსა და სამხრეთ კავკასიაში მეტოქეს, როგორც ეს მოგვიანებით მოხდა, რაც ცვლის კიდევაც სპარსეთ-რუსეთის ურთიერთობების დინამიკას.[20] რელაციონი ცხადყოფს, რომ რუსეთის მეფეც ძალიან დაინტერესებულია ჯენკინსონის სპარსეთში უსაფრთხოდ ჩაღწევით, რაც კიდევ უფრო

[16] Anthony Jenkinson. in: Hakluyt's Voyages, selected and edited with Introduction by Irwin R. Blacker. The Viking Press. NY. 1965, გვ. 94.

[17] Anthony Jenkinson. in: Hakluyt's Voyages, გვ. 94.

[18] ოსეპ ნაპეა გრიგორიევიჩი, პირველი რუსი ელჩი, რომელიც 1555 წლის მაისში ეახლა დედოფალ მერი ტიუდორს.

[19] Anthony Jenkinson. in: Hakluyt's Voyages, გვ. 94.

[20] R. Matthee. Anti-Ottoman Concerns and Caicasian Interests: Diplomatic Relations between Iran and Russia 1587-1639. in: Safavid Iran and her Neigbours (ed: Michel M. Mazzaoui). Univ. of Utah Press. 2014, გვ. 101-120.

გვაფიქრებს იმ მნიშვნელოვან დავალებებზე, რითაც მან, თავის მხრივ, აღჭურვა ჯენკინსონი. თვალშისაცემია ის მომენტი, რომ თავდაპირველად უარზე მყოფი (სანამ საკუთარ დავალებებსაც არ დაუმატებდა) ივანე მრისხანე როგორ ზრუნავს და ავალებს უფლებამოსილ პირებს მაქსიმალურად ხელი შეუწყონ ჯენკინსონს: „ასტრახანში მოსვლისთანავე, – წერს ავტორი, მე დავუკავშირდი იქაურ მმართველს/გარნიზონის უფროსს, რომლისადმი მიმართვაც მქონდა მისი უბრწყინვალესობისგან [რუსი ხელმწიფე], რომ არა მარტო უნდა დამხმარებოდა ყველაფრით, რაც აქ ყოფნისას დამჭირდებოდა, არამედ დავეცავი და გამოეყოლებინა 50 შეიარაღებული კაცი ორი კაპარჭით კასპიის ზღვაში, სანამ მე არ გავცდებოდი კონკრეტულ სახიფათო ადგილებს, რომლებშიც პირატებსა და მძარცველებს სჩვევიათ ყოფნა“.[21]

ვოლგის ქვემო წელზე და კასპიის ზღვის გადაკვეთით საკმაოდ ხიფათიანი მოგზაურობის შემდეგ, ჯენკინსონი აგვისტოს დასაწყისშიღა მიადგა დერბენტს (დარუბანდს ასე მოიხსენიებს ავტორი თავის რელაციონში). კასპიისპირეთის გამოვლით ჩამოსულ ინგლისელებს სამხრეთ კავკასიაში პირველ რიგში შირვან შაჰთან, აბდულა ხანთან მოუწიათ ურთიერთობა. შირვანი ამ დროისთვის, ბუნებრივია, სეფიანთა სპარსეთის პოლიტიკური გავლენის სფეროს წარმოადგენდა, რაც კარგად იცოდა ჯენკინსონმა: „ეს ქალაქი დერბენტი ამჯერად სპარსეთის სეფევიდების გავლენის ქვეშაა,“ – წერს იგი[22]. თუმცა, რელაციონის მიხედვით, მეტწილად რჩება განცდა, რომ აბდულა ხანი[23] არა მხოლოდ საკმაოდ დამოუკიდებელი მმართველია, რომელსაც ანგარიშს უწევს შაჰ თამაზი, არამედ საკმაოდ კეთილგანწყობილიცაა უცხოელებისადმი: ჯენკინსონის თვალს აბდულა ხანის მიერ მისდამი გაწეული მფარველობა, პოლიტიკური და ეკონომიკური ამბიციები ხომ არ გამოეპარა, მაგრამ, გარდა ამისა, რელაციონი ყოფით დეტალებზეც ამახვილებს ყურადღებას. დიდებული მასპინძლობის გარდა, რაც ჯენკინსონს მიაგეს შირვანშაჰის კარზე, ნიშანდობლივია ისიც, რასაც იგი წერს: „მეფე და მისი დიდებულები ფეხმორთხმით ისხდნენ კარავში. როცა მიხვდა, რომ ამგვარად ჯდომა ჩემთვის მოუხერხებელი იყო, მისმა უმაღლესობამ ბრძანა, რომ შემოეტანათ ტაბურეტი და ნება მომცა

[21] A. Jenkinson. In: R. Hakluyt, “The Principle Navigations, Voyages, Traffiques and Discoveries of the English Nation” (1598-1600) – http:/www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A1999.03.0070%3Anarrative%3D121.

[22] A. Jenkinson. In: R. Hakluyt, “The Principle Navigations, Voyages, Traffiques and Discoveries of the English Nation” (1598-1600).

[23] საჭარაუდოდ, რელაციონში საუბარია ისმაილის მეორე ვაჟის, ალქაზ მირზას შვილზე აბდულა ხან უსთაჯუზუზე (თ.ქ.)

მასზე დავმჯდარიყავი ჩემი წესისამებრ".[24] შირვანის შაჰმა ეს გულთბილი დამოკიდებულება ინგლისელებისადმი შეინარჩუნა სიკვდილამდე. ამაზე მეტყველებს დანარჩენი ვიზიტების შედეგად არსებული რელაციონებიც.[25] თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლოა თავად აბდულა-ხანი, რომელიც ვერ ვიტყვით, რომ დიდად კმაყოფილი ჩანდა მისი სამფლობელოს ვასალური მდგომარეობით (ჯენკინსონის რელაციონში ეს ირიბად რამდენადმე იკითხება), თავის მხრივ, შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამოსავალს ეძებდეს და მოსული ევროპელებისგან სასურველ მოკავშირეობის (თუნდაც ეკონომიკურს, თუმცა, ცხადია, რომ ამ პერიოდიდან ეკონომიკური ურთიერთობები დიდწილად პოლიტიკურ ვექტორსაც განაპირობებდა) შემოთავაზების პერსპექტივას ხედავდეს და, აგრეთვე, რუსეთის მიმართ პოზიციის განსაზღვრისთვის ხელშემწყობ გარემოებადაც განიხილავდეს და მისი კეთილგანწყობაც ამით იყოს განპირობებული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სეფიანთა სამფლობელოში, შაჰთან ვიზიტამდე, აუდიენცია, პირველ რიგში, სწორედ აბდულა-ხანთან გამართეს ინგლისელებმა. რელაციოდან კარგად ჩანს, რომ შირვან-შაჰმა დეტალურად გამოიკითხა არა მარტო ინგლისელთა სეფიანების სამფლობელოებში მოგზაურობის მიზეზი, ინგლისის სახელმწიფოს შესახებ ზოგადი ინფორმაცია, არამედ ამ პერიოდის ყველაზე მწვავე საერთაშორისო რეზონანსის საკითხის – ოსმალებისა და მასთან წინააღმდეგობაში მყოფი სახელმწიფოების მეთაურების ძალაუფლების თაობაზე მათი აზრი: „შემდეგ მან სხვადასხვაგვარი კითხვა დამისვა, რაც შეეხებოდა ჩვენი ქვეყნების როგორც რელიგიას, ასევე მდგომარეობას. შემდეგ მკითხა, ალემანიის იმპერატორს [საღვთო რომის იმპერატორს], რუსეთის იმპერატორსა და დიდ თურქს [ოსმალო სულთანს] შორის რომელი იყო ყველაზე ძლევამოსილი, ასევე ბევრ სხვა საკითხზეც, რაც ძალიან ვრცელი იქნება აქ მოსაყოლად. ყოველივეზე ისე ვუპასუხე, რაგვარადაც ეგებოდა პასუხის გაცემა ჩემგან. მერე მან გამომკითხა, ვაპირებდი თუ არა გზის გაგრძელებას და რა იყო ჩემი ვიზიტის მიზეზი. რაზეც ვუპასუხე, რომ მე ვიყავი მისი უდიდებულესობა ინგლისის დედოფლისგან გამოგზავნილი წერილებით დიდ სუფისთან [სეფიანი შაჰი], რათა გამომეთხოვა მეგობრობა და თავისუფლად გადაადგილების უფლება; ასევე, რათა ებოძებინა უსაფრთხოების გარანტიები ინგლისელი ვაჭრებისათვის მის სამფლობელოებში ვაჭრობის-

[24] A. Jenkinson. In: R. Hakluyt, "The Principle Navigations, Voyages, Traffiques and Discoveries of the English Nation" (1598-1600).

[25] A. Jenkinson. In: R. Hakluyt, "The Principle Navigations, Voyages, Traffiques and Discoveries of the English Nation" (1598-1600).

თვის, ისეთივე, როგორიც მიენიჭებოდათ მის ქვეშევრდომებს, თუკი ჩვენს ქვეყანაში მოვიდოდნენ. ეს [მოუტანდა] პატივსა და კეთილდღეობას ორივე ქვეყანას და სარგებელს ორივე ქვეყნის ქვეშევრდომებს. კიდევ ბევრი სხვა სიტყვაც ვთქვი, რასაც ახლა გამოვტოვებ მოხსენებაში. მეფემ [აბდულა ხანმა] ეს ყოველივე თქმული იმდენად მისაღებად მიიჩნია, რომ დამპირდა: არათუ მომცემდა გზის გაგრძელების საშუალებას, არამედ გამაყოლებდა შეიარაღებულ დაცვას, სანამ ნახსენებ სუფიმდე [სეფიან შაჰამდე] არ მივაღწევდი, რომელიც იმყოფებოდა ზემონახსენები ქალაქ შემახადან 30 დღის სავალზე, სპარსეთის მიწაზე, ცხესიმაგრეში, რომელსაც კასბინი[ყაზვინი] ეწოდებოდა“,[26] – გვაუწყებს რელაციონით ჯენკინსონი.

მოხმობილი ციტატა გვიბიძგებს აბდულა ხანის დაინტერესებაზე შემდეგი ვარაუდი დავუშვათ: 1. პირველი, ის სეფიანთა ქვეშევრდომია და თან ავტორიტეტული პირი, რომელსაც დავალებული აქვს გაიგოს, ვინ მოდის და რა ინტერესებით უკვე ახლად გამეზობლებული რუსეთიდან (რომელთან სეფიანთა სპარსეთის ურთიერთობა ისტორიულადაც ცნობილია[27] და რელაციონიდანაც კარგად ჩანს) კასპიისპირეთის გავლით, შაჰის კარზე. ყოველ შემთხვევაში, როცა ყაზვინში ჩადის 1562 წლის 2 ნოემბერს ჯენკინსონი,[28] იქაა აბდულა ხანის შვილიც და სწორედ ის შუამდგომლობს აუდიენციას, თან ეტყობა, რომ მასაც დავალებული აქვს მოიკვლიოს ინგლისელთა ვიზიტის მიზანი და ზოგადი შეხედულებები; 2. მეორე, ვარაუდი სულაც არ გამორიცხავს პირველს – ვინაიდან ჯენკინსონი საკმაოდ დამოუკიდებელ მმართველად მოიხსენიებს აბდულა ხანს, მას შეიძლება ინგლისელთა ვიზიტის მიზნების, ასევე ინგლისელთა ოსმალებისადმი დამოკიდებულებაც აინტერესებს არა მხოლოდ სეფიანთა სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების დასაცავად, არამედ პირადად საკუთარი სამფლობელოს, შირვანის ინტერესებისთვის.

---

[26] Anthony Jenkinson. in: Hakluyt's Voyages, გვ. 98.

[27] R. Matthee. Anti-Ottoman Concerns and Caicasian Interests: Diplomatic Relations between Iran and Russia 1587-1639, გვ. 101-120

[28] დიდებული მასპინძლობის შემდეგ სწორედ აბდულა ხანის ჯარისკაცების ესკორტის თანხლებით მიაშურა ჯენკინსონმა მხლებლებითურთ ყაზვინს, რომელიც ამ დროს სპარსეთის დედაქალაქს წარმოადგენდა მიზეზები კარგად მოეხსენება ჯენკინსონს, რაც რელაციონიდან ჩანს: „დასავლეთის მიმართულებით ოთხი დღის სავალზე არის ქალაქი თებრიზი (თავრიზი), რომელსაც ძველ დროში თაურისი ერქვა, ყველაზე დიდი ქალაქი სპარსეთში, თუმცა, არც ისეთი განთქმული სავაჭრო ოპერაციებით, როგორიც იყო თავად ან როგორიც არიან სხვა ქალაქები ამჟამად. ეს თურქეთის სულთნის დიდი შემოსევითაა გაპირობებული, რომელმაც წაართვა შაჰს მთელი თავრიზი და გაჟლიტა ქალაქის მოსახლეობა. ამის შემდეგაა, რომ სუფიმ [შაჰმა] მიატოვა ის და სასახლის კარი მისგან ათი დღის სავალ, უკვე ნახსენებ ქალაქ კასბინში (ყაზვინი) გადაიტანა“ – Anthony Jenkinson. in: Hakluyt's Voyages, გვ. 101-102.

ენტონი ჯენკინსონის რელაციონი, რომელიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება, ნათლად წარმოაჩენს ინგლისელი სავაჭრო აგენტების მოგზაურობების საკმაოდ ფართო პროფილს, მათ დიპლომატიურ მოქნილობასა და პოლიტიკური ვითარების წვდომას, რაც კარგად გამოჩნდა ჯენსკინსონის საუბრებში არა მარტო ყველა იმ პირთან, ვისაც შეხვდა მოგზაურობისას, არამედ, განსაკუთრებით, მის მოქმედებებსა და საუბარში შაჰთან აუდიენციის დროს; მეტად საგულისხმოა, რომ მის თვალს ამ დროს არ გამორჩა ოსმალთა ელჩობის[29] მიზნები და მიღწეული შედეგები;[30] და არც მათი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება მისი ვიზიტისადმი;[31] არამედ თვალშისაცემია სინანული, რომელსაც გამოთქვამს იმ გარემოების გამო, რასაც საკუთარი ვიზიტისთვის ხელისშემშლელად მიიჩნევს: „თურქების ელჩი არ იყო მოსული ჯერ ამ მიწაზე, დაზავების არავითარი იმედი არ ჩანდა, პირიქით, საქმე დიდი საომარი სამზადისისკენ მიდიოდა, რაც ხელს შეუწყობდა ჩემს მიზნებს, თუმცა სხვაგვარად მოხდა“.[32] ასევე საინტერესოა, თუ ვის ხედავს ის ძირითად კონკუ-

[29] შესაძლოა, სულეიმანის ელჩი ჰასან აღა იყოს, ის სელიმთან (სულეიმანის ვაჟთან რომელიც მოგვიანებით სულთანი გახდა) დაახლოებული პირი იყო და სწორედ მისი პირით მოსთხოვა სულეიმანმა შაჰს გაქცეული უფლისწულის ბაიაზიდის მოკვლა ან გადმოცემა.

[30] („...ჩემს მოსვლამდე ოთხი დღით ადრე, თურქი ელჩი ჩამობრძანდა, რომელიც გამოგზავნეს აქ, რათა დაედო უვადო ზავი დიდ თურქსა [ოსმალო სულთანსა] და სუფის [სეფიან შაჰს] შორის, თან მოიყოლა ძღვნად ოქრო, შესანიშნავი ცხენები ძვირფასი აღკაზმულობით და ორმოცი ათასი ფუნტის ღირებულების სხვა საჩუქრები. ამის შემდეგ ეს დაზავება აღინიშნა მხიარული ნადიმებითა და სადღესასწაულო ცერემონიალებით, გამყარებულ იქნა ფიცით მათი ალკარნში [იგულისხმება: ყურანი] დაწერილი კანონის შესაბამისად: რომ დაიცავდნენ ზავს, იცხოვრებდნენ მიცემული ფიცის თანახმად, დაეხმარებოდნენ ერთმანეთს ყველა იმ მეფის წინააღმდეგ, ვინც მათ წინააღმდეგ აიღებდა იარაღს. ამ ხელშეკრულების გამო სუფიმ ბრძანა მოეკლათ სულთნის ვაჟი ბაიაზიდი, მამაცი უფლისწული (რომელიც, მამისგან გამოქცეული, ოთხი წელი იმყოფებოდა შაჰის კარზე) [სულეიმან კანუნის ვაჟი, რომელიც სიმამაცით გამოირჩეოდა, თუმცა მამის გული ვერ მოიგო, მომავალ ტახტის მემკვიდრე, თავის ძმას სელიმს დაუპირისპირდა და სპარსეთში გაიქცა, სადაც 1562 წელს შაჰ თამაზმა მოაკვლევინა სულეიმანის მოთხოვნით. სწორედ ამ ამბების თვითმხილველია ჯენკინსონი – თ.ქ.] აღნიშნული დროის განმავლობაში სწორედ სულთნის ვაჟმა გამოიწვია სისხლისმღვრელი ომები ამ ნახსენებ ხელშეწყობებს [სულთანი და შაჰი] შორის და თავი განსაკუთრებულადაც გამოიჩინა. ამიტომაც, თურქი [სულთანი] მოითხოვდა თავისი ვაჟის გადაცემას და ამაზე სუფისგან [შაჰისგან] უარს იღებდა. თუმცა, ახლა თურქის მოთხოვნისამებრ, მოკლული პრინც ბაიაზიდის თავი სუფიმ საჩუქრად გაუგზავნა მას). Anthony Jenkinson. in: Hakluyt's Voyages, გვ. 102-103.

[31] „თურქი ელჩის მოსვლისა და დაზავების შემდეგ, აქ მყოფმა თურქმა ვაჭრებმა გამოუცხადეს თავიანთ ელჩს, რომ ჩემი მოსვლა (ისინი მე ფრანკად მომიხსენიებდნენ) მათ ვაჭრობას დიდწილად ვნებდა და რომ კარგი იქნებოდა, თუკი დაარწმუნებდა სუფის[შაჰს], რომ ჩემდამი კეთილგანწყობა არ გამოეხატა, თუკი მის უდიდებულესობას სურდა მოკავშირეობა და მეგობრული ურთიერთობა მის მბრძანებელთან, სულთანთან. თურქი ვაჭრების ამ მოთხოვნას ელჩმა დაბეჯითებით დაუჭირა მხარი“. Anthony Jenkinson. in: Hakluyt's Voyages, გვ. 103-104; ასევე იხ. D. Blow. Persia Trough Writer's Eys. Eland Publishing. London. 2007, გვ. 92.

[32] Anthony Jenkinson. in: Hakluyt's Voyages, გვ. 104.

რენტად და როგორ ცდილობს ვენეციელების ჩამოშორებას, რაც არც ისე იოლი იყო, ვინაიდან ამ უკანასკნელთ ფართოდ ჰქონდათ ფესვი გადგმული თავრიზში.[33] აქვე ინტერესს იწვევს, თუ როგორი გაწაფულობით ცდილობს შაჰის კეთილგანწყობა მოუპოვოს ინგლისელებს, როცა მათ პორტუგალიელთა მოწინააღმდეგეებად წარმოაჩენს[34] (სპარსეთის ყურეში პორტუგალიელთა აქტიურობა სპარსეთის მძაფრ რეაქციებს იწვევდა, აქ პორტუგალიელთა ფეზის მოკიდებამ ძალიან დაძაბა მათსა და სეფიანებს შორის ურთიერთობა);[35] როგორ ხედავს მოსალოდნელ რისკებს იმ შემთხვევებში, თუ სამხრეთ კავკასიის ხალხები დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებას მოისურვებენ და სხვ.

ისევე როგორც სხვა მოგზაურობების მონაწილეთა, ენტონი ჯენკინსონის ცნობებშიც ძალიან კარგად ჩანს ის ინტერესიც, რომელსაც სეფიანების ხელისუფლება იჩენს ევროპული სახელმწიფოებისა და რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის მიმართ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ოსტატობას ავლენს ჯენკინსონი: „მან[შაჰმა] გამომკითხა ჩვენი ქვეყნების მდგომარეობის შესახებ, ალემანების იმპერატორის,[36] მეფე ფილიპისა[37] და თურ-

---

[33] „ზემოაღნიშნულმა მეფე აბდულა-ხანმა მკითხა, გვქონდა თუ არა ინგლისელებს მეგობრული ურთიერთობა ოსმალო თურქებთან. მე ვუპასუხე, რომ ჩვენ არასდროს გვქონია მეგობრული ურთიერთობა მათთან, ამიტომაცაა რომ ისინი ნებას არა გვრთავენ, რომ მათი ქვეყნის გავლით მოვიდეთ სუფის [შაჰის] სამფლობელოებში. თუმცა არსებობს ხალხი, ვენეციელები, ჩვენგან არცთუ მოშორებით მცხოვრებნი, რომლებიც არიან დიდი მოკავშირენი სულთნისა, ვაჭრობენ სულთნის მიწა-წყალზე ჩვენი ნაწარმით, იაფად ცვლიან მას ნედლ აბრეშუმში, რომელიც მოიპოვება (როგორც ეხედები), აქ და თუ იქნებოდა შაჰისა და ამ ქვეყნის სხვა მმართველების კეთილი ნება, რომ ებოძებინათ ვაჭრობის უფლება ჩვენი ვაჭრებისათვის ამ საფლობელოებში, და თუ მოგვცემდნენ პასპორტსა და ხელშეუხებლობის გარანტიას, როგორიც ნახსენებმა თურქმა [სულთანმა] უბოძა ვენეციელებს, მე ეჭვი არ მეპარება, რომ იმგვარად განვითარდებოდა ვაჭრობა, რომ მანამდე არნახულ სარგებელს მოიტანდა“. A Jenkinson. in: Hakluyt's Voyages, გვ. 104; ასევე იხ: Encyclopaedia Iranica. Italy. II: Diplomatic and Comercial Relation. http://www.iranicaonline.org/articles/italy-ii-diplomatic-and-commercial-relations-2.

[34] „ყოველდღიურად მაკითხავდნენ შაჰის მიერ გამოგზავნილი სხვადასხვა წარჩინებულები საუბრობდ, განსაკუთრებით იმ საკითხებზე, რომლებიც ეხებოდა რუსეთის იმპერატორს, ასევე იმის გასაგებად, რა გზით ვაპირებდი დაბრუნებას ჩემს ქვეყანაში – იმავე გზით, რომლითაც მოვედი თუ ორმუზის გავლით, პორტუგალიური გემებით. ვუპასუხე, რომ არ ვაპირებდი ორმუზის გზით წასვლას, რადგან პორტუგალიელებთან მეგობრული ურთიერთობები არ გვაქვს. კარგად მესმოდა მათი აზრების: ინფორმირებული ვიყავი, რომ ეს შაჰი ომს გეგმავდა პორტუგალიელებთან და დამბარალებდა, რომ მოვედი, როგორც ჯაშუში, რათა გამეგო მისი სამფლობელოები და ასე მივსულიყავი პორტუგალიელებამდე, რადგან მიგვიჩნევდა მათ და ჩვენ ერთ ხალხად და გვეძახდა ყველას ფრანკებს.“ Jenkinson. in: Hakluyt's Voyages, გვ. 105-106. სავარაუდოდ, დასავლეთ ევროპაში მცხოვრებნი, ანუ ნაცნობი ხალხები, უფრო ერთ სივრცეში წარმოიდგინა ჯენკინსონმა – ფიგურალურად, არა პირდაპირი მნიშვნელობით მეზობლებად, არამედ, რაღაც საერთო, ნაცნობი ევროპული სივრცის ნაწილად (თ. ქ.).

[35] Encyclopaedia Iranica (Portugal: Relations with Persia in the Early Modern Age 1500-1750, http://www.iranicaonline.org/articles/portugal-i.

[36] ამ ეტაპზე: ფერდინანდ I ჰაბსბურგი.

ქთა სულთნის ძალაუფლების შესახებ და თუ რომელია მათ შორის ყველაზე ძლევამოსილი. მე იმგვარად ვუპასუხე, რომ მეამებინა – არ დავაკნინე დიდი თურქი[სულთანი], გავითვალისწინე რა [პასუხში] მისი ახლახან გაფორმებული მეგობრული ურთიერთობა".[38]

ჯენკინსონის შაჰ თამაზთან აუდიენციამ სრულიადაც არ ჩაიარა ისეთივე გულთბილ გარემოში, როგორშიც შირვან-შაჰთან; როგორც თავად ჯენკინსონი წერს, სანამ ოსმალების ელჩობა არ წავიდა ყაზვინიდან, შაჰმა იგი აუდიენციაზეც კი არ იხმო, ვინაიდან, ოსმალებმა ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატეს, როცა სეფიანთა დედაქალაქში ინგლისელთა ყოფნის შესახებ შეიტყვეს.[39] ჯენკინსონის ამ პასაჟში და, საერთოდ, ბაიაზიდის სიკვდილით დასჯის პერიპეტიებში (რომელსაც ძალიან დიდხანს ახანგძლივებდა შაჰ თამაზი – თ. ქ.) კარგად ჩანს, რომ შაჰი უფრთხილდებოდა იმ მყიფე ზავს, რომელიც არსებობდა ოსმალებსა და სეფიანებს შორის და არ სურდა ოსმალო ელჩები გარკვეული ეჭვებით გაეშვა. არავისთვის საიდუმლო არ იყო არც მაშინ, და ამ გადასახედიდან კიდევ უფრო მყარად შეიძლება ვთქვათ, რომ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების უკან ხედავდნენ და, არცთუ უსაფუძვლოდ, პოლიტიკურ კეთილგანწყობას და პოტენციურ კავშირს. პორტა ევროპის ნებისმირი სახელმწიფოს კავშირს სპარსეთთან მუდმივად განიხილავდა ანტიოსმალური კოალიციის მამოძრავებელ ფაქტორად. ანტიოსმალური კოალიციების მცდელობები კი „დამოკლეს მახვილივით" იყო თურქების თავზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ოსმალების სამხედრო სიძლიერე ეჭვს არ იწვევდა, ამგვარი ფაქტორის მუდმივად არსებობა თავისთავად ანგარიშგასაწევი და არასასიამოვნო იყო მათთვის. ჯერჯერობით ყველა ევროპელს პოტენციურ მტრად და რომის საღვთო იმპერატორის მოკავშირედ ხედავენ თურქები და მხოლოდ ვენეციელებთან და ფრანგებთან აქვთ სავაჭრო კაპიტულაციები მიღებული.[40]

ინგლისის დედოფალ ელიზაბეტის მიერ ჯენკინსონისთვის გადაცემული და აუდიენციისას შაჰისადმი წარმოდგენილი კორესპონდენცია იყო ლათინურ,

[37] ესპანეთის მეფე ფილიპ II ჰაბსბურგი.

[38] A. Jenkinson in: Hakluyt's Voyages, გვ. 105

[39] A. Jenkinson. in: Hakluyt's Voyages, გვ. 105

[40] D. Goffman. The Ottoman Empire and Early Modern Europe. Cambridge Univ. Press. Cambridge. 2002, გვ. 1-20; ასვე, იხ: S. Gunn. War, religion and the State. in: Early Modern Europe, An Oxford History (ed.) by E. Cameron, Oxford Univ. Press, NY. 2001, გვ. 103-133; თ. წითლანაძე. XVI საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგული წყაროები საქართველოს შესახებ. ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი". №12. 2018.

იტალიურ და ებრაულ ენებზე, და, როგორც შაჰ-თამაზმა აუდიენციაზე განაცხადა, არც ერთი ამ სამიდან[41] მისი ქვეშევრდომებიდან არავინ იცოდა. ვფიქრობთ, ეს უკვე იყო მინიშნება იმ არაკეთილგანწყობისა, რომელიც შემდგომში ბევრად ღიად გამოვლინდა. სხვაგვარი შეფასების მიცემა დიპლომატიურ ურთიერთობაში ამდაგვარ პასუხს ძნელად მოეძებნება. შაჰ თამაზმა უკვე ღიად მტრული დამოკიდებულება გამოავლინა, როცა საქმე რელიგიის განხილვამდე მივიდა. ჯენკინსონის ქრისტიანობა შაჰმა ხელზე დაიხვია აუდიენციის შესაწყვეტად. აქ, ვფიქრობ, უფრო მეტად ის ჩანს, თუ როგორ უფრთხილდება თურქებთან ახლახან გაფორმებულ კავშირს შაჰ-თამაზი, ვიდრე საკუთრივ მისი დამოკიდებულება ქრისტიანულ რწმენასა და ქრისტიანებთან. სასახლიდან დამცირებულად გამოძევების შემდგომ, ენტონი ჯენკინსონი, როგორც თავად წერს, ისევ აბდულა ხანის ჩარევის წყალობით გადარჩა ცოცხალი. მეტიც, შაჰმა თანდათანობით რამდენადმე შეცვალა მისდამი დამოკიდებულება და საჩუქარიც კი გამოუგზავნა მას.[42]

ჯენკინსონის წერილიდან ვიგებთ, რომ 1562 წლის 20 ნოემბერს მას შაჰ თამაზის კარზე უნახავს ქართველი რენეგატი უფლისწული, რომელიც სპარსეთში იყო თავშეფარებული: „შემდეგ მან [შაჰმა] ჩემთან რელიგია განიხილა ვრცლად, მკითხა, ვიყავი თუ არა გოვერი[გიაური], რაც ურწმუნოს ნიშნავს თუ მუსლიმანი[მუსლიმი], რაც მუჰამედის კანონების მიმდევარს ნიშნავს. ამაზე მივუგე, რომ მე არც ურწმუნო და არც მუსლიმი, არამედ ქრისტიანი ვიყავი. რა არის ეს, უთხრა მან ქართველთა მეფის ვაჟს, ქრისტიანს, რომელიც გამოქცეული იყო ამ სუფის [შაჰის] კარზე. მან უპასუხა, რომ ქრისტიანი ადამიანი არის მიმდევარი იესო ქრისტესი, რომელსაც სწამს, რომ იგი ძე ღვთისა და უდიდესი წინასწარმეტყველია. ამგვარად გწამს შენ? – მკითხა სეფიანმა. დიახ, ამგვარად – ვუპასუხე მე. ოჰ, შე ურწმუნო, ჩვენ არ გვაქვს საჭიროება ვიმეგობროთ ურწმუნოებთან – [განაცხადა მან] და მიბრძანა გავცლოდი. მე გამიხარდა, თავი დავუკარი და წამოვედი ჩემს გზაზე, თან მახლდა ბევრი მისი კარისკაცი და სხვებიც,“[43] – წერს ავტორი.

ამ უფლისწულის ვინაობასთან დაკავშირებით ქართველ ისტორიკოსთა შორის მოსაზრებები გაყოფილია: ვ. გაბაშვილის აზრით, ეს იესე, კახთა მეფე

[41] სეფიანთა სახელმწიფოში იტალიურის მცოდნის მოპოვება არ უნდა გაჭირვებოდათ და, საკარაუდოდ, ასეც მოხდა, თუმცა, რამდენად კეთილგანწყობილნი შეხვდნენ ვენეციელები ინგლისელთა ინიციატივებს და რატომ – ეს ცალკე კვლევის საკითხია.

[42] A. Jenkinson. in: Hakluyt's Voyages, გვ. 106.

[43] A. Jenkinson. in: Hakluyt's Voyages, გვ. 105, ასევე, იხ.: D. Blow. Persia Trough Writer's Eys, გვ. 94.

ლევანის ძე უნდა ყოფილიყო, რომელიც შაჰის კარზე იმყოფებოდა და ისლამზე იყო მოქცეული.[44] ჯ. სტეფნაძის აზრით, უფლისწული იესე შაჰ თამაზთან ჯენკინსონის აუდიენციას 1562 წლის 20 ნოემბერს ვერ დაესწრებოდა. ამის არგუმენტად მას მოჰყავს, რომ იესე 1562 წლის შუახანიდან 1577 წლამდე ალამუტის ციხეში იმყოფებოდა დატყვევებული.[45] აქედან გამომდინარე, ჯ. სტეფნაძე ამტკიცებს, რომ შაჰისა და ჯენკინსონის შეხვედრას სიმონ I-ის ძმა, უფლისწული დავითი (დაუდ-ხანი) უნდა დასწრებოდა, რომელიც სპარსეთში ჩავიდა, ისლამი მიიღო და შაჰთან დაახლოებული პირიც გახდა. როგორც ჯ. სტეფნაძე აღნიშნავს, 1561-64 წლებში იგი შაჰის კარზე იყო.[46] ასევე ფიქრობს ი. ტაბაღუაც[47] და ლ. ურუშაძეც, რომელიც მიიჩნევს, რომ „ქართველ უფლისწულში" დავითი ანუ დაუდ-ხანი უნდა დავინახოთ.[48]

ორივე ქართველი უფლისწული ამ პერიოდში სპარსეთში იმყოფებოდა და ორივემ ისლამი მიიღო შაჰის კეთილგანწყობილების მოსაპოვებლად, შესაბამისად, ორივეზე ვარაუდის გამოთქმა დასაშვებია. სამწუხაროდ, ჯენკინსონი არ ახსენებს უფლისწულის სახელს, ვისაც აუდიენციისას შეხვდა. ჩვენი ვარაუდით, ზემოაღნიშნული არგუმენტი არ გამოდგება საკითხის დაუდ-ხანის (დავით XI-ის) სასარგებლოდ გადასაწყვეტად. ჯერ ერთი, ჩვენ არ ვიცით დაზუსტებით, ალამუტის ციხეში როდის გაგზავნეს იესე – 20 ნოემბრამდე თუ მის შემდეგ. თუმცა თუკი ქართველ მეცნიერთა ცნობებს ამავე პერიოდის თანამედროვე სპარსი ისტორიკოსის, ჰასან რუმლუს[49] ცნობებთან შევაჯერებთ, ვფიქრობთ, ბატონიშვილის ვინაობა უფრო მკაფიო ხდება. კერძოდ, ჰასან რუმლუ გვამცნობს: „967 [1559-1560] – „ამავე წელს, ისა-ხანი, საქართველოს მმართველის, ლევანის შვილი, ისლამის მიღებით გაბედნიერდა და ქვეყნის საფარველმა შაჰმა მას წყალობის თვალით დაუწყო ცქერა".[50] იქვე

[44] ვ. გაბაშვილი. ქართული დიპლომატიის ისტორიიდან. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის". ნაკვ. 31. თბ. 1964, გვ. 71.

[45] ჯ. სტეფნაძე. ანტონ ჯენკინსონის მიერ მოხსენიებული ქართველი უფლისწულის ვინაობისთვის. კრებ. „საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები". თბ. 1980, გვ. 207.

[46] ჯ. სტეფნაძე. ანტონ ჯენკინსონის მიერ მოხსენიებული ქართველი უფლისწულის ვინაობისთვის, გვ. 211.

[47] ლ. ხ. ფერნანდესი, ი. ტაბაღუა. დოკუმენტები საქართველოს ისტორიისთვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XVI-XVII სს.). მადრიდი. 1993, გვ. 117-118.

[48] ლ. ურუშაძე. ენტონი ჯენკინსონის „სპარსეთში მოგზაურობის" ცნობები საქართველოს შესახებ. „ქართული წყაროთმცოდნეობა". ნაკვ. XI. თბ. 2006, გვ. 155-157.

[49] ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით და შესავლით გამოსცა ვ.ფუთურიძემ. შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ. თბ. 1966, გვ. 37

[50] ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 37.

ის გვამცნობს, რომ: „969 [1561/62] – ამ წელს რაბი ოს-სანი თვის 17-ს, დავით ბეგი, ლუარსაბის შვილი რამდენიმე აზნაურით საქართველოდან ყაზვინს მოვიდა და მუსლიმანი გახდა. რჯულის საფარველმა შაჰმა მას თბილისის გამგებლობა მისცა“.[51] ამაზე დაყრდნობით, რ. კიკნაძემ გამოიკვლია, რომ დავითი ყაზვინში 1561 წლის 25 დეკემბერს მივიდა და თბილისში დაბრუნდა 1562 წლის 30 აგვისტოს,[52] ე. ი. (ჯენკინსონის ყაზვინში ჩამოსვლამდე). ამდენად, დავითი, რომელიც 1562 წლის 30 აგვისტოს უკვე თბილისში იყო, შაჰ-თამაზის სასახლეში ვერ დაესწრებოდა ჯენკინსონთან საუბარს. ის ვერ გაჩერდებოდა სპარსეთში 1564 წლამდე, როგორც ამაზე ჯ. სტეფნაძე მიუთითებს, ვინაიდან 1562-78 წლებში, შაჰის ნების თანახმად, იგი თბილისის მმართველია. ჰასან რუმლუს ცნობაში იკვეთება ისიც, რომ შაჰის კეთილგანწყობა იესეს მიმართ აშკარაა. სპარსი ავტორის ნაშრომში დაუდ-ხანისადმი შაჰის ასეთი დამოკიდებულება არ ჩანს.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, ჰასან რუმლუს ცნობა იესე ბატონიშვილის ალამუტში დატყვევების შესახებ: „970 [1562/3] – როცა ლევანის შვილმა ისა-ხანმა პატივს მიაღწია...ზოგი შფოთის ამტეხის მიერ შეცდომაში შეყვანილმა, მან მოულოდნელად უარყო რჯული და გაქცევა დააპირა. ერთმა დაახლოებულა მსახურმა ეს შაჰს მოახსენა, ამიტომ 26 რიცხვში[იგულისხმება დეკემბერი – თ.ქ.] ის ალამუტში გაგზავნეს“.[53] როგორც ვხედავთ, ამ პასაჟშიც დასტურდება, რომ იესეს შაჰის კეთილგანწყობა ნამდვილად ჰქონდა მოპოვებული. ამასთანავე, ჰასან რუმლუ დაუდ-ხანის სპარსეთში მისვლას 1561 წლის დეკემბრით საზღვრავს და არა შუა ხანებით, როგორც ამას ჯ. სტეფნაძე ვარაუდობს. ამდენად, თუკი დაუდ-ხანის თბილისში მმართველობა თარიღდება 1562-78 წწ., თან 1562 წლის აგვისტომდე დაბრუნდა სპარსეთიდან, ხოლო, რუმლუს მიხედვით, 1562 წ. დეკემბერში დააპატიმრეს იესე, უფრო მართებულად მიგვაჩნია, რომ ჯენკინსონის მიერ აუდიენციაზე ნახსენებ უფლისწულში იესე ლევანის ძე დავინახოთ, ვიდრე დაუდხანი. ამდენად, ჩვენ ვემხრობით ვ. გაბაშვილის მოსაზრებას, რომ ჯენკინსონი კახელ უფლისწულს შეხვდა. ამავე აზრისაა საკითხთან დაკავშირებით ე. მამისთვალიშვილიც.[54] რელაციონის შემდგომი მონაკვეთები, რომლებშიც საუბარია უკან-

[51] ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 37.

[52] ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 64, შენიშვნა 92-93.

[53] ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 64.

[54] ე. მამისთვალიშვილი. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (XV-XVIსს.). თბილისი. 2009, გვ. 173-174.

დაბრუნებულ ჯენკინსონთან ქართველების კონტაქტების მცდელობასა და ადგილზე (რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ), ჩვენი აზრით, კიდევ უფრო აძლიერებს ამ ვარაუდს. როგორც ჩანს, იესე ლევანის ძის მუსლიმობაცა და რენეგატობაც მოჩვენებითი იყო და გარკვეულ მიზნებს ემსახურებოდა.

შაჰის სასახლიდან პირველი აუდიენციისას გამოდევნილი და ყაზვინში მყოფი ჯენკინსონი, როგორც რელაციონი გვამცნობს, ისევ აბდულა-ხანის შვილმა შეიფარა და დაარწმუნა, რომ აზრი ჰქონდა შაჰის კარზე ხელახალი აუდიენციის შემდგომ მცდელობებს. ასევე, მანვე ჩარია მამამისი ჯენკინსონის გადასარჩენად, რამაც შედეგი გამოიღო და ამას ჯენკინსონი ხაზს უსვამს: „სეფიანმა შაჰმა [საკითხის] მართებულად და სრულად აწონ-დაწონის (რაც ჰირკანის მეფის დამსახურებაა, რომელიც იყო ყველაზე მამაცი მმართველი მის უახლოეს ქვეშევრდომთაგან) შემდეგ, შეცვალა თავისი განზრახვა...“.[55] მეტიც, იმ ფაქტში, რომ აბდულა-ხანმა იგი გადაარჩინა და თან უთხრა, ვინ იყო ჩარეული მისი დაღუპვის მიზნით შაჰისთვის რჩევის მიცემაში, ვფიქრობთ, ჩანს არა მხოლოდ შირვანშაჰის კეთილგანწყობა ევროპელებისადმი, განპირობებული სხვადასხვა მიზეზით, არამედ ერთგვარი დისტანცირება შაჰის გარემოცვისგან (მისი რელიგიური თუ სხვა ტიპის მრჩევლებისგან.ქ.). ამდენად, ჯენკინსონისეული მისი შეფასება სუბიექტური დამოკიდებულებით არ უნდა იყოს ნაკარნახევი.

მართალია, ჯენკინსონმა ყაზვინში პრივილეგიებ ვერ მოიპოვა, თუმცა მოახერხა კონტაქტის დამყარება რამდენიმე ინდოელ ვაჭართან, რომლებმაც დააიმედეს იგი, რომ შესაძლებელი იყო სანელებლებით ვაჭრობის დამყარება სპარსეთის სამფლობელოების გავლით. უფრო კონკრეტული შედეგი უკან მიმავალს ელოდა სამხრეთ კავკასიაში, როდესაც იგი კვლავ ესტუმრა აბდულა ხანს, ამჯერად ჯავათში.[56] როგორც უკვე აღვნიშნეთ, რელაციონიდან კარგად ჩანს, რომ სეფიანთა დომინიონი ქვეყნებიდან ჯენკინსონს ყველაზე ნაკლებ დამოკიდებული და ავტონომიური ამ ეტაპზე შირვანი წარმოუდგენია; სწორედ მისი მმართველისგან მიიღო სეპარატული, რეალურად ღირებული პრივილეგიები, რომლებიც გულისხმობდა, აგრეთვე, ინგლისური შალის ნაწარმის გაცვლას ირანულ აბრეშუმზე.[57]

რელაციონიდან ვიგებთ, რომ ყაზვინში, შაჰთან აუდიენციისას, ჯენკინსონის ქართველებთან/ქართულ ინტერესებთან გადაკვეთა გამონაკლისი შემთხვევა არ იყო. როგორც ქართველებს ჰქონდათ მცდელობა ინგლისელებთან კომუნი-

[55] A. Jenkinson. in: Hakluyt's Voyages, გვ. 106.

[56] ადგილის ზუსტი იდენტიფიცირება ჭირს

[57] B. Penrose. Travel and Discovery in the Renaissance 1420-1620, გვ. 194.

კაციისა და ინგლისელთაგან სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებისა, ჯენკინსონსაც ჰქონდა ქართველ მეფესთან დაკონტაქტების მცდელობა. უკანა გზაზე, შირვან-შაჰისგან პრივილეგიებით აღჭურვილი და შირვანიდან გასამგზავრებლად მზადმყოფი ჯენკინსონი ქართველებზე მორიგ ფრიად საინტერესო ცნობას გვაწვდის: „შემახაში ყოფნისას ჩემთან მოვიდა ვინმე სომეხი, გამოგზავნილი ქართველი მეფის მიერ, რომელმაც მომითხრო ამ მეფის სავალალო მდგომარეობის შესახებ: რომ იგი მოქცეულია ორ სასტიკ ტირანსა და ძლევამოსილ მმართველს, ზემონახსენებ თურქსა [სულთანსა] და სუფის [შაჰს] შორის; რომ ის აგრძელებს ბრძოლას მათთან. ქრისტეს სიყვარულისთვის როგორც ქრისტიანს, მეუღრებოდა, მენუგეშებინა ამავე სომხის საშუალებით და მიმეცა მისთვის რჩევა, თუ როგორ გაეგზავნა მას ელჩი დასახელებულ რუსეთის იმპერატორთან.[58] მეთქვა, შესაძლებელად მიმაჩნდა თუ არა, რომ მისგან დახმარების იმედი ჰქონოდა. [წარმოგზავნილმა] კიდევ სხვა ბევრი საუღრებელი სიტყვა მითხრა, რომ მომეხსენებინა იმპერატორისთვის უკანა გზაზე მისი [ქართველი მეფის] საჭიროებების შესახებ. ისიც დაამატა, რომ მეფე თავადვე მომწერდა თავის აზრებს, თუმცა დარწმუნებული არ იყო, რომ გზავნილი ჩემამდე უსაფრთხოდ მოაღწევდა. [ამ ყველაფერზე] მეც იმგვარივე ფორმით, ზეპირად შევუთვალე პასუხი[59]: ვარწმუნებდი, რომ არა მარტო დაუეჭვებლად გაეგზავნა ელჩი რუსეთში, არამედ უნდა ჩაეთვალა ის ყველაზე ღირსეულად და მისთვის დახმარების მოსურნედ. მე, ასევე, ავუხსენი მას [სომეხ შიკრიკს], თუ როგორ უნდა გაეგზავნა [ქართველ] მეფეს იგი ჩირქაზის (ჩერქეზეთის) ქვეყნის გავლით, ტენერუკ მეფის[60] კეთილი ნებით, რომლის ქალიშვილზე მეფე [რუსეთის] არცთუ დიდი ხნის წინ დაქორწინდა“.[61] ჯენკინსონის რელაციონის ეს კონკრეტული პასაჟი ქართველი ისტორიკოსებისთვის ცნობილია და მის შესახებ არაერთ მეცნიერს აქვს აზრი გამოთქმული. როგორც უფლისწულის ვინაობასთან დაკავშირებითაა აზრი გაყოფილი, ასევე არაერთგვაროვნადაა იდენტიფიცირებული „ქართველი მეფის“ ვინაობაც: ნაწილი ლე-

[58] რელაციონის ორიგინალში ამ კონკრეტულ მონაკვეთში ინგლისურად სწორედ ტერმინი „იმპერატორია“ გამოყენებული, თუმცა სხვაგან ჯენკინსონი ივანე მრისხანეს მეფედ მოიხსენიებს – თ.ქ.

[59] აშკარაა, ორივე მხარე ფრთხილობს. რელაციონში ამის საჭიროება ირიბად ჩანს კიდეც: A. Jenkinson. in: Hakluyt's Voyages, გვ. 107-108;

[60] იგივე თემრიუკი/ტემრიუკი. ჯენკინსონი აქ უზუსტობას იჩენს. 1561 წელს ივანე IV-მ ცოლად შეირთო ყაბარდოს მბრძანებლის [ჯენკინსონი თქმით, ჩერქეზეთის მეფის] ტემრიუკ იდაროვიჩის ასული კუჩენა, რომელსაც მოსკოვში მარია დაარქვეს. Н., Смирнов. Политика России на Кавказе в XVI-XIX вв. 1958, გვ. 13.

[61] A. Jenkinson. In: R. Hakluyt. The Principle Navigations, Voyages, Traffiques and Discoveries of the English Nation" (1598-1600).

ვან კახთა მეფეს ვარაუდობს, ნაწილი – სიმონს,[62] არგუმენტები ორივეს მხარდასაჭერად თითქოს არსებობს. ჯენკინსონის რუსულ ენაზე მთარგმნელი გოტიე თარგმნისას ქართველ მეფეს აზუსტებს ფრჩხილით და მას სოლომონს უწოდებს.[63] ამ სახელის მატარებელი მეფე XVI საუკუნის 50-60-იან წლებში ქართულ სახელმწიფოებში არსად მეფობდა. თავად ტექსტის ინგლისურ ორიგინალში, რითიც ჩვენ ვხელმძღვანელობდით, ჯენკინსონი მეფეს სახელით არ მოიხსენიებს და საინტერესოა, გოტიეს საიდან მოაქვს შეცდომით სახელი – სოლომონი. ის, რომ ქართველი მეფე ორ ცეცხლს შუა – სპარსეთსა და ოსმალეთს შუა – მებრძოლად ჰყავს გამოყვანილი, ერთი შეხედვით, თითქოს ლოგიკურად გამოიყურება, რომ სიმონიც ვივარაუდოთ ჯენკინსონის მიერ ნახსენებ პიროვნებაში. საქართველოს ისტორიიდან კარგადაა ცნობილი, რომ ალამუტის ტყვეობის გამოკლებით, სიმონის მეფობა ქართლში ერთი უწყვეტი წინააღმდეგობის ჯაჭვია ორივე მიმართულებით. ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგადაა ცნობილი, თუ როგორ ცდილობდა ის ევროპელებთან კონტაქტების დამყარებას.[64] თუმცა, იესე უფლისწულთან დაკავშირებული ჰასან რუმლუს ცნობები ცალსახად გასაგებს ხდის, რომ კახეთის მეფის ვითომ „მშვიდობიანი" მდგომარეობა ფრიად მყიფეა და არ იძლევა საშუალებას იმისთვის, რომ დამატებითი ბერკეტები არ ყოფილიყო მოძიებული ან გამოყენებული.

ფაქტია, რომ XVI საუკუნის 60-იან წლებში სწორედ კახეთის მეფე ლევანსა და ივანე მრისხანეს შორის გაფორმდა ურთიერთობა, ქართველი მეფის ელჩებმაც სწორედ ის გზა გამოიყენეს, რომელზეც რელაციონის მოცემულ მონაკვეთშია საუბარი და, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ურთიერთო-

---

[62] ამ „ქართველ მეფეზეც" აზრთა სხვადასხვაობაა. ი. ცინცაძე და ვ. გაბაშვილი ვარაუდობენ, რომ ეს იყო ლევან კახთა მეფე. (ვ. გაბაშვილი. ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, გვ. 71-77; ი. ცინცაძე. მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისთვის. თბ. 1965, გვ. 278-282). ასევე ფიქრობს თ. ტივაძე (Т. Г. Тивадзе. Об Использовании Армянских купцов на дипломатической службе Грузинскими Царями. იხ. ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები. თბ. 1991, გვ. 243), ე. მამისთვალიშვილის აზრით, „ქართველი მეფე" უნდა იყოს სვიმონ I (იხ. ე. მამისთვალიშვილი. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (XV-XVI სს.). გვ. 178, მისივე. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XVI საუკუნის 50-60-იან წლებში. მაცნე. №2. 1982, გვ. 23).

[63] ი. გოტიე მის მიერ ნახსენებ „სოლომონში" სიმონს უნდა ვარაუდობდეს. თუმცა არ ჩანს, რას ეფუძნება მისი ეს ვარაუდი. ამასთან დაკავშირებით კომენტარი მის თარგმანს არ ახლავს. (Ентони Дженкинсон. Путешествие в Персию (пер. Ю. В. Готье) http://www.vostlit.info/Texts/rus11/Jenkinson/text23.phtml?id=421). ტექსტის ინგლისურ ორიგინალში ჯენკინსონი ისევე არ ასახელებს ქართველი მეფის ვინაობას, როგორც უფლისწულისას (თ.ქ.)

[64] ფილიპ ჰაბსბურგისადმი მიწერილი მისი წერილი ილია ტაბაღუას წყალობით სამეცნიერო ბრუნვაში უკვე ათწლეულებია არსებობს (იხ: ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. თბ. 1984, გვ. 222-227).

ბის ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანაში „მოსკოვიის კომპანიის“ სავაჭრო აგენტებსაც კი მიუძღვით გარკვეული როლი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის მეფემ, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეული დავალებები დააკისრა ჯენკინსონს. მეორე მხრივ, რელაციოდან საგულისხმოდ გვეჩვენება იმ ფაქტის ხაზგასმაც, რომ ქართველი მეფის მსგავსად, რუსეთთან ურთიერთობის პერსპექტივით დაინტერესებას იჩენს შირვანშაჰიც: „თან გამაყოლა თავისი ელჩი კვლავ რუსეთის იმპერატორთან და გამანდო თავისი უმთავრესი საქმიანობის საიდუმლო, რათა მომეხსენებინა უკან დაბრუნებისას მისი საიმპერიო ბრწყინვალებისთვის,“ – წერს აბდულა-ხანთან შეხვედრის შემდეგ უკან მოსკოვში მიმავალი ჯენკინსონი. ყოველივე ეს ლოგიკურად გვკარნახობს, რომ დარუბანდს მომდგარ რუსეთის სახელმწიფოსთან ურთიერთობის დამყარება, პირველ რიგში, სწორედ შირვანსა და მის დასავლელ მეზობელს – კახეთის სამეფოს უნდა ეცადათ. სხვათა შორის, ჩვენ ადრე გამოვთქვამდით ვარაუდს, რომ ერთგვარი თავისუფლება ამ მიმართულებით არსებობდა, სანამ თავად სეფიან სპარსეთსაც შაჰ აბასამდე ჰქონდა თანამშრომლური ურთიერთობა, რუსეთთან ანტიოსმალური კავშირის საჭიროებიდან გამომდინარე.[65]

დარწმუნებით ძნელია თქმა, კონკრეტულ მომენტში რა მოტივი ამოძრავებდა ჯენკინსონს, – ინგლისელთათვის საკუთარი ეკონომიკური პერსპექტივების გარკვევა, რუსეთის მეფისთვის საინტერესო ინფორმაციის ჩატანა, თუ ზოგადად, ის ინტერესი, რომელსაც ის პოლიტიკური ვითარების დაკვირვებისას გამოხატავს, თუმცა რელაციონიდან ვიგებთ, რომ ჯენკინსონი მხოლოდ რჩევების მიცემით არ შემოიფარგლა და ქართველ მეფესთან თავადაც სცადა დაკავშირება. სამწუხაროდ, პირადად მისი წარგზავნილის, ედუარდ კლარკის ქართველებთან შეხვედრა ვერ მოხერხდა: „სომეხის [შიკრიკის] ამგვარად გასტუმრებიდან ორი დღის შემდეგ, თქვენი მსახური ედვარდ კლარკი ქალაქ არაშში გავაგზავნე, სადაც მოიპოვება ყველაზე დიდი რაოდენობით აბრეშუმი. დავავალე მას, გაერგძელებინა გზა ქართულ სახელმწიფომდე და იქ როგორმე ზემონახსენებ მეფეს მიხმარებოდა. ჩემი დავალება და რეკომენდაციები მივეცი მას და გავანდე განზრახვა, რომ როგორმე მოეპოვებინა აღნიშნული მეფისგან ჩვენი ვაჭრებისთვის თავის სამფლობელოებში თავისუფალი გადაადგილებისა და ვაჭრობის უფლება და ყოველივეს მოგვარების შემდეგ,

[65] თ. ქარჩავა. ქართველთა მეფეების საერთაშორისო კონტაქტებისა და მათი დესპანების ვინაობის შესახებ XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნეში. ჟურნ.: „ინტელექტუალი“. თბ. 2009, გვ. 67-68.

სწრაფად დაბრუნებულიყო უკან. ეს თქვენი მსახური [კლარკი] გაემგზავრა ქალაქ არაშში და იქ ნახა ზოგიერთი სომეხი ვაჭარი, რომლებიც დაჰპირდნენ საქართველოს აღნიშნულ ქალაქში ჩაყვანას. მიუახლოვდნენ კიდეც საზღვარს, თუმცა გარნიზონის მეთაურმა გაიგო, რომ ის ქრისტიანია და გამოჰკითხა, საით მიეშურებოდა. [ამ უკანასკნელმა] გაიაზრა რა, რომ დიდი დაეჭვების გამოწვევის გარეშე მეტად გზას წინ ვეღარ გააგრძელებდა, უპასუხა, რომ აქ მოვიდა აბრეშუმის შესაძენად და უჩვენა მას ჰირკანის[66] მეფის წერილები, რომლებიც თან ჰქონდა".[67]

აქვე გვინდა რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ, თუ რა იგულისხმება ჯენკინსონის ფრაზაში, რომ სურდა „ქართველთა მეფეს დახმარებოდა". ჩვენი ვარაუდით, ჯენკინსონმა თავისი თანამემამულე, ედუარდ კლარკი, კიდევ უფრო მეტი სათქმელით მიავლინა, ვიდრე ქართველი მეფის გამოგზავნილ სომეხ პირს მოახსენა ზეპირად. თუმცა, საკუთარი ეკონომიკური ინტერესები რომ გვერდით არ რჩება, ეს იქიდან ჩანს, თუ როგორ ცდილობს, ქართველი მეფისთვის „დახმარების" სანაცვლოდ მისგან ინგლისელი ვაჭრებისთვის თავისუფალი გადაადგილებისა და კომერციის ნებართვის მოპოვებას. ეს კიდევ ერთი ირიბი სახის დამატებითი არგუმენტია იმის დასტურად, რომ კახეთის მეფესთან ცდილობენ დაკავშირებას. ამ ეტაპზე კახეთში, ისევე როგორც შირვანში, ნედლი აბრეშუმის დამუშავება ფრიად პოპულარული საქმიანობაა (კასპიისპირეთის დასავლეთ და სამხრეთ სანაპირო სეფიანური ირანის ყველა მკვლევრის თანახმად, ნედლი აბრეშუმის წარმოების რეგიონადაა მიჩნეული[68]). ეკონომიკური შესაძლებლობებით კახეთი ამ დროის საქართველოში ყველაზე განვითარებული და ძლიერი მხარეა; ბუნებრივია, ამის გათვალისწინებით, სწორედ აქ უნდოდათ ინგლისელებს ამ ეტაპზე ფეხის მოკიდება.

კასპიისპირეთის გავლით უკან ჯენსკინსონი 1563 წლის 20 აგვისტოს მოსკოვში ჩავიდა. ჩასვლისთანავე გაიმართა მისი აუდიენცია ივანე მრისხანესთან, რომელსაც შაჰის გამოგზავნილი ხალათი მიართვა და მასთან საუბარიც გამართა. რელაციიდან ვიგებთ, რომ მოსკოვის ხელმწიფე დაინტერესდა, თუ რამდენად გაართვა თავი ჯენკინსომა სამხრეთ კავკასიის მიმართ მის დავალებებს: „მისი უმაღლესობა მესაუბრა იმ მეფის საქმეებზე, რომელიც მე

[66] იგულისხმება შირვანის – თ.ქ.

[67] A. Jenkinson. In: R. Hakluyt, "The Principle Navigations, Voyages, Traffiques and Discoveries of the English Nation" (1598-1600).

[68] Edmund M. Herzig. Rise of the Julfa Merchants. In: Safavid Persia: The History and Politics of an Islamic Society (ed. Ch. Melville). University of Cambridge. Cambridge. 1996, გვ. 309-312.

მომანდო საზრუნავად“[69] – წერს ის. სავარაუდოდ, აქ ქართველ მეფესთან ურთიერთობა უნდა ვიგულისხმოთ. შემდეგ ინგლისელი სავაჭრო აგენტი კიდევ ერთ საინტერესო ფრაზას ამბობს, რომლითაც პრაქტიკულად, შეიძლება ითქვას, რომ საკუთრივ ინგლისისა სავაჭრო-პოლიტიკური ინტერესების გამტარებლის გარდა (როგორც მოსკოვიის კომპანიის წარმომადგენელი), მოსკოვის ხელმწიფის ხელდასხმული აგენტის როლში გვევლინება, რადგან ეს აუცილებელი პირობაა, როგორც „მოსკოვიის კომპანიის“ შემდგომი საქმიანობის გასაფართოებლად, ასევე იმ ტრაფიკის უზრუნველსაყოფად, თუკი ჩრდილოეთის გზა იქნება გამოყენებული აღმოსავლეთთან დასაკავშირებლად: „ჩემმა მონათხრობმა ნასიამოვნები დატოვა, შეესაბამებოდა რა მის სურვილებს და მითხრა: მე გამიწიე კარგი სამსახური, რისთვისაც გმადლობ და დაგაჯილდოვებ ამისთვის. [რუსეთის ხელმწიფემ] ასევე ისურვა, რომ კიდევ ვიმოგზაურო იქ მისი საქმეებისთვის და გავუწიო სამსახური. მე ვუპასუხე, რომ გულითადად მოხარული ვიყავი, რომ ჩემი სამსახური ასე მისაღები აღმოჩნდა მისი უმაღლესობისთვის და რომ ეს ყველაფერი, რაც გავაკეთე, იყო მხოლოდ მოვალეობა. თავი დავუკარი მორჩილად, რათა განეგრძო თავისი კეთილგანწყობა თქვენდამი[კომპანიისადმი] და, ამავე დროს, მოკრძალებულად ვთხოვე მის დიდებულებას მოებოძა ახალი პრივილეგიები თქვენთვის, უფრო ფართო, ვიდრე უწინდელი. ეს მაშინვე იქნა ბოძებული და მეც წამოვედი.“[70]

ჯენკინსონი ინგლისში დაბრუნდა 1564 წელს. მან კიდევ ორი მოგზაურობა მოაწყო რუსეთში, თუმცა აზიაში აღარ დაბრუნებულა. მიუხედავად ამისა, იგი ნამდვილად ერთ-ერთი უდიდესი ინგლისელი მოგზაური და პიონერი იყო ამ მიმართულებით. ენტონი ჯენკინსონის მიერ დატოვებული ჩანაწერები კი საგულისხმო და საინტერესო ინფორმაციას შეიცავს არა მხოლოდ ევროპა-აღმოსავლეთის, ოსმალებისა და სეფიანების, ასევე მზარდი რუსეთის სახელმწიფოს საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლის კუთხით; გამჭრიახი თვითმხილველის – ჯენკინსონის რელაციონი გვეხმარება გარეშე თვალით შევხედოთ სეფიანთა სპარსეთისა და ოსმალთა დაპირისპირებაში უნებურად ჩართული სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისა და ხალხების მდგომარეობას, განპირობებულს როგორც შიდა დაპირისპირებებით, ასევე სეფიან-ოსმალთა მიმძლავრების ანდა მათი ერთმანეთში ბრძოლის ველად ქცევით; აგრეთვე, მისი, როგორც ნეიტრალური ავტორის, ცნობების ქართულ და სპარსულ წყაროებთან შეჯერებით, დავაზუსტოთ ქართული ისტორიოგრაფიისთვის რიგი საკამათო საკითხები.

[69] A. Jenkinson. in: Hakluyt's Voyages, გვ. 110

[70] Jenkinson Anthony, in: Hakluyt's Voyages, გვ. 111.

Tea Karchava
Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ENGLAND'S COMMERCIAL AND DIPLOMATIC GOALS IN THE EAST AND SOME ISSUES OF GEORGIAN HISTORY (ACCORDING TO ANTHONY JENKINSON'S NOTES)

Summary

In the present paper the economic and diplomatic motivations of visits of English merchants to Persia and the South Caucasus is analyzed against the background of relationship between Europe and the East. Also, impartial comparison of the obtained material with the Georgian and Persian sources allows us to define precisely a number of controversial issues of Georgian historiography.

Great geographical discoveries that fundamentally changed social, economic and mental development of European states, and significant expansion of the Ottoman Empire put one of the problematic issues for the early modern Europe on the agenda – to confront the new reality or to accept it. Besides, the cataclysms of that period provoked an unprecedented interest in having trade routes and markets for trading in every direction (Asia, Africa and America).

Within the context of the confrontation, some attempts were made to create anti-Ottoman coalitions. The West considered that Safavid Persia would be the best partner for that as the main enemy of the Ottoman Turks in the East. However, anti-Ottoman coalitions were not able to unite all the states of Western Europe and to keep to one standpoint: in that period the Habsburgs were in constant confrontation with the Ottoman Empire, while France was its ally; in Levant, the position of Venice was staggering according to their own interests, and the English were primarily driven by economic motives. They wanted to seize new trading areas in the Mediterranean and in general in the East and did their best for that. Through different ways they managed to enter the Ottoman controlled area and the Near East.

In 1558-1581, the representatives of the "Muscovy Company", the English company well-established on the Russian market, had seven visits in the East – one in Central Asia, and six in Safavid Persia. The reports on each visit

were submitted to the company and to the Royal Court and are included in the famous work of Richard Hakluyt "The Principal Navigations, Voyages, Traffiques and Discoveries of the English Nation". The English merchants were trying and struggling for opening a way in that direction. They left interesting materials about Safavid Persia and about the South Caucasian nations controlled by that state; about the relationship of those nations with Persia, Ottoman Empire and Russia; about internal economic conditions and political situation etc. However, in terms of specific political situation in Georgian states and the information provided in the materials of Anthony Jenkinson (we mean his full account that we translated rather than the fragmentary information of other Georgian researchers), we consider that first of all the accounts of his travels in Persia and the South Caucasus are worthy of attention.

Antony Jenkinson's accounts show the broad travelling profile of English trade agents, their diplomatic flexibility and insight in political situation that is clear from his conversations with the people he met during his traveling and especially in his actions and conversations during his audience with the shah. It is noteworthy that in that moment he did not miss an opportunity to note the goal of the Ottoman ambassadors' visit to Shah and the result they achieved. Also, he noticed their negative attitude to his visit and the factors that were the impediments in obtaining the trade privileges from the Safavid dynasty. The same can be said about his contact with Shah's subordinate Shirvan and Georgian kings, about his assessment of political situation in these countries and his attempts to establish foreign relationships. Naturally, as a representative of the trade company he assessed the scale of silk production as the main export goods in Safiavid Iran and its dominions, and the prospects of its exchange for English broadcloth. His account clearly shows that Kakheti and Shirvan, which were the Safavid dominions, were the row silk production areas. Also, he was well-aware of the main European competitors in the East and tried to get rid of the Venetians that was not so easy, because they were well established in Tabriz. It is of interest how skillfully Jenkinson tries to gain Shah's goodwill for England when he portrays them as the enemies of Portuguese (appearance of the Portuguese in the Gulf of Persia greatly strained relations between them and Safavids) and, also, what potential risks he sees in the case if the South Caucasian nations decide to pursue an independent policy etc.

Similarly to the material of other travellers, the accounts of Anthony Jenkinson, the farsighted witness, clearly show the interest of Safavid Empire to

the political course of European states and Russia. No less interesting is that Russia, which had already appeared in the international arena by that time, was concerned in communication with the South Caucasian countries and actually, Jenkinson carried out the assignments of Russia (in addition to the assignment of his company and its interests) while travelling in the Safavid dominions (otherwise he would not be permited to travel through Russia).

It is not disputable that the 16th century was very difficult for Georgia, when the fragmented country being under the influnce of Ottoman Turks and Safavids, was struggling for survival. There are not very many Georgian sources about this period. Therefore, any material that can help us to reconstruct the events that took place in the past of our country and to see the picture in a wider spectrum is of special importance for us. In the paper we try to connect the fragments, where Anthony Jenskinson mentions Georgians, and also compare them with the relevant Persian, Ottoman and Georgian sources of the same epoch. That adds more clarity to the analysis of Georgian political, economic and diplomatic problems of the 16th century and to the dispute regarding the identification of the persons (Georgians) mentioned in the report

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIV
თბილისი. 2018

ევგენი ჭანიშვილი
თსუ

დავით ალექსანიანი
აღმოსავლური ნუმიზმატიკის ასოციაციის წევრი

შაჰ აბას I-ის ზაგემის ზარაფხანის ახალი სამონეტო ემისიები

საქართველოში XVI საუკუნიდან მუშაობას იწყებს კიდევ ერთი ქართული, ზაგემის,[1] ზარაფხანა, რომელმაც, როგორც ბოლო კვლევებით აღმოჩნდა, უხვი სამონეტო მემკვიდრეობა დაგვიტოვა როგორც ვერცხლის, აგრეთვე სპილენძის ემისიებში, რომელთა ახალი ცალები და სახესხვაობები აქტიურად ქვეყნდება მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო კრებულში. თუმცა, აღნიშნული მონეტების სიუხვის გამო, ბევრი ახალი ეგზემპლარი კიდევ შესასწავლი და გამოსაქვეყნებელია. ჩვენი მიზანია, აღვწეროთ შაჰ აბას I-ის ვერცხლის სამონეტო ემისიების მხოლოდ ახალი ცალები და სახესხვაობები.

კახეთის სამეფოში საკუთარი ზარაფხანის არსებობის შესახებ პირდაპირ ცნობებს ირანელი ისტორიკოსი, ისქანდერ მუნში გვაწვდის – „შვიდი საქართველოდან კახეთმა, ქართლმა, მესხეთმა, რომელთა ურწმუნო ქართველები რჯულის მასახელებელთა ისერებით დაიხოცნენ, ქედზე მორჩილების უღელი დაიდგეს. იმათმა მმართველებმა ქვეშევრდომობა იკისრეს, იმ დიდებული ბატონის ხელიდან მიიღეს ძალაუფლება, ხარაჯისა და ჯიზიას გადახდა დაივალეს, ხუტბა იმ სახელოვანი და მაღალადგილოვანი ბატონის სახელზე აღავლინეს და ფულიც იმის სახელით დაამშვენეს“.[2]

[1] ადრეულ ქართულ წყაროებში მოხსენიებული, როგორც ბაზარი XV-XVI საუკუნეებში კახეთის სამეფოს მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი, ხოლო XVI საუკუნეში კახეთის სამეფოს დედაქალაქი იყო. დღევანდელი სოფ. ზაგამი (Zəyəm), აზერბაიჯანი.

[2] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. ვ. ფუთურიძეს თარგმანი. თბ. 1964, გვ. 14.

ზაგემის ზარაფხანაში პირველი მონეტა თაჰმასპ I-ის (1524-1576) სახელზე მოიჭრა,[3] აქედან მოყოლებული აქტიურად იწყება სამონეტო ემისიების გამოშვება. რაც შეეხება შაჰ აბას I-ის (1587-1629) ემისიებს, პირველად ფუნდამენტურად მკვლევარმა თ. ქუთელიამ აღწერა და გამოყო ორი სამონეტო ემისია, ნომინალებით აბბასი (7,76 გრ.-7,5გრ.) და მუჰამმადი (3,8 გრ.).

პირველ ახალ სამონეტო ტიპს, რომელსაც ჩვენ შევეხებით, ნომინალით ერთ აბბასს წარმოადგენს (სურ. 7, სურ. 8). აღწერილობა შემდეგნაირია:

შუბლი: ფიგურულ ჩარჩოში ჩასმული შიიტური რწმენის ფორმულა, ოღონდ აღნიშნულ ცალებზე სიტყვა رسول (მოციქულის) მაგივრად, ჩასმულია სიტყვა نبی წინასწარმეტყველი.

لا اله الا الله محمد نبی الله علی ولی الله

არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამმადი წინასწარმეტყველია ალლაჰისა, ალი თანაგამზრახია ალლაჰისა.

სეგმენტებში 12 იმამის სახელი: حسین محمد علی / علی جعفر محمد / حسن علی موسی / علی حسن محمد

ალი, ჯაფარი, მუჰამედი / ჰუსეინი, მუჰამედი, ალი / ალი, ჰუსეინი, მუჰამედი / ჰუსეინი, ალი, მოსე (მუსა).

ზურგი: ცენტრში სწორკუთხა ოვალური ჩარჩოში მოთავსებულია შემდეგი წარწერა:

شاه بنده و لایت عباس ضرب زگم

ქვეყნიერების მეფის მონა აბბასი, იჭედა ზაგემს.


ჩარჩოს თავზე წარწერა: გაახანგრძლივოს ღმერთმა მისი მმართველობა

خلد الله ملکه

ჩარჩოს ქვემოთ: მისი ძალაუფლება, მისი სამართლიანობა და მისი მოწყალება

سلطانه وعدله واحسانه

[3] თ. დუნდუა, გ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV ნაწილი. თბ. 2015, გვ. 16.



სურ. 1

მონეტის რეკონსტრუქცია

საინტერესოა, რომ აღნიშნულ მონეტაზე ქალაქ ზაგემის დამწერლობა, რომელიც სტანდარტულისგან საგრძნობლად განსხვავდება. იგი დაწერილია არა زگم ან گمز (აგრეთვე სახელის სპეციფიკური დამწერლობა), როგორც ეს თ. ქუთელიას აქვს აღწერილი,[4] არამედ როგორც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვერტიკალურად დაწერილი ასოები. ასო მიმ-ს (م) წაგრძელებული აქვს კუდი რომელზეც მოთავსებულია ასოები.



სურ. 2

ან შეიძლება მეორე მოსაზრებით, აღნიშნული ასო მიმ-ის წაგრძელება მივიჩნიოთ ალეფად (ا), ხოლო დამწერლობის სახე კი შემდეგნაირად كزا. თუმცა, პირველი ვარიანტი უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია. უშუალოდ მონეტა ნასხის დამწერლობით არის შესრულებული, ხოლო ჰიჯრით თარიღი არ არის დატანილი.

საინტერესოა კიდევ ერთი ახალი მონეტა (სურ. 9), ნომინალით ერთი აბბასი, რომელსაც აგრეთვე ზემოთ ნახსენები, ზაგემის სახელის, სპეციფიკური დამწერლობა აქვს. ზარაფხანის სახელი - زگم გრაფემებით - „ზგმ“ (ზა-

[4] Т. С. Кутелия. Грузия и сефевидский Иран. Тбилиси 1979. გვ. 16-20.

გემ) დაწერილია შემდეგნაირად - گمز გრაფემებით „გმზ“. მონეტა დაზიანებულია და არ ახლავს მოჭრის თარიღი. მონეტის აღწერილობა:

წონა – 7,67გრ.


შუბლი: შიიტური რწმენის ფორმულა – არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამმადი წინასწარმეტყველია ალლაჰისა, ალი თანაგამზრახია ალლაჰისა.

لا اله الا الله محمد نبى الله على ولى الله

ზურგი: ცენტრალური წარწერა - ქვეყნიერების მეფის მონა აბბასი, იჭედა ზაგემს.

شاه بنده ولايت عباس ضرب گمز

ვიძლევით მონეტის რეკონსტრუქციას:




სურ. 3

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თ.ქუთელიამ თავდაპირველად აღწერა ზაგემში მოჭრილი ვერცხლის მონეტების ორი ნომინალი (აბბასი და მუჰამმადი) თუმცა, ბოლო აღმოჩენებით, კახეთში სეფიანთა მონეტების ახალ ეგზემპლარებთან[5] ერთად, ახალი ნომინალებიც აღმოჩნდა.

მათ შორის ჩვენ მიერ აღწერილი ახალი სამონეტო ტიპის ახალი ნომინალი - ერთი შაჰი (სურ. 10), რომელიც ერთი აბბასს წარმოადგენს, მონეტის ლეგენდების მნიშვნელობა სურ. 7 და სურ. 8 მონეტის ინდეტურია.

[5] И. Пагава, С. Туркина. Новые данные о Чекапке Сефевидской монеты в царстве Кахети. Расмир: Восточная нумизматика. 1-я международная конференция. 29-31 июля 2011 г. ред. И. Пагава, В. Безпалько. Одесса: ТДМ. 2013, გვ. 105-112.

წონა 1,83 გრ. დიამეტრი 15 მმ. მონეტა გახვრეტილია, რაც ძველად საკმაოდ ხშირი მოვლენა იყო, განსაკუთრებით აღმოსავლეთში.[6] ვიძლევით რეკონსტრუქციას:



სურ. 4

დახვეწილი კალიგრაფიით არის შესრულებული კიდევ ერთი ახალი სამონეტო ტიპი (სურ. 11), ნომინალით - ერთი შაჰი. რომელსაც აგრეთვე არ გააჩნია თარიღი.

წონა- 1,98 გრ. დიამეტრი 15,3 მმ.

შუბლი: წრიულ ჩარჩოში მოთავსებულია შიიტური რწმენის ფორმულის ნაწილი

علی ولی الله

წრიული ჩარჩოს ირგვლივ რწმენის ფორმულის დანარჩენი ნაწილი

لا اله الا الله محمد نبی الله


ზურგი: ცენტრალური ლეგენდა: ქვეყნიერების მეფის მონა აბბასი, იჭედა ზაგემს.

شاه بنده ولایت عباس ضرب زگم

ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი მონეტები შესრულებული იყო სტანდარტული დამწერლობით, მაგრამ ხშირად შაჰ აბას I-ის სახელით მოჭრილი

[6] XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე არა ერთი შემთხვევაა დაფიქსირებული ვერცხლის მონეტების, მათი მიმოქცევიდან ამოღების შემდეგ, საყოფაცხოვრებო ნივთებად გადაკეთების. მაგალითად, ჩვეულებრივ მოსართავებად, კულონებად, ღილებად, საყურეებად და ა.შ. რაც, განსაკუთრებით ხშირია დაბალი ნომინალის მქონე მონეტების შემთხვევაში.

მონეტები საკმაოდ უხეში სიქით არის დამზადებული, რის გამოც მონეტებზე ლეგენდები ცუდად არის დატანილი. ეს კარგად ჩანს ერთი შაჰის ნომინალის ახალ ქვეტიპებზეც. ვიძლევით რეკონსტრუქციას (სურ. 5):



სურ. 5

წონა - 1,73 გრ. დიამეტრი - 14,9 მმ. თარიღი არ იკითხება.

საყურადღებოა, რომ აღნიშნულ მონეტაზე დარტყმულია მხოლოდ ორი განსხვავებული ზურგის მხარე, ხოლო შიიტური რწმენის ფორმულა, რომელიც ჩვენ მიერ აქამდე განხილულ ყველა მონეტაზე გვხვდებოდა, საერთოდ ამოღებულია. აღნიშნული ცალი ნომინალით ერთი აბბასი ჯერ კიდევ მკვლევარ თ. ქუთელიას აქვს აღწერილი, მაგრამ მისი უფრო დაბალი ნომინალური ერთეული ერთი შაჰი (სურ. 12) აქამდე ცნობილი არ იყო.

აბას I-ის აღნიშნული ემისიებიდან ჩვენ მივაკვლიეთ კიდევ ერთი ახალ ქვეტიპს ნომინალებით ერთი აბბასი (სურ. 13), წონა – 7,4 გრ., დიამეტრი 24,7 მმ., აგრეთვე ნომინალით ერთი შაჰი (სურ. 14), წონა – 1,85გრ., დიამეტრი – 16,9მმ., რომელებიც გაცილებით უხეში სიქებით არის შესრულებული, მაგრამ ორივეს შერჩენილი აქვს მოჭრის თარიღი – 1011 წელი ჰიჯრით (=1602 წ.), რომელიც უმეტეს შემთხვევაში მონეტების ცუდი შენახულობის გამო არ იკითხება. მონეტაზე არსებული სხვა ლეგენდები სტანდარტულია და არ შეიცავს რაიმე სახის სიახლეს ან სახესხვაობას.

შაჰ აბას I-ის ლაშქრობების შემდეგ კახეთის სამეფოს ეკონომიკური აღმავლობა საგრძნობლად და დიდი ხნით დაქვეითდა. რა თქმა უნდა, კრიზისი შეეხო ქალაქ ზაგემსაც, რომელმაც დროთა განმავლობაში დაკარგა ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ქალაქის სტატუსი, დაკნინდა და გაუკაცრიელდა. თუმცა დიდი ხნის განმავლობაში ქ. ზაგემის სახელი ცნობილი იყო არამხო-

ლოდ აღმოსავლეთში არამედ ევროპაშიც კი. ჩვენთვის ცნობილ ყველაზე ადრეულ ოსმალურ ატლასზე ქ. ზაგემი კახეთის მთავარ ქალაქად არის დატანილი (სურ. 6).[7] მართალია, სამონეტო ემისიების გამოშვება სეფიანი მმართველების საზელით კახეთის ვასალობას ნიშნავდა, მაგრამ ეს დამოკიდებულება მაინც პირობითი იყო, რადგან მონეტები იჭრებოდა კახეთის მეფეების მიერ, რაც კარგად ჩანს ზაგემის სპილენძის ემისიებში, ხოლო ვერცხლის მონეტები ფართო მიმოქცევაში იმყოფებოდა კახეთის სამეფოს ფარგლებს გარეთაც.



სურ. 6

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზაგემის ზარაფხანაში გამოშვებული სამონეტო ემისიების კვლევა დღემდე აქტიურად მიმდინარეობს. ბევრი მონეტა ჯერ კიდევ აღმოსაჩენი, შესასწავლი და გამოსაქვეყნებელია. სამწუხაროდ არსებული ეგზემპლარების საგრძნობი რაოდენობა საკმაოდ დაზიანებულია, რის გამოც რთულდება აღნიშნული ცალების სრული გაშიფრვა და მათი ამა თუ იმ მართველისადმი მიკუთვნება.

[7] А. В. Акопян, Д. Л. Алексанян. Гянджиский клад и медний чекан кахеминсково царства. эптграфика востока. XXXI. Москва. 2015, გვ. 4-5.



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12



სურ. 13



სურ. 14

Evgeni Chanishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

David Alexanian
Member of Oriental Numismatic Society

THE NEW COINS OF ABBAS I FROM THE MINT OF ZAGEMI

Summary

From the 16th century another mint, Zagemi, started to operate in Georgia. Recent studies have shown that the mint left a rich monetary heritage, both in silver and copper emissions. Its new specimens are actively being published in many scholarly works, but a lot of new coins are yet to be studied. Our goal is only to describe the new specimens of the silver coinages of Abbas I and present their history.

The first coin in Zagemi was minted by the Persian Shah Tahmasp I. Since that time, the city started to circulate its own coins. The main source about that is shown from the works of Persian historian of Turkmen origin Iskandar Munshi, where he reports that Georgian kingdoms were conquered, and the kingdoms of Kakheti, Kartli and Meskheti minted coins in the name of their master (conqueror).

The first work about the coins of Kakheti kingdom (eastern Georgia) belongs to T. Kutelia, who perfectly describes the newly found silver Zagemi coins (and also the coins of Abbas I) and allocated the two main denominations – one abbasi (weighting ca. 7.76 g.-7,5 g.) and one muhammadi (weighting ca. 3.8g.).

The first new type of the coin which we want to describe is one abbasi (pic.7; pic.8) with no year of issue.

Av. Shia religious formula in four lines, where the word رسول (messenger) was changed by نبی (prophet).

– There is no God but Allah alone, Muhammad is the prophet of Allah, ‘Ali is the wali of Allah.

لا اله الا الله محمد نبی الله علی ولی الله

Rv. In the center Persian text – Slave of the king of purity, Abbas, struck at Zagemi.

بنده شاه و لایت عباس ضرب زگم

Around another Persian formula and the names of twelve Shia Imams.

The unique in that coin is the way how the name of Zagemi is depicted. All letters are written separately and placed on the elongated ending of the letter mim - م (pic. 2). The description of that word on Abbas I's coins by T. Kutelia, it was known as زگم or گمز.

Also new researches show that the coins in the name of Abbas I were struck in another denomination – one shahi (1/4 of abbasi). We found an almost identical coin to what we have described (pic. 7, pic. 8) above (one abbasi), but which is of shahi (pic.10) denomination (weight 1.98 g.).

Also, another new coin with shahi denomination (1.73 gr.) is interesting (pic. 12), as it also does not have the date of issue. Two different dies were used, while the Shia creed of faith was removed.

The last type (two coins), which we describe, are in two different denominations: one abbasi (pic.13) and one shahi (pic14). It is notable that both of them contain the minting date as 1011 AH. (= 1602) which is rare due to the bad condition of those coins.

As a conclusion, it could be said that Zagemi was the main strategic city in Kakheti kingdom, which is clearly shown on the Ottoman map (pic. 6). However, after the conquests of Abbas I, Kakheti kingdom weakened mainly due to the crisis in the capital Zagemi. The city gradually lost its economic importance and was later on deserted. But the huge heritage left by the Zagemi mint still has to be well researched.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIV
თბილისი. 2018

აპოლონ თაბუაშვილი
ასოცირებული პროფესორი, თსუ

XVI-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური ისტორის საკითხები (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები და მისი გავლენა ყოფით ცხოვრებაზე)

XV საუკუნის ბოლო მეოთხედში ოსმალეთის სახელმწიფო სამეფო-სამთავროებად დაშლილ საქართველოს გაუმეზობლდა, როგორც სამხრეთ-დასავლეთიდან, ასევე, ჩრდილო-დასავლეთიდანაც. ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა ის გზები, რომლებიც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს ერთმანეთთან აკავშირებდა. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით აღმოსავლეთისა და დასავლეთის ძველი სავაჭრო გზა თანდათან მოიშალა და დამყარდა კავშირ-ურთიერთობის ახალი სისტემა.[1] შედეგად საქართველო თითქმის მთლიანად მოწყდა ახალ საერთაშორისო სავაჭრო გზებს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე უარყოფითად აისახა.

ვინაიდან 1555 წლის ამასიის ზავის მიხედვით დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები ოსმალეთის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო ირანის გავლენის ქვეშ მოექცა, დაირღვა ქვეყნის ორ ნაწილს შორის ეკონომიკური და სხვა სახის კავშირ-ურთიერთობები.

შავი და აზოვის ზღვების სანაპირო ქვეყნებთან ვაჭრობა ევროპელებს ამიერიდან მხოლოდ ოსმალთა მეშვეობით შეეძლოთ. ყველა გზა, რომლის საშუალებითაც დასავლეთ საქართველო საგარეო ვაჭრობას ახორციელებდა, ოსმალთა ხელში გადავიდა.[2] ამ პერიოდში ოსმალეთი სრულად აკონტროლებდა დასავლეთ საქართველოდან გამავალ გზებზე არსებულ საბაჟო სისტემას.

[1] ვ. გუჩუა. საქართველოს პოლიტიკური ვითარება XV-XVI სს. მიჯნაზე. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 87.

[2] ვ. გუჩუა. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა XVI-XVII საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 163-164.

საბაჟოებზე არსებულ ვითარებას კარგად ასახავს ჟან შარდენის ცნობები. ავტორი დეტალურად განიხილავს ერთ-ერთ მათგანს: „გონიოში არის საბაჟო, რომელიც ცნობილია თავისი სიმკაცრით". შარდენი საბაჟოს „ყაჩაღების ბუნაგს" უწოდებს.[3] იგი აღნიშნავს: „...ჩემგან წაიღეს ოცდაორი პისტოლი ოქროთი და ყველაფერი ის, რაც მოეწონათ იმ წვრილმანი ნივთებიდან, რომლებიც ჩანთაში მქონდა... მე ვუპასუხე, რომ... უსამართლოდ აიღო ბაჟი ჩემი ფულიდან, რადგან არც ვერცხლზე და არც ოქროზე ბაჟი არ არის დაწესებული. მან მიპასუხა, რომ მე ვცდები, რომ უსამართლოდ არ მომქცევია და გონიოში უგამონაკლისოდ ყველაფერზე ახდევინებენ ბაჟს...". შარდენს, მოგვიანებით, კიდევ გადაახდევინეს ასი დუკატი.[4] ასეთ პირობებში, ცხადია, დასავლეთ საქართველოს საგარეო ვაჭრობა სრულად დაექვემდებარა ოსმალეთის ინტერესებს და ადგილობრივი ვაჭრებისათვის დაიხურა საგარეო ბაზრები. პროცესმა საგრძნობლად დააქვეითა როგორც საგარეო ვაჭრობა, ასევე ქვეყნის შიგნით არსებული აღებ-მიცემობა. დასავლეთ საქართველოსათვის პირველადი მოთხოვნილების საქონლის მიწოდება ოსმალეთის პოლიტიკურ ნებაზე გახდა დამოკიდებული. მაგალითად, ხშირად იქმნებოდ მარილის დეფიციტი. იყო შემთხვევები, რომ ქართველი მეფე-მთავრები ხარკს იმ პირობით იხდიდნენ, თუ ოსმალები გემებით მარილს და სხვა პირველადი მოთხოვნილების ნივთებს შეიტანდნენ ქვეყანაში.[5]

ოსმალეთი დაინტერესებული იყო დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური დაუძლურებით, რათა მოსახლეობისთვის შემოსავლების მიღების უმთავრეს საშუალებად ტყვეებით ვაჭრობა ქცეულიყო. დასავლეთ საქართველოში ისედაც დაბალნაყოფიერი მიწები იყო, სადაც ფეოდალური ეპოქისათვის მთავარი პროდუქტი – ხორბალი – ნაკლებად მოჰყავდათ. ჩანს, ქვეყნის ამ ნაწილში მნიშვნელოვნად შემცირდა აღმოსავლეთ საქართველოდან ხორბალის და სხვა პროდუქციის შეზიდვა, ხოლო ადგილობრივი პროდუქცია თითქმის აღარ იყიდებოდა ქართლსა და კახეთში. პარალელურად, დასუსტდა დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები ირანსა და მცირე აზიასთან.[6] მართალია, არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს, რომ ქუთაისში ოსმალეთიდან, ქართლიდან და ირანიდან შედიან ვაჭრები, ასევე, ადგილობრივი ვაჭრებიც სტუმ-

[3] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბ. 1975, გვ. 261-262.

[4] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 262-263.

[5] ვ. გუჩუა. საქართველოს პოლიტიკური რუკა XVI-XVII სს., გვ. 229; С. А. Белокуров. Материалы для русской истории. Москва. 1888, გვ. 323.

[6] ვ. გუჩუა. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა XVI-XVII საუკუნეებში, გვ. 163.

რობენ აღნიშნულ ქვეყნებს, თუმცა ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმერეთში შეტანილ საქონელზე და არა ექსპორტზე.[7] ზოგადად, წყაროებიდან ირკვევა, რომ ამ პერიოდში გარე სამყაროსთან და, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოსთან, დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ძალიან შეზღუდული იყო. ქვეყნის ორ ნაწილს შორის თუ რამდენად დარღვა კავშირ-ურთიერთობები, ამას ნათლად ასახავს შარდენის ცნობები – შარდენი სამეგრელოდან ქართლში გაემგზავრა არა უფრო მოკლე გზით, იმერეთზე გავლით, არამედ, გონიოსა და ახალციხის გავლით, სადაც წინასწარ იცოდა, რომ მოუწევდა „თავისი სიმკაცრით“ ცნობილი საბაჟოს გავლა.[8] ხოლო, როდესაც შარდენი თბილისიდან სამეგრელოში გამგზავრებას აპირებდა, მისი სიტყვებით: „გვეგონა ცხენებს ვერ ვიშოვიდით ქირით, რადგან სამეგრელოში არავის უნდოდა წამოსვლა. ბოლოს, როგორც იქნა, ფულის წყალობით, ორი გამყოლი ვიშოვეთ, რომელთაც აღვუთქვით, რომ ავუნაზღაურებდით ცხენებისა და ბარგი-ბარხანის საფასურს, თუ რაიმე ხიფათი შეგვექმნებოდა...“. ჩხარში მისვლის შემდეგ კი ქართველ გამყოლებს გზის გაგრძელებაზე კვლავ უარი განუცხადებიათ. საბოლოოდ, ერთ-ერთ გამყოლს წერილობითი საბუთი მოუთხოვია, სადაც ჩაუწერიათ, რომ მოგზაურობის დროს თუ გამყოლები ტყვედ ჩავარდებოდნენ, შარდენს უნდა გამოეხსნა ისინი, ხოლო სიკვდილის შემთხვევაში, მათი ცოლებისათვის ოთხმოცი-ოთხმოცი ეკიუ გადაეხადა.[9]

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობების შემცირებაზე მიუთითებს, ასევე, XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგის მიერ შედგენილი დასტურლამალი, რომელიც, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, თბილისში შეტანილი საქონლის საბაჟო გადასახადებსაც ეხება. ნიშანდობლივია, რომ დასტურლამალში ზოგიერთი პროდუქციის ადგილწარმომავლობაზეც არის მითითება. მაგალითად, აღნიშნულია: „თავრეზის ფარჩა“, „ურდვარის ფარჩა“, „გელაქნური“, „ჩვენის მოქალაქის (ანუ ქართლის ქალაქის მცხოვრები – ა. თ.) აბრეშუმი და ფარჩა“. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოდან შეტანილ პროდუქციას, ასეთი საერთოდ არ მოიხსენება, ბაჟი განსაზღვრულია მხოლოდ ტყვის შეყვანისათვის – „ქართველმან, თათარმან, სომეხმან, თუ რამაც რჯულმან იმერეთს, რომ ტყვე იყიდონ, ტყვის თავს მსყიდველს სამს მინალთუნს საბატონოდ გამოართმევენ. და თუ ქართლში გად-

[7] იხ.: არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. იტალიურით ნათარგმნი ალექსანდრე ჭყონიასი. ტფ. 1901, გვ. 14-15.

[8] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 260-266.

[9] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 277, 281.

მოიყვანა და აქ გაყიდა, ან აქაურმან ერთმანერთს მიყიდეს, სამს მინალთუნს მსყიდველი და სამს მინალთუნს გამსყიდველი ბატონს ვერ დააკლებს“.[10]

დასავლეთ საქართველოდან შეტანილი პროდუქცია არ ჩანს არც გორის საბაჟო გადასახადებში, სამაგიეროდ აქაც ვხვდებით „თავრიზის საპალნეს“ და „ურდრავის საპალნეს“.[11] ცხადია, რომ დასავლეთ საქართველოდან რომელიმე პროდუქტის დიდი რაოდენობით შეზიდვის შემთხვევაში ის აისახებოდა თბილისის ან გორის საბაჟო ტარიფებში.

საინტერესოა, აგრეთვე, 1736 წლის „ქალაქის ბაჟის, ყაფნისა და ციხის კარის შართლამა“. აქაც იკვეთება თბილისის საგარეო ვაჭრობის სურათი, საიდანაც ჩანს, რომ ინტენსიური ვაჭრობა წარმოებდა ირანის და ოსმალეთის ქალაქებთან („რაც მოქალაქემ განჯიდამ აბრეშუმი მოიტანოს აზრუმისაკენ წაიღოს.., ლილა თავრეზის.., ალვანს (sic) აბრეშუმზედ“ და სხვ.[12]). დასავლეთ საქართველოს პროდუქცია არც ამ შემთხვევაში არ არის აღნიშნული.

ერთი სიტყვით, XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის I ნახევარში სავაჭრო კავშირები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის ძალიან სუსტი ჩანს.

აღმოსავლეთ საქართველოსთან იძულებით კავშირის გაწყვეტის და ქვეყნის შიგნით მიმდინარე გაუთავებელი დაპირისპირებების ფონზე, ოსმალებმა რეალურად მიაღწიეს მიზანს – ქვეყნის ეკონომიკა უკიდურესად დასუსტდა. ამ პროცესს, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ირანის გაბატონება აღმოსავლეთ საქართველოში. დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური დასუსტების პირობებში „ტყვის სყიდვას“ ფართო გასაქანი მიეცა. როგორც ცნობილია, XVI-XVIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ტყვეებით ვაჭრობამ საგანგაშო ხასიათი მიიღო, ოსმალეთის ბაზრები ყოველწლიურად მარაგდებოდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობით.

დასავლეთ საქართველოს ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობას ზედმიწევნით ზუსტად ასახავს არქანჯელო ლამბერტი. იგი აღნიშნავს: „კოლხიდა, რამდენადაც წინად იყო ცნობილი ძველთაგან, რომელთა ხშირი მსვლელობა ჰქონდათ ამ ქვეყანაში, იმდენად ჩვენს დროში უცნობია იტალიისათვის, რადგან ყოველივე მიმოსვლა და ვაჭრობა ამ ქვეყანასთან მოისპო. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენსა და კოლხიდას შუა ჩადგა ოსმალეთი, რომელმაც თავის

[10] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1965, გვ. 284-286.
[11] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 287.
[12] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 393.

ბარბაროსობით და მტარვალობით ვაჭრებსა და ცნობის მოყვარეთა გზა შეუკრა ამ ქვეყნისაკენ და აქაურები გააუბედურა და მოუსპო მათ ყოველივე ის, რაც საზოგადოდ უცხო ქვეყნელებს იზიდავს და ულვივებს სურვილს სხვა ქვეყნების დათვალიერებისა და გაცნობისას".[13]

ზემოთ მოყვანილი ფაქტები ქართულ ისტორიოგრაფიისათვის კარგადაა ცნობილი. თუმცა, იმის დეტალურად გარკვევისათვის, თუ რა მასშტაბის უარყოფითი გავლენა ჰქონდა ოსმალეთის ეკონომიკურ პოლიტიკას დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფით ცხოვრებაზე, საინტერესოა XVI-XVIII საუკუნეებში სხვადასხვა პროდუქციის ფასების ოდენობის განსაზღვრა. ჩვენი აზრით, აღნიშნული მონაცემების წარმოჩენა უფრო ნათელ სურათს შეგვიქმნის იმდროინდელი დასავლეთ საქართველოს საერთო ეკონომიკური ვითარების შესახებ.

დასავლეთ საქართველოში წყაროებში დაფიქსირებულ ზოგიერთ პროდუქციის ფასზე ყურადღება გაამახვილა ს. კაკაბაძემ თავის ნაშრომში „ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისათვის საქართველოში მე-13-17 საუკ." ს. კაკაბაძემ ყურადღება მიაქცია 1578 წლის ქუთაისის საყდრის ბეგარის გამოსავალ დავთარს, სადაც საგადასახადო „საკლავის" ფასად მითითებულია 12 თეთრი. ავტორი აღნიშნავს, რომ 12 თეთრის საკლავი უმეტეს შემთხვევაშია მოხსენებული, ხოლო 6, 20 და 24 თეთრის საკლავი იშვიათად. შესაბამისად, საკლავის საბაზრო ფასად 12 თეთრი უნდა ვიგულისხმოთ.[14]

მართლაც, თუ ჩვენ გადავხედავთ XVI საუკუნის მიწურულის დასავლეთ საქართველოს საგადასახადო დავთრებს, უმეტესად აღნიშნულია „საკლავი თორმეტის თეთრის".[15] ს. კაკაბაძე, ასევე, აღნიშნავს, რომ „თეთრი ამ დროს შეიცავდა ოსმალური ასპრის ზომის მიხედვით 0,9 დანგ ვერცხლს, საკლავის ფასი მაშასადამე უდრიდა 10,8 დანგ ვერცხლს".

ამჯერად „საკლავის" მოცემულ ფასს უფრო დეტალურად განვიხილავთ: დავთრებში მოხსენიებულ თეთრში, როგორც ამას ს. კაკაბაძეც აღნიშნავდა,

---

[13] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 3.

[14] ს. კაკაბაძე. ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისათვის საქართველოში მე-13-17 საუკ. „საისტორიო მოამბე". წ. I. ტფ. 1925, გვ. 46. ს. კაკაბაძე, ასევე, ეხება წყაროებში დაფიქსირებულ სხვადასხვა საქონლის ფასებს და ხაზს უსვამს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაბალ ფასს, რასაც „ფულის გაძვირებას" უწოდებს. ზოგადად, პროდუქციაზე ფასების ზრდას, შესაბამისად, „ფულის გაიაფებად" მიიჩნევს. იხ.: ს. კაკაბაძე. ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისათვის საქართველოში.., გვ. 36-50.

[15] იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1970, გვ. 279-380.

ცხადია, იგულისხმებოდა იმერეთის მეფეების მოჭრილი მონეტები. ბაგრატ იმერეთის მეფის (1510-1565 წწ.) ვერცხლის მონეტა იწონის 0,63 გრამს, ხოლო გიორგი II-ის (1565-1585 წწ.) მონეტების პირველი ტიპი – 0,62 გრამს (არსებობს 1,44 გრამიანი ცალი, რომელიც ორმაგი ნომინალი უნდა იყოს), მეორე ტიპი – 0,75-0,79 გრამს, ხოლო, მესამე ტიპი – 0,82 გრამს.[16]

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ეპოქაში მოჭრილი ქართული მონეტები იწონიდა 0,62 გრამიდან 0,82 გრამამდე, საშუალოდ – დაახლ. 0,70 გრამს. 12 თეთრად შეფასებული „საკლავის“ ფასი ყოფილა დაახლ. 8,5 გრამი ვერცხლი.

ს. კაკაბაძემ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ 1549 წელს საგადასახადო „საკლავის“ ღირებულებად 20 და 15 თეთრია ნაჩვენები.[17] მართლაც, დასავლეთ საქართველოს საგადასახადო საბუთში აღნიშნულია: „მართებს... სალოქაას ორი საკლავი ოც-ოცი თეთრისა... მართებს ივანე ხუცესსა უღურელისძესა სალიმონოთ ხუთი ზუთხი, ორი საკლავი ოც-და-ათის თეთრისა“.[18]

აღნიშნული ცნობის მიხედვით, 1549 წელს „საკლავის“ ფასი ყოფილა 10,5-14 გრამი ვერცხლი, საშუალოდ – 12 გრამი. შესაბამისად, 1549 წლიდან 1578 წლამდე „საკლავის“ ფასი დაახლ. 30%-ით გაიაფებულა.[19]

საინტერესოა ს. კაკაბაძისავე დაკვირვება XVIII საუკუნის დასაწყისში საგადასახადო „საკლავის“ ფასის შესახებ. ავტორი აღნიშნავს: „1705 წ. აფხაზეთის კათალიკოზი გრიგოლი სწერს, რომ ოთხ საეკლესიო გლეხს „ოთხ-ოთხი ღორი ემართათ, ერთი დიდი და სამი მომცროანი. აწე ის სამი საკლავი ამოგვიწერია და მისი სანთელი დაგვიც, თვითო შამახური“... ხოლო იგივე კათალიკოზი გრიგოლი 1712 წ. აწესებს მარჩილის თავს მის სამაგიეროდ შამახურის გარდახდას“. ავტორის აზრით, 1705-1712 წლებისათვის „საკლავი“ მარჩილი ღირდა. შეაბამისად, მის ფასი წინა პერიოდის ფასთან შედარებით გაზრდილა 2,6-ჯერ. ანუ, როგორც ს. კაკაბაძე მიიჩნევს, ფული გაიაფებულა 2,6-ჯერ.[20]

XVIII საუკუნის დასაწყისში საგადასახადო „საკლავის“ ფასის განსაზღვრისათვის მეტად საინტერესოა ს. კაკაბაძის დაკვირვება, მაგრამ, ჩვენი აზ-

[16] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი. ავტორები: თ. დუნდუა, გ. დუნდუა. შემდგენლები: ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი. თბ. 2015, გვ. 153-156.

[17] ს. კაკაბაძე. ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისათვის საქართველოში.., გვ. 46.

[18] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წ. II. ტფ. 1897, გვ. 389.

[19] ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ ფული გაძვირებულა სულ ცოტა 20%-ით. იხ.: ს. კაკაბაძე. ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისათვის საქართველოში.., გვ. 46-47.

[20] ს. კაკაბაძე. ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისათვის საქართველოში.., გვ. 46.

რით, ავტორმა კონტექსტი არასწორად გაიგო. კერძოდ, კათალიკოსი გრიგოლი 1705 წლის 25 ივნისის შეწირულობის წიგნში აღნიშნავს: „...ეს ოთხი გლეხი გამოვართვით და თქვენთვის შემოგვიწირავს. აწ ამ გლეხებს ოთხ-ოთხი ღორი ემართათ – ერთი დიდი და სამი მომცროანი. აწე ის სამი საკლავი ამოგვიწერია და მისი სანთელი დაგვიც, თვითო შამახური ჩვენის ცოდვილის სულის საოხად“.[21] როგორც ვხედავთ, „სამი მომცროიანი“ ღორის ნაცვლად დაწესებულია ერთი „შამახური“ სანთელი. თუ „სამი მომცროიანი“ ღორის ნაცვლად კათალიკოსი დააწესებდა 3 „შამახურს“, მაშინ აღნიშნავდა, არა „მისი სანთელი დაგვიც, თვითო შამახური“, არამედ, „მისი სანთელი დაგვიც, სამ-სამი შამახური“, ისევე როგორც ღორის შემთხვევაში გარკვევით განმარტავს: „ამ გლეხებს ოთხ-ოთხი ღორი ემართათო“. ერთი სიტყვით, კათალიკოსს სამი „საკლავის“ ნაცვლად ერთი „შამახური“ დაუწესებია. 1712 წლის კათალიკოს გრიგოლის შეწირულობის წიგნშიც, სადაც მარჩილის თავს „შამახურია“ დაწესებული, ვხვდებით საბეგრო „საკლავის“ ნაცვლად „შამახურის“ დაწესების სხვადასხვა ფაქტს. ერთ შემთხვევაში აღნიშნულია: „სამს საკლავში ორ-ორი შამახური სანთელი დავადევით“, სხვა ადგილას კი – „სხვას ბეგარას გარდაის ერთი საკლავი და მისი ქათმები ემართა. მის მაგიერად ერთი შამახური სანთელი დაგვიც“; „სხვა ბეგარას გარეთ ორი საკლავი ემართა; მის მაგიერედ შამახურ ნახევარი სანთელი დავადევით“. შემდეგ ჩამოთვლილია კომლები, რომლელთაც თითო „შამახური“ უნდა გადაეხადათ ყველანაირი ბეგარის სანაცვლოდ.[22] როგორც ვხედავთ, „შამახური“ ერთი „საკლავის“ ეკვივლენტური არ იყო. ყველა შემთხვევაში „შამახური“ წესდებოდა ერთ „საკლავზე“ მეტი გადასახადის სანაცვლოდ.

რაც შეეხება მარჩილს, იგი სამი აბაზისაგან შედგებოდა, აბაზი კი იწონიდა 7,5 გრამს.[23] შესაბამისად, მარჩილის საერთო წონა იყო 22,5 გრამი ვერცხლი. თუ გავითვალისწინებთ სამი მომცრო „საკლავის“ ნაცვლად „შამახურის“ დაწესების ფაქტს, ერთი მომცრო „საკლავის“ ფასი XVIII საუკუნის I მეოთხედის დასავლეთ საქართველოში ყოფილა 7,5 გრამი ვერცხლი. ხოლო, იმ მოცემულობის გათვალისწინებით, როდესაც სამი „საკლავის“ ნაცვლად ორი „შამახური“ იქნა დაწესებული, ერთეულის ფასი გამოდის 15 გრამი ვერცხლი.

[21] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 641.

[22] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 671-672.

[23] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV ნაწილი. ავტორები: თ. დუნდუა, გ. დუნდუა. შემდგენლები: ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი. თბ. 2015, გვ. 8.

„საკლავის“ ღირებულება დაახლ. 16,5 გრამი ვერცხლი გამოდის იმ შემთხვევის გათვალისწინებით, როდესაც ორი საკლავის ნაცვლად 1,5 „შამახური“ დაწესდა. ფასთა სხვაობა გამოწვეული უნდა იყოს „საკლავის“ მოცულობით – სრულფასოვანი, შედარებით დიდი „საკლავი“ გაცილებით ძვირი ღირდა.

ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის I მეოთხედში მომცრო საგადასახადო „საკლავის“ ფასი ყოფილა 7,5 გრამი ვერცხლი, ხოლო სრულფასოვანი თუ კიდევ უფრო დიდი „საკლავის“ ღირებულება – დაახლ. 15 გრ. ვერცხლი. აღნიშნული მონაცემებით ირკვევა, რომ საგადასახადო „საკლავის“ ღირებულება XVI საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XVIII საუკუნის დასაწყისში დაახლოებით თანაბარი იყო. XVIII საუკუნის დასაწყისში გვაქვს მხოლოდ მცირე ოდენობით ფასის ზრდა, რომელიც უახლოვდება 1549 წლის ფასს. როგორც ვხედავთ, აღნიშნული პროდუქციის ფასი XVI საუკუნის II ნახევართან შედარებით XVIII საუკუნის დასაწყისში 2,6-ჯერ არ გაზდრილა და მხოლოდ ფასების მცირე ზრდასთან უნდა გვქონდეს საქმე.

მიღებული მონაცემების საფუძველზე შემდეგი დასკვნის გამოტანა შეიძლება: XVI საუკუნის შუა ხანებთან შედარებით, ამავე საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები დაახლოებით 30%-ით შემცირდა, ხოლო XVIII საუკუნის I მეოთხედში კვლავ მცირედით გაიზარდა და, დაახლოებით, XVI საუკუნის შუა ხანების დონეზე იყო. ერთი სატყვით, განსახილველ პერიოდში ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასებთან მიმართებით მკვეთრი ინფლაცია არ ჩანს, რაც ლოგიკურია, რადგან დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური გარემო აღნიშნულ საუნუნეებში არ შეცვლილა.

საგადასახადო დავთრებიდან არ ჩანს, თუ რეალურად რას წარმოადგენდა „საკლავი“. ზემოთ მოტანილი კათალიკოს გრიგოლის 1705 წლის შეწირულობის წიგნის მიხედვით, „საკლავად“ მიჩნეულია მომცრო ღორი. დავთრებში „საკლავის“ ნაცვლად ხშირად ვხვდებით ღორით ან ძროხით დაბეგვრის ფაქტებს, რაც გვავარაუდებინებს, რომ „საკლავში“ შედარებით მცირე ზომის ეს შინაური ცხოველები უნდა იგულისხმებოდეს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ გადასახადების ჩამონათვალში „საკლავთან“ ერთად ვხვდებით ძროხას (მაგ., XVI საუკუნის მიწურული ოცხანის საკათალიკოსო გლეხების ბეგარის ნუსხაში აღნიშნულია: „თავართქილაძეს ორსავე განაყოფსა, ერთი ზროხა, სამი საკლავი..., ციცუნაშვილსა ერთი ზროხა, სამი საკლავი..., [მართებს] მა-

ხარას მეფარიშვილსა ერთი ზროხა, ერთი საკლავი...“[24]), ქათამს („საკლავი ერთი თორმეტის თეთრისა, ქათამი სამი...“[25]), გოჭს („მართებს როკითს ვახტანგისაშვილსა... საკლავი ერთი, გოჭი ერთი...“[26]), რაც გამორიცხავს, რომ „საკლავში“ იგულისხმებოდეს რომელიმე მათგანი. იმავე დავთრებში ცალკეა აღნიშნული ცხვრის გადახდის შემთხვევები[27], რაც ასევე გამორიცხავს „საკლავში“ ცხვრის გაიგივებას. შესაბამისად, „საკლავი“ უნდა იყოს შედარებით მცირე წონის ღორი ან მოზრდილი ხბო, რომლის საშუალო ფასი XVI საუკუნის შუა ხანებიდან XVIII საუკუნის I მეოთხედის ჩათვლით ყოფილა 8,5-15 გრამი ვერცხლი, ხოლო მომცრო „საკლავის“ – 7,5 გრამი ვერცხლი.

ს. კაკაბაძემ, ასევე, ყურადღება გაამახვილა ცხვრის ფასზე, რომელიც დაფიქსირებულია იმერეთის მეფე გიორგი II-ის 1573 წლის შეწირულობის წიგნში. დოკუმენტში აღნიშნულია: „...ამ აღაპზედან დაიხარჯებოდეს ორი ცხვარი ათათის თეთრისა და წელიწადშიგან საკამეელი ათი თეთრისა...“.[28]

როგორც აღინიშნა, ამ პერიოდში იმერეთის მეფეების მოჭრილი მონეტები საშუალოდ იწონიდა 0,7 გრამ ვერცხლს. შესაბამისად, 10 თეთრად შეფასებული ცხვარის ღირებულება ყოფილა 7 გრამი ვერცხლი.

როგორც ზემოთ ვნახეთ, XVI საუკუნის შუა ხანებიდან XVIII საუკუნის I მეოთხედამდე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების მკვეთრი რყევა არ ჩანს. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ცხვრის ფასი აღნიშნულ საუკუნეებში 7-8 გრამი ვერცხლის ფარგლებში იქნებოდა.

საინტერესოა დასავლეთ საქართველოში ცხვრის ღირებულება შევადაროთ ოსმალეთში არსებულ ფასებს. ზოგადად, ოსმალეთში XVI საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XVII საუკუნეში პროდუქციის ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა. XVI საუკუნის II ნახევარში ოსმალეთში ცხვარი ღირდა 70-80 ახჩა.[29] სელიმ II-ის (1566-1574 წწ.) მოჭრილი ახჩის წონითი მაჩვენებლები მერყეობდა 0,61-0,80 გრამებს შორის, ანუ საშუალოდ 0,70 გრამს იწონიდა.[30] აქედან გამომდინარე, 70-80 ახჩა იწონიდა დაახლ. 49-55 გრამ ვერცხლს. 1596

[24] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 380.
[25] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 284.
[26] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 299.
[27] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 307-308.
[28] ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I. ტფ. 1921, გვ. 30.
[29] А. Д. Новичев. История Турции. Том 1. Эпоха фсодализма (XI-XVIII вв.). Лсниград. 1963, გვ. 122.
[30] მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით. თბ. 1982, გვ. 39.

წელს ცხვრის ფასი ოსმალეთში გაიზარდა 80-100 ახჩამდე, ხოლო 1606-1608 წლებში – 300-400 ახჩამდე.[31] 1600-1612 წლებში ახჩა იწონიდა 0,32 გრამს.[32] შესაბამისად, ცხვრის ფასი გაზრდილა 96-128 გრამ ვერცხლამდე.

როგორც ვხედავთ, იმერეთში, ოსმალეთში დაფიქსირებულ ფასებთან შედარებით, ცხვარი დაახლ. 7-ჯერ, ხოლო რიგ შემთხვევებში 18-ჯერ იაფი ღირდა. სხვადასხვა მონაცემიდან ირკვევა, რომ ოსმალეთის აღმოსავლეთის რეგიონებში პროდუქციის ფასები შედარებით ნაკლები იყო,[33] მაგრამ დასავლეთ საქართველოში დაფიქსირებულ ფასებთან შედარებით განსხვავება მაინც დიდი ჩანს.

ჩვენ არ მოგვეპოვება განსახილველი ეპოქის დასავლეთ საქართველოში პირდაპირი ცნობები ძროხის, ცხენის და სხვა შინაური ცხოველების ფასების შესახებ, თუმცა მეტად საგულისხმო ინფორმაციას გვაწვდიან ამ ეპოქაში საქართველოში მყოფი კათოლიკე მისიონერები. იტალიელი თეატინელი მისიონერი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, რომელიც სამეგრელოში იმყოფებოდა 1633-1643 წლებში, აღნიშნავს: „ყიდვა-გაყიდვა გაცვლის გზით წარმოებს, მაგრამ ესეც იშვიათად ხდება, რადგან თითოეული არსებობის საშუალებას იმაში პოულობს, რომ ჰყავთ შინაური საქონელი, აქვთ მეურნეობა ანდა ჰყავთ ყმები. ერთი თხა რვა ან ცხრა დედალი ღირს, ცხვარი – ორი თხა, ძროხა – სამი ცხვარი, ხოლო ცხენი – ორი ან სამი ძროხა“.[34]

XVII საუკუნეში საქართველოში მყოფი დონ კრისტოფორო დე კასტელი დაახლოებით ანალოგიურ ცნობას გვაწვდის სხვადასხვა პროდუქციის ფასების შესახებ – „კოლხეთში არავითარი აღებ-იცემობა ან ფულით სავაჭრო ურთიერთობა არ არსებობს, სახელოსნო-დუქნები ანუ სავაჭრო ადგილები კი აქვთ. ქვეყნის შიგნით ფული ხმარებაში არაა... ან გარედან შემოდის ტანსაცმელსა და ავეჯეულობა-ხორბლეულობასთან ერთად, ან მონად გაყიდულ კოლხელ ყმებში მაჰმადიანი მოვაჭრეები აძლევენ ვერცხლის ლარნაკს, ოქროსა და მისთანას. თავიანთ მთავარს ყმები აძლევენ საჭირო საქონელს: ხარსა და ცხენს. საქონლით ასე ვაჭრობენ: მაგალითად, ერთი ქათამი (დედა-

[31] А. Д. Новичев. История Турции. Том 1. Эпоха феодализма (XI-XVIII вв.), გვ. 122.

[32] An economic and social history of the Ottoman empire. Edited by Halil Inalcik with Donald Quataert. Volume 2. 1600-1914. Cambridge. 1994, გვ. 963.

[33] ვ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში. თბ. 1984, გვ. 86.

[34] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე). იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა. თბ. 2014, გვ. 18.

ლი) ღირს ერთი გირვანქა (ლიერი) მარილი... ცხვარი – თხაზე იცვლება, ერთი ხარი – სამ ვერძზე, ცხენი – სამ ხარზე".[35]

რადგან ჩვენ ვიცით, რომ აღნიშნულ ეპოქაში ცხვარი ღირდა 7 გრამი ვერცხლი, ჯუდიჩეს მოტანილი ფასთა სისტემის მიხედვით, ძროხის ღირებულება ყოფილა 3 ცხვარი, ანუ 21 გრამი ვერცხლი, ხოლო ცხენის ფასად თუ მივიჩნევთ სამ ძროხას, მისი ღირებულება გამოდის დაახლ. 65 გრამი ვერცხლი.

თუ გავიხსენებთ, რომ „საკლავი" (ანუ მოზრდილი ხბო თუ მომცრო ღორი) დაახლ. 8,5 გრამი ვერცხლი ღირდა, ლოგიკურად ძროხა მასზე ძვირი უნდა ყოფილიყო. მართლაც, ჯუდიჩეს ცნობის მიხედვით, ძროხა „საკლავზე" დაახლოებით 2,5-ჯერ ძვირად ფასობდა, რაც მონაცემის სისწორეზე მეტყველებს.

კასტელის ცნობით კი ხარის ღირებულება სამ ვერძის ტოლფასია. თუ ვერძში ვიგულისხმებთ გამორჩეულ დიდ ცხვარს და მის ფასად მივიჩნევთ დაახლ. 14-15 გრამ ვერცხლს, ხარის ვერცხლში გამოხატული ღირებულება იქნება საშუალოდ 42-45 გრამი.

ზოგადად, შუა საუკუნეებში საქართველოშიც და მეზობელ ქვეყნებშიც ხარი ძროხაზე ორჯერ ძვირი ღირდა, შესაბამისად, სრულ შესატყვისობაში მოდის მოცემული ღირებულებები.

კასტელის გადმოცემით კი ცხენი, რომელიც 3 ხარში იცვლებოდა, ფასობდა დაახლ. 125-135 გრამ ვერცხლად. როგორც აღინიშნა, კასტელის ცნობისაგან განსხვავებით, ჯუდიჩეს მიხედვით, ცხენის განსხვავებულ ფასს ვიღებთ (65 გრამ ვერცხლს), რაც გამოწვეული უნდა იყოს ზოგადად ცხენის არათანაბარი ფასებით – სხვადასხვა ღირსების ცხენის ღირებულება დიდად განსხვავებული იყო, შესაბამისად, ალოგიკური არაფერია იმაში, რომ ცხენის საშუალო ფასი ორმა ავტორმა განსხვავებულად წარმოგვიდგინა.

ისევე როგორც ცხვრის ფასის შემთხვევაში, დასავლეთ საქართველოში ძროხის ფასიც დიდად ჩამორჩებოდა არა მარტო ოსმალეთში არსებულ ფასებს, არამედ მეზობელ ქართლის ფასსაც. XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგის სამართლის წიგნიდან ვიგებთ, რომ ქართლში ძროხის ფასი იყო 2 მინალთუნი[36] (10 აბაზი), ანუ 75 გრამი ვერცხლი. როგორც ვხედავთ, დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, ძროხა სულ მცირე 3-ჯერ უფრო იაფი ღირდა.

[35] დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბ. 1976, გვ. 54.

[36] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1963, გვ. 486.

რაც შეეხება ხარს, როგორც აღინიშნა, ხარი ზოგადად ძროხაზე ორჯერ ძვირი ღირდა, შესაბამისად, XVIII საუკუნის I მეოთხედში ქართლში ხარის ფასი იყო 4 მინალთუნი, ანუ 150 გრამი ვერცხლი. დასავლეთ საქართველოში კი ხარის ფასი ყოფილა დაახლ. 45 გრამი ვერცხლი. სხვაობა ამ შემთხვევაშიც სამჯერადია.

სრულყოფილად რომ გავიაზროთ დასავლეთ საქართველოში ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების სიმცირე, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ თავად ქართლშიც, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, ხორბალი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია საკმაოდ იაფი ყოფილა.[37]

შეგვიძლია, ზოგადად, თვალი გავადევნოთ სხვადასხვა ეპოქაში ხარის ფასს. „ნიკორწმინდელის დაწერილის“ მიხედვით, XI საუკუნის II ნახევარში რაჭის რეგიონში ერთი ხარის მიახლოებითი ფასი იყო 2 დრაჰკანი კონსტანტინატი,[38] რომელიც, ჩვენი გათვლით, დაახლ. 70 გრამი ვერცხლის ტოლფასია.[39] მოცემული ფასი ეხება მთიან რეგიონს, რომელიც, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მეცხოველეობის ზონად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, ბარის რაიონებში მისი ფასი უფრო მაღალი იქნებოდა.

ხარის ფასი დაფიქსირებულია ათონის აღაპებშიც, სადაც აღნიშნულია: „სჳმეონ ჭყონდიდელის გაზრდილმა ნიკოლოზმა „მოსცნა ეკლესიასა ჩუენსა... უღელნი ჴარნი, ნასყიდნი პერპერად ზ (7)“.[40] აღაპი თარიღდება 1183 წლით.[41] როგორც ვხედავთ, უღელი ხარი ფასი ყოფილა 7 პერპერა, ხოლო, ერთი ხარის – 3,5 პერპერა. რთულია იმის გარკვევა, ათონის აღაპებში მოცემული ცნობა ეხება საქართველოს რეალობას თუ ბიზანტიაში არსებულ ფასს, თუმცა, ზოგად ინფორმაციას მაინც გვაწვდის იმდროინდელი ხარის ფასის შესახებ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სირიაში XI საუკუნეში კამეჩის ფასი 2-3 ოქროს დინარი ყოფილა.[42] ზემოთ თქმულიდან გამომდინარე,

[37] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 296.

[38] „ნიკორწმინდელის დაწერილის“ მიხედვით, ყანა, რომელიც საშუალოდ 2 დრაჰკანი კონსტანტინატი ღირდა, ასევე, იყიდებოდა 1 ხარის სანაცვლოდ. იხ.: დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984, გვ. 42.

[39] იხ.: ა. თაბუაშვილი. ხორბლის ფასი ფეოდალური ეპოქის საქართველოში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. XIII. თბ. 2018, გვ. 172-176.

[40] ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი. თბ. 1998, გვ. 174.

[41] ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, გვ. 241.

[42] C. Morrisson, Jean-Claude Cheynet. Prices and Wages in the Byzantine World. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century. Ed. by A. E. Laiou. Washington. 2002, გვ. 839.

ცხადია, რომ ამ პერიოდში ხარის ფასი 2-3, მაქსიმუმ 3,5 ოქროს მონეტად (პერპერა ან დინარი) ფასობდა.

აკად. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ XII საუკუნეში ოქროს მონეტისა და ვერცხლის შეფარდება იყო 1:13. ამ შემთხვევაში იგულისხმება ოქროს მონეტის 3 გრამიან ვერცხლის მონეტასთან შეფარდება. შესაბამასად, XI-XII საუკუნეში ხარის ფასი გამოდის 78-117 გრამი (3,5 პერპერას შემთხვევაში – 135 გრამი), საშუალოდ – დაახლ. 100 გრამი ვერცხლი.

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სვანეთში, შედგენილ ერთ-ერთ საბუთში „ასისა თეთრისა ჴარი“ მოიხსენება.[43] საბუთის გაცემის წელი უცნობია, თუმცა ზოგადად XIV საუკუნის I ნახევრით თარიღდება. XIV საუკუნეში დასავლეთ საქართველოში მიმოქცევაში იყო კირმანეული თეთრი. აღნიშნული მონეტის ყველაზე მცირე ნომინალი 1 გრამს აჭარბებდა, ხოლო უმეტესად 1,5-2 გრამიანი ნომინალები იჭრებოდა.[44] XIV საუკუნის საბუთში დაფიქსირებული ხარის ფასი, იმ პერიოდში მოჭრილ ყველაზე მცირე ნომინალებით რომ დავიანგარიშოთ, სულ ცოტა 100 გრამ, საშუალოდ კი 150 გრამ, ვერცხლს უდრიდა.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ XI–XIV საუკუნეებში ხარის საშუალო ფასი 100 გრამ ვერცხლზე მეტი იყო, რაც მინიმუმ ორჯერ აღემატებოდა XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში არსებულ ფასს. როგორც აღინიშნა, მოცემული ფასი, თავის მხრივ, სამჯერ უფრო დაბალი იყო, ვიდრე თანადროულ (XVII-XVIII საუკუნის დასაწყისის) აღმოსავლეთ საქართველოში დაფიქსირებული ფასია.

აქვე მოვიყვანთ ცნობებს ცხენის ფასის შესახებ. ჯუდიჩეს და კასტელის ცნობების თანახმად, დასავლეთ საქართველოში ცხენის საშუალო ღირებულება ყოფილა 65-135 გრამი ვერცხლი. ცხადია, აქ მოტანილია საშუალო ღირსების მქონე ცხენის ფასი. შუა საუკუნეებში ცხენი საკმაოდ ძვირად ფასობდა. ზოგიერთი ცხენის ფასი ძალიან მაღალი იყო. საშუალო ღირსების ცხენი კი შედარებით იაფი ღირდა. „ნიკორწმინდელის დაწერილიდან“ ჩანს, რომ კარგი ცხენი ვენახსა და ყანაში იცვლებოდა,[45] რაც მის მაღალ ფასზე მეტყველებს. 1247-1250 წლებში შედგენილ „გრიგოლ სურამელის დაწერილ-

[43] დაწერილი ვაჟისა ვახდაგიანისა ივანე სიტიელისადმი. სვანეთის წერილობითი ძეგლები. I. ისტორიული საბუთები და სულთა მატიანები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ. თბ. 1986, გვ. 188.

[44] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი, გვ. 123-142.

[45] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 40.

ში“ აღნიშნულია: „ცხენი ერთი – სამას | ორმოცდაათ თეთრად ნასყიდი“.[46] ამ შემთხვევაში საუბარი არ არის საუკეთესო ცხენზე, რადგან, იმავე საბუთის მიხედვით, კარგი ჯორი აღნიშნულ ცხენზე ძვირი (400 თეთრი) ღირდა („დიდად კ(ა)რგი ჯორი, ოთხას თეთრად მოფასებული“). საინტერესოა „გრიგოლ სურამელის დაწერილში“ ნახსენები თეთრის რეალური წონის განსაზღვრა. XIII საუკუნის 40-იან წლებში კერძოდ 1247 წელს, საქართველოში იჭრებოდა დავით ნარინის ვერცხლის მონეტები მხედრის გამოსახულებით, რომლის წონითი რემედიუმი იყო 2,4-2,7 გრამი. ამავე პერიოდში იჭრებოდა მონღოლური საოკუპაციო მონეტები წონით 2,64-2,87.[47] შესაბამისად, საშუალო ღირსების ცხენის ღირებულება ყოფილა დაახლ. 900 გრამი ვერცხლი. ისიც აღსანიშნავია, რომ მოცემული ცხენის ფასი მნიშვნელოვნად აღემატებოდა გლეხის ოჯახის ფასს. „ნიკორწმინდელის დაწერილის“ მიხედვით, გლეხი (თავის ოჯახთან ერთად) ფასობდა 18 დრაჰკან დუკატად,[48] რაც საშუალოდ 650 გრამი ვერცხლის ტოლფასია.

ცხენი მაღალ ფასს ინარჩუნებდა ზოგადად ფეოდალურ ეპოქაში. XVIII საუკუნის II ნახევარში კარგი ცხენი 10 თუმანი, ანუ 500 აბაზი ღირდა.[49] აბაზი ამ დროს 2,9 გრამს იწონიდა, რის მიხედვითაც კარგი ცხენის ფასი 1450 გრამი ვერცხლი ყოფილა. ხოლო, საშუალო ღირსების ცხენის ფასი 3-4 თუმნად ფასობდა, რაც 435-580 გრამი ვერცხლის ტოლფასია. აღსანიშნავია, რომ XVII საუკუნეში დაახლოებით იგივე ღირებულება ჰქონდათ დასავლეთ საქართველოდან გაყიდულ ტყვეებს – შარდენის ცნობით, ქართველი ტყვეების საშუალო ფასი შავისღვისპირეთში 15 ეკიუ ყოფილა,[50] რაც დაახლ. 375 გრამ ვერცხლს უდრიდა.[51]

როგორც ვხედავთ, ისევე როგორც ცხვრის თუ ძროხის და ხარის შემთხვევაში, დასავლეთ საქართველოში ცხენი, თავის პოტენციურ ფასთან შედარებით, ძალიან იაფი ღირდა.

---

[46] დაწერილი გრიგოლ სურამელისა მღვიმისადმი. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984, გვ. 127.

[47] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი, გვ. 68-69, 96-98.

[48] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 44.

[49] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. გეიანფეოდალური ხანა. წ. I (ხელფასი, ქირა, ფასები). მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1938, გვ. 80.

[50] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 212.

[51] ეკიუ 60 სოლს შეიცავდა, ხოლო ერთი აბაზი (რომელიც იმ პერიოდში 7,5 გრამს იწონიდა), შარდენის გადმოცემით, 18 სოლის ღირებულების ყოფილა (იხ.: ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 125). შესაბამისად, 15 ეკიუ დაახლ. 50 აბაზის (ერთი თუმანის), ანუ 375 გრამი ვერცხლის ტოლფასი ყოფილა.

გარდა ზემოთ დასახელებული პროდუქციის ფასებისა, ჩვენთვის ცნობილია XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოში თაფლის ფასიც. ვიდრე თაფლის ფასის შესახებ ვიმსჯელებთ, მოკლედ შევეხებით დასავლეთ საქართველოში მეფუტკრეობის თემას.

არქანჯელო ლამბერტი ვრცლად მოგვითხრობს სამეგრელოს თაფლის თვისებებზე: „შემიძლია გაბედულათ ვთქვა, რომ მთელ ქვეყნიერებაზე საუკეთესო თაფლი კოლხიდისა არის. ამას ვამბობ იმიტომ, რომ კოლხიდის ჩვეულებრივი თაფლი ჰგავს ესპანიის თაფლს... გარდა ჩვეულებრივი თაფლისა, არის კიდევ ერთნაირი თაფლი, რომლის მსგავსი არსად სხვაგან ამ მოიძებნება: იგი ფრიად თეთრია და მაგარი, როგორც შაქარი, ისე რომ ხელით თუ მოტეხავთ რომელსამე მარცვალს, თაფლი ხელს როდი ეკვრის და გატეხილ ადგილზე გამოჩნდება თეთრი და მეტად რბილი ცვილი... ამნაირი თაფლი დიდათ მოსწონთ ოსმალებს. როგორც საუკეთესო ძღვენს, უგზავნიან ამ თაფლს მახლობელ ფაშებს, რადგან კონსტანტინეპოლში ვერ გზავნიან იმის მიზეზით, რომ სკებიდან იღებენ ამ თაფლს ზამთრობით, როცა გემები არ დადის შავ ზღვაში. სამაგიეროდ, როცა ოდიშში მოდიან ოსმალების გემები, სხვათა საქონელთა შორის ჩვეულებრივს თაფლს, როგორც საუკეთესო საქონელს, ბლომად ყიდულობენ, მიაქვთ კონსტანტინეპოლში და დიდის მოგებით ჰყიდიან იქ“.[52] დასავლეთ საქართველოს თაფლის განსაკუთრებულ თვისებებს ხაზს უსვამს ჟან შარდენიც.[53] ვახუშტი ბატონიშვილი კოლხეთის თაფლის შესახებ აღნიშნავდა: „ფუტკარი სარგებლობს ფრიად თაფლითა და ცჳლთა სიმრავლითა; და თაფლი კეთილი, რამეთუ ვიეთთა ადგილთა სპეტაკი და შეყინული, სისქით ვითარცა შაქარი, რომელსა უწოდებენ კიპრუჭსა“.[54]

რუსი ელჩის ალექსი იევლევის 1650-1652 წლებში იმერეთში ელჩობის საანგარიშო აღწერილობაში საინტერესო ინფორმაციაა დაცული თაფლის ფასის შესახებ. „უცეცხლო თაფლი უზომოდ იაფია, რუსული ფუთი აბაზად და ნაკლებადაც შეიძლება იყიდო, აბაზი ორ ჩვენს გრივნას უდრის“.[55]

როგორც ვხედავთ, XVII საუკუნის შუა ხანების იმერეთში 16 კილოგრამი თაფლის ფასი ყოფილა 7,5 გრამი ვერცხლი ან უფრო ნაკლები. აღნიშ-

---

[52] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 214-215.

[53] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 124.

[54] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 745.

[55] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა (მუხლობრივი აღწერილობა). რუსული ტექსტი, ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ. თბ. 1969, გვ. 170.

ნული მონაცემის მიხედვით, კილოგრამი თაფლის ფასი გამოდის მაქსიმუმ 0,5 გრამი ვერცხლი.

ამავე ელჩობის მეორე მონაწილე ტოლოჩანოვი თაფლის კიდევ უფრო დაბალ ფასს გვისახელებს – „სუფთა თხიერი თაფლი (წონით) გირვანქაზე ნაკლები მეოთხედი კაპიკი ღირს".[56] ერთი სიტყვით, იმერეთში თაფლი ძალიან იაფი ყოფილა.

თუ რამდენად იაფი ყოფილა თაფლი XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოში, ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მონაცემს. ს. კაკაბაძე ყურადღებას ამახვილებს X საუკუნის არაბი ავტორის ალ-ისტარხის ცნობაზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ კავკასიის რეგიონში თაფლი ძალიან იაფი ყოფილა, კერძოდ, არმენიის ქალაქებში თაფლი ისე იაფი ღირდა, რომ ორისამი მანი დირჰემად იყიდებოდა. ს. კაკაბაძის გაანგარიშებით, 384 მისხალი ღირდა ერთი დირჰემი.[57] მისხალი 4,6 გრამს უდრიდა. შესაბამისად, დაახლოებით 1,7 კილოგრამი თაფლის ფასი ყოფილა 3 გრამი ვერცხლი. როგორც ვხედავთ, X საუკუნის თაფლის საჩვენებლად დაბალ ფასთან მიმართებითაც კი, XVII საუკუნის იმერეთში მისი ფასი, სულ ცოტა, 3,5-ჯერ ნაკლები იყო.

საინტერესოა, თუ რა ღირდა თაფლი იმ ქვეყანაში, რომელიც ახორციელებდა დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ იზოლაციას. როგორც მ. სვანიძე აღნიშნავს, 1585/1586 წელს სტამბოლში 1 კანტარი თაფლი ღირდა 401,1 ახჩა. კენტარი, თავის მხრივ, იწონიდა 56,5 კგ.-ს, შესაბამისად, ერთი კილოგრამი თაფლის ფასი ყოფილა 7 ახჩა.[58] 7 ახჩა შეადგენდა დაახლ. 2,6 გრამ ვერცხლს.

XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნეში თაფლის ფასი ოსმალეთში 6-7 ახჩადან 30-35 ახჩამდე გაძვირდა.[59] მართალია, XVII საუკუნის მანძილზე ახჩის წონა მცირდებოდა და სხვადასხვა წელს 0,38 გრამიდან 0,17-0,22 გრამამდე დაიკლო,[60] თუმცა თაფლის რეალური ფასი მინიმუმ ორჯერ გაიზარდა და XVII საუკუნის განმავლობაში 1 კილოგრამის ფასი სულ ცო-

[56] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ. რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ. თბ. 1970, გვ. 151.

[57] ს. კაკაბაძე. ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისათვის საქართველოში მე-13-17 საუკ., გვ. 47.

[58] მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში, გვ. 106.

[59] А. Д. Новичев. История Турции. Том 1. Эпоха феодализма (XI-XVIII вв.), გვ. 122.

[60] An economic and social history of the Ottoman empire. Edited by Halil Inalcik with Donald Quataert. Volume 2: 1600-1914, გვ. 963.

ტა 5 გრამი ვერცხლი მანც იყო. ლოგიკურია, რომ დასავლეთ საქართველოში (სადაც საქალაქო ცხოვრება ეტაპობრივად უკუსვლას განიცდიდა), სტამბულთან და ოსმალეთის ცენტრალურ პროვინციებთან შედარებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები დაბალი ყოფილიყო, მაგრამ რუსი ელჩების დაფიქსირებული ფასი დამაფიქრებლად და არალოგიკურად მცირეა.

როგორც აღინიშნა, თაფლი დასავლეთ საქართველოში დიდი რაოდენობით იყო, ოსმალეთში ექსპორტზეც გადიოდა, მაგრამ მოსახლეობა მას მინიმალურ ფასად ყიდდა.

ამჯერად ჩვენ შევეცდებით, გავარკვიოთ ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა პროდუქციის ოდენობა – კასტელის ცნობით, სამეგრელოში „ნესტიან ნიადაგზე ყოველთვის ხშირი ბალახია ამოსული; იქვე მრავალრიცხოვანი ცხვარი ძოვს, უმთავრესად კი ულაყი და ფაშატი ცხენები. მართალს ვამბობ, საძოვარზე უამრავი პირუტყვი იყო ერთად. ასე რომ, თითოეული წარჩინებულის (დიდებულის) მამულში მათი დაახლოებითი რიცხვი ხუთასია, მთავარს კი ჰყავს დაახლოებით ხუთი ათასი“;[61] ჯუდიჩეს ცნობით, „[სამეგრელოში] მთელი წლის მანძილზე მრავლადაა საძოვრები, რომლებიც გაპატივეულია მსხვილფეხა საქონლისა და ჯოგის [ნაკელით], უპირატესად ცხენების, რომლებიც დიდი რაოდენობითაა და ცხვრის ფარასავით ძოვენ...“.[62] იგივე ავტორი გვაუწყებს, რომ „ტყეებში 4 ათასზე მეტი მისი (ლევან დადიანის – ა.თ.) ცხენი ბალახობს“.[63] შარდენი გადმოგვცემს, რომ „სამეგრელოში ბევრია კარგი ჯიშის ცხენი. მათ დიდი რაოდენობით აშენებენ, რადგან მათი გამოკვება არაფერი უჯდებათ“.[64] ხსენებული რუსი ელჩების ცნობით, „მათ ქვეყანაში (იმერეთში – ა.თ.) აუარებელი თახვი და წავია, წაბლის ფერი და ყვითელი მელიები... თხები, ღორები და კამეჩებია. რაც შეეხება შინაურ საქონელს, ცხენებს, ძროხებს, ცხვრებს, ღორებს და ასეთ პირუტყვებს, მათ მრავალი ჰყავთ.[65] „ყოველგვარი ცხოველი ბევრია: ძროხები, კამეჩები, ცხვარი, ღორი, ბატები, ქათმები და იხვები“;[66] ლამბერტის გადმოცემით, „ცხენები აქ ისე ბლომად არის, რომ ყველა კაცს, რაც უნდა ღარიბი იყოს, ჰყავს თავისი ცხენი, – ახტა თუ ჭაკი. თვითეულს მოსახლეს, თავისი შეძლებისამებრ, ჰყავს ბევრი თუ

[61] დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 53.
[62] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე), გვ. 13.
[63] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე), გვ. 14.
[64] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 115.
[65] ალექსი იეველევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა (მუხლობრივი აღწერილობა), გვ. 170.
[66] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., გვ. 150.

ცოტა. დაბალ ხალხს ჰყავს: ვის სამი, ვის ოთხი და ვის ხუთი ცხენი; ხოლო კეთილ-შობილებს: ვის ორმოცდა-ათი, ვის ასი და ვის ორასი. მთავარს კი ათასობით ჰყავს. სულ ეყოლება ხუთი ათასი ახტა და ჭაკი... გარდა ცხენებისა, ყველას თავ-თავისი ხარები ჰყავს მიწის სახნავად და ძროხები ყველისათვის. ცხვარი კი ცოტა ჰყავთ... სამაგიეროდ ბლომად ჰყავთ თხები და ღორები, რომელთა ხორცს მუდამ სჭამენ, თვით ზაფხულის სიცხეშიც“.[67]

შინაური ცხოველების და მეფუტკრეობის განვითარებაზე მიუთითებს ასევე, ზემოთ დამოწმებული XVI-XVII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს საგადასახადო დავთრები. დაბეგვრის ინდექსის სიდიდე სწორედ აღნიშნული პროდუქციის სიუხვის მანიშნებელია.

ერთი სიტყვით, დასავლეთ საქართველოში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქცია მრავლად იყო, პრობლემას წარმოადგენდა მხოლოდ მათი რეალიზაცია და ალოგიკურად დაბალი ფასები.

დასავლეთ საქართველოში იმ დროისათვის ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო საქონელს, აბრეშუმსაც, ამზადებდნენ, მაგრამ მისი ფასიც საგრძნობლად დაბალი ყოფილა. ელჩ იევლევის ცნობით, „იმერეთში და სადადიანოში ყაჭი (მეაბრეშუმეობა) ყველა ქალაქშია გავრცელებული და ყოველი ადამიანი თავისას ჰყიდის, ვის როგორც შეუძლია. ყაჭი იაფია, ფუთს თექვსმეტ ან ჩვიდმეტ ოქროთ იყიდიან და იმერეთიდან მისი გადმოტანა მთებზე ადამიანს ფეხით შეუძლია“.[68] მეორე რუსი ელჩი ტოლოჩანოვიც აღნიშნავს, რომ „აბრეშუმი ყოველ სახლში მოჰყავთ“.[69]

როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში აბრეშუმი იმდენად იაფი ღირდა, რომ ალექსი იევლევი, გზის არარსებობის მიუხედავად, მისი რუსეთში გატანის პერსპექტივას განიხილავდა.

სხვა ადგილობრივი საქონლის ფასებიც ძალიან დაბალი ყოფილა. როგორც შარდენი აღნიშნავს, „ყოველ წელს აქ მოდის თორმეტიოდე იალქნიანი გემი კონსტანტინოპოლიდან და კაფადან და სამოცზე მეტი ფელუკა გონიოდან, ირისიდან, ტრაპიზონიდან. ისინი სამეგრელოში იტვირთება — ტყვეების გარდა — აბრეშუმით, სელის ძაფით, ტილოთი და სელის თესლით, ხარის ტყავებით, კვერნის და თახვის ბეწვით, ბზით, ცვილითა და თაფლით. სამეგრელოში თაფლი საუცხოოა. აქ ორგვარი თაფლია — ყვითელი და თეთრი... თურქები

[67] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 202-203.

[68] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა (მუხლობრივი აღწერილობა), გვ. 170.

[69] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., გვ. 150.

დიდ მოგებას ღებულობენ სამეგრელოდან გატანილი საქონლით – ოთხ ეკიულ ყიდიან იმას, რაშიაც ერთი ეკიუ აქვთ მიცემული“.[70] ანალოგიურ ცნობებს გვაწვდის არქანჯელო ლამბერტი: „მეგრელებისაგან იღებენ თაფლს, ცვილს, ადგილობრივ ტილოს, ძაფს, აბრეშუმს, ხარის, კვერნის და წავის ტყავს, სელის თესლს, ბზის ხეებს და ტყავებს. ბზის ხეებში ოსმალები ძალიან იგებენ, რადგან სამას თუ ოთხას სკუდის მარილით ყიდულობენ იმდენ ხეს, რომელიც ხუთი ათას სკუდზე მეტი ღირს... სხვა საქონელშიც დიდი მოგება აქვთ“.[71]

წყაროებიდან ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობა მაღალ დონეზე იყო განვითარებული, მოჰყავდათ დიდი რაოდენობით ყურძენი.[72] ფეოდალურ ეპოქაში, როგორც წესი, ღვინო, ხორბალთან ერთად, სიმდიდრის დაგროვების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენდა, მაგრამ შექმნილ მდგომარეობის გათვალისწინებით, დასავლეთ საქართველოში არც მეღვინეობის განვითარება იძლეობა ხელშესახებ შემოსავლებს.

მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ დასავლეთ საქართველში არსებულ საექსპორტო პროდუქციას ძალიან დაბალი ფასი ჰქონდა. ხოლო ზოგიერთი პროდუქციის – ცხვრების, ძროხის, ხარ-კამეჩის, ცხენების – ექსპორტის შემთხვევები წყაროებში საერთოდ არ ფიქსირდება.

თუ, ერთი მხრივ, დამპყრობლების მიზანმიმართული ეკონომიკური პოლიტიკა განაპირობებდა ადგილობრივი საექსპორტო პროდუქციის სიიაფეს, მეორე მხრივ, დასავლეთ საქართველოში ვხვდებით იმპორტული პროდუქციის სიძვირეს. ალექსი იევლევი თავის ანგარიშში აღნიშნავს, რომ „ქუთაისიდან სადადიანოს საზღვრამდე ცხენით ნახევარი დღის სავალია. ხოლო შავ ზღვამდე მდინარე რიონით და ხმელეთით ორი დღის სავალია. ქუთაისში ვაჭრები თურქეთიდან, სპარსეთიდან, აზოვიდან, თბილისიდან, გურიიდან, სამეგრელოდან ყოველგვარი საქონლით მოდიან სხვადასხვა ხალხი თურქები, ებრაელები, სპარსელები, სომხები, აზოველები და მოაქვთ ირანული ხავერდები, ატლასები, აბრეშუმის ქსოვილები, აბრეშუმის ზოლებიანი ქსოვილები, ყალამქარი და ყოველგვარი თეთრი თუ ფერადი ფარჩა. მხოლოდ რუსეთზე უფრო იაფი არ არის“.[73]

---

[70] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 123-124.

[71] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 169.

[72] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 110-111.

[73] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა (მუხლობრივი აღწერილობა), გვ. 169-170.

როგორც ვხედავთ, იმერეთში და, ცხადია, მთლიანად დასავლეთ საქართველოში, იმპორტული საქონელი, ადგილობრივი პროდუქციისაგან განსხვავებით, ძვირად ფასობდა. როგორც ჩანს, თვითღირებულებაზე ძვირადაც, რადგან რუსი ელჩის დაკვირვებით, იმერეთში მეზობელი ქვეყნებიდან შეტანილი იმპორტული პროდუქცია მინიმუმ რუსეთში არსებულ ფასების ტოლი ყოფილა. რუსეთში იმავე საქონლის ფასი, ლოგიკურად, იმერეთთან შედარებით, გზის სიშორის გათვალისწინებით ძვირი უნდა ყოფილიყო. მაგრამ, ჩანს, ხელოვნული ბარიერების, ანუ ოსმალური საბაჟო სისტემის და მიზანმიმართული პოლიტიკის წყალობით, დასავლეთ საქართველოში იმპორტული საქონელი საკმაოდ ძვირად ფასობდა, ხოლო ადგილობრივი, თუნდაც მაღალი ხარისხის საექსპორტო პროდუქცია – ძალიან იაფად.

მოცემული ვითარება ცხადადაა ასახული წყაროებში. მაგალითად, შარდენი გადმოგვცემს, რომ „ანაკლიაში ცხოვრების დროს საჭმელის ნაკლებობა არ განმიცდია. ფრინველის, გარეული მტრედების, ღორისა და თხის შოვნა შეიძლებოდა. ჩემი მსახურები ყოველივე ამას იღებდნენ ტილოს, ნემსების, საკმეველის, სავარცხლების და დანების სანაცვლოდ. სურსათი საკმაოდ იაფი იყო. ღვინო უხვად გვქონდა... მხოლოდ პური გვაკლდა. ანაკლიაში ცხოვრობდა ერთი წარჩინებული ქალბატონი... მას მცირედი საჩუქარი მივართვი. მადლობის ნიშნად და კიდევ ახალი საჩუქრების მისაღებად ეს ქალბატონი ყოველდღიურად მიგზავნიდა ნახევარ გირვანქა პურს სხვა სურსათთან ერთად. მაგალითად, ერთხელ გამომიგზავნა გარეული ღორი, მეორედ – ცვილის ნაჭერი, შემდეგ თაფლი, ხორბალი. მიგზავნიდა რა ამ მოსაკითხებს, ყოველდღე მთხოვდა რაიმე წვრილმანს, დანას, მაკრატელს, ბაბთას, ქაღალდს...“.[74]

შარდენის აღნიშნული ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ ადგილობრივი პროდუქცია ძალიან იაფი ყოფილა, ხოლო იმპორტირებული ხელოსნური და მანუფაქტურული ნაწარმი – ძალიან ძვირი.

ერთ ადგილას შარდენი იმპორტული პროდუქციის ფასების შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის, მისი გადმოცემით: „მსახურმა... ძღვენი ამ ხალხს გადასცა. იგი შედგებოდა გენუის მაკარონისაგან, ბაფთების, ქაღალდის, ნემსების, დანების ქარქაშებისა და საკმაოდ ლამაზი მაკრატლისაგან. ყველაფერი ეს ღირდა ოცდასამი თუ ოცდაოთხი ფრანკი. მაგრამ სამეგრელოში იგი სამოც ფრანკზე მეტი ეღირებოდა“.[75] როგორც ვხედავთ, უცხო-

[74] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 216.
[75] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 221.

ური ხელოსნური და მანუფაქტურული ნაწარმი სამეგრელოში და, ცხადია, მთლიანად დასავლეთ საქართველოში, თვითღირებულებაზე დაახლოებით სამჯერ უფრო ძვირად ფასობდა.

საინტერესოა ფეოდალური ეპოქის ერთ-ერთი უმთავრესი პროდუქტის – ხორბლის ფასიც. XV-XVIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს უმეტეს რეგიონებში მოჰყავდათ ღომი, ხოლო ხორბალი – ნაკლებად. მოცემული ვითარება ასახული დასავლეთ საქართველოს საგადასახადო დავთრებიც.[76] ღომი რომ მოსახლეობის ქვედა ფენების უმთავრესი საკვები იყო დასავლეთ საქართველოს უმეტეს რეგიონებში, ამას ადასტურებენ XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში მყოფი უცხოელი მოგზაურებიც.[77] ვახუშტის სიტყვებით, დასავლეთ საქართველოში თესავენ „ღომსა ფრიად მრავლად და გამოიზრდებიანცა მით“.[78] ყოველივე ზემოთ თქმული იმას არ ნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოში ხორბალი საერთოდ არ მოჰყავდათ. ვახუშტისავე ცნობით, ხორბალი და ქრთილი, ღომთან შედარებით ნაკლებად, მაგრამ მოჰყავდათ.[79] ამ საკითხზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დასავლეთ საქართველოში ხორბალი ქართლთან შედარებით ძვირად ფასობდა. ოსმალური დოკუმენტური წყაროების მიხედვით, თუ ქართლში XVIII საუკუნის I მესამედში ხორბალი 20 ახჩა ღირდა, იმავე ეპოქაში იმერეთში მისი ფასი 40 ახჩა იყო.[80] როგორც ვხედავთ, ირან-ოსმალეთის მიერ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს განაწილებით და ოსმალური საბაჟო სისტემის საშუალებით, ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება იმდენად იყო გაყოფილი, რომ მეზობელ ქართლსა და იმერეთს შორის ხორბლის ფასი ერთი-ორად განსხვავებოდა. ცხადია, აღმოსავლეთ საქართველოდან ხორბლის ექსპორტი დასავლეთ საქართველოში შეზღუდულად ხორციელდებოდა და საბაჟო ბარიერები მის ფასს აორმაგებდა.

ჩვენ არ გვაქვს ამ ეპოქის დასავლეთ საქართველოში მთავარი მარცვლეული პროდუქციის – ღომის – ფასის შესახებ ცნობები, თუმცა, ცხადია, რომ მისი ღირებულება დაბალი იქნებოდა.

---

[76] იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 279-342, 358-373, 380-381.

[77] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 111-112, 120-122; არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 55-59; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ. 1962, გვ. 157, 297.

[78] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 743-744.

[79] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 744.

[80] ა. თაბუაშვილი. ხორბლის ფასი ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 189-196.

როგორც ვხედავთ, ოსმალთა სავაჭრო მონოპოლიის პირობებში დასავლეთ საქართველოს საექსპორტო პროდუქცია ძალზე იაფად იყიდებოდა, ზოგიერთი პროდუქციის ექსპორტი კი უბრალოდ არ ხორციელდებოდა. ოსმალურმა სავაჭრო იზოლაციამ განაპირობა განსახილველი პერიოდის დასავლეთ საქართველოში ადგილობრივი პროდუქციის ალოგიკურად დაბალი ფასები. სწორედ მოცემული გარემოება ახალისებდა „ტყვეთა სყიდვას“. რომ არა სავაჭრო იზოლაცია, ადგილობრივი ფეოდალები თუ სხვა ფენის წარმომადგენლები თავიანთ შემოსავლებს მნიშვნელოვნად შეავსებდნენ თუნდაც ცხენების ექსპორტით – როგორც აღინიშნა, ნორმალურ პირობებში საშუალო ღირსების ცხენს თითქმის იგივე ან უფრო მეტი ფასი ჰქონდა, რამდენსაც ოსმალები იხდიდნენ მოტაცებულ ტყვეებში.

შეიძლება დაგვრჩეს შთაბეჭდილება, რომ ადგილობრივი საკვები პროდუქციის სიიაფეს ხელი უნდა შეეწყო მოსახლეობის იოლი ცხოვრებისათვის, მაგრამ ეს ასე არ იყო. ჯერ ერთი, ოსმალური ხარკი, ფეოდალური თუ სახელმწიფო ფულადი გადასახადები მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობის ქვედა ფენებს და, რაც მთავარია, მარილი და სხვა პირველადი მოხმარების იმპორტული პროდუქცია ძალიან ძვირი ღირდა. შესაბამისად, იაფი ადგილობრივი პროდუქციის პირობებში, მოსახლეობას თავის გატანა ძალიან უჭირდა.

როგორც აღინიშნა, მოსახლეობისათვის ხელმიუწვდომელი იყო უცხოეთიდან შემოტანილი ძვირად ღირებული ხელოსნური და მანუფაქტურული ნაწარმი. უცხოელი ავტორები ადგილობრივთა სიღარიბის საჩვენებლად ხაზს უსვამდნენ მოსახლეობის ტანისამოსს. შარდენის ცნობით, ქვედა ფენის წარმომადგენლები „ზამთარში ატარებენ ბეწვის ქუდს. ისინი ისეთი საწყალობელნი და გაჭირვებულნი არიან, რომ წვიმის დროს არახჩინს ან ქუდს ჯიბეში იდებენ, რომ არ გაუფუჭდეთ... ტანზე აცვიათ პატარა, მუხლებამდე ჩამოშვებული პერანგი, რომელიც ვიწრო შარვალში აქვთ ჩატანებული. უარესი ჩაცმულობა ქვეყნიერებაზე არ არსებობს... ღარიბი ხალხი თითქმის შიშველი დადის... უმრავლესობა სხეულის დასაფარად მხოლოდ მდარე ხარისხის ნაბადს ატარებს... თითქმის ყველა ფეხშიშველი დადის...“.[81]

როგორც ითქვა, ზოგიერთი ადგილობრივი პროდუქცია საერთოდ არ გადიოდა ექსპორტზე, ხოლო რაც იყიდებოდა, – ცვილი, თაფლი, ხე-ტყე, ტყავები და სხვა, – იმდენად იაფად, რომ მოსახლეობას აქედან მიზერული შემოსავალი რჩებოდა. ასეთ პირობებში, ადგილობრივ ბაზარზეც აღარ იყიდ-

[81] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 119.

ებოდა ჭარბი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია – ლამბერტი ხაზგასმით აღნიშნავს: „რაც შეეხება ჩვეულებრივ სანოვაგეს, რომელიც ყველას მუდამ ესაჭიროება, მისი არც მყიდველი და არც გამყიდველი არ მოიპოვება, რადგან დიდებულისათვის მათ ყმებს მუდამ დღე მოაქვთ ყოველივე საჭირო სანოვაგე. სხვა წოდების ხალხიც არ ყიდულობს სანოვაგეს, რადგან, რაც სჭირია, ყოველივე სახლში აქვს, მაგალითად, ყველი საკუთარი ძროხისგან აქვს, მწვანილი თავის ბახჩიდან, კვერცხები თავის ქათმებისაგან, და თუ ხორცი უნდა, დაჰკლავს თავის ძროხას, ღორს, ქათმებს, ყვერულებს და ცხვრებს. ამრიგად ყოველ დღე რაც ესაჭიროება უყიდლად აქვს“.[82]

მართლაც, თუ XVI-XVII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის საგადასახდო დავთრებს დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ საშუალოდ ერთი კომლი გლეხი ბატონყმურ გადასახადს იხდიდა შემდეგი ოდენობით: საშუალოდ ერთი ურემ ღომს, ერთ ან ორ საკლავს, ზოგიერთ შემთხვევაში ძროხას, რამდენიმე ქათამს, რამდენიმე კოკა ღვინოს და აშ.[83] როგორც ჩანს, სურსათ-სანოვაგის მხრივ დასავლეთ საქართველოში არათუ კატასტროფული მდგომარეობა არ იყო, არამედ მოსახლეობას ჭარბი პროდუქციაც ჰქონდა, პრობლემას წარმოადგენდა მისი რეალიზაცია და უცხოური შემოზიდული პირველადი საჭიროების ნივთების (ტანისამოსის, სამეურნეო და საბრძოლო იარაღის, მარილის და აშ.) სიძვირე.

სწორედ შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა აიძულებდა მოსახლეობას, დამატებით შემოსავლებზე ეზრუნა. ასეთი საშუალებად კი იმ დროს, ოსმალური ეკონომიკური პოლიტიკის გამოისობით, მხოლოდ ტყვეების გაყიდვა რჩებოდა. ამ ვითარებას დეტალურად აღწერენ უცხოელი ავტორები. შარდენის თქმით, „ყოველწლიურად სამი ათასი კაცი მიჰყავთ კონსტანტინოპოლში, სადაც მათ ქსოვილებზე, იარაღსა და სხვა საქონელზე ცვლიან“.[84]

მოცემულ რეალობას ზუსტად ეხმაურება XVII საუკუნის I მესამედში მამია გურიელის მიერ დადებული ფიცი „ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვასთან დაკავშირებით. დავით გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნოდან გურიაში მივლინებული ბესარიონი გურიელს „ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვას სთხოვდა. გურიელი კი აღნიშნავდა: „დღეის ამას აქეთ, ჩვენთვის საქონლად და სასარგებლოდ, რომ მოიხმარებოდეს ან სასმელ-საჭმელში და ჩვენ აღარ გავსყიდით... რაც ხვანთქარისა და ვეზირისა მართებულება და საგრძნობელი შემოგვივარ-

[82] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გე. 167.

[83] იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 279-342, 358-480.

[84] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 123.

დეს, რომ მტრისაგან არ ვიჩაგრებოდეთ ან ქვეყნის შემოსავლები საქმე მოგვიხდეს თვარა მას გარეთ ეს ასე გაგითაოთ ამ ქვეყნის ტყუეზედ".[85]

როგორც ვხედავთ, გურიელის განცხადებით ტყვეები იყიდებოდა სხვადასხვა საჭიროებისათვის და ოსმალური ხარკისათვის. ის პირობას დებს, რომ ტყვეებს პირადი საჭიროებისათვის აღარ გაყიდიდნენ, მაგრამ იმავე პირობას ვერ იძლეოდა ოსმალური ხარკის, „ხვანთქრისა და ვეზირის მართებულების" შემთხვევაში.

სწორედ მოცემულ ვითარების სიმძიმეს ითვალისწინებდა სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანი (1611-1657 წწ.), როდესაც ევროპასთან დამაკავშირებელი სავაჭრო გზის აღდგენას ცდილობდა. მას სურდა, რომ ადგილობრივი აბრეშუმი და სხვა საქონელი ვენეციელ ვაჭრებს გაეტანათ სამეგრელოდან. მისი პროექტით, თუ აღნიშნული გზა ამოქმედდებოდა, შესაძლებელი იქნებოდა შედარებით იაფად ირანული პროდუქციის ევროპაში გადაზიდვაც. ხოლო, რომის პაპ ურბან VIII-თან გაგზავნილი წერილით ითხოვდა ევროპიდან შალისა და აბრეშუმის მქსოველი ხელოსნების გამოგზავნას, რომლებიც ადგილობრივებს ასწავლიდნენ შესაბამის ხელობას.[86]

ლევან დადიანის წამოყენებულ პროექტს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ის არ შემოიფარგლებოდა უბრალო სავაჭრო ურთიერთობებით. სწორედ მსგავს პროექტს შეეძლო მოცემული იზოლაციის დაძლევა, მაგრამ იმდროინდელი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, აღნიშნულ წამოწყებას შედეგი არ მოუტანია.[87]

საბოლოოდ, XVI საუკუნიდან XVIII საუკუნის I ნახევრის ჩათვლით დასავლეთ საქართველოში პროდუქციის ფასების განხილვა იძლევა შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას – XVI საუკუნის შუა ხანებიდან სახეზე გვაქვს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების კლების ტენდენცია, მისი უკიდურეს ნიშნულამდე დაყვანა და იმპორტული, პირველადი მოხმარებისათვის საჭირო საქონლზე ფასების ზრდა. ყოველივე ეს დაკავშირებული იყო ოსმალეთის პოლიტიკასთან. პროცესი მყარდებოდა დასავლეთ

[85] მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო XVIII საუკუნეში. თბ. 1982, გვ. 314.

[86] ილ. ანთელავა. ლევან II დადიანი. თბ. 1990, გვ. 111-117.

[87] აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ლევან დადიანის მიერ ჩხარისა და ჩიხორის ებრაელი და სომეხი ვაჭრების აყრით და მათი რუხში ჩასახლებით სამეგრელოს სამთავროს ეკონომიკური მდგომარეობა დროებით უმჯობესდებოდა, მაგრამ ამით კიდევ უფრო მძიმდებოდა ზოგადი ვითარება, რადგან იმერეთის აღმოსავლეთით არსებული მცირე სავაჭრო პუნქტების განადგურება, კიდევ უფრო ასუსტებდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის ისედაც შემცირებული სავაჭრო კონტაქტებს.

საქართველოს მეზობლად ოსმალეთის იმპერიის გაბატონების კვალდაკვალ და ამავე საუკუნის ბოლო მეოთხედში ჩამოყალიბებული სახე მიიღო. შექმნილი ეკონომიკური რეალობა გაგრძელდა XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის I ნახევარში. იმ ფაქტს, რომ აღნიშნულ ეპოქაში დასავლეთ საქართველოში ტყვეებით ვაჭრობამ ფართო ხასიათი მიიღო და მის შესუსტებას ადგილობრივი ხელისუფლება ვერ ახერხებდა, სწორედ მოცემული ეკონომიკური ვითარება განაპირობებდა.

***

ეკონომიკურად ჩიხში შესული დასავლეთ საქართველოსათვის მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა XVIII საუკუნის შუა ხანებში. იმერეთის სამეფო ტახტი დაიკავა ენერგიულმა მეფემ – სოლომონ I-მა (1752-1784 წწ.). როგორც ჩვენთვის ცნობილია, სოლომონმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ტყვეებით ვაჭრობას. 1759 წლის დეკემბრის დასაწყისში მეფემ მოიწვია საეკლესიო კრება, რომელსაც, დადიანთან და გურიელთან ერთად, დასავლეთ საქართველოს ყველა დიდი ფეოდალი ესწრებოდა. საეკლესიო კრების დადგენილებით „ტყვეთა სყიდვა“ სასტიკად იკრძალებოდა, ამ საქმის მიმდევრებს ეკლესია შეაჩვენებდა, ხოლო საერო ხელისუფლება სიკვდილით დასჯიდა.[88] მართალია, XVIII საუკუნის II ნახევარში ტყვეებით ვაჭრობის სრულად აღმოფხვრა ვერ მოხერხდა, თუმცა სამეფო ხელისუფლებამ ხელშესახებ შედეგს მიაღწია და მნიშვნელოვნად შეკვეცა მისი მასშტაბები.

საინტერესოა აღნიშნული პოლიტიკური კურსის ეკონომიკური ასპექტების გაანალიზება. როგორც ზემოთ დავინახეთ, XVI საუკუნის II ნახევრიდან XVIII საუკუნის I ნახევრის ჩათვლით, დასავლეთ საქართველოში არსებული სპეციფიკური ეკონომიკური ვითარება ძალზე ართულებდა „ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვას. ვნახოთ, რა შეიცვალა ამ კუთხით XVIII საუკუნის II ნახევარში.

გარდა იმისა, რომ დროთა განმავლობაში ოსმალეთის სახელმწიფო სუსტდებოდა, რაც ეკონომიკური მარწუხების შემცირებასაც იწვევდა, ამ პერიოდში ცვლილება განხორციელდა ქართლ-კახეთში, რასაც, როგორც აღმოჩნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური ვითარებისათვის. ვინაიდან XVIII საუკუნის შუა ხანებში ქართლი და კახეთი ირანის ბატონობისაგან გათავისუფლდა, დაირღვა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ირან-ოსმალეთის განაწილების უკვე ტრადიციულად ქცეული

[88] ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 641.

სურათი. დასავლეთ საქართველოს მეზობლად ამჯერად ირანისაგან დამოუკიდებელი ქართლ-კახეთი იყო, რასაც ლოგიკურად უნდა გამოეწვია ეკონომიკური იზოლაციისაგან თავის დაღწევა.

როგორც ცნობილია, ქართლის და კახეთის მეფეებმა, თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ, მჭიდრო სამხედრო პოლიტიკური კავშირი დაამყარეს სოლომონ I-თან. ეს დაახლოება კი 1758 წელს გორში მეგობრობისა და ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულებით გაფორმდა.[89] აღნიშნული კავშირისა და შეთანხმების პარალელურად, სოლომონი დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდა ტყვეებით ვაჭრობას. ამავდროულად, როგორც წყაროებიდან ირკვევა, დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური გათიშულობა წარსულს ჩაბარდა. XVIII საუკუნის II ნახევრის საბუთებში აღარ იხსენიება „ტყვის ბაჟი“. ცხადია, აღმოსავლეთ საქართველოში სრულად აიკრძალა იმერეთიდან ტყვეების გადაყვანა. მართალია, ჩვენ არ გაგვაჩნია XVIII საუკუნის შუა ხანების საბაჟო გადასახადების შესახებ დაწვრილებითი მონაცემები, თუმცა საუკუნის მიწურულის საბაჟო ტარიფებდან ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოდან დიდი რაოდენობით პროდუქცია შედიოდა აღმოსავლეთ საქართველოში. რუსეთის მოხელეების მიერ 1801 წელს შედგენილი საბაჟო ტარიფის მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, სრულად ასახავს XVIII საუკუნის II ნახევრის რეალობას, თბილისში იმერეთიდან შედიოდა სხვადასხვა საქონელი და, რაც მთავარია, მოქმედებდა მფარველობითი საბაჟო ტარიფი – თუ ირანიდან და ოსმალეთიდან შეზიდული საქონელი იბეგრებოდა 10%-ით, იმერეთიდან – 5%-ით; შეღავათი იყო დაწესებული თბილისიდან დასავლეთ საქართველოში გატანილ პროდუქციაზე და ამ შემთხვევაში ბაჟი აიღებოდა 4%, მაშინ როდესაც ირან-ომალეთში გატანილი პროდუქცია იბეგრებოდა 15%-ით.[90]

იმერულ საქონელზე კიდევ უფრო მეტი შეღავათები არსებობდა შიდა ქართლში. გორში დასავლეთ საქართველოდან შეტანილ პროდუქციაზე ბაჟი 2% აიღებოდა,[91] ხოლო ადგილობრივის მიერ მიტანილი იმერული საქონელი საერთოდ გათავისუფლებული იყო საბაჟო გადასახადისაგან.[92]

---

[89] ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან, გვ. 639.

[90] ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში. თბ. 1963, გვ. 189-197.

[91] ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, გვ. 195.

[92] მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში. თბ. 1980, გვ. 52.

წყაროებით დასტურდება, რომ ქართლსა და იმერეთს შორის სავაჭრო ქარავნები თითქმის ყოველდღე მოძრაობდნენ. სურამის აღწერისას იაკობ რაინეგსი გადმოგვცემს, რომ ის „ერთადერთი ქალაქია იბერიასა (იმერეთს – ა.თ.) და ქართლს შორის, ამიტომ იქ საკმაოდ გაცხოველებული ვაჭრობაა“.[93] პ. ციციანოვი აღნიშნავდა, რომ სავაჭრო ქარავნები ქართლსა და იმერეთს შორის თითქმის ყოველდღე მიმოდიოდნენ.[94]

XIX საუკუნის დასაწყისში რუსი მოხელეების ჩვენებებიდან კარგად ჩანს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სავაჭრო კავშირ-ურთიერთობების ინტენსივობა – საკარანტინო სამსახურის ინსპექტორი საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორ ხოვენისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ „...ბევრი ისეთია, რომ ქალაქ ქუთაისიდან და იმერეთიდან მიმოდიან სოფლებში, ეწევიან ვაჭრობას, არიგებენ ფულს, და თვითნებურად ჩამოდიან თბილისში“.[95] მოხელე ითხოვდა პასუხს, უნდა შეეჩერებინათ თუ არა იმერელი ვაჭრების მიმოსვლა აღმოსავლეთ საქართველოში.

საბუთებში ვხვდებით, ასევე, იმერული ღვინის და სხვა პროდუქციის აღმოსავლეთ საქართველოში ინტენსიური შეზიდვის ფაქტებს. 1802 წლის ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია, რომ ქალაქ გორში „ჩამოსულთაგან აქ დუქნები არავის არ აქვს, გარდა იმერლებისა“.[96]

XIX საუკუნის 10-იან წლებში თბილისის პოლიციმეისტერი იოსებ შაგუბატოვი დეტალურად აღწერს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის ვაჭრობას. მისი გადმოცემით, თბილისიდან დასავლეთ საქართველოში შეჰქონდათ „აბრეშუმისა და ბამბეულის სხვადასხვაგვარი საქონელი, ბამბა, მატყლი, რკინა, შაბი, ცისფერი საღებავი, ჭიაფერა, ენდრო, მარილი, ფეხსაცმლის ლანჩი, სხვადასხვა ფერის თხის ტყავი, რომლისაგან კერავენ ჩექმებს, მაღალყელიან ფეხსაცმელს და სხვა, ცხენის მოსართავი, ლარი, ბრინჯი, ხახვი, შაქარი, ჩაი, გამოყვანილი და შებოლილი სხვადასხვა ხარისხის ზურგიელი, ხიზილალა და სხვა“; ხოლო დასავლეთ საქართველოდან კი აღმოსავლეთ საქართველოში შედიოდა „მელიის, კვერნის, თეთრყელიანი, იშვი-

[93] იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო გია გელაშვილმა. თბ. 2002, გვ. 148.

[94] Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Т. II. Под ред. А. Д. Берже. Тифлис. 1868, გვ. 241.

[95] მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 54.

[96] მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 51.

ათად კი შავი მელიის, წავის, თახვის ბეწვი და მუსკუსი, ნედლი აბრეშუმი და აბრეშუმის ნართი, სხვადასხვა ფერის ვიწრო და იშვიათი თაფთა, რომელსაც ართავენ კანაფისაგან, ცვილი, ცუდი ხარისხის სპილენძი, ცხვრის ტყავი, სქელი და იშვიათი ტილო, სელის სქელი ძაფი, გამოყვანილი და შებოლილი ზურგიელი, ხილიდან მხოლოდ წაბლი შემოდიოდა, რითაც მდიდარია იქაური ტყეები“.[97]

ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის II ნახევარში აღდგა სრულფასოვანი კავშირი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის. ამ ფონზე საინტერესოა, თუ როგორ შეიცვალა დასავლეთ საქართველოში ადგილობრივი პროდუქციის ფასები.

XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასავლეთ საქართველოში არსებული ფასების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის გიულდენშტედტი. მისი გადმოცემით, ხონის ბაზარზე იყიდებოდა შემდეგი საქონელი:

„რუხი და შავი უხეში მაუდის ჩოხები და ნაბდები, რომლებიც შემოაქვთ ბასიანიდან და დუგორიან, ონის გზით.

ბამბის, წითელი და ცისფერი უხეში ქსოვილები შარვლებისათვის, პერანგებისა და ქალთა ზედატანისათვის და სახიანი ბამბის ქსოვილები ქვედატანისათვის თბილისის ფაბრიკებიდან.

თეთრი, უხეში, 3/4 არშინის სიგანის ბამბის ქსოვილი, რუსული წყრთა 8 კაპიკად.

ცუდი, 3/4 წყრთის სიგანის, ალისარჩულით შეღებილი თავთა, წყრთა 25 კაპ.. ის აქ მზადდება პერანგებისა და შარვლებისათვის.

ჭრელი არშიები ევროპული ტილოსი, წყრთა 5 კაპ. მათ იყენებენ წინდების მოსაჭერად. ადგილობრივი რუხი მაუდის ქუდები, 20 კაპიკად.

ერთვედრიანი სპილენძის ქვაბი, თითო 3 მანეთად.

სპილენძის საყვირები, თითო 4 მანეთად.

ზღვის მარილი ყირიმიდან – ფოთზე გამოვლით, ფუთი 2 კაპიკი.

დამარილებული ზურგიელი ფოროჟისა (ადრე ფოთიდან, ახლა სალიანიდან და თბილისიდან), ცალი 40 კაპ.

ცხვრები პატარა კუდებით, ურქებოდ; თითო 1 მან. 20 კაპ.

[97] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის სამინაო მდგომარეობის აღწერა. რუსული ტექსტის ქართული თარგმანი, გამოკვლევით, კომენტარებით, საძიებლებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს ა. თაბუაშვილმა და გ. ჟუჟუნაშვილმა. თბ. 2015, გვ. 29-30.

კანაფის თოკი და ხის ჯამები, ამის გარდა აქაური ცხენები, თითო 30-დან 40 მანეთამდე და ზოგი სხვა საგნებიც“.[98]

ვიდრე უშუალოდ ფასებს შევეხებოდეთ, ხონის ბაზარზე გაყიდული საქონლის ადგილწარმოებაზე გავამახვილებთ ყურადღებას. როგორც გიულდენშტედტის ცნობებიდან ჩანს, XVIII საუკუნის II ნახევარში დასავლეთ საქართველოში ტანისამოსისათვის საჭირო ქსოვილები და სხვა საქონელი თბილისიდან და, ასევე, ჩრდილოეთ კავკასიიდან, კერძოდ ბასიანიდან (ანუ ბალყარეთიდან) და დუგორიდან, შედიოდა. აღნიშნული ცნობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას, რომ ქართლ-კახეთის პოლიტიკური თავისუფლების და ერეკლე II-ის დაწესებული მფარველობითი საბაჟო ტარიფის წყალობით, დასავლეთ საქართველოსათვის ეკონომიკური იზოლაცია დასრულდა. ასეთ პირობებში აზრს კარგავდა ოსმალეთის დაწესებული მაღალი საბაჟო გადასახადები, რადგან, მაგალითად, მარილი უკვე აღმოსავლეთ საქართველოდან შედიოდა იმერეთში.[99] შესაბამისად, ყირიმიდან შეტანილი ზღვის მარილი უკვე საკმაოდ იაფი ჩანს.

რაც შეეხება ფასებს, ყურადღებას გავამახვილებთ ცხვრისა და ცხენის ფასზე. ეს კი საშუალებას მოგვცემს, გიულდენშტედტის დასახელებული ფასები შევადაროთ XVI-XVIII საუკუნის I ნახევრის ფასებს.

ხონის ბაზარზე ცხვრის ფასი ყოფილა ერთი რუსული მანეთი და 20 კაპიკი, რაც 6 აბაზის, ანუ დაახლ. 17,5 გრამი ვერცხლის ტოლფასია.[100] როგორც ვნახეთ, XVI საუკუნეში და, სავარაუდოდ, XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის I ნახევარშიც, ცხვრის ფასი იყო 7 გრამი ვერცხლი. 1770 წლისათვის მისი ფასი 2,5-ჯერ გაზრდილა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იმ პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოში ცხვარს დაახლოებით ანალოგიური ფასი ჰქონდა.

რაც შეეხება ცხენს, გიულდენშტედტის ცნობით მისი ფასი 30-40 მანეთი (3-4 თუმანი) ანუ 435-580 გრამი ვერცხლი ყოფილა. XVIII საუკუნის II ნახევარის დასავლეთ საქართველოში ცხენის ფასი, წინა ეპოქის ფასთან შედარებით (65-135 გრამი ვერცხლი), მნიშვნელოვნად გაზრდილა.

---

[98] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 153-155.

[99] ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოში მარილის ქართლიდან შეტანას ადასტურებს როგორც შაგუბატოვის ზემოთ მოყვანილი ცნობა, ასევე გიულდენშტედტიც. იხ.: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 107.

[100] აბაზი იმ პერიოდში 2,9 გრამს იწონიდა. იხ.: ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV ნაწილი, გვ. 39-54.

ჩვენთვის საინტერესო ცნობების შემცველია 1808 წლის სოლომონ II-ის მიერ დაწესებული ფასების ნიხრი. საინტერესოა თვით ის ფაქტი, რომ აღნიშნული დოკუმენტის შედგენის წინაპირობა გამხდარა ადგილობრივი პროდუქტის გაძვირება. მეფეს სიძვირის გამო პირველადი მოხმარების საქონელზე ზღვრული ფასები დაუწესებია. 1808 წლის ნიხრების მიხედვით, ჩვენთვის საინტერესო პროდუქციის ფასები ასე გამოიყურებოდა:

„...ქ. პური ორი ბათმაი – ერთი ქილა ორ რუბათ.

ქ. ღომი ორი ბათმანი ორ რუბად...

ქ. ხარი დიდი და მსუქანი ოც მარჩილათ. მაზე ნაკლები თხუთმეტ მარჩილათ, გახედნილი ხარი თორმეტ მარჩილათ, და უნცროსი თერთმეტად. სამი წლის ხარი ათ მარჩილათ, ამაზე ნაკლები რვათ, შვიდათ და ექვსად და წლის ოთხად. ზროხა დიდი და მსუქანი ხფოიანი თორმეტ მარჩილათ და უხფოო ძროხა დიდი და მსუქანი ათად, ამაზე ნაკლები ცხრად, რვად და შვიდათ და უშობელი ექვსად და წლის ხფო ოთხათ. მსუქანი და ნაკლი ათ რუბათ.

ქ. ცხვარი ორი წლის მსუქანი ას ფარად და ნაკლები ორ ყურუშათ და კრავი ოთხისა და სამი თვისა მარჩილათ.

ქ. თხა ვაცი დიდი და მსუქანი ათ რუბათ, ნეზვი დიდი და მსუქანი ფლურად, მაზე ნაკლები ორ ყურუშათ და წლის მარჩილათ.

ქ. ღორი დიდი და მსუქანი ათ რუბათ, გოჭი ორი და სამის თვის რუბათ და ნაკლები ათ ფარად...“.[101]

საკმაოდ რთულია დოკუმენტში მოხსენებული ოსმალური ფულადი ერთეულების რაობის დადგენა. იმავე დოკუმენტის გვიანდელი მინაწერის მიხედვით რუბი 10 ფარის ტოლია. მ. ანთაძე, აღნიშნულ მინაწერზე დაყრდნობით, ფიქრობს, რომ რუბი 1/4 ყურუში, ანუ ათფარიანი უნდა იყოს.[102] მოცემული დოკუმენტის კონტექსტიდან ვიგებთ, რომ რუბი 10 ფარაზე მეტია. მაგალითად, ღორის ფასის შესახებ აღნიშნულია: „ღორი დიდი და მსუქანი ათ რუბათ, გოჭი ორი და სამის თვის რუბათ და ნაკლები ათ ფარად“. აშკარაა, რომ რუბს ათ ფარაზე უფრო მეტი ღირებულება ჰქონდა. ამ მხრივ საინტერესოა გიულდენშტედტის ცნობები დასავლეთ საქართველოში მიმოქცევაში არსებული ნომინალების წონის და კურსის შესახებ. მისი ცნობით, თბილისუ-

[101] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. გვიანფეოდალური ხანა. წ. I (ხელფასი, ქირა, ფასები), გვ. 261-263.

[102] მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, გვ. 136.

რი აბაზი 16 ფარის ტოლფასია, ხოლო შაური – 4 ფარის.[103] აღნიშნული მონაცემის მიხედვით, 10 ფარა თბილისში მოჭრილი 2,5 შაურის ეკვივალენტურია. თუმცა, იგივე ავტორი ათფარიან მონეტას (1,5 დრაქმის წონის) 20 კაპიკის ტოლფასად მიიჩნევს.[104] როგორც ჩანს, ათფარიანი მონეტა 4 შაურს (ანუ ერთი აბაზს) უდრიდა. ერთი სიტყვით, რუბი უნდა აღნიშნავდეს არა 10 ფარას, არამედ ათფარიან (სავარაუდოდ ადრე მოჭრილ) მონეტას, რომელიც 1 თბილისური აბაზის ტოლფასი იყო.

დოკუმენტის მიხედვით, გამორჩეულად დიდი და მსუქანი ხარი 20 მარჩილი ღირდა, ხოლო უფრო მცირე ზომის – შედარებით ნაკლები. ხარის საშუალო ფასი 12-15 მარჩილი ყოფილა. მარჩილი 3 აბაზს, ხოლო 12-15 მარჩილი 36-45 აბაზს უდრიდა, რაც დაახლ. 105-130 გრამი ვერცხლის ტოლფასი იყო. როგორც ვხედავთ, 1808 წლისათვის, XVI საუკუნის II ნახევრისა და XVII საუკუნის ფასთან შედარებით, ხარი დაახლოებით 2,5-ჯერ გაძვირებულა.

ძროხა საშუალოდ 8 მარჩილი, ანუ დაახლ. 70 გრამი ვერცხლი ღირდა. წინა ეპოქასთან შედარებით, ძროხის ფასი დასავლეთ საქართველოში დაახლოებით 3-ჯერ გაზრდილა.

2 წლის ცხვარი 100 ფარა, ანუ 6,25 აბაზი ღირდა, რაც დაახლ. 18 გრამი ვერცხლის ტოლფასია (როგორც აღინიშნა, XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ცხვარი 6 აბაზი ღირდა). გამორჩეულად დიდი თხა კი 10 რუბი (10 აბაზი), ანუ 29 გრამი ვერცხლი ღირდა. ანალოგიური ფასი ჰქონდა ღორსაც.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იმ პერიოდში ზემოთ დასახელებული პროდუქციის ღირებულება ანალოგიური იყო აღმოსავლეთ საქართველოში.

2 ბათმანი ხორბალი იმერეთში ღირდა 2 რუბი, ანუ 2 თბილისური აბაზი (5,8 გრამი ვერცხლი). დასავლეთ საქართველოში ბათმანი იწონიდა 7,3 კილოგრამს,[105] ხოლო ორი ბათმანი – 14,6 კილოგრამს. შესაბამისად, კილოგრამი ხორბლის ღირებულება ყოფილა დაახლ. 0,40 გრამი ვერცხლი. იმავე ეპოქის აღმოსავლეთ საქართველოში ხორბალი ანალოგიური ფასი ღირდა.[106]

ისიც აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის დასაწყისში ღომს და ხორბალს თანაბარი ფასი ჰქონია, რაც მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ხორბალი

[103] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 287.
[104] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 286.
[105] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან. თბ. 1973, გვ. 69.
[106] იხ.: ა. თაბუაშვილი. ხორბლის ფასი ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 199.

ქართლ-კახეთიდან ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე შედიოდა დასავლეთ საქართველოში.

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის II ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში, წინა ეპოქასთან შედარებით, დასავლეთ საქართველოში ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია 2,5-3-ჯერ გაძვირებულა, ხოლო ხორბალი, მარილი და სხვა იმპორტირებული პირველადი მოთხოვნილების საქონელი გაიაფებულა. ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის II ნახევარში დასავლეთ საქართველომ თავი დააღწია ოსმალეთის ეკონომიკურ იზოლაციას, აღდგა სრულფასოვანი კავშირი ქართლ-კახეთთან, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ყოფით ცხოვრებაზე დადებითად აისახა. აღნიშნული ეკონომიკური ვითარება, თავის მხრივ, დადებითად მოქმედებდა ტყვეებით ვაჭრობის საწინააღმდეგო ღონისძიებებზე.

Apolon Tabuashvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ISSUES OF ECONOMIC HISTORY OF WEST GEORGIA IN 16TH-18TH CENTURIES (PRICES ON COMMODITY AND ITS INFLUENCE ON SOCIAL LIFE)

Summary

The Ottoman Empire became neighbour of fragmented Georgia in the last quarter of the 15th Century. The roads that connected western and eastern countries were under Ottoman control. According to 1555 peace treaty of Amasya, western Georgian states were under Ottoman dominion and East Georgia was under Iranian rule. Economic union collapsed between those two parts of Georgia. Ottomans were in full control of customs on the roads leading from West Georgia to other countries.

The Ottomans were interested in economic hardship of Western Georgian population in order to establish the trade of slaves as the most profitable source of income for them. Western Georgian lands were less profitable. They scarcely grew wheat which was the main product in Medieval times. Apparently wheat and other commodities were imported from East Georgia to West Georgia, while local products were almost never imported to East Georgia.

According to the historical sources, as a result of economic isolation of West Georgia the prices on local commodities were 6, 7 or even 10 times cheaper when the prices in Ottoman Empire from 16th century to the midst of 18th century. The same products were 3 times cheaper to the prices of Eastern Georgian products. This was a result of economic isolation of West Georgia by the Ottomans. Some products had never been exported from West Georgia and some others are purchased for very low prices, while price for the slaves were much higher.

In contrast to exported goods imported Ottoman products in West Georgia such as salt, clothes, military weapons and agrarian tools were very expensive. This economic reality facilitated the slave trade. This situation changed in the midst of the 18th century when Kartli and Kakheti were liberated

from Iranian domination. Independent Kingdom of Kartli-Kakheti emerged as the neighboring country of West Georgia. Economic division of western and eastern parts of Georgia was completed. Preferential custom prices were established on the goods exported from West Georgia to East Georgia. The large amount of goods was imported in Tbilisi or in the other cities of East Georgia from the western part of Georgia. Salt and other products were imported from Tbilisi in regular prices in West Georgia.

[24] გ. სოსიაშვილი. ნიქოზის ეპარქიის ურთიერთობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან. წიგნში: შიდა ქართლის ისტორიის საკითხები. თბ. 2013, გვ. 77.

ამისთვის რომ თქვენმა მისვლამ დაჰკარგა. მეორე ესე, რომ ის ეკლესია როგორა გაქვსთ სასაფლავოდ მოცემული ან იმ ეკლესიის ყმათ თქვენი რა ჰსდებიათ, მეფეების წიგნი გექნებათ, ესეც უნდა შეგვატყობინოთ; როგორც ძველთ მეფეთაგან განწესებული არის, ისე უნდა აღსრულდეს. რატომ არ უნდა გქონდესთ წიგნი, თქვენ საიდამაც გამოხვედით და როგორც მანდ შეხვედით. ეს ხომ ძველი ამბავი არ არის, არც სამასი წელიწადია და არც ოთხასი... და სასაფლაოდ როგორ მოგცემიათ ნიქოზის ეკლესია, და ან ნიქოზის ეკლესიის ყმათ თქვენი რა ჰსდებიათ, ან დიდის ლუარსაბ მეფის წიგნი გექნებათ, ან იმის მამისა, და ან სვიმონ მეფისა; ამას ზევით კი აღარავისი იქნება. და ან მეფეს სვიმონს აქათ მეფეებისა განაჩენი გექნებათ ვისიმე და ან ოქმი, გვიჩვენეთ ის წიგნები და ან ერთი სარწმუნო რამ საქმე გუაჩვენეთ, რომ გული დავაჯეროთ და ისე მოგცესთ. ოცდაათი დღე პაემანი მოგვიცია. თუ ამ ოცდაათს დღეში საბუთი არ მოგვიტანეთ, მას უკან ჭეშმარიტი და სწორე სამართალი იქნება“.[25] როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ნიქოზის ეკლესიას ფავლენიშვილები თავიანთ საკუთრებად აცხადებდნენ და დავით ნიქოზელის საგვარეულო საძვალეში დაკრძალვაზე უარი განაცხადეს.

ანტონ I-მა ფავლენიშვილთა ნიქოზში ჩამოსახლების ისტორია გადმოცემით იცოდა და ნიქოზის ტაძარზე მოდავე ფეოდალებს მეფეებისაგან (დავით X 1505-1525; ლუარსაბ I 1527-1556, ან სიმონ I 1556-1599) ბოძებული საკუთრების დამადასტურებელი სიგელის წარმოდგენას მოთხოვა. დოკუმენტში დასახელებული ქართლის მეფეების მმართველობის ქრონოლოგიით თუ ვიმსჯელებთ, ფავლენიშვილები ნიქოზში არაუადრეს XVI საუკუნის დასაწყისში ჩამოსახლდნენ. დავით ნიქოზელის გარდაცვალების შემდეგ ნიქოზელ ეპისკოპოსად იულიოსი დაინიშნა. სწორედ მის დროს მოხდა ნიქოზის ეკლესიის საბუთების გატაცება ფავლენიშვილთა მიერ. ფავლენიშვილებმა ამჯერად მისი შევიწროვება დაიწყეს. საეკლესიო საბუთები წაიღეს და ეკლესიის საკუთრებაში არსებული მამულები გაინაწილეს. ამან აიძულა იულიოსი, რომ 1785 წელს ერეკლე II მიერ შექმნილი საეკლესიო სასამართლოსთვის ე. წ. დიკასტერიისათვის მიემართა: „ნიქოზელი რომ მიცვლილიყო, მათის უწმიდესობის ბრძანება ჰქონდა ურბნელს მიცვალებულის დამარხვისა. დაიმარხა, და რაც ეკლესიის წიგნები ჰქონდა, ყველა ერთს ზანდუხჩაში ჩაეწყო, დაებეჭდა და იმის ოთახში შეინახა. მეორეს კვირას მოსრულიყო ფავლენიშვილი თეიმურაზ და ის სახლი გაეტეხა და ზანდუხჩა წიგნებით წაეღო.

[25] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 943-944.

მათს სიმაღლეს და მათს უწმინდესობას ჩემს პირველს ეპისკოპოსობაში ჯერ იქ არ მივსრულვიყავ, თავი ვაწყინე და ოქმები მიბოძეს ამისი, რომ: ფავლენიანნო და ანუ სხვანო, რაც ნიქოზლის წიგნები და სხვა რამე წაგეღოსთ, სრულ ყველაფა უკლებრივ მიაბარეთო. ვსთხოვე და არ მომცეს. შარშანწინ ვიახელ აქ მათს უმაღლესობას მოსახსენებლათ და ის წიგნების ზანდუხჩაც აქ ვაახელი. კიდევ მომატყუეს, რომ მოგცემთო, და არც მაშინ მომცეს. ამას გარდა, ნიქოზლისაგან მამულების განაჩენები დამხუდა. ბატონს არზა მივართვი და იასაულად ამილახვარი მიბოძა. რომ: ხელი აუმართე და ეკლესიას თავის მამულები მიაბარეო. აღასრულა ეს ბრძანება ამილახორმა და ის მამულები მომაბარა. როდესაც სთვლის დრო მოვიდა, გამოვიდა რევაზ ფავლენისშვილი და მოსაკრეფი ვენახი წამართვა და მეც ავად მომეპყრა; იმისმა მსახურმა კინაღამ შიგ ხმლით დამკაფა და ხელიდან სისხლი მადინა. მეორე კვირას იასე ფავლენისშვილი გამოვიდა და ჩემი დეკანოზი მომიგზავნა, რომ ჩემი ყმა და მამული არისო და უბრალოდ ნურვის აწუხებო. ამაზედ ლაპარაკი მოგვივიდა და ი[ა]სე წარვიდა. მერმე, ნომებერში, თეიმურაზ ფავლენისშვილი მომიხდა შინ უშვერისა და სხვას რიგით ლანძღვითა; ავად მომეპყრა ამანაც. კიდევ ეკლესიის მამულისათვის, რომლისა განაჩენი ხელში მიპყრია. ჩემის კაცისაგან ერთი ცხენი ვიყიდე ცამეტ მინალთულათ. ერთი წელიწადი მყვანდა. ის კაცი ფავლენისშვილის კაცებმა შეაგულიანეს, შინ ღამე მომიხდუნეს, მოაპარვინეს და კახეთში გააქციეს. მას უკან ის ჩემი კაცი ისევ მოვიდა. დეკანოზი და ერთი სხვა კაცი მიუგზავნე, ჩემი ცხენი ვსთხოვე. არც ცხენი მომცა და არც თეთრი და წინააღმდეგი სიტყვებიც შემოეთვალა. მ[ე]ც სამართლამდინ დავეხსენ. ამ ჩემის კაცის მიწა მოვახუნევინე სანახევროთ; და არც ეს დამანება, წაეყვანა შუაღამისას ფავლენისშვილის კაცი და დაეთესა. შევიტყვე, ჩემი ბიჭი გაუგზავნე და ავად მოჰყრობოდა. შევიტყე ავად მოყრობა, მეც გაველ და მშვიდობიანის სიტყვით ველაპარაკე. არც ისმინა და უშვერის სიტყვითაც გამლანძღა. ორიოდ ჯოხი შემოკარ, გამეცალე-მეთქი, არც გამომეცალა, ხელი მკრა და კიდეც დამჩეხა. ახლა ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ სამართალში გვალაპარაკოთ, ან ფავლენიანი რას მემართლებოდნენ და ან ის ჩემი კაცი, ჩემი დანაშაულიც მოიკითხეთ და იმათიც. და თუ ამისი მოწყალება არ დამემართება, ჩემი იქ გაძლება არას გზით არ შეიძლება".[26]

[26] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII. ქართული სამართლის ძეგლები. სასამართლო არზა ოქმები. ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. VII. თბ. 1981, გვ. 673-674.

ერეკლე II ნიქოზელ ეპისკოპოზსა და ფავლენიშვილებს შორის არსებული დავის მოგვარება ნინია ბერძნიშვილს დაავალა.[27] თუმცა ფავლენიშვილებმა ნიქოზელი ეპისკოპოსის შევიწროვება მაინც გააგრძელეს. ამას ადასტურებს: „განჩინება გიორგი XII-ისა ნიქოზელისა და ფავლენიშვილების ყმამამულის საქმეზე“. 1786 წლით დათარიღებული დოკუმენტიდან ჩანს, რომ ამ დავაში ერეკლე II-ის ბრძანებით კათალიკოს-პატრიარქი ანტონი და ერეკლე II-ის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილი ჩაერივნენ. კათალიკოსი ანტონი შეუძლოდ იყო და დავის გადასაწყვეტად ნიქოზში სასულიერო პირები: მთავარეპისკოპოსი იოასაფი, თბილელი მიტროპოლიტი გერმანე, რუსთველი მიტროპოლიტი კირილე და დიკასტერიის სხვა წარმომადგენლები გამოუგზავნია. საბოლოოდ დავა ნიქოზელი ეპისკოპოსის იულიოსის სასარგებლოდ გადაწყდა. დიკასტერიამ ფავლენიშვილებს სადავო მამულებზე მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტები მოთხოვა და ორმოცდღიანი ვადა მისცა, თუმცა მათ საბუთები ვერ წარმოადგინეს. ნიქოზის ეკლესიას მამულები დაუბრუნდა: „ყოვლად სამღვდელო ნიქოზელი ამას ჩიოდა: ეკლესია მისის სიმაღლის მეფისა არისო და მე ეპისკოპოსად დაუდგენივარო. მამულებისაგან ასე გაძრცვილიაო, რომ აღარაფერი აღარა აქვსო. ზოგი ფავნელიანთაგან აქვს წარტაცებული, ზოგი მჭედლიძეებისგან და ზოგი სხვათაგან. და ფავნელიანი ეკლესიას თავეთს ეძახიანო და გლეხებს ასე იმსახურებენ, როგორც თავეთსაო. და სამართალი გასინჯეთ: თუ მეფეებისაგან მისცემიათ, ეკლესიისათვისაც იზრუნეთ, რით იცოცხლოს ეკლესიის მსახურმა. და თუ მძლავრებით დაუჭერიათ, მოიკითხეთ და ეკლესია განათავისუფლეთო. ფავლენიანი მიგებდნენ: ეკლესიაც ჩვენთვის არის ბოძებულიო, რომ ჩვენნი მიცვალებულნი სულ იქ მარხიანო და კიდევ შალიკაშვილისაო; და შალიკაშვილის მამული ჩვენ გვიჭირავსო და მისი სასაფლაოც ჩვენ დაგვრჩაო. ეკლესიის ყმაც ჩვენი შეწირულიაო და ბარათით გვყავს გაყოფილიო. მსახურიც გეხლებიაო, ჩვენი მკა და ბარვაც სდებიათო და ლაშქარზედაც ჩვენზე ყოფილანო, ჭირისუფალნიც თავ-თავის გლეხ ჩამოუხდებითო დ აიმ გლეხებს ნიქოზელი ვერც დაარბევს და ვერცარას წაართმევსო. ჩვენ უნდა გვითხრას და ჩვენის ხელით გარდაახდევინოსო. ჩვენ რომ ესენი მოვისმინეთ, სრული ყმობის ნიშანს დაგვისახევდა ფავლენიანთ ლაპარაკი... ფავლენია[ნ]თ ზოგის რისამე წიგნის მოტანა გვითხრეს, მოვიტანთო. და ზოგსა ასე თქვეს: არეულობისაგან დაგვეწვა და დაგვეკარგაო. ეს დიაღ, უძლური სიტყვა იყო. ჩვენ პაემანი მივეცით ორმოცი

[27] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 674.

დღე, რომ რაც წიგნები ჰქონდესთ, სამართალში მოიტანონ და გაისინჯოს და სამართალი ისე მიიღონ. სამი თვეც გამოვიდა და წიგნი არა მოიტანეს რა. ჩვენ, აქ შეკრებილთ, ერთობით ეს სამართალი განგვიჩენია: ფავლენიანთ და შალიკაანთ მიცვალებულნი რადგანაც დიდი ხანია იქ მარხებულან, ახლაც იქ უნდა დაიმარხებოდენ ეპისკოპოსის შეკითხვით და ეკლესიის მსახურებით. ნიქოზელი ვერ დაუშლის, ამისთვის რომ ეკლესიაც პატიოსნებას მიიღებს მსახურებითა, რომ მიცვალებულის პატრონები მსახურებას დაუწყებენ ეკლესიასა და სამღუდელო კაცნიცა. და როცა ჭირისუფალნი ჩავიდოდნენ, ყოვლად სამღუდელოს ნიქოზელს სახლსა სთხოდენ გლეხისასა, და რომელიც სახლი იმან ათხოვოს, იქ იდგებოდნენ გლოვის დღეებში. ამის მეტი საქმე არაფერი აქვსთ რა არც მამულთან, არც მსახურთან, არც ღალა-კულუხთან. ვერც ბეგარზედ გამოიყვანენ, ვერცარაზედ იმსახურებენ, ვერც ლაშქარს თავეთს გაიყვანენ, არცარა საქმე აქვს საბატონყმოდ. და რომელნიც კაცნი ფავნელიანთ ყმანი ან ტბეთელები იქ ეულად დგანა ისინიც უნდა აიყარონო და სხვაგან დასახლდნენ. იმათი იქ დგომა არ იქნება, ავი ბოლო აქვს. ეს ასე განგვიჩენია და გარდაგვიწყვედია".[28] ნიქოზელი ეპისკოპოსის მამულები დასაკუთრებული ჰქონდათ ასევე: მჭედლიძეებს, მაისურაძეებს, შალიკაშვილებს, ცერაძეებს, გვრიტიაშვილებს, ხუციაშვილებს, მაჩაბლის ყმას თვალიაშვილს. დიკასტერიის დავალებით იესე ამილახვარმა თითოეულ მათგანს საკუთრების მტკიცებულებები მოსთხოვა და რაკი მათ დოკუმენტები ვერ წარმოადგინეს, საბოლოოდ, მამულები ნიქოზის ეკლესიას დაუბრუნდა.[29] დიკასტერიამ ნიქოზის ეკლესიას დაუტოვა თეიმურაზ ფავნელიშვილის მიერ თავისი მეზვრისთვის მიცემული ეკლესიის კუთვნილი ვენახი, ასევე, ეკლესიის ის მამულები რომლებიც იმ დროისათვის კასრაძეს და ყამაზაშვილს ჰქონდათ დასაკუთრებული. თუ მიწის მფლობელები დოკუმენტებს წარმოადგენდნენ და „მეფეების დროს" ნასყიდობას დაადასტურებდნენ, მათ ეკლესიისათვის მხოლოდ ღალა უნდა ეძლიათ, ხოლო: „თუ ავს დროში უყიდიათ, ოსმალ-ყიზილბაშობაში, და ეკლესიას უნდა დაუდვან, ხელი უნდა აიღონ".[30]

ნიქოზელი ეპისკოპოსი იულიოსი თეიმურაზ ფავლენიშვილს ეკლესიის ქონების დამადასტურებელ საბუთებსაც ედავებოდა: „წიგნებს ედავება ნიქოზელი თეიმურაზს – მამულის წიგნებსა და გუჯრებსა. მოწამეც მოსდევს, რომ

[28] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გე. 674.
[29] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 328.
[30] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 328.

დაბეჭდილს ზანდუკში ეწყოო, და ჩვენი ბეჭედი აღარ იყოო. ან უნდა მისცეს, ან უნდა შეჰფიცოს თავის ყმითა და მსახურით: არც ჰქონდეს და არც დაბეჭდილი ზანდუკი გაეხსნას".[31] იულიოსი ეკლესიის ყმობიდან წასული გლეხების დაბრუნებასაც ითხოვდა: „ზაზვიაშვილი ეკლესიას ჰყმობია და წიგნიც ხელთ უჭირავს ნიქოზელს და ორჯერ დაუხსნიათ. ახლა იმის შვილი ეკლესიას თავს აღარ უდებს. იასაული ავად მოეპყრას და ნიქოზელს მიაბაროს. კიდევ ბერიკელა ჩხეიძისაგან უყიდნია და კიდევ ხვითს რომ ბიჭია დავით ნიქოზელის მეხრე-ესენი რომ თავს აღარ უდებენ, ბეჟან საგინაშვილო, დაადეგ და ნიქოზელს მიაბარე".[32] როგორც აღინიშნა, ფავლენიშვილებს გარდაცვლილი ნიქოზელი ეპისკოპოსის, დავითის, ნიქოზის ეკლესიაში დაკრძალვაზე უარი უთქვამთ და მღვდელმთავარი ტაძრის გვერდით ეკვდერში დაუკრძალავთ. სამეფო კარმა იულიოს ნიქოზელს დავით ეპისკოპოსის ეკლესიაში გადასვენება დაავალა: „ქ. ამასაც ჩიოდა ყოვლად სამღვდელო ნიქოზელი იულიოს: ჩემს უწინარეს დავით ნიქოზელი დიდად დამაშვრალი იმ ეკლესიაზედ რომ მიიცვალა, თავის ეკლესიაში ადგილი არ დაანებეს, რომ დამარხულიყო. მის სიმაღლეს მეფეს და მის უწმინდესობას კათალიკოს-პატრიარქს მოვახსენეო. და ბრძანება გვაჩვენა, ორთავ ებრძანათ რისხვით და წყრომით: ფავლენიანო! რის მიზეზით გიქმნიათ, რომ ეპისკოპოსი თავის ეკლესიაში არ დაგიმარხვინებიათო. იულიოს ნიქოზელო! ამოასვენე და ეკლესიაში მიიღეო და ეგრეთ აღესრულებინა ბრძანებული". დოკუმენტს ხელს აწერენ: მთავარეპისკოპოსი იოასაფი, ტფილელი მიტროპოლიტი გერმანე, არხიეპისკოპოსი რუსთველი კირილე, მდივანბეგი მზეჭაბუკ ორბელიანი, მდივანბეგ ეშიკაღათბაში თეიმურაზ ციციშვილი, ერეკლე II-ის მსაჯული იესე, მდივანბეგი ქაიხოსრო ენდრონიკაშვილი, მოწმე სოლომონ ლიონიძე, ხუცეს-მონაზონი გრიგოლი. დიკასტერიის მწიგნობარ-წინამძღვარი ტრიფილე, დავით-გარეჯის არქიმანდრიტი თეოდოსი, მთაწმინდის არქიმანდრიტი იოაკიმე, მეფე ერეკლე II, დარეჯან დედოფალი, ანტონ კათალიკოსი, იულონ და ვახტანგ ბატონიშვილები.[33]

ამ გადაწყვეტილების ერთი პირი იულიოს ნიქოზელის თხოვნით დეკანოზ სოლომონს გადაუწერია. მცირე ხნის შემდეგ იულიოსს სამთავისის ეპარქია ჩააბარეს, შემდეგ კი ურბნისის ეპისკოპოსად გადაიყვანეს. ნიქოზის ეკლესიის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები და ზემოთ აღნიშნული

[31] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გე. 328.
[32] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 328.
[33] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V, გვ. 328-329.

დიკასტერიის განაჩენი კვლავ იულიუსს ჰქონდა. მალე ეს დოკუმენტები, ნიქოზის ეპისკოპოსად დანიშნულ ათანასეს[34] გადაეცა.[35] დიკასტერიის გადაწყვეტილებით ფავლენიშვილებს უფლება მიეცათ ნიქოზის ტაძარში თავიანთი საგვარეულოს წევრები ეპისკოპოსთან შეთანხმებით დაეკრძალათ. XIX საუკუნის ბოლომდე ნიქოზის ტაძარი ფავნელიშვილთა სამარხს წარმოადგენდა. ამას ადასტურებს დღემდე შემორჩენილი ეპიტაფიები.[36] ერთ-ერთი ეპიტაფია ზაქარია ბესარიონის ძე ფავლენიშვილს მეუღლეს ეკუთვნის. სწორედ პორუჩიკი ზაქარია ფავლენიშვილი იყო იმ კომიტეტის წევრი, რომლის ძალისხმევითაც ზემო ნიქოზის ტაძარი იქნა აღდგენილი.[37] ამას გვაუწყებს ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე დღემდე არსებულ სტელაზე გამოსახული 1889 წლით დათარიღებული წარწერა.

[34] გ. სოსიაშვილი. ნიქოზის ეპარქიის ურთიერთობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან. კრებ.: „ზურაბ პაპასქირი – 60“. თბ. 2010-2013, გვ. 252; И. К. (იღუმენი კირიონი) Обозрение Карталинских церквей Обозрение карталйнских церквей высокопреосвященным Владимиром, Экзархом Грузии. «Духовный Вестник Грузинского экзархата». 1897. №12, გვ. 14.

[35] И. К. (იღუმენი კირიონი) Обозрение Карталинских церквей, გვ. 331-332.

[36] ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში. ტ. I. თბ. 1986, გვ. 151.

[37] И. К. (იღუმენი კირიონი) Обозрение Карталинских церквей, გვ. 12.

Giorgi Sosiashvili
Professor
Gori State Teaching University, Georgia

CONFRONTATION OF THE PAVLENISHVILIS AGAINST THE NIKOZI BISHOPS (80S OF THE 18th CENTURY)

Summary

During the Middle Ages the village of Nikozi was under the ownership of the Pavlenishvili noble family. According to the narratives, Pavlenishvilis should have been connected to the Mkhargrdzeli old family. A charter issued by the Catholicos Anton I gives us an interesting information about this matter. It seems that they had come from Sanaini to Pavnisi and later on to the village of Eredvi in the Patara Liakhvi Gorge. It is worth noting that one of the branches of Pavlenishvilis owned a castle there during the Late Feudal period. They had serfs in the village of Eredvi and also Vanati. The above-mentioned Pavlenishvilis resided in Eredvi until the first half of the 20th century. After the "Sovietization", the Bolsheviks expelled the Pavlenishvilis from the village and used their house to establish a school. The 10th century Eredvi church of St. Giorgi (George), which nowadays is on the Russian-occupied territories of Samachablo, had been used as a burial place for the Pavlenishvili family, which is attested by the 19th century epitaphs of the church.

According to the documents dated back to 1569, Pavlenishvilis dedicated Zemo Nikozi village to the Nikozi icon. The dedication of the Pavlenishvilis is also attested in yet another document. The document was published by S. Kakabadze. The Pavlenishvili noble family representatives, who resided in the Nikozi village, were invlolved in ecclesiastic activities. One of them was Epiphane, head of the Monastery of the Holy Cross in Jerusalem, actively involved in diplomatic activities. Barnaba, Tbileli metropolitan bishop, had close contacts with the Georgian bishop residing in Jerusalem. From our point of view, Barnaba was a subsitute for Epiphane, as he initiated the diplomatic mission to Russia, ordered by the Patriarch of Jerusalem. After the return of the archbishop Barnaba to Georgia, he donated a book to the Nikozi monastery and conducted a religious service.

In the second half of the 18th century there were tense relations between the Pavlenishvilis residing in Nikozi and the Nikozi bishops. In that time a certain Davit was the bishop of Nikozi. According to the sources, Davit was also the head of Monastery of the Holy Cross in Jerusalem in 1761-1773. The reasoning behind the tense relations between the Pavlenishvilis and bishop Davit is explained in the document dated by 1777: "Decision about the case of the lands of the Nikozi church". It is revealed in the document that the lands of the Nikozi church were possessed by the local population. Those lands had been bought from Shalikashvilis and Pavlenishvilis. Bishop Davit had charters attesting that the same lands had been donated to the Nikozi church by the patriarchate and the royal auithorities. Bishop Davit of Nikozi presented the document issued by the Catholicos-Patriarch Kristephore to the men sent by the King Erekle II. Bishop Davit won the case. Since bishop Davit was a powerful and influential person, Pavlenishvilis could not take over the Nikozi church lands until his death.

After his death, they obtained the documents attesting the possession of those lands by the church and even refused to bury bishop Davit in the Nikozi church. The dicastery created by the king Erekle II ruled in favour of the church and therefore the lands had been returned back.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIV
თბილისი. 2018

ქეთევან ნადირაძე
ასოცირებული პროფესორი, თსუ

ხელოსნობიდან ამქრულ ორგანიზაციებამდე

ხელოსნური ყოფისა და ხელოსნობის დარგების განვითარების ისტორიულ ჭრილში ჩვენებისათვის აუცილებელ პირობას თავად ხელოსნური ორგანიზაციების ისტორიის შესწავლა წარმოადგენს. ამ საკითხების კვლევისას, ძირითადი ყურადღება ეთმობა მათი წარმოშობის ისტორიის, ფუნქციის, მართვის პროცესისა თუ სამეურნეო სტრუქტურის განხილვას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ხელოსნური ორგანიზაციების როლის განსაზღვრა სოციალურ სივრცეში, მათი პოლიტიკური გავლენის ანალიზი და ევოლუციური განვითარების სურათის აღდგენა. საკითხის ასეთი ფართო სპექტრით ჩვენება საშუალებას იძლევა, მოხდეს ხელოსნური ორგანიზაციების, როგორც საქალაქო ცხოვრების თანმხლები უმნიშვნელოვანესი სეგმენტის, რეკონსტრუქცია და მისი როლის განსაზღვრა ურბანულ გარემოში.

საქართველოს სინამდვილეში ხელოსანთა ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია XVII-XIX სს. დოკუმენტურ და მკვლევარ-მოგზაურთა აღწერილობით მასალაშია წარმოდგენილი, ანუ მათი არსებობის ოფიციალურად, წერილობითი დადასტურება XVII საუკუნის მიწურულიდან გვხვდება. ხოლო შესწავლის ისტორია XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. ამ პერიოდის ავტორებთან (ი. ახვერდოვი, ს. ეგიაზაროვი, ნ. ბერძენოვი და სხვ.) ძირითადად მიჩნეულია, რომ ქართული ამქრული ორგანიზაცია უცხოური წარმოშობისაა (არაბული, ირანული) და საქართველოს ტერიტორიაზე XVII საუკუნეში ირანიდან გავრცელდა, სწორედ იმ დროს, როდესაც ამიერკავკასია მისი გავლენის სფეროს წარმოადგენდა. ამ აზრს მათ ასევე უმყარებს ორგანიზაციასთან დაკავშირებული უცხოური წარმოშობის ტერმინოლოგია: ასნაფი, ამქარი, უსტაბაში, აღსაყალი და სხვ.

ისტორიოგრაფიაში XX საუკუნიდან მოყოლებული სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა ამქრული ორგანიზაციების შესწავლის თვალსაზრისით (პ.

გუგუშვილი, შ. მესხია, კ. კუცია და სხვ.). გარკვეულ ნაშრომთა შესავალი ნაწილი წინამორბედთა შრომების განხილვით იწყება, სადაც გაკრიტიკებულია ამქრობის უცხოური წარმომავლობა და მითითებულია, რომ საქართველოში „ცეხური ორგანიზაციები გაცილებით ადრე არსებობდა, ვიდრე ქართულ ენაში უცხოური ტერმინები „ასნაფი“ და „ამქარი“ დამკვიდრდებოდა“[1] და მიუხედავად იმისა, რომ მათ შესახებ წერილობითი დადასტურება მხოლოდ XVII ს-დან მოიპოვება, ისინი საქრთველოში IX-X[2] ან X-XI საუკუნეებისათვის[3] უკვე არსებობდნენ. ზოგიერთი ავტორი უფრო შორს მიდის და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „ევსტათი მცხეთელის მარტვილობიდან“ გამომდინარე, შესაძლებელია საუბარი VI ს-ის მცხეთაში ხელოსნური კორპორაციებისა და კორპორაციული დღესასწაულების არსებობის შესახებ.[4] აღნიშნული მოსაზრების საფუძველს ქმნის „მარტვილობის“ შემდეგი ამონარიდი: „მოვიდა იგი (ევსტათი) ქალაქად მცხეთად და ისწავლებოდა ხელსა მეხამლეობისასა... და ვითარ ისწავლა მეხამლეობაი, ითხოვა მან ცოლი ქრისტეანი და თვით ქრისტეანი იქმნა... მას ჟამსა შეკრბეს სპარსნი, რომელნი მცხეთად იყვნეს, მეჯადაგენი და მეხამლენი, ტოზიკობდეს...“, ანუ დღესასწაულობდეს. შეუთვალეს ნეტარ ევსტათის: „მოველ და გუერთე შუებასა ამას ჩუენსა“. მისგან უარის მიღების შემდეგ გადაიხადეს რა ტოზიკი, „შეკრბეს იგიევნი მეჯადაგენი და მეხამლენი და ზრახვა-ყვეს წინაშე უსტამისა, მცხეთელ ციხისთავისასა“ და უთხრეს: „ჩვენ თანა ტოზიკსა არა მოვიდის და ცეცხლი არა გამისცის“. შემდეგ მისი დასჯა მოითხოვეს.[5] უდავო ჭეშმარიტებაა ის, რომ ხელოსნობას, რომელიც გულისხმობს ნაკეთობის წარმოების მცირე ხელსაქმეს, არსებობის ხანგრძლივი ისტორია აქვს და დღემდეა შემორჩენილი. მისი მნიშვნელოვანი აღმავლობა შუასაუკუნეების სივრცეში მოხდა და, ბუნებრივია, გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. ამის დამადასტუ-

[1] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II. თბ. 1983, გვ. 509.

[2] კ. კუცია. ამქრები XVII-XVIII სს. საქართველოში. თბ. 1984, გვ. 7.

[3] შ. მესხია საისტორიო ძიებანი. ტ. II, გვ. 47, 515.

[4] იხ. გ. გამყრელიძე. ამქართა წარმოშობის საკითხისათვის. «Изд. АН. ГССР, Т. II, №6. 1941, გვ. 557; კ. კუცია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI-XVII სს. თბ. 1976, გვ. 133.

[5] მარტვილობაა და მოთმინებაა წმიდისა ევსტათი მცხეთელისაა. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. რედ. ლ. ალშიბაძე. ტ. I. 2008, გვ. 240, 242. აქვე გვინდა აღვნიშნოთ: ზოგიერთ ავტორთან (გ. გამყრელიძე, დ. ჩუბინაშვილი) მეჯადაგენი და მეხამლენი გაგებულია, როგორ მეჯღანეები და მეწალეები. ეი გამოდის, რომ ორივე წაღების მკერავია, რაც ტექსტის გაუგებრობას იწვევს. მეხამლე რომ მეწალეა, ეს სხვა ტექსტებიდანაც დასტურდება. მეჯადაგეობას ივ. ჯავახიშვილი მესანდლეობად თარგმნის. შ. მესხია კი აღნიშნავს, რომ მეჯადაგეობა რას გულისხმობს გაურკვეველია, მაგრამ ალბათ ისეთი ხელობის აღმნიშვნელია, რომელიც ახლოს უნდა იდგეს მეფეხსაცმელეობასთან (იხ. შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. I. თბ. 1982, გვ. 104-106).

რებელი მასალა მოიპოვება როგორც არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ასევე ლაპიდარულ და ნარატიულ წყაროებში.

მაგ., შუასაუკუნეების საქართველოს ტერიტორიაზე მრავალფეროვანი მინისა და კერამიკის ადგილობრივი ნაწარმია აღმოჩენილი. ორბეთში, ბოლნისში, დმანისში, ჟინვალში, რუსთავსა და თბილისში, სავარაუდოდ, მინის საწარმოებიც არსებობდა, რადგან აქ, მზა ნაწარმის გარდა, ნაპოვნია მინის წიდა, ნადული, წუნი ნაწარმი, განსხვავებული მინა და ტიპები.[6] უფრო ვრცლად და დაბეჯითებით შეიძლება საუბარი კერამიკულ ნაწარმთან დაკავშირებით. მაგ., თბილისში 300 არაგველის ბაღთან აღმოჩენილია თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ექსი ქურა-სახელოსნო, რაც ფაქტოლოგიურად ადასტურებს აქ კერამიკის საწარმოოს არსებობას და მრავალი სხვ. უჯარმის, ახალქალაქის, ჟინვალის არქეოლოგიურ მასალაში თავისებური კერამიკული ნიმუშების, მათ გვერდით სათუნე ქურის სოლების, ნახევარფაბრიკატებისა თუ წუნის არსებობა საფუძველს იძლევა, რომ მკვლევრებმა ამ ადგილებშიც ივარაუდონ ადგილობრივი კერამიკული საწარმოები.[7] ასევე, დამზადებული პროდუქციის რაოდენობა-ნაირსახეობა და მაგ., სამხრეთ რუსეთში, ალანთა სამარხებსა და დვინში აღმოჩენილი სავაჭროდ გატანილი ქართული მინის ნაწარმი: ჭურჭელი, სამკაული, სამოზაიკო „კენჭები“, სასარკმლე მინა – წითელი, ლურჯი, ცისფერი, შავი, ყვითელი, ჭრელი ფერების; კერამიკის ნაწარმი მოჭიქული და მოუჭიქავი: ჯამები, ქვაბ-ქოთნები, ქილები, ხელადები, სამარილეები, ჭრაქები, სხვადასხვა სახის სასმისები; სამშენებლო მასალა: კრამიტი, შორენკეცი, აგური, წყალსადენი მილები – მიუთითებს მასზე,[8] რომ საქართველოს ქალაქებში დამზადებული პროდუქციის დიდი ნაწილი საბაზროდ იყო განკუთვნილი. ასევე, საქართველოს ფეოდალურ ქალაქებში კარგად იყო განვითარებული ფეიქრობის სხვადასხვა დარგები,[9] მელითონეობა, წიგნის „კაზმვა“, მშენებლობის პროცესთან დაკავშირებული ყველა ხელობა და სხვ.

ხელოსნური დარგების განვითარებაზე საინტერესო მასალას იძლევა XI-XIII სს. აღმოსავლური წყაროები, რომლებშიც საუბარია საქართველოდან

---

[6] იხ. მ. ჩხატარაიშვილი. მინის ჭურჭელი შუა საუკუნეების საქართველოში. თბ. 1978.

[7] იხ. მ. მიწიშვილი. მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში XI-XIII სს. თბ. 1979; მ. მიწიშვილი. მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში. თბ. 1969.

[8] იხ მ. ჩხატარაიშვილი. მინის ჭურჭელი შუა საუკუნეების საქართველოში; მ. მიწიშვილი. მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში XI-XIII სს.; მ. მიწიშვილი. მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში.

[9] ქ. ისაკაძე. საფეიქრო საქმე საქართველოში უძველესი დროიდან მეცხრამეტე საუკუნემდე. თბ. 1970.

სავაჭროდ გატანილი მაღალი ხარისხის სხვადასხვა ქსოვილზე, ტყავის ნაწარმზე და სხვ. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ არაბი ავტორის იბნ ისფანდიარის თხზულებაში ბიზანტიურ და ბაღდადურ ქსოვილებთან ერთად დასახელებულია თბილისური ქსოვილები, რომლებიც ტაბარისტანის გამგებელმა ძღვნად გაუგზავნა ხორეზმშაჰს.[10]

ადრეშუასაუკუნეებიდან მოყოლებული ხელოსნობისა და ხელოსნური დარგების განვითარებას საქართველოში საუკეთესოდ ადასტურებს წერილობით წყაროებში მათი აღმნიშვნელი ტერმინები: „მეჯადაგე“, „მეხამლე“, „საქმის მოქმედი“, „ხურო“, „ხელოვნება ნელსაცხებლისა“, „მშენებელნი“, „გალატოზნი“, „კირითხურონი“, „ჭურჭელთა მჭედელნი“, „მზარეული“, „წყაროთ მკაზმავნი“, „წისქვილის მკაზმავნი“, და ა.შ.[11]

უფრო მეტიც, შენობათა წარწერების, მატიანეებისა და ჰაგიოგრაფიული თხზულებების მიხედვით შესაძლებელი გახდა საქართველოში IV-XVIII სს. მოღვაწე ხუროთმოძღვრის, მშენებელი ოსტატისა თუ მშენებლობის ზედამხედველის ანოტირებული ნუსხის შედგენა. ასევე გვაქვს მშენებელთა ქვის რელიეფური გამოსახულებები.[12]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ შრომის ორგანიზაციის გარეშე აღნიშნულ ფაქტებს ადგილი ვერ ექნებოდა. შრომის ორგანიზება კარგად ჩანს მონასტერში მოღვაწე ხელოსანთა შორის. აქ ხელოსნური საქმიანობით დაკავებულები იყვნენ, როგორც მონაზვნები, ასევე საერო პირები, მაგრამ მათი პირობები შესასრულებელ საქმესთან დაკავშირებით სხვადასხვა იყო. განსაკუთრებით დიდ მონასტრებში გამოიყენებოდა დაქირავებული შრომაც. მონასტრებში საქმიანობდნენ მჭედლები, ხუროები, კალატოზები, ხარაზები, განსაკუთრებით გავრცელებული იყო ქვითხუროობა და მწიგნობრობის ხელობა. აქვე არსებობდა სახელოსნოები. მონასტრებშივე ასწავლიდნენ ხელობას. ამა თუ იმ ხელოსანთა შრომის ორგანიზებას ახდენდნენ „უხუცესნი“ და ა.შ.[13] განსაკუთრებით თვალსაჩინოა საკმაოდ რთული ორგანიზაციული სტრუქტურა სამშენებლო საქმეში: მშენებლობის დაწყებამდე საჭირო ადგილის არჩევა, მშენებელი ოსტატების სათითაოდ მოძიება თუ მუშების გუნდის

[10] მ. გაბაშვილი. საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში. თბ. 1981, გვ. 89-92.

[11] შ. მესხია. ხელოსნობა ძველ საქართველოში (V-XII სს.). საისტორიო ძიებანი. ტ. I. თბ. 1982, გვ.15-199.

[12] დ. თუმანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, დ. ხოშტარია. მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში. თბ. 2012, გვ. 95-127, 243-258.

[13] შ. მესხია. ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისთვის X-XII სს. ქართულ მონასტრებში. საისტორიო ძიებანი. ტ. III. თბ. 1986, გვ. 220-247.

შეკრება – შედეგად დროებითი სამშენებლო ორგანიზაციის შექმნა. დიდი მშენებლობის დროს გამოიყენებოდა დაქირავებული მუშების შრომა. მშენებლობას ჰყავდა „ხუროთმოძღუარი და ზედამდგომელი მუშაკთა“. პირველს უშუალოდ ევალებოდა შენობის ხელმძღვანელობა, ხოლო მეორეს მშენებლობის მასალებით მომარაგება, წლიურად გაწეული ხარჯების აღრიცხვა და ა.შ. როგორც ვ. ბერიძე მიუთითებს, პროექტების გარეშე „ვერ აშენდებოდა თუნდაც დიდი, მდიდრულად მოჩუქურთმებული ტაძრები, რომლებშიც ესთეთიკური მხარე... არსებითია“, რაც მიანიშნებს ხუროთმოძღვრის განსაკუთრებულ განსწავლულობაზე. სამწუხაროდ, საქართველოში სად და როგორ იღებდნენ „სწავლებას“ ამ დარგში, წყაროები პრაქტიკულად არაფერს გვეუბნება.[14]

როგორც ზემოთ წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვიდანაც გამოჩნდა, საქართველოში კარგად იყო განვითარებული ხელოსნობა, სხვადასხვა ხელოსნური დარგი და შრომის ორგანიზაცია, რომელიც საუკეთესო შედეგებს იძლეოდა ხელოსნურ წარმოებაში. თუმცა მკვლევართა მიერ მონდომებით თავმოყრილ წერილობით მასალაში არ დასტურდება საცეხო ორგანიზაციების კვალი. მაგ., დადგენილია საკულტო ნაგებობების დამკვეთთა სოციალური შემადგენლობა. მათ შორის არიან: მეფე-მთავრები, სასულიერო პირები, წარჩინებულები, ქალაქის მკვიდრნი და სოფლის მეთემენი, მაგრამ არ ჩანს ამქართა ნიშნები.[15] წყაროებში ნახსენებიც არ არის მსგავსი ორგანიზაციის სახელწოდებაც კი.[16] თუმცა არ შეიძლება გამოირიცხოს ის, რომ, რადგან არსებობდა შრომის ორგანიზება, სავარაუდოდ, იქმნებოდა გაერთიანებები და აქ გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფებს შიგნით რაღაც სახის სოლიდარობაც ყალიბდებოდა. ვფიქრობ, სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში, ზემოთ მოყვანილ ეპიზოდთან დაკავშირებით, რომელიც ცეხური თუ ამქრული კორპორაციის ბუნებასთან ჩვენი შეხედულებით, მსგავსებას ვერ პოულობს.

ისმის კითხვა: თუ ქვეყანაში მაღალ დონეზეა განვითარებული ხელოსნობა, ხელოსნობის მრავალი დარგი, წარმოების ხერხები და მეთოდები, პროდუქციის წარმოების საბაზრო დანიშნულება, რატომ არის მნიშვნელოვანი გაირკვეს საქალაქო სივრცეში სავაჭრო-სახელოსნო ორგანიზაციების წარმოშობისა და არსებობის ბუნება.

[14] დ. თუმანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, დ. ხოშტარია. მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში, გვ. 129-151.

[15] დ. თუმანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, დ. ხოშტარია. მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში, გვ. 51-52.

[16] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II, გვ. 518.

საქმე ის არის, რომ ამ ორგანიზაციისათვის, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია თვით,მართველობა: საკუთარი მართვის სისტემით, შინაგანი სტრუქტურით, ცხოვრების წესით. იგი არის საერთო ინტერესების მქონე ადამიანთა ერთობა, რომელიც გამოიხატება არა მხოლოდ მათ საქმიანობაში, არამედ საერთო ფასეულობებში, მორალსა და რწმენაში. მისი ამოცანაა არა მხოლოდ წარმოების რეგულირება, არამედ ადამიანთა ურთიერთობების მოწესრიგება, თავისი წევრებისათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა და დაცვა. ასეთი ბუნებით ხელოსნობა-ვაჭრობის განვითარების ადგილს მხოლოდ ქალაქი წარმოადგენს და სწორედ აქედან განისაზღვრება, თუ როგორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა ვაჭართა და ხელოსანთა ფენამ საქალაქო სივრცეში, რა როლი ეკისრებოდათ მათ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამას კი, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავდა საქალაქო მმართველობა და მისი სტატუსი. ქალაქის სტატუსი კი დამოკიდებული იყო მის კუთვნილებაზე. იყო ეს ქალაქი მეფის, მსხვილი ფეოდალის თუ თვითმმართველი.

თვითმმართველი ქალაქები დამახასიათებელია დასავლეთ ევროპისათვის, ხოლო მათი წარმოშობა შედეგია ვაჭართა და ხელოსანთა კომუნალური მოძრაობებისა, ხოლო კომუნალური მოძრაობები – ეკონომიკური განვითარებისა. ეკონომიკურმა განვითარებამ, ქალაქების გაძლიერებამ, მათი თვითმმართველობის წარმოშობამ საბოლოოდ განაპირობა პოლიტიკურ სფეროში უმნიშვნელოვანესი ცვლილებები: წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების (პარლამენტი, გენერალური შტატები...) წარმოქმნა, რაც „ახალი ხანის“ დასაწყისის მაუწყებელი იყო. **ამ ყველაფერს საფუძვლად ედო XII-XIII სს. დასავლეთ ევროპაში „გლეხთა პირადი დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების პროცესი“.**[17] სწორედ XII-XIV საუკუნეებიდან ფიქსირდება დასავლეთ ევროპაში საცეხო ორგანიზაციების არსებობა დოკუმენტურად, სტატუტების სახით, რომლის წარმოქმნის ინიციატორად თავისუფალი მოქალაქე გვევლინება, რათა თავისი ინტერესები დაიცვას საქალაქო მმართველობის წინაშე და გახდეს კონკურენტუნარიანი.[18]

ფეოდალურ საქართველოში თითქმის ყველა ქალაქი მეფისა და დიდებულის მფლობელობაში იმყოფებოდა. უფრო მეტიც, მიდიოდა სამეფო ხელი-

[17] Ф. Бродель. Материальная цивилизация. экономика и капитализм XV-XVIII вв. Т. I. М. 1986, გვ. 509.

[18] Жизнь города и деятельность горожан, Город в средневековой цивилизации Западной Европы. Т. II. М. 1999. Ответств. ред. А. Сванидзе, გვ. 118.

სუფლების ბრძოლა ფეოდალთა წინააღმდეგ ქალაქების დაქვემდებარებისათვის. მხოლოდ მეფე თამარის (1184-1207/10/13) დროიდან ხელისუფლება იძულებულია ფეოდალთა ზედაფენას ანგარიში გაუწიოს და ქალაქების ნაწილი დაუბრუნოს. საბოლოოდ, საქართველოს ქალაქები განაწილებული აღმოჩნდა სამეფო ხელისუფლებასა და მსხვილ ფეოდალებს შორის. დიდვაჭართა გამოკლებით, რომელთა ინტერესები ფეოდალთა ინტერესებთან იყო გადაბმული, მცირე რაოდენობის დამოუკიდებელ ხელოსანთა გარდა, ქალაქის ძირითად მოსახლეობას ყმა-ვაჭრები და ყმა-ხელოსნები წარმოადგენდნენ. ვფიქრობთ, მათი საქმიანობა თავიანთი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეზღუდული იქნებოდა და, შესაბამისად, მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ ძალად ვერ ჩამოყალიბდა, რომლის ბაზაზეც შესაძლებელი გახდებოდა თვითმმართველი ქალაქების წარმოქმნა. ასე რომ, თუ ქართულ ქალაქებში არსებობდა ხელოსნური ორგანიზაციების მსგავსი გაერთიანება, ისინი უნდა შექმნილიყვნენ ქალაქის მფლობელთა ინტერესთა გათვალისწინებით და არა იმ მიზნით, რომ აქ გაერთიანებულ ხელოსნებს თავი დაეცვათ ფეოდალთა აგრესიისაგან, როგორც ეს ქართულ ისტორიოგრაფიაშია გაგებული.[19] ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების ხანგრძლივი გამოცდილება და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ბიზანტიური ხელოსნური კორპორაციების შეფასება: ბიზანტიაში კორპორაციები იქმნებოდა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ვიდრე ამ კორპორაციებში გაერთიანებულ ადამიანთა ინტერესების გამო. კორპორაციების ხელმძღვანელები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ქალაქის ეპარქთან, ხელისუფლება კი მფარველობდა კორპორაციებს და მათ ხელმძღვანელობას თავადვე უნიშნავდა.[20]

შესაბამისად, ალბათ არ იქნება აქტუალური მსჯელობა იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენა საცეხო ორგანიზაციებს ქვეყნის ცხოვრებაში, რადგან ბატონყმური ურთიერთობა ასეთ გავლენებს არ ითვალისწინებს. სწორია ნ. ბერძენიშვილი, როდესაც წერს: „ქვეყნის წინსვლა დაეხუთა ხანმოთეულ ბატონყმობას“ და ამ ყავლგასულ ბატონყმურ ურთიერთობაში მყოფ საზოგადოებას გარეშე და შინაური „მუმლი გარს ეხვეოდა“, შედეგად „ქვეყანა ჩიხშია მოქცეული, მას წინსვლა არ ეტყობა, პროგრესის შემოქმედება, ახლის შენება არსადაა“. „...თითქოს რაღაც

[19] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II. თბ. 1983, გვ. 148-167.

[20] Город второй половины IX-X в. Глава 3. История Византии. Т. II. ред. Акад. С. Д. Сказкин. М. 1967.

დასრულდა საქართველოს ცხოვრებაში, თითქოს რაღაც გაწყდა, ცხოვრების წინსვლა შეფერხდა და წარსული სანატრელი გახდა.“[21]

ჩნდება კითხვა, ევროპაში ზემოთ აღნიშნული მიმდინარე პროცესების მსგავს პროცესებს ჰქონდათ თუ არა საქართველოში განვითარების პირობები. ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული შეხედულება ყუთლუ- არსლანის დასის გამოსვლისა და მათ მიერ „კარვის“ მოთხოვნის მნიშვნელობის შესახებ სწორედ ამ კითხვის პასუხად გამოდგება: XII-XIII სს. მიჯნაზე თამარის (1184-1207/1210) მეფობის პერიოდში საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება იძლეოდა იმ პროცესების განვითარების საშუალებას, რომლებიც დასავლეთ ევროპაში თანდათანობით მიმდინარეობდა. აღნიშნული პერიოდის ქართულ სახელმწიფოში საზოგადოების ფეოდალიზაცია დამთავრებულია, ქვეყანა საფეოდალოებით (სენიორიებით) არის მოფენილი, ბატონყმობამ თავისი დადებითი როლი შეასრულა. ქვეყნის განვითარება ე.წ. „გლეხთა გათავისუფლების“, ქალაქების როლის მნიშვნელოვანი ზრდით და წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის წარმოქმნის გზით შესაძლებელია წასულიყო, რაც მომავალში ბატონყმობისა და ნატურალური მეურნეობის გაუქმებას მოიტანდა. ამის ცდის მაგალითია ყურთლუ-არსლანისა და მისი „დასის“ გამოსვლა. მათ მიზანს ვერ მიაღწიეს, მაგრამ წოდებრივი პრივილეგიები მიიღეს, საბოლოოდ გაძლიერდა ფეოდალური სეპარატიზმი, ამას დერთო საგარეო საფრთხე (მონღოლთა შემოსევები), ქვეყანა სწორი განვითარების გზას ასცდა და პოლიტიკურად დაიშალა. ვფიქრობთ, სწორედ ამ სურათს უწოდა ნ. ბერძენიშვილმა „ჩიხური“ ვითარება, რომელმაც დასრულებული სახე XV ს-ში მიიღო.

არამცთუ ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში, არამედ იმ ისტორიულ სივრცეში, რომელშიც „ისლამური“ თუ „აღმოსავლური“ ქალაქია (ამ ტერმინის შესახებ დიდი კამათი მიმდინარეობს) წარმოდგენილი, რომელშიც მუსლიმური სამართალი ბატონყმურ ურთიერთობას არ სცნობს და გადასახადის გადამხდელი მოსახლეობა პირად-თავისუფალ ადამიანებად ითვლებიან, მეცნიერებმა დაიწყეს გარკვევა, რამდენად ჰქონდათ გილდიებს (Esnaf) ორგანიზების უნარი პოლიტიკური გამოსვლებისათვის. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, იყო გილდია საკუთარი პრობლემებით დაკავებული სტატიკური ორგანიზაცია თუ ისტორიული პროცესების აქტიური მონაწილე, რომელიც განსაზღვრავდა საზოგადოების პროგრესს. მეცნიერთა ერთი ნაწილი, რამდენიმე ქალაქის მა-

[21] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. V. თბ. 1971, გვ. 284, 320.

გალითზე (მაგ., სტამბოლის 1730 წ. ავჯანყების მიზეზების შესწავლით), გილდიებს, სავარაუდოდ, პოლიტიკური აქტივობის მატარებელ ორგანიზაციებად მიიჩნევს, მეორე ნაწილი კი მხოლოდ ეკონომიკურ-სოციალურ დატვირთვას ანიჭებს. მაგრამ კამათი ამის შესახებ მხოლოდ XVIII –XIX სს. ფარგლებში მიმდინარეობს. უფრო მეტიც, ისმის კითხვა, არსებობდნენ თუ არა საერთოდ გილდიები (Esnaf) ოსმანთა პერიოდამდე. ზოგ მეცნიერს დამასკოსა და ალეპოს მაგალითზე მიაჩნია, რომ მამლუქთა პერიოდში (1250-1517) გილდიები არ არსებობდნენ.[22] მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ეკონომიკაში გილდიების როლის მნიშვნელობაზე ყველა თანხმდება, აქაც ისმის კითხვა: უწყობდა თუ არა ხელს ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს გილდია, თუ პირიქით, თავისი წესდებებით ამუხრუჭებდა კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას.[23]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავსვათ საკითხი: ევროპისგან განსხვავებით, „პირადი თავისუფლების“ არსებობის პირობებში ბრძოლამ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად „ისლამურ“ სამყაროში შედეგს რატომ ვერ მიაღწია. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, გასათვალისწინებელია ასეთი შეხედულება: მართალია, გადასახადის გადამხდელი მოსახლეობა გლეხიც და ქალაქში მცხოვრებიც პირად-თავისუფალ ადამიანებად ითვლებოდა, მაგრამ აქ ხელისუფლებასთან ბრძოლა, ევროპისგან განსხვავებით, წარმოებდა არა ახალი დადგენილებების მისაღებად და ახალი ურთიერთობების დასამყარებლად, არამედ სახელმწიფოს მიერ შარიათის საგადასახადო ნორმების ზედმიწევნით შესასრულებლად.[24]

ვფიქრობ, ლოგიკურია, მივიჩნიოთ, რომ სავაჭრო-სახელოსნო ორგანიზაციები ქართული ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკური მართვის სისტემაზე გავლენას ვერ მოახდენდნენ და, შესაბამისად, ვერც ქვეყნის საზოგადოებრივი პროგრესის განმსაზღვრელები იქნებოდნენ, რაც უპირველესად თვითმმართველი ქალაქების ჩამოყალიბებაში უნდა გამოხატულიყო. და თუ ეს ასეა, მაშინ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როდის ჩამოყალიბდა საცეხო,

[22] საერთოდ სპეციალურ ლიტერატურაში დიდი კამათია ისლამურ სამყაროში გილდიების წარმოშობის დროის შესახებ და ამ საკითხზე ერთიანი შეხედულება არ არსებობს, რაც აიხსნება იმით, რომ არ შეიძლება კერძო შემთხვევევების განზოგადება (თუნდაც რამდენიმე ქალაქის მაგალითზე) და უტყუარ ჭეშმარიტებად მიღება. ამ საკითხზე იხილეთ: Nelly Hanna. Guilds in Recent Historical Scholarship. In: The City in the Islamic World. Volume 2. Edited by Salma Khadra Jayyusi, Renata Holod, Attilio Petruccioli, André Raymond. "Brill". 2008, გვ. 895-921.

[23] Nelly Hanna. Guilds in Recent Historical Scholarship, გვ. 910-911.

[24] О. Г. Большаков. Средневековый город ближнего востока (VII-XIII). Москва. 1984, გვ. 229-299.

ანუ ამქრული ორგანიზაციები საქართველოში, რადგან, როგორც უკვე დავინახეთ, ამის გარეშეც ხელოსნური დარგების განვითარება ქვეყანაში ოდითგანვე მაღალ დონეზე იდგა და ქვეყნის ეკონომიკაში თავისი წვლილი შეჰქონდა.

როგორი შეხედულებაც არ უნდა გვქონდეს ქართულ სინამდვილეში ამქრული ორგანიზაციების წარმოშობის დროის შესახებ, ფაქტი ერთია: მათ შინაგან წყობაზე, სამეურნეო სტრუქტურაზე, ფუნქციებსა თუ ცხოვრების წესზე, მხოლოდ XVII საუკუნის მიწურულიდან შეიძლება ვიმსჯელოთ. რაც შეეხება მათი წარმოშობის საფუძვლებს, ბუნებრივია, იგი ქართული სახელმწიფოს წიაღშია საძიებელი. ეს პროცესი გამოკვეთილად ჩანს ერეკლე II-ის რეფორმების ფონზე: ტყვეობიდან თავდახსნილ გლეხს თავისუფლებას ანიჭებს, ხოლო სამეფო ხაზინის ხარჯზე გამოხსნილ ტყვეებს არჩევანის საშუალებას უტოვებს. მართალია, ვაჭრების სოციალურ სტატუსს არ ამაღლებს, მაგრამ ვაჭრების ეკონომიკური ნიშნით დაწინაურებას იწყებს, დიდი კაპიტალის მფლობელები თავადისა და აზნაურის რანგში აჰყავს, ხშირად თანამდებობაზე ნიშნავს.

აღნიშნული პროცესების გასააქტიურებლად ერეკლემ გააუქმა არაგვისა და ქსნის თითქმის დამოუკიდებელი საერისთავოები, ხოლო, ყაზახი, ბორჩალო და ბაიდარი სამოურავოებად აქცია. ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს ფეოდალების მიერ მიტაცებული სამეფო ყმა-მამული დაიბრუნა, მკვეთრად ჩაერია ბატონისა და ყმის სამამულო თუ პირად ურთიერთობაში, გლეხის უმიწოდ გაყიდვა აკრძალა.[25] მართალია, ეს ყველაფერი ბატონყმური სისტემის შიგნით ხდებოდა, სადაც უმაღლესი ხელისუფალი მეფეა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერეკლეს მიერ გატარებულმა რეფორმებმა ვაჭრობის აღმავლობა გამოიწვია, ხოლო გასაღების არეალის გაფართოებამ ჭარბი ხელოსნური პროდუქციის წარმოება განაპირობა. ალბათ, ურიგო არ იქნება, თუ ხელოსნური წარმოების გააქტიურებას სამთამადნო მრეწველობის განვითარებასაც დავუკავშირებთ. როგორც ომან ხერხეულიძე მიუთითებს: მეფე ერეკლემ „... ფრიადისა ღონისძიებითა და შრომითა ეძება მამულსა თვისსა მიწა ოქროსი და ვერცხლისა, რომელმანცა იპოვა სომხითის მამულსა შ(ორი)ს... და მოიყუანნა საბერძნეთით ბერძენნი მცირედნი მცნობელნი ჯავრისანი, გამომდნობელი ოქროსა და ვერცხლისა მიწისანი, ვითარცა დაიწყო მადნისა მის მუშაკობა, ისარგებლა მათ ფრიად“.[26]

[25] თბილისის ისტორია. ტ. I. რედ. მ. დუმბაძე, ვ. გუჩუა. თბ. 1990, გვ. 345, 352.

[26] ო. ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქაშავილმა. თბ. 1989, გვ. 66.

ქართული ხელოსნური ნაწარმი იყიდება როგორც ადგილობრივად, ასევე, რეგიონის მასშტაბით. თბილისელი ხელოსნები ამ პერიოდისათვის 60-მდე დარგს მისდევენ და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სამეფო ხელისუფლების დიდი მონდომებით ერთიან სისტემაში მოქცევის მიზნით ამქრულ ორგანიზაციებშია გაერთიანებული. თანდათანობით ყალიბდება მანუფაქტურული წარმოება, შენდება მარილსახდელი და თოფისწამლის ქარხნები, ადგილობრივი სამთამადნო წარმოების ბაზაზე თბილისში შენდება ლითონის ჩამოსასხმელი ქარხნა. გამომუშავებული პროდუქციის ნაწილი სამხედრო მრეწველობას ხმარდება, ნაწილი კი სპილენძის ჭურჭლის ადგილობრივ საწარმოებს, რომლებიც სამეფო საკუთრებას წარმოადგენენ. მეფე „ზემოდან ძალდატანებით“ ცდილობს წარმოების მოწყობა-გაფართოებას და ოსტატთა ადგილობრივი კადრების აღზრდასა და მათ გამრავლებაზე ზრუნავს.[27]

ვფიქრობ, სწორია მ. სამსონაძე, როდესაც მრავალ ფაქტზე დაყრდნობით წერს: XIX ს-ის I მესამედში „...სავაჭრო კაპიტალის მიერ საფეიქრო წარმოების დაპყრობა, ვაჭრების მიერ წარმოების მეთაურობა, სავაჭრო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალად გადაქცევა ...არის არა ცალკეული შემთხვევა, არამედ ქვეყანაში გავრცელებული დაკანონებული მოვლენა და, რაც მთავარია, იგი ჩამოყალიბებულია ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში. თითქმის ყველა საბუთში, რომლებიც შესაბამის საკითხს შეეხება, სავანგებოდაა აღნიშნული, რომ ყველა მოქმედი წესი შემოღებულია ჯერ კიდევ ქართველი მეფეების დროს და ახალ ხელისუფლებას მასში არავითარი ცვლილებები არ შეუტანია...“.[28]

XIX ს-ის I მესამედში, მართალია, სავაჭრო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალად გადაქცევის პროცესი დაწყებულია, მაგრამ ხელოსნურ საქმეს ქვეყანაში მაინც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. გერმანელი მეცნიერ-მოგზაურის, ედუარდ აიხვალდის გადმოცემით, 1825-26 წლებისათვის ქართლში საკმაოდ შთამბეჭდავი სახელოსნოების რაოდენობა ყოფილა. იგი წერს: „... ქართლში ფაბრიკები არ არის; მანუფაქტურები მხოლოდ ცოტა რაოდენობითაა და პატარები (მცირენი); ხელოსნობას ეწევიან სახლში და დუქანში. აქ არის პოზუმენტის ერთი, თუნუქის – 32, სპილენძის – 20 და რკინეულის – 46 დუქანი; ასევე საღებავის – 97, სადაც ლეკურ თავსაფარს და ბამბის ქსოვილებს ღებავენ. ერთგვარ ჩითს, ნაბოიკას (დაჩითული ქსოვილი) 38 დუ-

[27] ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მშართველობის მოდერნიზაციისათვის. თბ. 2010, გვ. 63, 69, 76, 89.

[28] მ. სამსონაძე. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ისტორიიდან XVIII ს. მიწურულსა და XIX ს-ის დასაწყისში. ჟურნ.: „მაცნე“, ისტორიის სერია. თბ. 1972, გვ. 20-31.

ქანში ამზადებენ, ბამბასა და ტილოს 1267-ში, აბრეშუმის ქსოვილებს 204-ში, მატყლისას 2 დუქანში. არის ტყავის 24 სარეწი და ერთი ფაბრიკა შაბისა. ყველა საჭირო საქონელი, როგორიც მაგ., მატყლის ნოხები, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილები, ბამბა, სხვადასხვა საღებავები ჩითისა და ლეკური მოსახლეობისათვის სხვადასხვა თავშლების შესაღებად, შემოაქვთ სპარსეთიდან".[29] მოყვანილი ციფრებიდან კარგად ჩანს, რომელ საქონელზე როგორი მოთხოვნა იყო ბაზარზე.

ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით, იოანე ბატონიშვილის გადმოცემით, ამქართა სტატუტებისა და უცხოელ მოგზაურთა აღწერილობების გათვალისწინებით, შესაძლებელია ხელოსანთა ცხოვრების წესის, ურთიერთობების, ვალდებულებების ამსახველი მასალის შეჯერება და მათზე დაყრდნობით ხელოსანთა ზოგადი ყოფის რეკონსტრუქცია.

საქართველოს ქალაქებში – თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, დუშეთში, ახალციხეში თუ სხვაგან დასტურდება საცეხო ორგანიზაციები, რომლებსაც ჯერ ასნაფი (არაბულად), ხოლო XVIII ს-ის მიწურულიდან „ამქარი" (ირანულად) ეწოდება. ამქარში გაერთინებულები იყვნენ არა მარტო ხელოსნები და წვრილი ვაჭრები, არამედ წყლის მზიდავები, მეურმეები, მტვირთავები, მკურნალები, მათხოვრებიც კი. გერმანელ მეცნიერ-მოგზაურ ა. ჰაქსტჰაუზენთან ვკითხულობთ: ყველა ხელობის წარმომადგენლები, თვით მტვირთავები (ტომრების მთრეველი), დღიური მუშები, ქათმების გამყიდველები, რკინის ნივთებით მოვაჭრენი, მეძველმანეები და სხვ. ქმნიან ამქარს.[30]

ხელოსნობის შესახებ მდიდარ სურათს გვიხატავს იოანე ბატონიშვილი (1768-1830) „კალმასობაში". ამ ნაწარმოების მიხედვით, თბილისში ვხვდებით: ოქრომჭედლებს – „მსხდომარენი დუქნებში, მრავალი ვერცხლის იარაღი, აგრეთვე ოქროს დაწყობილი და სხვა სამკაულით"; მექოშეებს – „დუქანი საცხე ქოშითა და მაშიით"; სარაჯებს – „რომელ საცხე აქვთ დუქნები ცხენის იარაღებით"; ყაზაზებს – „უხვი ძაფითა და ზონარით"; მექუდეებს – თავისი მრავალი პროდუქციით; ბაზაზებს – მრგვალი სხვადასხვაგვარი ფარჩით და მაუდით, ჩითით, ლენით; მკერავლებს – შეკერილი ტანისამოსით; მეჩონგურეებს – „საცხე ჩონგურითა და დაირით"; ალაფებს – სადაც პურს აცხობენ და ყიდიან; მეჭურჭლეებს – სხვადასხვაგვარი ჭურჭლით;" ხარაზებს

[29] ე. აიხვალდი საქართველოს შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ. 2005, გვ. 43.

[30] ა. ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ. 2011, გვ. 123.

– „მრავალი წაღა, ჩექმა და სხვა ფეხსაცმელი;“ მეჩახმახეებს, მეთოფეებს, ხმლის მკეთებლებს და ა.შ.[31]

ოქრომჭედელ ხელოსანთა სტატუტის მიხედვით: უპირველეს ყოვლისა, ამქარისთვის ირჩევდნენ ოთხ მთავარ ხელმძღვანელს, „ჭკვიან და ღვთისმოსაობით აღსავსე“ კაცებს. არჩევანის გაკეთების დროს მთავარი იყო არა მათი ხელობით სახელგანთქმულობა და სიმდიდრე, არამედ ისინი უნდა ყოფილიყვნენ „ქრისტიანული სინდისისა და გამჭრიახი გონების“ მქონენი, „ბუნებით, სამართლიანობითა და ზნეობით პატიოსნები“. ამქარს სათავეში ედგა „უსტაბაში“ (ამქრის თავი), რომელიც ამქრის საქმეთა მმართველი იყო, დანარჩენი სამი კი ე.წ. „უხუცესები“ მისი მრჩევლები იყვნენ. არჩევის შემდეგ მღვდლის თანდასწრებით, რომელიც თითოეულ ამქარს ჰყავდა, ფიცს დებდნენ „რომ ამქარს მოევლინებიან მზრუნველ მამებად“. აქმრის წევრები კი ვალდებულები იყვნენ ყოველ მათ სამართლიან გადაწყვეტილებას უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსტაბაში ხშირად დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებდა და ცდილობდა თავისი მდგომარეობა საკუთარი სიმდიდრის წყაროდ გამოეყენებია. უსტაბაში ამყარებდა წესრიგს, ამქრის საერთო ბიუჯეტიდან აგვარებდა წევრთა ოჯახურ საქმეებს, აშენებინებდა საზოგადოებრივ შენობებს, წყვეტდა დავებს, იხდიდა სახელისუფლებო გადასახადებს. მისი უპირველესი მოვალეობა შეგირდის მეურვეობა იყო: შეგირდი ვიდრე ხელობაში არ გაიწვრთნებოდა, მისი ხელდასხმა დამოუკიდებელ ოსტატად არ უნდა მომხდარიყო. უსტაბაში აკურთხებდა მოწაფეს ოსტატად მის მიერ დამზადებული ნიმუშის შეფასების საფუძველზე, თვალყურს ადევნებდა შეგირდების ქცევას, დადებული პირობების შესრულებას, ერთი ოსტატიდან მეორესთან გადაუსვლელობას, აწესებდა ჯარიმებს, მუშტრის გადაბირების, ერთმანეთის შეურაცხყოფის გამო. ამქრის დასნეულებულ და ბოგანოდ დარჩენილ წევრს, რომელსაც მარჩენალი არ ჰყავდა, დღესასწაულებზე ეძლეოდა ამქრის ხაზინიდან პური, შეშა, ნახშირი, ნაღდი ფული. „სიღარიბეში ჩავარდნილ გარდაცვლილს ამქარი კრძალავდა და მის ოჯახს პატრონობდა“.[32] ამქრის წევრებს აკრძალული ჰქონდათ უქმე დღეებში მუშაობა და ვაჭრობა. თუ მაინც არ მოიშლიდნენ, ამისათვის ფულადი გადასახადი იყო დაწესებული.[33]

[31] იოანე ბაგრატიონი. კალმასობა. კ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით. ტ. I. ტფ. 1936, გვ. 193-195.

[32] დოკუმენტები: ოქრომჭედელ ხელოსანთა წესდება 1898 წ., დამატება 4. კ. კუცია. ამქრები XVII-XVIII სს. საქართველოს ქალაქებში, გვ. 148-164.

[33] დოკუმენტები: კონკურენციის აცდენის „პირობა“ 1799 წ., დამატება 6. კ. კუცია. ამქრები XVII-XVIII სს. საქართველოს ქალაქებში, გვ. 180.

თითოეულ ამქარს ჰქონდა საკუთარი დროშა და ჰყავდა მფარველი წმინდანი. ხუროებს – ნოე, კალატოზებს – წმ. იოსები და ა.შ.

სტატუტების იმ მწირ რაოდენობას შორის, რომელიც ჩვენამდეა მოღწეული, საინტერესოა მეწაღეების, მექალამნეებისა და ხარაზების ახალციხის ესნაფის დალოცვის საბუთი (1875), საიდანაც კარგად ჩანს, რომ საკმაოდ დიდ გაერთიანებასთან გვაქვს საქმე თავისი უსტაბაშით, უხუცესებით, ხაზინადარით, შიკრიკით, ოსტატებითა და შეგირდებით. საბუთის შინაარსიდან ირკვევა, რომ ასნაფის წევრები ახლად გაწევრიანებული ხელოსნის მიწვევით ნადიმობენ. სუფრის გაშლა დადგენილ ვალდებულებას წარმოადგენდა ოსტატად კურთხევისა თუ ორგანიზაციაში გაწევრიანების აღსანიშნავად, თუმცა აუცილებლად გათვალისწინებული იყო მასპინძლის შეძლებაც. საბუთში კარგად არის გაწერილი ასნაფისა და მისი წევრის ურთიერთვალდებულებები: „ზედამხედველებმა ყოველთვის თვალყური უნდა ვადევნოთ ორტინას შემოტანას ხაზინის სალაროში, თუ რამდენი მოგება მიიღო (ხელოსანმა) და რამდენი ფარა გადაიხადა ორტინას (შემოსავლის 1/10) ანგარიშში.“ „ჩვენ მოვალენი ვართ მხარი დავუჭიროთ ამ კაცს, როგორც აღებ-მიცემობაში, ასევე, გადასახადების გადახდისას და აგრეთვე საჭიროების დროს რჩევა-დარიგება მივცეთ,“ – ვკითხულობთ წესდებაში.[34]

ვფიქრობთ, დღევანდელი გადასახედიდანაც საინტერესოა მაგალითის მოყვანა დამკვეთის წინაშე ხელოსნის ვალდებულებების შესახებ. ვახტანგ VI-ის სამართალში ვკითხულობთ: ხელოსანმა დამკვეთი ფასში არ უნდა მოატყუოს, სამუშაო ხარისხიანად უნდა შეასრულოს, თუ რამე გააფუჭა, ფასი უნდა გადაიხადოს. „ხელით მოქმედნი კალატოზნი, ხურონი, ფეიქარნი, მკერავალნი და სხვანი... რომელნიცა საქმესა აიღებენ გასაკეთებლად, იმ სამუშაოს ნახევარზე გაუკეთებელს ნუ გაუშვებენ... სანამდინ პირველი საქმე არ გაათაონ, სხავს ნუ აიღებენ.“ ვინცავინ: კალატოზმა ააშენოს კედელი, თაღი და ქვიტკირით ნაშენები ათი წლის შემდეგ ჩამოინგრეს, ხოლო ტალახით ნაშენები ექვსი წლის შემდეგ, ფეიქარმა მოქსოვოს თხელი სამოსელი, მკერავმა მოკლე და ვიწრო შეკეროს, წელში გაიხიოს და ა. შ. ყველამ სამუშაო ხელმეორედ უფასოდ უნდა შეასრულოს. გათვალისწინებულია ასევე ფორსმაჟორი, რომლის შემთხვევაშიც ვალდებულებები ორივე მხარეს ეხსნება.[35]

[34] დოკუმენტები: მეწაღეების, მექალამნეებისა და ესიკჯიების ესნაფის დალოცვის საბუთი, დამატება 14. კ. კუცია. ამქრები XVII-XVIII საქართველოს ქალაქებში, გვ. 192-194.

[35] ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1963, გვ. 374, მუხლები: 344, 345.

ვახტანგის სამართალი ასევე განსაზღვრავს ოსტატისა და შეგირდის ურთიერთობას: ოსტატმა შეგირდს უფასოდ უნდა ასწავლოს. თუ მას შეძლება აქვს, შეგირდს უნდა აჭამოს, ასვას, ჩააცვას. თუ შეძლება არა აქვს, მაშინ მას მშობელმა უნდა უპატრონოს და პერიოდულად ოსტატს ძღვენი მიართვას. თუ ძღვენის საშუალება ოჯახში არ არის, მაშინ „ნურც ძღვენი უნდა“. სწავლის საფასურს შეგირდი დაოსტატების შემდეგ გადაიხდიდა.[36] უფასო სწავლების პრინციპი, ბუნებრივია, ყველგან და ყველა დროში არ მოქმედებდა. შეძლებული ოჯახები ხელობის სწავლებაში საკმაოდ დიდ თანხას იხდიდნენ.

ამქარი, გარდა სოციალურ-პროფესიული ორგანიზაციისა, ტერიტორიულ გაერთიანებასაც წარმოადგენდა.[37] მათ ეჭირათ ქალაქის გარკვეული ნაწილი – უბანი, ქუჩა, მცირე ბაზარი, დიდი ბაზრის რიგი და სხვ. 1770 წ. თბილისის შესახებ აღნიშნულია: „ყოველგვარი ხელოსანი საკმაოდაა და ყოველ ხელობას ცალკე რიგი უჭირავს.“ ზოგ შემთხვევაში ამქრის მიერ დაკავებული ტერიტორია მთლიანად ემთხვეოდა უბნის, ქუჩის ან ქუჩის მონაკვეთის საზღვრებს. ასე იქმნებოდა ნომენკლატურული დასახლებები: ხარაზ-ხანა (ხარაზების უბანი), სირაჯ-ხანა, ჭონ-ხანა (მექუდეთა უბანი) და ა.შ. ასეთი დასახლება მოსახერხებელი იყო როგორც ამქრის წევრებისათვის პროფესიულ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე, ამქრის ადმინისტრაციისათვის, რათა თვალყური ედევნებინა ამქრის წევრთა ცხოვრების წესზე და ეხელმძღვანელა მათი საქმიანობისათვის.[38] ასეთივე სურათს აღწერს 1858 წლისთვის ალექსანდრე დიუმა. იგი წერს: „ყოველ ქუჩას თავისი სპეციალიზაცია აქვს. არ, ვიცი, რა სახელები აქვთ ამ ქუჩებს თბილისში და თუ საერთოდ აქვთ სახელები, მე კი მათ დავარქმევდი ოქრომჭედელთა ქუჩას, ჭონების ქუჩას, მეიარაღეთა ქუჩას, მეხილეთა ქუჩას, თოქმაჩების, თერძების ქუჩას, ხარაზთა, მეფლოსტეთა და მექოშეთა ქუჩას.“[39]

ამხანაგ კობას ხელმძღვანელობით თავად-აზნაურთა შავი რაზმების საქმიანობის შესწავლა ნითელი რაზმის თელავში. რაზმის ხელმძღვანელად გამოირჩიეს აღექსა ყარაულაშვილი, ხარება ჯუღელი, სოლია მინკინაშვილი, ხელოსნა, აკვსენტი სიდამონიძე და სხვები. ნითელ რაზმებს მოუხდათ შეტაკება შავრაზმელებთან.

თბილისიდან ჩამოსული პროპაგანდისტები ხშირად თავს იყრიდნენ ხოლმე იანოს კოჭლამაბაშვილთან, დუკანთან მოწყობილ სპეციალურ ოთახში. კოჭლამაბაშვილის ოთახში გვინახავს ხოლმე აგრეთვე ამხანაგი კობაც. ვნახავთ; რომ კოჭლამაბაშვილი დანახვდა ჩამოსულ პროპაგანდისტებსა და ორატორებს დაჭერა პოლიციამ და გადაასახლა ყიზბირში 15 წლით, რის შემდეგ სად ნავიდა ამხანაგი კობა ჩვენ არ ვიცით და არც გაგვგია.

1. მამუკაშვილი აბრამა კოლას ძე
2. მამუკაშვილი მიხა გიგოს ძე
3. მალუაშვილი ნასყიდა გიორგის ძე
4. ჯავახიშვილი იოსებ თედორეს ძე


24 9 25

Душевнобольной
Петръ Александровичъ!

Подозреваемаго въ убійствѣ кн. Чавчавадзе, Нищиларидзе поймали въ Боржомѣ, какъ я думаю, чрезъ наши часы убійцаго. Также были подр спирали и фразпон-шлюки. Не хотѣлъ разглашать T.S. находку часовъ, въ виду такихъ соображеній, что участники въ убійствѣ могутъ скрыться.

Честь имѣю быть покор-нымъ слугой Б. Нищиларидзе

5 Сентябр 1907 –



10

Копія.

34

П О С Т А Н О В Л Е Н І Е №.

1908 года Августа 4-го дня, въ гор. Баку. Я, Начальникъ Бакинскаго Губернскаго Жандармскаго Управленія, Генералъ-Маіоръ КОЗИНЦОВЪ, разсмотрѣвъ оконченную производствомъ переписку по собранію свѣдѣній о вмѣненіи степени политической благонадежности, названнаго Кайсомъ НИЖАРАДЗЕ и въ дѣйствительности оказавшагося Іосифомъ Виссаріоновымъ ДЖУГАШВИЛИ, нашелъ слѣдующее: 25-го Марта сего года чинами Бакинской окружной Полиціи былъ задержанъ неизвѣстный, назвавшійся жителемъ сел. Маглаки Кутаисской губерніи и уѣзда Кайсомъ НИЖАРАДЗЕ, при обыскѣ у котораго найдена была переписка партійнаго содержанія. Произведенной по сему дѣлу перепиской въ порядкѣ охраны выяснено, что НИЖАРАДЗЕ крестьянинъ Дидиликовскаго сельскаго общества Іосифъ Виссаріоновъ Т.S. ДЖУГАШВИЛИ, привлекавшійся въ 1902 году при Кутаисскомъ Губернскомъ Жандармскомъ Управленіи по 251-й ст. и при Тифлисскомъ по 1-й ч. 251-й ст. Улож. о Наказан. Послѣднее дознаніе было разрѣшено административнымъ порядкомъ и ДЖУГАШВИЛИ по ВЫСОЧАЙШЕМУ повелѣнію отъ 9-го Іюля 1903 года былъ вписанъ подъ гласный надзоръ Полиціи на три года въ Восточную Сибирь, откуда скрылся и розыскивался циркуляромъ Департамента Полиціи отъ 1-го Мая 1904 года за № 5500. Іосифъ ДЖУГАШВИЛИ съ 25-го Марта сего года содержится подъ стражей въ Бакинской тюрьмѣ, полагалъ-бы Іосифа Виссаріоновича ДЖУГАШВИЛИ водворить подъ надзоръ Полиціи въ Восточную-же Сибирь срокомъ на три года. ПОСТАНОВИЛЪ: Настоящую переписку препроводить на распоряженіе Г. Бакинскаго Градоначальника.-Подлинное подписалъ: Генералъ-Маіоръ КОЗИНЦОВЪ.-

подлинномъ вѣрно:
Генералъ-Маіоръ

ГЕОРГИЙ ГУРДЖИЕВ - АГЕНТ ЦАРСКОЙ "ОХРАНКИ"

В настоящей статье предполагается на основе выявленных нами архивных документов и мемуарной литературы старых революционеров-большевиков дать читателям дополнительные сведения о деятельности Георгия (Жорж) Гурджиева, как агента-провокатора царской "охранки" ещё в период его проживания в Грузии.

В интересной своей статье "Зловещие тени прошлого" Ц.И.Кин наряду с другими важными фактами сообщила, что Жорж Гурджиев, проживая в Тибете, являлся одновременно и "главным агентом-осведомителем царского правительства" ("Иностранная литература", 1965, № 4). Тем не менее некоторые биографы Гурджиева утверждают, что он якобы "вообще, никогда не интересовался политическими движениями". Однако имеющиеся у нас достоверные конкретные данные категорически опровергают это утверждение.

С начала XX века по всей России, в том числе и в Закавказье, быстро усиливалось революционное движение масс. В.И.Ленин подчеркивал, что политический подъём особенно острый характер принял в Закавказье (см. В.И.Ленин. Соч., т.9, стр.418, 420 и другие), в частности после декабрьского восстания. В связи с усилением реакции, по указанию партии большевиков, местные организации широко развернули работу по подготовке нового вооруженного восстания, вооружая революционно настроенные масс. На местах создавались боевые отряды, кружки по изучению военного дела и изготовлению бомб, взрывчатых веществ и т.д. В Тбилиси была создана специальная военно-техническая группа во главе с извест-

НАЧАЛЬНИКЪ
ГОРІЙСКАГО
ОТДѢЛЕНІЯ
ЖАНДАРМСКАГО ПОЛИЦЕЙСКАГО
УПРАВЛЕНІЯ
ЗАКАВКАЗСКИХЪ
желѣзныхъ дорогъ

«26» Января 1906 г.

№ [redacted]

г. Тифлисъ.

12 Секретно

Въ дополненіе телеграммы моей отъ 14 сего Января, доношу, что по негласнымъ свѣдѣніямъ въ агитаціонныхъ цѣляхъ въ селеніи Михайлово бурсъвѣстный скандаловъ подозрѣваемый студентъ Георгій Гуджаріевъ, агентъ К. Зилкаръ Николаевъ Сихарулидзе и студентъ Васо Іосифъ Бѣлиновъ изъ коихъ первые два отправлены по вышеназванному въ Гурріо, а послѣдній губернировавшій изъ по въ г. Кутаисъ. T.S.

Приложеніе: Письмо Гуджаріева къ профессору Кавказскаго Математическаго Института, изъ коего явствуетъ Тенгизовой изъ Варшавы и антителлигентской конторы на имя Димитрія Гуджаріева въ г. Кутаисъ Кутаисскаго Губернскаго Тифлисскаго Жандармскаго Управленія.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIV
თბილისი. 2018


ემილ აჯდალიანი
თსუ

მიქაელ არამიანცი და საქართველო

გზატფილისამდე

მიქაელ არამიანცი 1843 წლის 4 მაისს მთიან ყარაბაღში, სოფელ კეატუკში, სოფლის მამასახლისის ოვსეპის ოჯახში დაიბადა. მიქაელი 15 წლისა იყო, როდესაც სასწავლებლად ქალაქ შუშაში გაემგზავრა. სწავლა არ უჭირდა, ყველაფერს იოლად ითვისებდა და მეცნიერებისადმი დიდ ინტერესსაც ამჟღავნებდა. მიქაელი ტფილისის გიმნაზიაში სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობდა, თუმცა მან ადრეულ ასაკშივე წარმატებით გამოსცადა თავი ვაჭრობაში. საქმის შესასწავლად იგი შუშაშივე ცნობილ ვაჭარს თარუმანიანს თანაშემწედ მიაბარეს, რომელიც სავაჭრო საქმიანობას ყარაბაღის გარდა, საზღვარგარეთაც ეწეოდა. არამიანცი ხშირად ჩადიოდა თაურიზში, ირანში, სადაც ის ცოტა ხანში ფირმის წარმომადგენლადაც დანიშნეს. 4 წელიწადში მიქაელმა თავისი პირველი კაპიტალი – 3 000 მანეთი – დააგროვა და 1871 წელს სამხრეთ კავკასიის ცენტრში, ტფილისში გადავიდა საცხოვრებლად.

არამიანცი 28 წლისას საკმაოდ დიდი ქონება შეაგროვა ქსოვილებით, აბრეშუმითა და შალით ვაჭრობით. ჩართული იყო შაქრის ტრანზიტულ კომერციაში ისეთ დიდ ქალაქებთან, როგორებიც იყო მარსელი, თავრიზი და თეირანი. თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს არ იყო არამიანცის ნამდვილი წარმატება, რადგან მას ჯერ არ გაუცნია ბაქოს ნავთობი და მასთან დაკავშირებული ფინანსური პერსპექტივები. არამიანცის ტფილისში ცხოვრების პირველ ეტაპზე წარმატებული ბიზნესის გარდა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: მას შეუყვარდა ცნობილი კომერსანტის, შოლკოიანცის 18 წლის ქალიშვილი – ელისაპეტი.



მიქაელ არამიანცი (1843-1924 წწ.)

თუმცა, როგორც ეს ხშირად ხდებოდა იმდროინდელ სამხრეთ კავკასიაში მეწარმეობა ხშირად ზედმეტადაც კი იყო დამოკიდებული რეგიონში არსებულ საგარეო პოლიტიკურ ვითარებაზე. ასე, მაგალითად, 1877-1878 წლებში მიმდინარე მორიგმა რუსეთ-თურქეთის ომმა დიდი გავლენა მოახდინა არამიანცის ბიზნესზე. ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ჩაკეტვამ და საომარმა მოქმედებებმა საქართველოს საზღვრებთან ახლოს გამოიწვია არამიანცის თითქმის მთლიანი ქონების დაკარგვა. სხვადასხვა მონაცემის მიხედვით მას მხოლოდ 7 000 მანეთი და ტფილისში მტკვრის სანაპიროზე ერთი პატარა სახლი დარჩა. არამიანცს კიდევ რამოდენიმე წელი დასჭირდა რთული ფინანსური მდგომარეობიდან გამოსასვლელად და 1884 წელს ბაქოში გამგზავრებამდე მისი კაპიტალი უკვე 40 000 მანეთს შეადგენდა.

1880-იანი წლების ბაქომ უკვე გაითქვა მსოფლიოში სახელი როგორც ნავთობის მოპოვების ცენტრმა. ქალაქში უკვე მუშაობდნენ ისეთი დიდი ფინანსური ოჯახები, როგორც როტშილდები და ნობელები. მათთვის კონკურენციის გაწევა რომ შეძლებოდა, არამიანცმა ბიზნესში ძველი მეგობრის ჩართვა გადაწყვიტა. ეს ტფილისის უმსხვილესი კომერციული ბანკის აქციონერი და ვიცე-თავმჯდომარე, პირველი გილდიის ვაჭარი ალექსანდრე მანთაშევი იყო. მათ ერთმანეთი ჯერ კიდევ არამიანცის თავრიზში ყოფნისას გაიცნეს. მანთა-

შევი ირანში მამასთან იყო ჩასული და იქ საკმაოდ დიდ მოგებას ვაჭრობით შოულობდა.[1]



ალექსანდრე მანთაშევი (1842-1911 წწ.)

[1] ალექსანდრე მანთაშევი 1842 წელს ტფილისში დაიბადა. ბავშვობა ირანში, ქალაქ თავრიზში გაატარა მამასთან ერთად, რომელიც იქ ვაჭრობით იყო დაკავებული, ხოლო ნამდვილი ბიზნესი თანამედროვე გაგებით კი ინგლისში შეისწავლა. ალექსანდრე 27 წლის იყო, როცა მანჩესტერში ჩავიდა და იქიდან მამას ამარაგებდა ბამბეულითა და სხვა საქონლით. ინგლისიდან სამი წლის შემდეგ ირანში დაბრუნებული მანთაშევი მამასთან ერთად ტფილისში გადავიდა. თავიდან მანთაშევებმა ერივანსკის (თანამედროვე თავისუფლების) მოედანზე მდებარე სასტუმრო „კავკაზის" პირველ სართულზე გახსნეს ქსოვილების მაღაზია. მალე პირველს მეორე მაღაზიაც მიაყოლეს და საცალო ვაჭრობიდან საბითუმოზე გადავიდნენ. მშობლების გარდაცვალების შემდეგ 200 ათასი მანეთი მემკვიდრეობა ახალგაზრდა ალექსანდრეს ხელში აღმოჩნდა. ამ ფულით მან ტფილისის კომერციული ბანკის აქციების საკონტროლო პაკეტი იყიდა და მთავარ აქციონერად იქცა. ცოტა ხნის მერე კი ბანკის ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარეც გახდა. ტფილისის კომერციული ბანკი იმ დროისთვის ყველაზე ავტორიტეტული იყო მთელ კავკასიაში და მისი აქციები რუსეთის იმპერიის მთავარ სანქტ პეტერბურგის ბირჟაზე იყო კოტირებული. მანთაშევის გათვლა სწორი გამოდგა, რადგან მალე მისი ქონება ეროი-ორად გაიზარდა და 1890 წლისთვის ის უკვე პირველი გილდიის ვაჭარი და ტფილისის სათათბიროს სპიკერიც იყო. იხ. Е. Татевосян. Александр Манташев (1842-1911 гг.). Тб. 2011. ასევე აღსანიშნავია С. Гевенян. Великий благотворитель и меценат Александр Манташев. Эчмиадзин. 2002, ст. 55-76.

თავდაპირველად ორ ადამიანს შორის კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა[2] და მანთაშევი დათანხმდა კიდეც არამიანცის შემოთავაზებას ბაქოში საერთო სანავთობო ბიზნესი დაეწყოთ.




მიქაელ არამიანცი

სანავთობო ბიზნესი კარგად ვითარდებოდა, რაც აისახა კიდევაც 1899 წლის 11 ივნისს სააქციო და სანავთობო საზოგადოება „ა. ი. მანთაშევი და კომპანიის“ დებულების ოფიციალურად დამტკიცებით. კომპანიის დამფუძნებლები იყვნენ ტფილისის პირველი გილდიის ვაჭარი მანთაშევი და ბაქოს პირველი გილდიის ვაჭარი არამიანცი. საერთო კაპიტალი 22 მილიონ მანეთს შეადგენდა, ანუ სულ 88 000 აქცია, სადაც თითოეული 250 მანეთად ფასობდა. მიღებული დებულების მიხედვით კომპანია იმართებოდა ხუთი დირექტორისგან შემდგარი საბჭოთი, რომლის არჩევაც აქციონერთა საერთო კრებით ხდებოდა. ამ კომპანიაში მიქაელ არამიანცს 25%-იანი წილი ჰქონდა.

[2] ეს ორი ადამიანი პირადი ბიზნესის გარდა ხშირად ახორციელებდა საერთო შემოწირულობებსაც. მაგალითად, 1899 წლის მაისის დასაწყისში ტფილისის მოურავმა ქალაქის შეძლებულ მოსახლეობას სთხოვა შემოწირულობები გაეკეთებინათ მცხეთის ტაძრისთვის (მისი განახლების ფონდის გასაფართოებლად). ასე, მანთაშევმა 1000 მანეთი შესწირა, ხოლო არამიანცმა კი – 500 (გაზ. „ივერია“. №91. 1899, გვ. 1).

ნავთობი მომავლის ბიზნესი აღმოჩნდა. არამიანცის საქმიანობა დღითიდღე ფართოვდებოდა. მაგალითისთვის აფშერონის ნახევარკუნძულზე (სადაც ქალაქი ბაქო მდებარეობს) კომპანიის საკუთრებაში იყო ნავთობით მდიდარი დაახლოებით 174 ჰექტარი მიწის ფართობი. არამიანცს ასევე ეკუთვნოდა ნავთობის ქარხანა, საქაჩი სადგურები, სპეციალურად მოწყობილი ნავმისადგომი და უამრავი სახელოსნო. სხვადასხვა მონაცემით არამიანცს წარმომადგენლობა ჰქონდა გახსნილი სმირნაში (თანამედროვე დასავლეთ თურქეთში მდებარე ქალაქი იზმირი), სალონიკში (საბერძნეთი), კონსტანტინოპოლში (თანამედროვე სტამბოლი), ალექსანდრიასა და კაიროში (ეგვიპტე). ამის გარდა წამორმადგენლობები ჰქონდა ჩამოყალიბებული დასავლეთ ევროპისა და შორეული აღმოსავლეთის ისეთ ქალაქებში, როგორებიცაა: მარსელი, ლონდონი, ბომბეი და შანხაი.



ბაქო XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში

თუმცა დროთა განმავლობაში არამიანცსა და მანთაშევს შორის ურთიერთობა დაიძაბა. კომპანიის მიერ მიღებული დიდი შემოსავალი ორ მდიდარ ადამიანს შორის განხეთქილების საგანი გახდა. მანთაშევს კომპანიაში სრული დომინირება სურდა და ამიტომაც მალულად დაიწყო თავისი კომპანიონების აქციების შესყიდვა, რაც გამოიწვევდა მათ განდევნას საერთო ბიზნესიდან.

არამიანცს მოუწია გასვლა სანავთობო წამოწყებიდან და საერთოდ ქალაქ ბაქოდან წასვლა უკან ტფილისში. იმ დროისათვის მისი ქონება გაყიდული აქციებიდან 10 მილიონ მანეთს აღწევდა.

ოჯახური დილემა

აქვე აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელმაც დიდად იმოქმედა არამიანცის გადაწყვეტილებაზე ბაქო დაეტოვებინა: პრობლემები საკუთარ ოჯახში. მის მეუღლეს ელისაპეტს ბაქო არ მოსწონდა და ის უფრო პროვინციულ, არაგანვითარებულ ადგილად მიაჩნდა. ოჯახში ხშირი იყო უთანხმოებები და არამიანცი იძულებული იყო დათანხმებოდა ცოლის დაჟინებულ მოთხოვნებს ტფილისში დაბრუნებულიყვნენ. ამასაც კი არ გააუმჯობესებია მდგომარეობა ოჯახის შიგნით. ელისაპეტი არამიაცის ქონების ფლანგვას განაგრძობდა ქალაქის სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებში. თუმცა აქ კიდევ ერთმა დამამძიმებელმა გარემოებამ იჩინა თავი. ბაქოში ყოფნისას არამიანცს ხელში ჩაუვარდა მეუღლის სასიყვარულო წერილები, რამაც ის ღალატში ამხილა ბაქოს გუბერნატორის დაცვის წევრთან.[3] უფრო მეტიც, ჯერ კიდევ 1884 წელს ტფილისიდან ბაქოში გამგზავრებამდეც არამიანცამდე მოდიოდა ბევრი ჭორი ელისაპეტის ღალატის შესახებ.

ასე რომ, არამიანცის ბაქოდან წასვლა ნაკარნახევი იყო როგორც გართულებული ბიზნეს-გარემოთი, ასევე პირადი, ოჯახური მიზეზებით. ელისაპეტთან ცხოვრების გაგრძელება წარმოუდგენელი გახდა და მთელი რვა თვის განმავლობაში მიმდინარეობდა სასამრთლო დავა. პირველი ქორწინებიდან მიქაელ არამიანცს ექვსი შვილი დარჩა.

ელისაპეტის შემდეგ, ტფილისში დაბრუნებული არამიანცი ქალაქის იმ დროს ცნობილ ლამაზმანს, ევგენია შხიანცს დაუახლოვდა. მართალია, არამიანცს ევგენია ოფიციალურად ცოლად არ შეურთავს, ის მას საზოგადოების წინაშე მეუღლედ წარადგენდა. მიქაელმა ევგენიას ქალაქის ცენტრში, თანამედროვე კოსტავას ქუჩის დასაწყისში, სამსართულიანი სახლი აუშენა. ეს სახლი დღემდეა შემორჩენილი და გამოირჩევა თავისი არქიტექტურით. არამიანცმა შხიანცის სახლის ეზოში პარიზში სპეციალური შეკვეთით დამზადებული ბრინჯაოს ირმების სკულპტურა დადგა. თუმცა აქაც, უკვე მეორედ,

[3] არსებობს ცნობები, რომ მიქაელის ძმამ კონდორმა, გაბრაზებულმა ამ ამბის გაგებით დატოვა სახლი და იარაღის გასროლით ელისაპეტის მოკვლაც კი სცადა. მიქაელის მეუღლე გადარჩა, ხოლო კონდორი კი პსიქიატრიულ კლინიკაში გადაიყვანეს.

არამიანცს არ გაუმართლა: ურთიერთობა ევგენიასთან ხანმოკლე გამოდგა, რადგან შხიანცმა ის მიატოვა და საყვარელთან ერთად ტფილისიდან გაიქცა.

ნავთობიდან მშენებლობაზე გადასვლა

არამიანცის ტფილისში საბოლოო გადმოსვლამ ასევე გავლენა იქონია მის ბიზნეს-საქმიანობაზე. ის აღარ იყო ნავთობის ბიზნესში და იძიებდა ახალ სფეროებს სადაც დიდი ფულის შოვნა მოხერხდებოდა. ამიერიდან ბევრ სხვა საქმიანობასთან ერთად[4] მშენებლობის ბიზნესმა დიდი ადგილი დაიკავა მის ცხოვრებაში. ეს ერთგვარი ქველმოქმედება იყო, თუმცა ის ასევე უნდა დახასიათდეს, როგორც ახალი ბიზნეს-წამოწყება: არამიანცი იმდროინდელ საქართველოში მცხოვრები სხვა ბევრი ქართველი თუ უცხოელი მეწარმის მსგავსად, სასტუმროების ბიზნესს იწყებდა.

1840 წლებში გოლოვინის პროსპექტზე (თანამედროვე რუსთაველის გამზირის №19 მამუკა ორბელიანის სასახლე აშენდა. ადრევე, 1866 წელს, ამ ნაგებობაში სხვდასხვა სასტუმროები იყო გახსნილი: ჯერ „ლირა“,[5] შემდეგ „ამერიკა“,[6] რომელთა სასტუმრო ოთახები ზედა სართულებზე იყო განმაგებული, რადგან პირველ სართულ, როგორც ეს მიღებული იყო იმდროინდელ ტფილისში, ძირითადად, საჯარო მაღაზიებს ეკავა.[7] 1871 წელს მამუკა ორბელიანის გარდაცვალების შემდეგ, შენობა ისევე ქირავდებოდა სასტუმროებზე, სანამ 1910 წელს ამ შენობას არამიანცი იყიდიდა. მოკლე დროში არამიანცმა ეს შენობა, არქიტექტორ ალექსანდრ ოზეროვის გეგმით, თითქმის მთლიანად შეცვალა. ასე, მაგალითად შენობას მესამე სართული დაემატა, ხოლო ფასადი შეიცვალა. ზუსტად ამდენი არქიტექტურული ცვილელების გამო, ხშირია, როდესაც ამ შენობის აგებას არამიანცს მიაკუთვნებენ.

საფუძვლიანად განახლებულ შენობას შვილების სახელების პირველი ასოებისგან შემდგარი სახელი – „არფასტო“ (არამი, ფლორა, ანა, სოლომონი, თამარა (უფროსი ვაჟის მეუღლე) და ოვანესი) ეწოდა. დღეს ამ შენობაში შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტია განთავ-

[4] მაგალითად, არამიანცის ერთ-ერთი საქმიანობა იყო თავად დადეშქელიანებთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით, სვანეთში ტყეების გადამუშავება (გაზ.: «Кавказ». №47. 1903, გვ. 2).
[5] გაზ. «Кавказ» №4. 1867.
[6] გაზ. «Кавказ». № 81, 97, 99. 1867; დ. ხოშტარია. თბილისი. ძველი სასტუმროები. თბ. 2011, გვ. 56.
[7] დ. ხოშტარია. თბილისი. ძველი სასტუმროები, გვ. 55.

სებული. თუმცა გაზეთებიდან და სხვა წყაროებიდან ვიცით, რომ 1914 წელს ამ შენობაში გახსნილ სასტუმროს „პალას ოტელი“ დაერქვა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ „არფასტო“ შეიძლება ყოფილიყო არაოფიციალური სახელწოდება. „პალას ოტელს“ 100-ზე მეტი ნომერი გააჩნდა, რითაც ის ლიდერობდა მთელ ქალაქში, ხოლო ფასები მერყეობდა მანეთინახევრიდან 15 მანეთამდე).[8]



„არფასტო“ – თანამედროვე შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

შემდეგ არამიანცმა გოლოვინის გამზირზევე კიდევ უფრო გრანდიოზული პროექტის წამოწყება გადაწყვიტა. გოლოვინისა გამზირისა და ბარიატინსკის (თანამედროვე გ. ჭანტურიას) ქუჩის კვეთაზე ვინმე როტინოვის სახლი მდგარა, სადაც ფოტოგრაფ პეტრე განკევიჩს ატელიე ჰქონდა მოწყობილი. არამიანცმა ეს შენობა შეისყიდა და მომავალი სასტუმროს პროექტის შექმნა იმ დროის ერთ–ერთ ყველაზე წარმატებულ, ტფილისსა და ბაქოში ცნობილ არქიტექტორს, გაბო ტერ-მიქელოვს მიანდო.[9] არამიანცმა

[8] დ. ხოშტარია. თბილისი. ძველი სასტუმროები, გვ. 57-58.

[9] აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად სასტუმროს პროექტი ალექსანდრ ოზეროვმა შეადგინა 1910 წელს, მაგრამ მომდევნო პერიოდში შეიცვალა.

ტერ-მიქელოვი ევროპაში გაამგზავრა პროექტზე სამუშაოდ. შედეგად, 1915 წელს, გოლოვინის გამზირზე აშენდა სასტუმრო „მაჟესტიკი“,[10] რომელიც დღეს ჩვენთვის „თბილისი მარიოტით“ არის წარმოდგენილი.[11]

სასტუმროს გახსნა მოხდა მაშინ, როდესაც საქართველო, როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილი, პირველ მსოფლიო ომში იყო ჩაბმული და ამიტომაც შენობაში ჰოსპიტალი იყო განთავსებული. „მაჟესტიკმა“ ცოტა ხანი იმუშავა პირველი რესპუბლიკის დროს.

გარდა იმ მდიდრული მასალისა, რომელიც გამოყენებული იყო სასტუმროს ასაშენებლად, „მაჟესტიკი“ ასევე ცნობილი იყო იმით, რომ მის სარდაფში ფუნქციონირებდა პატარა კინოთეატრი „მინიონი“.[12] გასაბჭოების შემდეგ, შენობა გადაეცა პროფკავშირების საბჭოს, ხოლო 1930-იან წლებში გადაწყდა შენობისთვის სასტუმროს ფუნქციის დაბრუნება და რეკონსტრუქციისთვის მისი მშენებელი გ. ტერ-მიქელოვი გამოიძახეს.[13]



ყოფილი „მაჟესტიკი“

[10] სახელწოდება ფრანგული ეტიმოლოგიისაა და ქართულად ზღაპრულს ნიშნავს. „მაჟესტიკი“ არამიანცის ერთ-ერთ გემს ერქვა.

[11] არამიანცს ასევე ეკუთვნოდა შემოსავლიანი სახლი ოლგას (კოსტავას) ქუჩის №23-ში. თუმცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მას ეს შენობა ჩამოართვეს და მომდევნო პერიოდში მის ტერიტორიაზე „ვერის ბაზარი“ შეიქმნა (ჟურნ.: „თბილისელები“. №9(635). 2013, გვ. 31).

[12] გაზ.: „საქართველო“. №40. 1919.

[13] დ. ხოშტარია. თბილისი. ძველი სასტუმროები, გვ. 68.

თუ არამიანცის ამ ორი სასტუმროს პროექტი კომერციული ხასიათის იყო, მისი ყველაზე დიდი და, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი საჩუქარი ტფილისისთვის პირველი თანამედროვე საავადმყოფოს აშენება იყო.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ტფილისში მხოლოდ ერთი მუნიციპალური კლინიკა მოქმედებდა, რომელსაც ხალხი „მიხაილოვის საავადმყოფოს“ ეძახდა. პატარა სივრცისა და უფრო მეტად კი პაციენტების დიდი ნაკადის გამო, საავადმყოფო მუდმივად გადატვირთული იყო. XX საუკუნის დასაწყისში არსებული სტატისტიკის მიხედვით, „მიხაილოვის საავადმყოფო“ ადგილების სიმცირის გამო ყოველწლიურად, დაახლოებით, 6 000 პაციენტს ეუბნებოდა უარს მკურნალობაზე. ტფილისში შეუძლებელი იყო ნორმალური სამედიცინო მომსახურების მიღება. შესაბამისად, ახალი სამედიცინო დაწესებულება ქალაქის სასიცოცხლო საჭიროებას წარმოადგენდა. იმ დროს ტფილისის თავი ალექსანდრ არღუთინსკი-დოლგორუკი იყო, რომელიც ბაქოში 1902 წელს მიქაელ არამიანცთან გამართულ საუბარს იხსენებდა:

„რა სჭირდება ახლა ყველაზე მეტად ტფილისს? – მკითხა არამიანცმა.

– ქალაქს ბევრი რამე სჭირდება, მაგრამ უმთავრესი საავადმყოფოა. მიხაილოვის საავადმყოფოს ქალაქი ინახავს და ვალდებულია, მთელ მხარეს მოემსახუროს. ამადაც ბუნებრივია, რომ სნეულების მეათედსაც ვერ ართმევს თავს. ქალაქს კი ახალი საავადმყოფოსთვის ფული არ აქვს.“

ამ საუბრიდან ერთი წლის თავზე, 14 აპრილს ქალაქის უკვე ყოფილი თავისთვის მიწერილ წერილში არამიანცი იუწყებოდა: „მაქვს პატივი, ვაცნობო თქვენს ბრწყინვალებასა, რომ ქალაქის საავადმყოფოს მშენებლობას 100 000 მანეთს ვწირავ“.[14] მშენებლობის დაფინანსების სანაცვლოდ არამიანცს სურდა, რომ საავადმყოფოს მისი სახელი დარქმეოდა.[15]

[14] გაზ. „ივერია“. №88. 1903, გვ. 2.
[15] გაზ. „ივერია“. №88. 1903, გვ. 1.



ყოფილი ე. წ. „არამიანცის საავადმყოფო“

საავადმყოფო[16] რამდენიმე წლის განმავლობაში არქიტექტორ პავლე ზურაბიანის[17] ხელმძღვანელობით შენდებოდა. მიუხედავად შემოწირულობისა, მშენებლობის საქმე ჭიანურდებოდა. მაგალითად, იმდროინდელ გაზეთებში მრავალჯერ გამოითქვა წუხილი, რომ ვერ ხერხდებოდა დროულად საავადმყოფოს არქიტექტურული გეგმის მოწყობა. პირველი გეგმის მიხედვით, შენობა 100 000 მანეთის ნაცვლად 140 000 მანეთამდე დაჯდებოდა, რამაც გამოიწვია საქმის გადადება, რათა ახალი შედარებით იაფი პროექტი შემუშავებულიყო.[18] საბოლოოდ საავადმყოფო 1909[19] წლის დეკემბერში უნდა გახსნილიყო, თუმცა, როგორც ჩანს, ამუშავდა 1910 წლის თებერვალში. არამიანცის შემოწირულობით მთელი ქალაქი–საავადმყოფო აშენდა რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებით. არამიანცი საკუთარი სახსრებით ინახავდა შენობას, ავადმყოფების მკურნალობის საფასურს იხდიდა და თანამშრომლების ხელფასებსაც თავად უზრუნველყოფდა. ე. წ. „არამიანცის საავადმყოფოში“ ევროპიდან რენტგენის აპარატიც კი ჩამოიტანეს, რომელიც იმდროინდელ რუსეთში რთულად თუ მოიპოვებოდა. უახლესი სამედიცინო ტექნიკის ყიდვა 250 000 მანეთი დაჯდა. თავდაპირველად კომპლექსი 100-120[20] პაციენტზე იყო გათვლილი.[21]

[16] ა. კირაკოზოვი. „თბილისი, რომელიც სომხებმა ააშენეს. ჟურნ.: „ბანკები და ფინანსები“. №11. 2011, გვ. 1, 6.

[17] გაზ.: „ცნობის ფურცელი“. №2646. 1904, გვ. 2.

[18] გაზ.: „ცნობის ფურცელი“. №2646. 1904, გვ. 2.

[19] გაზ.: „დროება“. №26. 1910, გვ. 3; გაზ.: „მომავალი“. №89. 1909, გვ. 3. გაზ.: „დროება“. №26. 1910, გვ. 3. აღსანიშნავია, რომ ბევრ სხვა წყაროში საავადმყოფოს გახსნის თარიღად მოხსენიებულია 1910 წლის მეორე ნახევარი.

[20] სხვა მონაცემების მიხედვით ახალ საავადმყოფოში 300-მდე ადგილი უნდა მოეწყოთ (გაზ.: „ცნობის ფურცელი“. №2199. 1903, გვ. 2-3).

საავადმყოფოს არქიტექტურა განსაკუთრებული იყო და, მაგალითად, ქალაქში ეპიდემიის შემთხვევაში შესაძლებელი იყო საავადმყოფოს ოთხ იზოლირებულ ნაწილად დაყოფა. საავადმყოფოს ასევე გააჩნდა თავისი დამოუკიდებელი ელექტროსადგური, ცენტრალური გათბობა, სავენტილაციო სისტემა, სამზარეულობები და პროზექტურა.

სხვადასხვა მონაცემებით, „არამიანცის საავადმყოფოს“ აშენება-აღჭურვა დაახლოებით 500 000 მანეთი დაჯდა.

გატაცება

1919 წლის 14 მაისს ტფილისის რუსულენოვანმა გაზეთმა „გრუზიამ“ კრიმინალური ქრონიკის სვეტში ერთი პატარა ინფორმაცია დაბეჭდა, რომელიც ადამიანის გატაცებას ეხებოდა:

„ამა წლის 12 მაისს, დაახლოებით საღამოს 8 საათზე, სერგის ქუჩაზე (დღევანდელი მაჩაბლის ქუჩა – ე. ა.) საკუთარი სახლიდან გამოვიდა ვაჭარი არამიანცი, რომელიც საქმეებზე მიემართებოდა. ლერმონტოვისა და სერგის ქუჩების კვეთაზე იგი თავდასხმის მსხვერპლი გახდა. უცნობმა პირებმა არამიანცს ხელი სტაცეს და იქვე გაჩერებულ ავტომობილში შეაგდეს. შემდეგ ავტომობილი სწრაფად გაქანდა და გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა. როგორც შემთხვევის ადგილას მისულ მილიციელებს თვითმხილველებმა განუცხადეს, გამტაცებელთა ბანდამ არამიანცი მანქანაში იარაღის მუქარით ჩასვა. ჯერჯერობით, მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ყაჩაღები სამნი იყვნენ. მოქალაქეებმა ისიც შენიშნეს, რომ ავტომობილის ნომერი იყო 19“.

ქალაქის მილიციამ არამიანცის გათავისუფლებისთვის ზომები მიიღო. სწრაფად მიაგნეს და დააკავეს ავტომობილის მძღოლი, ვინმე ერნესტ კრონტალი. მძღოლის ჩვენებით, არამიანცი გამტაცებლებმა ტფილისში, თანამედ-

---

[21] საინტერესოა, რა ვნებათაღელვა გამოიწვია თავიდან არამიანცის მიერ 100 000 მანეთის შეწირულობამ. მაგალითად, ტფილისის ქალაქის საბჭო დიდი ხნის განმავლობაში ბჭობდა იმაზე, თუ როგორ უნდა დაეხარჯათ აღნიშნული თანხა. ყველა თანხმდებოდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო საავადმყოფო, თუმცა საბჭოს წევრები ვერ რიგდებოდნენ უნდა ყოფილიყო ეს მხოლოდ „შინაგან სნეულებათა საავადმყოფო“ თუ მასში საქირურგო განყოფილებაც მოიაზრებოდა. მესამე ჯგუფი კი ფიქრობდა, რომ „შეშლილთა და სულით დავრდუმილთა საავადმყოფო უფრო საჭიროა ქალაქისთვისაო“ (გაზ.: „ივერია“. №145. 1903, გვ. 1). ამ უკანასკნელი მოსაზრების მთავარი მომხრე იყო საბჭოს წევრი, ექიმი მ. გედევანიშვილი. საბოლოოდ გადაწყდა, რომ „შინაგან სნეულებით ავადმყოფთა სამკურნალო“ გახსნილიყო (გაზ.: „ცნობის ფურცელი“. №2199. 1903, გვ. 2-3).

როვე კუკიის სასაფლაოს მიმართულებით წაიყვანეს. გამტაცებელთა აღმოსავლეთით მილიციამ ღამით ნაძალადევის რაიონში ტოტალური ჩხრეკა ჩაატარა და რამდენიმე საეჭვო პირი დააკავა. გაზეთები არ წერდნენ, რა ვითარებაში მოხერხდა არამიანცის გათავისუფლება. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ყაჩაღებმა ვაჭარი გატაცებიდან ერთი დღის შემდეგ გაათავისუფლეს.

იმავე დღეს, ტფილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა, ფაჩულიამ არამიანცი დაკითხა, მაგრამ მისგან რაიმე ხელჩასაჭიდი ინფორმაცია ვერ მიიღო. არამიანცი ამბობდა, რომ გამტაცებლებს არ იცნობდა, მათი გარეგნობა ვერ დაიმახსოვრა და ამდენად ამოცნობას ვერ შეძლებდა. არამიანცი ამტკიცებდა, რომ მას მხოლოდ 14 ათასი მანეთი წაართვეს, ხოლო ოქროს საათი და ბრილიანტებით მოჭედილი სამკაული უკან დაუბრუნეს.

მიუხედავად ასეთი მწირი ინფორმაციისა, მილიციამ ძებნა განაგრძო და ჭიათურაში, არამიანცის ერთ-ერთი გამტაცებელი, ლაცია ლოლაძე დააკავა, რომელიც ტფილისში გაძლიერებული დაცვის ქვეშ ჩამოიყვანეს. ცოტა ხანში დადგინდა გამტაცებელთა ჯგუფის ხელმძღვანელის ვინაობაც – ეს იყო ცნობილი ყაჩაღი, ფირანა ზანდუკელი.

„ტფილისის მილიციის უფროსს მოუვიდა ცნობა, რომ ცნობილი ყაჩაღი ზანდუკელი, რომელსაც ბრალდებოდა აუარებელი დანაშაული - მილიციელის და გვარდიელის მოკვლა, არამიანცის მოტაცება და სხვა, იმალებოდა ჯვარის მონასტერში (მცხეთის რაიონში). მის დასაჭერათ, 7 ივნისს, ნაშუაღამევის პირველის ნახევარზედ ტფილისიდან 2 ავტომობილით გაემგზავრნენ მილიციელები. მილიციის უფროსის სულაქველიძის, სისხლის სამართლის უფროსის ფაჩულიას და საგანგებო რაზმის უფროსის კედიას მეთაურობით. რაზმმა ალყა შემოარტყა ჯვრის მონასტერს. გაჩხრიკეს ბერთა ბინა, მაგრამ ზანდუკელი არ აღმოჩნდა. დაიკითხა ბერი ილარიონი (ერობაში ილია ოზაშვილი), რომელიც ეკლესიას სდარაჯობდა. მან კატეგორიულად უარჰყო მონასტერში ვინმეს ყოფნა“.

ჯერ კიდევ 1907 წელს, ბოროტმოქმედებმა მისი შვილი, სოლომონი გაიტაცეს.[22] არამიანცმა მის დასახსნელად 100 ათასი მანეთი გადაიხადა.[23]

[22] გაზ. „ისარი“. №12. 1907, გვ. 2.

[23] 1908 წელს, მიუხედავად საუკეთესო საექიმო დახმარებისა, მიქაელის მეორე ვაჟი, ოვანესი გარდაიცვალა.

ცხოვრების ბოლო წლები

1910-იან წლებში საქართველოში ბიზნესი სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. მხოლოდ ძირფესვიანი შიდა ან საგარეო პოლიტიკური ცვლილებები თუ გამოიწვევდნენ ამ პროცესის შეჩერებას. სამწუხაროდ რუსეთის იმპერიისთვის და კერძოდ საქართველოსთვის ასეთი მოვლენა პირველი მსოფლიო ომი და უმეტესწილად ამით გამოწვეული რუსეთის 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის ბოლშევიკური რევოლუციები იყო.

ეს არ გავდა არამიანცის მიერ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად შემცირებულ ბიზნესს. 1914-1917 წლების მდგომარეობა განსხვავებული იყო, რადგან არა მარტო მცირდებოდა სავაჭრო ბრუნვა მეზობელ ქვეყნებთან დაკეტილი საზღვრების გამო, არამედ 1917 წლიდან შეიცვალა რუსეთის იმპერიაში არსებული სოციალური წესრიგი, რომელშიც მდიდარი ადამიანები ნეგატიურად აღიქმებოდნენ, ხოლო 1921 წელს საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი მათი ქონება მთლიანად ან ნაწილობრივ დაექვემდებარა ექსპროპრიაციას.

არამიანცი არ იყო გამონაკლისი და 1918-1921 წლებში საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ მას სასტუმროები და სახლები ჩამოართვა. გოლოვინის გამზირზე მდებარე მის სასტუმროებში 1918 წელს ჯერ გერმანია-კავკასიის სავაჭრო ბანკი გახსნეს, ხოლო 1919 წელს კი პროფკავშირებს გადასცეს. არამიანცს მხოლოდ სერგის №4-ში მდებარე სახლი დარჩა. არამიანცის ქონებას ტფილისის გარეთაც უქმნიდნენ პრობლემებს. 1918 წლის 1 მარტს გაზეთი „ერთობა“ იუწყებოდა, რომ ბორჩალოს მაზრაში (სამხრეთ საქართველო) მოსახლეობის მიერ დაიწყო მდიდარი ადამიანების მამულების დარბევა. მათ რიცხვში იყვნენ სუმბათოვის, მელიქოვებისა და არამიანცის სახლები.[24]

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ არამიანცი სერგის ქუჩიდანაც გამოაგდეს. მიქაელს საკუთარ სახლში მხოლოდ პატარა სარდაფი შერჩა, სადაც შვილებთან ერთად ცხოვრობდა.

ტფილისის საპატიო მოქალაქე, ვაჭართა უმაღლესი გილდიის წევრი მიქაელ არამიანცი, რომლის ქონებაც ოდესღაც მილიონებს შეადგენდა, 1922 წელს ტფილისში გარდაიცვალა. არამიანცი ხოჯევანქის სომხურ სასაფლაოზე დაკრძალეს. მოგვიანებით ლავრენტი ბერიას მმართველობის პერიოდში სასაფლაოს დანგრევის შემდეგ არამიანცის საფლავი დაიკარგა.

[24] გაზ. „მწყემსი“. №7. 1907, გვ. 10-12.

Emil Avdaliani
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

MIKAEL ARAMYANTS AND GEORGIA

Summary

The incorporation of Georgia into the Russian Empire in the beginning of the 19th century, quite surprisingly, played as a catalyzer for the development of entrepreneurial activity in late 19th-early 20th centuries Georgia. There were several important factors favoring this development in Georgia: stable internal as well as external political situation around the country; geographic proximity of the Ottoman and Persian Empires; Russian Empire's economic interests such as growth of trade in order to compete with major European states (France and Great Britan) for the marlets in these two Middle East countries. Thus, the proximity of Georgia to the Ottoman and Persian Empires was reflected in trade growth and other economic activities between the two coutnries on the one hand and the South Caucausus overall on the other. This development is well reflected in various biographies of Georgian or foreign entrepreneurs working in Georgia.

These economic and political developments led to Tbilisi being steadily transformed throughout the 19th century into an entrepreneurial center of the South Caucaus. A look at the map shows that the geographic location too favored the city as it is located right in the center of the entire Caucasus. Moreover, a relatively good condition of transportation roads around Tbilisi also helped the city gain a prominent position in the region. For instance, in Mikael Aramiants' biography we see how he eventually left Baku to manage his business empire from Tbilisi. Yet another reason for transforming Tbilisi into a hub of poitical and business activity was the Tsarist administration which chose the city as its capital in the Caucasus.

Meagre academic literature as well as newspapers were used to give a full biography of the entrepreneur Mikael Aramiants. His biography is notable as beyond the South Caucasus, his business was also spread in major European and Asian cities. Aramiants' life shows the economic and administrative centrality

of Tbilisi in the region. Indeed, after each success and failure in his business career Aramiants headed to Tbilisi where he eventually settled to manage his business empire. Moreover, research on his life provided here is far more important from a purely academic point of view as until now there have not been any notable works done on this issue neither in Georgian, nor in Russian.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIV
თბილისი. 2018

როლანდ თოფჩიშვილი
გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

თედო სახოკია – პირველი ქართველი პროფესიონალი ეთნოლოგი/ანთროპოლოგი

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს არაერთი ინტელექტუალი მოევლინა. ისინი საზოგადოებრივ და მეცნიერულ სფეროებში მოღვაწეობდნენ. თითქმის ყველას განათლება რუსეთსა და ევროპაში ჰქონდა მიღებული. ეს ინტელექტუალები ქვეყნისა და ხალხის მომავალზე ზრუნავდნენ. ბუნებრივია ისიც, რომ ამ პრობლემის გადასაწყვეტად მათთვის ერთ-ერთ მთავარ მიზანს მეცნიერების განვითარება წარმოადგენდა. განსაკუთრებული დაინტერესება იყო საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის მიმართ. არც ესაა გასაკვირი, რადგან საქართველოს მომავალი ქართველი ერის ცნობიერებზე გადიოდა. ასეთ დიდ მოღვაწეთა შორისაა თედო (თეოდოტი) სახოკია.

თედო სახოკია 1868 წლის 2 (14) მარტს სამეგრელოს სოფელ ხეთაში სასულიერო პირის – *ტიმოთე მღვდლის* ოჯახში დაიბადა. თუმცა სახოკიების გვარი ამ სოფლის მკვიდრი არ იყო. სახოკიები სენაკის ახლოს მდებარე სოფელ შხეფის მკვიდრნი იყვნენ. 1873 წლის საარქივო მონაცემებით, შხეფში 29 კომლი სახოკია მკვიდრობდა. სახოკიების შესახებ თედო სახოკია ავტობიოგრაფიაში წერს: „გადმოცემაა დარჩენილი, რომ ჩვენი წინაპარი რაჭველი გამყრელიძე ყოფილა. თავის სოფელში კაცი შემოკვდომია. სასჯელისა და მოკლულის ნათესავების მხრით შურის ძიებისათვის თავის დასაღწევად გამოქცეულა გორდში (ლეჩხუმში). აქ ცოლი შეურთავს და მისცემია ოთხი ვაჟი და ერთიც ქალი. ... შემდეგ ... გამოქცეულან სამეგრელოში. აქ ჯერ **მისულან მარტვილის ტაძართან და ნიშნად ყმობისა და მონობისა კისრით გამობმულან ტაძრის კარების ბოქლომზე.** ამის შემდეგ ესენი ითვლებოდნენ მარტვილის ტაძრის ყმებად. ... გვარებიც გამოუცვლიათ. ორ ძმას სახოკიები დაურქმევიათ თავის თავისათვის და შხეფში დარჩენილან, ხოლო ორ ძმას

გახოკია აურჩევიათ თავის გვარად".[1] გადმოცემა ეთნოლოგიური თვალსაზრისით ფრიად საგულისყუროა. მართლაც, აღნიშნული მიზეზით სხვაგან გადასახლება და გვარის შეცვლა იშვიათი არ იყო საქართველოში. საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი – სამეგრელოში მოსული სახოკიას წინაპარი მარტვილს სწირავს თავს, მარტვილის ყმა-გლეხი ხდება. ფეოდალიზმის დროს საქართველოს სხვა მხარეებში გადასახლებულებიც უმეტეს შემთხვევაში თავს ყმად ეკლესიას სწირავდნენ. შეწირვის რიტუალი – ელესიის კარზე ბოქლომით გამობმა – სამუდამოდ განამტკიცებდა და ხელშეუხლებელს ხდიდა მიგრირებულის გადაწყვეტილებას.

თედო სახოკია პირველი ქართველი პროფესიონალი ეთნოლოგი გახლდათ – განათლება საფრანგეთში ჰქონდა მიღებული. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თედო სახოკიას მეცნიერული ინტერესები უფრო ფართო იყო; მას აინტერესებდა ფოლკლორიც, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანიც, ანდაზებიც, და, რაც მთავარია, ის იყო მხატვრული ლიტერატურის საყოველთაოდ ცნობილი მთარგმნელი. სიცოცხლის ახალგაზრდული მონაკვეთი მეცნიერმა პოლიტიკასაც მიუძღვნა, რისთვისაც მეფის მთავრობამ ციმბირში გადაასახლა, თუმცა მან აქედან გაქცევა მოახერხა.

ეთნოლოგიის/ანთროპოლოგიის სპეციალობას თედო სახოკია საფრანგეთში დაეუფლა, ჯერ სორბონის უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ უმაღლეს ანთროპოლოგიურ სკოლაში. ის წერდა: **„ჩემი გული მიიწევდა კერძოდ ეთნოგრაფიისაკენ, რომელიც, დაბოლოს, ჩემს სალიტერატურო მუშაობაში, ჩემს სპეციალობად უნდა გამეხადა"**.[2] სტუდენტი თედო სახოკია პარიზში ლექციებს ისმენდა ისეთი მეცნიერებისაგან, როგორებიც იყვნენ: *შარლ ლეტურნო, ანდრე ლეფევრო, ლ. მანუვრიე, ლაბორდი...* პირველი ეთნოლოგიური ნაშრომიც მეცნიერმა 1903 წელს პარიზის ანთროპოლოგიური სამეცნიერო საზოგადოების სხდომას მოახსენა, რომელიც ხალხური მედიცინის პრობლემას ეძღვნებოდა – „ყვავილ-ბატონები საქართველოში". მოხსენებას დიდი ინტერესი გამოუწვევია. სხდომის მონაწილის პროფესორ *მიშელ ზაბოროვსკის* მოხსენება ასე შეუფასებია: „ბატონი სახოკიას სიტყვა დიდი ინტერესით მოვისმინეთ. ქართველებს ავადმყოფობანი წარმოდგენილი ჰქონიათ სულების სახით, ისევე როგორც ამას ადგილი ჰქონდა შუა საუკუნეების ევროპაში და დღემდე გადმონაშთის სახით შემორჩა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. ...ამისაგან განსხვავე-

[1] თ. სახოკია. ავტობიოგრაფია. კრებ.: „თედო სახოკია". თბ. 1969, გვ. 202.
[2] თ. სახოკია. ავტობიოგრაფია, გვ. 228.

ბით, როგორც ბატონმა სახოკიამ მოგვაწვნენა, ქართველებში გადამდებ სენთა სულები ადამიანთა სახით, ღვთაებადაც კი ჰყოლიათ წარმოდგენილი. ამის მაგალითი სხვა ხალხებში ჩვენ არ ვიცითო".[3] **მოხსენების მაღალი სამეცნიერო ღირებულების გამო თედო სახოკია პარიზის საანთროპოლოგიო საზოგადოების საზღვარგარეთელ წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.**[4] აღნიშნული ნაშრომი იყო პირველი, რომელიც ქართველთა ტრადიციების შესახებ უცხოეთში (ფრანგულ ენაზე) დაიბეჭდა. გარდა ფრანგული ენისა, ეთნოლოგიური ნარკვევები მას დაწერილი და დაბეჭდილი აქვს აგრეთვე რუსულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე.

თედო სახოკიამ საფრანგეთის გარდა, ახალგაზრდობის წლებში მოიარა ევროპის სხვა ქვეყნებიც: იტალია, შვეიცარია, ბელგია. ევროპის ქვეყნებში მოგზაურობისას ის ცდილობდა დაეფიქსირებინა ისეთი ტრადიციები, რომელიც ქართულ ტრადიციებთან ახლოს იდგა. ამ თვალსაზრისით ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მასზე იტალიას მოუხდენია: „ყველაზე მეტი შთაბეჭდილება ჩემზე იტალიამ დასტოვა თავისის ჩამორჩენილობით, რა თქმა უნდა, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, და, ამასთან, გასაოცარის მსგავსებით ჩვენს ქვეყანასთან როგორც ბუნებით, ისე ეკონომიურის ყოფითა და მკვიდრთა ზნე-ჩვეულებით".[5] იტალიაში თედო სახოკია არა მხოლოდ იტალიურს სწავლობდა, არამედ ისეთ დიდ ქართველ მოღვაწესაც ეხმარებოდა ნაწერების დასაბეჭდად მოზადებაში, როგორიც იყო *მიქელ თამარაშვილი.*

თედო სახოკია, როგორც ეთნოლოგი მეცნიერი, პირველ ყოვლისა, შესანიშნავი საველე მუშაკი გახლდათ. ამიტომაც ის დიდ ყურადღებას აქცევდა ეთნოგრაფიული მასალის ზუსტ ჩაწერას. გიორგი ჩიტაია წერდა: „თედო სახოკია თავის ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში მოვლენებსა და ფაქტებს აღწერს საკმარისი სისრულით, თითქმის ყოველმხრივ და ზუსტად. ის თავის დროისათვის მომზადებული, გამჭრიახი და გონებამახვილი მკვლევარი ეთნოგრაფია. თედო სახოკიას ეთნოგრაფიულ ნაწერებში უხვადაა მოცემული საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილის ამსახველი მასალა და ამავე დროს რიგი მეცნიერული ღირებულებების მქონე საკითხი მართებულადაა დასმული და სათანადოდ გადაწყვეტილი".[6] აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ მეცნიერი მხოლოდ ისტორიულ ეთნოგრაფიული ფაქტების დაფიქსირებას როდი ახდენ-

[3] გ. ჩიტაია. თედო სახოკიას სამეცნიერო მოღვაწეობა. კრებ.: „თედო სახოკია", გვ. 3.
[4] თ. სახოკია. ავტობიოგრაფია, გვ. 228.
[5] თ. სახოკია. ავტობიოგრაფია, გვ. 229.
[6] გ. ჩიტაია. თედო სახოკიას სამეცნიერო მოღვაწეობა, გვ. 9.

და, სადაც კი მოგზაურობდა, მხარისა და ამა თუ იმ სოფლის მის თანამედროვე მდგომარეობას ასახავდა, აფიქსირებდა ნოვაციებს. საამისოდ შეიძლება გავიხსენოთ გურიაში რუსული ოჯახების გაჩენა და აქ დასახლებულ რუსთა გაქართველების ფაქტებზე საუბარი, ქართულ ტრადიციებზე თანდათანობითი გადასვლა. ნოვაციის მეორე ფაქტად შეიძლება გურიაში ჩონგურის ნაცვლად გიტარის გავრცელება დავასახელოთ, რასაც ის არ მიესალმებოდა. ადრე მოპოვებულ მასალას ადარებდა შემდეგ შეგროვებულ მონაცემებთან. თედო სახოკიას მიერ მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მონაცემებს სხვა მხრივაც აქვს დიდი მნიშვნელობა, მან დაგვიტოვა ისეთი მოვლენებისა თუ ფაქტების აღწერილობა, რომელიც შემდეგ ახალი ცხოვრების შემოსვლის გამოისობით მალე გაქრა. ველზე მუშაობისას თედო სახოკია პარალელურად სხვა მნიშვნელოვან სამუშაოსაც ასრულებდა – ის აგროვებდა ეთნოგრაფიულ კოლექციებს. მის მიერ შეგროვებული ეთნოგრაფიული ექსპონატები დაცულია არა მხოლოდ საქართველოში (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში), არამედ უცხოეთშიც (პეტერბურგის ხალხთა ეთნოგრაფიულ მუზეუმში, პარიზის ადამიანის – საფრანგეთის ანთროპოლოგიური საზოგადოების – მუზეუმში) და სხვ. თედო სახოკიას შეგროვებული კოლექციები კი რამდენიმე ასეულით განისაზღვრება.

პირველმა ქართველმა პროფესიონალმა ეთნოლოგმა თავისი მოღვაწეობა ეთნოლოგიაში საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში მასალების მოპოვებით დაიწყო – ეს იყო დასავლეთ საქართველო: გურია, აჭარა, სამეგრელო-სამურზაყანო, აფხაზეთი, რაჭა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პირველი ასეთი დაკვირვება მან შიდა ქართლზე მოახდინა, რომლის ერთ-ერთ სოფელში 1889 წელს მასწავლებლობდა. მეცნიერი თავის ავტობიოგრაფიაში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქართული ენის დახვეწა სწორედ აქ მოახდინა, აქ ჩაყარა საფუძველი ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანის ლექსიკონზე მასალების შეგროვებას. საქართველოს სხვადასხვა მხარეში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები მოგზაურის ჩანაწერების სახითაა წარმოდგენილი, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის იმაში, რომ ასეთ მასალას ღრმა მეცნიერული ანალიზი გაუკეთოს. მოგზაურობის შთაბეჭდილებებს კი მაშინვე ქართველ ხალხს აცნობდა, იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდავდა.

დავიწყოთ გურიით. აქ ჩასული თედო სახოკია, პირველ რიგში, არა მხოლოდ გურიის, არამედ აქ მცხოვრები ხალხის სილამაზეზე საუბრობს: „მომელოდა ნახვა გურულებისა, რომელთაც სილამაზით, სიცქვიტით და სხვა სანაქებო თვისებებით თითქოს განსაკუთრებული და თან საპატიო ადგილი

უჭირავთ ქართველებში“.[7] გურიის ეთნოგრაფიულ ყოფას, მატერიალური კულტურის ძეგლებს თედო სახოკია ხშირად ადარებს სხვა მხარეებისას. მისი ყურადღება ამ მხრივ მიუქცევია გადასაზიდ სატრანსპორტო საშუალებას. შენიშნული აქვს, რომ „ურმები აქ პატარები იციან, თან თვლებიც ერთნაირია, სქელი ფიცრისაგან გაკეთებული“. გურიაში ურემში შებმული კამეჩი ვერსად ნახა, მხოლოდ ხარები ჰყავდათ შებმული. ამ ფაქტს კი იმით ხსნის, რომ „კამეჩი, როგორც დარბაისელი პირუტყვი, აჩქარებას ერიდება. გურულის ხასიათს უფრო ხარი შეეფერება, მის გემოზე ხარიღა ივლის“.[8]

თედო სახოკიამ გურიაში საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეთა შორის შიდა სამეურნეო-ეკონომიკური კავშირებიც გამოავლინა, კერძოდ, მეგრელი მწყემსების ჯოგების გურიაში გადმოყვანის ფაქტები, რომლებსაც არა მხოლოდ ზაფხულში, არამედ ზამთარშიც გურიაში ჰყავდათ საქონელი. მას მოყვანილი აქვს საინტერესო დიალოგი მეგრელ კვარაცხელიასთან, რომელიც სოფელ ჯვარიდან იყო: „– ამ სიშორეზე რად გადმოხვეწილხართ? – რად, ბატონო, და ჯოგი გვყავს გურიაში. ...ჩვენით უდგათ სული გურულებს: ჩვენ რომ არ მოვდიოდეთ სამეგრელოდან, მთელი გურია უყველოდ დარჩებოდა. ჩვენს მეტს აქ არავის ჰყავს საქონელი. მთებში ზაფხულობით სულ ჩვენი, მეგრელების, საქონელი ბალახობს“.[9] დადასტურებული აქვს აჭარელი ჯამ-ჭურჭლის დამამზადებლები, რომლებიც თედო სახოკიას გომის ტყეში უნახავს. აჭარლები ჯამ-ჭურჭელს ადგილობრივი მოსახლეობისათვის აკეთებდნენ. თედო სახოკია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „გურიაში საქონელი იმდენი ჰყავთ, რომ ოჯახში საჭიროებისათვის ეყოთ. ... არც საზაფხულო იალაღებზე ადიან. ასე და ამ გვარად, მწყემსობა აქაურს მთებზე მეგრელების მონოპოლიად გამხდარა“.[10]

გურიაში მოგზაურობისას თედო სახოკია ტოპონიმებითაც დაინტერესებულა. საინტერესოდ გვესახება ტოპონიმ „ოზურგეთის“ მისეული ახსნა. ტოპონიმში ის ო- ზანურ პრეფიქსს გამოჰყოფს, რაც ქართულ სა-ს შეესატყვისება. ასე რომ, „ოზურგეთის“ მისეული განმრტება საზურგეთია.

დაწვრილებით აღწერს გურიაში გავრცელებული სახლის ტიპებს: „სინესტის შიშით ქვიტკირის სახლებს აქ იშვიათად აშენებენ. უფროსერთი აქაური სახლი ფიცრისაა, კედლებს გარშემოკრული აქვთ სიმაღლეზედ თხელი

[7] თ. სახოკია. მოგზაურობანი: გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი. ბათუმი. 1985, გვ. 9.
[8] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 11.
[9] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 29-30.
[10] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 131.

ლამფები, ლურჯად შეღებილი, რაიცა თავისებურ ელფერს აძლევს აქაურ სახლებს. ... თითქმის ყველას ერთსართულიანი ოდები უდგათ, გადახურული კრამიტით ..., რომელსაც გურიაშივე, სოფ. აკეთში აკეთებენ. აქაური სახლის საძირკველი ადლნახევრის სიმაღლეზედ დგას, დედამიწიდან აშორებული".[11] ერთ სოფელში თუ ძირითადად კრამიტით გადახურული სახლები უნახავს, სხვაგან ყავრით გადახურული სახლები დაადასტურა და მხოლოდ იშვიათად ხვდებოდა ისლით გადახურული სახლი. საგულისყურო ფაქტია, რომ სოფელ გომის მკვიდრნი ადგილზე ხის სახლების გაკეთებითა და გაყიდვით იყვნენ დაკავებული: „გომელებს ამ ტყით უდგათ სული. მთელი ზამთარი შიგ მუშაობენ, ამზადებენ სახლის ასაშენებლად მასალას, მერე სოფელში ჩამოაქვთ, სახლს დგამენ და სხვა სოფლელებზედა ჰყიდიან. ნაყიდს სახლს შლიან, ურემზე უდებენ და 30 კილომეტრისა და მეტ მანძილზე მიაქვთ. სახლის დაშლა და ხელახლა მისი დადგმა შეიძლება კაცმა ოთხ-ხუთ დღეში მოასწროს".[12]

გურიაში მოგზაურობისას თედო სახოკიამ გვერდი ვერ აუარა სამზარეულოსაც, რომელიც ეზოში „მთავარი სახლიდან 15-20 მხარის მოშორებით" ჰქონდათ აგებული. ადგილობრივები დღე-ღამის ძირითად ნაწილს ამ სამზარეულოში (როგორც ადგილობრივები უწოდებდნენ – „სამზადში") ატარებდნენ. მთავარ სახლში, ან ოდაში, მარტო დასაძინებლად და სტუმრის მისაღებად შედიოდნენ. საჯდომად გურულები „ჯორკოს" – ტლანქად გათლილ ჯირკვებს ხმარობდნენ. როგორც ვნახეთ, გურიაში ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გამო ხის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები იყო გავრცელებული. იგივე შეიძლება ითქვას სასულიერო ნაგებობებზე – ეკლესიებზე; გურიაში თედო სახოკიას ძირითადად ხის ეკლესიები აქვს დადასტურებული.

თედო სახოკია ვრცლად ჩერდება ღომის კულტურაზე, რომელიც გურულებს, სიმინდის გავრცელების მიუხედავად, კვლავ მნიშვნელოვანი რაოდენობით მოჰყავდათ. დაწვრილებით საუბრობს მისი თესვის, მოსავლის აღების, გაცეხვის შესახებ, რაც საკმაოდ შრომატევადი იყო, ახასიათებს წყლის ჩამურს, საცეხველს, ანუ „ფეხის ჩამურს". გურიაში ექვსი ჯიშის ღომი ყოფილა გავრცელებული, – *„თეთრი", „ბარამულა", „ძირდაბალი", „შვიდკვირა", „ხუჭილა", „ჯორიელა"*, რომელთაგან ყველაზე უკეთესი პირველი ყოფილა, რომელიც, თურმე „სიმწიფეს ითმენდა", დამწიფებიდან ერთი კვირის შემდეგაც შეიძლებოდა მოკრეფილიყო.

[11] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 26.
[12] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 56.

გურულთა მეურნეობის ერთ-ერთი ძირიადი დარგი მეფუტკრეობაც ყოფილა. ერთ-ერთი სოფელი (გომი), „სანთლის არაყითაც“ ყოფილა სახელგანთქმული. სანთლის არაყს კი ძირითადად მთის კალთებზე მდებარე სოფლებში (*ერკეთი, სურები, ჭანიეთი, აჭი...*) ხდიდნენ. ბევრს ხდიდნენ ჭაჭის არაყსაც. XIX საუკუნის ბოლოს „ადესის“ გავრცელების მიუხედავად, ჯერ კიდევ ფართოდ ყოფილა გავრცელებული ადგილობრივი ვაზის ჯიშები, კერძოდ კი, „ჩხავერი“: ლიხაურსა და სხვა სოფლებში თედო სახოკიას ჩხავერით გამასპინძლებიან: „ქაიხოსრო თაყაიშვილის შვილმა ნიკიფორემ სახლში შეგვიპატიჟა და ნამდვილ, უზადო „ჩხავერის“ ღვინის გემო გვაჩვენა. აქაური „ჩხავერი“ იმნაირადვეა ნაქები, როგორც შემოქმედისა. ჩხავერის ვაზი აქ კიდევ იმდენი დარჩენილა და ღვინო იმისი იმდენი დგება, რომ სტუმარს ასე თუ ისე უმასპინძლდებიან იმით. „ჩხავერის“ გვერდით „ადესას“ დაუჭერია ალაგი. მაგრამ აქაურ „ადესასაც“ ძალა მოჰმატებია, ეტყობა, კარგ ნიადაგს საუკეთესოდ გადაუგვარებია“.[13] თედო სახოკიას არც ის გამორჩენია მხედველობის არედან, რომ ვაზი გურიაში ძირითადად ღობეებზე მდგომ თხმელის ხეებზე იყო აშვებული. „ხეები ვაზებით არის დაბანდული. ზოგ ხეზე ლობიოც კი გასულა და მისი წითელი ყვავილი ლამაზად არის შეხამებული ხის მწვანე ფოთლებთან. ლობიოს მოკრეფა რომ მოუნდეს პატრონს, — 7-8 მხარის სიმაღლეზე უნდა ავიდეს ხეზე“.[14] მეცნიერს არც სხვა ჯიშის ყურძნისაგან დაყენებული ღვინო გამორჩენია ყურადღების არედან, კონკრეტულად ის „მტევან-დიდის“ წვენს ასახელებს. გეოგრაფიული ფაქტორებიდან გამომდინარე თედო სახოკიას დაფიქსირებული აქვს ფაქტი, რომ სოფელ ბახვში ვენახები სოფლიდან 10 და 15 კილომეტრის დაშორებით ჰქონდათ.

როდესაც გურიაზე წერდა თედო სახოკია, ბუნებრივია, „აგუნასაც“ ვერ აუვლიდა გვერდს. აგუნას „მიწის ნაყოფისა და ჭირნახულის კერპთაყვანისმცემლობის დროის ღმერთმფარველს“ უწოდებდა. „ახალი წლის ანუ კალანდის წინა ღამეს მამა სახლისა გაუძღვება დანარჩენ წევრთ ოჯახისას და მიუძღვება მარანში. ხელში ყველას ანთებული თაფლის სანთელი უჭირავთ; თან მიაქვთ ხაჭაპური, ღვინო და ღორის თავი. ოჯახის უფროსს, გარდა ამისა, ხელში თოხი ან ცული უჭირავს. მივა გადმოპირქვავებულ საწნახელთან და ურტყამს ცულს ან თოხის ყუით, თანაც შემდეგ ლექსს ამბობს: **აგუნა, აგუნა, გამეიარე, // ბახვი, ასკანა გადმეიარე, // ჩვენს მაშულში ყურძენიო, //**

[13] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 80-81.
[14] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 55.

მტრის მამულში ფურცელიო. // ჩვენს მამულში გოდრითაო, // მტრის მამულში გიდლითაო“.[15]

სტუმართმოყვარეობის ტრადიციებიც არ დარჩა თედო სახოკიას ყურადღების მიღმა. ერთ-ერთ სოფელში უცნობი გადაუდგა და მგზავრები სახლში მიიწვია. მეცნიერს სიტყვა-სიტყვით აქვს მოყვანილი მასპინძლის სიტყვები: „– რაკი აქედან მობრძანდით და ჩემს ქოხის პირდაპირ გაიარეთ, თუ შეიძლება, იმდენი პატივი მეცით, ჩემს ღარიბ ქოხში შემობრძანდით. მართალია, თქვენ საკადრის პატივს ვერ გცემთ, მარა მაინც ნუ გამიწყრებით... ხომ მოგეხსენებათ ღარიბი კაცის საქმე... **თქვენი ხელის ნარეცხი დასტუეთ ჩემს სახლში**“.[16] ირკვევა, რომ გურულები საპატიო სტუმარს სახლში სწორედ ბოლოს მოყვანილი სიტყვებით („**თქვენი ხელის ნარეცხი დასტუეთ ჩემს სახლში**“) იწვევდნენ.

თედო სახოკიას გურიაში მოგზაურობისას არც წინარექრისტიანული რწმენა-წარმოდგენები გამორჩენია. ერთ-ერთი სოფლის სახლიდან გასვლისას მისი ყურადღება მიიქცია „პაპა-ჯვარმა“: „სახლიდან გამოსულნი ლატანს წავაწყდით, 6-7 მხარის სიგრძის, ეზოს შუაალაგას დარჭობილს. რა თქმა უნდა, თავისი საფუძველი აქვს ამ ლატანს, თავისი დანიშნულება. წვერში ჯვარი აქვს გაკეთებული და ზედ გადაუკიდიათ ეკლის გვირგვინი: ქრისტიანობა და პირველყოფილი ანიმიზმი ერთმანეთში არეულა. ეს გახლავთ „პაპა-ჯვარი“, ანუ იარაღი, მფარველი იმ ოჯახისა, სადაც იგი დასმულია. გურულს გამოცხადებული მტრის არ ეშინია იმდენად, როგორც უჩინარისა, დაფარულისა, მისი ფრთაშესხმული ფანტაზიის მიერ წარმოშობილისა. ჯერ კიდევ გულუბრყვილოთ სწამს, რომ ჩვენი ცოდვილი ქვეყანა სავსეა ათასგვარ მზაკვარ-მაცდურებითა, რომელნიც ადამიანს, მოსისხლე მტრებივითა ჰყავთ გადაკიდებული, ყოველსავე სიავეს უშვრებიან. გურულის წარმოდგენით, კუდიანებს წელიწადში ერთ დღესა აქვთ ბენეფისი, – დღესასწაული, ეს არის „დადეგის“, ანუ პირველ ენკენისთვის წინა ღამეს. მაშინ გურული, ოჯახის სახლის უფროსი უეჭველად აკეთებს ზემოაღწერილ „პაპა-ჯვარს“ და ეზოში გამოჩინებულ ალაგას მიწაში ჩაარჭობს. ამასთანავე „პაპა-ჯვარით“ შეიარაღებს ყანებს. „მღალავი“, ავი განზრახვით შემოსული, თავის ბოროტ თვალებს ამ ოჯახის მცველს „პაპა-ჯვარს“ ვერ ააშორებს. შეხედავს თუ არა, თითქო რამემ შეულოცაო, ყოველი მისი გრძნეულობა დუნდება, უძლური ხდება.

[15] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 115.
[16] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 62.

წყევლით ბრუნდება უკან ხელცარიელი, დამარცხებული მღალავი". **„გარდა „პაპა-ჯვარისა" გურიაში სხვა საშუალებასა ხმარობენ „მღალავის" საწინააღმდეგოდ, სახლს, სამზარეულოს, ხულას, სასიმინდეს, ბოსელ-საქათმეს, მარნის კარებს თაფლის სანთლის პაწია გუნდებს აკრავენ; შემდეგ დიასახლისი ოჯახის ყველა წევრს სათითაოდ ჯვარედინად მიაკრავს თავზე იმავე სანთლის გუნდებს:** ერთს შუბლზე და ორს იქით-აქეთ საფეთქლებზე, აგრეთვე თმაზედ. ამ სახით „შებეჭდილი" უნდა იყოს შინაური ოთხფეხი საქონელიცა. სანთლის ცვა-ფარვა სჭირდებათ უსულო ნივთებსაც: სატევარს, თოფს, სახლის ავეჯს, ჯამ-ჭურჭელს, ტანისამოსს, მიმინოს, ჩიტბადეს. დასასრულ, იმ ღამეს, რომელსაც „შეცცა ღამე" ჰქვიან, მზის ჩასვლისთანავე მთელ სოფელში თოფებს ისვრიან და თან ხმამაღლა ჰყვირიან: „ჰაუჰო! შენი სვი და შენი ჭამე, ჩემსა ჯვარი დამიწერე"... თუ მოახერხებენ, არც იძინებენ იმ ღამეს".[17]

თედო სახოკიას გურულთა სამოსიც არ დარჩა დაკვირვების გარეშე. განსაკუთრებით აღნიშნავს ქალის სამოსის თავისებურებას, კერძოდ, თავსაბურავისას: „ზოგს მარლის ნაჭერი წითლად შეუღებავს და რკინის ჩხირით ქოჩორზე მსუბუქად დაუკრავს, ასე გეგონებათ, წითელი ნისლის ნაჭერი აკრავს თავზესაო. ... ყველაზე მეტად უხდებათ აბრეშუმის ყაბალახები, თავზე ვაჟურად შემოხვეული. ქალი მაუდის ყაბალახსაც ატარებს, მაგრამ ტარებაც არის და ტარებაცა! აქაურ ქალს ყაბალახის ტარებაშიც თავისებური, სხვათაგან განსხვავებული გემო და შნო ეტყობა. ცალი წვერი წმინდა მაუდის ყაბალახისა მრგვალად აქვს მოხვეული და 2/3 ყაბალახისა წელზე ჩამოუშვია თმასავით".[18]

ვრცლად ჩერდება თედო სახოკია ზოგიერთი გვარის შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თავდგირიძეების გვარს, რომლებიც თათქირიძეებიდან მომდინარეობდენ, სამცხიდან წარმომავლობენ და ცხოვრობდნენ აჭარასა და გურიაში.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში გურიის სოფელი ისეთივე პრობლემის წინაშე იდგა, როგორც დღეს. საუბარია განათლებული ადამიანების მიერ სოფლების მიტოვებაზე. თედო სახოკია კითხვას სვამდა: „რა იქნენ უმაღლესი სწავლით აღჭურვილნი შვილნი გურიისა? ემსახურებიან თუ არა გურიას, თვით გურიაშივე? სამწუხაროდ, ამაზედაც უარყოფითი პასუხი უნდა მოგახსენოთ. იქნება, ჩვენი ცხოვრების უკულმართი პირობები იყოს ამის მიზეზი? რა მოგახსენოთ. საქმე ის გახლავთ, რომ აქაურობა-

[17] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 63-64.
[18] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 77.

ას გასცლიან სწორედ ისინი, ვისაც ყველაზე მეტის სარგებლობის მოტანა შეუძლიათ თავისი სოფლისათვის, ვისაც სამშობლო სოფელი ყველაზე მეტს მოსთხოვს. ყველანი დიდ ქალაქებს, თბილს ადგილებს ეტანებიან. სოფელი ათასში ერთხელ თუ მოაგონდებათ...“.[19] პირველი ქართველი პროფესიონალი ეთნოლოგის ეს სიტყვები თანამედროვეობასაც ეხმიანება. თუმცა მაშინდელი და დღევანდელი სოფლის მდგომარეობა ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაშინ სოფლიდან თუ მხოლოდ განათლებული ადამიანები მიდიოდნენ და სოფლის სასიკეთოდ არაფერს აკეთებდნენ, სოფელი მწარმოებელი გლეხისაგან არ დაცლილა. დღეს კი ქართული სოფელი, მათ შორის, გურიაში მძიმე მდგომარეობაშია, ის მოსახლეობისაგან დაცლილია.

თედო სახოკიას წიგნს „მოგზაურობანი“ თუ თვალს გადავავლებთ, მაშინვე შევამჩნევთ, რომ საქართველოს ოთხი მხარის ეთნოგრაფიისადმი მიძღვნილ ამ წიგნში ყველაზე დიდი მონაკვეთი აჭარისადმია მიძღვნილი. მართალია, თედო სახოკიამდე აჭარაში *დიმიტრი ბაქრაძე* და *გიორგი ყაზბეგიც* იმყოფებოდნენ, მაგრამ არცერთი მათგანის ინტერესს ეთნოგრაფია – ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მცხოვრებთა ტრადიციები და წეს-ჩვეულებები – არ წარმოადგენდა. პარიზში განსწავლული მეცნიერი პირველი იყო, რომელიც ახლად შემოერთებული და გამუსლიმებული აჭარის ყოფითა და კულტურით დაინტერესდა. უნდა ვთქვათ, რომ ის აქ მხოლოდ ეთნოგრაფიული ფაქტების აღრიცხვით არ კმაყოფილდებოდა; მას ასევე აინტერესებდა ისტორია, ტოპონიმები, მხარის თანამედროვე მდგომარეობა. აჭარაში თედო სახოკიამ ერთი თვე დაჰყო და ფრიად მნიშვნელოვანი მონაცემებიც დაგვიტოვა: „მისი მოგზაურობის ერთთვიანი შთაბეჭდილებები იმდენად ზუსტად და შთამაგონებლადაა აღწერილი, რომ იფიქრებ, ავტორი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამ კუთხეში ცხოვრობდა და ხალხში ტრიალებდა“.[20]

აჭარაში თედო სახოკია გურიის ახლადდაარსებულ კურორტ ბახმაროდან გადავიდა. პირველი შეხვედრა აჭარლებთან ბახმაროსთან ახლოს მდებარე სოფელ ღორჯომის იაილაზე ზოტიყელში მოუხდა. იაილას მეცნიერი, სრულიად სამართლიანად, „საზაფხულო სოფელს“ უწოდებს. საზაფხულო სოფლიდან მისი ყურადღება „სოფლის სასტუმრომ“ მიიქცია, რომელიც განმარტოებით იდგა, „ხის დაბალი, მხარნახევრის სიმაღლე, ჯარგვალი, ორთვლიანი“. ცნობილია, რომ სოფლის სასტუმრო სახლები აჭარისათვის ტრა-

[19] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 102.

[20] რ. სურმანიძე. ნაცნობი და უცნობი თედო სახოკია. ბათუმი. 2004, გვ. 58.

დიციული იყო: „ვინც აივლის და ჩაივლის, ყველა მგზავრს აქვს სრული ნება შიგ გაჩერდეს, ღამე გაათიოს და მერე გზა განაგრძოს და ღამის გასათევი სასყიდელი კი არავის მისცეს, და არცა ვინა სთხოვს".[21]

ზოტიყელში მისული თედო სახოკიას ყურადღება, პირველ რიგში, აჭარელთა სამოსმა მიიქცია, რომელიც შედგებოდა *შალის მოკლე ჩაქურისაგან, დოშლულისაგან, ნაოჭებიანი, ტოტებივიწრო ძიგვისაგან, შალისავე სქელი ჭრელი წინდებისა და ქალამნებისაგან.* აჭარელს წელზე *ბრტყელი ქამარი* ჰქონდა შემორტყმული, თავზე კი *ყაბალახი* ან *ფესი* ეხურა.

თედო სახოკიას ყურადღება აჭარელთა მეტყველებასაც მიუქცევია; ის აღნიშნავს, რომ „აჭარელნი ძლიერ მმოსავნი გამხდარან მაჰმადისა, მაგრამ ქართული ენა მაინც შერჩენიათ. ერთმანეთში სულ ქართულად ლაპარაკობენ. მაგრამ ყური უნდა შეაჩვიოთ. პირველ ხანში გიძნელდებათ მათი ნათქვამის გაგება. დიდი განსხვავებაა გურულ სხაპასხუპით ლაპარაკსა და აქაურების დინჯ ლაპარაკს შორის. ამ მხრივ აქაური ქართლელს უფრო მოგაგონებთ, ვიდრე დასავლეთ საქართველოს მკვირცხლ მკვიდრსა. თვითონ ნელი მიმოხვრა, აუჩქარებლობა მათს ლაპარაკს შეეხამება".[22] სხვაგან ის კვლავ უბრუნდება ქართული ენის მდგომარეობას. ამ საკითხის შესახებ ასკვნის: „ქართული ენა, მიუხედავად საშინელი ბრძოლისა, რომელიც სარწმუნოების გავლენით მაჰმადიანობამ გამართა მასთან, თითქმის ხელშეუხებლად და პირვანდელი სიწმინდით დაცულია შიდა აჭარაში და განსაკუთრებით იმ ადგილებში, რომელიც ზედ აკრავს გურიას. მაგალითად, სოფ. ჭვანის ქართული განთქმულია და შიგ მრავალ საუნჯესა ეპოულობთ ჩვენი ძველი ენისა". „ოჯახში ყველა ქართულად ლაპარაკობს. მეტადრე ქალები არიან წმინდად დამცველნი ჩვენი ენისა".[23]

თედო სახოკია აჭარელთა მატერიალური კულტურის თითქმის ყველა ელემენტს შეეხო, პირველ რიგში კი, საცხოვრებელ ნაგებობებს: „ყველა ოჯახს თავისი კონაღი (სახლი) აქვს, ორსართულიანი, მრგვალის ძელებისაგან აგებული". ჩვეულებრივ, ისევე როგორც ჭოროხის აუზის სხვა ქართულ მხარეებში, ზედა სართულში ჯალაბი ცხოვრობდა, ქვედაში კი საქონელი ჰყავდათ.

დასავლეთ საქართველოსაგან, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, აჭარა იმითაც განსხვავდებოდა, რომ აქ ცხიმად არა მცენარეულ ზეთს, არამედ კარაქს გამოიყენებდნენ და დიდი რაოდენობითაც ამზადებდნენ. საყურადღებოა,

[21] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 146.
[22] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 149.
[23] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 235.

რომ იმ დროს აჭარაში მაწონს იშვიათად აკეთებდნენ და თუ აკეთებდნენ – ცხვრის რძისაგან.

თედო სახოკიას აჭარაში ყველაფერი აინტერესებდა, მათ შორის, სახელებიცა და გვარებიც: „აქაურ მცხოვრებ ქართველებს, როგორც მაჰმადიანებს, სახელები ყველას ოსმალური ჰქვია. ზოგს გვარებიც გამოუცვლიათ ოსმალურ გემოვნებაზე, მაგრამ რომ ჰკითხოთ, ყველამ იცის ქართულად რა გვარი ჰქონიათ“. მოხმობილი აქვს ის ქართული გვარები, რომლებსაც თ. სახოკია ადგილზე ადასტურებდა. მემკვიდრეობითი სახელების აჭარაში ძალიან დიდი ხნის ტრადიციას სოფლის სახელებიც ადასტურებს, რომლებსაც მეცნიერი ჩამოგვითვლის: *გოგაძე, დარჩიძე, იაკობიძე, კეიწინიძე, ლაკლაკიძე, მაჩალაკიძე, ნანოშვილები, პაქსაძე, პაპაშვილები, ღორგომელაძე, ცინტარიძე, წინარიძე, ხაბელაშვილები, ჯაბნიძე* და სხვ. საყურადღებოა, რომ აჭარაში მას აქვს დადასტურებული გვარი დვალიძე, პარხალიშვილი, ფოცხოველი. ცალკე მიუქცევია ყურადღება თავადაზნაურული გვარებისათვის: *თავდგირიძე, ბეჟანიძე, შარვაშიძე, ხიმშიაშვილი...*

თედო სახოკია ვრცლად საუბრობს აჭარელთა იმ სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირებზე, რომელიც სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მკვიდრებთან ჰქონდათ. მხოლოდ რამდენიმე ფაქტს მოვიხმობთ: **„ჩრდილას“ გზა ერთ საუკეთესო გზად ითვლება აჭარაში. ამ გზით ზაფხულში შეუწყვეტელი მისვლა-მოსვლა აქვთ აჭარლებს გურიაში.** აქედან, განსაკუთრებით, სიმინდის სასყიდლად გადიან, იმიტომ რომ აჭარელს ჭირნახული იშვიათად გაჰყვება მარტამდე ან აპრილამდე. ზოგს იანვარშიც შემოელევა სიმინდი. მერე სულ ნაყიდითა ცხოვრობენ აქაურები“; „ახლოს აქვთ მშვენიერი საზაფხულო საძოვრები და საქონლის მოშენებას მისდევენ. აკეთებენ ერბოს, ყველს, რომელსაც გურიაში, ან კიდევ ბათუმში ასაღებენ“; „აქ იშვიათია თავისი მოსავალი ვისმე წლის თავამდე გაჰყვეს. **იძულებულნი არიან მეზობელ გურიაში გადავიდნენ ხოლმე, თუ ერბო აქვთ, თან გადაიტანონ და სიმინდში გაცვალონ ან, თუ ფული აქვთ იყიდონ და აჭარაში ჩამოიტანონ. ... მაისიდან მოყოლებული მთელი ზაფხულის განმავლობაში ქარავანი ქარავანს მისდევს გურიაში გადასასვლელად. მომეტებულად მიდიან ზოტიყელის გზით ბახმაროზე. იქიდან ბახმაროს გზით გურიის პირველ სოფელ ვაკისჯვარზე ჩამოდიან“**; „გურიაში გადასვლა სიმინდის საყიდლად ზემო-აჭარელთ ემარჯვებათ. ქვემო-აჭარელნი ბათუმსა და კახაბერში მიდიან ამისათვის“; „აქაურ ხილს, განსაკუთრებით მსხალს, რომელიც მეტად ნაქებია, ეზიდებიან ცხენით, მომეტებულად ბათუმში და მსხალს ფუთს 30-80 კაპიკადა ჰყიდიან, ხოლო

ვაშლს – 40 კ. – 1 მანეთად. აქვე, **ალაგობრივ მოდიან არტაანელები, მოაქვთ თან მარილი, საქალამნე გაუკეთებელი ტყავები და ხილზე ცვლიან". „ზემო-აჭარის ზოგიერთ სოფელში, მაგალითად, ბაკოში, ხის ჯამ-ჭურჭელს აკეთებენ და არტაანში გააქვთ"; „დაზამთრდება თუ არა, აჭარელი ცოლ-შვილს თავს ანებებს და მიდის ან ბათუმისაკენ ან გურიაში სამუშაოს საძებნელად. აქ ზოგი ხუროობს, ზოგი მიწასა თხრის, უმრავლესობა შავს სამუშაოს ასრულებს. ცოტაოდენ ფულს თავს რომ მოუყრის, აჭარელი ყიდულობს სიმინდსა და გამოუდგება უკან გზასა,** რომ ცოლ-შვილს საჭმელი მიაწოდოს. ამნაირად, სამუშაოდ წამსვლელთათვის 1894 წ. მარტო ზემო-აჭარაში ხულოს ნაწილის სამმართველოდან 480 მოკლევადიანი ბილეთი მიუციათ. ქვემო-აჭარიდანაც, თუ არა მეტი, ამდენივე მაინც ბილეთი იქნებოდა გაცემული"; **„ათასში ერთხელ არტაანიდან და ფოცხოვიდან თუ გადმოვლენ გლეხები აქაურ ხე-ტყის სასყიდლად. ... ძალიან კარგი ხარები უნდა, რომ ერთი ურმით 5 მხარის სიგრძე და 6-7 გოჯის სისხო ხე წაიღონ. ... წელიწადში ასიოდ ურემი თუ გაიყიდა, დიდ ღვთისწყალობად ითვლება".**[24] მოყვანილი მონაცემები ნათლად მიუთითებს, თუ რა მჭიდრო კავშირი ჰქონდა აჭარას სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველოს სხვა მხარეებთან, განსაკუთრებით კი გურიასა და არტაანთან. გამუსლიმების შემდეგ აჭარელთა მიერ ქართული ენის შემონახულებას, სხვა ფაქტორებთან ერთად, სწორედ გურიასთან არსებული ურთიერთობაც განაპირობებდა.

თედო სახოკიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მუჰაჯირთა საკითხსაც. მიუთითებს ქართველ გადასახლებულთა ახალი განსახლების არეალებს ოსმალეთის იმპერიაში. ის ამ მხარეში მცხოვრებთა რაოდენობის შემცირებას სწორედ ამ მიზეზით ხსნის. აჭარის მოსახლეობის შესახებ გვთავაზობს იმდროინდელ სტატისტიკურ მონაცემებს. ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები აჭარაში მეურნეობის ფართოდ განვითარების საშუალებას არ იძლეოდა. მიხედავად ამისა, აჭარელი გლეხი, პირველ ყოვლისა, მაინც მიწას ეჭიდებოდა, მოსავალი მოჰყავდა („მიუხედავად ასეთი უკულმართი პირობებისა, იქაური გლეხი მაინც ხვნა-თესვას მისედვს, სახნავ-სათესი ისეთ ციცაბო კლდეებზეა, რომ სახნისის ატანა ჭირს და ხან შეუძლებელიცაა. ასე რომ, თესვის დროს კი არ ხნავენ, არამედ თოხნიან და ისე აბარებენ თესლს!"). აქაური გლეხი მიწას მაინც თავს არ ანებებდა, პატივი შეჰქონდა მასში. მითითებულია, რომ თითოეულ კომლს „სახნავ-სათესად უვარგისი მიწა დღიურ-ნახევარი თუ-ღა

[24] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 165, 173, 216, 221, 226, 228, 291.

გააჩნია“. ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, აჭარაშიც მიწაზე პატივის შეტანასთან ერთად მიწის დასვენება და თესლმონაცვლეობაც სცოდნიათ („თუ ერთ წელიწადს სიმინდს დათესავენ, მეორე წელიწადს ზედ პური უნდა დათესონ“). მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას მაინც და მაინც ვერც მესაქონლეობა შველოდა, რადგან ისევ გეოგრაფიული ფაქტორებიდან გამომდინარე, „საძოვრები შიგ სოფლებში აღარც-კი არის“; „საქონლის მოშენებას ისეთ საზოგადოებაში მისდევენ, სადაც მთის იალაღები ახლოს აკრავთ“. ასე რომ, თედო სახოკიას მიერ მოცემული ეთნოგრაფიული მასალა პირდაპირ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აჭარლებს არ ჰყოფნიდათ ის მოსავალი და მესაქონლეობის პროდუქტები, რასაც მთელი წლის განმავლობაში იღებდნენ. გეოგრაფიულ გარემოს თედო სახოკიას დროინდელი აჭარის მოსახლეობის გამოკვება ფაქტობრივად არ შეეძლო. მუჰაჯირობის წინ კი მხარე გადამეტსახლებული იყო. ამიტომაც უფრო გვიმტკიცდება ადრე გამოთქმული მოსაზრება, რომ მუჰაჯირობის ერთ-ერთი „ფარული“ მიზეზი გეოგრაფიული ფაქტორი, მხარის გადამეტსახლება იყო, რადგან როგორც მიწათმოქმედება, ისე მესაქონლეობა ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

თედო სახოკია იმ ფაქტსაც ყურადღებას აქცევს, რომ აჭარაში მეხილეობა და მევენახეობაც იყო განვითარებული, თუმცა ეს უკანასკნელი უკვე დაკნინებული გახლდათ, რადგან ისლამი მეღვინეობას კრძალავდა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოჰყავდათ მსხალი, ვაშლი და ქლიავი: „აჭარის შესახებ სამართლიანად ითქმის – მთლიანი ბაღიაო, ხილი და განსაკუთრებით მსხალი ყველგანაა. ისევე როგორც სხვაგან, აჭარელებიც საზამთროდ ჩირს აკეთებდნენ. მეცნიერი ჩამოგვითვლის ხილის ჯიშებს, შესაბამისად, დასახელებული აქვს მსხლის ორმოცამდე ჯიში, ვაშლისა – თოთხმეტი, ქლიავისა – ოთხი. **სცოდნიათ ხეჭეჭურას ჯიშის მსხლის საზამთროდ ჭურში შენახვა** (ხალხის თქმით, ამ საზამთრო ჯიშის სახელწოდება სწორედ ჭურთანაა დაკავშირებული). აჭარაში, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში, მევენახეობა მაღლარი ყოფილა. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოში მაღლარ მევენახეობას სინესტე განაპირობებდა. მიგვაჩნია, რომ აჭარაში ამის ერთ-ერთი მიზეზი მიწის დეფიციტიც უნდა ყოფილიყო. თედო სახოკია ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ, მართალია, აჭარლებმა გამუსლიმების შემდეგ ღვინის დაყენებაზე და მის დალევაზე უარი თქვეს, მაგრამ ყურძნის წვენს მაინც ვერ შეელივნენ, რადგან ისინი მის ტკბილ წვენს („ხარდალს“) სვამდნენ. არც ჩურჩხელის გაკეთების ტრადიციაზე უთქვამთ აჭარელებს უარი. ვაზზე და ღვინოზე საუბ-

არი თედო სახოკიას ნაშრომიდან ერთი საყურადღებო ამონარიდით უნდა დავამთავროთ: „რომ ქვემო-აჭარაში ღვინის ხმარება ზემო-აჭარაზე გვიან გადავარდა, ამას შემდეგი, ხალხში დარჩენილი, მოთხრობაც მოწმობს. სოფ. ფურტიოში (ზემო-აჭარაშია, ხულოს ახლოს) ერთ დედაკაცს *ცენტერაულს* თურმე ძმა ეწვია სოფ. ჭვანადან, ვახშამზე ღვინო მოითხოვა: „ჩემო დაო, ღვინო არ გექნებაო? ქალმა ტირილი დაიწყო თურმე: „ჩემმა შვილებმა ღმერთი დაივიწყეს, ჭერი დამიმტვრიეს, ღვინოს არ ემსახურებიან“.[25] მოყვანილ ტექსტში ერთი საინტერესო ფაქტი აქვს მეცნიერს დადასტურებული – ფურტიოელი ქალის სახელად ის *ცენტერაულს* ასახელებს. ცენტერაული, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში პიროვნული სახელი არაა. ცნობილია, რომ ერთ დროს ქალის გვარებს დასავლეთ საქართველოში -ფხე (-ხე) სუფიქსი აწარმოებდა, აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ ადგილას და ზემო იმერეთში კი – -ურ (-ულ) სუფიქსი. ეს -ულ სუფიქსი XIX საუკუნის ბოლოსათვის აჭარასაც ჰქონია შემონახული. აღნიშნულ შემთხვევაში ***ცენტერაული ცენტერაძის გვარის გამოთქმის ფორმაა. ცენტერაძის გვარის ქალს გათხოვების შემდეგ ქალიშვილობის გვარით სწორედ -ურ სუფიქსით მოიხსენიებდნენ.*** ამ თვალსაზრისითაც აჭარა პარალელს უფრო აღმოსავლეთ საქართველოსთან ჰპოვებს.

თედო სახოკია ფართოდ ჩერდება მეფუტკრეობაზეც: „ფუტკარი, საცა კი ჰყავთ, იმ ნაირსავე სკებში არიან მოქცეული, როგორც გურია-სამეგრელოში: ორი არშინის სიგრძე მრგვალი ძელი შუაშია გაპობილი, ორსავე ნაწილს გული ამოღრუტნული აქვს, იქით-აქეთ ბოლოები ერთ ხელის დადებაზე მთელია და ერთმანეთზე ადევს. ქვეშიდან დასაჭერად თავსა და ბოლოში კაპიანი სარები ურჭვიათ, ერთი ადლის სიმაღლისა. სახლის გარდა, ასეთი სკები ტყეშიაც შეგხვდებათ ხეებზე გატანილები და ტოტებზე ჩამოკიდებულები, რომ დათვი ველარ მისწვდეს“.[26] აჭარაში მეფუტკრეობა განსაკუთრებით ორ სოფელში – ფუშრუკაულსა და ინწკირევეთში – ყოფილა განვითარებული.

თედო სახოკიას არც სოციალური პრობლემები დარჩენია ყურადღების მიღმა – ის ფართოდ შეეხო ოჯახისა და ცოლქმრული ურთიერთობის ტრადიციებს. ამ მხრივ აჭარაში ფაქტობრივად ისეთივე წეს-ჩვეულებები არსებობდა, როგორც დანარჩენ საქართველოში – გაბატონებული იყო სახლის უფროსის ავტორიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის მოსახლეობა ისლამის მიმდევარი იყო და რელიგია მამაკაცს ნებას აძლევდა, ერთზე მეტი ცოლი ჰყოლოდა, ეთნოლოგმა ასეთი ფაქტები ვერ დაადასტურა. ერთცოლიანობ-

[25] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 223-224.
[26] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 225-226.

ის ტრადიციის შენარჩუნების თედო სახოკიასეული ახსნა ასეთია: „მიზეზი ერთცოლიანობისა – წმინდა ეკონომიურია, აქაურს, ქონებრივად დავრდომილ მკვიდრს სადა აქვს იმის თავი, რომ რამდენიმე ქალს თავი მოუყაროს და ასვას და აჭამოს“.[27]

ძირითადად დანარჩენი საქართველოსათვის დამახასიათებელი საქორწინო ტრადიციები დაუმოწმებია თედო სახოკიას აჭარაში – აქაც ახალგაზრდების ბედს მამები წყვეტდნენ, ოღონდ შუამავალი „ელჩის“ საშუალებით. საკითხის დადებითად გადაწყვეტამდე მომავალი წყვილის, მათი ოჯახის შესახებ მშობლები სათანადო ინფორმაციას აგროვებდნენ. ნიშნობის შემდეგ ვაჟს უკვე თავისუფალი მისვლა-მოსვლის საშუალება ჰქონდა სიმამრის სახლში და ქალთან ცოლქმრული კავშირის დაჭერაც შეიძლებოდა. აჭარაშიც „ქორწილი საზოგადოდ შემოდგომაზე იციან. საქმროს სახლამდე ქალს მაყრები და მდადე აცილებდა“.

თედო სახოკიას მხედველობის არედან ფაქტობრივად ეთნოლოგიის არცერთი პრობლემა არ დარჩენია. ვრცლად შეჩერდა ის სამოსზე. ესეც ბუნებრივია, რადგან აჭარელთა ტანსაცმელი (საერთოდ, სამხრეთ საქართველოში მცხოვრები ეთნოგრაფიული ჯგუფებისა) იმ დროს უკვე განსხვავებული და სახეცვლილი იყო. სამოსელის თავისებურებას მეცნიერი აჭარის ბუნების თავისებურებით ხსნის: „იმერულ გრძელ კალთებიან ჩოხას, ფეხით სიარულის დროს მეტად უხერხულ სატარებელს, აქ ვერ შეხვდებით. რაკი ცხენით სიარული აჭარაში მეტად სამძიმოა და რაკი მკვიდრი იძულებულია ძალა-უნებურად აქაურ აღმართზე თავის ფეხებს დაატანოს ძალა, სამოსელიც ამ აღმართ-დაღმართების შეფარდებით გამოუგონია. მეტი აჭარელის ტანისამოსში არაფერია. ყველაფერი, რაც აცვია, მოკლეა და ტანზე მჭიდროდ დამდგარი. აქაური შალის ჩოხა წელს ქვემოთ ოდნავ-ღა სცდება და ჩატანებულია აქაურ შალისავე ძიგვაში. ჩოხას ქვემოთ ზუბუნი (სახელოანი ჟილეტი) აცვიათ; ... ძიგვა საჯდომთან ძალზე დანაოჭებულია, სიარულს და ძირს დახრას სრულებით არ უშლის; ბოლოში ვიწროვდება, წვივებს მჭიდროდ ადგა და ფეხებზე პაჭანაგით არის მიმაგრებული. ... თავ-მომწონენი ზაფხულობით სირმა შემოვლებულ ჩოხას, ზუბუნს და ძიგვას სატინისას ატარებენ . ... ჩვენებური ჩოხა-ახალუხი აქაურ ბეგებს-ღა აცვიათ“ (სხვაგან ხიმშიაშვილების შესახებ წერს: „ტანთ ყველას ჩვენებური ჩოხები აცვიათ (ეს აჭარაში იშვიათია“).[28]

[27] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 240.
[28] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 244, 372.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სამოსის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები ფრიად საყურადღებოა. საყურადღებო პირველ რიგში ისაა, რომ ავტორი არსად ახსენებს ტერმინს „ჩაქურა“. ამ სიტყვას კი აჭარული ტანსაცმლის საერთო აღმნიშვნელ ტერმინად იყენებენ, როგორც ზედა ნაწილის (ჩოხის), ისე ქვედა ნაწილის (ძიგვას, ანუ შარვლის) აღსანიშნავად. აღნიშნული სამოსი აჭარაში, ჩვენი აზრით, შედარებით გვიან, ოსმალთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოხდა. მართალია თედო სახოკია, როდესაც წერს, რომ ეს განაპირობა ბუნებრივ-გეოგრაფიულმა გარემომ. მთის პირობებში გრძელკალთებიანი კაბის/ჩოხის ტარება ერთობ უხერხული იყო. ამიტომაც იყო, რომ დასავლეთ საქართველოში ჩოხის გრძელ კალთებს მაღლა იკეცავდნენ. ფაქტია, რომ სამხრეთ საქართველოში თურქთაგან შემოსულმა შარვალმა (რასაც ჩვენთან ძიგვას/ძიქვას უწოდებდნენ) ჩოხის ოდნავ წელს ქვემოთ გადაჭრა გამოიწვია. საჯდომისა და წინა მხრის არეში გამობერილი ძიგვა კაბის/ჩოხის კალთებს ვერ ჰგუობდა. აჭარაშიც თავის დროზე, რომ ისეთსავე მამაკაცის სამოსს ატარებდნენ, როგორც დანარჩენ საქართველოში, ამას ზემოთ მოყვანილი ციტატის ბოლო წინადადებაც ადასტურებს („ჩვენებური გრძელი ჩოხა-ახალუხი აქაურ ბეგებს-ღა აცვიათ“). ფეოდალური ზედაფენა იგივე ტრადიციული ჩოხა-ახალუხის ერთგული დარჩა — სამოსს ხომ სოციალური განმასხვავებლი ფუნქციაც ჰქონდა.

საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში შემორჩენილია მრავალი გადმოცემა თუ ლეგენდა თამარ მეფის შესახებ. ასეთი არაერთი თქმულება დაუდასტურებია თედო სახოკიას აჭარაშიც. აქაც ყველა დიდი ნაგებობის აშენებას თამარ მეფეს მიაწერდნენ (ანალოგიური გადმოცემები ასევე ბევრია დადასტურებული თურქეთის შემადგენლობაში არსებულ საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში). საქმე გვაქვს გარკვეულ ფენომენთან, რომელსაც შეიძლება „თამარ მეფის ფენომენი“ ვუწოდოთ. ამ ფენომენს (თამარის შესახებ ისტორიულ მახსოვრობას) საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობაში, თედო სახოკიას დროსაც (XIX საუკუნის ბოლოს, როდესაც ის ეთნოგრაფიულ მასალებს აგროვებდა) და დღესაც გარკვეული ფუნქცია გააჩნდა და გააჩნია — ესაა ქართველი ერის შემაკავშირებელი, მაინტეგრირებელი ფუნქცია.

ზემოთ, როდესაც გურიის შესახებ ვსაუბრობდით, ყურადღება გავამახვილეთ თედო სახოკიას მიერ დაფიქსირებულ „პაპა-ჯვრებზე“. ანალოგიური რამ მას მაჰმადიან-აჭარაშიც დაუმოწმებია: „წარსულის მოგონებითა და ოცნებით გატაცებულმა სერზე ერთ სიმინდის ყანაში ტლანქად გაკეთებულ

და მიწაში ჩარჭობილ ჯვარს მოვკარ თვალი, მხარ-ნახევრის სიმაღლისას, სწორედ ისეთს, როგორც თითქმის ყოველ ყანებში შეხვდება ხოლმე ადამიანი გურია-სამეგრელოში. საქართველოს ამ კუთხეებში ასეთი ჯვრები, როგორც ვიცით, ითვლება მფარველად მკვიდრის ქონება-კარმიდამოსი მზაკვართა და მავნე სულთაგან. ამ საკრისტიანო მხარეში ადამიანს თვალი შეჩვეული აქვს და ასეთი ჯვრები არ აკვირვებს. მაგრამ **აჭარაში, სადაც საუკუნე-ნახევარია, რაც ქრისტეს სჯული და ჯვარი მაჰმადიანობამ აღმოფხვრა, ჯვრის ნახვამ დიახ გაგვაოცა და ცნობის მოყვარეობა აღგვიძრა**...“.[29] ადგილობრივმა გამყოლმა როდესაც თედო სახოკიას გაოცება შეამჩნია, მას აუხსნა: „მოგეხსენებათ, ყანის მტერი ნამეტნურად ჩხიკვია: როცა ამას დაარჭობენ, სოფლიერი (გლეხი) ჩხიკვს ეტყვის: „თუ ამის მადლი გწამს, სიმინდი არ შემიჭამო“! ამ ტრადიციის მოხმობას თედო სახოკიას მიერ ის აზრიც ჰქონდა, რომ საზოგადოებისათვის ეჩვენებინა, რომ ქართველები, რომელი ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლებიც არ გინდა ყოფილიყვნენ, ერთი ტრადიციის, ერთი მსოფლმხედველობის მატარებელნი იყვნენ. ამ ერთობას რელიგიური განსხვავებულობაც კი ვერ შლიდა. ეს იყო ქვეტექსტი გამორჩეული ქართველი მოღვაწისა. უფრო მეტი: საერთო რწმენა-წარმოდგენების დამადასტურებელი სხვა ფაქტებიც დაადასტურა. აი, კიდევ ერთი ასეთი ეთნოგრაფიული ფაქტი: „ჯვართან ერთად დარჩენილა ჩვეულებად ღობის სარზე ჩამოკიდება პირუტყვის თავის ქალისა, ან როგორც აქ ეძახიან, საქონლის ხაპერისა. ამ ძვალს აჭარაში იგივე დანიშნულება აქვს, როგორიც იმერეთში: მავნე თვალთაგან დაიცვას და უვნებელ-ჰყოს კარ-მიდამო და ქონება აჭარელისა, მისი უსულო, მაგრამ მუდამ ჟამიერი გუშაგი იყოს“.[30]

ცნობილია, რომ XX საუკუნეში აჭარას ეკოლოგიური პრობლემები ჰქონდა შექმნილი. მეწყრები არც XIX საუკუნის აჭარისთვის ყოფილა უცხო, რისთვისაც ყურადღება თედო სახოკიასაც მიუქცევია. ის მეწყერების რამდენიმე ფაქტს ადასტურებს, რაც ტრადიციული ეკოლოგიური ცოდნის უგულვებელყოფით იყო განპირობებული. ეს კი, თავის მხრივ, მოსახლეობის გადამეტსახელებით იყო გამოწვეული. ამ უკანასკნელს კი ვარგისი მიწის ნაკლებობა, ანუ გეოგრაფიული ფაქტორი იწვევდა.

თედო სახოკიას იმდროინდელი აჭარის ისეთი პრობლემისათვისაც მიუქცევია სათანადო ყურადღება, როგორიცაა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება. მოგზაურობისას დაუდასტურებია აქ სხვადასხვა სფეროში უცხოთა

[29] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 256-257.
[30] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 257.

დასაქმების ფაქტები (ქვის ხიდების მკეთებელი ბერძენი კალატოზები, სპარსელები, რომლებსაც ფურგონებით ბათუმიდან ხიდებისათვის საჭირო მასალა და აქ მომუშავე ბერძენთათვის სურსათი გადაჰქონდათ...). ვფიქრობთ, ამ მასალებს დღევანდელობასთანაც გარკვეული კავშირი გააჩნია.

აჭარაში თედო სახოკიას მიერ მოძიებული ეთნოგრაფიული ფაქტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს – მას არცერთი ფაქტი, მოვლენა არ რჩებოდა ყურადღების მიღმა. საამისოდ მხოლოდ ერთი და, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო, „ცაცხვის ქერქისაგან ხელოვნურად გაკეთებული თოკები“ შეიძლება დავასახელოთ. კიდევ შეიძლება მის მიერ დაფიქსირებული თევზის ჭერის შვიდნაირი ხერხიც მივუთითოთ. მისი ინტერესის სფეროში აჭარაში მცხოვრები სხვა ეთნიკური ერთობანიც, მაგალითად, ქურთები და აფხაზები შედიოდნენ.

„მოგზაურობანის“ მესამე მონაკვეთი სამურზაყანოს ეთმობა. ეს მონაკვეთი ისე იკითხება, როგორც მხატვრული ნაწარმოები. წინა ორი მონაკვეთისაგან ეთნოლოგის ყურადღების ცენტრში სხვა საკითხებიც ექცევა. ისევე როგორც გურიისა და აჭარისადმი მიძღვნილ ნარკვევებში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული თანამედროვე პრობლემებს: დუქნებს, მეგრელთა ვაჭრობას, ლაზ მენავეებს. ამ უკანასკნელთა შესახებ წერს: „მენავეობა მათთვის ცხოვრების სახსარს შეადგენს. ოსმალეთის ქალაქებში წასვლა, იქიდან სამშობლოში დაბრუნება და სამშობლოდან ისევ ოჩამჩირეში მოსვლა და სიმინდის ყიდვა, – ამაში გადის მათი სიცოცხლე. ...ამათ ვერ წარმოუდგენიათ, თუ ზღვის გარეშე რაიმე სიამოვნება არის, ვერ წარმოუდგენიათ მიწის მუშის მყუდრო ცხოვრება, ვერ წარმოუდგენიათ თავისთავი უნავოდ. ნავია მათი აღმზრდელი აკვანი, ნავი არწევს მთელი თავისი დღენი და ერთ დღეს თავის საყვარელ ნავთან ერთად ეხუტება ლაზი ზღვის ფსკერსა. **ქართველებს ჯერხანად მარტო ლაზები-ღა გვყავს მენავენი“.**[31] **მოყვანილი ციტატიდან განსაკუთრებულ ყურადღებას უკანასკნელი წინადადება იქცევს: მეცნიერი ლაზებს ქართველი ერის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა.**

მეცნიერის ინტერესის სფეროში განსაკუთრებით სამურზაყანოს დასახლების ფორმა მოქცეულა. ის წერდა: „თავისებურია სამურზაყანოს სოფელი. ძირეული განსხვავებაა აქაურსა (როგორც ჩანს, „აქაურში“ სამეგრელოს სოფელს გულისხმობს – რ. თ.) და აღმოსავლეთ საქართველოს სოფელს შორის. იმ დროს, როცა ქართლის ერთმანეთზე მიყრილ სახლებს სულ მეოთხედი საათის განმავლობაში შემოუვლის კაცი, აქ, სამურზაყანოში, მთელი ორი

[31] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 321-322.

საათია საჭირო, რომ სოფლის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში გაატანოთ. უჩვეული კაცი თუ ჩავარდა, ვეღარც კი იფიქრებს, თუ სოფელშია. წინ ტყეა, უკან კიდევ ტყე. ორივე მხარესაც იგივე ტყე გარტყიათ". „იშვიათად ნახავთ ორ-სამ სახლს, რომ ერთმანეთისაგან ღობე ჰყოფდეს".[32] სამურზაყანოელის საცხოვრებელს წარმოადგენდა ორ-სამ თვლიანი ოდა, რომელიც ძირითადად წაბლის, წიბლისა და თხმელის ფიცრისაგან ჰქონდათ აგებული. სწორედ თხმელაზე ჰქონდათ ადგილობრივებს მაღლარი ვაზი აშვებული. თედო სახოკიას ყურადღების მიღმა არც ფაცხა დარჩენია. ფაცხა წკნელისაგან ჰქონდათ მოწნული, რომელსაც ზემოდან გვიმრა ეხურა. ფაცხის კერის ერთ მხარეს „სავაჟკაცო" („საქომლო") და მეორე მხარეს – საქალებო („საოსურო") ადგილები იყო გამოყოფილი. სამურზაყანოელის ღარიბ ოჯახში მეცნიერს შეუნიშნავს, რომ ბალიშში ქათმის დაურჩეველი ბუმბული ჰქონდათ ჩადებული, მუთაქაში კი – სიმინდის ფუჩეჩი.

თედო სახოკიას სამურზაყანოს მთებიც მოუხილავს, სადაც მწყემსების ცხოვრებას აკვირდებოდა. აქ მას ყურადღების მიღმა მწყემსთა ცხოვრების თითქმის არცერთი ნიუანსი არ რჩებოდა. საინტერესო ფაქტი დააფიქსირა ღამით ქალამნების მიწაში ჩაფვლისა: „ბინაზე დარჩენილებმა ტყავის ქალამნები გაიხადეს, შორი-ახლო მიწაში ჩაფლეს, რომ, ერთის მხრით, დარბილებულიყვნენ და, მეორეს მხრით, ქოფაკებს არ შეეჭამათ".[33]

საინტერესოა მესაქონლეთა ცხოვრების აღწერა. მსხვილფეხა მესაქონლეობასთან ერთად სამურზაყანოში მეცხვარეობაც ყოფილა გავრცელებული. ამ დარგის მიმდევარნი კი მთის კალთებზე მდებარე სოფლების მოსახლეობა ყოფილა. თუმცა, ხაზს უსვამს, რომ „აქაური საქონელი მატყლს ცოტას იძლევა და მდარეც არის, რადგან საქონელი წვიკის ჯიშისაა. ერთი კანძი მატყლი ერთი „ქიტა" გამოდის, ანუ წონით ერთი ლოღარიკონი (1/2 გირვანქა). ... მატყლისაგან სამურზაყანოში ნაბდებსა სთელავენ". „მატყლისაგანვე აკეთებენ საჩოხე და საძიქვე შალებსა".[34]

თედო სახოკიამ დიდი ყურადღება დაუთმო სამურზაყანოელთა რწმენა-წარმოდგენებს და აღნიშნა, რომ „მწყემსების ყველაზე დიდ მფარველად მთავარ-ანგელოზი მიქელ-გაბრიელი ითვლება, რომელსაც აქ „მიქამ-გარიოს" ეძახიან. მეორე სახელიცა ჰქვიან – *ეგრე*. მიქამ-გარიო არის პატრონი მთისა,

[32] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 236.
[33] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 360.
[34] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 268.

მას მორჩილებენ ცის მნათობნი".[35] თქმულის დამადასტურებელი თქმულებებიც აქვს მოხმობილი. ადგილობრივი მკვიდრი მესაქონლეები „მთის" თაყვანისმცემლებიც ყოფილან. მთაც მიქამ-გარიოს საფარველ ქვეშ ყოფილა. „მწყემსის ლაპარაკში ხშირად მოჰკრავთ ყურს „მთის მადლმაო". „როცა გაზაფხულზე პირველად მთაზე ამოდიან, მწყემსები საკლავსა ჰკლავენ და მთის ლოცვას ამბობენ. ხანში შესული მწყემსი ხონჩაზე აწყობს საკლავის გულღვიძლსა და ყველას მაგივრად მთას ევედრება: ნუ მოგვაკლებ შენს წყალობას ჩვენ, ჩვენს ჯოგსა, რომელიც შენს კალთაზე დავდივართ, მხიარულად და უვნებლად ჩაგვიყვანე ბარადო".[36] იმდენად დიდი რიდი ჰქონიათ სამურზაყანოელ მწყემსებს მთისა, რომ მთას ისინი შიშველ ტანს ვერ აჩვენებდნენ, ეწყინებაო. ამიტომ ტანის ბანა მთაზე ცოდვად მიაჩნდათ. მაშინათვე განრისხდება მთა და წვიმა და ავდარი მოვაო. თედო სახოკია ამ მასალის მოყვანის შემდეგ გვაუწყებს: „ჩემი იქ ყოფნის დროს ნისლი ხშირი იყო. მითხრეს, ეს სულ იმის ბრალია, რომ შენ ტანს იბან აქა და შიშველ ტანს მთას უჩვენებო".[37] ამავე მიზეზით ყოფილა, რომ მთაზე ყოფნის დროს მწყემსები უწმაწურ სიტყვა-პასუხს ერიდებოდნენ.

თედო სახოკიას სამურზაყანოში ყოფნისას არაერთი ტერმინი დაუდასტურებია, რომლებიც ძირითადად მატერიალური კულტურის სფეროს განეკუთვნება; მხოლოდ რამდენიმე მათგანის მოყვანით დავკმაყოფილდებით: *ჩართი* – ქვაბის ძირის სიფართის დაგრეხილი ვაზი, რომელშიც ქვაბს დგამენ. ჩართში ჩადგმის შემდეგ ღომს უფრო მოხერხებულად ზელავდნენ; *გარგატი* – იგივე სუთი, რომლითაც ღომს ზელავენ; *ჩოგანი* – ქვაბიდან ღომის ამოსაღები; *გვაბანკი* – პალტო; *ქასლაში* – თხის ტყავისაგან გაკეთებული ჭურჭელი, რომელიც შიგნიდან და გარედან გაფხეკილია. შიგ ასხამენ მაწონს და მგზავრობის დროს დაჰქონდათ; *ჩაყვა* – ტოლჩის მსგავსი ხის ჭურჭელი, რომელშიც მაწონს ასხამდნენ. მაწონს ამ ჭურჭლიდან პირდაპირ ხვრიპავდნენ; *თიფუ* – მწყემსების ბინა; *კვაჩხა* – თხის ტყავი, რომელსაც დაჯდომის დროს იყენებდნენ; *ბუყუნი* – მაწვნის შესადედებელი ხის ჭურჭელი. შიგ ორი კოკა ეტეოდა; *ჯიშთი* – ხეში ჩარჩენილი თოვლი, რომელშიც მწყემსები ხორცს დიდხანს ინახავდნენ; *ქიფური* – საჭმელი. ქასალაში ჩასხმულ მაწონს ერთი სათის განმავლობაში აჭანჭყარებდნენ. შემდეგ 3-4 საათი მზის გულზე დაჰკიდებდნენ, რის შემდეგაც ქიფური მზად იყო. ამ საჭმელს მხო-

[35] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 269.
[36] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 377.
[37] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 377.

ლოდ მთაში შეექცეოდნენ; *შიშველი* – ისეთი მთა, სადაც ბალახის მეტი სხვა მცენარე არაა; *ლაბაშა* – მწყემსის ჯოხი, რომელსაც ბოლო რკინითა აქვს მოჭედილი; *ღვაროძისთვე/ღვარალა-თუთა* – ენკენისთვე...

წიგნს „მოგზაურობანი" სამურზაყანოდან აფხაზეთში გადავყევართ. ეს მონაკვეთი დიდი არაა, რაც, როგორც ჩანს, იმანაც განაპირობა, რომ აფხაზთა ძირითადი ნაწილი ოსმალეთის იმპერიაში მუჰაჯირად უკვე დიდი ხნის წასული იყო. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს ადგილზე დარჩენილ აფხაზთა უუფლებო მდგომარეობას: „წინანდელი მკვიდრი აფხაზები მოკლებული იყვნენ უფლებას ქალაქ სოხუმის მახლობლად (ოცი კილომეტრის მანძილზე) დასახლებულიყვნენ, როგორც არა საიმედო ელემენტები. აბჟუაში (აღმოსავლეთ აფხაზეთში) შეეძლოთ ყოფნა მხოლოდ მდინარე კოდორის გამოღმა; ხოლო ბზიფში (დასავლეთ აფხაზეთში) მდინარე აც-წყლის იქით, გაგრამდე".[38]

თედო სახოკიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ცარიზმის ხელისუფლება ყოველმხრივ ხელს უშლიდა სამეგრელოდან მოსახლეობის გადმოსახლებას, ხოლო რუსებისა და სომხების მიგრაციას კი ახალისებდა. იმასაც ხაზს უსვამს, რომ გადამოსახლებულ რუსებს აკლიმატიზაცია პრობლემებს უქმნიდა – ციებით დაავადებულების სიკვდილიანობა მაღალი იყო. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება აფხაზეთში რუსების გადმოსახლებაზე უარს არ ამბობდა: „ეს ვაჟბატონები „უმაღლესი მოსაზრებით" ხელმძღვანელობდნენ: – ხელი უნდა შევუშალოთ მეგრული ელემენტის გამრავლებას, თუნდაც მთელი სოფლის სიცოცხლედ დაგვიჯდეს ეს ხელის შეშლაო!..".[39]

ეთნოლოგი რუსების ისეთ უარყოფით თვისებასაც არ ივიწყებს, როგორიცაა ლოთობა: „ციებასა და ქონებრივ სიჩიავეს ზედ დაურთეთ რუს ახალშენთა სიყვარული არყისა... სვამენ უზომოდ. ამ რამდენიმე წლის წინათ ამ სოფელში ერთ ჩვენებურს დუქანი ჰქონდა და, სხვათა შორის, არაყსაც ჰყიდდა. მუშთრებად უმთავარესად ამ სოფლის მცხოვრებნი ჰყოლია. ნახევარ თვეში 16 ვედრო არაყი გაუყიდია" ესე იგი, დღეში ვედროზე ცოტა მეტი" ფული რომ შემოელეოდათ, მოჰყავდათ გოჭი, შინაური ფრინველი, მოჰქონდათ თავიანთი წაღები, ქუდი, სამოსელი და სხვ.".[40]

თედო სახოკიას იმდროინდელი აფხაზეთის ეთნიკური შემადგენლობაც არ რჩებოდა უყურადღებოდ. მაგალითად, მისი იქ ყოფნის დროს გუდაუთაში 172 კომლს (1.117 სულს) უცხოვრია. „როგორც ყველგან, პირველი ადგილი

[38] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 381.
[39] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 385.
[40] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 385.

უჭირავს ქართველებს – 356 სული, შემდეგ რუსებს (242 სული), მერე მოჰყვებიან ბერძნები (133 სული), სომხები (122 სული), აფხაზები (87 სული), ლაზები (32 სული) და სხვ.“[41]

მეცნიერი-ეთნოლოგი როგორც სხვა შემთხვევაში, აფხაზეთის მონაკვეთში გარკვეულ ყურადღებას უთმობს დასახლების ტიპსა და საცხოვრებელ ნაგებობებს: „გუდაუთიდან ჩრდილოეთით აღმართ-აღმართ მიმავალს, ოღრო-ჩოღრო გზას კაცი სოფ. ლიხინში მიჰყავს. იქით-აქეთ ვენახთა და ტყეთა შორის ძლივს მოსჩანს აფხაზთა ფაცხები, წნული, გვიმრით დახურული, ღარიბული და თითქმის პირველყოფილ ადამიანთა ბინების მსგავსი...“.[42] ლიხნზე საუბრისას თედო სახოკიამ იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ „დღეს ამ მოსახლეთა შორის მხოლოდ მეგრული გვარებია დარჩენილი; ენას კი აფხაზურის გარდა, სხვას ვერ გაიგონებთ“.[43]

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში აფხაზების პრობლემა გახლდათ ის, რომ ისინი თავის სოფელს არ შორდებოდნენ: „თითქმის შუაგულ აფხაზეთში ერთ-ერთი მრეწველი მაქსიმოვი აწარმოებს ხე-ტყის დამზადებას. ყოველწლიურად მასთან 2.000-მდე კაცი მოდის, მასთან ნახავთ: სვანს, რაჭველს, ლეჩხუმელს, გურულს, მეგრელს და აფხაზს კი – არც ერთს. აფხაზი ყოველივე ამას შორიდან უყურებს, სტუმარივით, უბრალო ხელოსნობა რა არის, იმასაც კი ვერა ნახავთ მათ შორის. რისამე ფიცრულის დადგმა რომ დასჭირდებათ, ხუროებს სხვაგნიდან უნდა დაუძახონ“.[44] სამაგიეროდ, თედო სახოკია ფართოდ აღნიშნავს აფხაზების მებაღეობისა და მევენახეობის სიყვარულის შესახებ: „ხეხილის გარდა, განთქმულია აფხაზეთის ვენახები და აფხაზური ღვინო. თავისებური და საამო საყურებელია აქაური ვენახები: გზის ორივე ნაპირას ჩარიგებულია უსისტემოდ ხურმისა და თხმელის ხეებზე გადახვეული ვაზები! ამ ორი ჯიშის ხეს აქეთკენ სავაზოდ ყველგან უპირატესობა აქვს, რადგან ფოთლები წვრილი აქვთ, მზის სხივები ადვილად ატანს შიგ და ჩქარა ამწიფებს ყურძნის მტევნებს. აქ ზოგიერთი სოფელი მარტო ყურძნის მოსავლით ცხოვრობს“.[45] განსაკუთრებით გამოჰყოფს „ამილახუს“ ჯიშის ვაზს, რომელიც, გადმოცემით, მთავარს ქართლიდან, ამილახვართა მამულიდან მოუტანია.

[41] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 387.
[42] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 388.
[43] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 389.
[44] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 399.
[45] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 400.

თედო სახოკია აფხაზთა მიერ მცენარეთა თაყვანისცემასაც აღნიშნავს – საამისოდ მას ეთნოგრაფიული მონაცემები აქვს მოყვანილი.

როდესაც ამთავრებ წიგნის – „მოგზაურობანი" – კითხვას, სინანული გეუფლება, რომ პირველმა ქართველმა პროფესიონალმა ეთნოლოგმა საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების შესახებაც არ დაგვიტოვა ნარკვევები. როგორც მისი ავტობიოგრაფიიდან ირკვევა, ამ მიზნით მას რაჭაშიც უმოგზაურია, მაგრამ, სამწუხაროდ, მალევე რაჭის ეთნოგრაფიული მასალები დაუკარგავს.

თედო სახოკიას სამეგრელოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე არ მიმოუხილავს. როგორც ამ მხარის მკვიდრს, აქ მას ეთნოგრაფიული მასალების შესაკრებად მოგზაურობა და ინფორმატორების მოძიება არ სჭირდებოდა. სამეგრელოს მკვიდრმა კარგად იცოდა მეგრელთა ყოფა, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები – ისინი ბავშვობიდანვე ჰქონდა შესისხლხორცებული, უამრავი რამ გაგებული. სამეგრელოს შესახებ სამეცნიერო ნაშრომების წერა განსწავლულ ეთნოლოგს XIX საუკუნის ბოლოს დაუწყია, პირველად კი 1956 წელს[46] – მისი გარდაცვალების წელს დაიბეჭდა. შესაბამისად, ეს ნაშრომები დაწერილია 1897, 1899, 1902, 1903, 1913, 1916 წლებში. ძირითადად კი ეხება სამეგრელოს მკვიდრთა სულიერი კულტურის და სოციალურ ურთიერთობათა საკითხებს. ზოგიერთი ნარკვევი მას უცხო – რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე ჰქონდა თავის დროზე დაბეჭდილი. უნდა აღვნიშნოთ და აქ გიორგი ჩიტაიას უნდა დავესესხოთ, რომ „ზოგჯერ მისი ნაწერები სცილდება საქართველოს ეთნოგრაფიის ფარგლებს". თედო სახოკია სამეგრელოში არსებულ ტრადიციებს მხოლოდ არ გადმოგვცემს – ის სათანადო ინტერპრეტაციას, ანალიზს უკეთებს და, რა თქმა უნდა, ყველა მათგანი მაშინდელი მეცნიერული კვლევის სათანადო დონეზეა წარმოდგენილი.

„ეთნოგრაფიულ ნაწერებში" ავტორი ვრცლად გადმოგვცემს მითოლოგიურ გადმოცემებს, მეგრელთა დამოკიდებულებას ყვავილ-ბატონების მიმართ, საახალწლო ტრადიციებს, რწმენა-წარმოდგენებს წმიდა გიორგის შესახებ, მიცვალებულთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს, საქორწინო ტრადიციებს. თედო სახოკია თითოეულ ეთნოგრაფიულ ფაქტს არა მხოლოდ გადმოგვცემს, არამედ მათ ისტორიულ ასპექტში განიხილავს და აყალიბებს გარკვეულ დასკვნებს. სრულიად სამართლიანად წერდა გიორგი ჩიტაია: „თამამად უნდა ითქვას, რომ აქ მოცემული მასალის საფუძველზე შეიძლება აღდგენილ იქნეს

[46] თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნარკვევები. თბ. 1956.

სათანადო სხვა მასალის გამოყენებასთან ერთად ქართველი ხალხის უძველესი სარწმუნოება და მსოფლმხედველობა".[47]

ნარკვევში „სამეგრელოს მითოლოგიიდან" ავტორი გვაცნობს იმ ავსა და ბოროტ სულებს, რომლითაც მეგრელის წარმოდგენით, მოფენილია სამყარო და „რომელნიც გაჩენილან იმისათვის, რომ ავნონ მის საქონელს, ზიანი მიქყენონ მის ქონებას".[48] ისენი არიან: *ოჩოკოჩი, ტყის მეფე, ჭინკა, დიხაშკოჩი (მიწის კაცი), ჟამი, ანუ სული გაცივებისა, წყლის დედა, მესეფი, ანუ ზღვის კაცი, ეშმაკი, იგივე მავნე, მაცდური, მზაკვარი (მაზაკვალი)* იგივე *კუდიანი, გრძნეული, ბატონები (ყვავილი)* და სხვა გადამდები სენი. ეს პრობლემა ქართულ ეთნოლოგიაში დღეს სათანადოდაა შესწავლილი (ნ. აბაკელია). ეს სათანადო დონე, ალბათ, ერთგვარად სხვაგვარი იქნებოდა, რომ არა თედო სახოკიას ნარკვევი, რადგან ის აფიქსირებდა იმ ვითარებას, რომელიც მისი ბებიებისა და პაპების დროს არსებობდა სამეგრელოში.

იგივე შეიძლება ითქვას ნარკვევზე „ყვავილ-ბატონები საქართველოში (ერთი გვერდი სახალხო ექიმობისა)", რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა ჯერ კიდევ 1903 წელს წაიკითხა პარიზის საანთროპოლოგიო საზოგადოების სხდომაზე. ქართველმა ხალხმა ინფექციური დაავდებების შესახებ, რომლებსაც „ბატონები" ავრცელებდნენ, გარკვეული წარმოდგენები შეიქმნა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ეპიდემიებს ხშირად გამანადგურებელი შედეგები ჰქონდა, ისინი ზოგჯერ მსოფლიოში მიმდინარე ეთნიკური პროცესების ხელშემწყობნიც იყვნენ. ამ საკითხზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ „ბატონები" იერარქიული სიძლიერით იყოფიან ორ კატეგორიად. პირველ კატეგორიაში მოქცეული არიან „დიდი ბატონები" – შავი ჭირი, ხორველა, ყვავილ-ბატონები, მეორეში – წითელა, ქუნთრუშა, ყელჭირვება, ყივანახველა და სხვ.

ქართველ ხალხს დიდი ტრადიციები ჰქონდა ახალ წელთან დაკავშირებით. თედო სახოკია წერდა: „ახალი წლისათვის მეგრელებს აგრეთვე უქვიათ რომაული სახელი – *კალანდა*. ითვლება დასაწყისად ადამიანის როგორც სულიერ, ისე ხორციელ ცხოვრებისა აქედან მოკიდებული თორმეტი თვის განმავლობაში. სამეგრელოს მკვიდრთ კალანდა წარმოდგენილი აქვთ როგორც ღვთაება, რომელიც მოგზაურის სახით მოევლინება ხოლმე შორეულ და უცნობ მხრიდან. მათთვის თან მოაქვს როგორც წყალობა, ისე უწყალობა, რო-

[47] გ. ჩიტაია. რედაქტორისაგან. თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნარკვევები. თბ. 1956, გვ. 6.
[48] თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნარკვევები, გვ. 7.

გორც სვიანობა, ისე უბედურება. ამ შემთხვევაში თუ ყველაფერი არა, მთავარი მაინც დამოკიდებულია იმაზე, თუ ადამიანი რამდენად სათანადო და შესაფერისი პატივით დაუხვდება ამ თაყვანსაცემ ღვთაებას. ეს დახვედრა კიდევ გამოიხატება ყოველი საახალწლო წესების აღსრულებით. საკმარისია მეგრელმა ერთი ბეწოთი დააკლოს რაიმე ამ წესებს, რომ თავზე დაიტეხოს ესა თუ სამწუხარო უბედურებანი, კალანდის რისხვისაგან გამომდინარნი“.[49] ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს ყურადღების მიღმა არ რჩება ყველა ის რიტუალი, რომელიც მეგრელის ოჯახში კალანდობას სრულდებოდა. განსაკუთრებული სიზუსტითაა გადმოცემული კალანდის სიმბოლოს „ჩიჩილაკის“ დამზადება.

თედო სახოკიას სამეცნიერო მემკვიდრეობაში, ვფიქრობთ, ერთ-ერთი გამორჩეულია ნაშრომი „წმ. გიორგის კულტი და ღვთის სამართალი“. იმდენად დიდი იყო წმიდა გიორგისადმი მოწიწება და თაყვანისცემა სამეგრელოში, რომ ხალხის რწმენით ის სამეგრელოს მკვიდრი იყო და ბრძოლებში მუდმივად მათ ლაშქარს ედგა სათავეში. აგრეთვე ლხინის სუფრის სათავეში მჯდარა ყოველთვის და სიმღერასა და მოლხენაშიც ბადალი არ ჰყოლია. ეთნოლოგის მიერ მოყვანილ მასალას წმიდა გიორგის შესახებ მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. ერთ-ერთი კი ის გახლავთ, რომ სამეგრელოში მისი სალოცავი ყველაზე ძლიერი იყო და ეს ყველაზე ძლიერი სალოცავი დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა, ისტორიული სამურზაყანოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ მხარეს; საუბარია *ილორის წმიდა გიორგის* შესახებ. ილორის წმიდა გიორგის მთელი სამეგრელოს მოსახლეობა ეყმობოდა. ასეთი სახის ძლიერი, ცენტრალური სალოცავები კი ქართველ ხალხს არა განსახლების არეალის განაპირას ჰქონდა, არამედ ცენტრში. ასე რომ, ეს ფაქტი პირდაპირ მიუთითებს იმის შესახებ, რომ მეგრელთა განსახლების არეალი თავის დროზე საკმაოდ შორს ვრცელდებოდა. საინტერესოა ის ეთნოგრაფიული მასალა, რომ ილორის წმიდა გიორგის შესაწირს იმერეთის მეფეც კი უგზავნიდა. სწორედ იმერეთის მეფეს შეუწირავს ილორისათვის ხატის ყმებად და მსახურებად კაკაბაძეთა გვარის რამდენიმე წარმომადგენელი, რომელთა შთამომავალნი დღესაც ცხოვრობენ ილორში ოდნავ განსხვავებული გვარით – კაკაბანძე.[50]

თედო სახოკიას ნაშრომის თანახმად, ილორის ეკლესიაში ინახებოდა აგრეთვე რკინის მშვილდი, რომელშიაც უნდა გატარებულიყვნენ სხვადასხვა

[49] თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნარკვევები, გვ. 40.
[50] თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნარკვევები, გვ. 60.

ავადმყოფნი, ვინც წმიდა გიორგის შესთხოვდნენ სნეულებათაგან განკურნებას. წმიდა გიორგის წინაშე შუამდგომლობის როლში გამოდიოდა *მეხატული*, ანუ *ხატის მსახური* გვარად ***მერჭულე***. ეს თანამდებობა ამ გვარში მემკვიდრეობით გადადიოდა. ამავე გვარში ინახებოდა ის ცული, რომლითაც იკვლოდა გიორგობას წმიდა გიორგის მიერ მოყვანილი ხარი.[51] ეს მასალა ჩვენ ფრიად საყურადღებოდ მიგვაჩნია. მერჭულეები დღესაც ცხოვრობენ ილორში. ეს გვარი ანალოგიას ჰპოვებს გვარსახელთან – *მერჩულე*. ილორის წმიდა გიორგის შემდეგ სამეგრელოს ყველაზე ძლიერ სალოცავად, როგორც თედო სახოკია გადმოგვცემს, *ხეთის წმიდა გიორგი* ყოფილა: „ილორის წმ. გიორგის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს მეგრელთა ცხოვრებაში ხეთის წმ. გიორგის. ...ხეთის წმ. გიორგი ძლიერებით თითქმის ეჯიბრებოდა ილორისას". ისევე როგორც სხვა ქართულ ეკლესია-სალოცავებს ხეთის წმიდა გიორგისაც ორი საბრძანებელი ჰქონია – დაბლა ხის ეკლესიაში და ზევით – ურთას მთაზე. მეგრელები, როდესაც დანაშაული ედებოდათ ბრალად, ძირითადად სწორედ ამ სალოცავებში იფიცებოდნენ. ასე რომ, როგორც თედო სახოკია გადმოგვცემს, წმიდა გიორგი მეგრელთა რწმენით უზენაესი მოსამართლეც იყო. ამ მასალებს, რომლებიც ეთნოლოგს აქვს წარმოდგენილი, დიდი მნიშვნელობა იმიტომაც აქვს, რომ მეცნიერის მოღვაწეობის დროს ტრადიციების დიდი ნაწილი უკვე დავიწყებას იყო მიცემული. აღნიშნულ თემაზე საუბარი გვინდა იმით დავამთავროთ, რომ კითხვა დავსვათ: ქრისტიანთათვის წმიდა გიორგი ერთი წმინდა იყო. რატომ ჰქონდათ ქართველებს ის რამდენიმე ღვთაებად წარმოდგენილი? რატომ იყვნენ ისინი სხვადასხვა ძალი-შეძლებისანი? ვფიქრობთ, ამაში გამოსჭვივის ძველი ქართული ტრადიცია სხვადასხვა სალოცავების შესახებ.

უნდა დავასკვნათ, რომ წმიდა გიორგისადმი მეგრელთა თაყვანისცემა ანალოგიას პოულობს საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან, ყველა ქართულ ტერიტორიულ/ლოკალურ ჯგუფს ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონდა აღნიშნული წმიდანისადმი, მნიშვნელობა არა აქვს ისინი მთიელები იყვნენ, თუ ბარელები, დასავლეთ საქართველოში მკვიდრობდნენ, თუ აღმოსავლეთ საქართველოში.

ქართულ ეთნოლოგიაში ყველაზე სრულყოფილად საქორწინო ტადიციებია შესწავლილი. ამ პრობლემის მეცნიერულად შესწავლაში პიონერად თედო სახოკია გვევლინება. შეიძლება ითქვას, რომ ვრცელ ნარკვევში სამეგრე-

[51] თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნარკვევები, გვ. 61-62.

ლოში არსებული საქორწილო ტრადიციები სრულყოფილადაა შესწავლილი. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია არსებით საკითხებზე. ეთნოლოგი აღნიშნავს: „ეს წერილი მეგრელთა ცხოვრებისა რეზულტატია ჩვენი პირადი და უშუალო დაკვირვებისა. მხოლოდ ნაწილობრივ მოვიშველიეთ ლიტერატურა, რომელიც, ... მეტად მწირ მასალას იძლევა. ... აღწერილი საქორწილო ჩვეულებანი ასე თუ ისე წმინდად შემონახული არიან საქართველოს იმ კუთხეებში, რომელნიც გეოგრაფიულად გონებრივსა და საადმინისტრაციო ცენტრების უშუალო გავლენას დაშორებულნი არიან“.[52] ძნელია ეთნოლოგს ამ სიტყვებში არ დაეთანხმო. არა მარტო საქორწინო ტრადიციები, არამედ ყველანაირი წეს-ჩვეულება თავისი თავდაპირველი და შეურყვნელი ფორმით სწორედ ასეთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში იყო შემორჩენილი. მათ შორის სამეგრელოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აღნიშნული ნაშრომის პირველ სტრიქონებში ეს აზრია გატარებული: „ქართველ ტომთა შორის, სვანებისა, ფშავთა და ხევსურთა შემდეგ მეგრელთ ჩვენს დღემდე შემოუნახავთ საქორწინო ჩვეულებანი, შეიძლება ითქვას, თავიანთის ძველებური სიწმინდითა და ხელშეუხებლობითა, და ამას ვხედავთ ქრისტიანულ სარწმუნოების გვერდით“.[53] თედო სახოკიამ მეგრელთა საქორწინო ტრადიციებიდან უმთავარესს საკითხებს მიაქცია ყურადღება; ესენია: მკაცრი ეგზოგამია, ნათესაობის ფორმები, შვილად აყვანის წესი, ერთი ბატონიდან მეორე ბატონთან გაქცევისას ეკლესიის ბოქლომისათვის კისრის მიბმა, საქორწინო ასაკი, დანიშვნის წინაპირობა, მზითევი, საქორწილო რიტუალი, ქორწილის დრო, სახლში პატარძლის შემოყვანის ცერემონიალი, პირველი ღამე, ზედსიძეობა. ეთნოლოგს აქ მხოლოდ ერთ ციტატას დავესესხებით: „ქორწილები სამეგრელოში, ჩვეულებრივ, შემოდგომითაა ხოლმე, ჭირნახულის დაბინავების გათავებისას. წელიწადის ამ დროს მეგრულად ჰქვიან „დამორჩილი“ – დამორჩილებული, ე. ი. ბუნებაა დამორჩილებული იმით, რომ იმისაგან მხვნელ-მთესველის მიერ აღებულია ყველაფერი, რის აღებაც კი შეიძლებოდა ზაფხულის შრომის შემდეგ. შემოდგომაზე მეგრელი გლეხის მდგომარეობა შედარებით კარგია და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ქორწილებს ამ დროს მართავენ. ქორწილები ნაშობევსაც იმართება ხოლმე, ყველიერის დადგომამდე. ამ შემთხვევაში მოსჩანს გავლენა საეკლესიო კანონებისა, რომლებიც მარხვაში ჯვარის წერას უკრძალავს; გაზაფხულზე და ზაფხულში ქორწილი იშვიათ-

[52] თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნარკვევები, გვ. 71.
[53] თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნარკვევები, გვ. 70.

ადაა, რადგან ჭირნახული უკვე ილევა და შემოდგომის უხვობა არ არის".[54] დავსძენთ, რომ თედო სახოკიას მიერ მოყვანილი მონაცემების უმეტესობა, როგორც საქორწინო, ისე სხვა ტრადიციებთან დაკავშირებით, ანალოგს ჰპოვებს საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან.

პირველი ქართველი პროფესიონალი ეთნოლოგის ყურადღების არეში მიცვალებულთან დაკავშირებული ტრადიციებიც მოექცა. ისევე როგორც საქორწინო ტრადიციებთან, მიცვალებულის ძველი ქართული წეს-ჩვეულებებიც სამეგრელოში იყო დაცული. საამისოდ თედო სახოკიას მიერ მოხმობილი მასალა შეიძლება დავიმოწმოთ: „მეგრელის რწმენით, ამ ქვეყნად ბავშვი გაჩნდება თუ არა, ცას მისი სახელის ვარსკვლავი „მიეკერება". ეს ვარსკვლავი განსახიერება იქნება დედამიწის ამ ახლადდაბადებული მცხორებისა"; როდესაც სამეგრელოს მკვიდრი მთვარიან ღამეს აურაცხელ ვარსკვლავებით მოოჭვილ, ლაჟვარდ თაღს ცისას უჭვრეტს და ერთბაშად დაინახავს, რომ ჯერ ერთი და მერე სხვა ვარსკვლავები „ციდან სცვივიან", მასა სწამს, რომ თითოეულ მათგანის ჩამოვარდნასთან და მის უგზო-უკვლოდ გაქრობასთან ... სადმე დედამიწაზე სულსა ჰლევს ადამიანის არსება, რომელსაც ეს ცას მოწყვეტილი ვარსკვლავი ეკუთვნოდა".[55] მეცნიერი, ჩვეულებრივ, მისთვის დამახასიათელი მხატვრულობით აღწერს გლოვის წესებს, რასაც სამეგრელოში დიდი შეცხადება, ლოყებისა და გადაღეღილი გულმკერდის დაკაწვრა, სისხლის დენა და თმის გლეჯა ახლდა თან. ტრადიცია ყოფილა მიცვალებულის სასახლეში ჩადებამდე თეთრ სუდარაში გახვევა, მეოთხე ან მეხუთე დღეს დასაფლავება, შავი სამოსით შემოსვა, რომელიც ულაზათოდ უნდა ყოფილიყო შეკერილი. სამგლოვიარო გალობაც აუცილებელი იყო: „ორი გუნდი, სოფლელთაგან შემდგარი, ჰგალობს მარშს, რომელსაც „ზარი" ჰქვიან, რაც ნიშნავს: საშინელებას, უბედურებას. ზარს უსიტყვოდ ჰგალობენ, ისმის მხოლოდ ერთი გაგრძელებული „ვაი, ვაი".[56] შორეული სოფლებიდან მოსულ ნათესავებსაც თან მოზარეები მოჰყავდათ. გლოვის მთელი პროცესი ძალიან საინტერესოა. მისი კითხვისას გიმყარდება მოსაზრება, რომ ქართველები ყოველთვის თამაშობდნენ, სპექტაკლებს დგამდნენ, მოქმედებდნენ ისე, რომ მათ გულწრფელობაში არავინ დაეჭვებულიყო. საყურადღებოა, რომ „ძველად ყოველ მოტირალს თან მოჰქონდა დამზადებული სურსათ-სანოვაგე, გამომცხვა-

[54] თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნარკვევები, გვ. 88.
[55] თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნარკვევები, გვ. 112.
[56] თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნარკვევები, გვ. 123.

რი მჭადი, მოსახარში ლობიო, ღვინო, ნიგოზი, ხახვი. ასე რომ, მიცვალებულის პატრონს ხარჯვა რისამე არა სჭირდებოდა და იოლად გამოდიოდა. მაგრამ ამ ჩვეულებას დღეს (იგულისხმება XX საუკუნის დასაწყისი, როდესაც ნაშრომი იწერებოდა რ. თ.) თავისი პირვანდელი ხასიათი ურთიერთ დახმარებისა თანდათან ეკარგვის და კომერციულ ფორმას ღებულობს".[57]

მიცვალებულთან დაკავშირებულია კიდევ ერთი ტრადიცია, რომლის შესახებაც თედო სახოკიას დროს მხოლოდ მოგონებაღა იყო დარჩენილი. როცა ესა თუ ის ადამიანი ძალზე მოხუცდებოდა და სიკვდილს ელოდებოდა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც სახლში დამტირებელი და დამსაფლავებელი არავინ ჰყავდა, თვითონ სიცოცხლეშივე მართავდა თავის დატირებას: „ერთ დანიშნულ დღეს, ტირილის ყოველსავე წესის დაცვით, ნაცნობ-მეგობრები მოდიან და სტირიან მოხუცს, რომელიც ვითომ მიცვალებულს წარმოადგენს, მის მაგიერ მოტირალთა წინაშე „ნიშანია" გაშლილი მოხუცისა, სჭამენ ქელეხსა, სვამენ „გარდაცვალებულის" სულის შესანდობარსა, ხოლო როცა ნამდვილად მოკვდება, ყოფილ „მიცვალებულს" არავინა სტირის და პირდაპირ ასაფლავებენ".[58] მიცვალებულის ტრადიციებზე თედო სახოკია კიდევ ბევრ საუბრობს, ბუნებრივია, ყველა მათგანზე ვერ შევჩერდებით. მხოლოდ ერთი ციტატას მოვიყვანთ: „ერთი წლის ბავშვის ცხედარს აკვანში ჩაკრულად წაასვენებდნენ დასასაფლავებლად; იქ ბავშვის სხეულს ცალკე მიწაში ჩაუშვებდნენ, ხოლო აკვანს, რომელიც ამ შემთხვევაში კუბოს მაგივრობასა სწევს, ეკლესიის გალავანში სტოვებენ. ასეთი აკვანი, მეგრელთა რწმენით, ბედნიერების მომნიჭებელია, და ვისაც სჭირდება, ეკლესიიდან წამოიღებს და თავის ბავშვს შიგა ზრდის ხოლმე".[59]

ამრიგად, ასეთია ძალიან მოკლედ პირველი ქართველი პროფესიონალი ეთნოლოგის თედო სახოკიას შემოქმედება. მან მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ქართულ ეთნოლოგიას; მისი მიზანი იყო არა მხოლოდ ქართული ტრადიციების წარმოჩენა, არამედ თანამედროვეობა და საქართველოს მომავალი, ქართველი ხალხის კონსოლიდაცია იმის საფუძველზე, რომ საუკუნეების განმავლობაში ქართველ ხალხს ერთი და ერთიანი ხალხური კულტურა ჰქონდა შექმნილი.

[57] თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნარკვევები, გვ. 126.
[58] თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნარკვევები, გვ. 127.
[59] თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნარკვევები, გვ. 132.

Roland Topchishvili
Academician, Gelati Academy of the Sciences, Georgia

TEDO SAKHOKIA – THE FIRST GEORGIAN PROFESSIONAL ETHNOLOGIST/ANTHROPOLOGIST

Summary

In 1850-1900 many Georgian intellectuals who received education in Russia and Europe returned to Georgia. Those intellectuals cared about the future of people and the country. They considered that for achievement of their goals, implementation of educational system and development of science was inevitably necessary. Tedo (Teodote) Sakhokia was one of those great patriots. Tedo Sakhokia was born on 2 (14) March, 1868 in Samegrelo in the family of clergyman. He was the first professional Georgian ethnologist. He gained his professional skills in ethnology/anthropology in France first at Sorbonne University and then at a high school of anthropology. In 1903 the scientist reported his first scientific work in ethnology, which was devoted to the problem of popular medicine, to the anthropological scientific society of Paris. Due to the high scholarly value of the report, Tedo Sakhokia was elected as a foreign associate member of Parisian society of anthropologists. The above-mentioned work about Georgian traditions was the first one published abroad (in French language). He also wrote and published his ethnologic investigations in Russian, English and Italian languages. At field works, along with ethnographic materials, he also collected ethnographic material protected not only in Georgia (nowadays Simon Janashia Museum of Georgia) but abroad too (Ethnographic Museum in St. Petersburg; Musée de l'Homme in Paris) etc. Collections gathered by Tedo Sakhokia counts hundreds of samples.

